ISSN

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცისკარი

5

1991

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„მცხეთის ქალაქს მირონი დუღს“, მზის და ვაზის მირონი.
ბებერ ქვებში ლალადებენ საქმენი საგმირონი.
ილალადეთ, ფუძის ქვანო, ქვანო საგუმბათონო,
მცხეთას ხომ არ მიბრძანდებით, კონსტანტინე ბატონო,
ბულბულს როგორ არ ესტვინა
იბერიის ბაღთათვის,
არ მოევლო პალესტინა
კილიკია, ბაღდათი.
მოიარე საქართველო მეროჭიკე ბერივით,
მოიძიე მონასტრები, ჟამით გადაბელილი,
გაწოლილა ქვაში ხავსად
ჟამი-ნაალაპარი,
ხომ არ ამხელს ხვაშიადსა
ქვის გრძნეული ზღაპარი?..
მკათათვეში თრიალეთზე ცაა უკაბადონო,
იქნებ კვეტარს ესტუმრებით, კონსტანტინე ბატონო!
ვით დაჭრილი მეციხოვნე ჭირის ოფლგადასხმული,
შენი სიტყვის მალამოთი გაამართლე წარსული.
გადმოდგება ქართლის მთებზე დილა საიადონო
და ქუდს  გიხდის საქართველო, კონსტანტინე ბატონო.

შოთა ნიშნიანიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ცისკარი

საქართველოს
მწერალთა
კავშირის
ორგანო

5

მაისი

1991

თბილისი

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა
„სამშობლო". № 305. გამოცემის 33-ე წელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შინაარსი

მთავარი რედაქტორი
თამაზ წივწივაძე

სარედაქციო კოლეგია:
გივი ალხაზიშვილი
თედო ბექიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
გივი გეგეჭკორი
ფათო ხალრაძე
რევაზ მიშველაძე
გიგი ხულაკაური
მორის ფოცხიშვილი
ჯარჯი ფხოველი
ჯანსუღ ღვინჯილია
ნუგზარ შატაიძე
მანანა ჩიტიშვილი
ბაჩა ჩორდელი
(პასუხისმგებელი მდივანი)
ვახტანგ ხარჩილავა
მირიან ხერგიანი
ტარიელ ჭანტურია
ზაზა ჯოხაძე

მხატვარი რედაქტორი
ლევან მალაზონია

## პოეზია და პროზა

3. **ზურაბ კუხიანიძე** — ლექსები
6. **აკაკი ვასაძე** — ყინულის მარწუხებში. რომანი. გაგრძელება
49. **გორენა ჯაჭვლიანი** — ლექსები
52. **გიორგი ლორთქიფანიძე** — შიგნიდან გატეხილი ციხის ამბავი. მოთხრობა
67. **ზურაბ ლობჟანიძე** — ლექსები
69. **მზია ხეთაგური** — არსებობის უფლება. მოთხრობა
77. **რევაზ დანელია** — ლექსები

## ახალი თარგმანები

81. **უილიამ შექსპირი** — ლუკრეცია. გაგრძელება. ინგლისურიდან თარგმნა **ჯემალ აჯიაშვილმა**

## ისტორიის თეთრი ფურცლები

89. **ლევ ტროცკი** — სტალინი. გაგრძელება. თარგმნეს **ელზა მეტრეველმა** და **დავით მჭედლურმა**

## აკაკი — 150

107. **ჯუმბერ ქორჩილავა** — აკაკი და ქართული სამედიცინო სამყარო

## კონსტანტინე გამსახურდია — 100

114. **გიორგი ნატროშვილი** — დიპლომატის საუკუნე
120. **გრიგოლ აბაშიძე** — უკვდავი და უბერებელი
121. **რევაზ მიშველაძე** — უკანასკნელი დიალოგი
123. **ზაურ მოლაშხია** — ისევ დგას მტკიცედ „კოლხური კოშკი“
125. **დავით მჭედლური** — დიდოსტატის ლეგენდა

## 26 მაისი — საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღეა!

127. **პაატა სურგულაძე** — საქართველოს ეროვნული საგზო

## წერილები

136. **ზურაბ ცინცაძე** — შიდა ქართლის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფა მე-19 ს-ში და ცხინვალის ეთნიკური შემადგენლობა
140. **ლეილა ნანიტაშვილი, ალექსანდრე ბენდიანიშვილი** — ეროვნულისა და სოციალურის მიმართება არჩილ ჯორჯაძის შემეცნებაში
147. **ბარნაბ კაკანაძე** — მონარქიული სახელმწიფო თუ დემოკრატიული რესპუბლიკა?
153. **მიხეილ ბავაშელი** — მინდიას ოპონენტთა არგუმენტები ანუ ბრბო და პიროვნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ზურაბ კუხიანიძე

### ფრაგმენტები ზამთრის რვეულიდან

●

თოვლი მოვიდა
და სულ წაშალა
ისეც ნაშლილი მწვანე საზღვრები.

●

ლობეზე ჭივის ფრთებგაბუმბლული
ბეღურა —
ჩვენი ზამთრის ბულბული.

●

თუკი ამაღამ მოვკვდები, ვაი,
იცოდე, მხოლოდ
ერთ რამეზე დამწყდება გული —
ხვალ შენთან ერთად
პირველ თოვლზე ველარ გავივლი.

●

ისე უხვად თოვს,
როგორც იტყვიან,
ცა მიწაზე ფეხად ჩამოდის...
ცა კი ჩამოდის ფეხად,
მაგრამ ცისკენ მავალი
ყველა გზა ჩვენთვის
უფლის ნებით ჩაკეტილია.

●

ხვამლი აღარ ჩანს,
თოვლში ჩაყვინთა,
თუ ღამით ჩუმად ცად გაქცეულა...
მწვანეყვავილა? —
მწვანეყვავილა
თეთრაყვავილად გადაქცეულა.

●

ძილგატეხილი და ნაბოდვარი
ვდგები,
სიცივით მთლად მოკრუნჩხული...
აღარ მასვენებს კარზე მომდგარი
ალერსსნატრული თოვლის ჩურჩული.

●

გამყინავი ხმით ყივის მამალი —
თოვლის სითეთრე
ეხმარება გათენებაში.

●

„ზამთარიაო!“ —
მღერის ვილაც და
ბანს აძლევს მიწა გასუდრული,
რომლის ხმა მხოლოდ
ბუნების მიმართ
ყრუებს არ ესმით.

საქართველოს
ეროვნული

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

შემოდგომას და
გაზაფხულს შორის —
ამ მშვენიერ დობილებს შორის,
ჩამდგარა თეთრი, ბებერი მგელი,
ჰოდა ერთმანეთს ვერ ნახულობენ.

●

ახლა თეთრ ხალათს გადავიცვამ
და შენს ჭიშკართან,
მუხლამდე თოვლში,
ავყეფდები ერთგულ ძაღლივით...
სხვა რამეს მაინც არვინ იფიქრებს,
ყველაფერს ამას
თეთრ სიგიჟეს დააბრალებენ.

●

სტუმარი მუდამ ღვთისაა,
მაგრამ
როცა ზამთარში ზიხარ ბუხართან
და ნატრობ ჭიქის მომჭახუნებელს...
მაინძელოო,
დაიძახებს ვილაც და ფეხზე
გახარებული წამოხტები,
კარებს მოალებ,
ვინც უნდა იყოს,
გაზაფხულივით შემოანათებს.

●

კარზე მომადგა
მესამოცე ცივი ზამთარი,
ჰა, კიდევ ერთი
ჩიჩილაკიც უნდა გავთალო...
კიდევ რამდენი
გაზაფხული მელის მწყაზარი,
ჩემი ცხოვრების
სუსხიანო ბოლო ზამთარო.

●

ნაძვის თეთრ ტოტზე
შემოჯდა ყვავი,
თოვლმა თქრიალი მოილო და
დაფრთხა ფრინველი...
და გაფრენილ ყვავს
მადლობის ნიშნად
შემსუბუქებულ
ტოტს უქნევდა შორიდან ნაძვი.

●

ღამდება...
თოვლში აღარ მოჩანს
გზა-ბილიკები,
ვჩქარობ, რომ ქარმა
არ მომისწროს ავი ზარებით...
„ნუ გეშინია!" —
მამხნევებენ გზაზე ფიფქები,
ჩემი ფარფატა
მხიარული თანამგზავრები.

●

თოვლის ბაბუას ვუდგამ შვილიშვილს
და მეც ვთეთრდები...
ის კი იცინის:
ახლა ორი ბაბუა მყავსო.

●

ყეფენ ძაღლები...
წელიწადის რომელი დროა,
ძაღლები რომ არ
ყეფავდნენ ღამით...
ძაღლებს ამ ქვეყნად,
კაცის არ იყოს,
ხვალინდელი დღის ეშინიათ.

●

ნაზად დამასხდა
წამწამებზე თეთრი ფიფქები
და ამიშალეს შენზე ფიქრები...
ფიფქები დადნა...
მაგრამ, ღმერთო, რა მეფიფქება,
როცა დამადნო შენზე ფიქრებმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

ზოგი ეტრფის თოფის ქუხილს,
სადაც თეთრი მუხნარია,
ზოგსაც კიდევ ძველი ბუხრის
ცეცხლის სითბო უხარია...
მე კი, გვერდით რომ არ მყევხარ,
ჩემი გული მწუხარია.

●

ქვეყნად რამდენი თოვლიც მოსულა,
არ დამდნარიყო —
ცას მისწვდებოდა და მნათობები
მის თეთრ ზვინებში
ჩიტებივით ჩაიხრჩვებოდნენ...
მაგრამ ამ ქვეყნის
გაჩენის დღიდან
ტორტლებივით
წკრიალებენ ცად ვარსკვლავები.

●

„გუგუ!“ —
ზამთარში გუგულს რა უნდა?!.
ეს, ალბათ, შენი გული მეძახის
გასათბობად და მოსაფერებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### აკაკი ვახაძე

# ყინულის მარწუხებში

## რომანი

არა, თინათინს აღარ უნდოდა ყოველივე ამაზე ფიქრი, ყოველივე იმის გახსენება, რაც სასამართლო შეტყობინებას მოჰყვა ხანგრძლივი — დარდით, უმწეობით, შიშით, შიმშილით და ლარბის ბედზე წუხილით შეზავებული ტანჯვის სახით.

ფიქრიც და ხსოვნაც თავისთავად იძვროდა.

პირველი და უმთავრესი, რაც იმ დღეებში, ლევანზე დარდის გარდა, სულს უფორიაქებდა, ეს იყო ლარბისგან მისი იძულებითი დაცილების შესაძლებლობა — ლარბის დარჩენა უმისოდ, მოხუცი ბაბუის და ბებიების ანაბარა, რომელთაც, შესაძლოა, არც ეწერა დიდი ხნის სიცოცხლე. ამგვარმა შიშმა მას შემდეგ შეიპყრო, რაც გიორგი ჭედიას დას, მზიას, შეთქმულთა თანამზრახველის ბრალდება წაუყენეს სასამართლოს დაწყებისთანავე და დააპატიმრეს კიდეც. სასამართლოს მსვლელობის პროცესში ზოგი სამხედრო პატიმრის არათუ ძმის, დის, ნათესავის და მეგობრის, თვით მეზობლის მიმართაც აღიძრა საქმე და ექვიმიტანილთაგან უმეტესობას, სხვადასხვა ვადით, ციხე და გადასახლება მიუსაჯეს. ცხადი შეიქმნა, რომ პატიმართაგან ყველამ ვერ გაუძლო კაპიტან მარკარიანის დაკითხვების ოსტატურ ხერხებს და, წამებით გონებაარეულებმა, ისინიც კი დაასახელეს, ყურმოკვრით რომ ჰქონდათ გაგონილი შეთქმულთა შეკრებების და ზრახვების ამბავი. მართალია, თინათინმა ლევანის და მისი მეგობრების შეთქმულებისა ადრე არაფერი იცოდა და პატიმართაგან მისი სახელი, როგორც ჩანდა, არავის უხსენებია, მაგრამ გამორიცხული არ იყო, შინსახკომი სასამართლოს დასრულების შემდეგაც დაინტერესებულიყო მისი პიროვნებით და მასზეც შეექმნა რაიმე საბრალდებო საბუთი. სულაც ლევან დავლიანის ცოლობას მიიჩნევდნენ საკმაო საბუთად მისი დაპატიმრებისა და გადასახლებისათვის. რანაირად დაუმტკიცებდა მარკარიანს ან შინსახკომის ვინმე სხვა გამომძიებელს, რომ მან თავისი ქმრის ასავალ-დასავალისა არაფერი იცოდა. თუ მოინდომებდნენ, განა ვერ მიაცემინებდნენ მათთვის საჭირო ჩვენებებს და მის საკუთარ დანაშაულსაც თვითონვე ვერ დაადასტურებდნენ? ოცდაჩვიდმეტშიც და მანამდეც, აქა-იქ აკი ხალხში ჩურჩულებდნენ იმაზე, რომ საგანგებო გამოძიება წამებით სძალავდა ადამიანებს შინსახკომისთვის სასურველ ჩვენებებს; მაგრამ მაშინ ქალაქში აქა-იქ წამცდარი ამგვარი ხმების დაჯერება არ უნდოდა — წინასწარგანზრახულად ირწმუნებდა თავს, რომ ეს იყო ავყიათა ჭორები, რომლებსაც ავრცელებდნენ „საბჭოთა სინამდვილის მტრები“. თვითდარწმუნება გულწრფელ რწმენადაც ექცა. მიუხედავად იმისა, რომ გაგონილი ჰქონდა ოციანი წლების დასაწყისში საბჭოთა ხელისუფლებისგან მისივე ბებიების, ბაბუების თუ ნათესა-

---

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი“, № 3, 4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვების თავს დაწეული უბედურების ამბავი. თვითონ საბჭოურ გარემოში აღზრდილს და საკუთარი ყოფა-ცხოვრებით კმაყოფილს, არც სურდა საყოველთაო სიმრუდის და ქვეყნად სიკეთის ნიღბით გამეფებული ბოროტების დაჯერება. ამიტომაც, ჯერ კიდევ უნივერსიტეტის ბაღში დათიკო ფანცულაიას და: შემდეგ, ვერის ხიდთან, ლევანის ნათქვამიდან მიუხვდა ქართულ დივიზიებში წამოწყებული შეთქმულების ამბავს — გულის სიღრმეში ამტყუნებდა და კიცხავდა ლევანსაც და მის მეგობრებსაც. ბუნებრივად და სამართლიანად მიაჩნდა მათ საქმეზე სასამართლო პროცესის აღძვრაც. ომის პირობებში სახელმწიფოებრივად სახიფათო არათუ წამოწყება, თვით განზრახვაც იმსახურებდა მხილებას და სასჯელს. შეთქმულებზე სასამართლოს მიერ გამოტანილი სასჯელის ზომა იყო უსამართლო და შესაზარი. ხოლო, როდესაც სამხედრო პატიმართა ზოგი ნათესავი და, მათ შორის, გიორგი ჰედიას და, მზიაც, სრულიად უდანაშაულოდ, გამოძიების საქმესთან ყოველგვარი არსებითი კავშირის გარეშე დააპატიმრეს — თინათინს სული აუფორიაქდა. აშკარად იგრძნო და გაიაზრა, რომ საყოველთაო მსახვრელი ხელისგან გადარჩენა, უპირატესად, შემთხვევაზე იყო დამოკიდებული; რომ გამოძიებისთვის მთავარი იყო არა სიმართლე და სამართალი, დანაშაულის ზომა და ხასიათი, არამედ ეჭვი და მისი დამადასტურებელი თუნდაც ზერელე ფაქტები. ამ შიშმა სწორედ მზიას დაპატიმრებისთანავე აიტანა: ვაითუ ლარბის დამაშორონო.

ჰო, ყველაზე მეტად, ახლა, ლარბი ადარდებდა; ოღონდ ლარბისგან არ მოეცილებინათ; ოღონდ მასზე დღენიადაგ ზრუნვის, მისი თვალყურის დევნების, მისი სიახლოვის საშუალება არ აღესპოთ... იმ დღესვე, ლევანზე სასამართლო შეტყობინება რომ მიიღო, მისი საწერი მაგიდის უჯრები, წიგნის კარადები და ყველა მიყრუებული კუნჭული დაჩხრიკა, ბეჯითად შეამოწმა — ხომ არ შემორჩენილიყო სადმე რაიმე, თუნდაც მცირეოდენად საეჭვო ლიტერატურა. უპირველესად ლევანის ყველა, შინსახკომელთა ჩხრეკის შემდეგ დარჩენილი ხელნაწერი, განურჩევლად შინაარსისა, გადმოალაგა და ზედ დაურთო ყველა ჟურნალ-გაზეთი, რომელშიც მისი ლექსები, მოთხრობები, ესეები, სამეცნიერო თუ კრიტიკული წერილები იყო დაბეჭდილი; მერე მისდგა გასაბჭოებამდე გამოცემულ წიგნებს. ჟურნალებს, გაზეთებს; გერმანულ ენაზე თუკი რამ წიგნებს წააწყდა. ცალკე დააწყო. ყველაფერი ეს ყუთებში და ძველ ჩემოდნებში ჩაყარა, ბაწრებით შეკრა და, შელამებულზე, მეზობლებს რომ არ შეემჩნიათ, სანთლით ხელში, სათითაოდ აიტანა სხვენზე და იქ, მიყრუებულ ადგილას მოათავსა. ესეც არ იკმარა — სხვენზე აქა-იქ მიგდებული ფიცრები, ჩვრები და სხვადასხვა ნივთები ზემოდან დააყარა. საქმეს რომ მორჩა, კალთები დაიბერტყა, ამოისუნთქა და, უცებ ყრუანტელი მოჰგვარა ისეთმა შეგრძნებამ, თითქოს საკუთარი ხელით იშორებდა ლევანს — თითქოს, ჰო, თითქოს.... მარხავდა! ამ შეგრძნებამ ძარღვებში სისხლი გაუთოშა. მუხლებზე დავარდა, ყუთებს კადაემხო და ისე აქვითინდა, როგორც შინას მიბარებულ ლევანს დაიტირებდა. სადმე საფლავი რომ ჰქონოდა მისი. საფლავიც აღარ გააჩნდა და, ახლა მის ნაწერებს და მის წიგნებს იშორებდა. ღონე ისე მიელია, ისეთი სიბეჩავე დაეუფლა, რომ ადგილიდან დაძვრაც არ უნდოდა. თითქოს შინ მისვლისაც რცხვენოდა. მაგრამ უცებ, ლარბი გაახსენდა. ჰო, ლარბისთვის იყო ეს საჭირო, და თუ სული, როგორც ამას ქალბატონი ელისაბედი ამბობს, მართლა არ კვდება — ლევანის სული აპატიებს, შეუნდობს, მიუხვდება, რომ ყველაფერი ეს ლარბისთვის იყო საჭირო. მას ახლა ლარბიზე უნდა ეფიქრა, ლარბის მომავალზე. „შენ კი მითხარი, რომ ლარბიზე ვფიქრობო, ლევან, მაგრამ... მე დედა ვარ, გესმის, მე სხვანაირად ვსჯი, სხვანაირად ვფიქრობ, და ვიცი, დედას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ გამამტყუნებ!“ — ისე ამოხდა, თითქოს საფლავზე დაატირაო.

სხვენიდან რომ ჩამოვიდა, შუაღამეს იყო მიტანებული.

— სწორი ქენი, — სახლში შესულს მოულოდნელად მოესმა ქალბატონი ელისაბედის ხმა და წამით იქვე, მის ჩამობნელებულ საწოლ ოთახთან შედგა.

თუმცა ქალბატონი ელისაბედი ლოგინიდან არ ამდგარა და თინათინსაც მისთვის არაფერი უთქვამს — და არც აპირებდა რაიმეს თქმას, რადგან იფიქრა, რაც უნდა იყოს, გული ეტკინებაო, — ის მაინც, ლოგინში მწოლიარეც, უნახავადაც და უთქმელადაც მიმხვდარა, რატომ აშრიალებდა თინათინი ლევანის ოთახში ქაღალდებს, ჟურნალებს, გაზეთებს, წიგნებს და იქიდან გარეთ რატომ გაჰქონდა მძიმე ყუთები იმ სიბნელეში. თინათინი იდგა და ელოდა, რომ დედამთილი ლევანის სახელს ამოიკვნესებდა და მაშინ, მასაც ველარ გაუძლებდა გული და, დედამთილის სასთუმალთან, ლარბიზე თავის შიშნეულ წუხილს ამოიტირებდა; მაგრამ ქალბატონმა ელისაბედმა, თითქოს ზღვარი დაუდოო თინათინის და საკუთარ ცრემლსაც, თითქოს გამოემშვიდობა და მასთან თინათინის შესვლის მოყოყმანე სურვილს კარი მტკიცედ გადაურაზაო, ყრუდ და დაბეჯითებით გაიმეორა: „სწორი ქენი, სწორი. ლევანს ის ქაღალდები და წიგნები რაღად სჭირდება. შენს თავზე იზრუნე, ლარბი გყავს მისახედი... ლარბის მიხედე“.

ქალბატონი ელისაბედი ლოგინიდან თითქმის აღარც დგებოდა. განა საძრავსასიცოცხლო ძალა გამოლეოდა, — თვისივე ნებით, იმ ჩხრეკის შემდეგ, თვითონ შეუდგა თავის თავში სასიცოცხლოდ შერჩენილი ღველფის ჩაქრობას.

—. მე აღარ მინდა ვიცოცხლო, თინიკო, შვილო, — უთხრა ერთხელ, სრულიად მშვიდად, როცა თინათინი მასთან შევიდა დამამშვიდებელი და გულის გამამაგრებელი წამლების მისაცემად; თან, თითქოს მობოდიშებით შეჰლიმა:— ნუ გეწყინება, ჩემო კეთილო რძალო, ეს წამლებიც აღარ მინდა. მე არ ვარ ავად. მე სიცოცხლე აღარ მინდა.

მთელი თვე საოცარი სიმშვიდით და დიდებულებით იწვა ქალბატონი ელისაბედი მის მიერვე სუფთად, ლამაზად გაწყობილ ლოგინზე; რაღაც უცნაურად მოღიმარი გაჰყურებდა ფანჯარასთან აშვერილ, ველური აკაციის ფოთლებდაცვენილ დაკრუნჩხულ ტოტებს შორის ზამთრის დამდეგის ბაცი ღრუბლით მოფენილ გაციებულ ცას; საწოლის ერთ მხარეს, იქვე, საბანზე, ჩოხაში გამოწყობილი დიდი ლევანის სურათი ედო, მეორე მხარეს — ლევანის ყრმობისდროინდელი სურათი. ხან ერთს ასწევდა, დახედავდა და უჩუმრად გაესაუბრებოდა, ხან მეორეს. სასთუმალთან მდგარ პატარა მრგვალ მაგიდაზე ღვთისმშობლის ხატი დაესვენებინა, იქვე ედგა შანდალი და ყოველ დილასაღამოს სანთელს ანთებდა. ოთახიდან მხოლოდ ხელ-პირის დასაბანადღა გამოდიოდა. არა, თავს კი არ იკლავდა — არც შიმშილით და არც რაიმე სხვა ხერხით თავის მოკვლა არ უცდია. თავს დატეხილი ეგოდენი უბედურების მიუხედავად, მაცხოვრისადმი რწმენა იოტისოდენაც არ შერყევია და სწორედ მის წინაშე ეკრძალებოდა ამ მომაკვდინებელი ცოდვის, თვითმკვლელობის ჩადენა თორემ, სიკვდილი არ ეძნელებოდა; სიკვდილზე ძნელი სიცოცხლეაო, ადრეც უთქვამს რძლისთვის, როდესაც ორიოდე სიტყვით გაუხსენებია ქმრის დაღუპვასთან, ლევანის უფროსი ძმისა და დის სიკვდილთან დაკავშირებული გასაჭირი და სულიერი ტკივილი. როგორც საკუთარ, ყველა სხვა ადამიანის თავს დატეხილ უბედურებას ის ყოველთვის თვით ადამიანთა ცოდვიანი ცხოვრებიდან გამომდინარე, სატანის გაძლიერებას მიაწერდა და თინათინსაც ასე შეაგონებდა ხოლმე: „არის სატანაც, რომელიც კაცთა ცოდვათა გამო კვლავინდებურად ჩემობს და მძლავრობს“.

თინათინის მიტანილი კერძიდან ქალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბატონი ელისაბედი ორიოდ ლუკმას გადაყლაპავდა, წყალსაც მოსვამდა; ჩაის თუ მიუტანდა თინათინი, იმასაც დალევდა; მოალერსე მზერით მადლობას შეუთვლიდა და მერე, ისევ ცას გახედავდა სარკმლიდან, თითქოს ცაზე გაქროლილ ნოემბრის ღრუბლებს ევედრებოდა — თქვენთან მინდა. წამიყვანეთ, თქვენთან მინდა, მალე ამოვალ... ქალბატონ ელისაბედს უმტკიცესად სწამდა, რომ იქ, ცაში, სანუკვარი შვილების და მეუღლის სულებს შეუერთდებოდა, მათთან სამუდამო სიახლოვით დატკბებოდა და უშფოთველად, უკვე სიცოცხლეშივე ყველანაირი ცხოვრებისეული ფიქრისგან გარიყული, ელოდებოდა იმ ნეტარი ჟამის დადგომას. ერთადერთი, ლარბის დანახვა თუ აამღელვარებდა. მის ოთახში ლარბის შემოსვლას როცა იგრძნობდა, სუნთქვა აუჩქარდებოდა, თვალში ცრემლი ჩაუდგებოდა, ციდან მისკენ მოიბრუნებდა პირს, მისუსტებული ხელის მტევნით შორიდან პირჯვარს გადასწერდა და შვილიშვილის დასალოცი სიტყვებით აჩურჩულდებოდა. ლარბი კი ზოგჯერ მის სასთუმალთან სკამზე ჩამოჯდებოდა და ისე უსმენდა ელო-ბებოს, თითქოს მისი ბუტბუტისა რამე გაეგებოდა. „შენც მაპატიე, ჩემო ბიჭუკელა, რომ ბებოს სიტკბო დაგაკლდება, რომ დედის ამარა ობოლი დაგვრჩი შენს ჯიშსა და ჯილაგს", — ამ სიტყვებს მხოლოდ მაშინ ამოიკვნესებდა, როდესაც ლარბის მოსწყინდებოდა მის წინ ჯდომა და გარეთ, ეზოში გავარდებოდა.

ელისაბედმა უკვე იცოდა, რომ ლარბი უმამოდ დარჩებოდა.

იმ დღეს, როცა სასამართლო პროცესი დაიწყო, ელისაბედს დიდი ლევანი გამოეცხადა. მისი ოთახის კარი შემოაღო და დერეფნიდან ოთახში სულ უჩუმრად შევიდა. ფეხშიშველა იყო, მკერდზე მოღიავებული თეთრი აბრეშუმის ახალოხი და ყლალი ატლასის შარვალი ეცვა. ნაღვლიანი ღიმილით მიუახლოვდა, ალერსით ჩააცქერდა თვალებში და უთხრა — წავიდეთ, ელისაბედ, ჩემთან წავიდეთო. ელისაბედს ჯერ გაუხარდა მისი დანახვა, მერე წყრომით შეჰკადრა: — ამათ რა ვუყო, მერმე კიდევ, ლევანის საქმე, ლევანი... მან კი ხელი ქუჩისკენ გაიშვირა და უთხრა: — ლევანი უკვე იქ მელოდება, ისიც ჩვენთან იქნება, წამოდი, ნუ დაიგვიანებ ძალიან, მე იქ წავალ, ლევანთან, და ერთად დაგელოდებით, ქვემოთ, ოღონდ მეტისმეტად ნუ დაიგვიანებ. ელისაბედი ლოგინიდან წამოენთო: — ლევანი იქაა? თავი დააღწია წყეულებს?! სადაა, სად? ვნახო, ერთი, ჩემი ბიჭი, სადაა?! წამოიყვირა, ადგომა დააპირა და გონება დაკარგა.

ელისაბედი ისე გარდაიცვალა, რომ არც გაუგია სასამართლოს მიერ ლევანის საქმეზე მიღებული განაჩენი, რომელიც თინათინმა მიიღო სასამართლოს დასრულების ორი კვირის თავზე, 23 დეკემბერს; სასამართლომ ათში დაასრულა მუშაობა; ხოლო თერთმეტში, ღამით, ელისაბედს ქუჩიდან ჯერ დიდი ლევანის ძახილი მოესმა: — სად ხარ, ელისაბედ, ამდენ ხანს ქუჩაში რას მალოდინებო; მერე, უეცრად, ფანჯარაში, გარედან, შვილის თვალცრემლიანი სახე მოელანდა და, მის დანახვაზე, კიდევაც შეუგუბდა სული.

დილით, ქალბატონ ელისაბედთან ფინჯანი ჩაით და ორცხობილათი შესულ თინათინს, ის უკვე გარდაცვლილი დაუხვდა. ღია თვალებით სარკმლიდან ცას მისციებოდა, გაცისკროვნებულ სახეზე ნეტარი ღიმილი აღბეჭდვოდა, ლოგინიდან ჩამოვარდნილი ხელის თითებში რვეულის ფურცელი ჰქონდა ჩაბღუჯული. თინათინმა ფინჯანი მაგიდაზე დადო, თვალები დაუხუჭა დედამთილს, ძირს ჩამოგდებული ხელი ლოგინზე მოუთავსა და თითებიდან რვეულის ფურცელი გამოაცალა. იქვე, სკამზე დაჯდა, ცრემლი მოიწმინდა და ფურცელს დახედა, რომელზეც სიფრიფანა ასოებით ეწერა: „ჩემო თინიკო, სამარხი ფული არ გაგვაჩნია. ჩემი ყელსაბამი გაყიდე და იმით მოაგვარე ჩემი დასაფლავება. არაფერს გიბარებ, რადგან ვიცი, ლარბის დედო-

ბრივ ზრუნვას არ მოაკლებ. იქნებ ეგ ბიჭი მაინც გადაგვირჩინოს მამაზეციერმა და გამოსტაცოს სატანის ბრჭყალებს. სხვა შენ იცი და ცხოვრებამ, რომელიც გელის. ოღონდაც ლარბიმ იცოცხლოს. გმადლობთ, თინიკო. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

3.

— რას მემადლიერებოდი, ელისაბედ, რას?! — უცებ ხმამაღლა წამოიყვირა თინათინმა და მაშინვე ხელისგულები აიფარა პირისახეზე. ბავშვების ოთახისკენ გაიხედა. ამ უთენია ჯერ კიდევ მძინარე როსტომი და მაია ხომ არ დავაფეთეო. მერე, პირზე აფარებულ ხელისგულებს ჩაატირა: — ვერ ვამყოფე, ვერ ვაცოცხლე ლარბი... ელისაბედ, ლარბიც მოგვიკვდა... რატომ?!. რატომ?!".

რას არ მისცემდა სიცოცხლის დარჩენილ წლებსაც გაიღებდა, ოღონდ კი ლარბის თავის ოთახში, როგორც ოდესღაც, პატარობისას, სძინებოდა, — ოღონდ იქ ჰგულებოდა სადაც როსტომს და მაიას, ცხოვრების ყველანაირი სიმრუდისა და ხიფათისგან დაცულებს, წარსულის ყოველგვარი საბედისწერო ძალისგან თავისუფლებს, უშფოთველად ეძინათ. რა იქნებოდა, ლარბისაც ეცოცხლა? რა იქნებოდა, არ წასულიყო, სადღაც შორს არ გადაკარგულიყო? აქ რომ ჰყოლოდა, გვერდში, ეგებ ხიფათიც არ შემთხვეოდა... ჰო, რა თქმა უნდა, ის ხიფათი უსათუოდ ასცდებოდა, აქ რომ ეცხოვრა... რომ ეცხოვრა... მაგრამ — წავიდა... რისთვის წავიდა?! რად გაიქცა ასე უეცრად, რად გაიპარა ასე ჩუმად, ასე უკან მოუხედავად, რომ არავისთვის არაფერი უთქვამს — არც მიზეზი, არც მიზანი, არც საყვედური.

— რა შევცოდე, ელისაბედ?! რას ვერ მივუხვდი? შევცდი? სად? როდის?.. რატომ მომიკვდა, ელისაბედ, რატომ?! — საკუთარ სულში შემოხლილი კითხვები ისევ ქალბატონი ელისაბედის ხსოვნისკენ მიმართა და ისევ მას მიატირა ლარბის სიკვდილი. მერე ისე აწრიალდა სკამზე, თავი ისე გაიქნ-გამოიქნია, ისეთი გაწამებული თვალებით მიმოიხედა გარშემო, თითქოს ამ კითხვებისგან სული შეეხუთა და მათგან თავდასაღწევს ეძებსო.

უცებ, მოპირდაპირე კედელზე, მრგვალ ლაქას მოჰკრა თვალი. მაშინვე გაახსენდა, რომ იქ ლევანის სურათი ეკიდა დიდხანს და ძველისძველ, მომწვანო ფერის შპალიერზე ის ადგილი ნაკლებად გახუნებულ-გამუქებული დარჩენილიყო. გაახსენდა ლევანის მიერ განჯიდან გამოგზავნილი ჯგუფური სურათიც, ნაცნობ ფოტოგრაფს რომ მიუტანა ელისაბედის გარდაცვალების შემდეგ, მეგობრების ჯგუფიდან ლევანი რომ გამოაცალკევებინა, გაადიდებინა, ყავისფერ მრგვალ ჩარჩოში ჩასვა და სასადილო ოთახში, ყველაზე გამოსაჩენ ადგილზე ჩამოჰკიდა — სწორედ იმ კედელზე, სადაც ახლა მრგვალი ლაქა მოლანდა ოთახში შემოჭრილ ცისკრის შუქზე.

სამხედრო ოფიცრის ფორმაში ლევანის ის სურათიც, უპირატესად, ლარბის გამო გაადიდებინა ფოტოგრაფს და ლარბის გამო ჩამოჰკიდა სასადილო ოთახში, გამოსაჩენ ადგილას. როცა სურათს ჰკიდებდა, სწორედ ლარბისთვის გაითამაშა მამამისის ერთგვარი დატირება და ასე შეაგონა — მამა ომში დაიღუპაო. ომი რომ იყო, ეს ხუთი წლის ლარბისაც უკვე კარგად ესმოდა; უკვე ომობანასაც თამაშობდა ეზოში მეზობლის ბიჭებთან და ისიც იცოდა, რომ ომში კვდებოდნენ; მრავალზე მრავალი ბავშვის მამა ემსხვერპლა ომს და ლარბისაც ასე უნდა ჰგონებოდა, — მას არ უნდა სცოდნოდა არც მამის და, მით უმეტეს, არც პაპის დაღუპვის ნამდვილი მიზეზი და ვითარება. ამის ცოდნა არა მარტო ცხოვრებისადმი მშფოთვარე დაეჭვებას, არა მარტო გულისტკივილს, ხიფათსაც უქადდა ლარბის. თინათინი ისეთი დაჟინებით ცდილობდა ლარბის დაზღვევას მისთვის სამომავლოდ სახიფათო განცდებისგან, ეჭვებისგან და ფიქრებისგან, რომ ლამის თვითონვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირწმუნა ლევანის ჩვეულებრივი ჯარისკაცის სიკვდილით ომში დაღუპვა.

ლევანის ნაწერებიც სხვენზე რომ ჩამარხა, სხვასთან ერთად, ლარბის სულისა და გონების, ყველანაირი სავარაუდო ხიფათისგან მისი დაცვის მიზანიც ამოძრავებდა; უკვე მაშინაც, ლევანზე სამხედრო ტრიბუნალის მიერ გამოტანილი განაჩენით თავრეტდასხმულიც, ლარბიზე ფიქრობდა. მერე და მერე, უფრო აშკარად დარწმუნდა, რამდენად სწორად მოიქცა, ყველა ის წიგნი, ჟურნალები და ნაწერები სხვენზე რომ გადამალა. როდესაც უნივერსიტეტში და მწერალთა კავშირში საგანგებოდ მოწვეულ კრებებზე განიხილეს ლევანის საქმე და, მისი სამწერლო და პედაგოგიურ-სამეცნიერო მოღვაწეობის კვალად, მისი ლიტერატურაც მავნებლურად შერაცხეს, — ეს თავისთავად გულისხმობდა იმას, რომ ოცდაათიან წლებში აღკვეცილი სხვა, მხატვრული თუ სამეცნიერო ლიტერატურის მსგავსად, ლევან დავლიანის დაბეჭდილი თუ დაუბეჭდავი ნაწერების შენახვას, წაკითხვას და, მით უმეტეს, მათზე საუბარს ავბედითი შედეგები შეიძლებოდა მოჰყოლოდა. მათი მოშორება საჭირო იყო არა მარტო იმ კონკრეტულ ვითარებაში, თვითონ თინათინისთვის მოსალოდნელი ხიფათის თავიდან ასაცილებლად. შინსახკომს, თუკი ხელმეორედ გაჩხრეკდა მათ ბინას და ლევანის ნაწერებს წააწყდებოდა ხელნაწერი ან დაბეჭდილი სახით, უკვე ეს ფაქტიც შეეძლო წაეყენებინა ბრალდებად თინათინისთვის, ისევე, როგორც ლევანს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბრალდებად მამამისის დროიდან სადღაც თაროზე შემორჩენილი გრიგოლ რობაქიძის ნაწერების შენახვა წაუყენეს; ბინიდან მათი გაქრობა საჭირო იყო სამომავლოდაც, საჭირო იყო უპირატესად ლარბისთვის, რომელსაც მამის არც მწერლობის და არც მეცნიერების ამბისა არაფერი არ უნდა სცოდნოდა. მას უნდა სცოდნოდა მხოლოდ, რომ ლევანი მუშაობდა უნივერსიტეტში, საიდანაც გაიწვიეს ჯარში და სულ ახალგაზრდა ომში დაიღუპა. მეტი არაფერი. არავითარ შემთხვევაში. ლარბს მამამისის მწერლობისა რაიმე რომ გაეგო ან, კიდევ უარესი, მისი რომელიმე ლექსი ან მოთხრობა რომ წაეკითხა და ვინმე მეზობლის ბიჭთან, სკოლის რომელიმე ამხანაგთან წაეტრაბახა — მამაჩემი მწერალი იყო, ესა და ეს აქვს დაწერილი და დაბეჭდილიო; იმათ კი თავიანთი მშობლებისთვის ან მასწავლებლებისთვის ეკითხათ და ეთქვათ; იმათ მშობლებს და მასწავლებლებს კი... ჰოდა, ვინ იცის, ვის ყურამდე მიეღწია ლარბის ნათქვამს და, მაშინ, ნამდვილი ხიფათი და უბედურება თუ არა, დიდი უსიამოვნება მაინც დაატყდებოდათ თავს.

ალმასხან წეროძეზე გათხოვების შემდეგაც და, საერთოდ, უკანასკნელ დღემდე — სახლიდან ლარბის წასვლამდე, თინათინი ცდილობდა არა მარტო საკუთარ, ლარბის არსებაშიც როგორმე აღმოეფხვრა ავბედითი წარსულის ხსოვნა, წარსულიდან მოყოლილი სულის ამაფორიაქებელი შთაბეჭდილებები. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც თინათინი, ომის დასრულებისას, ხელმეორედ გათხოვდა და ალმასხან წეროძესთან ერთად შეუდგა ახალი, გამყარებული გზით გამართული ოჯახის შენებას, — როდესაც თვითონაც, პიროვნულად, სამსახურეობრივ თუ საზოგადოებრივ სარბიელზე თავისი მდგომარეობა მოიპოვა და მხნედ, წელგამართულად იგრძნო თავი, — როდესაც ლარბის მომავალი, როგორც მისი და ალმასხანის ოჯახის წევრის, ყოველგვარი ხიფათისგან, ყოველი დაეჭვებული თუ მოთვალყურე თვალისგან დაზღვეულად უჩანდა, — აი, ამ დროიდან ლარბის სრულიადაც არ სჭირდებოდა არც თინათინის ოდესღაც უმწეო სახის და შიშისგან აცრემლებული თვალების, არც მათ ბინაში შინსახკომელთა ჩატარებული ჩხრეკის, არც ქალბატონი ელისაბედის პირჯვარისა თუ მისი საწოლი ოთახის კუთხეში მოწყობილი „სამლოცველოს", არც ომის წლებში მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიდიდან აკრეფილი პურის ნაფშვენის და, საერთოდ, არაფერი ისეთის გახსენება, რაც სულს აუმღვრევდა, ომის შემდეგ ქვეყნად შექმნილი წესრიგისგან განსხვავებულ და, რაც მთავარია, საყოველთაოდ დადგენილ მოთხოვნათა საპირისპირო სინამდვილეზე დააფიქრებდა, ოდნავ მაინც გაალიზიანებდა და ცხოვრებაზე თუნდ მცირედ აუგსაც ფიქრად გაუტარებდა.

ჯერ კიდევ ალმასხანზე გათხოვებამდე და, შემდეგაც, ალმასხანზე გათხოვების პირველ წლებში, თინათინს რამდენჯერმე იმ სურვილმაც, ისეთმა მოსაზრებამაც გაუელვა, ლარბისთვის გვარი გამოეცვალა. მეტისმეტად შემჩნეული, მეტისმეტად დასაეჭვებელი, დასაყურადებელი შეიქმნა დავლიანთა გვარი დიდი ლევანის და ლევანის წყალობითაც; მათი საგვარეულოდან უკლებლივ ყველა რეპრესირებული იყო ამ დროისთვის და, ლარბის გარდა, ორი მოხუცი ნათესავი ქალიღა დარჩენილიყო მთელ საქართველოში. თინათინმა იცოდა, ყველა სასწავლებელში, ყველა დაწესებულებაში მუდამ ფხიზლობდა მოდარაჯე თვალი, რომლის განსაკუთრებულ დაინტერესებასაც უკვე მხოლოდ თავისი გვარითაც გამოიწვევდა ლარბი. რამდენჯერმე კიდეც გადაწყვიტა ეს გაეკეთებინა, მაგრამ გულმა არ უქნა, ვერ გაბედა. არა მარტო ლევანის ხსოვნის და დავლიანთა შემორჩენილი ნათესავების წყენას მოერიდა, — უცებ, ქალბატონი ელისაბედის თითქოს შეეშინდაო, როცა ამ განზრახვის პრაქტიკულად განხორციელებაზე მიდგა საქმე. თვითონ ელისაბედისა კი არა, მისი წყევლის შეეშინდა. მართალია, თინათინს ღმერთი და საიქიო არ სწამდა, მაინც შორიშორ და კრძალვით ჩაუვლიდა ხოლმე ქალბატონი ელისაბედის „სამლოცველოს", როდესაც კი მის ოთახში შევიდოდა; და თუ ძალიან იშვიათად შედიოდა დედამთილთან ოთახში, ესეც იმ ხატების გამო, ოთახის კუთხეში რომ ჰქონდა ჩამოკიდულ-დამაგრებული; და მერეც, როდესაც ელისაბედი ცოცხალი აღარ იყო და ლარბისთვის გვარის შეცვლა გადაწყვიტა, ისევ იმის შეეშინდა, ელისაბედმა საიქიოდან არ დამწყევლოსო. ისიც გაიფიქრა — ვაითუ, ლარბიმ, რომ გაიზრდება და თავის ნამდვილ გვარს გაიგებს, იწყინოს და ზურგი შემაქციოს, ჩემს დაუკითხავად გვარი რატომ შემიცვალეო, — ვაითუ, ამან უფრო გააბოროტოსო; (და)ხვეწილი აილო ამ განზრახვის განხორციელებაზე.

სხვა კი ყველა ღონე იხმარა, რომ ლარბის ხსოვნიდან — და თუ ხსოვნიდან ვერა, ყოველ შემთხვევაში, მისი აქტიური მეხსიერებიდან მაინც გაერიყა, გაექრო, გაექარწყლებინა ის არასასურველი, ომის შემდგომი დროისთვის სრულიად შეუფერებელი და თვითონ თინათინის ახლებური ცხოვრებისთვის ყოვლად შეუთავსებელი წარსული. წლების მანძილზე თინათინი ბეჯითად ახორციელებდა მის მიერ წინასწარ გამომუშავებულ გეგმას წარსულის შთაბეჭდილებებიდან ლარბის „გადასარჩენად" — წლების მანძილზე სხვადასხვაგვარ შეგონებებს და აღმზრდელობით საშუალებებს მიმართავდა, რათა ლარბისთვის ახალი ცხოვრების შესაბამისი იერი მიენიჭებინა — ყოველნაირად ცდილობდა, ლარბის გონებაც და განცდათა სფეროც ქვეყნად დადგენილი სავალდებულო წესისა და რიგის აღსასრულებლად მოემართა — და, მაინც, წლების მანძილზე, თვითონვე გრძნობდა, რომ, მიუხედავად ყველაფრისა, თვით მისთვისაც, ლარბი წარსულის ერთადერთ ცოცხალ მოწმესავით რჩებოდა; რომ უკვე თავისი არსებობითაც, ნებით თუ უნებურად, ლარბი თვითონ თინათინის სულში იწვევდა ძლივძლივობით აღმართული, წარსულის ზღვარმდები ჯებირების რღვევას. ლარბი ისე იყო, თითქოს ჯიბრზე არსებობდა, — წარსულის სუნთქვას მყობადშიც აცხოველებდა და დროთა სხვაობის დამრღვევი ყოველივე და სავალდებულოსადმი თითქოსდა გამომწვევი დაუდევრობით აფრქვევდა გარშემო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარსული დამალვით აღბეჭდილიყო ლარბის არსებაში და თავიდანვე — მაშინაც კი, როდესაც არც ესმოდა და არც შეეძლო გაეცნობიერებინა მისი მნიშვნელობა — არათუ მის ქცევას, თვით იერსაც რაღაცნაირი მოულოდნელი ელფერით სახავდა. ხოლო ჭაბუკობაში შესული, როდესაც გონების თვალით დაუწყო ჩაძიება საკუთარ თავს და ყველა უახლოეს, ცხოვრებისეულად უშუალოდ დაკავშირებულ საგანს — წარსული მის არსებაში კიდევ უფრო გამწვავდა და მისი ქცევის შიგნიშიგანად მაიძულებელ, უშელავათო ძალად იქცა. რაც დრო გადიოდა, სახის ნაკვთებით, მიხვრა-მოხვრით სულ უფრო და უფრო ემსგავსებოდა ლევანს. სიცილიც კი იმისი ჰქონდა — ხმამაღალი, ჭავლივით ამომსკდარი, გულიანი. და განა მარტო ლევანს — რაიმეზე განაწყენებული გოროზად რომ გატრიალდებოდა, უცებ, ქალბატონ ელისაბედს მოაგონებდა თინათინს. „სულ იქითაა, სულ იმათ ემსგავსება; თითქოს ჩემი შვილი არ იყოს, თითქოს მე არ მეტარებინოს ცხრა თვე მუცლით და ჩემი ძუძუ არ ეწოვოს", — გაიფიქრებდა ხოლმე შეწუხებული, როდესაც ლარბი ხან კომოდის უჯრაში, ხან სკივრში ძველ სურათებს წააწყდებოდა, დაჟინებული ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა და თინათინს წამდაუწუმ ეკითხებოდა მათზე აღბეჭდილი ნათესაობის ვინაობას და მათ ამბავს. თინათინი, მართალია, მხოლოდ ნაწყვეტ-ნაწყვეტად, მხოლოდ ნაწილობრივ და სულ იმის შიშით, რამე ზედმეტი არ წამომცდესო, მაგრამ მაინც უყვებოდა ქალბატონ ელისაბედზე, დიდ ლევანზე, მამაზე, ლევანთან ერთად გამგზავრებაზე გაგრაში დასასვენებლად, ლევანის უფროს ძმაზე, დაზე და, ვისაც კი იმ სურათებში იცნობდა, ყველა ნათესავსა თუ მახლობელზე. თინათინი ამჩნევდა, რომ ლარბი საგანგებოდ იქექებოდა ხოლმე სახლის ყველა მიყრუებულ კუთხე-კუნჭულში, სადაც კი ძველმანები ეგულებოდა; სარდაფიც კი რამდენჯერმე გადაატრიალა. მის აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც დიდი ლევანის ხანჯალი, ძველისძველი სპილოს ძვლის საპირიწამლე და ჩოხაში გადაღებული მისი სურათი იპოვა. თავის ოთახში ძველი სურათების და ნივთების ლამის გამოფენა მოაწყო. თინათინი ხან თხოვნით, ხან დაცინვით, ხან გაკიცხვით ცდილობდა, ლარბისთვის მოეშლევინებინა ძველმანებით ასეთი გატაცება, მაგრამ უთავბოლოდ გაგრძელებულ დავა-კამათში საფუძვლიანს ვერაფერს უპირისპირებდა მის დაჟინებას და, ლარბიმაც თავისი გაიტანა. ამას ძველი საქართველოს ისტორიით გატაცებაც დაერთო. თინათინი იმასაც გრძნობდა, რომ ყოველივე ამით ლარბი თავის საკუთარ, არსებულისგან გაუცხოებულ და მისდამი დაპირისპირებულ სამყაროს იქმნიდა. ზოგჯერ, ნანობდა, რატომ ადრევე, ლარბის პატარობის დროსვე, არ გააქრო სახლიდან ეს ძველი ნივთები და სურათები, რომელთა გამო ასე ხშირად უხდებოდა ლარბისთვის მისი წინაპრების ამბების მოყოლა, რითაც მასში წარსულისადმი დაინტერესებას ამძლავრებდა. მაგრამ ყველა წვრილმანი ასე, წინასწარ, რანაირად გაეთვალისწინებინა. თანაც, სანამდე დაემალა ლარბისთვის მისივე ვინაობა, მისივე წარმავლობა. ცხოველივით მარტო საცხოვრებელ-საარსებო გარემოსა და მხოლოდ სადღეისო მოთხოვნილებებისა და სურვილების ამარა ხომ ვერ დააყენებდა. მისგან მისივე თავი დაემალა? რომ ეცადა — რანაირად? ვთქვათ, ძველი სურათები სულ დაეწვა; ვთქვათ, ძველი ნივთები, რომელთა უმეტესობის არსებობაც კი არ იცოდა, ადრევე თვითონ მოეძია და გადაეყარა; ვთქვათ, ადრევე თავის გვარზეც გადაეყვანა ლარბი... დავლიანების მხრიდან ლარბის ნათესავები როგორღა გაექრო. სამუდამოდ გაეწყვიტა მათთან კავშირი? რა მიზეზი ეთქვა მათთვის, რა სინდისით არ მიეშვა ისინი ლარბისთან? ანკი, საერთოდ, ჰქონდა ამის უფლება?

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავლიანთა მხრიდან კანტიკუნტად შემორჩენილი ლარბის ნათესავები გუმანით გრძნობდნენ თინათინის სურვილს და ყოველნაირად თავს არიდებდნენ პატარა ლარბის თანდასწრებით დიდი ლევანის, ქალბატონი ელისაბედის და თვით ლევანის ზედმეტად ხსენებას; მით უმეტეს, ბედუკუღმართ წარსულთან დაკავშირებული, ძლივძლივ მოშუშებული ძველი ჭრილობების ხელის შეხებას გაურბოდნენ. ისინი თითქოს საგანგებოდაც ცდილობდნენ, ლარბის არსებობა თავისთავად, მისი ახლანდელი მდგომარეობით, წარსულიდან მოწყვეტით აღექვათ, — როგორღაც უშურველად, ქართველთა ნათესაური ურთიერთობისთვის განსაკუთრებულად ნიშანდობლივი კასტური მისაკუთრების და უფლების გამოვლენის გარეშე შეჰხაროდნენ ლარბის და, უბრალოდ, მისი სიცოცხლე უხაროდათ. თუმცა, მათი ასეთნაირი გადაჭარბებულად ალტრუისტული შეფრფინვა ლარბისადმი, არსებითად, წარმოადგენდა გარემო პირობების იძულებით მორგებულ ნიღაბს, რომლითაც ისინი თავიანთ სანათესაოში უკიდურესად კასტურ ძალას და სიხარულს გამოხატავდნენ სისხლხორციეული სამომავლო შტოს გადარჩენის გამო. ცხადია, ეს ნიღაბი ვერ ფარავდა ვითარების ნამდვილ სახეს, რომელსაც თინათინი აშკარად იაზრებდა, ხოლო ლარბი ქვეშეცნეულად სწვდებოდა. ნიღბის გათამაშების წესებს დიდის მონდომებით და ოსტატობით იცავდნენ, მაგრამ, მაინც, უნებურად, ესა თუ ის ნათესავი, ხან ურჩად განზე გაშვეტილ ქოჩორში სწვდებოდა ლარბის, თავს შეუძაძგარებდა და წამოიძახებდა — ქოჩორიც რავა მამამისს მიუგავსო; ხანაც ორი თითით ცხვირზე მოქაჩავდა და რიხით იტყოდა — დიდი ლევანის ჭიშიანი ქართული ცხვირი ექნება ამ მამაცხონებულსო. ლარბიც რაღაც განსაკუთრებულად ეტანებოდა მათ სიახლოვეს, მათდამი რაღაც განსაკუთრებულ სიყვარულს ავლენდა. ერთთავად ეზოში გაკარდნაზე დაგეშილი; თუკი დავლიანთა მხრიდან რომელიმე ნათესავი შემოივლიდა თინათინთან ან საქმეზე, ან სამასლაათოდ — ლარბი ხან თვინიერი ბავშვივით იქვე დასკუპტებოდა და თვალდაჭყეტილი შესცქეროდა, ხან უკან დაუდგებოდა და ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა, ხანაც აწრიალდებოდა და ყირაზე გადადიოდა, რომ უფროსებს მეტისმეტად გაგრძელებული საუბარი შეეწყვიტათ და მისთვის მიექციათ ყურადღება. უკლებლივ ყველას სიხარულით ეტანებოდა, მაგრამ ყველაზე მეტად კი მერაბ ყიფიანის სტუმრობა უხაროდა.

მერაბ ყიფიანის სტუმრობას თინათინიც ყოველთვის სიხარულით ხვდებოდა. განა იმიტომ, რომ ის სხვა ნათესავებზე მეტად ახლობლობა და გაშინაურებული იყო დავლიანების ოჯახში. პირიქით, თინათინი მას ყველაზე იშვიათად, სულ რამდენჯერმე შეხვედრია ლევანის სიცოცხლეში: პირველად, როდესაც ხელი მოაწერეს და შინაურული პატარა ქორწილივით გადაიხადეს, იმ დღეებში მოილხინეს ერთად; ლევანის დაპატიმრებამდე კიდევ ერთი-ორჯერ შეხვდა; მერე, ელისაბედის დაკრძალვის დღეებში მოულოდნელად გამოჩნდა, იჭირისუფლა დეიდამისის გარდაცვალება და დასაფლავებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი თავის თავზე აიღო. მას შემდეგ რამდენიმე წელიწადი თუმცა აღარ გამოჩენილა, მაგრამ, ომის წლებში — როდესაც თინათინს უსასტიკესად უჭირდა — საიდანღაც, რომელიღაც სხვა ქალაქიდან თუ დაბიდან, თბილისში გამოვლით ჩამოსული ნაცნობ-მეგობრების ხელით, ხან ფულს და ხანაც ამანათს სანოვაგით უგზავნიდა. მერაბის ნაცნობ-მეგობრები ორ-სამ თვეში ერთხელ მოულოდნელად მოადგებოდნენ კარს, ზღურბლზევე გადასცემდნენ თინათინს ამანათს მერაბისგან ყოველგვარი ბარათის ან სიტყვიერი დანაბარების გარეშე, სასწრაფო საქმის მომიზეზებით შინ ფეხსაც არ შედგამდნენ და ისე გაქრებოდნენ, რომ თინა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თინის მიერ მერაბის ამბავის მოკითხვას კიბეზე დაშვებულები თუ ასძახებდნენ — თბილისში არაა! სად იქნება, ღმერთმა უწყის, მარა, ისე, არა უჭირს...

მერაბ ყიფიანის გახსენებაზე თინათინს გულში სითბო ჩაეღვარა, ნაღვლიანად გაიღიმა და გაიფიქრა: — ახლა მერაბი რომ ყოფილიყო აქ...

5.

## მცირე გადახრა მერაბ ყიფიანისაკენ

ლევანის დედის, ქალბატონ ელისაბედის უფროსი დის შვილი მერაბ ყიფიანი ერთადერთიღა შემორჩენილიყო ლარბის სისხლხორცეულ ბიძებს შორის. მაღალ-მაღალი, ცისფერთვალება, ტანასხეპილი და ერთთავად ისე მშვილდივით მოზიდული, თითქოს ეს-ესაა ქართულ ცეკვაში შესვლას აპირებსო, მუდამ სუფთად წვერგაპარსული და საგულდაგულოდ დაუთოებულ სამოსში გამოწკეპილი, ის სიჭარმაგეშიც ახალგაზრდული სიმხნით გამოიყურებოდა. ცხოვრებამ სად არ ათრია, რა წუმპეში არ გაატარა და რა ჭირი არ აგემა, მაგრამ მხრებში მაინც ვერ მოხარა და უკულმა დატრიალებულ ბედის ჩარხთან გუნებით შეხუმრებული იმერული აზნაურიშვილის ხან მოალერსე, ხან მოქილიკე და ხან თავაზიანად გამგებ-მიმტევებელი ღიმილი მის ნაზკანიან, მკრთალად ლაწვშეფაკლულ მოგრძო სახეზე ვერ წაშალა.

მეფე სოლომონ მეორის შვილიშვილის, ალექსანდრე ბაგრატიონის ქვრივის, სალომე წულუკიძის მონათლული, ზაფხულობით ყიფიანთა ოჯახში დღეობაზე სტუმრად წვეული აკაკი წერეთლის მუხლებზე ნათამაშები, სიყოჩაღისა და გონებამახვილობისთვის ყრმობაში ყველასგან მოწონებულ-ნაფერები, გულლაღი და ონავარი მერაბ ყიფიანი, ჭაბუკობაში ლამის უსახლკარო და უსახსრო დარჩა. მის მამას, ერმილე ყიფიანს, მთელი თავისი ფულადი ქონება ბრიუსელის საკრედიტო ბანკში ჩაედო, რომელსაც უნდა დაეფინანსებინა ძვირფასი ხე-ტყით მდიდარი კორთხის მთის ძირას, სოფელ როხის მახლობლად, გრეხილავეჯეულობის ქარხნის მშენებლობა და აჯამეთიდან შორაპნისკენ რკინიგზის ლიანდაგის გაყვანა. ამ სამომავლოდ „კაი საქმიდან" მოგებული ფულით საქველმოქმედო მოღვაწეობას და ვაჟიშვილებისთვის უმაღლესი განათლების მიცემას ბერლინის უნივერსიტეტში აპირებდა, მაგრამ რუსეთში ატეხილი რევოლუციების კორიანტელში ბელგიელებმა საქართველოდან მოჰკურცხლეს, საქმე ჩაიშალა და ბანკიც გაკოტრებულა. ბუნებით მხნე ერმილე ყიფიანს ამ მარცხმა გული არ გაუტეხა. ქართველმა კაცმა ბრიუსელის ბანაკში ფულის მოგება რომ განვიზრახე, მეტიც მომიხდებაო, — გაიხუმრა თავის თავზე და 1918 წელს, საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობის გამოცხადებით აღფრთოვანებულს, ამაზე ერთხელაც აღარ დაუწუწუნია. როდესაც 1918 წელს თბილისში უნივერსიტეტი დაარსდა, თავის შვილს, ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიის უკვე მეექვსე კლასის მოსწავლეს, ალტაცებით ახარა — აწი, ქართველ კაცს უმაღლესი განათლების მისაღებად საზღვარგარეთ გამგზავრება აღარ დასჭირდება, გაგიხარია, ქართულ უნივერსიტეტში მიგაბარებ შეგირდად სახელოვან ქართველ მეცნიერებსო. სულ მთლად ხელმოცარულიც არ დარჩენილა ერმილე ყიფიანი: ქუთაისშიც ჰქონდა ხუთოთახიანი ბინა და თერჯოლაშიც რამდენიმე ქცევა მიწა დარჩენოდა. ის მიწა მენშევიკების ხელისუფლების დროს გაჰყიდა და ალებული თანხა ჟურნალ „სხივის" დაარსება-გამოცემაში დააბანდა. ამ საქმეშიც არ გაუმართლა. 1921 წელს, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, ჟურნალი დაიხურა. მერე, როდესაც თერჯოლის რევკომმა სალომე წულუკიძის ნაშიერებს მათი სააგარაკო ადგილ-მამულიდან კუდით ქვა ისე ასროლინა, რომ სახლიც არ დაუტოვა, ერმილემ მის თავსაც დასა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტეხ მოვლენებს დაასწრო და თავისი სახლ-კარი იქით შესთავაზა ახლად დაარსებულ რაიონის ხელმძღვანელობას — აქ სკოლა გახსენით და ჩემს ოჯახს ქუთაისშიც გვეყოფა საცხოვრებელი ბინაო. მას შემდეგ, ყველა საქმეში ხელმოცარულს და ახლებურ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებებში თავგზაბნეულს, დიდხანს არ უცოცხლია. მერაბის დედა, ნინო ნიჟარაძე, ჯანმრთელობით ისედაც სუსტი და ცხოვრების გაჭირვებებთან ჭიდილის უნარს მოკლებული ქალი, ქმრის დარდს გადაჰყვა. მერაბს არაფერი დარჩა თითქმის ცარიელი სახლისა და იმ საკმაოდ დიდი ვალის გარდა, რომელიც ოჯახს ერთი მოხუცი ებრაელის, მოიშა იაკობაშვილის ემართა. მოიშა იაკობაშვილი ერმილე ყიფიანის ძველი ნაცნობი იყო, ერთმანეთში კეთილი ურთიერთობა ჰქონდათ. მისგან ფული, საკმაოდ დიდი თანხა, ჯერ ერმილე ყიფიანმა ისესხა რაღაც გაჭირვებიდან თავის დასახსნელად, მერე დედამ — ქმრის პატიოსნად დასაფლავებისათვის, მერე თვითონ მერაბმა — დედის დასაფლავების დღეებში. დედა რომ დაასაფლავა, ოჯახის ვალის გასასტუმრებლად სახლის გაყიდვა და, შემდეგ თბილისში წასვლა გადაწყვიტა; დიდ ქალაქში მეტი საძრავია და, ან უნივერსიტეტში შევალ სასწავლებლად, ან რაიმე ხეირიან საქმეს დავადგებიო. ასეც მოიქცა: სახლი გაყიდა, კეთილ ებრაელს მადლობით გადაუხადა ვალი და, ხელზე დარჩენილი ფულით თბილისს გაემგზავრა.

თბილისში ჩასულმა, სვანეთის უბანში, ერთი პატარა ოთახი იაფად იქირავა და, სანამ სამომავლო გზას თავისთვის გაიაზრებდა და გაირკვევდა, ქალაქში მიდგა-მოდგა, აქ მცხოვრები ნათესავები მოინახულა, აქეთ-იქით მიმოიხედა; ერთი-ორჯერ თეატრებშიც შეიარა, წარმოდგენებს დაესწრო. ყრმობიდან უყვარდა სხვადასხვა სახის სანახაობა. თეატრალურმა ხელოვნებამ ჯერ კიდევ ქუთაისში გაიტაცა, როდესაც ლადო მესხიშვილი იხილა კაი გრაკხის როლში. და ერთ დღეს, როდესაც გაიგო, რომ რუსთაველის თეატრთან სამსახიობო სტუდია იხსნებოდა, იქ მიბარება და მსახიობობა გადაწყვიტა.

წარმოსადეგი გარეგნობის, მუსიკალური და კარგი ხმის მქონე ახალგაზრდა კაცი უყოყმანოდ მიიღეს სტუდიაში. სტუდიელობის დროსაც გამოჰყავდათ დიდ სცენაზე სამასო ეპიზოდებში და, როცა დასში ჩაირიცხა, პატარ-პატარა როლების შესრულებაც მიანდეს. ეამა კულისების მტვერი, მოეწონა სცენაზე თამაში, დიდ როლებზეც დაიწყო ოცნება; ბევრ თანატოლ თუ უფროს მსახიობსა და რეჟისორს დაუმეგობრდა; კაი ხმის პატრონს „ოსტატები“ თან გაიყოლებდნენ ხოლმე ხან ბანკეტებზე, ხან ფულიან თეატრალთა სამადლო პურ-მარილებზე და იმერულ სიმღერებში ჯერ კიდევ ქუთაისიდან საკმაოდ გათვითცნობიერებულ მერაბს, კახური მრავალჟამიერებითაც წვრთნიდნენ. იმ ხნის მანძილზე, კინოსტუდიაშიც მიიწვიეს, მაგრამ იქ, მისთვის თავიდან გამიზნული როლები სხვებს გადაულოცეს და მხოლოდ სამასო ეპიზოდებში მონაწილეობა შესთავაზეს. „კაი ბიჭს“ მობოდიშებით ეუბნებოდნენ მასთან კეთილ-ნაცნობობაში მყოფი რეჟისორები — ფაქტურით კი თანხვდები მხატვრულ სახეს, მაგრამ შინაგანად ვერ ავსებ და განცდათა მკვეთრი გადასვლების უნარი ჯერ ვერ გაქვს გამომუშავებულიო. მართლაც, ყველა სცენურ სახეში ის მუდამ მერაბ ყიფიანად რჩებოდა და თავისი პირადობიდან ითვისებდა სრულიად განსხვავებული ხასიათის როლებსაც, რაც, ხშირად, შეუსაბამო ხდებოდა როლისთვისაც და მთლიანად სპექტაკლისთვისაც. თვითონაც ამჩნევდა ამას, მაგრამ — რა ექნა, სტუდიამ, სადაც, ოციანი წლების თეატრალური კოლიზიების და სხვადასხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ალრეულობის გამო, მეცადინეობა მხოლოდ პერიოდულად, კანტიკუნტად ტარდებოდა, სამსახიობო ხელოვნების საჭირო ცოდნა ვერ მისცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერაბს. მერეც, დასში ჩარიცხულს, წვრთნა სჭირდებოდა და, მაშინ, ეგებ, ხეირიანი მსახიობიც დამდგარიყო; მაგრამ იმ დროს ქართულ თეატრში ტალანტების ცვენა იყო და საეჭვო თუ გამოუვლენელი შესაძლებლობების მსახიობებთან თავის სატეხად არ ეცალათ რეჟისორებს, — ისინი „რჩეულთა" პრეტენზიებს და როლებით მათ დაპურებას ძლივს აუდიოდნენ.

ყველაზე მეტად, მაინც, თეატრის ეკონომიური სიბეჩავე და განსაკუთრებით კი მისი რანგის მსახიობთა უსახსრობა აწუხებდა. ქუთაისიდან მოყოლილი ფული მალე შემოელია და გამუდმებით ნახევრად მშიერ კუჭზე ხეტიალმა კინაღამ დააჭლექა. ლუკმაპურის ფულის საშოვრად საბილიარდოში დაიწყო სიარული. აი, ბილიარდს კი, იმ წლებში, მართლაც ოსტატურად დაეუფლა. თავისუფალ დროს, — ასეთი დრო კი, წარმოდგენებშიც და რეპეტიციებზეც ნაკლებად დაკავებულს, საკმაო ჰქონდა, — თეატრის მოპირდაპირე მხარეს, საბილიარდოში ატარებდა: ბილიარდის ტუზებთან, მშიერი არტისტის უფლებებით შეხუმრებულშეამხანაგებული, რთულ დარტყმებს ამუშავებდა და რუდუნებით ითვისებდა პროფესიული თამაშის ყველა ხერხს. ზოგჯერაც იმდენს იგებდა საბილიარდოში გასართობად შემოსულ მოხალისეებთან, რომ თეატრის მსახიობებს ვახშამზე პატიჟებდა რუსთაველის თეატრის სარდაფში მდებარე რესტორან „ქიმერიონში". ლაზათიანად დანაყრებული და ბახუსმოკიდებული მსახიობები სიყვარულით გაეხუმრებოდნენ — ჩვენ რომ შენნაირი ბილიარდის თამაში შეგვეძლოს, რომელი ოხერი გავეკარებოდით სცენასო. მერაბიც თამამად მიუგებდა: ბილიარდის თამაში სცენაზე ტინგიცობა არ გეგონოთ, სერიოზული ხალხის საქმეაო; და მერე, ლამაზი ტენორით, „პიკის ქალიდან" გერმანის არიას დასჭექავდა — „Что наша жизнь? Игра!.."

ერთი მხრივ, მეგობრებმა მოიარებით მიანიშნეს, რომ არ ფლობდა ნამდვილი მსახიობისთვის საჭირო უნარს. მეორე მხრივ, თვითონაც გამოუტყდა თავს, რომ მელპომენას ამ ტაძარში საკუთარი სიცოცხლის მსხვერპლშესაწირად გული მაინცდამაინც არ მიუწევდა. ბოლოს, როგორც იქნა, გადასძალა თეატრის სიყვარულიც, უკვე ჩვეული სათეატრო ურთიერთობებიდან განდგომის ტკივილიც, — მსახიობობას შეეშვა და, უეცრად, თბილისიდან გადაიკარგა. ჯერ ისევ ქუთაისს დაუბრუნდა; მერე ბათუმში დასახლდა თითქმის მთელი წლით, სადაც ისევ თეატრს დაუკავშირდა, ოღონდ, ამჯერად, მსახიობთა დასის გამგის მოვალეობით. მოიარა ფოთი, სოხუმი, ოზურგეთი, ზუგდიდი და მრავალი სხვა დაბა თუ ქალაქი. იმ ხნის მანძილზე, ბილიარდის კვალად, ბანქოში და ნარდშიც ფრიად დაოსტატდა, ყომარშიც გაიწვრთნა ხელი და, თან, სწავლით დიდად რომ არც შეუწუხებია თავი, ქრთამითა თუ ძღვენით, კულტურის ტექნიკუმის დიპლომი ჩაიჯიბა.

თბილისს საბოლოოდ და მკვიდრად, მხოლოდ ომის დამთავრების შემდეგ დაუბრუნდა. იმავ სვანეთის უბანში, პატარა მრგვალი ბაღის პირას მდგარ სამსართულიან სახლში ოროთახიანი ბინა იყიდა და იმაზე შეუდგა ზრუნვას, სამომავლოდ რა საქმეს წეოდა. ცხოვრება ლაგდებოდა, პირი მშვიდობისაკენ ექნა და მერაბ ყიფიანიც იმ გადაწყვეტილებით ჩამოვიდა თბილისში, რომ ყველა ჯურის ყომარბაზებს, ყველანაირ დიდ თამაშს ჩამოშორებული, რაიმე რიგიან სამსახურში ჩამდგარიყო და, ოჯახიშვილის კვალობაზე, პატიოსან საზოგადოებრივ ცხოვრებაში გარეულიყო. თეატრის სტუდია დამთავრებულს და კულტურის ტექნიკუმის დიპლომის მქონეს, ცხადია, კულტურის რომელიმე სფეროსკენ უნდა ექნა პირი. თავიდანვე მოინახულა რუსთაველის თეატრიდან ძველი მეგობრები, რომელთა უმეტესობას, იმ ხნის განმავლობაში, სახელიც გაეთქვა, გავლენიანი თანამდებობები და სა-



საქართველოს

ზოგადოებრივი მდგომარეობაც მოეპოვებინათ. მათი დახმარებით, მალე, სახელმწიფო ცირკის ადმინისტრატორად მოეწყო.

ცირკში ადმინისტრატორად მუშაობის დაწყებისთანავე, მერაბ ყიფიანი დიდი მონდომებით ჩაება საქმეში. თავის მოვალეობას და მანამდე მისთვის უცნობ ვითარებებს ცირკის ცხოვრებისა სულ მოკლე ხანში აუღო ალღო; დირექტორსაც ორიოდ დღეში ისე დაუახლოვდა, რომ ის ცირკის გარეთაც ველარ ძლებდა უმისოდ. საქმეში ისეთი მარიფათი და დაინტერესება გამოავლინა მერაბმა, რომ დაწინაურება არ დაუგვიანეს და დირექტორის მოადგილედ დანიშნეს.

მერაბ ყიფიანი თითქმის სავსებით კმაყოფილი იყო თავისი ყოფით. ადრე სჩვეოდა — მარტოდ დარჩენილს, დროდადრო ნაღველი შეიპყრობდა. სინანულით იხსენებდა ბავშვობის ნათელის განქრობას, მშობლებს, ულვთოდ დაღუპულ ნათესავებს, უაზროდ ესახებოდა ხოლმე თავისი სიცოცხლეც და, საერთოდ, ყველანაირი ცხოვრებისეული ვნება, სწრაფვა თუ ზრახვა. აქ კი, ცირკის ცხოვრება მელანქოლიის პერიოდული შემოტევებისგან გამუდმებით თიშავდა. სასეირო ატრაქციონები რაღაცით ესაბამებოდა კიდეც ცხოვრებასთან შეხუმრებული დამოკიდებულების დამყარებისკენ მის მიდრეკილებას. მასხარა, მწვრთვნელი, ტყუილი, რისკი, ღონე, ყიჟინა, ილუზია და სხვა საცირკო მრავალფერი სანახაობა — ხუმრობის ნირით ასახულ ცხოვრებას ჰგავდა და მერაბიც დიდი ხალისით მსახურებდა ასეთ ცხოვრებას. აქ ყველა ტკივილს ივიწყებდა. ხანდახან ჩაუვლიდა სხვადასხვა ზომის გალიებს საგასტროლო ატრაქციონებზე ახლად ჩამოყვანილი ცხოველებით და უცხო არსების გამოჩენაზე აღრენილ ლომს ქილიკით ჩასჩურჩულებდა: „რაო, ბატონო, ჯერაც გაწუხებს რკინის გალია? ახლა, ჩვენც გვკითხეთ, რავარია? არ გაგიგია ახალი სხარტულა — ეს გალია, ვინ გალია... სამაგიეროდ, არენაზე გახვალ და — რა ტაში, რა ტუში?! მე კი მაგასაც ვერ ველირსე! ხოდა, ხედავ, რამხელა მათრახი ჰკიდია? ამ შუბსაც ხედავ, კუთხეში როა მიყუდებული? ეს კი იმას ნიშნავს, გინდა თუ არა, უნდა იყუჩო და შენი ბოლმაც, აი, დესერტად მორთმეული ძვლების ღრღნით უნდა განიქარვო. მეც, ასე, რაიმე გემრიელს შევექცევი ხოლმე გამწარებულ გულზე. აბა, რა გეგონა?“.

სახელმწიფო ცირკის დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე სერიოზულ სამსახურში ჩამდგარი, მხოლოდ ხელოვანთა წრეში, მათთან მოლხენის ეშხით და ახლობლობის შენარჩუნება-გაღრმავების სურვილით თუ გააგორებდა ნარდის კამათელს და ლამბერის მაგიდას მიუჯდებოდა პოკერის სათამაშოდ. თუკი ზომაზე მეტს მოიგებდა, თათარიახნად მათთანვე პურ-მარილზე დახარჯავდა მოგებულ ფულს. იმათ რიგიანად არც იცოდნენ მისი წარსულის ამბავი და, ზოგჯერ, იქით ასწავლიდნენ, როგორ ეთამაშა. საქმეშიც და ქცევაშიც ვერას ატყობდნენ რაიმე საეჭვოს ან საჩოთიროს და აქაიქ გახმაურებულ მითქმა-მოთქმას ავყია ხალხის დაყრილ ჭორებად მიიჩნევდნენ. სინამდვილეშიც, მერაბ ყიფიანის არათუ სულსა და გულს, იერსაც არ დამჩნევია წარსულში ცხოვრების ფსკერზე ნათრევის რაიმე ნიშანი და — ჭორებიც სულ მალე ჩაცხრა. პირწავარდნილ ყომარბაზთა წრეშიც გატარებული წლების მიუხედავად, თავისი არსებით იგი არც არასდროს გამხდარა ნამდვილი მოთამაშე, რადგან, კეთილშობილ ოჯახიშვილსა და ბუნებითაც სიყვარულისკენ მიდრეკილს, ვერასგზით ვერ შეესისხლხორცებინა პროფესიონალი მოთამაშისთვის აუცილებელი სისასტიკე და ცინიზმი. მას ყოველთვის იმაზე მეტად ებრალებოდა ადამიანი, ვიდრე ეს პროფესიულ მოთამაშეს მოეთხოვება. ასეთი „გულჩვილი“ დიდ თამაშში ყოველთვის იძირება და, თუ მერაბ ყიფიანი ჩაძირვას გადაურჩა, მხოლოდ ბედს უნდა და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მადლოდა. ბედმა აქ მაინც გაუღიმა და ფსკერიდან არა მარტო სუფთად, არამედ საკმაოდ დიდი მოგებითაც გამოიყვანა. ღრმად რომ ჩაჰკვირვებოდა, მისი ახალგაზრდობის წლების გამამრუდებელი, ფსკერისკენ მიმმართველი თუ ცხოვრების გზა-კვალის ამრევი ბედისთვის არც ეთქმოდა აუგი, რადგან სწორედ ფსკერზე ყოფნამ და სხვადასხვა დაბასა თუ ქალაქში უთავბოლოდ და მოულოდნელად გადასვლებმა გადაარჩინა საბედისწერო ხიფათს: შინსახკომის ფხიზლად დადარაჯებული თვალთახედვიდან ბნელში გამსხლტარი და ყოველგვარი საზოგადოებრივ-პოლიტიკური კოლიზიებისგან დაშორებული რჩებოდა, რის გამო მხოლოდ დაგვიანებით შეიტყობდა ხოლმე ამა თუ იმ ნათესავის „აყვანას", დახვრეტას, გადასახლებას...

ახლა, დალაგებული ადამიანური ცხოვრებით მცხოვრებს და ყოველგვარი ხიფათისგან დაზღვეულს, წარსულში ფსკერზე დაკარგული ახალგაზრდობის წლები და ლუტად შთენილი კაცის უპატრონო სიბერე სრულიადაც არ აწუხებდა. ცხოვრებამაც და ხასიათმაც ახალგაზრდობაში ერთ ადგილზე არ დააყენა, რომ დაცოლშვილებულიყო; შუა ხანს გადაცილებული კი ისე შეეჩვია მარტოხელა კაცის მდგომარეობას და საკუთარ ჭკუაზე სიარულს, რომ „ლაბა-ხარებზე" (ასე ეძახდა ხოლმე ოჯახის უღელში ღონივრად ჩაბმულ კაცებს) ბედნიერად გრძნობდა თავს. მოვლით — მეზობლად მცხოვრები მოხუცი ქალი ულაგებდა ოთახს, სარეცხს ურეცხავდა და შარვალ-პერანგს უუთოვებდა იმ გასამრჯელოს ფასად, რაც თვითონ დაუთქვა; საჭმელს, უპირატესად, გარეთ ჭამდა და, საჭიროების შემთხვევაში, შინ თუ შერჩებოდა, თვითონაც მშვენივრად მოიმზადებდა. ქალს კი, სალაღობოდ და სასიყვარულოდ, თბილისში რა გამოლევდა — გინდ მკვიდრსა და გინდ საგასტროლოდ ჩამობრძანებულს. გულს მხოლოდ ერთი, მხოლოდ ის უწურავდა მერაბ ყიფიანს, რომ ყველა უძვირფასესი ნათესავის დაკარგვას დაგვიანებულ მოწმესავით შეესწრო და ზოგჯერ თითქოს ერცხვინებოდა, თვითონ ცოცხალი რომ დარჩა.

ოციან-ოცდაათიანი წლების რეპრესიებმა და, შემდეგ ომმაც, მის სისხლხორცეულ ნათესავთაგან ყველა მოაშთო. ერთადერთი ლარბიღა შერჩენოდა და ისიც — დავლიანთა გვარიდან. სულ რაღაც ორმა ათეულმა წელმა თითქოს მეხი დასცაო საუკუნეთა ქარცეცხლში გამოტარებულ, მუხასავით გამძლე მის სისხლხორცეულ ნათესაობას და ლარბი ობოლი ყლორტივით ეგულებოდა მუხის გამოფულუროებულ ტანზე. მერაბი მასზე ჯერ კიდევ თბილისში ჩამოსვლამდე ფიქრობდა და თბილისში მისი დამკვიდრების ერთ-ერთი მთავარი მიზეზიც ლარბიზე ამაგის გაწევა, მისი თვალყურის დევნება და, შეძლებისდაგვარად, ყველანაირი ხიფათისგან მისი დაცვის სურვილი იყო. როდესაც უკანასკნელად შეხვდა ლევან დავლიანს, გორის სამხედრო ბანაკთან დანიშნულ პაემანზე — დეიდაშვილმა ერთადერთი ეს დაუბარა და დააფიცა: მე რომ რამე მომივიდეს, ჩემს ლარბის ყურადღება არ დააკლოო. ლევანის უბედურება რომ შეიტყო, ლამის ხორცი ამოიგლიჯა, ისე იკბინა მაჯაზე და პირველი, რაც გაახსენდა, ლევანის დანაბარები იყო. მას შემდეგ მერაბს თავისი დაპირება ერთი დღითაც არ დავიწყებია.

თბილისში ჩასულმა, როცა შეიტყო, რომ მისი რძალი, უსაყვარლესი დეიდაშვილის ქვრივი, ლარბის დედა, თინათინი, ხელმეორედ გათხოვილიყო — ბოლმით შეუკურთხა მურდალი ცხოვრების განმგებს, რომელმაც ლევან დავლიანი ასე უღვთოდ და უდროოდ მოცელა. უცებ, ყველაფერი შეზარდა. ერთი პირობა თბილისიდან წასვლაც გადაწყვიტა — თბილისში ვიყო და დავლიანებისას არ მივიდე, ლარბი არ ვნახო, რანაირად იქნებაო. არადა, რა ექნა, დაბოლმილი გულით როგორ სწვეოდა იმ სახლს, — როგორ შეგუებოდა, რომ დავლიანთა სახლის ჭერ-

ქვეშ სხვა თავკაცობდა. მეორე მხრივ, რომ არ მისულიყო და ლარბი არ ენახა — ენახა კი არა, რომ არ შეეტკბო ძლივს შემორჩენილი სისხლხორცეული შთამომავალი, რანაირად იცხოვრებდა იმავ ქალაქში, მის მახლობლად. მართალია, თინათინის გაჭირვებაც უამბეს, ალმასხან წეროძეზეც რაიმე განსაკუთრებული აუგი არავის წამოსცდენია; ისიც აცნობეს, ლარბის მოვლა და ყურადღება არ აკლიაო; მაგრამ ყველაფერი ეს იმ მთავარ ვითარებას ხომ ვერ ცვლიდა, რომ დავლიანთა ოჯახს სხვა დაპატრონებოდა და უძლევებოდა.

მერე, თანდათან, ბოლმა ჩაიცხრო; უფრო ფხიზლად და წინდახედულად დაიწყო ფიქრი იმაზე, რომ ლევანის დანაბარების ასრულება და, თავის მხრივაც, სისხლხორცეული შტოს შთამომავალთან სიახლოვე თუ სურდა — თუ სურდა სამუდამოდ არ დაეკარგა ლარბი და, ლარბისთან ერთად, თინათინიც, ვისთანაც ლევანის ხსოვნაც და სახებაც, ლევანისგან განდგომის მიუხედავად, უმჭიდროესად იყო დაკავშირებული — ყველაფერი ისე უნდა მიელო, როგორადაც ცხოვრებამ განაგო და დაალაგა. ამ ცხოვრებაში, უპირატესად სიკვდილის, შიშის და შიმშილის ნიშნით რომ ზარავდა ხალხს და სადაც თითოეული ადამიანი რამენაირად გაძლებაზე და გადარჩენაზე იყო გადაგებული — ცალკეულ და კერძო შემთხვევებში ამა თუ იმ ყოფაცხოვრებითი ადათ-წესების მკაცრად დაცვაც და ამის მოთხოვნაც, არა მარტო წვრილმან და უსამართლო ჩხირკედელაობად, კუდაბზიკურ მეტიჩრობადაც გამოჩნდებოდა. თინათინისგან რომ ითხოვ ამდენს, შენი დაგავიწყდა? იმან თუ ვერ გაუძლო გაჭირვებას და ხ ფათს, შენ კი გაუძელი? ხომ გაექეცი და ფსკერს შეაფარე თავი. ისიც გაჭირვებას გაექცა, შიშს გაექცა და იმ კაცის ღონიერ ფრთას შეაფარა თავი. შენ რა იცი, იმის გულში რა ტრიალებდა, შორიდან რომ სჯი და ემდურები. ვითომ რა, ლევანი შენზე ნაკლებად უყვარდა ან ლარბიზე შენზე ნაკლებად ზრუნავს? მერე კიდევ, ისიც ადამიანია, ახალგაზრდა, ლამაზი, ჭკვიანი — იმას, რა, სიცოცხლე და სიყვარული აღარ უნდოდა? მიცვალებულთა ხსოვნაში ჩაემარხა სული და გული? არც მარტო საკუთარი თავისთვის და არც მარტო სიყვარულისთვის გათხოვდებოდა იმ კაცზე — ლარბიზეც იფიქრებდა და ისე იზამდა მაგას და, თანაც, იმდენს იფიქრებდა, შენ რომ ვერ იფიქრებ. ხოდა, ასჯერ გაზომე და ისე გადასჭერი საქმე", — შეუძახა რამდენჯერმე საკუთარ თავს და შეეცადა, შექმნილი ვითარება მისი საუკეთესო, მომგებიანი მხრიდანაც შეეფასებინა. პირველ ყოვლისა, შეეცადა, დავლიანთა ნაოჯახარის მესვეურად მყოფი ალმასხან წეროძის სახელს, იმ სახლში ლევანის მაგიერ მის არსებობას შეჩვეოდა.

ალმასხან წეროძე, სახელოვან მეცნიერად ცნობილი და ინსტიტუტის დირექტორი, როგორც მერაბს დაუხასიათეს, პატიოსანი და მეტისმეტადაც სერიოზული, მთავრობაში დაფასებული კაცი, თუკი რეპრესირებულის ცოლშვილის გათავისებას და მათ მფარველობას არ მოერიდა, თუკი დავლიანთა ბინაში დასახლდა და იქ სიკვდილის ფერფლი მოაშორა ოჯახური ცხოვრების შერჩენილ ლადარს — ამაში რა იყო გულსატკენი, საჩოთირო და, მით უმეტეს, დასაძრახი. იმისთვის ხომ არ შეურთავს თინათინი ცოლად და იმისთვის ხომ არ დასახლებულა იქ, რომ, თუ მოინდომებდა, ბინას ვერ იშოვიდა. სიყვარულით დასახლდებოდა, ლარბიზე ამაგის და ზრუნვის პასუხისმგებლობითაც დასახლდებოდა... გაიზრდება ლარბი, დაცოლშვილდება და დავლიანთა ნაფუძვარზე კვლავაც დავლიანთა ჯილაგს გაამძლავრებს.

ასეთი და ამის მსგავსი ფიქრებით, მერაბ ყიფიანი თანდათან საკუთარ ნებაზე მართავდა და აწესრიგებდა გუნება-განწყობილებას ლარბისთან და, რაც მთავარია, თინათინთან და ალმასხან წეროძესთან შესახვედრად; და რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დესაც იგრძნო, რომ აღარავითარი საორჭოფო, არავითარი იჭვნეული გრძნობა აღარ ბოჭავდა მათდამი. თავისი სახლიდან ქუჩებს ფეხით დაუყვა ვერის ხიდისკენ; ხიდთან არ მისული, კარგად ნაცნობი სახლის წინ შედგა. უცებ გულში სიხარული შემოენთო, რომ ლარბის და თინათინს ნახავდა და, სადარბაზოში ჩქარი ნაბიჯით შევიდა.

თინათინმა კარი გაუღო თუ არა, მაშინვე იცნო. „მერაბ, შენა?!“ — შესძახა, ყელზე შემოეჭდო, სახე დაუკოცნა, თვალებში ცრემლიც აუკიაფდა. „რად არ სჩანდი ამდენ ხანს? რა არ ვიფიქრე. მადლობა ღმერთს, ცოცხალი ყოფილხარ, მერაბ, ძვირფასო, საყვარელო, შემოდი, ჩქარა... ალმასხან, ნახე, ვინ გვესტუმრა“, — შეუჩერებლად ალაპარაკდა თინათინი, ალერსით ათვალიერებდა მერაბს და მის მკლავზე შემოჭდობილს შეჰყავდა იგი სასტუმრო ოთახში. ალმასხან წეროძე თუმცა დინჯად, მაგრამ ისეთი დაინტერესებით გამოვიდა თავისი სამუშაო ოთახიდან და ისეთი თავაზითა და გულითადობით გაეცნო მერაბს, რომ მერაბი მიხვდა — თინათინს ადრე სიკეთით უხსენებია მისი სახელი. პატარა ლარბიც სასწრაფოდ ამოიყვანეს ეზოდან. ბიძამისის გამოჩენა ახარეს და კიდეც განუმარტეს: ელო-ბებო ხომ გახსოვს, ხოდა, ეს ბიძია შენი საყვარელი ელო-ბებოს დის შვილია. შენი ნამდვილი ბიძაა. მერაბს იმან კი დასწყვიტა გული, რომ ლევანის კი არა, ბებიამისის მხრიდან განუმარტეს ლარბის, თუ რანაირ ბიძად ეკუთვნოდა; მაგრამ მაშინვე გაამართლა ეს ვითარება: ბავშვს ელისაბედი უფრო ახსოვს და მისი მხრიდან ამიტომაც აუხსნეს ჩემი ბიძობაო. მანამდე ისიც ეკალივით დაესო გულზე, რომ ალმასხან წეროძე, გაზეთით ხელში, ლევანის სამუშაო ოთახიდან გამოვიდა. „საბრალო დეიდა ელისაბედი, კიდევ კარგი, ამ დღეს არ მოესწრო, თუმცა, რომ ეცოცხლა, ასეთი დღე არ დაუდგებოდა, რადგან... მეტი არაა ჩემი მტერი, ელისაბედის სიცოცხლეში აქ ვინმე უცხო გაჭაჭანებულიყო“, — ესლა გაიფიქრა და მაშინვე მკაცრად ჩაიხშო ძველ ტკივილთა უნებურად აღმძვრელი სულთქმა.

— აი, მე შენ რა მოგიტანე, — უთხრა მერაბმა ლარბის, რომელიც მის წინ კუშტად იდგა და წარბებს ქვემოდან ათვალიერებდა აქამდე უცნობ, უნახავ ბიძას. მერაბმა ზურგს უკან დამალული ჯერ ერთი ხელი გამოიტანა და ტყავის ბურთი ზედ ცხვირწინ აუგდო. ტყავის ბურთი, ომის შემდგომ წლებში, როდესაც ბავშვები წინდაში ჩატენილი ნაჭრებით გაკეთებულ დაბრეცილ ბურთს აგორებდნენ ეზოებში, დიდი იშვიათობა და ბიჭისთვის ყველაზე სასურველი საჩუქარი იყო. ლარბის კი წარბიც არ შერხევია, იატაკზე ახტუნავებულ-გაგორებულ ტყავის ბურთისთვის თვალიც არ გაუდევნებია, — იდგა და მერაბს მიჩერებოდა. მერაბმა ახლა მეორე ხელიც გამოიტანა ზურგს უკნიდან და ლამაზყდიანი წიგნი და თასმით ზედ მიკრული ფერადფანქრებიანი კოლოფი გაუწოდა. როდესაც ლარბიმ ეს საჩუქარიც არ შეიმჩნია და არც ჩამოართვა, მერაბმა, უცებ, მის წინაშე ჩაიმუხლა და მსახიობურად წარმოთქვა:

— ეს ძღვენი წრფელის გულით და სიყვარულით მომირთმევია, დიდო სარდალო! და თუ ინებებ, მცნო ბიძაშენად და მომესალმო, აჰა, ეს ხელი! ან მომკვეთე და, ან ჩამომართვი!

ლარბის თვალები გაუბრწყინდა, გაიბადრა, მისკენ გაწვდილ მარჯვენას თავისი პატარა ტორი მთელი ღონით დაკრა და მერე, მერაბის საალერსოდ გაწვდილ მკლავებსაც თამამა სიჯიუტით მიენდო.

ამ პირველმა შეხვედრამ, ლარბისთან და თინათინთან ნათესაობა-ახლობლობის ყველა წინასწარი სურვილი გაუმართლა მერაბს და, მომავალში, ალმასხან წეროძესთანაც დამოყვრების იმედიც ჩაუსახა. ლარბისთან და თინათინთან ნათესაური კავშირი თავისთავად მოითხოვდა კიდეც მერაბსა და ალმასხანს შორის დამოყვრებას და ურთიერთ გაშინაურებას. სანამ მათთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მივიდოდა და ალმასხანს შეხვდებოდა, მანამდეც ასე სამოყვრო ურთიერთობის დასამყარებლად განეწყო ალმასხანისადმი და ალმასხანიც. პირველი გაცნობის კვალობაზე, ფრიად გულთბილადაც შეეგება. მერაბმა თავიდანვე კი იგრძნო, რომ ალმასხან წეროძე სრულიად საპირისპირო ბუნების, მრწამსის და ხასიათის პიროვნება იყო, მაგრამ — საპირისპიროც ბევრი შეხვედრია და ბევრიც მოულბია მერაბს. ორი ერთნაირი ფოთოლიც არაა ბუნებაში და მაინც ერთ ტოტზე, გვერდიგვერდ, შეხმატკბილებულად შრიალებენო, გაიფიქრა მერაბმა და გადაწყვიტა, მეტის სითბოთი, საკუთარი ხასიათის უკიდურესი გაუსახურებით მიმართულიყო ალმასხანისადმი. ორიოდე შეხვედრის შემდეგ, მერაბმა ის-ის იყო მკერდში ჩასახუტებლად მოიხელთა ალმასხანი, რომ, უეცრად, სრულიად მოულოდნელად, ერთ საღამოს, მათ შორის წყალქვეშა ცივ დინებასავით გაილვარა უცხოობა. ეს იმ შინაურულ ვახშამზე მოხდა, რომელზეც თინათინმა, მერაბთან ერთად, მიიპატიჟა ლარბის პაპის, დიდი ლევანის ორი ბიძაშვილი — ორი ღრმად მოხუცებული მანდილოსანი, რომლებსაც თინათინთან, ალმასხანზე მისი გათხოვების შემდეგაც, ახლობლური კავშირი არ გაეწყვიტათ. ეს ვახშამი თინათინმა საგანგებოდ მერაბისთვის გამართა, რათა თავისი მშობლებისა და ალმასხანის შინაბერა დის წინაშე იგი ახლობელ ნათესავად წარედგინა და, ამასთანავე, ისიც ეგრძნობინებინა მერაბისთვის, რომ ლარბის ნათესავებისთვის მისი ოჯახის კარი მუდამ ღია იყო. ვახშამი მშვენივრად, სიტკბო-ალერსით და მხიარულადაც დაიწყო და, საერთოდ, მერაბსა და ალმასხანს შორის არც ერთი საპირისპირო სიტყვა არ თქმულა, არცერთნაირი იოტისოდენაც საწყენი ნაბიჯი არ გადადგმულა; და მაინც, იმ დროისა და ვითარების გარკვეულ მონაკვეთში, მერაბ ყიფიანმა თითქოს მთელი სხეულის კანზე განფენილი მგრძნობიარე უჯრედებით აღიქვა ალმასხან წეროძის მხრიდან უეცარი დაძაბულობის, უხერხულობის, დაეჭვებისა და ფხიზელი დაყურადების მაუწყებელი უხილავი ცივი ტალღების შემოხლა. ეს ის უხილავი ტალღები იყო, განსხვავებული პიროვნული წყობის ადამიანებს შორის რომ აზავთდებიან ხოლმე ისეთ პირობებში, როდესაც თითოეულის კუთვნილი ფსიქოფიზიკური ველების დასაახლოებლად დასაშვებ მანძილს მეტისმეტად ამოკლებს. სწორედ ასეთი ვითარება შექმნა ალმასხანსა და მერაბს შორის იმ პირველ შეხვედრაზე. ცხადია, შეიძლებოდა დამოყვრების განხორციელება ფორმალურ დონეზეც; მათ კი, ძალიან კეთილ, მაგრამ ძალზე ნაუცბადევ სურვილს აყოლილებმა, მოინდომეს დახლოება სრული უშუალობით, ურთიერთ განმსჭვალვით, ერთიანი მრწამსის გაზიარებითაც. ასეთი მგრძნობიარე გულწრფელობა და სურვილი რომ არა, ეგებ, ერთმანეთისგან გამრიყავი ის ტალღებიც არ აძრულიყო.

ორი ათეული წლის მანძილზე სხვადასხვა ჯურის ადამიანებთან და თვით უკიდურესად შენიღბულ ტიპებთან ცხოვრებაგამოვლილ მერაბ ყიფიანს, მის გარშემო ასეთნაირადვე დაფარული ვნებების ტალღათა ბობოქრობა არაერთგზის განუცდია. მაგრამ წინათ — სულ სხვა იყო. წინათ ხელოვნურადაც იწვევდა ახლადგაცნობილ ამფსონთა წრეში ამგვარივე ტალღების ამოქმედებას, რათა, ამა თუ იმ სარისკო საქმეში გარეულს, უკეთ შეეცნო მათი ნამდვილი სახებაც და ფარული ზრახვებიც. ახლა კი, სამოყვრო-სანათესაოში მყოფს და ალმასხანისადმი სამეგობროდ განწყობილს, ნაღველი შემოაწვა; მაშინვე შეეცადა, თავისი სულის სილბოში შთაენთქა სულ უფრო გამძლავრებული ტალღების შემოხლა, რომ თავისი მხრიდან არავითარ უკუფენას არ ჰქონოდა ადგილი. ის კი ვერ გაითვალისწინა, რომ ნებით სულის გალბილება, ზოგჯერ უფრო ამწვავებს საპირისპირო ძალებს, ვიდრე გაჯიქება და ჯიბრში ჩადგომა — ზუს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტად ისევე, როგორც მიტევება სამაგიეროს გადახდაზე უფრო მტკივნეულად ასატანი ხდება ხოლმე მოპაექრისათვის. თანაც, ალმასხანის ბუნებისა და ხასიათის წვდომა სრულიადაც არ სჭირდებოდა მერაბ ყიფიანს. ალმასხანი მისთვის ისედაც ღია კარტივით იყო.

სხვადასხვა ქალაქებსა და დაბებში, სხვადასხვა დონეზე და სხვადასხვა საქმეში, მერაბ ყიფიანი შეხვედრია ხოლმე ასეთ, ყოფით და სამსახურეობრივ ცხოვრებაშიც მკაცრი წესრიგის მოყვარულ, ყოველგვარი ავანტიურისგან განრიდებულ — გარეგნულად თითქოს ძალიან რთულ და შეუვალ, შინაგანად კი საკმაოდ მარტივ და გულუბრყვილო ტიპებსაც, რომლებსაც, შიშის ქარცეცხლში გამოწრთობილი სიყვარულით, ბრმად სწამდათ, რომ ყოველივე, რაც გარშემო ხდება და ხდებოდა — „მხოლოდ ხალხის საკეთილდღეოდ, ბელადის ბრძნული შორსმჭვრეტელობით და ბედნიერი მომავლისათვის". მართალია, ისინი მრავალ ბოროტებასაც, უსამართლობასაც და სიმრუდესაც ამჩნევდნენ გარშემო, მაგრამ ამას ადამიანთა ნაკლულოვან ბუნებას, ზოგიერთი პასუხისმგებელი მუშაკის შეუგნებლობას და სინამდვილის მხოლოდ დროებით და, რაც მთავარია, არაარსებით გამოვლინებებს მიაწერდნენ. ასეთი ტიპების საყვარელი, ყველანაირ კურიოზულ ვითარებაში გამოსაყენებელი ანდაზა იყო — „რა ქვეყანაშიც ცხოვრობ, ის ქუდი უნდა დაიხურო". ეს ანდაზაც უყვარდათ: „დათვი რომ მოგერევა, ბაბა დაუძახეო". რაც კი ანდაზებში, ანუ, როგორც იტყოდნენ, „დიდ ხალხურ სიბრძნეში", გლახაკთა პირით და ხელით, სიბეჩავის და ქედმოდრეკის წამახალისებელი გარეულა, იმას მოიხმობდნენ საკუთარი მდგომარეობის გამამართლებელ ისტორიულ წანამძღვრად რა. ზოგჯერ. ასეც შეაგონებდნენ ცხოვრების წესრიგთან გაოჩნებულ ჭყირტებს, ჩამოუყალიბებლებს: „ხომ გაგიგია, დედაბერმა მშიერს რომ უთხრა — იმისთვის მოგტეხ ამ მჭადს, რომ ზოირბლიან თვალში მაკოცოო". ისე დაბეჯითებით იტყოდნენ ამას, თითქოს მჭადის ნატეხისთვის ვიღაც დედაბრის ზლირბლიანი თვალების ლოშნა მართლა მოსაწონი იყო ადამიანური ზნეობის თვალსაზრისით და ასეთ ფარისევლობას, თვით ყველაზე დამშეული კაცისგანაც, თითქოს მიწის მშრალი გოროხების ლეჭვა არ აჯობებდა. „მარა, რას იზამ? რო დაუკვირდე, კაცი შენს საკუთარ კაცობის ქუდს თუ უარყოფ და სხვა ქვეყნის შესაგუებლად სხვისას მოირგებ კინკრიხოზე, მერე, გასაკვირიც არაა, ჭადის ნატეხისთვის დედაბრის ზლირბლიანი თვალების ლოშნაც დაიწყო". — ჯერ კიდევ საყომარბაზო ამფსონებთან ღრეობაზე იტყოდა ხოლმე მერაბ ყიფიანი და ხუმრობით ამასაც დასძენდა: „მე რომ მკითხოთ, ყველაფერს ჯობია უქუდოდ სიარული და მშიერ კუჭზე ჟუჟუნა თვალების პროშტნა". მაგრამ ამას, ასე, ცხადია, მხოლოდ მერაბისთანა მართლაც უქუდოდ და ფარლალალად მცხოვრები კაცი იტყოდა. რაც შეეხებოდა იმათ, ვისაც ქვეყნის ქუდიც ეხურა და ხელში დიდი მჭადიც ეჭირა, იმათგან უმეტესნი სრულიად შეგნებულად ცხოვრობდნენ ზემოხსენებულის მსგავსი სიბრძნით, სხვები კი — მის არსს, რგოროც მონეტის მეორე მხარეს, ვერ იაზრებდნენ.

მერაბ ყიფიანში თანაგრძნობას და ერთგვარ სიყვარულსაც იწვევდნენ ალმასხანისნარი ტიპები, რომლებსაც გულწრფელად სწამდათ, რომ ბელადის ბრძნული ხელმძღვანელობით ცხოვრება არნახულად უმჯობესდებოდა და მუყაითად შრომობდნენ, მრავალს წირავდნენ. მრავალზე თვალსაც იბრმავებდნენ იმ „ბედნიერი მომავლისათვის", რომელიც მათ წარმოსახვაში უმტკიცესი რწმენის სვეტად აღიბეჭდა. ასეთ ტიპებს მუდამ მეტი სიმპატიით უყურებდა, ვიდრე იმ პირწავარდნილ თაღლითებს, რომლებიც ქვეყნის ცეცხლმოკიდებულ საბძელზეც ხელებს ითბობდნენ. თუმცა, არც ამათ უყურებდა თანაგრძნობის გარეშე. საერთოდ, მერაბ ყიფიანი არც ერთი ჯუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის ადამიანს. გარდა უკანმოუბრუნებლად სულწაწყმედილი დამსმენისა და ჯალათისა, არ უყურებდა ერთგვარი, მეტ-ნაკლები სიმპატიის გარეშე. რაგინდ გამრუდებული ჩვენებოდა ადამიანი, თუკი მასში ადამიანობის ნაპერწკალს შენიშნავდა, გულწრფელად თანაუგრძნობდა. რადგან საკუთარ სიმრუდეზეც და ცოდვიანობაზეც თვალს არასდროს ხუჭავდა. „ეს ისეთი ცხოვრებაა, ან იქით გადაგხრის ან აქეთ; და სწორად ვინც მოინდომებს დგომას, იმას ან დღეს გასტეხს და ან ხვალ“, — იტყოდა ხოლმე თავისთვის.

იმ შინაურულ ვახშამზე, როცა შენიშნა, რომ ალმასხანი თითქოს თავისთვის კი არა, ცხოვრების სიკეთის დასადასტურებლად, ნათესავების საკეთილდღეოდ და ბედნიერი მომავლის შეგრძნებით ილხენდა და ხარობდა — როცა ეს მერაბმა შენიშნა, სახეზე მოალერსე ღიმილი გაუკრთა და ულრმესი თანაგრძნობით განიმსჭვალა მისდამი. მით უმეტეს, როგორც იქ გაირკვა, ორი დღის წინ ალმასხანს ორდენიც მიეღო და მეცნიერებათა აკადემიის ყოველწლიური პრემიითაც დაეჯილდოვებინათ; ის შინაურული ვახშამიც, თინათინს ნათესავების შეხვედრა-დაახლოვების სურვილითაც და, თან, ამ სიხარულის აღსანიშნავადაც მოეწყო. ალმასხანთან ორჯერ შეხვედრის შემდეგ, მერაბს ესეც აღარ უკვირდა, რომ შინაურ სუფრაზეც, შინაურულ საუბარშიც, თუკი ვინმე უნებურად საზოგადოებრივ-საქვეყნო საგანს შეეხებოდა, ის რაღაცნაირად თავმომწონედ შეიმართებოდა და, უცებ, ადრინდელისგან განსხვავებული, საგაზეთო ენით და ოფიციალური კილოთი ამეტყველდებოდა.

— დიახ, — თქვა ალმასხანმა, მის პირდაპირ კედელზე დაკიდულ ბელადის სურათს ახედა და ისე დაასრულა სადღეგრძელო, თითქოს მის გასაგონადაც ამბობდა: — ჩვენი ხელისუფლება მუყაით და პატიოსან შრომას აფასებს. მეც მადლობის მეტი არა მეთქმის რა. უშრომელნი და გზამრუდნი კი ყველა მთავრობის უკმაყოფილონი იყვნენ მუდამ და ახლაც ასე არიან. თუმცა, ასეთების რიცხვი წლიდან წლამდე კლებულობს, მაგრამ — მაინც არიან. აი, ამ ღმერთკაცის ბრძნული ხელმძღვანელობით წამძლევარებული ჩვენი ცხოვრება დღითიდღე უმჯობესდება, წინ მიდის და ჩვენც. განა გვჭირს რაიმე სამდურავი, ჩემო თინიკო?! სანამ ის გვყავს საბჭოთა ხალხს, სამდურავი არავის არაფერზე გვეთქმის, რადგან ესეც უკვე დიდი ბედნიერებაა.

— გაუმარჯოს ბედნიერებას! — არტისტული აღმაფრენით შესძახა მერაბმა მანამ, სანამ ალმასხანი ალავერდს გადავიდოდა მასთან და დავლიანთა ძველი სერვიზიდან შემორჩენილ ბროლის ჭიქაში ჩამოსხმული ღვინო ისე დაცალა, რომ აღარ დაუზუსტებია, რომელ ბედნიერებას გულისხმობდა და არც მისი, ბრძენი ბელადის სახელი უხსენებია. იქ მყოფთაგან ძნელად თუ ვინმეს შეეპარებოდა ეჭვი რომ „ბედნიერებაში“ ბელადს და მისეულად შექმნილ ცხოვრებას არ გულისხმობდა; და ვინმე რომ ჩაძიებოდა კიდეც, მერაბი ახლა თავის თავს ძალას ვერასგზით ვერ დაატანდა, ალმასხანის კვალად გაეგრძელებინა ეს სადღეგრძელო: ზუსტად მის პირდაპირ კედელზე დაკიდული სურათიდან ლევანი უცინოდა.

წინათ ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია, იმ შინაურ ვახშამზე კი როგორღაც ფატალურად ენიშნა დავლიანთა სასადილო ოთახში სტალინის და ლევანის სურათთა ერთმანეთის ასე პირისპირ თანაარსებობა: ერთი, ოდნავ თვალებმოჭუტული, იქედნურად იღიმებოდა ულვაშებში, ხოლო მეორეს ლაღ სიცილში გაეშალა სახე. ეს ფაქტი, მერაბის ცნობიერებაში მისსავე თვალწინ განვლილი ცხოვრების პარადოქსის — ბედნიერი მომავლისათვის მოწოდებით უკეთილშობილესი ხალხის ელიტის, თავისუფლების სახელით უსასტიკეს ბორკილთა გამოჭედვის, სამართლიანი ცხოვრების დასამკვიდრებლად დარაზმულ ადამიანებში მართ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლისა და ტყუილის. ბოროტისა და კეთილის გამმიჯნავ შეფასებათა წარმლის და ყველა ამგვარი პარადოქსული ანტინომიების' თვალნათლივ გამომსახველ სიმბოლოდ წარმოჩნდა. ამან კინაღამ დაატყვევა მერაბი; კინაღამ სარკასტულად აახარხარა. ისევ ალმასხანმა უშველა. პირდაპირ მერაბს რომ მიმართავდა ხოლმე ამა თუ იმ მოსაზრების მტკიცებისას და მერაბისგან განსაკუთრებული ყურადღების მოთხოვნის ნიშნად ხელსაც რომ დაადებდა ხელზე. ალმასხანის სადღეგრძელოს ალავერდში კი. როდესაც მერაბმა არტისტულად დაიძახა. ბედნიერებას გაუმარჯოს — მაშინ უკვე თითქმის სულ მთლად განთავისუფლდა იმ სურათთა პირისპირ ყოფნის საზარი შთაბეჭდილებიდან. და მერე, როდესაც არა მარტო თინათინის მამამ, ვისი მშობლებიც გააკულაკეს და ვისაც „საყვარელი სიძე ლევანი" მოუკლეს. არამედ სუფრასთან მსხდარმა ქალებმაც — ახალგაზრდობის წლებში აგრერიგ გაწამებულმა თინათინმაც, თინათინის დედამაც. მამა წვერებით რომ უთრიეს და ძმა სოფლის ორღობეში ძაღლივით ჩაკლეს, და თვით დიდი ლევანის ორმა სამარის კარს მიღწეულმა ნათესავმა ქალმაც, რომელთაც ცოცხალი არავინ შეარჩინეს, — როდესაც სუფრასთან მსხდომთაგან თითოეულმა ჭიქა გაიშვირა ბელადის სურათისკენ და მისადმი რაღაც სამადლობელის მსგავსი ჩაიდუდრუდურა, მერაბი არც გაოცებულა და არც დანაღვლიანებულა, პირიქით, ამ სანახაობამ თითქოს მოქილიკე ფიქრით გაიტაცა: „ქართველებისთანა გულმავიწყი ხალხი, არა მგონია, მთელ დუნიაზე ვინმე სხვა იყოს კიდევ. აი, ესენი. ფარისევლობით კი არ ადღეგრძელებენ იმ ულვაშას. არა. უბრალოდ, აღარ ახსოვთ, რაც იმან თავს დაატეხა. აგერ, გუშინ და გუშინწინ. და განა მარტო ამათ. ძნელად ნახავ ჩვენში კაცს, რომ გულმავიწყი არ იყოს. ყველაზე მწარე ტკივილის განქარვებასაც ვახერხებთ. ზოგს ჰგონია. არხეინობაა ჩვენი ხასიათის მთავარი ნიშანი და იმიტომ ვერ ვამტკიცებთ გულში ტკივილის ბოლმას. არ უნდა იყოს ასე. ჩვენი არხეინობა გულმავიწყობის ბრალია. მაგრამ გულმავიწყები რატომ? ვითომ; რა, ცუდი მეხსიერება გვაქვს და იმიტომ? სისულელეა. ადამიანი მეხსიერების გარეშე არ არსებობს და ყველა ხალხში, ზოგს ცუდი და ზოგსაც კარგი მეხსიერება აქვს. გულმავიწყობა სხვაა. სიტყვითაც კი სხვა შინაარსი გადმოიცემა. ნეტავ. სხვა ენაში თუა ასეთი სიტყვა. მე მგონი, ასეთი უცნაური სიტყვა მარტო ქართულშია და ეს სიტყვაც, ალბათ, მაშინ გაჩნდა. როცა ქართველები გულმავიწყები გავხდით. მერედა. რატომ გავხდით? ალბათ, იმიტომ. რომ გულმავიწყობა ავბედით ცხოვრებასთან შეგუების ინსტინქტურად მიგნებული საშუალება გახდა. არა, სულ მთლად ასეც არ უნდა იყოს. გულმავიწყობა რაღაც სხვაა, უფრო ძირეულ თვისებებთან იქნება დაკავშირებული... უბოროტობა? მოიმედეობა? საოცარი უნარი თავის მოტყუების? სიცოცხლით სიხარული? ყველაფრის სიკეთის მხრიდან დანახვის მიდრეკილება? ზოგი ეს თვისება. თუ არ ვცდები. მეც მახასიათებს. მაგრამ — გულმავიწყი რომ არ ვარ? არც თავს ვიტყუებ. ღმერთმანი. თუმცა. სხვების მოტყუებას კი ვცდილობ ხოლმე, როგორც ახლა...".

— რაზე ჩაფიქრებულხართ, მერაბ? — ჰკითხა ალმასხანმა და გაკვირვებით მიაჩერდა.

— რაზე და... — მერაბმა. წამით. პასუხი შეაყოვნა; მერე, ხელი აიქნია და. აღტაცებულის იერით. ალმასხანს შეკითხვას. სხვა რომ ვერაფერი მოიგონა, ასეთი წამოძახილი შეაგება. — რა ქნა?! რა ომი მოიგო?!

— ჰოოო, — ალმასხანმა თავი დაიქნია და ჩაფიქრდა. სანამ მერაბი ამას წამოძახებდა, ალმასხანი ოდნავ გააოწყენა კიდეც მისმა უყურადღებობამ — ასე მოეჩვენა. თითქოს მერაბი სულ სხვას და სულ სხვანაირად ფიქრობდა, — ჰოოო, ეს მართლაც ღრმა განსჯის საგანია. ასე, უბრალოდ, ამ ვეებე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რთელა მოვლენის შეფასება ძნელია. — თქვა ალმასხანმა და შეუდგა ინდივიდუალურად გააზრებას იმ უკვე საკავშირო მასშტაბით გაცხადებული თეზისა. რომ სტალინის გენიამ იხსნა მსოფლიო ფაშიზმისგან; მერე, იმ ჰიპოთეზის წამოყენებასაც არ მორიდებია. რომ სტალინის გენიაც ვერას გააწყობდა. გვერდში რომ არ ჰყოლოდა „ის დიდი ჭკუის და დიდი მოხერხების სათვალიანი“. ეს მოსაზრებაც და მეტსახელიც ალმასხანმა ჩურჩულით და თვალების აქეთ-იქით ცეცებით წარმოთქვა ისე, თითქოს შეეშინდა, სტალინმა არ გამიგოს და არ იწყინოსო.

მერაბი ცდილობდა, გულმოდგინედ ეგდო ყური ალმასხანისთვის, მაგრამ „სათვალიანის“ ხსენებაზე, სრულიად უნებურად, თავისი დეიდაშვილი ლევან დავლიანი გაახსენდა და, უეცრად, სინდისის ქენჯნის მსგავსმა გრძნობამ გაჰკენწლა. არც თვალი მოუცილებია ალმასხანისთვის, არც ღიმილი გაქრობია სახიდან, ოღონდ, სისხლში თითქოს ნალველი გაელვარა, რომ დავლიანთა სახლის ჭერქვეშ იმათ ქება-დიდებას ისმენდა, რომელთა ძალისხმევითაც დაიღუპა ლევანიც და მამამისიც; რომ თვითონაც, ნებით თუ უნებურად, ექვემდებარებოდა ძალას ამ გამომაყეყეჩებელი ტყუილისა, რომელიც, წლიდან წლამდე, სულ უფრო ყოვლისმომცველი ხდებოდა; რომ მრავალზე მრავალი, ალმასხანის მსგავსად, უკვე ისე იყო დაჯერებული ტყუილის სიმართლეში, რომ მის წინაშე, მერაბივით, არც საკუთარი თავის და არც სხვისი მოტყუება აღარ სჭირდებოდა. „მაინც საოცარია ტყუილის ასეთნაირი ტრანსფორმაცია, ცირკია, ცირკი!“ — შეეხუმრა უნებურად მოწოლილ ნაღველს და გუნება აიმჩატა.

მერაბ ყიფიანი მხოლოდ წამით აიტანა სინდისის ქენჯნის მსგავსმა ნაღველმა, შესაძლოა, იმ წამს, თვითონაც რომ ვერ მოზომა, ისე გაუმრუდდა ღიმილი, ან ალმასხანზე მიპყრობილი მზერა გაეყინა, ან ამოიოხრა... სწორედ მაშინ, ოთახში ლარბიმაც შემოირბინა და მერაბმა, შესაძლოა, გადაჭარბებული ალერსით, ერთგვარი სიმწრითაც ჩაიხუტა ბიჭი; მაგრამ, მაინც, ეს არაფრის უნდა სჩვენებოდა არც უცნაურად, არც განსაკუთრებულად. ყოველ შემთხვევაში, მერაბ ყიფიანს არც სიტყვით და არც ქცევით არ მიუცია ალმასხან წეროძისთვის იმის საბაბი, რომ ამ უკანასკნელს ასე შუაგზაზე გაეწყვიტა სიტყვა. თინათინისთვის ფინჯანი ჩაი ეთხოვა და, მერე, ომზე დაწყებულ მსჯელობას აღარ დაბრუნებოდა.

სინამდვილეშიც, ალმასხან წეროძემ მერაბ ყიფიანის ის წამიერი. უჩუმრად გულისმომწყურავი ფიქრი და ნაღველი კი არ აღიქვა — ლარბიმ ოთახში რომ შემოირბინა, ალმასხანი თვითონ მიხვდა თავისი მსჯელობის შეუსაბამობას იმ კონკრეტულ გარემოში, რომელშიც იმყოფებოდა. ასეთმა მიხვედრამ შეაცბუნასავით. მერე გაახსენდა, რომ ადრე, მერაბ ყიფიანის გამოჩენამდე, საკუთარ ოჯახში. ასეთსავე ვითარებაში. არასდროს უგრძვნია მსგავსი უხერხულობა თუ შეუსაბამობა. ამ გახსენებამ მერაბისკენ ფხიზლად გაახედა და, უცებ, თითქოს პირველად დაინახა იგი. გულმა რეჩხი უყო. ერთხელაც გახედა და, მაშინვე იცნა, რომ ასე მიამიტად, ასე ერთბაშად მიენდო და გაუშინაურდა ცოლისა და გერის მხრიდან მოყვარის უფლებებით მოსულს, რომელიც, თუმცა არ ჰგავდა უკეთურს და მის ოჯახში რაიმე ხვანჯით მოქმედს, მაგრამ — ისიც ცხადი იყო, რომ ვერც ერთი სავარაუდო პირობითაც ვერ იქნებოდა ალმასხანის მრწამსის და შეხედულებების გულწრფელად გამზიარებელი. ... ამის შემდეგ კი, ცხადად გაახსენდა მერაბის მიერ სადღეგრძელოში როგორღაც უმისამართოდ წამოსროლილი „ბედნიერებას გაუმარჯოს“; გაახსენდა. სულ უმიზეზოდ და სრულიად უადგილოდ რომ ჩაფიქრდებოდა ხოლმე; გაახსენდა მის სახეზე ოდნავ შეცვლილი ღიმილიც... უცებ, მერაბ ყიფიანის ერთთავად მოალერსე ღიმილში და თავაზიან ქცევაში მას ეჩვენა ნიღაბი თა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვად-აზნაურთა წრეში აღზრდილი იმ ნაბოლარასი, რომელიც მხოლოდ გარემო პირობების იძულებით აჰყოლოდა ცხოვრების ფერხულს. თავის თავზეც და მერაბზეც სიბრაზით აუძგერდა გული ალმასხან წეროძეს, მაგრამ, მაშინვე უმტკიცესად ამოსდო ლაგამი საოჯახო-სანათესაო ვახშამისთვის სრულიად შეუფერებელ ვნებებს და ფიქრებს. ის კი დაბეჯითებით და საბოლოოდ გადაწყვიტა, რომ მომავალში მხოლოდ სავალდებულო და წესრიგიანი ურთიერთობა დაემყარებინა მერაბ ყიფიანთან — ყოველგვარი მიამიტური ახლობლურ-მოყვრული გადახრების გარეშე.

მერაბ ყიფიანმა კი უშუალოდ და უმალ აღიქვა სუფრის თავში მჯდარი მასპინძლის განცდათა ჭიდილი და მისი გადაწყვეტილებაც. იჭვნეული ფიქრებით და გულში აბობოქრებული რისხვით ატანილი ალმასხან წეროძე ისე ენერგიულად შეუდგა თინათინის მიერ მირთმეული ჩაის სმას მურაბით, თითოეულ ყლუპს ისე წამდაუწუმ, უაზროდ, ისეთი ხელოვნური ალტაცებით აყოლებდა „უჰ!, „იფ", „ოხ!" და ამის მსგავს შორისდებულებს, რომ მისი სულიერი მდგომარეობის ამოცნობას ძველი მოთამაშის გუმანის საგანგებოდ დაგეშვაც არ სჭირდებოდა: გაუცხოების ვეება ტალღები, თავისთავად, სულ უფრო მძლავრად, ერთიმეორის მიყოლებით ეხლებოდა მერაბს.

იმ ვახშამის შემდეგ, მათი შეხვედრები, გარეგნულად უწინდებურად გულითადი და თავაზიანი, ძალიან მალე წყდებოდა: ალმასხანი ბოდიშის მოხდით და სასწრაფო სამუშაოს მომიზეზებით კაბინეტში ჩაიკეტებოდა, ხოლო მერაბი, ვითომ არაფერიო, თინათინთან განაგრძობდა მასლაათს ან კიდევ, ლარბისთან ლაღობდა — გატაცებით ისმენდა მის მონაყოლ სასკოლო თავგადასავლებს, ეთამაშებოდა ჭადრაკს, ეხმარებოდა სხვადასხვა სათამაშო კონსტრუქციების აგებაში; ხანაც თავისი საკუთარი სასკოლო თავგადასავლებით აცინებდა, ასწავლიდა ჭიდაობის და ბოქსის ილეთებს. როდესაც ლარბი ეზოში ბურთს თამაშობდა, ჩავიდოდა ხოლმე მასთან და შემფასებელი ოსტატის რიხით მიმართავდა — აბა, ვნახოთ, რა ფეხბურთელიც ბრძანდებიო. ლარბიმ ისედაც თავდავიწყებულად შეუპოვარი თამაში იცოდა და ბიძამისის დანახვაზე ხომ სულ მთლად აიშვებდა: ისე გაქანდ-გამოქანდებოდა, ისე დაეძგერებოდა თანატოლ ბიჭებს, ისეთი ძალით ურტყამდა ბურთს, რომ ბოლოს, ეზოს შუაგულ მარტოკა აიყინჩებოდა და თავმომწონედ გახედავდა მერაბს, რომელიც, მანამდე, შიშით გასძახოდა: „ფრთხილად, შე ბოკვერო! ცოტა დინჯად, ჭკუით! ო, რა აფთარი ხარ!". და თუმცა მერაბ ყიფიანი შიშობდა, ბურთით მოთარეშე ლარბის რომელიმე მეგობარი არ დაეზიანებია, მაინც სიხარულით შესცქეროდა მის სიმარჯვეს; კოხტად შეკრეჭილ ულვაშზე ცერა თითს გაისვამდა და თავისთვის ჩაილაპარაკებდა: „დავლიანთა ჯანი მოსდგამს". ზოგჯერაც, ლარბის და მის მეგობარ მეზობლის ბიჭებს შემოიკრებდა და ხან ლახტის, ხანაც ჩილიკა-ჯოხის თამაშში წვრთნიდა. თვეში ერთხელ კი ცირკში დაჰყავდა ახალ-ახალ ატრაქციონებზე; დაჰყავდა ოპერაშიც, თეატრებშიც, კონცერტებზეც.

მერაბ ყიფიანმა სულ მოკლე ხანში შეიტკბო და შეითვისა ლარბი. ლარბიც ყოველკვირას მოუთმენლად ელოდებოდა ბიძამისის გამოჩენას. რამდენიმე ხნის შემდეგ, მისდამი განსაკუთრებული სიყვარულის გამოხატვის ნიშნად, უფროსთაგან მხოლოდ მერაბს მიმართავდა შენობით. პირველად იმ დღეს დაუძახა მერაბს „შენ", როდესაც, ერთხელ, ლარბის ოთახში შესულმა და კედლებზე დაკიდული ძველი ნივთების, დიდი ლევანის და სხვა ნათესავთა სურათების ნახვით სახტად დარჩენილმა მერაბმა, ბიჭი თავისკენ მოიზიდა და ისე, რომ არაფერი უთქვამს, ჩაიხუტა. ლარბი მაშინ თერთმეტი წლის იყო. „შენ კარგად იცნობდი, არა, ჩემებს? შენც ხომ ჩემი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხარ?" — უთხრა ლარბიმ და, მერე, უფრო ხმადაბლა დასძინა, — „აწი, შენ ისე მომიყევი ხოლმე, რომ არავინ გაიგოს... მეც არავის ვეტყვი". მას შემდეგ, ლარბი წარსულზე და სანათესაოზე ათასგვარ კითხვას დააყრიდა მერაბს და ისიც უყვებოდა, რაც ახსოვდა თავისი ახალგაზრდობის წლებიდან. მხოლოდ იმას არ უმხელდა, რაც, იცოდა, რომ არ უნდა ეთქვა ლარბისთვის. ხანდახან, რაიმე გარკვეული სათქმელის და სურვილის გარეშე, ლარბი მერაბის წინ დადგებოდა და რაღაც უცნაურად, თითქოს რაღაცის ჯიბრზე, ხმამაღლა დასჭექდა: „შენ! იცი? შენ ჩემი ყველაზე საყვარელი და ყველაზე ნამდვილი ბიძა ხარ! ხომ იცი? ხოდა, იცოდე!". და როდესაც თინათინი გაუჯავრდებოდა, უფროსებს თქვენობით უნდა მიმართო და ასეთი ყვირილიც უზრდელობააო, მერაბი დაუყვავებდა: „არა, ეს ბიჭი არაა უაზრდელი. ახლა, რასაც მეუბნება, მე და მაგან ვიცით, ხომ ასეა, ბოკვერო?". ამის გაგონებაზე, ლარბის თვალები გაუბრწყინდებოდა, გამარჯვებული სახით მიუბრუნდებოდა თინათინს და უფრო ხმამაღლა დასჭექდა: — სწორია მერაბ ყიფიანი! მე და მაგან ვიცით!

ხოლო ერთხელ, ძილის წინ, სასთუმალთან მიმჯდარ თინათინს, ლარბიმ ყელზე ხელები შემოაჭდო და ყურში ჩასჩურჩულა: — ძია მერაბი ძალიან ჰგავს მამას, არა?

არა, მერაბ ყიფიანი სულ არ ჰგავდა ლევანს. იერით თუ ჩამოჰგავდა მხოლოდ. თვალები თუმცა ლევანივით დიდრონი და ნაღვლიანი ჰქონდა, ოღონდ — მოცისფრო. თანაც, ლევანის თვალებში ნაღველი ღრმად იქუფრებოდა, მერაბისაში კი — ლიცლიცა ზედაპირზე იყო გაღვრილი. კანის ფერითაც ლევანი ხორბლისფერი იყო, მერაბი კი — თეთრი, ქათქათა. ხასიათით ხომ სრულიად განსხვავდებოდნენ. ლარბიმაც, მამას რომ მიამსგავსა მერაბი, რაღაც სხვა იგრძნო — რაღაც უთქმელი, რაც ამ უცოლშვილო კაცის არსებიდან ლარბის შეჰხაროდა, როგორც ერთადერთს.

თინათინის ხელმეორედ გათხოვების და ალმასხანისგან ქალ-ვაჟის შეძენის შემდეგ, ლარბის ყველაზე მეტად სწორედ ერთადერთობის თვითშეგრძნება სჭირდებოდა: მას სურდა სწორედ ასეთი, მხოლოდ მისკენ მიმართული, სისხლხორცეულად მხოლოდ მის მიერ დასაკუთრებელი ადამიანი, რომელიც გაუნაწილებელი სიყვარულით დაუდასტურებდა მის მნიშვნელობას, მის თავისთავად ღირსება-ღირებულებას. ლარბის ყველაზე მეტად სურდა და სჭირდებოდა ეს, რადგან სწორედ იმხანად ეუფლებოდა ერთგვარი დაურწმუნებლობის და შინაურებისადმი გამუდმებული, წვრილმანი და, ხშირად, სრულიად უსაფუძვლო ეჭვიანობის გრძნობები. დროსთან ერთად, თინათინი სულ უფრო და უფრო ნაკლებად იცლიდა ლარბისთვის; და თუმცა ლარბი ხედავდა და კიდეც ესმოდა, რომ ის ერთთავად გაბმული იყო სამსახურის და ოჯახის საქმეში, მაინც ებუტებოდა. განსაკუთრებით ის აღიზიანებდა, რომ თინათინი, პირველ რიგში, ალმასხანზე იყო გადაფოფრილი — მისით ამაყობდა, განსაკუთრებით მას შესციცინებდა, სუფრაზეც პირველ რიგში მას გადაულებდა კერძს, ხორცის და საზამთროს საუკეთესო ნაჭრებსაც მას მოუჭრიდა; ხოლო ალმასხანი, მედიდური იერით, მისდამი ასეთ განსაკუთრებულ ლოლიავს, თითქოსდა არაფერიაო, როგორც ჯეროვანს, ისე იფერებდა. სახლის შესასვლელ კარზე მილურსმული თითბერის ფირფიტა კი, რომელზეც წეროძის გვარი იყო გამოყვანილი, კარგა ხანს ლამის ჭკუიდან შლიდა ლარბის. თუმცა არც არაფერს იმჩნევდა და დედასთვისაც არაფერი უთქვამს, სკოლიდან ყოველ დაბრუნებაზე, სახლში სანამ შევიდოდა, ბოლმით მიაჩერდებოდა ახალთახალ, ყვითლად მბზინავ ფირფიტას და თავს ძლივს იკავებდა, ჯაყვით არ ამოეგლიჯა. თუმცა იცოდა, რომ დავლიანის გვარი კარზე მის გაჩენამდეც არ იყო მიწერილი, — წინათ ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც იყო საჭირო, რადგან ისედაც ყველამ უწყოდა დიდი ლევანის სახელიც და საცხოვრებელიც, — მაგრამ, როცა კი შეაშტერდებოდა „საკუთარი სახლის კარზე“ წეროძის გვარს, ბოლომისგან აილეწებოდა: დიდხანს, ძალიან დიხანს ასე ეჩვეხებოდა, თითქოს პირადად მას ხელი კრეს და გვარი დაუწუნეს. ეს ბოლმაც მერაბმა განუქარვა. ამა თუ იმ დანაშაულისთვის დატუქსვის კვალად, მერაბი ხან ომახიანად ეტყოდა: — ეს არ ეკადრება დავლიანს! ხანაც გაეხუმრებოდა — ხომ ხარ ისევ დავლიანი, თუ ტრიკიან-ღრიკიანი? ჰო, მერაბი მას საკუთარი მეობით აამაყებდა და ლარბიც ხვდებოდა, რომ ბიძის ასეთი უზომო სიყვარულის უმთავრეს მასაზრდოებელ ძალას, სწორედ მისი დავლიანობა განაპირობებდა. ლარბი იმასაც ხვდებოდა, რომ მამისის მკვიდრი დეიდაშვილი, მისი სამუდამოდ ერთგული, ვერავისგან წასართმევ-დასაშორებელი, მისთვის თვით სიცოცხლის გამღები იყო. და თუმცა ეს მართლაც ასე იყო და წლების მანძილზე ასე გრძელდებოდა, მერაბ ყიფიანს, მაინც, არაფერი გაუგია ლარბის არც სახლიდან გადაკარგვის და არც შორეულ აღმოსავლეთში მისი დაღუპვის შესახებ. ის ამას, უბრალოდ, ვერც შეიტყობდა.

1951 წლის ოქტომბრის მიწურულს მერაბ ყიფიანმა დილის ათ საათზე თინათინს სამსახურში დაურეკა:

— რაღაც საქმე მაქვს, თინიკო, რაღაც სალაპარაკო. შესვენებაზე, თუ დრო გექნება, ან, როცა შენ იტყვი, იმ დროს შევხვდეთ.

თინათინი ჯერ იმან გააკვირვა, რომ მერაბმა სამსახურში დაურეკა სალაპარაკო საქმეზე; თანაც, დილის ათ საათზე დაურეკა, რაც იმას ნიშნავდა, რომ სალაპარაკო საქმე ღამით არ დაესიზმრებოდა და, მაშასადამე, გუშინ საღამოსაც შეეძლო მასთან შინ დაერეკა; და განა დაერეკა — პირდაპირ მისულიყო და შინაურლად ემასლაათათ იმ რაღაც საქმეზე. მერე იმანაც გააკვირვა, რომ მერაბი ორი კვირა არ გამოჩენილა მათთან, არც დაურეკია, ლარბის ამბავიც კი არ მოუკითხავს, რაც აქამდე არასდროს მომხდარა; თინათინს ისიც ეგონა, მერაბი მივლინებაში იყო წასული; და. ახლა, დილის ათ საათზე, სამსახურში დაურეკა და შორებელივით, რაღაც უცნაურად. სალაპარაკო საქმეზე, სადღაც შევხვდეთო, თხოვა. რამე ხომ არ ვაწყენინეთ, ნეტავ, რა ბზიკმა უკბინა, — გაიფიქრა და ხუმრობით დაუცაცხანა:

— შე დალოცვილიშვილო; ჯერ ის თქვი, სად დაიკარგე ამდენ ხანს; სად მიბარებ, ნეტავ, სალაპარაკოდ. შინ ვერ გვეწვევი თუ? ლარბიც არ მოგენატრა? საღამოს სახლში ვიქნები ექვს საათს მერე და, მობრძანდი.

—არა, თინიკო... სად დავიკარგე და დილაადრიან სამსახურშიც რატომ გირეკავ, ამასაც, რომ შევხვდებით, მაშინ გეტყვი. ლარბის კი ნუ მიხსენებ, იმის უნახაობით ისედაც გული მაქვს გასიებული...

— რა იყო, რამე უბედურება ხომ არაა ჩვენს თავს, მერაბ?! — უცებ შეიცხადა თინათინმა, რადგან მერაბის მიკიბულ-მოკიბულმა ლაპარაკმა, ცოტა არ იყოს შეაშფოთა.

— არა, ნუ ღელავ, თინიკო. მე ჩ... ვისი
საქმე მაქვს და... აიქ-

— საიდან რეკავ?

— სამსახურიდან, ჯერჯერობ... აიტკა- მრობით

ტელეფონი ახრიალდა. და ...მა პასუხი ვერ გაიგო.

— სად ხარ?

— ცირკში ვარ, ცირკში! — ... არაა
ლა ჩასძახა ყურმილში მერაბმა დ... ცე- თა-
სებურად ჩაიქირქილა, ...ნ

— კიდევ კარგი... მე მეგონა, — თინათინს გულზე ოდნავ მოეშვა, — რამე მართლა სასწრაფოა?

— ძალიან, თინიკო, ძალიან სასწრაფოა, თორემ...

— დღის მეორე ნახევარში რომ შევხვდეთ, დაგვიანდება? ცოტა მძიმე დღე მაქვს და შესვენებაზეც, ეგებ, ვერ მოვიცალო... თორმეტზე სხდომა იწყება და, მეშინია, არ დაგალალატო, და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქმულ დროისთვის ვერ გავითავისუფლო თავი...

ხუთ საათზე დათქვეს შეხვედრა ვერის ბაღის შესასვლელთან.

ხუთი საათისთვის ვერის ბაღთან მისულ თინათინს მერაბი უკვე იქ, შესასვლელთან მდგარი დახვდა. მერაბი თუმცა ჩვეული ღიმილით შეეგება, მაგრამ თინათინს, ჯერ კიდევ შორიდან რომ შეხედა, რაღაცნაირად თითქოს ნირწამხდარი ეჩვენა. რომ მიუახლოვდა, მოღიმარ თვალებში ჩაწოლილი ბინდიც არ მოეწონა.

— რა იყო, მერაბ, ავად ხომ არ იყავი?

— არა, ჩემო თინიკო, სრულიად ჯანმრთელი გახლავარ და, ამიტომ, თუ ნებას მომცემ, მაგ ლამაზ და ჭკვიან შუბლზე გაკოცებ, რომ ასეთი კარგი რძალი მყავხარ, რომ არ დაიზარე და მოხვედი, — მერაბი შუბლზე ეამბორა თინათინს, ხელმკლავი გამოსდო და უთხრა, — მოდი, ახლა, ბაღში შევიდეთ, ხევისკენ ჩავიაროთ და, სადაც ცოტა ხალხია, დავსხდეთ და, ჩემს ამბავსაც და სათქმელსაც გიამბობ.

მზე ჯერ არ ჩასულიყო. ოქტომბრის მიწურულის თბილი საღამო დგებოდა. რაც უფრო ღრმად შედიოდნენ ბაღში, მით უფრო იკლებდა ქუჩებიდან, პიკის ათში განსაკუთრებულად აჩრიალემალ ი მანქანების, არახრახებული ყელზ ვაის და ხალხის ხმაური. თინათიჩასჩურ ვებით ამოისუნთქა, ხეებზე და ჰგავს მ ი ჩიტების სტვენა-ჟრიამულზე ა, კაცასა ახედა და მერაბს უთხარა

ლევა — სულ საქმეში და სახლის საზრუ- ლომი ჩაფლულებს, მაინც, რა უსინდიდოდ გვავიწყდება... ცაც კი გვავიწყდება. რა კარგია აქ რომ გამოვედით. კიდევ უკეთესი იქნებოდა, საქმეზე კი არა, ისე, უბრალოდ, გასასეირნებლად გაგვეყვანე., სადმე, ქალაქგარეთ... ღმერთო, რამდენი ხანია თბილისის ბაღებში არ გამისეირნია. დამიჯერებ, აღარც კი მახსოვს, ბოლოს აქ როდის ვიყავი, — თინათინი ჩაფიქრდა, გაჩერდა, — მგონი, ომის წინ, ლევანთან ერთად რომ ვსეირნობდით ხოლმე აქ. მის მერე არც ვყოფილვარ. მოდი, მერაბ, ცოტა ხანს ნურაფერს მეტყვი საქმისას. სულ საქმე, სულ საქმე, სულ საზრუნავი... ცოტა ხანს, ასე, ჩუმად ვიაროთ.

მერაბმა თინათინს გახედა და იგრძნო, რომ მას ახლა, ამ წამს, ლევანი მოაგონდა, ტკივილით, სინანულით და თან რაღაც უცნაური სიტკბოთი ალსავსე მზერით აყურებოდა გარშემო, თითქოს ძველ, ნაცნობ ადგილებს იხსენებდა. უცებ გაუგებრად ენიშნა, რომ თინათინს მაინცდამაინც აქ დაენიშნა შეხვედრა და თინათინმაც სწორედ ამ შეხვედრისას ლევანი მოიგონა. მის ცრუმორწმუნეობას მუდამ დასცინოდნენ ამხანაგები, მაგრამ მერაბს არ ახსოვდა შემთხვევა, როდესაც მის მიერ საგანგებოდ მიჩნეული რაიმე ნიშანი არ ახდომოდა.

— ნიშანი ძალაა. როცა ის თავისთავად გამოგეცხადება, მაშასადამე, რაღაცას უნდა მოელოდე.

— რა ნიშანი, მერაბ? რას ამბობ? ხომ გთხოვე, ცოტა ხანს ჩუმად ვიაროთ. მე შენ გეტყვი, კიდევ შემომთავაზებ აქ გასეირნებას, ან თითქოს მე თვითონ მოვიცლი სამაგისოდ. ალბათ, მხოლოდ მაშინ მოვიცლი, როცა ბებია გავხდები. ბებიაც მალე გავხდები. ლარბი უკვე თხუთმეტისაა და რაღა დარჩა. ღმერთო, როგორ მიჰქრიან წლები...

ისინი უკვე თავდაღმა, ხევისკენ დაუყვნენ ჯერ კიდევ აქა-იქ სიმწვანეშერჩენილი ბალახით მოფენილ გაზონებს შორის ვიწროდ გაკლაკნილ ბილიკს. მიყრუებულ ადგილას, უკვე ფოთლებშეყვითლებული ცხენისწაბლას ძირას მდგარ სკამზე ჩამოსხდნენ. თინათინმა ღრმად ამოისუნთქა, შესცინა მერაბს და უთხრა:

— ახლა კი მზად ვარ, მოგისმინო, მერაბ.

მერაბი ჩაფიქრდა, ჩაიცინა, ცერა თითი ულვაშზე გადაისვა და ხმადაბლა, ხუმრობის კილოთი დაიწყო:

— ამ ორი კვირის უკან, ჩემო ძვირფასო რძალო, სამინისტროში, წინათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ შინსახკომს ვეძახდით. იქ გამომიძახეს.

— რას ამბობ, მერაბ?!

— ასე რატომ შეიცხადე და იუცხოვე, თინიკო. ჩვენს სამოყვრო-სანათესაოს თუ გავიხსენებთ, ის ადგილი და მისი ბინადარნი არც შენთვის და, მით უმეტეს ჩემთვის არაა უცხო და შორეული. ხოდა, ძველი ახლო ნაცნობობის, ნამეტნავად ახლო ურთიერთდამოკიდებულების კვალობაზე, დროგამოშვებით მაინც ხომ უნდა შემახსენონ თავი, სულ მთლად უყურადღებოდ ხომ არ მიმაგდებენ ამ ტიალ წუთისოფელში...

— შენც სახუმარო ნახე! არა, ჩემთან ამისთანებზე ნუ ხუმრობ, — თინათინს ფითრმა გადაჰკრა სახეზე, შეშფოთებული შეაცქერდა თვალებში, — რაო? რამე ფარცაგ საქმეში ხომ არ გაერიე, ბიჭო?!

— რაც შენ ახლა ფარცაგ საქმეში იგულისხმე, ამაში იმ დროს არ გავრეულვარ, როცა ხანიც და ჯანიც მომდევდა და, ახლა კი, რალა დროის...

— მაშ, აბა, რა მოხდა, რა ამბავია?

— რაც ხდებოდა აქამდე, ჩანს, არ წყდება და. ის ამბავია, რომ ისევ ხდება, ჩემო თინათინ.

— რა ხდება, რა არ წყდება, რას ამბობ... დალაგებით თქვი და გამაგებინე.

— თუ დამშვიდდები და დამაცდი, ამისთვის დაგიბარე, რომ გითხრა და გაგაგებინო, თინიკო.

მერაბი წამოდგა, თინათინის წინ გაიარ-გამოიარა. ისევ დაჯდა, ახლოს მიუჩოჩდა და ხმადაბლა დაიწყო:

— თავდაპირველად შეცდომით დამიბარეს. ესეც იღბალია! ბიძაჩემში შევეცვალე, მამაჩემის ბიძაშვილში, ოცდაჩვიდმეტში რომ დააპატიმრეს. შეუძლებელია არ გახსოვდეს ბიძაჩემი. მაღალ-მაღალი, კეთილი სახის, როხროხა კაცი. მმაჩის ბიუროში შენი და ლევანის ხელის მოწერას და თქვენს საქორწილო სუფრასაც დაესწრო...

— ხო, ხო, მახსოვს, როგორ არ მახსოვს...

— ხოდა, იმაში შევეშალე. იმასაც მერაბი ერქვა და გვარად, ცხადია, ყიფიანი იყო.

— მერე?

— მერე ის, რომ ბიძაჩემის თავს ასეთი უცნაურობა მოხდა. ზესტაფონის ქარხნის მთავარ ბუღალტრად მუშაობდა და ვიღაცამ შურით დააბეზღა. დაბეზღებით ჩასვეს ციხეში ისე, რომ საქმე არც გამოუძიებიათ. თანაც, რა დროს დააპატიმრეს — ხალხს რომ ასახლებდნენ და პანტასავით რომ ასაღებდნენ, იმ წლებში. ხომ წარმოგიდგენია, რა დღეში ჩვეარდებოდა. როგორღაც ისე მოხდა, რომ ბიძაჩემის საქმე სამ-ოთხ თვეში გამოიძიეს და გაამართლეს. სასამართლოში კი არა, არა, სასამართლო არც მის დაპატიმრებისას და არც მის გათავისუფლებისას არ შემდგარა. ციხის უფროსმა გამოუძახა და აცნობა, შეცდომით დაგაპატიმრეს და, ახლა, შენი გათავისუფლების ქაღალდი მოვიდაო. საწყალს, სიხარულისგან იქვე ციხის უფროსის კაბინეტში გასკდომოდა გული.

— უჰ! საცოდავი...

— ამათ, აქ, ბიძაჩემის სიკვდილის ამბავი არ სცოდნიათ და როცა ყველაფერი ეს მოვუყევი, შუბლზე იტკიცეს ხელი, აი, ასე, — მერაბმა თავისი გრძელი, თხელი თითები ჰაერში აიქნია და შუბლზე იმაზე მაგრად გაიტკაცუნა, ვიდრე იმას კაცი ხუმრობით იზამდა.

— მადლობა ღმერს!

— ნურას უკაცრავად. ღმერთი არაა მაგათი გამრიგე. ამათკენ, ალბათ, ცერადაც არ გაუხედავს, თორემ, ასე თავის ნებაზე როგორ მიუშვებდა. იქიდან რომ კარგ გუნებაზე წამოვედი, მეორე დღეს ისევ დამირეკეს და დამიბარეს, ჩემო თინიკო.

— რაო, რა გვინდაო?

— იმ ჩემს ბიძას შვილი ჰყავდა, ჩემზე ბევრად უმცროსი. ნიკალა ერქვა. დედამისი, ანუ ბიძაჩემის ცოლი, უკრაინელი ქალი იყო, კიევიდან. კარგი ქალი იყო ძალიან. ხოდა, როცა ბიძაჩემი გარდაიცვალა, ის კიევში გადასახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლდა და ნიკალაც თან წაიყვანა. კიევში ძმა ჰყავდა. ნათესავებიც და, ამიტომ, იქ ამჯობინა ცხოვრება. გამწარებულიც იყო — რას ვხედავ, რა ხდება საქართველოშიო, სულ ამას ჩიოდა, თითქოს უკრაინაში სხვანაირად ხდებოდა საქმე. მაგრამ, ქმრის ასეთმა სიკვდილმა გადარია. ხოდა, ნიკალა მე იმის შემდეგ თვალითაც არ მინახავს და, ახლა რომ ვნახო, ველარც ვიცნობ...

— მერაბ, რას ჩააცივდი მაგ შენს ბიძას, ბიცოლას და ბიძაშვილს. შენი მითხარი, შენი... შენგან რა უნდოდათ...

— მე კი არ ჩავაცივდი, ჩემო თინიკო! ისინი ჩაგვაცივდნენ! იმათაც და მეც, იმათ გამო. თურმე, ჩემი ბიძაშვილი ნიკალა, ჯარში გაუწვევიათ ორმოცდაერთშივე. ომში ტყვედ ჩავარდნილა, ომის შემდეგ კი აქეთ აღარ დაბრუნებულა. ახლა, თურმე, კანადაში, სადღაც, თავისთვის არხეინად ცხოვრობს და აინუნშიც არ აგდებს, აქ რა ხდება ჩვენს თავს, — მერაბმა ამ სიტყვებზე ტაში შემოჰკრა, მაღლა აიხედა და სიმწრით გაიცინა.

— რა იყო, მერაბ?! ნუ მაშინებ. ცხოვრობს იმ დასაკარგავში და იცხოვროს მერე. შენ რა?

მერაბმა ამ შეპასუხებაზე ისე გადაიხარხარა, რომ თინათინი შეშფოთდა:

— რა იყო? ასე რატომ იცინი, მერაბ?

— რა იყო და, ჩემო თინიკო, შენ რომ ამბობ და გგონია, ეს ასე უბრალოდ, თურმე, არ არის. ის რომ იქ არხეინად ცხოვრობს, ამაზე, თურმე, მე აქ პასუხი უნდა ვაგო, რადგან ის ჩემი უახლოესი ბიძაშვილია. ასეც მითხრეს: ასეთი უგვანო ბიძაშვილის პატრონი, რას ფიქრობ და რანაირად დაგვისაბუთებ, რომ მასთან ალარავითარი კავშირი არა გაქვსო.

— კი მაგრამ, მერაბ, ხომ აუხსენი...

— რანაირად არ ავუხსენი. ერთხელ, ისიც ვცადე, ხუმრობაში გადამეტანა, შორიდან რომ შეხედო, ეს მართლაც სასაცილო, ჰკუდდან შესარყევად სასაცილო ამბავი. ვუთხარი პატივცემულ მაიორს მარკარიანს...

— ვის?

— რა დაგემართა, თინიკო? შინსახკომის მაიორს, გვარად მარკარიანს, გავეხუმრე: ახლა, კანადაში თუ გამგზავნიან ან, იმ ცუდმავალა ჩემს ბიძაშვილს ნიკალას, აქეთ ჩამოაბრძანებთ, თუ ამ სიკეთეს იზამთ და ახლო ნათესავ კაცს გამაცნობთ და დამაახლოვებთ, ერთი კაი პურ-მარილი ჩემზე იყოს-მეთქი. თუ გგონია, გაუღიმა მაინც. შემომიბღვირეს და მომახალეს: შენს საყვარელ ბიძაშვილს ციმბირს იქით დავაახლოვებთო. მეც, მომიარა თუ რა იყო, რა საოხუნჯო ადგილი იქ ვნახე, უცებ, წამომცდა: რავა, იქიდანაც ციმბირში აგზავნიან-მეთქი? ამაზე იმ წყეულმა მუშტი ისე დაჰკრა მაგიდას, რომ ბულდოგის ფიგურით შემკული სამელნე შიგ ცხვირ-პირში მოხვდა. ნეტა ის სამელნე მართლა ბულდოგად ქცეულიყო და იმისი მურდალი ცხვირ-პირი მოქმული დამენახა?! მელანი გადმოიქცა, ფორმა მოუთხვარა, მაგიდაზეც დაესხა და ზედ დაყრილი ქაღალდებიც დაულაქავა.

— ვაი, მერაბ...

— სწორი ხარ, თინიკო. მერაბ ყიფიანის ვაების ჯერიც დადგა. თითქოს აქამდე დალხენილი ვიყავი, — ისევ ჩაიცინა მერაბმა. თინათინს იგი ასეთი არასდროს უნახავს და, მაინც, უკიდურესად გამწარებულიც, მისთვის ჩვეული, ბედთან შეხუმრებული საუბრის კილოს ვერ ეშვებოდა.

— მერე, თავს დაგაწია რამე?

— შეურაცხყოფის და უზრდელობის გარდა, არაფერი. თუმცა, იქიდან გამოსული მაგას ვნაღვლობდი? მე იმან დამაფიქრა, გასვლისას ზურგში რომ მომაძახა, ამ ორ-სამ დღეში თქვენს საქმეს ამომწურავად შევისწავლით და გამოგიძახებთო.

— ლევანი ხომ არ უხსენებია?

— ლევანი?! — მერაბმა ცერად გახედა თინათინს. — რად მეკითხები? დამაცა, დამაცა... ეს მერე იყოს... ხოდა, ერთი კვირის თავზე დამიბარა. გასულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარასკევს. როგორც მივხვდი, მართლა მაგრად უმუშავია. ალბათ, ღამეები ათენა იმ შობელძაღლმა. სულ ძირფესვიანად შეესწავლა ჩემი ნათესაური კავშირები და ჩემი წარსული ცხოვრებაც. საიდამ ამოჩხრიკა ამდენი რამ? ვისგან? როგორ? არაფერი დაუტოვებია მოუჩხრეკავ-მოუძიებელი, რაც კი ოდნავ მაინც მეხებოდა. დიდუბელი მარუა-მკითხავი რომ ვერ ამოიკითხავდა ვერცერთნაირ კარტში, ისე გადამიშალა ჩემი და ჩემი ნათესაობის ცხოვრების ამბები. რაც ვიცოდი და მახსოვდა, ხომ კარგი. იმ ეშმაკის ნაშიერმა ისეთები გადმომილაგა, ხსოვნითაც რომ აღარ მახსოვდა. მადლობის მეტი რა მეთქმოდა კეთილი მოგონებებისთვის და, ასეც მივუგე: დიდი მადლობა, ჩემო ბატონო, ამდენი რამე არც საკუთარ თავზე და არც ჩემს ნათესავებზე არ ვიცოდი-მეთქი. ამჯერად, აღარ გამიბრაზდა ხუმრობაზე. ჩაიხითხითა და, მის წინ თითქოს პატარა ბავშვი ვმჯდარიყავი, თითი დამიქნია და დამტუქსასავით: ჰაიტ, შე ძველო აფერისტო, კინაღამ ახლაც ხელიდან დაგვიძვერიო.

— ახლაცო?

— ხო, ახლაცო.

— კი მაგრამ, წინათ როდისღა დასძრომიხარ ხელიდან?

მერაბი პასუხს უგვიანებდა.

— მერაბ, გაფიცებ, ლევანი ხომ არ გიხსენა?

— რატომ მეკითხები?

— მარკარიანი იძიებდა, მაშინ, ლევანის საქმეს. ოღონდ, კაპიტანი მარკარიანი...

— ააა, გასაგებია. ყველაფერი გასაგებია. ჩემო თინიკო, მას შემდეგ თითქმის ათი წელი გავიდა და კაპიტანს ჩინი მოემატა.

— გიხსენა ლევანი?

—კი, მიხსენა. ესეც დასძინა: მაშინ გეძებეთ, მაგრამ ომის დრო იყო, გვეჩქარებოდა და არეულ გზა-კვალში ბოლომდე ველარ ჩაგიღექით. მერე სულელური დამიწყო — თუ იცოდი ლევან დავლიანის ორგანიზაციის ამბებიო...

— მერე?

— რა უნდა მეთქვა? რომ გითხრათ, არ ვიცოდი, დამიჯერებთ-მეთქი?

— რაო?

— არ დაგიჯერებთო. შენ მაშინ უნდა დაგვეკავებინე და გაგვესამართლებინეო.

— გამოგიშვა?

— აგერ, ხომ მხედავ?! გამომიშვა! რაღაც ქაღალდებზე ხელი მომაწერინა და გამომიშვა.

— რა ქაღალდებზე?,

— რიგიანად არც წამიკითხავს. რა აზრი ჰქონდა? თქვენს კეთილსინდისიერებას და გულმოწყალებას ვენდობი-მეთქი და, ყველა ქაღალდს ხელი მოვაწერე. გამომიშვა იმ პირობით, რომ ქალაქიდან არ გავალ. გამომიშვა, თუკი ამას გამოშვება ჰქვია.

— მერაბ, წინასწარ გულს ნუ გაიხეთქავ. ამდენი ხანი სიმშვიდე იყო, ხალხი წესითა და რიგით ცხოვრობს და, ახლა, რაღა დროს, რატომ...

— შენ, როგორც ჩანს, ჩემო თინიკო, დაგავიწყდა ყველაფერი და იმ ხნის მერე, ამისთანები რომ ხდებოდა, გგონია, დიდი დრო გავიდა. შენ რომ ლევანი დაკარგე, მას მერე, როგორც ჩანს, წაუყრუე ამ ამბებს. დაგავიწყდა ორმოცდაოთხი, ორმოცდაშვიდი... ხოდა, ახლა, გამოითვალე, რა დიდი დროც გასულა მას შემდეგ.

— შენ გგონია, ახლაც...

— კი არ მგონია, ზუსტი ცნობები დავადგინე. იქაც მყავს ერთი ძველი ქუთაისელი ნაცნობი — ახალგაზრდობაში კაი მაგარი ნაჯიბგირალი. ის მე ვერაფერს წამეხიდება, მარა... იცოდე, უახლოეს ხანს ისევ რაღაცას აპირებენ. უახლოეს ხანს ისევ წავა დაჭერები, გადასახლებები...

— მერაბ, რას ამბობ?

— რასაც ახლა ვამბობ, სულ ცოტა ხანში საქვეყნოდ გაცხადდება. ისევ რაღაცას ამზადებენ. გამალებული მუშაობაა შინსახკომში. რა და რა ხალხს რას დამართებენ, ეს აღარ ვიცი, მაგრამ მე რომ ფარცაგს მიპირებენ, ჩემთვის ცხადზე უცხადესია. როგორც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩანს, ჯერჯერობით, ხალხის აყვანის ბრძანება არ მოსვლიათ. ერთი კი ვიცი, ამ ათას ცხრაას ორმოცდათერთმეტს იქით არ გადააცილებენ. ასე მიმანიშნა იმ ქუთაისელმა ნაჯიბგირალმა და, თან, ტანიც მიგრძნობს, ჩემო თინიკო. მთელი სხეულით ვგრძნობ ყველაფერს...

— მერაბ...

— დამაცადე, ჩემო თინიკო. მთავარი ეხლა უნდა გითხრა. რომ დამიჭერენ და გადამასახლებენ, ეს მე უკვე დარწმუნებით ვიცი. გუშინწინ, დილით, ცირკის დირექტორმა დამიბარა და შეწუხებულმა მთხოვა, სამსახურიდან წასვლა-განთავისუფლების განცხადება დაწერეო. კაი კაცია, დავმეგობრდით წლების მანძილზე და, ესეც მთხოვა — რასაც გეუბნები, არსად წაგცდეს და ჩვენ რომ, აქამდე, მეგობრებად ვიყავით, ამასაც, გევედრები, ნურსად იტყვიო. ხომ გესმის? გაიხსენე, ასეთს რა დროს და რა ვითარებაში გაგიმხელს და შეგევედრება დაახლოებული კაცი? ხომ გესმის?..· ხოდა, ეს ორი დღე ბევრი ვიფიქრე და, დღეს დაგირეკე.

— ხო, მესმის... ხოდა, რა ვქნათ, მერაბ, რით შემიძლია დაგეხმარო, ვის მივმართო... ეგებ ალმასხანს მოვეთათბიროთ და...

— აჰ, არა, თინიკო. არა. სულ ზედმეტია. ჯერ ისე არ წავმხდარვარ, ჩემს თავს თვითონ ვერ ვუშველო! მე მაგისთვის არ დამირეკავს. მე ლარბის გამო დავრეკე უმთავრესად. ცხადია, ეს ყველაფერი შენთვისაც უნდა გამენდო, მაგრამ, ლარბი...

— რა ლარბი, მერაბ? ნუ მაშინებ!

— არა, არა, ლარბის გამო ნურაფრის შეგეშინდება. ეს რამ გაფიქრებინა. სხვა მქონდა მხედველობაში. — მერაბი გაჩუმდა. პაპიროსი ამოიღო, მოუკიდა. ჩამოჯდა თინათინის გვერდით; გარშემო უკვე ჩამოწოლილ ბინდში მიმოიხედა. მერე, სრულიად მშვიდად მიუბრუნდა თინათინს:

— ჩემო თინიკო, მგონი, ამის ახსნა არ გჭირდება, როგორ მიყვარს ლარბი. მისი სიყვარულიც იცი ჩემდამი. ხოდა, არ მინდა. ჩემი ამბავი ლარბიმ გაიგოს. არ მინდა, ბიჭი ზედმეტად გაბოროტდეს ცხოვრებაზე. ამ ცხოვრებაში უჩემოდაც მოჰყვა და მომავალში დახვდება მრავალი გულსატკენიც და სულის აღმვრევიც. ოღონდ ლარბი კარგად ამყოფოს ბედმა...

— მერაბ, რას ამბობ... რატომ ამბობ...

— არა, არა, მე სულ სხვას ვამბობდი, ჩემთვის ვამბობდი... ახლა კი კარგად დამიგდე ყური. სულ მთავარზე გადავდივარ.

მერაბი წამოდგა. პიჯაკის ჯიბეში ხელი ჩაიყო, იქიდან შემნახველი სალაროს წიგნაკი ამოიღო და თინიკოს გაუწოდა.

— რა არის ეს, მერაბ? რატომ მაძლევ?

— აქ ლარბის სახელზე ფული დავდე. შენ ეს ფული ამ დასაქცევი სახელმწიფოსგან მოპარული არ გეგონოს. ჩემი გარჯით და ჩემი შნოთი ნაშოვნია. ომამდელი დროიდან მოყოლილია ეს ფული და ჩემს ლარბის ალალად შეერგება.

— მერაბ, შენ ისე ლაპარაკობ და ისე იქცევი, თითქოს...

— თინათინ, გთხოვ, არ გვინდა ეს უაზრო სენტიმენტები და თავის მოსატყუებელი სიტყვები. მე და შენ არ გვჭირდება ეს. გამომართვი... ხო, კარგი, რადგან შენი ხელით გამორთმევა რატომღაც გიჭირს, მომე ეს ხელჩანთა.

მერაბმა თინათინის გვერდით, სკამერზე დადებული ხელჩანთა თვითონ აიღო, გახსნა, შემნახველი სალაროს წიგნაკი ჩადო და გახსნილი ხელჩანთა თავის ადგილზე დააბრუნა. ისევ ჩაიყო პიჯაკის ჯიბეში ხელი და გულსაბნევი ამოიღო.

— ეს გულსაბნევი დედაჩემის ნაქონია. მის სახსოვრად ეს ერთი შემრჩა, მაგრამ, აწი... შენ ისახსოვრე ჩემგან. შენ ჩემი კეთილი და ჭკვიანი რძალი იყავი ყოველთვის. ნება მომეცი, თვითონ შეგიბნიო და შეგხედო, როგორ მოგიხდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა კაბაზე გულსაბნევს უმაგრებდა, ხელზე ცრემლი დაეცა.

— მადლობთ, თინათინ. ასე მივითვლი, თითქოს საფლავზე დამიტირე. მაგის საშუალებაც, ალბათ, არ გექნება მომავალში.

თინათინს ცრემლი წასკდა, მერაბის ხელს ჩაებღაუჭა, ლოყა მიადო და აქვითინდა.

— ეჰა, თინიკო. ისე იქცევი, თითქოს ყველაფერი ეს უცხო იყოს შენთვის და ასკეცად ჩემზე ძვირფასიც და უკეთესიც არ დაგეკარგოს..., კაცმა რომ თქვას, ჩემთვის ეს წლებიც, რაც ვიცოცხლე, ნაჩუქარივითაა. შეეძლოთ, მე უფრო ადრეც ავეყვანე და, სულ შემთხვევით, სულ შემთხვევით დავუძვერი ხელიდან. ისე კი, აჯობებდა, ლევანთან ერთად, უფრო კაცურად, საქმის გამო წავსულიყავი. ეს ბოლო წლებიც, ლარბის გვერდით ყოფნამ თუ გამახალისა, სიცოცხლის საზრისი მომანიჭა. რომ იცოდე, რა მადლობელი ვარ ალმასხანის. ის რომ არა, ვინ იცის, აქამდე როგორ მოაწევდით, როგორ იქნებოდით. შენ ეს ნურასდროს დაგავიწყდება, თინიკო. ხო, მართლა, ალმასხანი, — მერაბმა ისევ ჩაიყო ხელი ჯიბეში, ოქროთი მოსევადებული ვერცხლის პორტსიგარი ამოიღო, იქიდან პაპიროსი ხელისგულზე გადმოიღაგა და ცარიელი პორტსიგარი თინათინის ხელჩანთაში ჩადო, — ეს კი, თინიკო, ალმასხანს გადაეცი ჩემგან სამახსოვროდ, შენცა და ლარბისაც მფარველად რომ გყავთ.

— მერაბ, ეს ხომ შენი პორტსიგარია...

— ჩემი რომაა, იმიტომ ვუსახსოვრებ, თორემ, აბა, სხვისი ნივთის გასახსოვრება გაგიგია? ჩემი... ჩემი, მალე, აღარაფერი აღარ იქნება. არც მე აღარ ვიქნები ჩემი!

ეს რომ თქვა, მუშტები მუხლებს დაჰკრა და ისევ წამოდგა. მთელი სხეული დაეძაგრა და შმაგად გამოსცრა კბილებში, — ვერ მივართვი! ვერა, თქვე ჯოჯოხეთის მოციქულებო! ახლაც მშრალზე უნდა დაგტოვოთ. ისე დაგისხლტებით, ისე გავქრები... საბოლოოდ...

— მერაბ, რას ამბობ, სად გაქრები, ახლა, სადღა დაუსხლტები?!

მერაბს ისეთი სახე გაუხდა, რომ თინათინი შეძრწუნდა. ასეთი არასდროს ენახა. მთელი სხეულით დაძაგრული თითქოს აღარც სუნთქავდა, სახე გაფითრებოდა და როგორღაც გარიყული, დაგეშილი მზერით ჩაციებოდა შორით, ბინდში, რაღაც წერტილს.

— მე ვიცი, ვიცი, რასაც ვამბობ. გუმანი არასდროს მღალატობდა. ცხადად ვხედავ, იმ ურჩხულმა ისევ აამოძრავა ბასრი საცეცები. კიდევ რამდენს გააწამებს და კაჰგუდავს თავისი ყინულოვანი მარწუხებით... მას ხომ სხვაგვარად არ შეუძლია — ის ხომ ხალხის სისხლით იკვებება, ხალხის წამებით სულდგმულობს, ბოროტების ნთხევით სუნთქავს...

— ვინ ურჩხული? აღარაფერი აღარ მესმის შენი, მერაბ! გევედრები, ცოტა დამშვიდდი...

— ის ურჩხული, მთელი ქვეყანა რომ მოატყუა და, აი, უკვე, თითქმის ნახევარი საუკუნეა, სულსა გვხდის. შენ რა, ის, მართლა ადამიანი ხომ არ გგონია?!

მერაბმა ისე საიდუმლოდ და ისეთი თვალებით მიმოიხედა, რომ თინათინს ჟრუანტელმა დაუარა — ხომ არ შეიშალაო. მერე, ადგილზე აწრიალდა, პაპიროსი ამოიღო, მოუკიდა, რამდენჯერმე ღრმად შეისუნთქა თუთუნის კვამლი, ისევ მიმოიხედა და ჩურჩულით განაგრძო:

— სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირიო, რომ უთქვამთ, მეც მეხება ეს, ნაწილობრივ მაინც... ახლა, მეც რომ მომწვდა იმ ურჩხულის საცეცები, ბოროტი უფრო თვალნათლივ და სრულად განვჭვრიტე. რასაც ადრე შემთხვევებს ვაწერდი და ზღაპარივით მეჩვენებოდა, ამ ორ კვირაში ყველაფერი ის გამახსენდა, ყველაფერი გავიაზრე და, მივხვდი... უცხადესად დავინახე, ჩემო თინიკო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერაბმა შუბლი მოისრისა, თითქოს აბნეულ ფიქრებს თავს უბამდა.

— მოგეხსენება, ახალგაზრდობის წლები ხეტიალში გავატარე. სად არ ვყოფილვარ, რა ჯურის და რა ზნის ხალხთან არ მქონია საქმე; რა არ მსმენია და რა არ მინახავს, რაც კი ჩუმად, შეფარულად ჯერ კიდევ იყო, ჯერ იძვროდა, ცუდიც და კარგიც... ათასგვარი ტყუილი და მართალი მომისმენია ძველი ხალხისგანაც. მაშინ ყურადღებას არ ვაქცევდი იმათ ნაამბობს, მოხუცების მითქმა-მოთქმას... ახლა მენიშნა, ამ ორ კვირაში რომ გავიხსენე და დავუკვირდი... ასე ამბობდნენ: ქრისტე რომ იყო, ამას წყალი არ გაუვაო; ქრისტეს მოციქულებიც რომ ცხადში არსებობდნენ, ქადაგებდნენ და ილწვოდნენ — ესეც ნამდვილზე ნამდვილიაო. სულიწმიდას უეჭველობასაც სხვადასხვანაირად ადასტურებდნენ. მართლაც და, თუ სულიწმიდათი მარიამის საშოში ქრისტეს ჩასახვას არ ვირწმუნებთ, ის ხომ ისტორიული წყაროებითაც და ფაქტებითაც წარმოჩენილია, რომ იესო მოძღვარი და სასწაულმოქმედი მართლა არსებობდა. ამ წყაროებს და ფაქტებს ჯერ კიდევ გიმნაზიაში სწავლის დროს გვაცნობდნენ. რაც მთავარია, ის ისე უცნაურად დაიბადა, რო მისმა მამამაც, იოსებმა, მარიამის ქმარმა, რიგიანად არაფერი იცოდა ამის შესახებ; ის კი იცოდა, რომ თვითონ არავითარი წვლილი არ შეეტანა იესოს გაჩენის საქმეში. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მართლა სასწაულივით რომ არ ჩასახულიყო იესო, მაშინ, მისი ეგრეთ წოდებული მშობლები, მარიამი და იოსები, ასე მოიქცეოდნენ? ის იოსები, მარიამის საქმარო, ხომ კაცი იყო, დავითის ძე; სოფლად ცხოვრობდა, ჰყავდა მშობლებიც, ნათესავებიც, მეზობლებიც; ცხოვრების წესი და რიგი ჰქონდა იმ ხალხს, ზნეც ჰქონდა და თავმოყვარეობაც. აბა, დაუკვირდი: საცოლისგან მოყოლილ შვილზე, რომელი კაცი იტყვის, წმინდა არისო და, თანაც, ქედს ასე ვინ მოიდრეკს საცოლისგან მოყოლილის წინაშე, იოსებმა რომ მოიდრიკა? სასწაული გამოეცხადა და იმიტომ მოიდრიკა ქედი, იესოს შემოქმედ-დამბადებელ სასწაულს სულიწმიდა უწოდეს და ხალხმაც ასე იცოდა. ვისაც რა უნდა, ის უწოდოს — სასწაული კი იყო.

თინათინი ახლა, ისე უყურებდა და უსმენდა მერაბს, თითქოს ის სხვად ქცეულიყო და თითქოს შორიდან, სხვა სამყაროდან ელაპარაკებოდა.

— რომ დაუკვირდე, სასწაულივითაა ცხოვრება! და იმ ხალხს, რომ სწამდა სასწაულის და სულიწმიდასი, ისიც სწამდა და, არაერთხელ ჩემთვისაც უთქვამს, რომ ავსულიც არსებობს. დაახლოებით ასე ამბობდნენ: ავსულიც სასწაულებრივ მოქმედებს და, დროდადრო განკაცებულის სახით, თავის ნაშიერს ისე ჰბადებს, რომ მისი ნამდვილი შემქმნელი მამის ვინაობა დაზუსტებით არც არავინ იცისო. შენც გაგიგონია, ალბათ, ანტიქრისტეს სახელი. იმას გულისხმობდნენ ავსულის გაჩენილ განკაცებულ არსებებში და დასძენდნენ, რომ, როგორც ქრისტეს, ასევე ანტიქრისტეს თავისი მიმდევარ-მოწაფეები, თავიანთი მოძღვრების და ნების აღმსრულებლები ჰყავსო. ოღონდ, თუ ქრისტე რიდეახდილად მოღვაწეობდა და მოძღვრავდა ხალხს, ანტიქრისტე მუდამ შენიღბულად მოქმედებდა და მოქმედებს — თავის ნამდვილ წარმომავლობას, ნამდვილ გამჩენ ძალას მალავსო...

თინათინი საბოლოოდ და გარკვევით ახლა მიხვდა, ვიზედაც ლაპარაკობდა ასე ქარაგმულად მერაბი. შეძრწუნებულმა მიმოიხედა — ახლომახლო, შემთხვევით, ვინმე ხომ ხარ არისო. უნდოდა შეეჩერებინა მერაბი, მაგრამ ესეც ვერ მოახერხა. ის ისე უცნაურად გამოიყურებოდა, მთელი არსებით ისე დაძაბული იყო, რომ შეკამათებაც ვერ გაბედა. ხან ბოლთას სცემდა, ხან ადგილზე გაქვავდებოდა, ხან გვერდით მიუჯდებოდა. ძალიან ღელავდა, მაგრამ სათქმელს ჩაძიებით, სრული განმარტების ჟინით მისდევდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითქოს საკუთარი თავის წინაშეც ამოწმებდა ნაფიქრალის სისწორეს. ხანმოკლე დუმილის შემდეგ როგორღაც ნიშნისგებით განაგრძო:

— მისი მამის ვინაობაც და სადაურობაც განა ვინმემ იცის რიგიანად და დაზუსტებით?! კი, წერენ და თვითონაც ასე აცხადებს, ბესარიონის ძე ვარო, მარა, ამდენი ტყუილის მოქმედს და მთქმელს, მაინცდამაინც ეს დაეჯერება?! შემხვედრია ხალხი, რომ არ სჯეროდა ეს და სულ სხვა აზრის რომ იყო მისი შემქმნელ-შემოქმედი მამის თაობაზე. სხვადასხვა აზრი მომისმენია სხვადასხვა ჯურის ადამიანებისგან. ერთნი ერთს მიაწერდნენ მის მამობას, მეორენი მეორეს... შენც გაგონილი გექნება ასეთი ჭორები და მისი ნამდვილი მამის სავარაუდო ვარიანტებიც. თუ დაკვირვებიხარ იმ ამბავს, რომ არც შინსახკომი და არც თვითონ ის, ასეთი ჭორების გამავრცელებლებს არ აქრობს. განა საოცარი არ არის: საეჭვო პირებთან, შემთხვევით და წინდაუხედავად, ოდნავ გადაბრუნებული სიტყვაც რომ წამოგცდეს მასზე, ციხეში ამოგალპობენ, ხოლო მისი ნაბიჭვრობის მახსენებელ ადამიანებს არაფერს ერჩიან. რამდენჯერმე პირადად მეც შევსწრებივარ, პურ-მარილზე, ხმამაღლა რომ უთქვამთ, მისი ნამდვილი მამა ესა და ეს არისო. დარწმუნებული ვარ, შენცა გსმენია ასეთები. მერედა, არ გაგკვირვებია? რატომ, ჰა?! ხელს რომ არ ეძლევდეს თვითონ მას ასეთი მითქმა-მოთქმა, ლედაბუდიანად არ ამოძირკვავდა ჭორის ყველა მთქმელს თუ არა, თითო-ოროლას მაინც, როგორც იტყვიან ჩვენში, სამაგალითოდ და დასაშინებლად?! შენი არ ვიცი და, მე კი საგულისხმო, ნიშნეულ ამბად მეჩვენება ეს. სახელმწიფო მესვეურს კი არა, უბრალოდ კაცს რომ დაუყარო ასეთი ხმა, არ შეგარჩენს, სამუდამოდ გადაგემტერება, ყოველ ნაბიჯზე გიხიმანებს. ის კი — ვითომც არაფერი: ულვაშებში ილიმება და ხელსაც არავის ახლებს. პირიქით, თავადაც მოგეხსენება, რომ ასეთი ჭორების ერთ-ერთი ობიექტის, მისი ვითომც ნამდვილი მამა-შემქმნელის შვილი, ვითომც მისი უკანონო ნახევარ-ძმა, სილიბისტრო ჭოჭაშვილი, რარიგ პატივშია ჩვენი მთავრობისგან...

— ეს ხომ ჭორებია, მერაბ?! უბრალოდ, გორში მეზობლად ცხოვრობდნენ და...

— მეც მანდა ვარ! ჭორებია! მასზე არცერთნაირი ამგვარი ჭორის იოტისოდენაც არა მჯერა. ტყუილია! მეც ამას ვამბობ! არც ჭოჭაშვილი და არც სხვა, ჭორებში ნახსენები პირი, პირადად მე არ მიმაჩნია მის მამა-შემქმნელად, რადგან სხვა შესაძლებლობასაც არ გამოვრიცხავ.

— რომელ შესაძლებლობას, მერაბ? ნეტა რას მიედ-მოედები, თუ გესმის?! — თავი ველარ შეიკავა და შეუტია თინათინმა.

— დაუკვირდი იმას, ვინ იყო ბესარიონი, რომლის ძედაც ის ოფიციალურად იწერება. ვინ იყო და, როგორც ამბობენ, ერთი უჯიშო, გალოთებული, საცოდავი მეწაღე, რომლისგანაც მის ცოლს, კეკეს, სხვა არც ერთი შვილი არ შერჩენია. არ ეწერა ბესარიონს და კეკეს პატიოსანი ოჯახური ცხოვრებით შვილების ყოლა. გალოთდება და ცოლზე გულს აიყრის კაცი, აბა, რა იქნება, როცა სამი ჩვილი, თვალის ახელისთანავე ჩააკვდება ხელში. ქალსაც სასოწარკვეთა მოიცავს, აბა, რა იქნება... ალბათ, შენც გსმენია, რომ იმის დედას, კეკეს, შაურ-კეკეს ეძახდნენ გორში და, რისთვისაც ეძახდნენ ასე, ალბათ, ესეც გსმენია. ახლა, მაპატიე ამ სიტყვისთვის, მარა, ვინ მოთვლის, ღობე-ყორეში, თივის ზვინებსა თუ ბუჩქებში, შაურ-შაურად, ვინ ოხერს, ჩვენებურს თუ გადამთიელს არ გადაყრია. სწორედ მას შემდეგ შეეძინა და შერჩა კიდეც სოსო, ქმარი რომ გაულოთდა და თვითონ კი გაშაურშაურდა. ჩვეულებრივად რომ გავიაზროთ, ჯერ იმდენი ცოდვის აღრევა, რას ჩაუსახავდა, თუ არა ბოროტს... მაგრამ, ამქვეყნად მის მოვლინებას, ჩვეულებრივი საზომით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერ განსჯი და, მის გაჩენაზეც, ჩვეულებრივი ყოფაცხოვრებითი ჭორების კვალად, აქა-იქ, ხალხში, ზღაპარივით შემორჩენილი ვარაუდები, პირადად მე სავსებით შესაძლებლად და საცნაურადაც მესახება.

— რა ვარაუდები, მე არაფერი გამიგია, არც ვიცი...

— რა და, ავსულის ჩასახულიაო, — ჩასჩურჩულა მერაბმა და, იქან, პირჯვარი გადაიწერა.

— კარგი ერთი, ნუ სულელობ, ამხელა კაცი ხარ და...

— მისმინე, მისმინე აგერ, რას გეტყვი და შენ თვითონ განსაჯე. მე კი არ მომიგონია... ბათუმში, ბულვარის შესასვლელთან გლახა-მათხოვარი იჯდა მთელ თვეს, მე რომ ბათუმში ვმუშაობდი, სწორედ იმხანად. ადრე მღვდელი ყოფილა და, თურმე, ისეთი დღე დაუწევიათ მისთვის, რომ გამოლენჩდა, ირგვლივ სულ შიშით და უნდობლად იყურებოდა, კრინტს არ ძრავდა... ფულს ვჩუქნიდი იმ გლახას, გვერდში მივუჯდებოდი ხოლმე და ვესაუბრებოდი. რატომღაც იყო — მომენდო. თავდაპირველად იშვიათად იტყოდა რამეს. მერე, ხმა გამცა, გამიღიმა. ერთხელაც, რომ ვუამბობდი ქვეყნის ამბავს, მითხრა — მაგი არაა ადამიანის შვილიო, ავსულის ჩასახულია დედის საშოშიო. ერთ დღეს უკვალოდ გაქრა ის გლახა და მერე მისი გვამი მახინჯაურთან გამორიყა ზღვამ. განა მარტო იმ გლახა მათხოვარს, სხვასაც უთქვამს რაცხა ამის მსგავსი. მართალია, ზღაპარივით მონაყოლია, მიამიტურად ნათქვამია, მარა, პირადად მე, რაღაც-რაღაცეები მეჭეშმარიტება, რაღაც მენიშნება ასეთ ზღაპარშიც... მიდი ახლა და, მისი ბოროტების და სასწაულების მომსწრე, ნუ დაიჯერებ, რომ ავსულის ჩასახული არაა...

— ახლა, შენ, მერაბ, არ გეწყინოს და, ქალბატონი ელისაბედივით ალაპარაკდი, — ხუმრობით ჩაურთო სიტყვა თინათინმა, რომ მერაბიც აეყოლებინა, გამოეთიშა იმ რაღაც უცნაური დაძაბულობისგან და თვითონაც ოდნავ შეებით ამოესუნთქა: — ისიც დაახლოებით ასე ამბობდა ხოლმე, სატანაო, ანტიქრისტეო... ასეთებს ჩუმად, თავისთვის ჩურჩულებდა, მე რომ არ გამეგონა...

— ელისაბედი? ელისაბედი სხვა ქალი იყო, ჩემო თინათინ, უბრალო ქალი არ იყო ელისაბედი. გულთმისანი იყო თითქმის... ასე ამბობდაო. სწორადაც ამბობდა. მაშ, სატანა თუ არ იყო და ლღემდე ასეთად თუ არ მძლავრობს — როგორ? საიდან? რანაირად ეს ყველაფერი .

— რა ყველაფერი, მერაბ?!

— რანაირად მოახერხა ეს ყველაფერი?! ამხელა ქვეყანას როგორ მოაჯდა და თავის ნებაზე დაატრიალა? ჩვეულებრივად რომ განსაჯო — ვინ? გორელმა ვიგინდარამ, უსწავლელმა, უჯიშომ, ულუკმაპურომ, სამშობლოდან გაგდებულმა... აქ, ჩვენთან, საქართველოში, მაგას ხომ არავინ ენდო, არავინ ყურიც არ ათხოვა; ეროვნულ პარტიებზე არას ვიტყვი, თვით ჩვენი სოციალ-დემოკრატებიც ცერად უყურებდნენ. ეს რაა?! გასაბჭოების მერეც, ოცდაორში, მოსკოვიდან ჩამობრძანებულს, თბილისის დეპოს მუშებმა, კრებაზე, უსტვინეს... ჩვეულებრივი ეგონათ... გაამასხრეს... მაშინ მასში ვერავინ დაინახა მისი ნამდვილი სახე, როგორც ჩანს, არა მარტო დიდი სიკეთის, დიდი ბოროტების პიროვნებასაც საკუთარ სამშობლოში რიგიანად ვერ ცნობენ. როგორც ჩანს, არა მარტო შინაურ მღვდელს, შინაურ ეშმაკსაც შენდობა არა აქვს... ახია, ახი! იმის ნაცვლად, რომ გველისთვის მისსავე სოროში ჩაეჭეჭყათ თავი, ჯერ შაურ-კაკეს ძახილით გაახელეს და, მერე, რუსეთში გააქციეს, სადაც არავინ იცნობდა და წესიერი მშრომელი ადამიანების, ჩვეულებრივი პროლეტარების ნაშიერად მიიღეს. იქ შეაცდინა მილეთის ხალხი... და მერე?! მერე?! ეს ხომ სულ ახლახან, ჩვენს თვალწინ მოხდა?! თავის სატანურ ჭკუაზე ატრიალა რუზველტიც, ჩერჩილიც და ყველა, ყველა... მთელი მსოფლიო ისე მიაბრუნ-მოაბრუნა, ისე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაატრიალ-გადმოატრიალა, რომ თავბრუ დაახვია კაცობრიობას. ყველა პოლიტიკური მოღვაწე პირში ჩალაგამოვლებული დატოვა. ჰიტლერი ხომ შეშალა და კატასავით აჩხავლა; მაო ხომ ფერხთით დააჩოქა; სხვას თავი დაანებე — აგერ, ჩვენს თვალწინ, აშიმშილებს და ხოცავს ასიათასობით ხალხს და, თან „ჩვენო მამა-მასწავლებელო“, „ჩვენო ბრძენო“, „ჩვენო კეთილო“, „ჩვენო საყვარელო“ აძახებინებს. განა, კაცის შვილს, ადამიანს, ამის ქმნა ძალუძს?! ტირანები ყოფილან ქვეყნად, მაგრამ — ასეთი?!

— ჩუ, მერაბ...

— აი, შენც, იმ ხალხის მამის სიბრძნით და სიკეთით გაწამებული ოჯახის ნაშიერი, მისი სამართლით სიკვდილმისჯილი ლევან დავლიანის ქრივყოფილი, შენც, რომ მისმენ, გულის სიღრმეში შენც კი მამტყუნებ და, საერთოდ კი, მრავალთა მსგავსად, მადლსაც სწირავ, ბრძენადაც თვლი და არც იაზრებ — ვის? რისთვის? რატომ?

— მერაბ... გაჩუმდი, გევედრები... მეშინია, შენი ყურის გდებაც მაშინებს, მერაბ, — ულონოდ მიუგო თინათინმა, თუმცა ხედავდა, რომ ამ წამს მერაბს ვერ დაადუმებდა — მას ლავასავით ასკდებოდა ყელში ბოღმასათქმელი და ყოველ სიტყვას, თითქოს მისდა უნებურად წარმოთქვამდა.

— ქართველიო, რომ ამაყობთ?! მართლა ქართველი კაცის შვილი რომ იყოს, აგრე რიგად გაგვწირავდა, ეგოდენ უდანაშაულო სისხლს დაღვრიდა თავისივე ერიშვილების, ასეთ უსაშველო მონებად გადაგვაქცევდა?! მაგანაც თავისი მიმდევრები და მოციქულები გამობრძმედა, გაამრავლა და მთელს დუნიაზე მიმოჰფანტა. ის დამქაშებიც სატანის ძალამ დააბრმავა და გააგიჟა, თორემ, შვილი უზამს მამას, რაც ამათ ჩვენს ხალხს და მიწა-წყალს უყვეს?! სამშობლოს თავისუფლება გაყიდეს, ძლივს გამთლიანებული ქვეყანა დაჩეხეს, დააქუცმაცეს, მიწები გაასაჩუქრეს, საზღვრები შეგვიკვეცეს... ხალხი ჯერ მოატყუეს, მერე ამოჟლიტეს, ამოჟლიტეს ყველა, ვისაც სული, ჭკუა და თავმოყვარეობა ჰქონდა... არა, არა, ჩვეულებრივი თვალთახედვით ამის გააზრება — ყველანაირ შესაძლებლობას აღემატება. ეს მართლაც სასწაულია! უსაზარლესი, საბედისწერო სასწაული! ასეთი სასწაულებისთვის ის თავიდანვე ემზადებოდა, ყრმობიდანვე, გორიდანვე. შენ თუ გგონია, მართლა ორიანებისთვის გამოაგდეს გორის სასულიერო სემინარიიდან, როგორც ამას ახლა წერენ და გულუბრყვილო ხალხს უნერგავენ...

— აბა, რისთვის, მერაბ? რაებს ამბობ, სულ ნუ შემშალე...

— მეტი არაა ჩემი მტერი, ვითომ მაგას სწავლის ნიჭი და უნარი არ ექნებოდა. მაგ იმიტომ გამოაგდეს სასულიერო სემინარიიდან, რომ შავი მაგიის ამსახველი წიგნები უპოვეს და რაღაც უცნაურობებსაც ავლენდა ხოლმე სასწავლებელში. ასე მითხრა ერთმა კაცმა, სასულიერო სემინარიაში მასთან ერთად რომ სწავლობდა. სხვამაც მითხრა, თითქმის იგივე, ერთმა ძველმა პროფესორმა, რომლის სახელს არ ვახსენებ, რადგან ჯერ ცოცხალია და შენც იცნობ იმას...

— არა, მერაბ, შენ ვერ ხარ კარგად... შენ ბოდავ, ბოდავ!

— მე არ ვბოდავ. რაც მსმენია და რაც თვითონ მენიშნა, იმას ვიაზრებ. ის შენიღბული ურჩხულია, შენიღბული ანტიქრისტე! თუმცა, ნიღბებიც აიხადეს, როცა ეკლესიებს ეძგერენ და ლამის სულ მთლად გააცამტვერეს... დღემდე ვერ დაცხრა. ვერც დაცხრება, სანამ სული სხეულში უდგას. არა, არაა კაცის შვილი, ბოროტი სულის ბლნაგია. მე იმას ვფიქრობ, რომ ჩაძაღლდება, ბოროტ სულს მაინც თუ წაიყოლებს, — ეს ბოლო სიტყვები ფიქრიანად დასძინა მერაბმა და, უცებ, მთელი სხეული მოეღვენთა. ისევ ჩამოჯდა სკამმერხზე თინათინის გვერდით და თავი ჩაქინდრა.

— ასე, გული გაგისკდება, მერაბ, რომ გისმინე და გიყურე, ასე მგონია, იმ საქმესაც აზვიადებ, რისთვისაც იქ

გამოუძახებიხარ. დამშვიდდი, წინასწარ გულს ნუ გაიხეთქავ... ასეთი რა შიში გაგიჯდა, ბიჭო? შენგან არ მიკვირს? მოდი, ჩვენსას წავიდეთ. ლარბის ნახავ, გაერთობი, გულს გადააყოლებ, გუნება გამოგიკეთდება...

მერაბმა ნაღვლიანად გაიღიმა და ხელი ჩაიქნია:

— ცოტა ზედმეტი კი მომივიდა, ჩემო თინიკო, მარა, არ იფიქრო, შიშმა მალაპარაკა. არც არაფერი გამიზვიადებია. ოქტომბერია ხომ, ახლა? ხვალ თუ არა ზეგ, საკუთარი თვალით დარწმუნდები, რომ ყველაფერი, რაც გითხარი , მართალია. ახლა, ამას ნუ ჩამეძიები, ვინ რა მირჩია და ვინ რანაირად გამაფრთხილა... შინსახკომშიც ყველა დაბადებით მკვლელი და ოხერი არ არის, მათში ადამიანიშვილიც ურევია და ის, თუნდაც იგივე ჩემი ქუთაისელი ნაცნობი, იქითაა შეწუხებული. შინსახკომელს კი არა, ჩვენს თავსაც რომ დავუკვირდეთ — რომ არ ვიაზრებთ და ვერ ვგრძნობთ, ისე ვკლავთ რაღაც-რაღაცეებს და, ზოგჯერაც, შესაძლოა, ვიღაც-ვიღაცეებსაც... რომ არ ვიაზრებთ და ვერ ვგრძნობთ, ისე ვექვემდებარებით ბოროტს, ისე ვხდებით უმსგავსობის ზიარნი. განზე მყოფი კაცის თვალით თუ განსჯი, ამ ქვეყანაში ხელგაუსვრელად ვერც ვერსად იმსახურებს ადამიანიშვილი. მეწაღე რომ მეწაღეა, ისიც, ზოგჯერ, ნებით თუ უნებურად, ვინმე მკვლელს და ოხერს უკერავს ჩექმას და საკუთარი ნახელავით კოხტად ატარებს ბოროტის გზაზე. ვისაც სად მიუწვდება ხელი და მოეხერხება — იქ ირჯება, იქ იძენს სარჩო-საბადებელს. და იმ ჩემმა შინსახკომელმა ნაცნობმაც რა ქნას, თუ ასეთ სამსახურში ტკუცა თავი და, მერე, რაღაც დავალება ან მითითება თუ მიიღო. ჩვენც, ასე, სულ დავალებით და მითითებით არ ვმოქმედებთ? ოღონდ — მე აღარ მინდა! ხოდა, უნდა დავასწრო, მშრალზე უნდა დავტოვო მაიორი მარკარიანი.

მარკარიანის ხსენებაზე მერაბმა მისებურად, რომ სჩვეოდა, ჩაიქირქილა. გადაღლილ-გაწამებული იერი რომ არა, ნელ-ნელა ისევ დაემსგავსა ავბედითობასთან გუნებით შეხუმრებულ მერაბ ყიფიანს. ეშმაკური ღიმილი აუთამაშდა ტუჩებზე და თინათინს უთხრა:

— იცი, რას გეტყვი? მთელი ცხოვრება იმ მონადირე ძაღლივით ქალაქ-ქალაქ და სოფელ-სოფელ დავყიალობდი, ჯერ პატრონი რომ მოუკლეს და მერე თვითონაც რომ გამოაგდეს გომურიდან; არავისთვის შემიღრენია ცუდად, არც არავისთვის მიკბენია და ცოფიც არასდროს შემყრია. ახლა, ჩემო თინიკო, ძაღლურ ცხოვრებასაც არ მაკმარებენ და არ მაცლიან. ხოდა, თავს მე თვითონ უნდა ვუშველო. მე მაგათ მართლა ცირკს მოვუწყობ — ნამდვილ ცირკს! საცოდავად არ დავნებდები, რომ სადღაც დასაკარგავში პატიმრად ჩავკვდე. ჩემსას, თინიკო, შენ ნუ იდარდებ. შენ ოღონდ ლარბის გაუფრთხილდი. ჩვენი ჯილაგიდან ის ერთი მაინც შერჩეს ქვეყანას და, ეგებ, ის მაინც მოესწროს ადამიანურ ცხოვრებას...

— ხოდა, გეუბნები, წამოდი ჩვენსას, ლარბი ნახე. სწორედ გუშინ გიკითხა, სად არის ბიძაჩემიო...

— მიკითხა? ხო, მართლა, კიდევ კარგი, ლარბი ვახსენეთ. კინაღამ დამავიწყდა. ლარბის ბარათი დავუწერე. ახლავე მოგცემ და, გადაეცი.

მერაბმა გულის ჯიბიდან ოთხად დაკეცილი ბარათი ამოიღო, დახედა, თითებში შეათამაშა და თინათინს გაუწოდა:

— რომ მიკითხავს, მაშინ გადაეცი. აქაც ვწერ და შენც შენი მხრიდან ასე უთხარი, რომ ქართულ ცირკს ხანგრძლივ საგასტროლო ტურნეში წავყევი. მერე, რამეს მოიგონებ — ვითომ სხვა ქალაქში დავრჩი საცხოვრებლად ან რამე ამდაგვარს. კარგი იქნება, ალმასხანმაც ჩემი ამბისა არაფერი იცოდეს. იმანაც ასე იფიქროს, თითქოს თბილისიდან სხვაგან გადავედი საცხოვრებლად, — უცებ, მერაბს მხიარული ღიმილი გადაეკრა სახეზე, თინათინს თვალებში ალერსით ჩახედა და უთხრა, —

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენც ასე იფიქრე, თინიკო. სინამდვილეშიც, მე ხომ მართლაც სხვაგან მივდივარ. ცირკის ამბებს კი, თქვენ, უჩემოდ, არც არასდროს მოიკითხავთ. მე სასწრაფოდ უნდა გავქრე, ძალიან სასწრაფოდ. ამიტომ, შენთან სტუმრობის და ლარბის ნახვის დროც აღარ მრჩება. რაც საქმე მქონდა, კიდეც გითხარი და კიდეც მოვასრულე.

მერაბს უკვე სრულიად მშვიდი გაუხდა სახე და თინათინმაც ალერსით გაუღიმა. წამით იმ ფიქრმაც გაუელვა; ალბათ, ისევ სადმე გადაკარგვას და შინსახკომის თვალსაწიერიდან გაუჩინარებას აპირებსო.

— მადლობთ, მერაბ. ყველაფრისთვის მადლობელი ვარ შენი. შენი სიყვარულისთვის, ერთგულებისთვის და...

— ხო, კარგი, ახლა... აუჰ, თითქმის თავს დაგვაღამდა, — მერაბმა საათს დახედა, — რა დრო გასულა? რვა ხდება. უკვე ცირკში უნდა ვიყო. წავიდეთ, თინიკო. შენ შენი სახლი მოგელის, მე ჩემი ცირკი! — თქვა და არტისტულად ხელი აიქნია.

თინათინი წამოდგა. მერაბმა ხელმკლავი გაუკეთა და ისინი სწრაფი ნაბიჯით აუყვნენ ბილიკს. ბაღიდან რომ გავიდნენ, წამით, პირისპირ უხმოდ შედგნენ, ერთმანეთს გაუღიმეს, თვალებში ჩააცქერდნენ. თინათინმა მერაბის თვალებში უეცრად ჩაღვრილ ნაღველს ვეღარ გაუძლო, ცრემლმორეულმა გადაკოცნა, შებრუნდა და, მარცხნით, სახლისკენ გაუყვა ქუჩას. მერაბმა თვალი გააყოლა და, მერე, სწრაფად, მარჯვნივ, ცირკისკენ დაუყვა დაღმართს.,,,

თინათინი მიდიოდა და არ იცოდა რა ეფიქრა — რა მოელოდა მერაბს. გამომძიებელი მარკარიანის მისამართით მისი მოქილიკე დანაქადნიდან, მშრალზე დავტოვებო, ერთი გარკვეული აზრი ვერ გამოიტანა — ხელიდან რანაირად უნდა დასძვრომოდა შინსახკომს. მისმა ყოველმა სიტყვამ, მისმა ქცევამ და იერმაც ისე შეაძრწუნა, რომ ვეღარც ჩაეკითხა, რეალურად რას აპირებდა; და ახლაც, ამ კითხვას ისე გაწერიდა, თითქოს წინასწარ გრძნობდა, რომ ყველანაირი სავარაუდო პასუხი შემზარავი აღმოჩნდებოდა.

ისიც არ უნდოდა დაეჯერებინა, რომ უახლოეს ხანს რეპრესიები დაიწყებოდა და, მერაბის ნალაპარაკებიდან კარგად ვერც მიხვდა, თვითონ მერაბს რა ბრალს სდებდნენ. თავდაპირველად შეცდომით რომ დაიბარეს და ბიძამისში რომ შეეშალათ, ეს ცხადი იყო. თუმცა, შეცდომა საბედისწერო კი აღმოჩნდა. ბრალდებებს მერე დაუწყეს ძებნა, თუკი ამას ძებნა ქვია. ძებნა კი არა — გამოგონება. პირველი ბრალდება — კანადაში ბიძაშვილის ყოფნა, მეორე — ლევან დავლიანის დეიდაშვილობა, მესამე — რომ ლევანის საქმის გამოძიების დროს ვერ იპოვეს, ვერ მიაგნეს და დღეისთვის დაუდგენელი, დაუსაბუთებელი დარჩა, საკუთრივ მერაბის მისამართით, იცოდა თუ არა მან ლევანის ორგანიზაციის შესახებ; მეოთხე... მეოთხეც, მეათეც და მეასეც, ალბათ, ის, რომ მერაბი დაიბადა! საკმაოდ ბევრი ბრალდებაა, თუკი მარკარიანი მოინდომებს და ბრალდებად ჩაუთვლის ყოველივე ამას. რა სისულელეა! არა, შეუძლებელია! თუმცა... თინათინს, უცებ, მერაბის სიტყვები გაახსენდა: „შენ რა, თინიკო, დაგავიწყდა ყველაფერი..." ჰო, ბოლო ხანს ისე ცხოვრობს, რომ მართლა ყველაფერი გადაავიწყდა. ახლაც ამიტომ უკვირს, რანაირად შეიძლება, ასეთი სისულელეები ბრალდებად წაუყენონ მერაბს, — თითქოს არც არასდროს მოსწრებია ყოველგვარი დანაშაულის გარეშეც ადამიანთა გაწამებას. მაგრამ ყველაფერი ეს მაშინ ხდებოდა, როცა იყო წინააღმდეგობაც, გარკვეული საშიშროებაც და ხმამაღლა თქმული განსხვავებული აზრიც; ახლა კი, ახლა, რაში სჭირდებოდათ ეს, როდესაც ვეღარც იმას და ვერც სახელმწიფოს წესწყობილებას ვეღარავინ ვერაფერს დააკლებს; ან კი სადღა ეგულებოდათ „ხალხის მტრები" და „სახიფათო ელემენტები". ვისი მიჩნევაც ასეთებად შე-

იძლებოდა, ყველა გააქრეს; ისეთებიც გააქრეს, რომ ვერასგზით ვერც წარმოიდგენდა ადამიანი „ხალხის მტრებად". თინათინს, უნებურად, გაახსენდა ყველა ნათესავი, ნაცნობი და პედაგოგმასწავლებელი, ვინც კი სულ უმიზეზოდ აეყვანათ და გაექროთ. თითოეულის სახე ცოცხლად წარმოუდგა თვალწინ და სიმწრისგან ხმამაღლა წამოსცდა: „ბოროტი! უბოროტესი!" ვიღაც გამვლელმა თვალი გააყოლა. თინათინმა ენაზე იკბინა და ირგვლივ მიმოიხედა. უფრო სწრაფი ნაბიჯით გაუყვა ქუჩას და თავისთვის ჩაილაპარაკა: „ეს რა მომდის? საკმარისია ამაზე ფიქრი! მაგრამ, ამდენი... ამდენი... ღმერთო!.. არა, მერაბმა სულ ამშალა... წარმოუდგენელია!.. რატომ? რაში სჭირდებათ?!".

თინათინი, ცხადია, იოტისოდენადაც ვერ დაიჯერებდა რაღაც გულუბრყვილო ზღაპრებს ანტიქრისტეებზე, სატანებზე და განკაცებულ ურჩხულებზე. მერაბის მხრიდან ამგვარი ზღაპრების მიდებ-მოდება მან მიიჩნია ხიფათით გამოწვეული შოკის, მერაბის არსებას დაუფლებული ფსიქოზის, ერთგვარი შიზოფრენიის გამოვლინებად. სისხლისმსმელიო? ესეც რაღაც არარეალური იყო. უფრო დამაჯერებელი იქნებოდა — სისხლისმღვრელი. და კიდევ უფრო სარწმუნო ცნებაა — ტირანი... არა — დესპოტი... მერე, რა უნდა? რაში სჭირდება ამდენი, ამდენი სისხლი, ამდენი გაწამება... პოლიტიკური სიფხიზლე? სახელმწიფო უსაფრთხოება? ვისგან იზღვევენ თავს — მერაბისგან? მერაბია სახიფათო? მაშ, მერაბის და მისნაირების ჯერი დადგა? მართალია, მერაბი არც არის და ვერც იქნებოდა ამ სახელმწიფოს წყობის და ცხოვრების ნირის თანაზიარი, მაგრამ განა რაიმე სამტრო ჩაუდენია? სანამ არ გაამწარეს, ამისთანებზე კრინტიც არ დაუძრავს — შინაურულ მასლაათშიც კი მსგავსი არაფერი წამოსცდენია, რაც, ახლა, ამ ორი წუთის წინათ ბაღში ამოანთხია. მოსდევდა ცხოვრებას და იღიმოდა თავისთვის. რას აშავებდა? ვითომ სახელმწიფო უშიშროება მის უვნებელსაყოფად იმან აღძრა, რასაც მერაბი გულის სიღრმეში უჩუმრად ატარებდა? ვითომ რა, გულის სიღრმეთა გამოძიებით თავს იმტვრევენ? მეტი არაა ჩემი მტერი! თანაც, გულის სიღრმეზე თუ მიდგა საქმე, ვინ იცის და ვინ მოთვლის, რამდენი... ასე გამოვა, რომ ყოველი მეორე ადამიანი ამ სახელმწიფოსთვის სახიფათოა... თვითონ თინათინიც, განა, მის გულში ვინმეს ღრმად რომ ჩაახედა... აქამდე რომ მივიწყებულივით ჰქონდა, იმ გულის სიღრმეში... ან თუნდაც ახლა, ასეთებს რომ ფიქრობს... „ოხ!" — უცებ, ისევ ხმამაღლა აღმოხდა თინათინს და შეჩერდა. მაშინვე პირზე აიფარა ხელი, ხელისგულით მოიკუმა ტუჩები. ვიღაც ახალგაზრდა კაცი მიუახლოვდა და ჰკითხა — ქალბატონო, ცუდად ხომ არ ხართ, დახმარება ხომ არ გჭირდებათო. თინათინმა ღრმად ამოისუნთქა, მადლობა გადაუხადა ახალგაზრდა კაცს — ცოტა გულმა შემაწუხა, უკვე უკეთ ვარო — და გზა განაგრძო.

„არა, საკმარისია. მეტს ამაზე აღარ ვიფიქრებ", — ჩაილაპარაკა თავისთვის და გადაწყვიტა, როგორმე ამოეგდო გულიდან ყველა შემაშფოთებელი ფიქრი. შინ ისე უნდა მისულიყო, რომ არც ლარბის და არც ალმასხანს მის იერზეც კი არაფერი შეემჩნიათ. ასე იყო საჭირო. მერაბმაც ასე სთხოვა — ლარბიმ და ალმასხანმა ჩემი ამბისა არაფერი იცოდესო. მთავარია, მერაბს უკვე მოუფიქრებია, ხიფათს რანაირად დაუძვრეს და მშრალზე დატოვოს მარკარიანი... ფუ, ისევ მარკარიანი... შესაძლოა, მართლაც დაუსხლტეს ხელიდან შინსახკომს, სადმე გაუჩინარდეს რამდენიმე წლით, როგორც წინათ, სხვა ქალაქში, სადმე, ეგებ რუსეთშიც გადაიკარგოს. ჰო, თითქოს აქ აღარც არის, უკვე სხვა ქალაქშია. ლარბი რომ იკითხავს, მაშინ მივცემ მის ბარათს და ვეტყვი, გამგზავრების წინ მოგაკითხა სანახავად, მაგრამ შინ არ დაუხვდი... მერაბი აქ აღარ არის. ალმასხანსაც ამასვე ვეტყვი... კიდევ კარგი ალმასხანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ მყავს, კიდევ კარგი, თორემ, ვინ იცის, ახლაც თუ დაიწყეს ხალხის აყვანა, ისევ ისე, არაფრის გამო, ადრე რეპრესირებული ან საეჭვოდ მიჩნეული ახლობელ-ნათესავების მიზეზით, ხომ შეიძლება, მეც, ლარბიც... ღმერთო!.. არა, სისულელეა! საკმარისია ამაზე ფიქრი! დარწმუნებული ვარ, მერაბმა უკვე თავსაც უშველა. იმიტომაც არ წამოვიდა ჩვენსას, ლარბის სანახავადაც კი არ წამოვიდა, რომ, ალბათ, უკვე ეჩქარებოდა, უკვე უნდა წასულიყო. ის ისეთია, მართლა მშრალზე დატოვებს მარკ... ფუ, დასწყევლა ღმერთმა მისი სახელი, რა უშნოდ ამეკვიატა... მერაბი უთუოდ წავიდა უკვე. მე კი აქ ვრჩები. ლარბიც. ლარბის გარდა, როსტომიც მყავს და მაიკოც. მათ სრულიადაც არ სჭირდებათ ეს. ისინი დაზღვეულნი უნდა იყვნენ ასეთი ამბების გაგონებისგანაც. სწორი თქვა მერაბმა. ალმასხანმაც არაფერი არ უნდა გაიგოს. ეს ტვირთი მხოლოდ მე უნდა ვატარო, ჩემთვის, გულის სიღრმეში, სულ ღრმად ჩავგმანო... ყველა თავისი ბედით იბადება. მე ასეთი ბედი დამყვა და... არა, ამაზე ფიქრიც უაზრობაა, სრული უაზრობა. მე ჩემს შვილებზე უნდა ვიზრუნო და არც უფლება მაქვს, არავითარი უფლება არა მაქვს, პირადად ჩემი ოჯახის გამო დავიწუწუნო, მაშინ როცა... ჩვენ ხელს ვერავინ გვახლებს. ვერც ლარბის. ლარბის გული კი დაწყდება მერაბზე, ასე ჩემს უნახავად რატომ წავიდაო. ისეთი ეჭვიანი და ბოღმიანია, იქით განაწყენდება, მაგრამ... გავა ხანი და თვითონ მოაგვარებენ თავიანთ ურთიერთობებს. ხო, ნამდვილად, გავა ხანი და, როგორც ამ ხუთი წლის წინათ, ასევე მოულოდნელად გამოჩნდება მერაბი... ვიცი მისი ამბავი, ამდენს გაუძლო, ამდენ ხანს უსხლტებოდა ხელიდან და, მაინცდამაინც ახლა?.. მაგრამ ამდენი ფული რაღატომ დაუტოვა ლარბის? ვითომ, ფული არ დასჭირდებოდა? ეს საჩუქრებიც... უცნაურია... თუმცა, თვითონ უკეთ იცის... საკმარისია, ამაზე ფიქრი საკმარისია!

თინათინმა გადაწყვიტა, ერთ ხანს კიდევ ევლო ქუჩებში.

სანამ თინათინი ქუჩებში დადიოდა, აფორიაქებულ სულს იმშვიდებდა და შექმნილი ვითარების შესაბამისად ისე ფიქრებს, რომ, შინ დაბრუნებისა ან სახეზე ან საუბარში, არავის არაფერი შეენიშნა, იმ ხნის მანძილზე, ცირკში მყოფმა მაყურებელმა იხილა გასაოცარი ატრაქციონი — ერთადერთი და მას შემდეგ განუმეორებელი:

საცირკო სანახაობის პირველი ნაწილის დასასრულს, ორი მასხარას — ტიკო-ტუკოს და ტუკო-ტიკოს ოინბაზობით ახორხოცებული ხალხი ფრაკში გამოწყობილმა მანეჟის ინსპექტორმა გააჩუმა და გამოაცხადა საგასტროლოდ ჩამოსული, მსოფლიოში სახელგანთქმული ჯადოსან-ფაკირის გამოსვლა.

სინათლე ჩაქრა. ორკესტრმა რაღაც იდუმალი ხმები ააჟღერა. ჩაბნელებული არენა პროჟექტორის მკვეთრმა იისფერმა შუქმა გაჭკვეთა და შინდისფერი ფარდა-ფორგანგი გაანათა: ფორგანგი უმალ გადაიხსნა და გამოჩნდა ჯადოსანი-ფაკირი, რომელიც კულისებიდან არენისაკენ დაიძრა ნელი, გაცურებული ნაბიჯით. ორკესტრი სხვადასხვა ტონალობისა და სიმძლავრის ყრუანტელის მომგვრელი ბგერებით აზრიალდა. თავზე შემოგრაგნილი ვერცხლისფერი ჩალმით და ზედ შუბლთან დამაგრებული ვეება ბრჭყვიალა ბროშით, ფეხზე წვერაპრეხილი შინდისფერი ჩექმებით, ფართოტოტებიან წითელ შარვალში და მკერდთან ამოჭრილ ლურჯ პერანგში გამოწყობილი, წელზე კუშაკით შემოსალტული და მხრებზე ოქროსფერ ლაბადამოსხმული ჯადოსანი-ფაკირი მანეჟის შუაგულ ადგილას გამოვიდა და გულხელდაკრეფილმა ოთხივე მხრივ მდაბლად დაუკრა თავი მაყურებლებს. მერე, მიუბრუნდა გამჭვირვალე ცისფერ ქსოვილში აღმოსავლურად გამოწყობილ სიფრიფანა გოგონას, რომელიც მას უკან მოჰყვა კულისებიდან და იქვე, ბარიერთან იდგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯადოსანმა-ფაკირმა, უცებ, პროჟექტორის შუქზე აელვარებული, გაუზარმაზარებული თვალები სიფრიფანა ქალს მიანათა, ხელი აზიდა და, მაშინვე, სიფრიფანა ქალი, მისი ხელის მოძრაობის შესაბამისად, ჯადოსან-ფაკირისაკენ მთვარეულივით დაიძრა — უფრო სწორად, თითოეული ნაბიჯის გადადგმისას ჰაერში აცურებული გასრიალდა. ფაკირმა ხელი გააჩერა და — ქალიც გაშეშდა; მერე, როცა ჯადოსანმა-ფაკირმა ხელი განზე და ქვემოთ ფრთხილად გადაშალა — სიფრიფანა ქალი ჰაეროვნად დაეშვა და გაწვა ხალიჩაზე, რითაც მაყურებელთა დიდი ტაში დაიმსახურა.

ამის შემდეგ, ჯადოსანმა-ფაკირმა, ზედიზედ, რამდენიმე კიდევ უფრო საოცარი ილეთი ჩაატარა: გაიყარა მახათი ხელისგულებში, გრძელი შანთი გაიტარა მუცელში; სიფრიფანა ქალი დიდ ყუთში ჩასვა, იმ ყუთს სულის შებერვით ცეცხლი წაუკიდა და დამწვარ-შემურული ყუთიდან სრულიად უვნებელი, სუფთა და მომღიმარი ამოიყვანა იგი. ბოლოს, პირიდან ცეცხლის ფრქვევა დაიწყო. ხალხი გასუსული მისჩერებოდა ჯადოსან-ფაკირს და ტაშის დაკვრასაც ვერ ბედავდა, ისე იყო გაოგნებული. და სწორედ იმ დროს, როდესაც ჯადოსანმა-ფაკირმა უკანასკნელად, პირდაპირ ხალხისკენ ამოაფრქვია პირიდან ცეცხლი, უეცრად, ზემოდან, მეორე სართულის ფოიე-დერეფნებიდან, ჩამოისმა შემაძრწუნებელი ღრიალი.

ცირკში მუდამ რაიმე სასწაულებრივი და სამხიარულო სანახაობის მომლოდინე ხალხი პირდაფჩენილი შეაშტერდა მეორე სართულიდან მაყურებელთა დარბაზში შემოსასვლელს. გაოცებით შეაშტერდა იმავ შემოსასვლელს ფორგანგთან მდგარი მანეჟის ინსპექტორიც, რომელმაც ზეპირად იცოდა რომელ ატრაქციონს რომელი მოჰყვებოდა, რა შინაარსისა იყო თითოეული სანახაობა და მეორე სართულის ფოიე-დერეფნიდან ასეთ შეკივლებას სრულიადაც არ მოელოდა. მიუხედავად თავისი ჯადოსნური ძალებისა, ამას არც ფაკირი მოელოდა; მოულოდნელობისგან, კინაღამ ცეცხლი გადაყლაპა და ფილტვები ამოიბუგა. და მაინც ზედმეტი არაფერი შეიმჩნია, — მხოლოდ ოდნავი შეშფოთებით მიატრიალ-მოატრიალა პროჟექტორის შუქზე თეთრად აელვარებული თვალები და, რადგან საჯადოქრო-საჩვენებელი მიხვრა-მოხვრა ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი, ხელები განზე გაშალა და მრისხანე-მომნუსხველი მზერით აიხედა მაღლა. აიხედა და — ეს რა იხილა?! ალმოდებული კაცი! გაუგებრად წარმოთქმული სიტყვების საზარი ამოხივლებით, იგი ელვის სისწრაფით დაეშვა ამფითეატრის რიგებს შორის კიბეებზე; გზაში ხან წაიფორხილა, ხან წაბარბაცდა; აქეთ-იქით აწყდებოდა რიგებს; არენისკენ მოექანებოდა; იმ რიგში მსხდარ მაყურებელთაგან, ზოგი ხელის კვრით იშორებდა ალმოკიდებულს, ზოგი, შიშით, უკან იხევდა. შორით მყოფი მაყურებლების რიგებიდან კი გაოცების შეძახილები და აღფრთოვანების ტაშიც გაისმა.

ცეცხლმოკიდებულის ხმა სულ უფრო საზარი, ხალხის ხმაურისა და ტაშის გამკვეთი ხდებოდა. არენას რომ მიუახლოვდა, ბარიერს მუხლებით წამოედო და მანეჟში პირქვე გადაგორდა; წამოხტა, წრეზე გაიქცა, აბორიალდა, აბორგდა; რამდენჯერმა კინაღამ დაეჯახა ჯადოსან-ფაკირს, რომელიც, მიუხედავად ყველაფრისა, არ ჰკარგავდა არტისტიზმის გრძნობას და, ინსტიქტურად, თითქოს ნამდვილ ჯადოსნურ ილეთებს ატარებსო, ხელებს პლასტიკურად ამოძრავებდა და რაღაც გაურკვეველ, შელოცვის მსგავს სიტყვებს წარმოთქვამდა.

აღელვებული ინსპექტორი მოშორდა ფორგანგს და ჯადოსან-ფაკირისკენ წამოვიდა; მას უკან მიჰყვნენ უნიფორმები. კლოუნები ტიკო-ტუკო და ტუკო-ტაკო, რომლებიც აქამდე ფორგანგის ჭრიტეებიდან თვალყურს ადევნებდნენ ფაკირის ჯადოსნობებს, გაოცებულები გამოფლატუნდნენ და ფართხუნა შარვლებზე ხელების ცემით ბარიერზე გაირბინ-გამოირბინეს. დარბაზი ახმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურდა. აქა-იქ გაისმა „ბრავო!“, „სალოლ, ფაკირ!“, „მიდი ამ ოინბაზებსაც წაუკიდე!“... ჯადოსანმა-ფაკირმა მხრებიდან მოსასხამი აიგლიჯა და, ახლა, განგაპყრობილ ხელებში მომარჯვებული მოსასხამით, ტორეადორს დაემსგავსა. ამ დროს, ცეცხლმოკიდებული კაცი ფაკირისკენ გაქანდა, ერთხელაც ამოიხავლა „ღმერთოო!“ და მის ფერხთით დაენარცხა. ჯადოსანმა-ფაკირმაც არ დააყოვნა: თავისი მოსასხამი ჰაერში აიქნია და ცეცხლის ალში გახვეულს გადააფარა საცირკო ჯადოსნური მოძრაობის ყველა უნატიფესი მოძრაობების დაცვით. ეს რომ გააკეთა, რაღაც გასძახა მანეჟის ინსპექტორს ისე, რომ მაყურებელმა ვერც ვერაფერი გაიგონა. ტიკო-ტუკო და ტუკო-ტაკო ფაკირის გარშემო აფაცურდნენ; მანეჟის ინსპექტორმა ხელით ნიშანი მისცა ორკესტრს და გამნათებელს. მანეჟისკენ შუქის მიმფენი ის ერთი პროჟექტორიც ჩაქრა და, იმავ წამს, ორკესტრი სადღესასწაულო ბუკის ცემით აგრიალდა.

იქუხა ტაშმა. „ბრავო!“ — ყვიროდა ალტაცებული მაყურებელი. მანეჟის ინსპექტორის ბრძანებით უნიფორმებმა მოსასხამგადაფარებული სასწრაფოდ ხელში აიყვანეს და კულისებისკენ გაარბენინეს; ტიკო-ტუკო და ტუკო-ტაკო ყირაზე გადავიდნენ და საოხუნჯო იმპროვიზაციებს შეუდგნენ; ჯადოსანმა-ფაკირმა მადლობის ნიშნად თავი დაუკრა მაყურებელს და, მანეჟის ინსპექტორთან ერთად, კულისებისკენ გაემართა.

ამ დროს კი, ამფითეატრის წინა რიგებიდან ორი კაცი, ყველასთვის შეუმჩნევლად, უკან დაედევნა უნიფორმებს.

კულისებში, იმ ორმა კაცმა მანეჟის ინსპექტორს ზედ ცხვირთან მიაბჯინა წითელი ფერის წიგნაკი ღრიად შთამბეჭდავი წარწერით, სათანადო მითითება მისცა და მოსასხამგადაფარებულის მოვლა-პატრონობაც თავს იდო. ვერც ვერავინ რომ ვერ მოასწრო მოსასხამის ახდა, მათ უკვე უსულო გვამი მანეჟის ინსპექტორის პატარა ოთახში შეატანინეს უნიფორმებს და უბრძანეს — გაცლოდნენ იქაურობას და თავიანთი საქმისთვის მიეხედათ. მანეჟის ინსპექტორმა კლოუნებს თხოვა, მანეჟზე გასულიყვნენ და ხალხი გაერთოთ. კულისებში უფროსად დამდგარი იმ ორი კაციდან ერთი ტელეფონზე დასარეკად გაიქცა და, გზად, ჯადოსან-ფაკირს უბრძანა ტანსაცმელი გამოეცვალა და თავისი საგრიმიოროდან ფეხი არ გაედგა. მეორემ, რომელიც მოსასხამგადაფარებულთან დარჩა, მანეჟის ინსპექტორს გამომცდელად ჩახედა თვალებში და ჰკითხა:

— თქვენ იცით, ვინ იყო ეს? — ხელით მიანიშნა უსულო გვამზე.

— არა. საიდან უნდა ვიცოდე?! ისე ვარ, თითქოს... ეს რა მოხდა, საიდან... ვინმე შეშლილი იქნებოდა.

— შეშლილი ფაკირი?! ცეცხლოვანი ფაკირი! ხო, გახვალთ მანეჟზე და ხალხს აცნობებთ ცეცხლოვანი ფაკირის სანახაობის დასრულებას. დაასრულეთ წარმოდგენა, ჩქარა.

— ახლავე მივდივარ, ახლავე... გეფიცებით, ეს... ეს... ჩვენს პროგრამაში არ იყო ჩართული...

— ვიმედოვნებთ! დირექტორი სად არის?

— სადღაც აქ უნდა იყოს. ახლავე მოვაძებნინებთ...

— მოადგილე? ამხანაგი ყიფიანი?

— ისიც აქ იყო, წარმოდგენის დაწყებისას დავინახე და, მგონი, კიდეც გავესაუბრე. ახლავე მასაც მოვაძებნინებთ.

— არა, არ არის საჭირო. მაშ, თქვენ არ იცით, ეს ვინ არის?

— გეფიცებით, წარმოდგენაც არა მაქვს...

— კარგი. არც არავინ არაფერი არ უნდა იცოდეს. განსაკუთრებით მაყურებელში არ უნდა გავრცელდეს ხმა, რომ ეს... მაყურებელმა დაიჯერა, რომ ეს ატრაქციონი იყო და, ძალიანაც კარგი, ასეც უნდა ჯეროდეს. გასაგებია?

— დიახ.

— როგორ გგონიათ, სხვა ვინმემ იცის, ვინ არის ეს... ეს „ცეცხლოვანი ფაკირი?“

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა, როგორც შევატყვე, არავინ იცოდა.

— ძალიან კარგი. წადით, შესვენება გამოაცხადეთ. ჩქარა, მანეჟის ინსპექტორი ოთახიდან გავარდა. მანეჟზე გასვლის წინ თავი წესრიგში მოიყვანა, ხელის აქნევით ტიკო-ტუკოს და ტუკოტაკოს ანიშნა, მოემთავრებინათ თავიანთი საოხუნჯო იმპროვიზაციები; მზერა შეავლო მაყურებელთა დარბაზს და გამოაცხადა:

— ატრაქციონი „ცეცხლოვანი ფაკირი" დამთავრდა. ახლა კი მშვიდობით! მომავალ შეხვედრამდე, მეგობრებო!

არ გასული ხანი, რომ ცირკის შენობას, მსახიობთა შესასვლელის მხრიდან, ორი მანქანა მოადგა: ერთი — სასწრაფო დახმარება, მეორე — შავი „პობედა" სახელმწიფო ნომრით. ორმა სანიტარმა საკაცეზე გადააწვინა ცეცხლწაკიდებულის გვამი, თეთრი ზეწარი გადააფარა და სასწრაფო მანქანაში მოათავსა. შავ „პობედაში ჩასხდნენ ის ორნი და ჯადოსანი-ფაკირი, რომელსაც უკვე მოესწრო ჩვეულებრივი ტანსაცმლის ჩაცმა. მანქანები რომ იძვრებოდნენ, გარეთ დირექტორი გამოვარდა ხმამაღალი ძახილით: — რა მოხდა?! რა ამბავია?!

შავი „პობედიდან" ერთმა თავი გამოყო და მკაცრად მიმართა:

— განგაშს ნუ სცემთ! ხვალ გამოგიძახებთ და მოგეთათბირებით, რა ამბავიცაა! ახლა მაინც მიხედეთ თქვენს საქმეს!

დირექტორი ნირწამხდარი მიუბრუნდა მანეჟის ინსპექტორს, რომელმაც ხელით ანიშნა, ჩემს ოთახში შევიდეთ და იქ ყველაფერს აგიხსნითო.

— სად იყო მოადგილე? სად არის მერაბ ყიფიანი?! — დაიღრიალა დირექტორმა.

მანეჟის ინსპექტორმა ხელები გაასავსავა.

— მაშ, არ იყო მაშინ და არც ახლა არის, თავის სამსახურებრივ ადგილზე არ იმყოფება. ხოდა, აღარც ვაპყოფებ!

დირექტორმა, რომელიც, სანამ ტელეფონით არ აიკლო მორიგემ, თავის კაბინეტში ლილიპუტ გოგონასთან პუტპუტობდა, მანეჟის ინსპექტორის მონაყოლიდან ვერა და ვერ გაიაზრა „ცეცხლოვანი ფაკირის" ატრაქციონი. „საიდან შემოიპარა ის გიჟი ცირკში? ვინ იყო? მეორე სართულის ფოიესა თუ დერეფნებში რა უნდოდა ატრაქციონების დროს? რაღა მაინცდამაინც ცირკში? ცეცხლი როგორღა წაიკიდა? მართლა იმ ოხერმა ფაკირმა ხომ არ შეაფრქვია ცეცხლი პირიდან, ჰა? არა, რაებს ვროშავ?! ეს მაკლდა... მომხსნიან, ნამდვილად მომხსნიან. თუმცა, რატომ მე? ატრაქციონების დროს წესრიგის თვალყურის დევნება მოადგილეს ევალება. ხოდა, იმას მოეკითხოს! არა, მაინც სად დაიკარგა მერაბ ყიფიანი?! მორჩა! საკმარისია!". ახლა კი რეალური მიზეზი ჰქონდა, რომ ეს თავიდან მოსაცილებელი დირექტორის მოადგილე სასტიკი საყვედურით მოეხსნა.

ამ გადაწყვეტილებით ის პირდაპირ მეორე სართულზე, დირექტორის მოადგილის კაბინეტისკენ გაემართა — ეგებ, მერაბ ყიფიანი იქ იყოს და, ბარემ, დღესვე მოვრჩები მასთან საქმესო. კაბინეტს რომ მიუახლოვდა, კარი ღია დახვდა. შევიდა. კაბინეტში არავინ იყო. დირექტორმა გაბრაზებით მიმოიხედა გარშემო. „ჰმ, არც თვითონ არის და კაბინეტის კარიც ასე ღია დაუტოვებია. მიეხურა მაინც... ვერსად ვერ ნახეს. ესე იგი, წასულა. მე კი შინაურულად ვესაუბრე და ვთხვე, დღეისთვის განცხადება დაეწერა. დამღუპავს, ნამდვილად დამღუპავს. ახლა, აღარც სინდისი შემაწუხებს, ბრძანებით ვისროლო აქედან!"

დირექტორმა irgვლივ ერთხელაც მიმოიხედა, მაგიდას მიუახლოვდა. უცებ, მაგიდის შუაგულ ალაგას დაინახა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფურცელი, რომელზეც დიდი ასოებით ეწერა „განცხადება“. ფურცელი აიღო, სათვალე გაიკეთა და წაიკითხა: „გთხოვთ, გამათავისუფლოთ სამსახურიდან, რადგან ცირკი აღარ მინდა“. ხელს აწერდა მერაბ ყიფიანი. დირექტორმა ისევ სიმწრით ჩაიცინა. „დაუწერია განცხადება. თუკი ეს განცხადებაა. განცხადებაშიც წაიშაყირა. შაყირისტი! ისიც არ ინება, ვენახე და პირადად გადმოეცა. ცირკი არ მინდაო?! რა ვიცი, აქამდე კი ძალიან მოსწონდა“. დირექტორმა მერაბის განცხადება ხელში შეატრიალ-შემოატრიალა; შეყოყმანდა — ამ განცხადებით გაეთავისუფლებინა თუ სასტიკი საყვედურით. განცხადება ჯიბეში ჩაიდო და ის იყო, კაბინეტიდან გასვლას აპირებდა, რომ ღია კარში მორიგემ შემოიხედა და მობოდიშებით მიმართა:

— მაპატიეთ, შენობაში შემოსვლისას ვერ შეგნიშნეთ, ერთი წუთით გავედი სადღაც. იქით...

— რა გინდა?

— მე არაფერი. აი, ინებეთ ეს წერილი.

— რა წერილია, ვისია?

— მერაბ ყიფიანმა დამიტოვა ესა და დამიბარა, როგორც კი დირექტორი მოვა, მაშინვე პირადად მას გადაეციო... როგორც კი მოვაო და, იმიტომ ამოვვარდი აქ, როცა გავიგე, რომ უკვე მობრძანებულხართ...

— კარგი, კარგი, მომეცი.

მორიგემ დაბეჭდილი კონვერტი გადასცა და მაშინვე გავიდა.

დირექტორმა კონვერტს დახედა. ზედ მხოლოდ მისი გვარი და სახელი ეწერა. საგანგებოდ იყო დაწებებული. კონვერტს გვერდი ჩამოახია და ისე ამოიღო იქიდან დაკეცილი ქაღალდი. გაშალა და წაიკითხა:

„ღრმად პატივცემულო, ძვირფასო ბატონო სოსო, ჩემო საყვარელო დირექტორო და ადამიანო! გმადლობთ ყველაფრისთვის. სიკეთის მეტი შენგან არაფერი მახსოვს. კეთილად გამყოფოს ღმერთმა, მშვიდობით“. ამის შემდეგ დირექტორმა, იმავ ბარათზე ასეთი შინაარსის მინაწერიც წაიკითხა: „ცხადია, სოსო, მიხვდები, ახლავე დაწვა ეს პირადი ბარათი და ჩვენი მეგობრული ურთიერთობაც წარსულს გადააბარო, როგორც თვითონ მითხარი. ალბათ, ავად არ გამიხსენებ. ძმურად გეხვევი — უკვე შორიდან“.

დირექტორმა ყელში მომდგარი ცრემლი გადაყლაპა, მერაბის პირად ბარათს ასანთით ცეცხლი მოუკიდა. უცებ, ელდანაკრავივით ხელიდან გააგდო ცეცხლმოკიდებული, უკვე ნახევრად ჩაფერფლილი, დაკრუნჩხული ქაღალდი, რომლის კიდეზე უცნაურად გამკვეთრდნენ და თითქოს გაიზარდნენ ასოები — „მერაბი“.

მეორე დღეს თბილისში ხმა გავარდა ცირკში ნაჩვენებ საოცარ ატრაქციონზე, რომელიც აღარ განმეორდებოდა, რადგან, როგორც ამბობდნენ, „ცეცხლოვანი ფაკირი“ ავად გამხდარა და თბილისიდან წასულა. ასეთი ჭორიც დაირხა ქალაქში, თითქოს ცირკში ვიღაცას თავი დაეწვა; მაგრამ თვითონ დამწვარის ამბავი და ვინაობა რომ აღარ დაზუსტდა — ეს ჭორი უმალ გაქრა.

— ნეტა, ბიძაჩემი აქ ყოფილიყო, იმ ატრაქციონს ხომ მეც ვნახავდი. ისეთი სეირი ყოფილა! — უთხრა ლარბიმ თინათინს, როცა უყვებოდა ცირკში გამოსულ ჯადოსან-ფაკირზე ყველაფერს, რაც კი სკოლის თუ მეზობლის ბიჭებისგან გაეგონა, — თურმე ისეთ ცეცხლს აფრქვევდა პირიდან, რომ კინაღამ მთელ დარბაზს მოედოო... ერთ კაცს კი ნამდვილად მოეკიდა ცეცხლი და დაიწვაო...

— სისულელეა, — ჩაილაპარაკა ალმასხანმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მეც ასე მგონია, რომ სისულელეა. მაგრამ ასე კი ამბობენ. ზოგი ამბობს, ჯაშუში იყო და დაიჭირესო. ერთმა მითხრა...

— ლარბი, არ მაინტერესებს ფაკირზე თუ ატრაქციონებზე ჭორები... სრულიად არ მაინტერესებს, — შეაწყვეტინა თინათინმა და როგორღაც ნერვიულად აწრიალდა ოთახში.

— მე კი სიამოვნებითაც ვნახავდი. რაო, როდის ჩამოვალო, მერაბმა?

— ლარბი, უაზროდ ნუ მეკითხები ერთსა და იმავეს. ბარათი ხომ დაგიტოვა. მე რაც დამაბარა, უკვე გადმოგეცი. ხოდა, ნუღარ ჩამაცივდი. მე ისედაც, გული მტკივა, ძალიან მტკივა გული...

ლარბიმ გაოცებით შეხედა, წამოდგა და ოთახიდან გავიდა.

— რა იყო, თინათინ? რა მოხდა? რა დაგემართათ?! — შეშფოთებული ჩაეკითხა ალმასხანი და გაზეთი განზე გადადო, — ასე რატომ აღელდი, ასეთი რა თქვა ლარბიმ...

— არა, არაფერი, ჩემო ალმასხან. ნუ მაქცევ ყურადღებას. რატომღაც ვწუხვარ მერაბზე. ამ ხნის კაცია, სად წავიდა, სადღა შეუძლია ამდენი... გადაჰყვა ამ ცირკს?!

გაგრძელება იქნება

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბორენა ჯაჭვლიანი

## ვილაც გეუბნებოდა...

— ამ მინდვრებს
თან ხომ ვერ წაიღებ,
მათი სურათი უნდა დაგრჩეს
ხსოვნაში,
რომ თვალებით სულ თან ატარო,
და როცა დაინახავ,
რომელიმე ნაცრისფერ პეიზაჟს,
ჩადგამ შიგ
შენს მშვენიერ მინდვრებს —
ყაყაჩოებით და სოსნებით
აფერადებულს...
აბა, ამ მინდვრებს
თან ხომ ვერ წაიღებ.
სადღაც, შუა გზაში, დაგიჭკნება,
ან დაღლილს ჩაგეძინება
და ვინმე ხელს გააყოლებს.
რად გინდა, ამდენ ყვავილებს
შენი სული მაინც ვერ გაუძლებს.
როცა სევდა მოგეძალება,
როცა თვალებს
დასკდომამდე მოაწვება ცრემლი,
მათ მშვენიერებას ველარც შეამჩნევ.
ხოლო თუ ერთი წუთით დაივიწყე,
რომ აყვავებული მინდვრების
პატრონი ხარ, როგორც ავაზაკები
ოქროს ისე აგაცლიან
და დაგტოვებენ ნაცრისფერ პეიზაჟში
მარტოდ-მარტოს, ეულს, უქონელს და
ლატაკს.
ათასჯერ უფრო ლატაკს,
ვიდრე მანამდე იყავი,
სანამ აყვავებული მინდვრების
პატრონი გახდებოდი.

## შეშლილის რექვიემი...

მე სიყვარულით სული დავღალე
და ახლა მხოლოდ სიზმრებს
ვენდობი.
ნუ დამიბრუნებთ გაცემულ ვალებს,
ნუ გეჩქარებათ მითხრათ შენდობა.
სადღაც ნათდება ცა განთიადის
და ნაწვიმარი მიწა ბოლდება,
თითქოს ახლოა რაღაც დიადი,
რაღაც დიადი, თითქოს მშორდება.
წამოიმართა ყველა ტკივილი,
რაც დასაბამით ასტკივებიათ.
დარდი მოცურავს ჩემსკენ ტივივით,
დღეები თითქოს თეთრი ქვებია.
ნუ გეფიქრებათ, სიტყვით მოკლული,
ისევ სიტყვებში შვებას დაეძებს,
როცა დაღლილი ეშვება სული
და ფოთოლივით შრება ჰაერზე,
თითქოს სიზმრიდან გამოდის ბავშვი,
სულიც იმგვარად მიემართება.
მიემართება წამებით ქარში
და საუკუნოდ ზეცას ბარდება.
რად გავიხსენო მშვიდი დღეები?
და თუ მახსოვან, უნდა დავმარხო,
როცა სიგიჟე სხეულს შეება,
ვით დრო და ჟამი გრძნეულ
სამარხებს.
აქ აღარავინ აღარ დამხვდება,
გაქურდულია ჩემი ედემი...
და ზეთისხილის ბაღებიც ხმება,
ცრუ სიყვარულით, ცრუ იმედებით.
შორი ფიქრებით მხრები დამძიმდა,
ჩხავის ყორანი — „აღარასოდეს!“
გამომაძევეს თითქოს ტაძრიდან,

ეროვნული ბიბლიოთეკა



ასე ინება — აღარ მახსოვდეს.
მე კი სიგიჟის ფოთლებდაყრილი
შიშველი სულით ქარში ვკვდებოდი.
არც გაზაფხული, აღარც აპრილი,
შუქი არსაით აღარ შემოდის.
რა სიმართლეა ბოლო ნაბიჯში,
ბოლო სიტყვაში, ბოლო მზერაში...
ერთი სიცოცხლით უკვე დავიწვი
და სიყვარულის ცრემლი შემაშრა.
თვალებს აწყდება დღე ელდასავით,
ჩემი ყვავილის ტოტებიც ხმება.
მზე მიუყვება უკვე დასავალს
და სული კვდება... სხეულიც კვდება...

### ისიც... ისინიც...

განა სიცოცხლე ახლა იწყება.
ის მთავრდება.
ყოველდღიურად, ყოველ წამს,
მზის ჩასვლისთანავე.
შენ მაინც გარბიხარ.
უგუნური მგზავრივით ფეხს
უჩქარებ,
დღეებს მიერეკები, საათებს,
თვეებს...
ნეტავ სად გეჩქარება.
საიდანაც მოხვედი?
რომ არ იცი, საიდან მოხვედი?!
ან ვინა ხარ, ან იქ მიგელის ვინმე?
არავინაა ამ მარადიულ კითხვებზე
პასუხის გამცემი,
არც ცხოვრება, არც ადამიანი, არც
სიყვარული,
რომელსაც ისე ებღაუჭები,
როგორც ახლადფეხადგმული დედის
კალთას.
და ყველა გაგირბის, თვალს ეფარება,
რომ უშენოდ მოასწროს ცხოვრება:
შვილები დაზარდოს, ცოლს
მიეფეროს,
დაიღალოს და დაიძინოს...
ზოგჯერ, გეჩვენება,
რომ ვიღაცას ჩამოგაცილეს,
რაღაც ძალიან ძვირფასი წაგართვეს,
ან, სულაც, შენი დაუდევრობით
დაგეკარგა.
ახლა ისლა განამებს,
რომ არავის უყვარხარ.
მერე ამასაც შეეგუები,
როგორც ეგუები სიბერეს,
უამინდობას, უგულობას.
მხოლოდ სამდურავი თუ
წამოგცდება,
ისიც გალიზიანებულს,
უეცრად, თან შიშით...
შენ ხომ იმდენსაც არ იმსახურებ,
რომ მეორე ადამიანს უსაყვედურო.
ან რატომ უნდა უსაყვედურო?
ყველა ისე ცხოვრობს,
როგორც იმსახურებს.
შენც ისე ცხოვრობ, ისიც, ისინიც...

●

სულ ასე ხომ არ იქნება?!
სადღაც ხომ მაინც დადგება
გაზაფხული,
და ნიავი შენამდეც მოიტანს
მის საამო სურნელს.
განთიადისას, ვიდრე მზე
ამობრძანდება,
ჩიტების ჟრიამული
თექვსმეტი წლის გოგონასავით
ისევ წამოგაგდებს ლოგინიდან.
გაიშლებიან ყვავილები
და მათი მზერით გაბრუებული
პეპლები,
მთვარეულებივით მოეფინებიან
მინდვრებს...
აბა, სულ ასე ხომ არ იქნება —
საკანში გამომწყვდეული
პატიმარივით
შორიდან რომ გასცქერი ცხოვრებას,
და ნაბიჯი თუკი გადადგი,
შენც თუ მოინდომე ახლოს მისვლა,
თითქოს მკვდარ ქალაქში შესულხარ,
ისე გაქვავდება ირგვლივ ყოველი...
არ ვიცი, მაგრამ,
სულ ასე ხომ არ იქნება?!

### პირველივე ნიავს...

მოდი, შენს სიყვარულზე მელაპარაკე,
აი, იმაზე,
არც ქალაქი რომ არ იყო
არსად დედამიწაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც სახლი და არც არავინ სახლში.
თორემ, ჩემი რომ გითხრა,
შენ ხომ პირველივე ნიავს
თან გააყოლებ,
ერთ სიტყვასაც არ გაიგონებ,
თან გააყოლებ...
და იფრენს საბრალო სიყვარული
გაზაფხულის ჰაერთან ერთად,
აღარსად გაჩერდება,
მხოლოდ ხეების წვეროებს
გადაუვლის,
სახურავებს გადაევლება,
მისწვდება ცაში მონავარდე
ჩიტების ფრთებს,
მაგრამ ადამიანის სმენას
ვერასოდეს დაატკბობს...
მე კი აღარ მინდა
სადღაც, არავისთან და არსად...
ჰოდა, მოდი, ისევ,
შენს სიყვარულზე მელაპარაკე.

## იმ უკანასკნელ ამოსუნთქვაზე...

შენი სახელი გამახსენდება —
ქვეყნად ყველაზე მაღალი ბგერა.
და გამაოცებს, რომ არ თენდება,
რომ არ მოდიხარ,
რომ აქ ვარ ჯერაც...
გამახსენდება: წყვილი სანთელი,
როგორ ქრებოდა — მტოვებდი როცა.
შენი სახელი — მზეზე ნათელი,
ჩემი ბაგიდან წართქმული ლოცვა —
იმ უკანასკნელ ამოსუნთქვაზე!

## შენი ცხოვრება...

აი, მთელი შენი ცხოვრება:
ვიღაცეების ნარჩენებით
სავსე სუფრა,
წაქცეული ჭიქებით
და ჭუჭყიანი თეფშებით.
შენ დგახარ სუფრის ბნელ კუთხეში
და გეშინია ხელი გაიწოდო
პურის ნამცეცისკენ,
რომელიც სწორედ ის ულუფაა,
რაც ბედმა გარგუნა.
დგახარ და ფიქრობ
იმ გამხმარ ხესავით,
რომლისთვისაც გაზაფხული
აღარ დადგება.
ზამთრის გრძელ ღამეებში
ტოტები ვერც კი იგრძნობენ
მის მოახლოებას, აღარ დაებერება
კანქვეშ დაბუდებული ვნება,
აღარ გადმოეშლება სხეულზე
ფოთლებად
და არც შეყვარებული ჩიტები
ჩამოსხდებიან მის ტოტებზე
ზაფხულის ცხელ ღამეებში.

შენ ახლა იცი, რომ სიცოცხლე
სიკვდილისკენ მიმავალი კიბეა.
შენ ითვლი ამ კიბის საფეხურებს
და დაქანცული მზერით მიჰყვები,
ვიდრე არ დადგება
ათასჯერ ნანატრი წუთი,
ვიდრე არ ჩაქრება
შენს სულში დანთებული კოცონი,
რომლის შემოქმედსაც
ვიღაცეების ნარჩენებით
სავსე მაგიდისკენ მიჰყავხარ,
და არ იცის სად მიგიჩინოს ადგილი,
და უჭირს ხმის ამოღება,
და ენანები ნასუფრალთან
დასატოვებლად,
რადგან ისიც ხედავს
შენს სულში აბრიალებულ კოცონს,
რადგან ამ კოცონის ნაპერწკლებითაა
მისი სხეული დადაღული
და სიმართლე კი აღარსადაა!
სიკვდილისკენ მიმავალი
სიცოცხლის საფეხურებივით
გათავებულა სიმართლე,
ან კიდევ, ვიღაც უხილავს,
ბოგირივით აუშლია და თან წაუღია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ლორთქიფანიძე

# შიგნიდან გატეხილი ციხის ამბავი

მოთხრობა

ზაფხულის ამ ცხელ, მხუთავ საღამოს თევზეულის რესტორანში, — „ნადკუროის" რომ ეძახიან ენის დამტვრევას მიჩვეული თბილისელები, — შესულ ბონდო ქვავაძეს წამით ახალგაზრდობა გაახსენდა.

რესტორნის რიგიანად გაკვამლულ დარბაზში ჩვეულებრივი აურზაური სუფევდა, მაგრამ ბონდო აქ ამჟამად სალაღობოდ და სალხინოდ როდი მოსულიყო — სიდედრი გარდაეცვალა და აქაურობას ხიზილალისა და სხვა თევზეულისთვის მიაკითხა, — ერთმა საშუალოზე მეტად გავლენიანმა მეგობარმა „ჩაუწყო" დირექტორთან ეს რთული საქმე. დირექტორს განკარგულება უკვე გაცემული ჰქონდა, მაგრამ ბონდოს შესვენებაზე გასული საწყობის გამგის დაცდა მოუწია და ამ ლოდინმა კიდევ უფრო გაუმძაფრა ბოლო დროს აკვიატებული ბოღმა. ორმოცდაორ წელს მიღწეულმა სულ მეოთხედ თუ მეხუთედ გადააბიჯა ამ ხალისიანი რესტორნის ზღურბლზე და ამ გარემოებას თავისთავად კიდევ გაუძლებდა კაცი, მაგრამ უკმარისობის მკვეთრ შეგრძნებას იმის თავბრუდამხვევი, გულისამრევი სინანული ემატებოდა, რომ მხოლოდ ეხლა, გარდასული სიმწიფისა და მოახლოებული სიბერის ჟამს, ისიც აშკარად გარსმოხვეულ პირობათა გამო, ხდებოდა ბონდო საკუთარი უმწეობისა და უბირობის მსხვერპლი. ჭეშმარიტად უბირობისა, თუმცა უმაღლესი განათლებაც კარგა ხანია მიეღო და დოცენტის სამეცნიერო წოდებაც. მეტიც, ახალგაზრდა თაობებისთვის ცოდნის გადაცემის კანონიერი საშუალებაც გააჩნდა, მაგრამ რად გინდა, — დღითიდღე ეცლებოდა ხელიდან მასაზრდოებელი საგანი...

ბონდო ქვავაძე მარქსიზმის ლექტორი იყო.

არადა კარგად ახსოვდა ისეთი დროც, — ო, რა სწრაფად და უმოწყალოდ მიქრის! — იმ სანუკვარი უდარდელობის ხანაც, როდესაც არათუ უხამსობად, არამედ სასტიკ შეურაცხყოფადაც აღიქვამდა საკუთარ უბირობაზე სხვისგან ნებისმიერ მინიშნებას. რომც გაებედათ! სხვა თუ არაფერი, განა მას არ ევალებოდა იმის ახსნა, რაც მიწიერი ცხოვრების ყველაზე დიდი იდუმალებაა — ადამიანთა საზოგადოებრივი საქციელისა? რა უნდა ყოფილიყო ამაში საჩოთირო? მართალია, მისი, ასე ვთქვათ, კლანის ხალხს საზოგადოებრივ სარბიელზე მუდამჟამ რალაცნაირი გარიყული ალაგი ეკავა, მსგავსად პატარა ნახევარკუნძულისა დიდი მატერიკის მიმართ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ბონდოს არასდროს მიაჩნდა თავი მოღალატედ, ან ერისა და სამშობლოსთვის გამოუსადეგარ პიროვნებად და ბოლო დრომდე არც შერცხვენია ადრე გაკეთებული ცხოვრებისეული არჩევანისა. ბოლო დრომდე... რატომ უნდა შერცხვენოდა? კი, ბატონო, ყველანაირი ჯურისა მოიპოვებოდა ამ კლანში, ბონდოს გარშემო და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის გვერდით: სულელი და უსაქმური, პირმოთნე თვალთმაქცი და უზნეო კარიერისტი — ცეკაში რომ მიილტვოდა სარფიანი სამსახურის მისაღებად, ხისთავა დოგმატიკოსი — ასეთად ბონდო თავს არასდროს თვლიდა, — და ინტრიგანი, მექრთამეც კი, — კათედრაზე, მაგალითად, ყველამ იცოდა თუ ვინ იყო ნიშანზე ფულის ამღები და ვინ არა, — მაგრამ ყველა როდი გახლდათ არამზადა და, თანაც, ბონდო არავითარ შემთხვევაში არ აიგივებდა თავს მისი კლანის უზნეო წარმომადგენლებთან, ან რა ესაქმებოდა სხვების უზნეობასთან, თვითონ ხომ ყოველთვის პატიოსნად, ხელფასზე ცხოვრობდა. და განა სხვა კათედრებზე, სხვა დარგებში, სხვა დაწესებულებებში, სახელმწიფოში მთლიანად, უკეთესად იყო საქმე? შესაძლოა, უარესადაც კი.

ისე კი, თქმა არ უნდა, ბონდო არც ბრმა იყო და არც ყრუ. ბავშვობაში კარგად სწავლობდა, ბევრს და ხარბად კითხულობდა, თანატოლებზე მეტად ინტერესდებოდა საერთაშორისო პოლიტიკის საკითხებით იმ მწირი შესაძლებლობების ფარგლებში, ეპოქით რომ იყო დადგენილი და გაიტაცა კიდეც ოცნებამ კაცობრიობის მომავალი ბედნიერების შესახებ. ფილოსოფიის ფაკულტეტი და შემდგომ მარქსიზმი მისი თავისუფალი არჩევანის შედეგი იყო. თანაკურსელთა შორის ბონდო შრომისმოყვარეობითა და ბრწყინვალე მეხსიერებით გამოირჩეოდა, — ეს თვისებები კი საზოგადოებრივ დისციპლინებში წარმატებათა მიღწევის საწინდარია. სწორედ მაშინ, ასპირანტურაში სწავლის დაწყებისთანავე, შეადგინა მან, — იმდროინდელი მთავრობისადმი, ან უკეთესია ითქვას — ხელმძღვანელობისადმი პრეტენზიათა გრძელი ნუსხა. რა არ შედიოდა ამ სიაში: მასობრივი გულგრილობა, პატიოსანი შრომის გაუფასურება, საყოველთაო კორუფცია, ეზარდი უკანონობა, სახელმწიფო მოხელეთა სიჩლუნგე და თვითნებობა, მათივე პირწავარდნილი ეგოიზმი, მარქსისტული მოძღვრების პროფანირება, ტყუილი, წაყრუება, კიდევ ტყუილი, კვლავ წაყრუება, უამრავი სხვა უბედურება და, რაც მთავარია, ქართველების უსამართლო დისკრიმინირების სამარცხვინო და საკმაოდ მრავალრიცხოვანი ფაქტები სტალინისშემდგომ საბჭოთა ქვეყანაში. აი, სწორედ ამათი ატანა იყო ძნელი. სიმართლე უნდა ითქვას: ბონდოს, როგორც ნებაყოფლობით მარქსისტსა და შეგნებულ საბჭოთა მოქალაქეს, არაფრად ეპიტნავებოდა მენშევიკური საქართველოს უიღბლო ისტორიული ბედი. პირველ რიგში იმიტომ, რომ თვით ცნება „დამოუკიდებლობა“ ფსევდომარქსისტულად მიაჩნდა, — თანამედროვე ფილოსოფოსებს სხვებზე უკეთ მოეხსენებათ, რომ ყველანაირი ტიპის კავშირებით გადაჯაჭვულ სამყაროში ჭეშმარიტი დამოუკიდებლობისთვის ადგილი აღარ რჩება, იგი ჰორიზონტივით მიუღწეველია და მხოლოდ სასიამოვნო ლოზუნგებისა და სიმბოლოების მეშვეობით იხანგრძლივებს არსებობას. შემდგომ იმიტომ, რომ მისი ცოდნა „იმ“ საქართველოს შესახებ უსასრულოდ მცირე სიდიდეს უახლოვდებოდა. დაბოლოს იმიტომ, რომ ის მცირედიც რაც იცოდა, სავსებით თავსდებოდა გაბატონებულ კონცეფციაში, რომლის მიხედვით უკეთესმა მარქსისტებმა თამამად და მარჯვედ შეცვალეს უარესები, — მერე რა, თუ ძალით; ცნობილია, რომ კლასობრივი საზოგადოების პოლიტიკა ძალადობის ეფექტიან გამოყენებაზეა დამყარებული. არც 9 მარტის მანიფესტაციის მონაწილეთა დაღვრილი სისხლი ადარდებდა მაინცდამაინც ბონდოს, თუნდაც იმის გამო, რომ მაშინ მხოლოდ რვა წლისა იყო, მომდევნო ხანაშიც კარგი მომყოლი არავინ აღმოჩნდა გვერდში; და შედეგად, ბონდო ისეთივე, ან ოდნავ უფრო საწყენ აბსტრაქციად აღიქვამდა თბილისის ქუჩებში მოზუზუნე ტყვიების კორიანტელს, როგორც, დავუშვათ, ამერიკულ სამხედრო ჩარევას ინდოჩინეთში. ასე იყო თუ ისე, ახლობელი ადამიანი იმ ავად სახსენებელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს მას არ დაუკარგავს, სკოლის მასწავლებლები 9 მარტის თაობაზე პირში წყალდაგუბებულებივით სდუმდნენ, ხოლო უმაღლესი სასწავლებლის ლექტორები იფარგლებოდნენ ისეთი განმარტებებით, როგორც „პროსტალინური დემონსტრაცია", „ანტისაბჭოური გამოსვლა" ან, უკეთეს შემთხვევაში, „გაუგებრობა", „კერძო ხასიათის ეპიზოდი", „სისხლიანი ინციდენტი, რომელიც არ უნდა დაეშვათ". მაგრამ სამაგიეროდ ყოველდღიურობაში განფენილი ყოფითი იარები ხლეჩდნენ ბონდოს შეგნებას ორ შეუთავსებელ, ურთიერთმებრძოლ ნაწილად, და ამ ორიდან ერთი მეამბოხე იყო, მეორე კი — ლოიალური. ლოიალური თვალთახედვა მუდამ უკარნახებდა, რომ გამეფებულ უკანონობაში არც ლენინი იყო დამნაშავე, არც ენგელსი და არც მარქსი, ხოლო მეამბოხე კი ხშირ-ხშირი და ჭინჭრის შეხებასავით მწარე დამცირებებით საზრდოობდა. ბონდო დამნაშავეებს ეძებდა, ეძებდა და პოულობდა კიდეც, რადგან სრულიად შეუძლებელი იყო გადაცდენებისა და უმსგავსოებებისთვის პასუხი არავის ეგო. ომიანობა, ჩამორჩენილობა? არა! სტალინი, „მიკიტა", ვასილ პავლოვიჩი, ვიღაც-ვიღაც ბობოლა მინისტრები და ცეკას მდივნები, თავადებს დამსგავსებული სარაიონო მასშტაბის მეთაურები, — აი, ისინი, ვინც გაათახსირა და ათახსირებს სოციალიზმს. ბონდო თავადაც გრძნობდა, რომ პრობლემის არსის პიროვნულ დამნაშავემდე დაყვანა არც მთლად კარგი მარქსისტობა იყო, მაგრამ სხვანაირად არ შეეძლო, — გულის სიღრმეში სჯეროდა კიდეც, რომ გარკვეულ პირობებში უკეთ გაუძღვებოდა ქვეყნის ჭაპანს, ვიდრე მის „შავ სიაში" მოხვედრილი მოღვაწეები.

პრეტენზიათა ნუსხისა და „შავი სიის" შედგენა უთუოდ იმის მანიშნებელიც იყო, რომ ასპირანტი ბონდო ქვავაძე, — როგორც ჩანს, ასაკის შესაბამისი გამოუცდელობის გამო, — მდარე სინამდვილესთან უსიტყვოდ შერიგებას ვერ იგუებდა, მით უმეტეს, რომ ოფიციალურად დამტკიცებულ თემაზე თავგამოდებული მუშაობის პერსპექტივა, — თემა კი ფრიად განყენებულ საკითხს, ლუი ბონაპარტეს შინაგანი პოლიტიკის მარქსისეულ ასახვას ეძღვნებოდა, — სათანადოდ ვერ აკმაყოფილებდა ბონდოს სულის წიაღში აღმოცენებულ სწრაფვას ჭეშმარიტებისა და სამართლიანობისადმი. იმხანად ბონდოს პოლიტიკური მრწამსის საბოლოო სახით ჩამოყალიბება გარკვეულწილად განისაზღვრა მისი ურთიერთობის სანდო ხასიათით თემის უშუალო ხელმძღვანელთან, კათედრის პროფესორთან ბატონ ივანე გორგანელთან. თავის დროზე ბატონმა ივანემ საშურველი ინიციატივა გამოიჩინა, რათა ფილოსოფიის ფაკულტეტის ახალგამოჩეკილი კურსდამთავრებული ასპირანტურაში დაეტოვებინათ და შემდგომაც არ აკლებდა მას ზრუნვასა და ყურადღებას. თვით ბატონი ივანეს პიროვნება კათედრაზე ლეგენდებით იყო შემკული. ამ ლეგენდების სათავე, ალბათ, ის იყო, რომ კათედრის არც ერთ თანამშრომელს, თვით კათედრის გამგის ჩათვლით, თვალითაც არ უნახავს ბატონ ივანეს სადისერტაციო ნაშრომი, არც არავინ დასწრებია მის მიერ დისერტაციის დაცვის პროცედურას, არადა ფაქტი ჯიუტი იყო: ივანე გორგანელი მარქსიზმის კათედრის სრულუფლებიანი პროფესორი გახლდათ. ამბობდნენ, რომ ის ფარული გენერალია, რომ საბჭოთა კავშირის ფარული გმირია, რომ ბერიას მტრობდა და სასწაულად გადაურჩა რეპრესიას პირადად სტალინის ჩარევის მადლით, რომ აკრძალული აქვს ორდენებისა და მედლების გულმკერდზე ტარება, რომ უმაღლეს სფეროებში უშიშრად განაცხადა პროტესტი სტალინის ძაგების კამპანიის წინააღმდეგ და ამ ნაბიჯის შედეგად კიდევაც დაკარგა რაღაც-რაღაც კუთვნილი პრივილეგიები, რომ... ერთის სიტყვით, ბატონი ივანე მარქსიზმის კათედრის მასშტაბით ნამდვილად ლეგენდარული პიროვნება გახლდათ, ხოლო სხვა მასშტაბზე არავის არ ჰქონდა ზუსტი წარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოდგენა. ცნობილი იყო მხოლოდ ის, რომ ბატონი ივანე უაღრესად კომპეტენტურად მსჯელობდა ყველა პოლიტიკურ თუ მეთოდოლოგიურ საკითხზე, უაღრესად მაღალი ერუდიციის პატრონი — ომის წლებში — საბჭოთა დაზვერვასთან იყო დაკავშირებული. ეს უკანასკნელი გარემოება, თქმა არ უნდა, სასტიკ სახელმწიფო საიდუმლოებას წარმოადგენდა, მაგრამ, მოგეხსენებათ, თბილისი, არცთუ ვეებერთელა ქალაქი, წარსულში მით უფრო კოხტა და პატარა იყო, და ზოგიერთს კიდევ ახსოვდა თუ როგორ უეცრად გაუჩინარდა ოცდაჩვიდმეტში მათი თანაუბნელი ვანიკო გორგანელი, როგორ ეგონათ ის დახვრეტილი ან გადასახლებული, და როგორ, — რასაკვირველია, ისევ და ისევ გასაიდუმლოებული და საეჭვო არხებით, — ჩამოაღწია უბნამდე ამბავმა ვანიკოს რესპუბლიკურ ესპანეთში მივლინებისა და იქაურ ომიანობაში მისი ვაჟკაცობისა. ერთი სიტყვით, ზუსტი და შემოწმებული ცნობები არავის მოეპოვებოდა, მაგრამ კათედრის ყველა თანამშრომელი დარწმუნებული იყო იმაში, რომ ბატონი ივანე, ასე ვთქვათ, უხილავი ფრონტის ჯარისკაცი თუ გენერალია და მისი „გაპროფესორება“ რაღაც დახლართული ინტრიგის ხილული შედეგია მხოლოდ.

ასეთი იყო ადამიანი, რომელსაც, — დამსწრე საზოგადოების გასაოცებლად, — სხვებზე მეტად ენდობოდა მაშინ ბონდო ქვავაძე. ეს ნდობა ხრიოკ და უსიცოცხლო ნიადაგზე არ აღმოცენებულა. ბონდო, პირველ რიგში, იმის გამო იყო მადლიერი პროფესორისა, რომ ასპირანტურაში მისი შემწეობით დატოვეს, მაგრამ დროთა განმავლობაში ახალგაზრდა მეცნიერი იმანაც მოაჯადოვა, რომ სისადავით განთქმული ბატონი ივანე სწორედ რომ გამორჩეულად ენდობოდა მას. თავი იჩინა, ეტყობა, ბუნების იმ უძველესმა კანონმა, რომლის ძალით ადამიანს, რაგინდარა ლეგენდარული თვისებების მატარებელიც უნდა იყოს იგი, უჭირს საკუთარი უნიკალური ბიოგრაფიის საფლავში ერთბაშად ჩატანა, უთქმელობა ემძიმება და — გაუთვითცნობიერებულად მაინც — ეძიებს და ზოგჯერაც ჰპოვებს ისეთ პიროვნებას, რომელიც, გარდა იმისა, რომ მზადაა მოუსმინოს და შეისმინოს, საკმარისად ნეიტრალურია იმ მოვლენათა მიმართ, რომელთა იღბლიანი თუ უიღბლო თანამონაწილეც ყოფილა ოდესღაც მთხრობელი. აღსარების მოთხოვნილება, თურმე, ბატონ ივანესაც სწვავდა; მასაც ესაჭიროებოდა ვინმე კარგად გამგონი და გამგები, თუნდაც გაცილებით მასზედ უმცროსი. ასე გაუმხილა მან ბონდოს შთაბეჭდილებანი აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში, კერძოდ, პოლონეთსა და ჩეხოსლოვაკიაში სოციალისტური მშენებლობის შესახებ. როგორც ბონდომ შეიტყო, პროფესორ გორგანელის დასკვნები მეტად სიღრმისეული იყო და, რაც მთავარია, პირად დაკვირვებებს ეყრდნობოდა და შორს სცილდებოდა აღიარებული იდეოლოგიური თეორიითა და ოფიციოზური პროპაგანდით დადგენილ ფარგლებს. ასევე დიდი გულისყურით შეისმინა ბონდომ ბატონ ივანეს ნაამბობი გარდასულ ეპოქათა უზენაესი პარტიული ხელმძღვანელების ჩვევებზე და გაეცნო კიდეც ათასგვარ მოულოდნელ და ადრე მისთვის სრულიად მიუწვდომელ დეტალს. სულ უფრო ხშირად ესაუბრებოდა ესოდენ დელიკატურ საკითხებზე მხცოვანი, სამოცს გადაცილებული პროფესორი ახალგაზრდა მარქსისტს, ესაუბრებოდა, რასაკვირველია, მოწმეებს გარეშე და თითქმის როგორც თანატოლი თანატოლს და ამ საუბრების შედეგად თანდათან სულ უფრო ერეტიკული ზრახვები ეუფლებოდა ბონდოს. ნუსხა და „შავი სია“ უკვე აღარ მიაჩნდა საკმარისად, სულ უფრო მძლავრად ეკიდებოდა მას მწვავე სურვილი თვითმყოფადობისა და ეს სურვილი განსაზღვრავდა ამიერიდან მის ფიქრსა და მეცადინეობას. მეცნიერული აღმოჩენის იმედი ასულდგმულებდა ცხოვრების იმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

პერიოდში ბონდო ქვავაძეს და არა ლუი ბონაპარტეს ისტორიული ფუნქციისა და შოვინისტური საგარეო პოლიტიკის მიზეზებისა და მამოძრავებელი ძალების შესწავლა, არა სამეცნიერო ხარისხსა და წოდებაზე ზრუნვა, არამედ თანადროული ქართული საზოგადოების სოციალური დიაგნოსტიკა წარმოადგენდა უკვე მის გამოუთქმელ მიზანს. სწორედ ამ საქმიანობას სწირავდა მაშინ ბონდო თავისუფალ საღამოებს, იკლებდა კინოს, მუსიკას, სასიამოვნო ქალიშვილებთან ურთიერთობას და ასეთი თავგამოდება გამართლებულად მიაჩნდა, თუმცა სრულიად არ იყო დარწმუნებული გამარჯვებაში: იმხანად არც ერთ მკვლევარს, მეტადრე ბონდოსთანა ახალგაზრდას, რეალობის ამსახველ საბუთებზე ხელი არ მიუწვდებოდა, ხოლო ყალბი სტატისტიკური მონაცემებით ფონს გასვლა არსებითად შეუძლებელი იყო. უაღრესად სათუოა, ბონდოს ესოდენ არაბუნებრივ შემართებას შედეგად მართლაც მეცნიერული გადატრიალება მოჰყოლოდა, მაგრამ, ასე იყო თუ ისე, რამდენიმე თვე თავდადებული მუშაობის შემდეგ ბონდომ საკმაოდ მოზრდილი ზომა-წონის რეფერატი მოამზადა და — თავისდაუნებურად — „ნაცოდვილარის" გამოქვეყნების ოდნავ მეტიჩრული სურვილიც კი აღეძრა. ეს სურვილი ერთის შეხედვით, საფუძველს როდი იყო მოკლებული, მაგრამ გამოცდილი და კეთილმოსურნე ადამიანისგან რჩევის მიღების გარეშე ბონდოს, ცოტა არ იყოს, ერიდებოდა რედაქციაში თუ გამომცემლობაში მისვლა, ხოლო ერთადერთ ასეთ ადამიანად მაშინ მას ბატონი ივანე ეგულებოდა. აი, პროფესორმა თუ წაიკითხა და მისცა დასტური... პროფესორის ასე შეწუხება, — მიუხედავად მათ შორის დამყარებული გულთბილი დამოკიდებულებისა, — ძლიერ ეუხერხულებოდა ბონდოს, მაგრამ ბოლოს, დიდი ფიქრისა და ჰოჰმანის მერე, გულის ფანცქალით მიართვა გორგანელს ნაშრომი და მოწიწებით სთხოვა, აზრი გამოეთქვა რეფერატის გამოქვეყნების შესაძლებლობაზე. ბატონმა ივანემ, მისდა სასახელოდ, გული არ გაუტეხა ასპირანტს, — ყოველგვარი კომენტარის გარეშე დაიტოვა ლამაზი, ლამის კალიგრაფიული ასოებით ჩაწიკწიკებული ხელნაწერი. როდესაც რამდენიმე დღის შემდეგ ბონდომ გაბედა და მიაკითხა გორგანელს, უბრალოდ იმის გასაგებად, კითხულობდა თუ არა პროფესორი „ნაცოდვილარს", ბატონმა ივანემ, რომელიც კაბინეტში, საბედნიეროდ, მარტომარტო იყო, ენერგიულად მიუთითა ბონდოს სავარძელზე. ბატონი ივანე, უნდა ითქვას, ფრიად აღელვებული ჩანდა.

კი, პირდაპირ, ყოველნაირი შესავლისა და მიკიბ-მოკიბვის გარეშე დაიწყო გორგანელმა ლაპარაკი, კი, მან წაიკითხა ნაშრომი, სულმოუთქმელად წაიკითხა და ძალზე მოეწონა კიდეც. შემდეგ პროფესორმა იკითხა, ხომ არ უნახავს რეფერატი მის გარდა ვინმე სულიერსა თუ უსულოს, სულ ერთია, ნათესავსა თუ სიყრმის მეგობარს და, გულს მალამოდ მოფენილი უარყოფითი პასუხი რომ მიიღო, ერთობ თეატრალურად ამოისუნთქა. „ძალიან მომეწონა, უაღრესად საინტერესოა, ახლებურადაა დანახული ჩვენი სოციალური ცხოვრება, არაფერი მსგავსი ჩვენს პერიოდიკაში არ ამომიკითხავს, — გაცილებით უფრო მშვიდად განაგრძო პროფესორმა, — ნამდვილადაა გამოქვეყნების ღირსი, ნამდვილად, მაგრამ... მაგრამ ეს აბსოლუტურად შეუძლებელია, აბსოლუტურად. ნეტავ როგორ მოახერხეთ, ბატონო ბონდო, ჩვენს უბადრუკ პირობებში ასეთი მდიდარი მასალის შეგროვება?" კითხვა აშკარად რიტორიკულად ჟღერდა. „რატომაა შეუძლებელი? — კითხვითვე უპასუხა ესოდენ უცნაური განაჩენით რიგიანად გაოგნებულმა ბონდომ, — პარტიულ პრესაშიც შეუძლებელია? რატომ? აქ ხომ არაფერია ანტისოციალისტური ან ანტიმარქსისტული. პირიქით, ყოველივე წმინდა მარქსისტულ მეთოდოლოგიაზეა აგებული". „მარქსისტულზე?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰმ... — პროფესორი წამით შეიჭმუხნა, — მ[illegible] რა მნიშვნელობა აქვს, ჩემო ძვ[illegible] არ მეგონა ასე მიამიტი [illegible] იქნებოდით. რა შუაშია აწ განსვენებული კარლ [illegible]ი? ეს თქვენ, და არა მარქსი, ოცნებობთ ამ ნარკვევის გამოქვეყნებაზე. ჰოდა, წარმოიდგინეთ, რომ ამჟამად თქვენს წინ ზის არა მარქსიზმის სპეციალისტი, არამედ ცენზორი, ანუ ადამიანი, რომელსაც ხელფასს უხდიან იმისთვის, რომ სახელმწიფო იდეოლოგია დაიცვას. აი, თქვენ, ცხადია, პირდაპირ არ წერთ, მაგრამ იცით რა გამოდის ამ თქვენი „მარქსისტული“ ნაშრომიდან? რა და ის, რომ საქართველო არა სოციალისტური, არამედ ტიპიური წვრილბურჟუაზიული რესპუბლიკაა, თანაც ეკონომიკის კოლონიური სტრუქტურით, თანაც იდეოლოგია გარედან აქვს მოხვეული. მხრებს ნუ იჩეჩავთ, არ გიწერიათ, ვიცი, მაგრამ გამომდინარეობს. ნებისმიერი, ვინც კი შეაჯერებს თქვენს მიერ მოყვანილ ფაქტებს, რაგინდა ასპროცენტიანი მარქსისტიც იყოს, ასეთ დასკვნას გამოიტანს. აბა, მიპასუხეთ, როგორ შემიძლია მე, ცენზორმა, გზა მივცე ასეთ პასკვილს, თუ ცნობილია, რომ ჩვენ განვითარებული სოციალიზმის ეპოქაში ვცხოვრობთ?“ „რასაც მაბრალებთ, ბატონო ცენზორო, მართალი არ არის. არც მიფიქრია ასეთი რადიკალური დასკვნის გამოტანა, — შეეკამათა ბონდო, — მე მხოლოდ შევეცადე რეალობა ამესახა და რაც გამოვიდა — გამოვიდა“. „იცით, ბონდო, — პროფესორის ხმაში სინანულმა და თანაგრძნობამ იმძლავრა, — იცით, რა მოხდებოდა, ეგ თქვენი ნამოღვაწარი ჩემამდე რედაქციაში რომ მიგეტანათ? გავიდოდა რამდენიმე დღე და ძალზე თავაზიანად გამოგიძახებდნენ სადაც ჯერ არს, იქ კი სულ სხვა კილოთი დაგელაპარაკებოდნენ. პირველ რიგში იმით დაინტერესდებოდნენ, ეგ ცილისწამება ვის წააკითხეთ. თუ ეტყოდი, არავისო და შენი სიმტკიცით დააარწმუნებდი, რომ მართალს ამბობ, ბოლოს გეშველებოდა: გაგაფრთხილებდნენ, მეტი აღარ მიქაროო, და გამოგიშვებდნენ; ეტყოდი — ივან[illegible] [illegible]ორგანულსო, მაინც გეშ[illegible]; ჯერჯერობით მენდობიან და იმიტომ; თუ გაბრიყვდებ[illegible] და სხ[illegible] წამოგცდებოდა, გეშველებოდა კი არა, სისხლის სამართლის საქმესაც კი აგკიდებდნენ ანტისაბჭოთა მასალების გავრცელებისთვის. ასე იქნებოდა ეს, ჩემო ბატონო, მეტნაკლებად უმნიშვნელო ვარიაციებით. ალბათ, პარტიაშიც აღარასოდეს მიგიღებდნენ, თუმცა წინსვლისთვის პარტიულობა ჰაერივით გჭირდება. აი, რა შედეგები მოყვებოდა შენი ნაშრომის დაბეჭდვის გაუფრთხილებელ მცდელობას“. „ანტისაბჭოურობა ფიქრადაც არ მქონია. აღშფოთებისგან ბონდო წამოწითლდა კიდეც, — მე საბჭოთა... მე პატიოსანი საბჭოთა მოქალაქე ვარ, კანონებს და კონსტიტუციას პატივს ვცემ, კრიტიკასა და პირში სიმართლის თქმას, მგონი, არც ერთი გვიკრძალავს, არც მეორე. სკოლაშიც ამას არ ჩაგვჩიჩინებდნენ!“ „აი, სწორედ რომ პატიოსანი! სად ხედავ პატიოსნებას ირგვლივ? თვითონაც სინამდვილეში ამაზე არ წერ? — ცალყბად ჩაიცინა პროფესორმა, — შენი სიმართლე არც ლეონიდ ილიჩს სჭირდება, არც ვასილ პავლოვიჩს. კანონი და კონსტიტუცია კი საგარეო ამოცანებს უფრო ემსახურება, ვიდრე საშინაოს“. „მაგრამ ეხლა ძველი დრო ხომ აღარაა, — სცადა მაინც ბონდომ შედავება, — მეოცე ყრილობა ჩატარდა, ნიკიტაც, მადლობა ღმერთს, მოვიცილეთ, მსოფლიო სოციალიზმი განიწმინდა და გაძლიერდა, ძლიერს კი კრიტიკისა არ უნდა ეშინოდეს. პოლიტიკა იცვლება“. „იცვლება, მაგრამ საით. საკითხავი აი ეს არის, — ოდნავ წაიხუმრა პროფესორმა და ისევ ძველებურად სერიოზული გახდა, — არც იმდენად იცვლება, ბონდო ქვავაძეს ტაში დაუკრან და სოციალისტურ რესპუბლიკას ოფიციალურად წვრილბურჟუაზიული უწოდონ. პირიქით, იდეოლოგიას ეხლა უფრო გაამკაცრებენ, საქმეს ასეთი პირი უჩანს. — რაც შეეხება განწმენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასა და ახალ საფუძველზე ჩვენი ნამეტნავად მრავალეროვანი სახელმწიფოს განმტკიცებას, ეგ მოლანდებაა მხოლოდ: დიდი პოლიტიკა სასტიკი და საშინელი თამაშია და არა ზნეობრივი გავარჯიშება, ამ თამაშს უფრო თანმიმდევრული მოთამაშე იგებს, მოგებას ხშირად სისხლიანი მსხვერპლიც მოსდევს, ხოლო ხელისუფლების უწყინარ კრავად გარდასახვას არავინ დაიჯერებს და თუ დაიჯერა, ამას დიდსულოვნებად კი არა, გადაგვარებისა და სისუსტის უტყუარ ნიშნად აღიქვამს. სტალინის საფლავიდან ამოთხრა სოციალიზმის დაღუპვის დასაწყისი იყო, — დრო დაადასტურებს ამ ჩემი შეფასების სისწორეს. გარდა ამისა... თუმცა, ეგ სხვა საკითხებია. მოკლედ, არ დაგიბეჭდავენ. ქვეყანაში ისეთი ვითარებაა, რომ შეიძლება მკაცრად დაგსაჯონ კიდეც“. „ვითომ ასე წახდა საქმე? — ნაღვლიანად იკითხა ბონდომ, — ვითომ ხმის ამოღება აკრძალულია? ვითომ ჩვენს მარქსისტულ ქვეყანაში მარქსიზმი არალეგალური მეცნიერება გახდა?“ „ნუ გიკვირს, ჯერ სადა ხარ, — პროფესორის გამოხედვაში გესლნარევმა მხიარულებამ იმძლავრა, — „ჩვენი ქვეყანა“ შენთვის საბჭოთა კავშირია, არა? ჰო, ასე ვართ მიჩვეული: საბჭოთა ქვეყანა არის ჩვენი სამშობლო. ასე გასწავლეთ. არც ვნანობ, მაგრამ სტალინის ამოთხრა თანდათანობით ყველაფერს წაშლის. შენ, რასაკვირველია, არასაკმარისად შეიგრძნობ ეროვნული იდეის სიძლიერეს, რადგან ჩვენში ეს იდეა ხელოვნურადაა დათრგუნული. აი, მე კი შესანიშნავად წარმომიდგენია მისი ძლიერება. უბრალოდ მახსოვს, მინახავს. თანაც არა აქ, სადაც მას სახელმწიფო დანაშაულის ელფერი წაკრავს, არამედ საზღვარგარეთ. სანამ ბატონი ჰიტლერი ჩეხეთს ჩაყლაპავდა, მე, ჩემო ბონდო, სუდეტის ოლქში მიცხოვრია. ეგ ოლქი მოგეხსენება, წინათ გერმანელებით დასახლებული ტერიტორია იყო. აი, იმ ჰაერით უნდა გესუნთქა, რომ სრულად შეგეგრძნო თუ რა კუდიანი და ჩახლართულია ეროვნული პრობლემა, როგორ მოქმედებს ის ადამიანის ფსიქიკაზე და როგორ საზრდოობს ადამიანის ინსტიქტებით. მე მეშინია ამ პრობლემის. ერიც ადამიანივითაა. ადამიანი უბადრუკიც შეიძლება იყოს, გარეწარიც და კეთილშობილიც, ერი კი — ძირითად მომენტებში — ყველა ერთნაირია. ცალკეული ადამიანი შეიძლება არც იყოს ეგოისტი, ან იოკებდეს ეგოიზმს, ერს კი მხოლოდ საკუთარი ინტერესი ამოძრავებს, თანაც ალალად, თანაც ყოველგვარი შინაგანი შეზღუდვის გარეშე. ერის თვითშეგნება მითოლოგიურია და, უხეშად რომ ვთქვათ, გასაჩივრებას არ ექვემდებარება, ანუ ობიექტურ განსჯას ვერ იტანს. სწორედ ამან — იმპერიალისტური დაპირისპირება მხოლოდ ფორმაა, — მიიყვანა კაცობრიობა ორ მსოფლიო ომამდე და სავსებით შესაძლებელია გაწიროს მესამე და უკანასკნელზე. ერი, ფხუკიანი მანდილოსანივით, ყოველთვის უკმაყოფილოა. ეროვნული ჯუნგლების პირობებში უპირატესობა, ბუნებრივია, უფრო ღონიერსა და მარჯვეს დარჩება. ეს ყოველთვის როდია სამართლიანი. ერთადერთი ფანდი, რომელიც გაჰრის და ეროვნულ ეგოიზმს დაამარცხებს, არის კომპრომისის, ანუ სტალინური „ხალხთა მეგობრობის“ იდეა. ჰო, ბონდო, ჭეშმარიტება ტრაგიკულია: ერების დამაშოშმინებელი და, მაშასადამე, მათ შორის მშვიდობის ჩამომგდები იყო, არის და იქნება ერთი რამ — სტალინური კეტი. სტალინურიო, ვამბობ, თორემ ეგ ხერხი კობას დაბადებამდე გამოიგონეს, გამოყენების ცოდნა უნდა ოღონდ. ამათ კი, იმის მაგივრად წარსულს როგორმე შერიგებოდნენ და მომავალზე ეზრუნათ, სტალინი ამოთხარეს. მე შეიძლება ველარ მოვესწრო, შენ კი — ჩემი სიტყვები დაიმახსოვრე — საბჭოთა კავშირის დაშლასაც იხილავ, კერძო საკუთრების აღდგენასაც და კაპიტალიზმის რესტავრაციასაც. პირველყოფილი რევოლუციური ინტერნაციონალიზმი დღეს იმპერიუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი სულისკვეთებითაა გაჟღენთილი. ყველა იმპერია კი იშლება ადრე თუ გვიან, ესეც დაიშლება, ჩემო ბონდო", — ამ კატეგორიული და საკმაოდ ხანგრძლივი ტირადის წარმოთქმისას პროფესორი შესამჩნევად გაწიწმატდა.

„მაინც არ მესმის, — ბონდომ ჯიუტად გააქნია თავი, — ნუთუ პერსპექტივა სწორედ ასეთია? თითქოს პირიქითაა: უსტალინოდაც ჩვენი სახელმწიფო ერთ-ერთი უძლიერესია მსოფლიოში. შეიძლება ითქვას — უძლეველი. ცხოვრების დონეც ნელ-ნელა მატულობს. დაშლა კი არა, შეერთებულ შტატებს, აგერ, ვიეტნამში ვამწარებთ, ევროპაში უბატონოდ ხმას ვერავინ გვცემს, ჩეხოსლოვაკია ხომ ოცდაოთხ საათში დავიკავეთ, თქვენ კი ამბობთ, ქვეყანა დანგრევის პირასაო. აქ რაღაც გაუგებარია ჩემთვის". ცხოვრების დონე, როგორც ამას შენ თვითონ შესანიშნავად ასაბუთებ, საყოველთაო ქურდობის ზრდასთან ერთად მატულობს. აი, როდესაც მიხვდები, რომ მთავარია არა სამხედრო ძალა, არამედ მორალური, არც ის გაგიკვირდება, თუ რატომ არ უწერია შენს ნაშრომს გამოქვეყნება ამ უპრინციპო საქმოსანთა ხელში. სტალინის გაცამტვერებით მათ ვერც საკუთარი წამხდარი რეპუტაცია აღიდგინეს და ქვეყნის მომავალსაც გამოუთხარეს ძირი. ეხლა, იცოცხლე, ნანობენ, ასე რომ მიჰქარეს, მაგრამ გვიანღაა თითზე კბენანი, — აღარც მტერი ენდობა, აღარც მოყვარე. მთელი ჩვენი იდეოლოგია ბედნიერი მომავლის მოლოდინზეა აგებული, მაგრამ ამ მომავლისა პენსიონერებს გარდა აღარავის სჯერა და სწორედ ეს ურწმუნობაა ათას ატომურ ბომბზე უფრო ქმედითი ფაქტორი. თუმცა, ამის შესახებ მერე ვილაპარაკოთ, ეხლა ლექციაზე მეჩქარება. ერთი სიტყვით, უმორჩილესად გთხოვ: წაიღე ეს გამოკვლევა და გადამალე სადმე. არ მოსპო, იქნებ როდისმე დაგჭირდეს, მაგრამ მოთმენა გმართებს. ამის დრო ჯერ არ დამდგარა".

იმედგაცრუებული დარჩა ბონდო ამ შეხვედრით, — რაღა ფასი ჰქონდა გორგანელის შექებას, თუკი თან ნაშრომის გამოქვეყნების სასტიკი აკრძალვა ახლდა, სულის ტკივილიც განიცადა, თანაც ისე უქმად დაკარგული დრო არ ენანებოდა, როგორც თვალსა და ხელს შუა გამქრალი ჭეშმარიტება, მაგრამ... გავიდა სასოწარკვეთილებით აღსავსე რამდენიმე დღე, სინანულის გრძნობით შეფერადებული ორი თუ სამი კვირა და ბონდომ სძლია ასე უცნაურად შეჩენილ ეშმას: ისევ სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ თემის დამუშავებას მიუბრუნდა, რაც ახლო მომავალში დიახაც უქადდა სამეცნიერო ხარისხის მოპოვებასა და სამშვიდობოზე გასვლას. მაგრამ ვინ იცის რაა სამშვიდობო, მით უმეტეს, რომ ადამიანი ყოველ დროს ქვიშის იმ პაწაწინა ნაწილაკს ემსგავსება, ზენას მიერ ამბოხებულ მღვრიე ტალღას რომ დასჭიდებია უმწეოდ და ვერაფრით განუსაზღვრავს შორეული სანაპიროს რომელ ჯებირს მიანარცხებს აზვირთებული, გაბოროტებული წყალი.

პროფესორ გორგანელის ესოდენ მკაცრმა და, იმავ დროს, სინანულითა და სიტკბოებით აღსავსე დარიგებამ, — ასეთი მიდგომა კი გასაგები სიფრთხილითა და, ცხადია, ასპირანტის კეთილ მომავალზე ზრუნვით იყო ნაკარნახევი, — მაინც ვერ ჩასცა მომაკვდინებელი ლახვარი ახალგაზრდა მარქსისტის ოდნავ ამპარტავნულ ზრახვებს. ბონდომ მართლაც შთაიგონა დარიგება, გადამალა რა თავის ნაადრევად გამოჩეკილი ნაშრომი, მაგრამ სამაგიეროდ მეტი სიმძაფრითა და — შეიძლება ითქვას — გამწარებით გააგრძელა ფიქრი ქვეყნის ასავალ-დასავალზე. ვერც საკუთარი ცხოვრების უკეთ აწყობის იმედზე აიღებდა ხელს. მისი დისერტაციის მთავარი გმირები, კარლ მარქსი და ლუი ბონაპარტე, კეთილშობილი მეცხრამეტე საუკუნის შვილები იყვნენ, ხოლო ბონდო ქავაძე — მშფოთვარე მეოცისა, მეოცე საუკუნის პატივმოყვარე პირმშოთ კი არ სჩვევიათ შორს გამიზნული გეგმების უნებისყოფო გადასინჯვა. თუმცა ნუსხაც, „შავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიაც“ და „ნაცოდვილარიც“, როგორც ქვეყნად ავტორის საყმაწვილო სენის შედეგად მოვლენილნი, საწერი მაგიდის ერთ-ერთი უჯრის სიღრმეში დაიმარხნენ. ეს მხოლოდ იმას თუ ნიშნავდა, რომ ბონდომ, აღიარა გულუბრყვილო საქციელის უნაყოფობა, ტაქტიკური მოსაზრებით უკან დაიხია და მიზნის მისაღწევად ისევ მარქსისტისთვის უფრო ტრადიციული გზა — დისერტაციის დაცვა, კათედრაზე სამუშაოდ მოწყობა და კომუნისტური პარტიის რიგებში შესვლა აირჩია. ყოფილა ბონდოს მაშინდელ ცხოვრებაში ისეთი თეატრალური წუთებიც, როდესაც იგი უნებურად მიასადაგებდა ხოლმე საკუთარ უსაყვარლეს პიროვნებას გაზეთის მოწინავეებიდან ამოკრეფილ და ჩვეულებრივი ყურთასმენისთვის უაღრესად მოყირჭებულ ოფიციოზურ ფრაზებს, მაგალითად ასეთს: „პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ბონდო ქვავაძემ დღეს კრემლში მიიღო მოძმე პარტიათა ხელმძღვანელები“, ან: „კუბის ეროვნულ დღესასწაულთან დაკავშირებით ამხანაგმა ბონდო ქვავაძემ გულთბილი მისალმება გაუგზავნა ამხანაგ ფიდელ კასტროს“...

ამჟამად კი, სადღაც დაკარგული საწყობის გამგის ნერვიულად მომლოდინე ბონდოს, უეცრად ისიც გაახსენდა, თუ სად, როდის და რა ვითარებაში გამოესალმა წუთისოფელს მისი სულიერი მოძღვარი ბატონი ივანე გორგანელი.

ზამთრის ცივი საღამო იდგა. ახალი ჩამობნელებული იყო, გათოშილმა ბონდომ დიდუბის მეტროს სადგურში რომ შეაღწია. დილმის ერთ-ერთი სააქვადმყოფოდან, სადაც მწოლიარე თანამშრომლის სანახავად მისულიყო, ბრუნდებოდა სახლში. ვიზიტი ძალაუნებურად გაუგრძელდა და ახლა ოდნავ ეჩქარებოდა, რადგან წინ საკმაოდ გრძელი გზა ედო, — ჯერ ხომ „ზემელზე“ უნდა გასულიყო, შემდეგ ტრანსპორტით ვაკეში, თანაც გზად პურის, კარაქისა და შაქრის შეძენას აპირებდა. მიუხედავად საღამო ხანისა, მეტროში ხალხმრავლობა იგრძნობოდა. გასული „პიკის საათის“ ფეხმარდი შლეიფი ჯერ კიდევ სრულად არ გაბნეულა დროსა და სივრცეში და, ამის გამო, გაუჭირდა კიდეც ბონდოს ვაგონში თავისუფალი ადგილის პოვნა. საბოლოოდ მაინც მოახერხა დაჯდომა და მას მერე უკვე ველარავინ შეუშლიდა — თხუთმეტიოდე წუთით კვლავ მისცემოდა საკუთარ უახლოეს მომავალზე ფიქრს. ასპირანტურა, დისერტაციის დაცვა, — ყოველივე ეს წარსული იყო, კარგად ჩავლილი, მაგრამ მაინც წარსული, ასე რომ, დრო მოვიდა ნამდვილ, ჭეშმარიტ კარიერაზე ზრუნვისა. არადა, წინ რეალური არაფერი ესახებოდა, გარდა, იქნებ, ერთისა... იმ წელს, თითქოს იჭექა შემოდგომის მღვრიე ღრუბელში, რაღაც ეფემერული იმედები აღეძვრა საქართველოს: რესპუბლიკაში მავან და მავან მიზეზთა გამო მთავარგანმგებელი შეცვალეს, ეს კი, ვინ იცის, რისი მომასწავებელი იყო, სხვა თუ არაფერი, რაღაც მნიშვნელოვანი საკადრო ცვლილებებისა მაინც, ხოლო თუკი ასეა, იქნებ ახალ ვითარებაში ვინმე ძლევამოსილსა და აღზევებულს კეთილი თვალით გადმოეხედა ახალგაზრდა მარქსისტისთვის და მისთვის ნათელი მომავლის გზაც გაეკაფა? ვაგონის მონოტონური ჩაქჩაქი მხოლოდ ხელს თუ უწყობდა საოცნებო აზრთა მალიმალ დინებას და ნებიერ ფიქრში გართული ბონდო „რუსთაველის“ მეტროს სადგურზე ისე აღმოჩნდა, რომ, ცოტა არ იყოს, გაიკვირვა კიდეც, — ნუთუ, ასეთი აღმაფრენისა და შესაძლებლობების კაცი, ისევ და ისევ, მეცნიერებათა უბრალო კანდიდატად დავრჩენილვარო. ვაგონიდან ბაქანზე გადმოვიდა თუ არა, ესკალატორებთან ატეხილი ჩოჩქოლი შენიშნა. ისიც დაინახა, რომ, თუმცა, აღმავალ კიბეს ხალხი ზემოთ, რუსთაველზე, ჩვეულებრივ აყავდა, დაღმავალი გაჩერებულიყო და მგზავრები, — როგორც ჩანს, სწორედ დაბლა ამტყდარი ჩოჩქოლის მიზეზით, — ბაქანზე ფეხით ჩადიოდნენ.

ესკალატორთან მისული ბონდო უნებურად შეჩერდა და სცადა, ჩოჩქოლის ეპიცენტრისკენ გაეკვლია გზა, — მას ბუნებრივმა ცნობისმოყვარეობამ სძლია, მით უმეტეს, რომ შორიახლო მყოფთაგან უცებ შეიტყო მომხდარი ამბავი: ვიღაც კაცს გულმა უმტყუნა და ზედ ესკალატორთან დაცემულიყო. ისმოდა შეძახილები, „სასწრაფო, სასწრაფო გამოიძახეთ, ჩქარა"-ო, და, ალბათ, ვიღაც ღვთისნიერმა, — მათგან, ვინც უკვე ზევით, მოედანზე ასულიყო, — მართლაც გამოიძახა ტელეფონით სასწრაფო დახმარების მანქანა. როდესაც ბონდო, როგორც იქნა, დაცემულის ირგვლივ შეკრებილთა წინა რიგებში აღმოჩნდა, მან ჯერ უმწეოდ მიგდებულ, თითქოს სადღაც ნანახ დიდ შავ პორტფელს მიაქცია ყურადღება, შემდეგ კი იმ ზონზროხა, დონდლო სხეულს, რომელიც სულ ახლახან სიცოცხლით იყო სავსე და რომელშიაც ახლა ძლივსღა ფეთქავდა — თუ ფეთქავდა — ამქვეყნიური მოუსვენარი ცხოვრებით გადაღლილი გული. მერე კი უცებ... ეს უსიცოცხლო, განაცრისფერებული, რაღაცნაირად ჩამომხმარი პირისახეც აშკარად ნაცნობი იყო, იგი ეკუთვნოდა მის ჭარმაგ მასწავლებელს — ბატონ ივანეს! თითქოს რაღაც გაუწყდა ბონდოს გულის სიღრმეში, დაიბნა, აღარ იცოდა, რა მოემოქმედა და რითი ეშველა მასწავლებლისთვის. პირველი გაუცნობიერებელი მისი სურვილი იყო მიერბინა დაცემულთან და ფეხზე წამოეყენებინა, მაგრამ გავიდა რამდენიმე წამი და ბონდომ ნათლად წარმოიდგინა, რომ ეს შეუძლებელი იყო, რომ მის წინ გართხმული კაცის სიცოცხლე ფაქტიურად დასრულებულიყო. უცებ აღეძვრა მტკივნეული სურვილი, სასწრაფოდ გაცლოდა იქაურობას და ეს მეორე სურვილი იმდენად ძლიერი აღმოჩნდა პირველზე, რომ ბონდო — თვითონაც ვერ გაეგო, როგორ და რანაირად — სულ მალე ამავალ ესკალატორზე აღმოჩნდა და რაც უფრო იზრდებოდა მანძილი მასა და ქვის ცივ იატაკზე გაკრულ ბატონ ივანეს შორის, მით უფრო ეუფლებოდა სიმშვიდე კალაპოტიდან ასე უმოწყალოდ ამოგდებულ ბონდოს, — თანდათანობით საკუთარი ქმედების შეფასების უნარმაც გაიღვიძა მასში. სადგურის ვესტიბიულში შეჩერდა: არ მოეწონა თავისი საქციელი. ერთის მხრივ, მართალია, გორგანელს ვერაფრით უშველიდა, მაგრამ, მეორეს მხრივ... ერთის სიტყვით, ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ მან ბატონ ივანესთან დაბრუნება გადაწყვიტა. ფეხით აპირებდა ჩარბენას დაღმავალ ესკალატორზე, მაგრამ შედგა თუ არა ფეხი კიბეზე, ესკალატორი უეცრად დაიძრა, ეს კი — მიხვდა ბონდო — იმის მაუწყებელი უნდა ყოფილიყო, რომ ბატონი ივანეს სხეული მოაცილეს ესკალატორისა და ბაქნის შესაყარს. მართლაც, დაბლა ჩასულს სადგურის მორიგემ უპასუხა, რომ როგორც სასწრაფოს ბრიგადამ დაადგინა, აღარ სუნთქავდაო, როგორ ვერ დაინახე, საკაცით რომ აყავდათო, — გაიკვირვა მორიგემ, გადაიტანეს ეხლა გვამს პირველი საავადმყოფოს მორგში, რადგან ის ყოფილა მორიგე, და ვინაობასაც დაადგენენო; შეუძლებელია ამხელა პორტფელში პიროვნების მიმნიშნებელი რაიმე საბუთი ვერ იპოვნონო. აი, ასე იქნებაო, დასძინა საბოლოოდ სადგურის მორიგემ და ისღა დარჩენოდა ბონდოს, გამობრუნებულიყო და წამოსულიყო სახლში...

მაგრამ ყოველივე, სულმოკლე ოცნებებიც, სინდისის ქენჯნაცა და პირადი უსაფრთხოების ჩვეული შეგრძნებაც, — მხოლოდ წარსული იყო. რა ხანია დასრულდა ის ხანგრძლივი ფურცელიც საქართველოს მატიანისა, როდესაც თითქოს არაფერი იძვროდა საყოველთაო დახუთულობის ერთხელ და სამუდამოდ დამყარებულ ყოფიერებაში. არათუ ოდესღაც მივიწყებული სოციოლოგიური გამოკვლევა, რომლის შენახვას ასე ურჩევდა ბონდოს აწ გარდაცვლილი ბატონი ივანე გორგანელი, არამედ თვით ყოველწლიური სამეცნიერო გეგმებით დამტკიცებული სამუ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შაო თემები ვერ აიძულებდნენ სოციალისტური სინამდვილით გასავათებულ ბონდოს კვლავ დაინტერესებულიყო კაცობრიობის გაბედნიერების სავსებით უტოპიური პროექტებით. გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი ბონდოს წარმოსახვაში ამჟამად ის იყო, რომ საცოდავი მისი სიდედრი, ქალბატონი დესპინე, აგერ მესამე თვეა სულს ღაფავდა ონკოლოგიური ცენტრის ერთ მყუდრო პალატაში და ყოვლად უიმედო მისი მდგომარეობით, ბუნებრივია, ქვავაძეების მთელი ჯალაბობა იყო შეწუხებული. წმინდა ადამიანურ თანაგრძნობაზე რომ არაფერი ვთქვათ, ასეთი უმწეო დავრდომილის მოვლა-პატრონობა სტაციონარის პირობებშიც კი ოჯახის წევრებისთვის დიდი ჯაფა და ხათაბალაა. დოცენტის ხელფასით არც საუკეთესო წლებში იყო ოჯახის გატანა იოლი და, თუმცა, ბონდოს მეუღლე, ქალბატონი მაგდა, ოჯახის საქმესაც ღირსეულად უძღვებოდა და თავადაც ნახევარ შტატზე მუშაობდა ერთ-ერთ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში. მაგრამ ეგეც ვერაფერი შეღავათი იყო — ბონდოს ორი უმცროსკლასელი ვაჟკაცის ფეხზე და გზაზე დაყენება იყო და, კიდევ დიდხანს დარჩებოდა, მაგდა და ბონდო ქვავაძეების ანად და ჰოედ. ქალბატონი მაგდა ყურადღებას არ აკლებდა სასიკვდილო სნეულებით გაწამებულ დედას, მაგრამ ბოლო დროს სენი ისეთ სტადიაში გადავიდა, როცა სიკვდილი სანატრელია ავადმყოფისთვის. სამი თვე ყოველდღიურად თხუთმეტ მანეთს უხდიდნენ ქვავაძეები საგანგებოდ დაქირავებულ მომვლელ ქალს, ვინაიდან სავსებით ცხადი იყო, რომ პერსონალი ვერაფრით ვერ გაუწევდა მომაკვდავს ისეთ მეურვეობას, ნამდვილად რომ ეკადრებოდა. ყოველივე ზემოთქმულს კი ახალი უსიამოვნება დაემატა.

ზაფხულის ერთ დახუთულ შუადღეს ონკოლოგიური ცენტრიდან სამსახურში მობრუნებულ ბონდოს კათედრის დასასვენებელ ოთახში ერთადერთი — სხვები უკვე შვებულებაში გასულიყვნენ — კოლეგა, მასზე ოდნავ უმცროსი და, შესაბამისად, ნაკლები პარტიული სტაჟის მქონე დოცენტი ლადი ბობოხიძე დახვდა. ბობოხიძე კათედრაზე ერთობ არეული და საშუალოზე მეტად ემოციური პიროვნების რეპუტაციით სარგებლობდა და ეხლაც, მიუხედავად ოთახში დამყარებული გრილი და სასიამოვნო სიმყუდროვისაა, შიშნარევი აღელვება ეწერა პირისახეზე. „გაიგე, — ყოველგვარი მისალმების გარეშე და ლამის ჩურჩულით, თითქოს საშინელ საიდუმლოებას ანდობსო, უთხრა ბონდოს, — გაიგე, კაცო, ამბობენ კათედრას მიგვიქეტავენ და გზაშარაზე გაგვიშვებენო. სტუდენტები იფიცებიან, აღარც მარქსი და აღარც ლენინიო, მთავრობა კი, ხომ იცი, შენ, რაფერ დაშინებულიცაა და ეხლა ყველაფერზე ხელს მოუწერს. გაგვწირავენ, აუცილებლად გაგვწირავენ, ბონდო!" „ჭორი იქნება, — არცთუ რიხიანად შეედავა ბონდო, — მაგას მთავრობა ვერ იზამს. კომუნისტური მთავრობაა და ჩვენ თუ გაგვწირა, თავის თავსაც გაწირავს უთუოდ". „კი, რავა არა! — ხმა აიმაღლა უცებ ლადიმ, — კაკ რაზ ჩვენ ჩამოგვიცილებს, თვითონ რომ გადარჩეს, მეორე ცხრა აპრილი უნდა ეხლა მაგას?" „აბა, უმუშევრად დაგვტოვებენ ამხელა ხალხს? პანიკას ნუ ავრცელებ, ამხანაგო ლადი! — საკმაოდ მწარედ გაიხუმრა ბონდომ, — ისე კი, ნაღდად მირჩევნოდა, თავის დროზე თოხი დამეჭირა ხელში". „მეც კი მირჩევნოდა, მაგრამ გვიანია ეხლა... — ბონდომ რაღაც კნავილის მაგვარი შეიტყო შეშინებული კოლეგის ხმაში, — რავა, ჩემ შვილებს ოპოზიცია აჭმევს, რამე რო იყოს? მაგი კი არა, ისე წევიდა საქმე, ჩემო ბონდო, სრულ ეროვნულ თანხმობას დაამყარებენ და ზედ სერგო ორჯონიკიძის გამოწვდილ ხელზე ჩამოგვკიდებენ, ვითომ ჩემი და შენი შემოყვანილი იყო ეგ ტანკები აქ. ჩვენზე გადატეხავენ ჯოხს, ჩვენზე, — ლადის ლაპარაკში უკვე ისტერიის ნიშნები გამოკრთოდა, — ეჰ, პარტიული მაინც არ ვიყო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეხლა ბევრი გამოდის პარტიიდან. იქნებ... იქნებ ჩვენც, ჰა?“ „გავიქცეთ? — ბონდო მოიღუშა, — რა ვიცი... ღალატს რომ არ წაავგავდეს... — მან მხრები აიჩეჩა, — რა დროს ჩემი მრწამსის გამოცვლაა, რაცა ვარ — ეგა ვარ“. „რა ღალატი, რის ღალატი? — ლადის შიშის ნაცვლად უცებ აღშფოთება დაეხატა სახეზე, — ცხრა აპრილის მერე? და გინდაც არ ყოფილიყო. არა, ბიჭო, სულ მაგ ჭკუაზე ვარ, კურდღლებს დავაგლეჯინო თავი! პარტია ჩვენ არ გვიცავს და ჩვენ რაღაზე დავიცვათ პარტია, ბონდო!“ „რაღაც სამუშაოს დაგვიტოვებენ, მე მგონი, — ბონდომ საათს დახედა, — უჰ, წასასვლელი ვარ... შეიძლება სხვა კათედრაზე გადაგვიყვანონ“... სხვაგან არა! — სიტყვა გააწყვეტინა ლადიმ, — ამის დედა ვატირე, მაყუთი მაინც გამეკეთებინა გამოცდებზე. აბა, შეროზიას არავითარი უმუშევრობის არ ეშინია, იმდენის აქაფვა მოასწრო... ეჰ, მე და შენ ვიფიქროთ, ჩემო ბონდო“. „რაღაცა იქნება. ისე როგორ იქნება, არაფერი არ იყოს, — ბონდომ ცალყბად ჩაიცინა, — სულაც ჰორია. დამშვიდდი ლადი, რექტორის ბრძანებამდე მაინც დავიძინოთ მშვიდათ. წავედი ახლა მე...“

ბონდო მართლაც არ აპირებდა კათედრაზე დიდხანს დაყოვნებას, უბრალოდ როგორც იტყვიან ხოლმე, შეიარა სამსახურში — არავითარი საქმე ამ გაგანია არდადეგებისას მას აქ არ ჰქონდა, მაგრამ, ლადისთან ნამეტანი პირდაპირი ლაპარაკი რომ არა, დარჩებოდა, ალბათ, კიდევ ცოტა ხანს იმ გრილ და მყუდრო მოსასვენებელ ოთახში. თანაც იმიტომ კი არ წავიდა, რომ ბობოხიძისა ერიდებოდა ან ეჭვის თვალით უყურებდა, უფრო საკუთარ თავს გაექცა. როგორც კი საუბარი შეროზიას შეეხო, რაღაც ცივმა ჟრუანტელმა დაუარა ტანში. საქმე ის იყო, რომ ბობოხიძის პანიკა ბონდოსთვის უკვე მოხდილი სენი იყო. კერძოდ, წარსული შემოდგომის საერთო არეულობის შედეგად ბონდო დარწმუნდა, რომ ძველ ყოფას დიდი სიცოცხლე არ უწერია, ხოლო ახალ ყოფაში მისი მომავალი სათუო რამ იქნებოდა, — ბოლოს და ბოლოს, ბონდო, მიუხედავად თავისი გლობალური მიზნების აშკარა ჩაშლისა, მაინც ბუნებრივი გამჭრიახობით დაჯილდოებულ ადამიანად რჩებოდა და საკუთარი ხვალინდელი დღის პოლიტიკური თუ ყოფითი განჭვრეტა — გარკვეულწილად, რასაკვირველია, — სხვა, უფრო გულუბრყვილო და ვულგარულ მარქსისტებზე უარესად როდი შეეძლო. გასული ზამთრის სესიაზე კი... ლექტორის კარიერის დასაწყისისას თუ რამ მიაჩნდა ბონდოს საზარელ და უპატიებელ საქმედ, ეგ სტუდენტი ახალგაზრდობიდან უპატიოსნო გამომცდელებისაგან ქრთამის გამოძალვა იყო, — არადა სხვადასხვა ფაკულტეტებზე ასეთი გამოძალვა თითქმის ჩვეულებრივი ამბავი გახდა. ათიოდე წლის წინათ თავად ბონდოს შეცდენაც კი სცადა, თანაც გამოცდის მიმდინარეობის დროს, ერთმა გათავხედებულმა და, როგორც ჩანს, არცთუ ჭკვიანმა სტუდენტმა. სტუდენტი მარტივ კითხვებზეც კი ძალზე სუსტად პასუხობდა, ობიექტურად ცუდი შეფასების ღირსი იყო, მაგრამ სამეცნიერო და პოლიტიკურ წარმატებაზე ქვეცნობიერად ხელჩაქნეულ ბონდოს მაინც გადაეწყვიტა დაუმსახურებელი „სამიანი“ დაეწერა ჭაბუკისთვის. გადაფურცლა მოწიწებით მორთმეული ჩათვლის წიგნაკი და სახტად დარჩა: ფურცლებს შორის ორი კოხტად დაკეცილი ოცდახუთმანეთიანი იდო. აღელდა ბონდო ქვავაძე, აღელდა და განრისხდა უზომოდ, დამაკმაყოფილებელი ნიშანი კი არა, ცალკე ფული და ცალკე შერყვნილი ჩათვლის წიგნაკი მიუგდო სახეში გაფითრებულ ახალგაზრდას. ამ ინციდენტს, გარდა იმისა რომ პირში ჩალაგამოვლებული სტუდენტი კურსზე დარჩა, არავითარი გაგრძელება არ მოყოლია, თუმცა, ეტყობა, ამბავი არ დაიმალა და მას მერე ვერავის შეუბედავს ბონდოსთვის ქრთამის შემოთავაზება. ეს იდილია ბარე წინა ზამთრის სესიამ-

დე გრძელდებოდა, როდესაც... დრონი მეფობენო, ნათქვამია, სტუდენტების ახალ-ახალი თაობები მოდიოდნენ გამოცდებზე, ის ინციდენტიც წარსულის ბურუსმა მოიცვა და ჯერ კიდევ სესიის დაწყებამდე გაუმხილა ბონდოს ერთმა მარჯვე ჯგუფხელმა თავისი ჯგუფის მნიშვნელოვანი ნაწილის გულწრფელი სურვილი ტყუილად დრო არ დაეხარჯა ისეთი რუდიმენტული საგნის მომზადებაზე, როგორიც, სტუდენტობის საერთო აზრით, მარქსიზმი გახდა. ბონდოს პირველი სულიერი მოძრაობა არამზადა ჯგუფხელისთვის სილის გაწნა იყო, ძლივს შეიკავა თავი, მაგრამ შემდეგ ჩაფიქრდა, — ჯგუფხელი კი შორიახლო იდგა და პასუხს ელოდა, ცივი და უდარდელი სიმშვიდის განსახიერება იყო იმ წუთებში ის მაღალი, მხარბეჭიანი ბიჭი. „სულ ცალ ფეხზე ჰკიდია თუ რა ცეცხლი მინთია გულში“, — ნაღვლიანად გაიფიქრა ბონდომ. ნელ-ნელა სილის გაწნის სურვილმაც გაუარა. ჯერ ის გაახსენდა უნებურად, რომ სიდედრს, ქალბატონ დესპინეს, ეტყობა, დიდი ხნის სიცოცხლე აღარ უწერია, ვინაიდან სულ უფრო და უფრო უარესად გრძნობს თავს და მალე, ალბათ, ოჯახს მისი სტაციონარში მოთავსება მოუწევს; მერე ის, რომ თერთმეტი წლის უმწიკვლო დოცენტობის შედეგად რალაც საცოდავი ექვსასოცი მანეთი დაუგროვდა შემნახველი სალაროს წიგნაკზე; ისიც, რომ ხვალინდელი დღე უაღრესად ბუნდოვანია და ასეთი გამოცდები შეიძლება აღარც კი განმეორდეს მეტი. ახმახი ჯგუფხელი კი იდგა და მშვიდად ელოდა, პასუხის მოლოდინის გარდა, არას გამოხატავდნენ მისი პირისახის ხელოვნურად გაყინული ნაკვთები. ბოლოს ბონდომ, როგორც იქნა, დაამსხვრია გაწეწილი სიჩუმე და ოდნავ მოღუშულმა, ისე რომ არც გაუხედია ჯგუფხელისკენ, გამოცრა: „გამოცდის წინდღეს მოდი, მოვილაპარაკოთ“, — ამას რომ ამბობდა, თავადაც გაოცებული იყო, ასე ეგონა, მე კი არა, ვიღაც სხვაა ჩემს გონებას დაუფლებულიო. აი, ასე — მოვილაპარაკოთო, — მერე კი წყნარად გაშორდა შემცდენელს. მართლაც შედგა ეს მორიგება და ასეთი მაზანდა დაადგინეს ერთობლივად: სამიანი — ოცდახუთი მანეთი, ოთხიანი — ხუთი თუმანი, ფრიადი — ასი მანეთი, უბრალო ჩათვლა კი — თუმანი. შემდეგ კი იმ ჯგუფხელმა ბონდოს მეორე ჯგუფხელი გააცნო, მეორე ჯგუფხელმა კი მესამე, ეგ აღებ-მიცემა გადამხდელსაც გაუტკბა და ამღებსაც და საბოლოოდ, ორი ათას მანეთზე ცოტა მეტი ჩაიჯიბა იმ სესიის განმავლობაში ბონდო ქვავაძემ, თანაც ისე, რომ ვერ შეიტყო — თუმცა აინტერესებდა, — შეილახა თუ არა იმ ზამთარს მისი კოლეგების თვალში რეპუტაცია, რომელიც ბონდომ იქამდე პატიოსანი შრომით დაიმსახურა და რომელიც ჯერჯერობით ურყევი იყო. ყოველ შემთხვევაში, კოლეგები ძველებურად ჰორაობდნენ მასთან ვალერა შეროზიას და კიდევ სხვათა მექრთამეობაზე — რაა, ლამის სალაროები დადგან პირდაპირ დერეფანშიო...

ეხლა კი, დაუნდობელი ზაფხულის ამ ცხელ, დახუთულ საღამოს, ქელეხის სამზადისმა — ბონდო ქვავაძე მხიარულ „ნადკუროის“ კარზე მიიყვანა. კარგა ხნის წინათ გამქრალი საწყობის გამგე სამსახურში ჯერაც არ დაბრუნებულა, მაგრამ დირექციაში ბონდო გაამხნევეს, აუცილებლად მოვაო, და ბონდოც, რათა ცოტა მაინც გაგრილებულიყო, მოსაცდელიდან დარბაზის გავლით ვიწრო, ღია აივანზე გავიდა, რამდენიმე მაგიდას აუარა გვერდი და ერთ შედარებით მყუდრო, საერთო აურზაურს მოცილებულ ადგილას გადაწყვიტა დალოდება. გვალვისგან რიგიანად დამშრალი მდინარე ზანტად მიედინებოდა ქვემოთ, კასპიისაკენ, ბონდო კი იდგა აივანზე ვით შორეული ნაოსნობის გადამდგარი კაპიტანი სხვისი გემის გემბანზე და ნაღვლიან ფიქრებს მისცემოდა. რაღაცაზე „მობუტბუტე“

მტკვარმა მძაფრად აგრძნობინა ამქვეყნიური წარმავლობა და აუხდენელ ოცნებათა მოგონებებით აღავსო. „სულ სხვანაირად მეგონა, სულ სხვანაირად წავიდა. ვაჟკაცობა რომ მყოფნიდეს, ეხლავე გადავეშვებოდი ამ წუმპეში უთუოდ“,—გაუელვა უეცრად ბონდოს მზაკვარმა ზრახვამ და ამ საშინელი გაელვების ზურგის ტვინიდან ამოსაშლელად ბონდოს ჯერ ცოლ-შვილის გახსენება მოუხდა, შემდეგ კი იმ გარდაუვალი ღონისძიებისა, რომლის გამოც მოსულიყო აქ და რისი გამართვაც დადგენილი ადათ-წესით ხიზილალისა და თევზეულის გარეშე სრულიად წარმოუდგენელი იყო. „რას ერჩიან, ნეტავი, სოციალიზმს? — აგრძელებდა ბონდო დავას ვიღაც უცნობ და ზედმეტად ამაღლებულ გუნებაზე მყოფ მეტოქესთან, — მაგათ ჰგონიათ, წყობა თუ შეიცვალა, გამოვრჩებითო ამ ცხოვრებას რამეს. გამორჩებიან არა... ასეთი ყოფილა უბრალო ადამიანის ხვედრი, მუდამ გაბითურებული, ფრაერი უნდა დარჩეს. ყველაფრის გამოსწორება შეიძლებოდა, ყველაფრის, მაგრამ გამოსწორებას სიმშვიდე სჭირდება, დანგრევას კი შიში და მასობრივი ფსიქოზი, ამიტომაც ფსიქოზი და შიში არჩიეს, გამოსწორება კი, ეტყობა, თავიდანვე არავის უნდოდა, ისევ შეაცდინეს მიამიტი ხალხი. საერთოდ კი ყველაფრის წინასწარ განსაზღვრა იყო შესაძლებელი, უბრალოდ ხელი არ მიგვიწვდა ფილოსოფოსებს, თორემ უფრო მომზადებულნი შევხვდებოდით ცვლილებებს. ყველაფერი დიალექტიკით იხსნება: ვინც თავს კარგად გრძნობს, ის წყობილებას შეგუებულია და ურეფორმოდაც შესანიშნავად გაიტანს თავს, ხოლო ვინც ხელმოცარულია, იმას, ბუნებრივია, დასაკარგავი არაფერი აქვს და შემგუებელს იქამდე ებრძვის, სანამ მოკვდება, ან დაამარცხებს და მის ადგილს დაიკავებს. ასეა, ქანქარა ხან იქეთ გადაიწევს, ხან აქეთ...“ — და ამ დროს თითქო ხმამაღალმა შეძახილმა გამოაღვიძაო უმწეო თვითგვემას გადაყოლილი ბონდო. წამით თვალი შეავლო ბინდისფერ არემარეს, უცნაური იისფერი ხიბლით გარემოცულ მტკვარს, რაღაც უცხო, მანამდე ვერგამოცდილი გულისტკივილით შეიგრძნო ეპოქით გაცრეცილი სილამაზე ირგვლივ, შეითვისა დაღლილი, ვეება ქალაქის მოურიდებლობით გაკვამლული მშვენება დიდი მდინარისა, მასთან შეუღლების ის იდუმალი დარდიც, სულ ცოტა ხნის წინათ ასეთი სიმძაფრით რომ მოაწვა და, საკუთარ სისუსტეზე ოდნავ გაბრაზებულმა, უკან, დარბაზში გაბრუნება ამჯობინა. ერთ-ერთ მაგიდასთან უსიამო აყალმაყალი ამტყდარიყო, კაი ზორბა და გვარიანად შემთვრალ ჯეელს შამპანურის ბოთლისთვის ხელი წაევლო და უშვერი გინებით აქოთებდა რესტორანს. — თურმე სწორედ მის ბინძურ ბილწსიტყვაობას გაუღვიძებია ბონდო, — თანამეინახენი მის დაშოშმინებასა და გაკავებას ცდილობდნენ, ის კი უფრო გააფთრებულად იგინებოდა და ბონდოსთვის ვიღაც უცნობი „გოთვერანის“ საცემად იწევდა. აყალმაყალის ბოლო გაურკვევლობის ბურუსით იყო მოსილი და ბონდოც სასწრაფოდ გაეცალა იქაურობას. სამზარეულოსკენ გასწია და ბედმა საბოლოოდ გაუღიმა: იქ საწყობის გამგის დაბრუნების ამბავი შეიტყო. იქვე შეაწუხა ბონდომ, როგორც იყო დაგეგმილი, ის დარბაისელი კაცი და იმასაც რაღა დარჩენოდა ხათრიანი დირექტორის განკარგულების უყოყმანოდ შესრულების გარდა. ჩაუდო ბონდოს მზარეულმა ჩანთაში ათიოდე ქილა წითელი — შავი არ ჰქონდათ — ხიზილალა და სამიოდე კილო ზუთხეული, გადასცა ბონდომ საწყობის გამგეს შარვლის ჯიბეში საგანგებოდ გადადებული, წინასწარ დათვლილი ფული, მადლობაც მოუხადა, როგორც წესი და რიგია, და დაემშვიდობნენ კიდეც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეგობრულად ერთმანეთს. რესტორნიდან რომ გადიოდა, ბონდომ იატაკზე მიმოპნეული ჭურჭლის ნამსხვრევები დალანდა, მაგრამ არავისთვის უკითხავს თუ რითი დამთავრდა შეხლა-შემოხლა, — ვერ გახდებოდა ეგ აყალმაყალი ბონდო ქვავაძის განკითხვის საგანი ნამდვილად...

გვიან ღამით, როდესაც ქალბატონმა მაგდამ და ბონდოს ვაჟიშვილებმა, როგორც იქნა, ჩაძინება მოახერხეს, — არადა ძილი მათი მხოლოდ ხანმოკლე შესვენება იყო ხვალინდელი ორომტრიალის წინ, — ბონდო ლოგინიდან წამოდგა, სამზარეულოში გავიდა, მაცივარი გააღო, ერთი ქილა ხიზილალა და კარაქი გამოიღო, ეგ ყველაფერი მაგიდაზე დადო, შემდეგ პურიც გამოიტანა, პურს კარაქი წაუსვა, ოდნავ შეყოვნდა, მერე ერთი ამოიხვნეშა, ქილა გახსნა, ხიზილალა სქლად წაუსვა კარაქიან პურს და ხარბად შეექცა. მანამდე არ შეჩერებულა, სანამ ქილა არ დააცარიელა. ჭამას რომ მორჩა, კიდევ დიდხანს იჯდა გაუნძრევლად და ნასუფრალს ჩაშტერებოდა. ბოლოს ჯდომა მობეზრდა, კიდევ ერთხელ ღრმად ამოიხვნეშა, ცარიელი ქილა სანაგვეში გადაუძახა და ფეხაკრეფით დაბრუნდა საძილე ოთახში.

ხვალ მას უაღრესად მძიმე დღე ელოდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ზურაბ ლობჟანიძე

●

ისევ მოვიდა ნაცნობი განცდა, —
მარტოობის და ლექსის სურნელის,
ფიქრები ჩემი სამყაროს გასცდა,
გამითბო გული განუკურნელი:

ერთი თვე თითქოს წუნწუხში
ვიჯექ, —
ღრეობა, ღვინო, სიშიშვლე ქალის...
ახლა შორიდან გავყურებ ბიჭებს
და დროს შორეთში კვამლივით
ჩავლილს...

დამღალა კიდეც იმ ქეიფებმა,
გაბრუებული სიფხიზლეს ვნატრობ...
ნეტავ, ოდესმე ის დღე იქნება,
რომ პოეზიით ვიცოცხლო მარტო?...

## ჩვენი მზე...

*ჩრდილოეთში დაწერილი ლექსი*

აქ ყველაფერი ნაცრისფერია —
ქუჩაც, სახლებიც, ცაც
სხივმიმქრალი...
აქ მე მამული დამსიზმრებია,
აქ, ჩემო მზეო, შენც ძლივს გიცანი...

ჩვენთან სულ სხვა ხარ — ნათელი,
თბილი,
ბრწყინავ და ხარობ, თავს რომ
დაგვყურებ...
აზრიალდები სისხლისფრად დილით,
თითქოს დასჭექეს სადღაც
მაყრული...
ხოლო საღამოს ნაღველით სავსე —
დარდით და ფიქრით შემობურული...
გაილურსები მყინვართა თავზე,
თითქოს ჩაგესმის შორით ურმული...

●

ეკლის შტოსავით ხორკლიანი
ლექსი მწყურია,
რომ გამოიტანს გულის ნაფლეთებს,
თან გაიყოლებს მზერას შურიანს —
აღმოსავლეთით-დასავლეთით,
ჩრდილოს, სამხრეთით...
სხვა ყველაფერი ქვეყნად მტვერია,
სხვა არაფერი აქ არ მაკავებს...
კი... ჩემი ხმით და ჩემთვის
ვმღერივარ,
ზოგჯერ ახლოსაც ვხედავ
ვარსკვლავებს...

. . . . .

. . . . .

ეკლის გვირგვინად შემოწნული
ლექსი მწყურია...

●

ქუჩაში სველი თარეშობს ქარი,
იანვარია, ბნელა და ყინავს,
გაურკვეველი გრძნობა მღრღნის
მნარე,
ცივი ლანდებით სავსეა ბინა...

თითქოს უდაბურ ველად ქცეულმა
მთელმა სამყარომ ძილი ინება...
და სამუდამო ზამთრით ძლეული
შეწყდა გაყინულ დროის დინება...

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

ნუ შემიყვარებ, შენი ნებაა,
მე კვლავ დავრჩები შენი ერთგული...
სულისთვის ისიც დიდი შვებაა,
რომ სილამაზით არის შეძრული...

რომ ფიქრს ოცნების შუქით
მოფენილს
შეზავებია ჩრდილი ნაღველის...
რომ მიყვარხარ და წუთისოფელიც
აღარ ჩანს ისე ყრუ და დამღლელი...

●

რადგან ამათ გვერდით ვდგავარ,
ჰგონიათ რომ, მეც მათ ვგავარ
და ამათი ფიქრით დავალ...
მე, მოსული ლურჯი ციდან,
ჩემი ლურჯი გზებით წავალ...

●

როგორც ოთახში
შემთხვევით შემოფრენილი ჩიტი,
ისე აწყდება ჩემი სული
ამ წუთისოფლის
ყრუ კედლებს...

### ებრძვი იმპერიას...

ეს რა უცნაური ბედი შეგეყარა,
წარსულმა რამდენი ფიქრი
დაგიტოვა...
ყველამ მიგატოვა, არვინ
შეგიყვარა —
მაისი თებერვლის თოვლმა
დაგითოვა...

მტერმა დაგძალა და მოყვრები
წაგკიდა —
შენ, ვისაც ერთდროს მრავალი
გმორჩილებდა...
ეს რა უცნაური ცხოვრება
დაგიდგა —
ებრძვი იმპერიას მხრებზე
ბორკილებით...

●

ჩვენს ციხე-კოშკებს, ტაძრებს,
პალატებს,
მიწას მზიურს და ედემ-სამოთხეს —
იპყრობდნენ ჩვენთა შვილთა
ღალატით,
მოაქროლებდნენ ცხენებს
დაოთხილს...

დღესაც ასეა — გული ქართველთა—
სავსეა ბოღმით, სიბეცით, შურით...
აღარ დაცხრა და აღარ გამრთელდა
მოყვასის ზაკვით გამსკდარი გული!..

●

ჩვენს ცხოვრებას თუ ცხოვრება
ჰქვია
და ეს თუ მართლა სიცოცხლე არის...
თავპირისმტვრევით დღეები ჰქრიან,
ჰქრიან დღეები წამებზე ჩქარი...

უაზროდ მოკვდა ეს ერთი წელიც
და შენც უაზრო რამეს აპირებ...
დაეჭვებული — ტანჯული მზერით
გრძელი სოფლისას გასცქერ
ნაპირებს...

●

ე. ნ. — ს

ველარვის ვხედავ, ვერვის ვამჩნევ,
ყველგან შენა ხარ...
იმ გაზაფხულის მზით გამთბარი
სულ არ მენახე...

ცხოვრებას მიშლი...
გახდი გულის და ფიქრთა
მპყრობელი,
თვალებკრიალა
ხარ ნათელი, ვით ღვთისმშობელი...
ველარავის ვხედავ, ვერვის ვამჩნევ,
ყველგან შენა ხარ...
თავ-ბედს ვიწყევლი,
თვალნათელი სულ არ მენახე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზია ხეთაგური

# არსებობის უფლება

## მოთხრობა

წკრიალი რომ გაისმა, ტელეფონის არსებობა ამდენი ხნის მანძილზე ახლაღა იგრძნო. ისე ოსტატურად დასწვდა ყურმილს, თითქოს ეს პირველი კი არა, მემილიონე ზარი იყო მის ცხოვრებაში. ეს იყო პირველი აღმოჩენა. მეორე აღმოჩენა ზარის ავტორმა ამცნო:

— გამარჯობა, ღამურა!

— ?!

— გაგიკვირდა? შენ ხომ ღამურა ხარ.

— მე... ღამურა?! — გაიოცა და შეკრთა. რატომ მაინცდამაინც ღამურა! — თანახმა იყო კატობაზე, ძაღლობაზე, თევზობაზე, თუნდაც კურდღლობაზე, მაგრამ ღამურობაზე არამც და არამც!

— ყოჩაღ! შენს ჯილაგსა და მოდგმას ხომ უღალატე! აბა, შენ იცი, მედგრად! ოღონდ ამიერიდან ადამიანურ სიარულსა და ლაპარაკს ვეღარ შეძლებ. ღამურასავით უნდა იფორთხო და ვაგლახით იფრინო. წინ! წინ! ოღონდ ცხოველ-ფრინველურად ანუ წამებით! წინ!

— ადამიანურად სიარულს ვეღარ შევძლებ? მაშ აქამდე...

— აქამდეც ღამურა იყავი, ოღონდ არ იცოდი. გადავწყვიტე, ეს მნიშვნელოვანი სიახლე სწორედ მე მემცნო.

— ღამურები არ მიყვარს, მძულს, მეშინია მათი...

— საკუთარი თავისა გეშინია?

— ვინა ხართ?

— ხა-ხა-ხა! ხი-ხი-ხი! მე ბედნიერი ქალი ვარ, რადგან ისა ვარ, რაც ვარ... ტუ-ტუ-ტუ!.

ტელეფონს გაოგნებული დასცქეროდა. კვლავ მხოლოდ ტუ-ტუ ისმოდა. ყურმილი დადო. ორიოდე წუთში სიბრაზემაც გაუარა და გაოცებამაც. გაზზე ხორცი იხარშებოდა და მთელ სახლში გემრიელი სუნი იდგა. ჩანგლით ერთი პატარა ნაჭერი ამოიღო და გასინჯა. მაგარი იყო, მაგრამ ცეცხლი მაინც ჩააქრო — „ეყოფა, ამას ხომ არ გადავყვები, თანაც ნახევრად — უმი უფრო გემრიელია" — გაიფიქრა და თავადაც გაუკვირდა, არასოდეს უჭამია ოდნავ უმი ხორციც კი. ვერ იტანდა, მაგრამ ახლა... რატომ, რატომ... ეს შორეული, ოდესღაც შეგრძნებული და განცდილი გემო უტკბება. როდინდელია, ნეტა, შუასაუკუნოვანი თუ ჩვენს წელთაღრიცხვამდელი? ან იქნებ, გუშინწინდელი? არა, მგონი გუშინდელიც... ამ წუთს არც გუშინდელი ახსოვს, არც დილანდელი. ახსოვს მხოლოდ „ტუ-ტუ" და ის, რომ მისი მეხსიერება ხუთიოდე წუთის წინ ამოქმედდა. მანამდე ყინული ედო ტვინში, სხვა არაფერი. სულ არაფერი. თუმცა არა! — ბავშვობაც გაახსენდა. რაღაც ძალიან მძაფრი და საშიში. ჰო, შიში ახსოვს. მოიცა, როგორ იყო... ჰო, ღამე იყო. ეძინათ. არა, არ ეძინათ. ზაფხულის ღამე იდგა. შუქი ჩამქრალი ჰქონდათ. გვერდიგვერდ საწოლებში იწვნენ ესა და ის, — დები. ძილმორეულები თოვლს ნატრობდნენ. სულელები იყვნენ, თო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რემ ამ მშვენიერი ზაფხულის მშვენიერ ღამეში რამ მოანატრათ თოვლი! სულაც რომ არ მონატრებოდათ, ზამთარი მაინც მოიჭრებოდა და თავის დროზე იმისთანა თოვლს დადებდა, ღამის გაზაფხულის ბოლომდე არ აიღებდა. „ღმერთმა დასწყევლოს ტყვიავი, თოვლს დადებს, აღარ აიღებს, რაც მოსავალი მოგვივა, მოვა ბატონი, წაიღებს“. მაშ! აი, ასეთი ზამთარი იცის იმ მიდამოებში. ესენი კი თოვლი და თოვლიო!

ის იყო მწვანეთვალება დამ ძილში წასვლა და თოვლის სიზმრად ნახვა დააპირა, რომ ღია ფანჯრიდან რაღაცა მუქი არსება შემოვარდ-შემოიჭრ-შემოფრინდ-შემოფორთხდა და ამან (დიდობაში უმი ხორცი რომ ეამა) ჩვეული ცნობისმოყვარეობის გამოჩენაც ვერ მოასწრო, რომ იმან (მწვანეთვალებამ) ისე იკივლა, ოთახი სულ მწვანედ გაანათა. ამ მწვანე გაელვებისას დის აწეწილ თმაში აფართხალებული ფრთიანი თაგვი დაინახა. ვაიმეო, ერთი იკივლა და გულშეღონებული საწოლს მანდილივით გადმოეკიდა. სიო რომ შემოიჭრა და მანდილიც შეარხია, ყურს დის ზლუქუნი მაშინ მისწვდა. ამ დროს გასაღებმაც გაიჩხაკუნა. კარში დაღლილი, მაგრამ ბედნიერი სახით ამათი დედაც შემოვიდა.

— რა კარგია, რომ არა გძინავთ. შემიძლია, ჩემი სიხარული თქვენც გაგიზიაროთ. გადარჩა!

დედის ბედნიერი სახე მწუხარებისათვის ვერ გაიმეტა გონებაზე ახლადმოსულმა შვილმა და ჰკითხა:

— ვინ გადაარჩინე, ჩვენო დედავ აიბოლიტო, თაგვი თუ ბეღურა?

— ამჯერად თაგვი. მაგრამ გუშინდელი ბეღურაც გადარჩება. უკვე მოიხედა. ამას რა ატირებს? — ახლაღა გაიგონა ზლუქუნი თაგვ-ბეღურის გადარჩენით ბედნიერმა დედა-აიბოლიტმა.

— თმაში რაღაცა უცნაური არსება ჩაუძვრა. მიჰგლიჯ-მოჰგლიჯა და გაფრინდ-გაკურცხლა.

— ახ, ნამდვილად ღამურა იქნებოდა... საცოდავი!

— ვინ იყო საცოდავი, ღამურა თუ მწვანეთვალება დაიკო, მაშინ ვერ გაიგო. ახლა კი... ახლა მიხვდა, რომ დედამ შვილი კი არა, ღამურა შეიბრალა. რადგან დედა-აიბოლიტისათვის ხომ ყველაზე მთავარი თაგვებისა და ბეღურების ჯანმრთელობა იყო! ჰოდა ღამურაც ადამიან-შვილზე მეტად რომ შებრალებოდა, რა გასაკვირია! დამ ხომ (ვიდრე ამას წასული გული დაუბრუნდებოდა) იქვე კამოდზე დადებული მაკრატლით თმა შეიჭრ-შემოიჭრა ღამურას მოსაშორებლად; მაკრატლით კი იქნებ ფრთა ან კუდი შეაჭრა იმ მართლა საცოდავს!

ამ ამბის გახსენებას მორჩა თუ არა, ისეთი შიმშილი იგრძნო, როგორც თაგვმა ყველის ნაჭრის დანახვისას. მაგრამ ის მაინც ვერაფრით ახსნა, ყველის ნაცვლად რატომ შესანსლა ნახევრადუმი ძვლიანი ხორცის მოზრდილი ნაჭერი. როცა დანაყრდა, ფინჯანში ჩასხმული ცოტაოდენი წყალიც მოსვა და პურიდან მორჩენილი ნამცეცებიც ბეღურასავით აკენკა. მთელი ღამე ვერ მოისვენა. ბორგავდა, შფოთავდა, საწოლის კიდეებს ეხეთქებოდა. „ბევრი ჭამა ძილის წინ იწვევს გულის, ღვიძლისა და სისხლ-ძარღვების გადატვირთვას, ეს კი იწვევს უძილობას“ — გაახსენდა დედა-აიბოლიტის შეგონება. მართალი ყოფილა. მეორე დღეს თითქმის არაფერი ჭამა, — თაგვივით წაიხუსნა, ბეღურასავით წაიკენკა და არ უსადილუვახშმია, მაგრამ მაინც ვერ დაიძინა. მესამე დღეს იფიქრა, მთლად უსმელ-უჭმელობაც არ იქნებაო და მხოლოდ ისაუზმ-ისადილა. უვახშმოდ დაძინების მიუხედავად ძილი მაინც არ მოსვლია. წავიდა და წავიდა! უცებ, შუაღამისას გაახსენდა, რომ ტელეფონი აქვს. ნომრები აკრიფა. მწვანეთვალება დას დაურეკა, რამდენი ხანია არ უნახავს. ყურმილში ნამძინარევი, დაღლილი და გაუბედურებული ხმა ჩაესმა:

— გი...ს...მენთ...

— მე ვარ. გეძინა?

— ვინ... შენ...

— შენი და ვარ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვაიმე...

— რა იყო.

— რატომ რეკავ ასე გვიან, ვინმე მოკვდა?

— მე ვაპირებდი სიკვდილს და გადავიფიქრე. მისმინე. თუ გახსოვს მაშინ, ბავშვობაში, ის ღამე, ზაფხული... ღამურა... თმაში ჩაფრენილი ღამურა... ჩვენი შიში...

— რაო?!

— ღამურა, ღამურა! ტუჩზეც გიკბინა. მერე მთელი სამი დღე ტუჩდასიებული დადიოდი. დედა-აიბოლიტმა კი გითხრა, ტუჩის აბზუება ისედაც გიყვარს და მაინც არ შეგეტყობაო...

— გამაგებინე, რა ხდება. ამ შუაღამეზე გააფრინე?

— არა! გემუდარები, მითხარი, რატომ გიკბინა. კბენა მისი თანდაყოლილი თვისებაა თუ შენმა ყვირილმა და მაკრატელმა გააგიჟა.

— ადამიანობა არა გაქვს? ორი ცალი ტაზეპამი მაქვს დალეული. ძლივს ვაზროვნებ. დილით ადრე ვარ ასადგომი. ათასი საქმე მაქვს ხვალ. რა დროს ღამურებია.

— მისმინე, მეც მინდა ტაზეპამი.

— დალიე მერე, ვინ გიშლის.

— არა მაქვს. მოვალ და მომეცი. ახლავე წამოვალ.

— ვაიმე... ნამდვილად გაგიჟდი! ვიდრე შენ აქ გამოხვალ და სახლში დაბრუნდები, გათენდება კიდეც. რაღად გინდა წამალი.

— ხვალ დავლევ და ხვალ მაინც დავიძინებ.

— არა, შენ ნამდვილად არა გაქვს ნამუსი! იმ ღამურაზე უარესი ხარ! ტუტუ-ტუ!

დამ კი დაკიდა ყურმილი, მაგრამ ახლა სხვამ აიღო და ამისი ნომრები აკრიფა. ესეც სიხარულით დასწვდა, იფიქრა, მწვანეთვალებას შევეცოდე, გამოფხიზლდა და ცოტას მესაუბრება, გამართობსო.

— გისმენთ!

— რატომ არა გძინავს, ღამურა! — მოესმა ნაცნობ-უცნობი ხმა.

— ვინ ბრძანდებით?

— მე ისა ვარ, ვინცა ვარ. შენ კი ღამურა ხარ.

ბევრს ეხვეწა, ემუდარა, სულ თქვენობითა და მოკრძალებით ელაპარაკა, რა გინდა, რას გადამეკიდე, ღამურა რადა ვარო, მაგრამ არაფერმა გაჭრა. გინდა თუ არა, ღამურა ხარო, თმაში ჩაფრენა იცი, ფანჯარაში შემოფრენ-შემოვარდნა, ის კი არა და, იმ ღამეს, ბავშვობაში, შენს დას შენ უკბინე ტუჩზეო! ასეთი უსამართლობა გაგონილა?! ამისთანა ტყუილი?! ჰო, კიდევ — ფრთებიც გაქვს და კუდიცაო, მაგრამ არც კუდის მოქნევა იცი, არც ფრთის მძლავრი ტყლაშუნიო, ნამდვილ ფრინველებსაც ღალატობ და ნამდვილ ცხოველებსაცო!

— ჰო, კარგი, აგრე იყოს, მაგრამ ის მაინც მითხარით, ღამურები რით იკვებებიან?

— რით და... — აქ კი ცოტა დაიბნა ამისი „ნათლია", აი ის, ვინც ამას ღამურა შეარქვა.

— იქნებ ნახევრადუმი ხორცით? — შეეშველა ეს საცოდავი აქედან: საერთოდ, ძალიან უყვარდა, ვინმეს რომ ეშველებოდა.

— არა! — მტკიცედ უპასუხა ნათლიამ, — უმი ხორცით ნამდვილად არ იკვებებიან.

— იქნებ პურის ნამცეცებით? — „იმედს" არ კარგავდა ეს.

— რაც არ ვიცი, არ ვიცი! — მოუჭრა „ნათლიამ" — მე შენსავით ქარაფშუტა კი არა ვარ, რომ რაც არ ვიცი, ის ვილაპარაკო!

— ის საიდან იცით, რომ ღამურა ვარ? — ამოიკნავლა ამან ძალიან, ძალიან თავაზიანი ხმით.

— ეგ ნამდვილად ვიცი. მე ისიც ვიცი რა მოგელის. რას გაჩუმდი. არ გინდა იცოდე, რა მოგელის?

— ძალიან მინდა, ოღონდ მეშინია.

— ამას უყურე! საკუთარ დას რომ თმაში უფრინდ-უფორთხდებოდი. მარჯვენა ტუჩის კუთხეში რომ კბენდი, იმას არ ეშინოდა? მითხარი ერთი არ ეშინოდა?

— ეშინოდა... მაგრამ მეც ხომ მე-

შინოდა — „გამოტყდა“ ეს და ვიდრე გააპროტესტებდა — მეშინოდა, მაგრამ მე ხომ ის ღამურა არ ვყოფილვარ, დაზარალებულის პატარა დაიკო ვიყავიო, — „ნათლიამ“ უფრო მკაცრად უყვირა:

— ჰოდა, სასჯელიც არ აგცდება! მაინც არ მოისვენე, მას შემდეგ ჭკუა მაინც ვერ ისწავლე. ზოგიერთ გულუბრყვილო თაგვს ეგონა, ამიერიდან ხაფანგს აღარ დაგვიგებს, მაინც ჩვენი ჯილაგისაათ;: ზოგიერთ ვითომ ჭკვიან ბელურასაც ჰქონდა იმედი, ზამთარში პურის ნამცეცებს დაგვიყრის, არ გაგვწირავსო, მაგრამ სულ ახლახანს თაგვებს ოთხჯერ დაუგე ხაფანგი და ბელურების ნისკარტებით კაკუნიც ვერ გაიგონე შენი სახლის ფანჯარაზე. ის საცოდავები იმ კაკუნში გაითოშნენ, შენი იმედი ჰქონდათ, იმედშიც ერთგულები იყვნენ და სხვას არ მიუკაკუნეს. ჰოდა, ამოსძვრათ კიდეც სული შიმშილით, სიცივითა და მწუხარებით.

— ეგ როდის, როდის? — ცრემლი წასკდა ამას.

— როდის... ვითომ არ იცი. მენაგვემ აკრიფა შენი ფანჯრის წინ დაყრილები და ნაგვის ბუნკერში შეუძახა. ჰმ, როდისო...

— არა, არა!

— როგორ არა! თავის მართლება არ გაბედო! შენ თუ იცი, რომ ბელურები ზოგიერთებივით, მაგალითად, მერცხლებივით თბილი ქვეყნებისაკენ არ მიფრინავენ და ზამთარში სამშობლოში რჩებიან.

— ვიცი...

— ის თუ იცი, რომ თაგვებიც ზოგიერთებივით მაგალითად, ზღარბებივით ტანზე ეკლებს არ ისხამენ და პატიოსანი ზურგითა და მკერდით ეგებებიან ხაფანგს!

— ჰოო?! არ ვიცი, არა... მერე?

— რა, მერე, შე მართლა ღამურავ! ან ერთი იყავი, ან მეორე! თუნდაც მერცხალი იყავი ან ზღარბი! ჯანდაბას! მაგრამ ორივე ერთად — ბელურაც და თაგვიც? თანაც არც ერთი? მაშასადამე ღამურა! ტუ-ტუ-ტუ!

ამან ეს „ტუ-ტუ-ტუ“ ისე გაიგონა, როგორც „ფუ-ფუ-ფუ“. უნებლიედ სახეზე ხელი მოისვა და გაახსენდა: „უნამუსოს აფურთხებდნენ და — რა ქუქუნა წვიმა მოდისო!“ სახე სველი ჰქონდა, მაგრამ ეს მართლაც ცრემლები იყო. ამიტომ ცოტა დამშვიდდა. მაგრამ ცრემლებიც ხომ წვიმაა, თვალიდან მომდინარე წვიმა! ის-ის იყო, „ნათლიისთვის“ უნდოდა ეკითხა, ღამურები თუ სტირიანო, რომ თითქოს ღმერთმა უსმინაო, ზარმა ისევ დაიწკრიალა.

— გისმენთ, გისმენთ-მეთქი! ყურადღებით გისმენთ!

— სათაგვეთი თქვენ შეუკვეთეთ?

— დიახ... მაგრამ ეს ხომ გუშინ საღამოს იყო... თანაც სასწრაფო... თანაც ახლა შუაღამე გადასულია...

— გინდათ თუ არ გინდათ სათაგვეთი! — მოისმა კატეგორიული, თითქმის მუქარაში გადასული ხმა.

— ეგ იმათ ჰკითხეთ, ვუნდივარ თუ არა ამ შუაღამეზე...

— დღეს ვეღარ ვკითხავ, რადგან არ პასუხობენ. ტუ-ტუ- ტუ!

ისევ ატირდა, მაგრამ დარწმუნდა, რომ ნამდვილად ცრემლი ულბობდა სახეს, ცრემლმა ისევ დაამშვიდა. ერთი სული ჰქონდა, „ნათლია“ როდის დარეკავდა. აღარ დარეკა. გათენდა კიდეც. ორი დღეც გავიდა. ძალიან აცივდა. მერცხლები უკვე გაფრენილიყვნენ. ბელურები კი ჯერ არ აკაკუნებდნენ ფანჯარაზე. არც თაგვები ჩანდნენ. ხაფანგს როგორ დაუგებდა თაგვს, თაგვიც ხომ არსებაა! გაახსენდა, რომ არც არასდროს დაუგია ხაფანგი. ისიც გაახსენდა, რომ ბელურებისთვის ბევრჯერ, ძალიან ბევრჯერ დაუყრია საკენკი. ისიც ზუსტად ახსოვდა, რომ არასოდეს უკბენია დისთვის და არასოდეს ჰქონია თმაში ჩაფრენის სურვილი... რა უნდა იმას, რა! რას ემართლება! ან რად შეჭამა იმ პირველ საღამოს ნახევრადუმი ხორცი! რად იგრძნო ამ ხორცისადმი ველური ადამიანისათვის დამახასიათებელი ჟინი და ლტოლვა! ან რა კავშირი ჰქონდა ყოველივე ამას ღამურობა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სთან! შიშმა და ეჭვმა თითქმის გაუარა. ახლა მხოლოდ ცნობისმოყვარეობა, ის ძველი, ბავშვობისდროინდელი ცნობისმოყვარეობა აეკვიატა — ტირიან თუ არა ღამურებიო. ამიტომ „ნათლიის" ზარს ისეთი სასოებით ელოდა, როგორც ბავშვობაში თოვლის მოსვლას. თოვლიც მოვიდა. „ნათლია" კი არა და არ ჩანდა. უკვე წუხდა კიდეც, ავად ხომ არ გახდაო. ქალაქში ხმა დაირხა, სათაგვეთსა და ბეღურეთში დიდი არეულობააო. სწორედ ამ ჭორისა თუ სიმართლის გაგებიდან ერთი საათის შემდეგ ტელეფონის ზარმა „ნათლიის" ჯანმრთელობა აუწყა:

— გამარჯობა, ღამურავ! აბა, შენ იცი, შეუძახე გაზაფხულზე დაბრუნებულ შენს მერცხლებსა და ეკლიან ზღარბებს: წინ სათაგვეთის ასაოხრებლად, წინ!

— რატომ უნდა შევუძახო?!

— იმიტომ, რომ მანამდეც უხმობდი: წინ წინაო! ჰოდა, ახლა საით, საით?

— რაც არ მიფიქრია, ამას მაბრალებ, ღმერთმანი!..

— რაო? ამას უყურე, ერთი, როგორ აჭიკჭიკდა, ისე აჭიკჭიკდა, თითქოს ღამურა კი არა, მართლა მერცხალი ან სულაც არწივი იყოს!

— არწივები რომ არ ჭიკჭიკებენ? — მორიდებით შენიშნა „ღამურამ".

— დიახ, არ ჭიკჭიკებენ, რაც მართალია, მართალია, მაგრამ სამაგიეროდ მძლავრი ფრთები აქვთ! შენ კი არც ფრთები გაქვს, არც კუდი, ანუ ერთიც „ისე, რა" გაქვს და მეორეც.

— კარგი, ეგრე იყოს, გეთანხმები, ანუ არ გეთანხმები, მაგრამ...

— რაო? რაში მეთანხმები ან რაში არ მეთანხმები?

— გეთანხმები, რომ ღამურას ორივე „ისე რას" დონეზე აქვს. მაგრამ არ გეთანხმები იმაში, რომ ეს ღამურა მე ვარ.

— ვითომ რატომ? რატომ ვითომ!

— იმიტომ, ნათლიავ, რომ...

— ვინ არის შენი ნათლია, შე ურჯულოვ!

— ღამურა ხომ შენ დამარქვი, აღარ გახსოვს? შენამდე მეგონა, რომ გულქათქათა მერქვა, შენ კი ღამურად მომნათლე.

— ღამურას არ ნათლავენ, უწმინდური ჯიშისაა და იმიტომ. ახლა კი ის მითხარი, რატომ უარობ, რატომ გგონია, რომ ღამურა არა ხარ?

— იმიტომ, რომ... ღამურები არ ტირიან.

— მერე მე გითხარი, რომ ტირიან?

— არ გითქვამს, მაგრამ შენგან მინდა ვიცოდე, ტირიან თუ არა. მე ვფიქრობ, რომ არა ტირიან.

— რაც არ ვიცი, არ ვიცი. გავიგებ და დაგირეკავ. ტუ-ტუ-ტუ!

რაც მართალია, მართალია. ღამურად მონათლულ გულქათქათას ნამდვილად ხიბლავდა ნათლიის შეუვალი ხასიათი. ისიც ხიბლავდა, რომ ასეთი დაუნდობელი იყო. ისიც, რომ თუ რაიმე ზუსტად არ იცოდა, აღიარებაც შეეძლო, არ ვიციო; სწორედ ამიტომ გაუსკდა ახლა გული — როგორც ჩანს, დარწმუნებულია ჩემს ღამურობაშიო... ის ის იყო ტირილს იწყებდა, რომ უცებ აღარ ეწყინა, — ვიყო ეს ღამურა, რაც არის, არის, ღამურაც ხომ ბუნების შვილია, ისიც ხომ ცოდვაა, ღამურად გაჩენა ხომ მისი ბედისწერაა და არა დანაშაულიო... იმ საცოდავს არც თაგვები ღებულობენ, არც ბეღურები, აქაც უცხოა და იქაც... მორჩა. გადაწყდა. ღამურაა. ძალიანაც კარგი! მაგრამ რატომ? ვიღაცამ უთხრა, ხარო და ამიტომ?! წავა ახლა და თავის მწვანეთვალება დას ნახავს, დააკვირდება, უცხო თვალით შეხედავს და თუ მისი დაიკოც ღამურას ჰგავს, მაშასადამე ესეც ღამურაა. თანაც მის ხმასაც დაუკვირდება, იქნებ ღამურასავით წრიპინებს. თუმცა, ვინ იცის, როგორი ხმა აქვს ღამურას. სულაც ადგება და ახლავე დაურეკავს. ახლაც ხომ შუაღამე არ არის...

— ალო!

— გისმენთ!

— მე ვარ, შენი გულქათქათა დაიკო.

— ჰო, როგორა ხარ. სად დაიკარგე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემმა გადარეულმა შვილმა მითხრა, იმ ღღის დეიდაჩემთან რომ შევიარე, თაგვისაგან შეშინებული ტახტზე ასულიყო და მუთაქაზე იღვაო. თაგვი გაჩნდა სახლში? ასეც ვიცოდი! ვეღარ უნდა გააკეთო რემონტი, აღარ უნდა ამოლესოთ ბზარები!?

— თაგვით შეშინებულიო? ჰო, ჰო, გამახსენდა. ეგრე იყო. მაგრამ რად შემეშინდა, ნეტავ, რა იყო საშიში...

— რას ამბობ, მე და შენ ხომ ბავშვობიდან თაგვების გვეშინია!

— ჰო, გვეშინოდა და გვეშინია...

— მაგრამ ხაფანგს მაინც არ ვუგებდით, გახსოვს?

— ჰო, ვერც ახლა დავუგებ... მაგრამ ღამურასიც ხომ გვეშინოდა.

— უ, უ! ღამურასი უფრო მეშინია, ვიდრე თაგვისა.

— იმ ღამის შემდეგ?

— ჰო, იმ ღამის შემდეგ.

— ნუღარ გეშინია, ის ღამურა მე ვიყავი.

— ?!

— ჰო, მე ვიყავი. მე გაგეხუმრე მაშინ, თმაში ჩაგაფრინდი, ტუჩზე გიკბინე... მინდოდა, რომ გეტირა.

— არა, შენ ნამდვილად რაღაცა გჭირს, რა მეხუმრე, რა მიკბინე, — შენ თვითონ გულწასული ეგდე და მერე, როცა დედა-აიბოლიტი დილით ისევ თავის ავადმყოფ წრუწუნებთან წავიდა, მაინც ტიროდი და მეფერებოდი, დაგავიწყდა?

— არა, არ დამავიწყდა — ცრემლები ახრჩობს „ღამურას", — მაგრამ იქნებ გატყუებდი, იქნებ ვთვალთმაქცობდი, იქნებ ვითომ გულიც წამივიდა და ვითომ ვტიროდი კიდეც... სინამდვილეში კი ის ღამურა მე ვიყავი.

— ვაიმე, რაებს ამბობ...

— ჰო, მე ვიყავი, ოღონდ ადამიანის, პატარა გოგოს, შენი პატარა დაიკოს სამოსელსა და სხეულში ჩასახლებული.

— რას ამბობ, გოგო, რას! როგორ შეიძლება ის საზარელი არსება ყოფილიყავი, ღამურა რომ ჰქვია! რა გულმხურვალედ იცავდი ყველას, ვინც სუსტი და საცოდავი იყო! როგორ გიხაროდა და ხტუნავდი, როდესაც ვინმეს რაიმე უხაროდა? რას ამბობ, შენ და... ღამურა?!

— არა, მაინც ღამურა ვარ! გაჯიუტდა „ღამურა" — ის მე ვიყავი, მე! მე შეგაშინე იმ ღამეს! ხომ გესმის, როგორ ვტირი! მუხლმოყრილი და თვალცრემლიანი გემუდარები, დამიჯერე, რომ ღამურა ვარ!

— ღამურები არ სტირიან! — უცებ მიახალა დამ,—და, საერთოდ, შეწყვიტე ეგ წრიპინი, თორემ დედა-აიბოლიტთან წაგიყვან სათაგვეთში და ნემსებს გაგიკეთებს! გახსოვს, როგორ გეშინოდა ნემსებისა?

— მაშ ღამურები არა სტირიან? დილილ-მე!

— არა-მეთქი, გამიგონე! ჯანდაბას იმ ჩემი შემშინებელი ღამურას თავი და, იცი კიდევ რა გამახსენდა: საგაზაფხულო აღლუმზე რომ გამოდიოდი ტანვარჯიშის ილეთებით — თეთრი ფერის ტანსაცმელი გეცვა და ნამდვილი გულქათქათა იყავი.

— მერე რა, იქნებ ღამურებსაც ეხერხებათ ტანვარჯიში...

— ტანვარჯიში არა, ბალეტი!

— და ნამდვილად იცი, რომ არ სტირიან?

— ნამდვილად ვიცი.

— დილილ-მე! მაშ არა ვარ ღამურა? არა ვარ, არა!

— არა ხარ, ნამდვილად არა ხარ.

— მაგრამ, იცი რა? მაინც მეცოდება და მიყვარს კიდეც ღამურა.

— შენ ყველა გეცოდება და გიყვარს. თაგვებიც?

— ჰო, თაგვებიც.

— ბეღურებიც?

— ჰო...

— მერცხლებიც?

— მერცხლებიც.

— მგლებიც კი!

— ჰო, მგელუკებიც.

— შენ ხომ ზღვაც გიყვარს და თან გეცოდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ზღვა მეცოდება? მგონი მართალი ხარ, მაგრამ რატომ?

— ნუთუ არ გახსოვს. ერთხელ ღამე გამათენებინე, მაშინ მეორე თუ მესამე კლასში ვიყავით. ტირილით მეუბნებოდი — როგორ მეცოდება ზღვა, რამდენი გემი დადის მის მკერდზე, ვინ იცის, როგორ სტკივა გულით...

— აი, ხომ ხედავ, ის კი მაინც ლამურას მეძახის.

— ვინ ის.

— ის.

— ჩაჯექი ტაქსში და ჩემთან მოდი. ერთად ვისადილოთ. შენი საყვარელი სალათი მაქვს, კარტოფილი და ხორციც მოიხარშება შენს მოსვლამდე.

— ხორცი არ დამანახო! ამ ძალიან, ძალიან კარგად მოხარშე...

— კარგი!

— ან, იცი რა, სულაც არ გინდა. გემუდარები, გვქონდეს ვეგეტარიანული სადილი.

— კარგი!

— და, საერთოდ, მოდი, ვეგეტარიანელები გავხდეთ.

— თუ შევძლებთ, გავხდეთ.

— ვეცადოთ, გეხვეწები.

— ვეცადოთ.

— აი, ამიტომ მიყვარხარ.

— რატომ?

— ერთადერთი შენა ხარ. ვინც ისე მელაპარაკება. როგორც უცოდველ ბავშვს. მე ისე მომენატრა ბავშვობა, ისე...

— ჩაჯექი ტაქსში. ფული თუ არა გაქვს, მე გადავუხდი. ჩქარა! ტუ-ტუ-ტუ!

ტაქსში რომ ჩაჯდა, ორიოდე წუთში ერთი გოგო დაემგზავრა. გაშლილი შავი თმა და მუქი ფერის თვალები ჰქონდა. იმ გოგომ ამისკენ მოაბრუნა თავი და რატომღაც კუშტად შეხედა. ეს რაღას მერჩისო, გაიფიქრა გულქათქათამ, მაგრამ იქვე შეეცოდა. ვინ იცის ამასაც დააბრალეს, ლამურა ან ვირთხა ხარო. ჰოდა. იქნებ არა ჰყავს დაიკო ან ძალიან ახლობელი ადამიანი. რომელთანაც ახლა შეიძლება დასამშვიდებლად. სიყვარულისა და ნუგეშის მისაღებად მიიჩქაროდეს.

ქუჩაში ბევრი ხალხი ირეოდა და ყოველ გამვლელს ჰქონდა მიზეზი, რომ ლამურა არ ყვარებოდა.

დის სახლის კიბეზე რომ ადიოდა, ცოტახნით შეისვენა, მოაჯირს დაეყრდნო და ჩაფიქრდა. „ნათლიას" ხმა გაახსენდა. ამ ხმას მიჰყვა, კარგად დაუგდო ყური. ხმა ავტომატური და მონოტონური იყო, რობოტივით ჟღერდა. ხმა არასოდეს ტყდებოდა, არა ცრთოდა. არა მღეროდა და არა სტიროდა. ჰო, არასოდეს სტიროდა! მას მხოლოდ მშრალი ინფორმაციების მოწოდება შეეძლო. მაგალითად იმისა, რომ რომელიმე ადამიანს ეს ან ის ნაკლი აქვს. ღირსია ამის და იმის, რომ უნდა დაისაჯოს და დაისჯება კიდეც. უნდა იტიროს და ეწამოს. რომ უნდა შეახსენოს ვინმემ ანუ „ნათლიამ", რომ სხვაზე უკეთესი არაფრითაა და ძალიანაც ნუ გამოიდებს თავს (სულაც რომ არ იდებდეს თავს, მაინც). მოკლედ, ერთი სიტყვით, საზოგადოდ და ა. შ. მხოლოდ მას აქვს შენი ლანძღვის, დამცირების, განსჯის, განქიქებისა და ატირების უფლება. და შენც იტანჯები. და შენც განიცდი. და შენც სტირი იმიტომ, რომ... ლამურა არა ხარ! იმიტომ, რომ ის, სწორედ ის — შენი ცრემლებისა და მწუხარების დიდი მოსურნე, შენი დამცირებისა და შეურაცხყოფის მოტრფიალე თავად არის ლამურა! ლამურა, რომელიც არავინ იცის, სტირის თუ არა, მაგრამ თმასა და სულში ჩაფრენისა და კბენის ჟინი ნამდვილად დიდი აქვს, იმდენად დიდი, რომ ახერხებს კიდეც ამას ხანდახან. მაგრამ ერთადერთი რაც არ შეუძლია, ეს იმის ვერ დანახვაა, რაც თავად გააჩნია: ლამურას აქვს ფრთები, ძალიან ლამაზი, დაძონძილი ქოლგასავით გადახსნილი ფრთები და... არსებობის უფლება.

დიახ, „ნათლია" თავად არის ლამურა! და იქნებ ამიტომაცაა, ასე ჩაფრენილი. იქნებ გულქათქათაც სტყუის მასთან, იქნებ უნებლიედ ძალიან დიდი

რაიმეც აწყენინა ოდესმე მას ან მის პირმშოს და მხოლოდ იმის გამო, რომ სულ მუდამ ვიღაცა ეცოდებოდა, — მხედველობიდან გამორჩა პირმშოს ატკივებული სული. მაგრამ რატომ მაინცდამაინც პირმშო?— თავისი აკვიატება შეამოწმა გულქათქათამ. მაინც რატომ? ჰო, ალბათ იმიტომ, რომ თავადაც ჰყავს მიუსაფარი პირმშო, ვის სულთანაც მოუფრთხილებელ თამაშს ვერავის პატიობს. დაუნდობელი მხოლოდ ასეთ დროს ხდება. მაშინ არის ლამურაც და ლამურაზე უარესიც!

კიბეზე ასულმა უკანვე ჩამოირბინა. სასწრაფოდ ისევ ტაქსით გაბრუნდა სახლში. მწვანეთვალებას დაურეკა — უკვე დავმშვიდდი, აღარც მშია და ნუღარ დამელოდებიო. მერე დაჯდა ტელეფონთან და ლოდინი დაიწყო, იქნებ დარეკოს ლამურა-ნათლიამო. ნატრობდა, დარეკოსო! ყველაფერს აიტანდა, —ყოველგვარ შეურაცხყოფას ჩაყლაპავდა, ოღონდ იმას დაერეკა! ამან უნდა უთხრას, უსათუოდ უნდა უთხრას: მაპატიე, რომ უნებლიედ გაწყენინე, რომ ჩემს სიცოცხლეში ერთხელ დავდექი ზურგით და დავჩრდილე ადამიანის სული. ეს ადამიანი კი სწორედ შენი პირმშო გამოდგაო. არც სათაგვეთს ვღალატობ, არც ბეღურეთს და არც ლამურა ვარ, მაგრამ მეც შენსავით გავლამურდები, თუკი შვილს ვინმე დამიჩაგრავს, შენ მართალი ხარ, მე დამნაშავე ვარ, თუ შეგიძლია, მაპატიეო...

ეტყვის, როგორ არ ეტყვის, ოღონდ დარეკოს იმან, იმ ლამურამ, ოღონდ გულქათქათასთან ბრძოლის ანგარიში გასწორებულად არ ჩათვალოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რევაზ დანელია

## მინდორმა ტირილი არ იცის

მინდორი გადაიჩითა
ჭიკჭიკით ყელთბილი ჩიტების.
ჩვენ არვის არაფერს ვერჩითო, —
ქარები მოაწყდნენ ფეთებით
ლომის მთას, მინდვრები დასტოვეს,
გადინადირეს ტყეებიც... —
დილისპირს მზე უნდა გათოვდეს, —
ააჩახჩახოს ხეები...
კვლავ უნდა გადირიალოს
ქორმა ცისპირი დამრეცი.
მინდორი იცინის, ბრიალებს,
მინდორმა ტირილი არ იცის!
მინდორი. ტყეები... — ჩიტები!

## ვეფხვი მოლზე

გორაობს ვეფხვი მოლზე, გრილოში,
ცაა მოლურჯო, სიზმრის მაგვარი.
ჩემს ულამაზეს სამეგრელოში
მოდი,
თან
შენი
ღიმი
მომგვარე!

ეს მწვანე სული ბედის სიზმრებით
მომირთე, მოდი, მიმაფშალიე!.. —
ფეხქვეშ ეგება შენს თბილ სიმღერებს
ყველა
მეფე
და
ყველა
მარშალი!

მოდი და შენი ქარი ტიალი
თან აცხონე და თანაც აქროლე
და მთვარე — ცაში მოხეტიალე
აველურე.
კვლავ
მიეც
აქ
როლი!

გორაობს ვეფხვი მოლზე, გრილოში,
ცაა მოლურჯო, სიზმრის მაგვარი.
ჩემს ულამაზეს სამეგრელოში
მოდი
და
შენი
ღიმი
მომგვარე!

## ცის სამთავროა საქართველო

აღარც დალია ბედნიერი,
აღარც ტყაშმაფა... —
წუხელის წუხილს თეთრი ფიფქი
ყელზე დაეცა.
შენი საღამო დაწყევლილი სულს,
სულს თუ ღაფავს, —
მერმე იქნება, თუ იქნება ღამე,
ღამის ცა!

ეროვნული ბიბლიოთეკა



მიიმთვარება ანგელოსი ირმის
ფეხება
(დალიმ დალივით სული ტყეში უნდა
დალიოს!).
ჩემო სიზმრებო, ჩემო თბილო ალვის
ხეებო,
თქვენ მაინც იცით,
ბედნიერი აღარც დალია!..

საამთვარიო ჩემი ფიქრი,
საამთვარიო,
მთვარეს და მთვარის სხივებს წამით
აღარ სცილდება!
ცის სამთავროა საქართველო, ცაა
მთავარი!.. —
ეს შენი სული
ღამის ცაშიც აყვავილდება!

აღარც დალია ბედნიერი,
აღარც ტყაშმაფა... —
წუხელის წუხილს თეთრი ფიფქი
ყელზე დაეცა.
შენი საღამო დაწყევლილი სულს,
სულს თუ ლაფავს,
გაფრიალდება, ვით მდინარე,
ტყისკენ ღამის ცა!

## აი, ცირა

ღამემ თავისი გაიტანა, —
უბეში მთვარე ჩაიცურა...
ო, ეს, ეს გოგო ალვისტანა,
ო, ეს, ეს გოგო — აი, ცირა!

სიხარულს მიუმღერდა სულში
შენი და ჩემი გაიცნობა!..
თუ იქნებიო, გოგოვ, სულ შინ,
წავალ
და
მთვარეს
ვაკოცებო!

ღამემ თავისი გაიტანა, —
უბეში მთვარე ჩაიცურა...
ო, ეს ჰაერი — აი, ტანი,
ეს თაფლა მთვარე — აი, ცირა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წასვლამდე

ისე ვარ ავად,
არც მთა მენატრება სათავადო,
არც რა,
ოღონდ
ერთხელ თვალი შემავლებინა
იმ ალვებისთვის —
ჩემი ეზოს დედოფლებისთვის
და თუნდაც მომკლა მერმე!..
ისე ვარ, ლამის!..
ყელწვრილი დოქით ჩემი ჭის წყალი
ნეტა მკერდზე ახლა მასხურა!.. —
ამ სოფელს წუთისოფელი ნეტა,
ნეტა ვიღამ, ვიღამ უწოდა,
ეს, ეს სოფელი წამია მხოლოდ!

ისე ვარ, ლამის გულმა!..
მაინც ყველაფერი მენატრება!
მალე მექნება წვიმა ყელამდე!
მალე მექნება ქარი ყელამდე!
მალე მიწაც. მიწაც ყელამდე!..
მალე ავად აღარ გავხდები!

## წელში მოხრილი ლანდი

მათხოვარს თავაწეული რად
ჩაუარეო, —
დატუქსა კაცმა თავი საკუთარი.
კაცს უკან ლანდი რო მოსდევდა
წელში
მოიხარა,
აზლუქუნდა.
ლანდი... კაცი... მათხოვარი...

## ო, ჩურჩული ამნაირი...

სული უთრთის ღამეს, სული.
ცა. სურნელი. შემოდგომა.
ღელის პირას მთვარე ზის და
უსმენს ღელის ლამაზ ჩურჩულს.

ი, ჩურჩული ამნაირი!..

ღამის ტანი გათენდება
ახლაც, მერმეც, ყოველთვისო!.. —
ღელის პირას მთვარე ზის და,
როგორც ღელე. ცას ერთვისო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოდან გარბის არაბი

მ — ს

საქართველოდან გარბის არაბი.
მისდევს უკან მწვანემკლავება მაისი
არაბს,
მისდევს,
არ მიაცილებს.
საქართველოდან გარბის არაბი.
საკუთარი ცრემლები არაბს
გულ-მკერდს უქარგავს,
ფეხებშიც ებლანდება.
იქნებ ეს ცრემლები ცრემლებია
საქართველოს
აწ არ მოხილვის!
იქნებ ეს ცრემლები ცრემლებია
სიხარულის, —
სახლში დაბრუნების!
იქნება არაბსაც მობეზრდა სისხლის
ღვრა,
ომი, ხეტიალი!

საქართველოდან გარბის არაბი.
სიხარულისგან მტკვარი და არაგვი
აღარ არიან თითქმის!

## აი, რო ილაღობეს

უ...ს

ამბობენ: თურმე იმას
სახლში მისდისო კურო...
თრთის ნიავივით წვიმა —
ლურჯი და უხმაურო.

შეხედეთ, ა, იმ ლობეს
ჩაზნექილი აქვს ზურგი...
აი, რო ილაღობეს,
მერმე სვეს მთვარე თუნგით.

ამბობენ: თურმე იმას
სახლში მისდისო კურო...
თრთის ნიავივით წვიმა —
ლურჯი და უხმაურო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



უილიამ შექსპირი

# ლუკრეცია

ძუნწი მოხუცი, საშოვარზე რომ დატანტალობს,
ვერ უთავდება გამუდმებულ წელკავს და ნიკრისს,
და ემსგავსება სიმდიდრეში ჩანთქმულ ტანტალოზს, —
ვისი გონებაც, მისწრაფებაც, აზრიც და ფიქრიც
კვლავ ფულებისკენ დაჟინებით მიქრის და მიქრის,
 მაგრამ ოქროებს, — ზეციერმა რომ გადმოლვარა, —
 სად შეუძლია მომაკვდავის ჯანზე მოყვანა?..

ეჰ, ბერიკაცო, სტომაქისთვის რაც დაგიკლია,
რაც მამასისხლად მოუცია მტერს და მოცილეს, —
შენი შვილები განურჩევლად წყალში გიყრიან...
მე შენ გეტყვი და, ერცხვინებათ კდემამოსილებს —
შეიხვილიფონ თაფლისკვერი, შენ რომ მოზილე;
 თაფლი, იცოცხლე, დაგიამებს ყელის სიმშრალეს,
 მაგრამ ზედმეტი ტკბილეული პირს აგიმჟავებს!

აპრილის სილბო ეწირება ცის სისასტიკეს,
ვარდის კოკორს ნთქავს სარეველა მთელი აზარტით,
ყელმოღერილი იადონი ართობს ასპიტებს,
სიყვარულის ხეს აჩიავებს ღვარძლის ნაზარდი,
და ყოველივეს — ქვემძრომიდან კაცით-კაცამდი —
 განაპირობებს ქალბატონი შემთხვევითობა, —
 ან ალზევება ცათა შინა, ან — ქვეითობა...

მძიმეა, მძიმე, შენ ცოდვა, შემთხვევითობავ, —
მოლალატეებს, ყალბისმქნელებს ლამპრად დანათი,
ცხვარზე მგელს ცოფავ, ალრეული ჟინს ვერ ითოკავ,
რომ შეთქმულთათვის შეარჩიო დრო მუხანათი
და ერთგულებას აუმხედრო ურცხვი ლალატი...
 შენს ბნელ სენაკში, — ჯოჯოხეთი რომ
 ეწოდება, —
 დაიძურწება სიბოროტე და შეცოდება.

---

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 2, 3.

ვესტალს ავალებ — ულალატოს ფიცს და ზენაარს, —
ავხორცობათა ალამდარო, ვნების სარდალო,
რაც კი ამქვეყნად ლაფისდასხმა და შერცხვენაა, —
ყბამორღვეული ქადაგივით ხალხში ყრანტალობ,
რომ უხამსობა ათუხთუხო და ასკანდალო:
შენი სიყალბე შეიმეცნა დიდმაც და ბალღმაც,
სიხარულს აქცევ მწუხარებად, გოლეულს —
ბალღმად.

მზეს რომ უფრთხი და ხალისდებ. სალამოისხანს, —
ნადიმობის ჟამს უჭმელობით რატომ მძიმდები?
მაგ წარჩინებამ, შესაძლოა, ღვარძლი მოისხას,
სიტყვის ბადაგმა — გუდაფშუტა და აბზინდები
და უაზრობამ შეიწიროს გარჯა იმდენი;
მაგრამ ყველანი, ბოროტების მტრად რომ
შთებიან,—
შემთხვევითობავ, მაინც შენზე რად გიჟდებიან?

თქვი, ბოლო-ბოლო, ხელმოცარულს ძმად თუ
დაისვამ,
ვინც გაფხავებულ მიზანსწრაფვას გზა ვერ უპოვა?
ნუთუ არ შეგძრა სიყვარულმა არარაისამ,
რომ აქიმივით შეეხიდო მწირს და უპოვარს,
ვინც, ლამისაა. სნეულებამ დააკუზოვა!
ანდა, დავუშვათ, დაცემულებს გზა რომ ეძებნათ,
გაირჯებოდი უმწეოთა ხსნად და შეწევნად?..

მე შენ გეტყვი და, მკურნალივით თავზე ევლები
და სარეცელთან დაჰფოფინებ საწყალ პაციენტს,
არ მყისიერად გახსენებენ ქვრივის ცრემლები
მართლმსაჯულების უსასრულო უზურპაციებს
და თვისტომების გასაჭირი ბოლმით გასიებს:
სიძვას, სიმდაბლეს, ორპირობას, — ვით ერთგულ
პაჟებს, —
შენ სიბოროტით ასულდგმულებ და აპარპაშებ...

ლუმც სიკეთეს და სულგრძელობას მე რად
ველოდი? —
სიმართლისათვის დახშულია შენი ყურები;
უბიწოებას მეურვეობ გასამრჯელოთი,
უხამსობას კი უსასყიდლოდ ემსახურები,
რომ უანგაროდ შეაწიო გარჯა ულევი;
რა გაგიგრძელო: თვალთმაქცობაც ისე მიუშვი, —
კოლატინუსად მომაჩვენე ტარკვინიუსი.

დე, მოგეკითხოს ძალადობა, ძარცვა. მკვლელობა,
არმად მოგხმარდეს ოქრო-ვერცხლი, სხვებს რომ
წალლიტე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

წამოგეწიოს გულქვაობა, სისხლისმსმელობა
და ყოველგვარი სისაძაგლე, — რასაც მაღლითვე
შენ დაანათლე ორპირობა და სითაღლითე
და საუკუნოდ დააფუძნე აქ — ჩვენს
მახლობლად,
ვით ბედისწერის უტიფრობა და ქედმაღლობა.

ღამეს მხარს უბამ მჭმუნვარებით, არდალხინებით,
ამაოებას გვიცნაურებ, — თითქოს საბარგო
ცხენს იურვებდე ცრემლიანი ბალდახინებით,
რომ სასიკვდილო ალტკინებით ხორცი დაბანგო
და უმანკო სულს ეთაღლითო და ეხაფანგო...
შენ წახვალ, წახვალ, წარმავლობის
ფერისცვალებავ,
ჩემს ცოდო-ბრალსაც, იმედია, თანვე წალეკავ!

რამ გაიძულა, უსულგულო შემთხვევითობავ,
ჩემს მოძალადეს გაგებოდი გზად და ბილიკად?
მის შეგინებულ ნაფეხურზე მისთვის მიტოპავ,
რომ მწუხარებას მიმათვალო, ცრუვ და ქილიკავ!
თუ — მოშულართა შერიგებას უნდა ცდილიყავ,
რომ ალტკინებულ ცდომილებას, — დღეს რომ
შეძერწე, —
არ ეზეიმა უსირცხვილოდ ჩემს სარეცელზე?..

დროს განადიდებს მეფეების დაძმობილება,
ყალბისმქნელების დატყვევება, ქურდის დადაღვა,
მზის გამოხმობა წყვდიადიდან, ცოდვის მხილება
და სიბოროტის განრინება ყოვლის გადაღმა,
რომ სამართალი აღადგინოს მართლის ქადაგმა,
და ბოლოს — ბინდის მეუფება, რასაც ენება
ოქროცურვილი პალატების გაცამტვერება.

დროის ჭია გჭამს, დიდებაო ნასამოთხარო,
არარაობის საუფლოში ობლად გაკრთები,
რომ ძველისძველი ეტრატები ჭუჭყით მოთხვარო,
ყვავ-ყორნების გუნდს აცალო ბოლო ნაკრტენი,
მუხის კორომებს — ძირისძირი და დასაყრდენი,
მერე რკინასაც დაეჭდიო, ვით ნაჭორფალი,
და უნამუსოდ უტრიალო ბედის ბორბალი, —

რომ ბებრუხანა შვილიშვილებს ავაჟკაცებდეს,
მოზარდი ჰგავდეს მოხუცებულს, ხუცი — მოზარდებს,
ჭკუას უხმობდეს ოინბაზი, ხოლო მტაცებლებს
შემწყნარებლობის შარავანდი გარემოსავდეს,
მოსახდენი კი მოუხდება ყველა მოსახდენს:
სალხენს მოიწევს გუთნისდედა თუ საალაპოს, —
წყალს შეუძლია წვეთწვეთობით მთაც კი ახაპოს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

სად მიგაჩქარებს ავბედითი პილიგრიმობა,
ნუთუ არ გინდა გულქველობა, მადლის კეთება?
რომ შემდგარიყავ წუთიერად, ერთი პირობა, —
გამოგიბრიდა მეგობრების სულისკვეთება,
რაც აქამომდე მილიონთა ვალად გედება...
ეჰ, დაგეცლია, სიბნელეო, ჟამი მცირედი, —
მთელს ამაღამდელ უიღბლობას ავიცილებდი.

მარადისობის ლაქია ხარ, მხდალი ლაქია,
მაშ, მიმიხედე ტარკვინიუსს: ისე დაფანტე, —
თავს მოახვიე იმისთანა გალიმათია, —
რომ ჩემი ციხე-დარბაზიდან თავის დაბამდე
სულს უყინავდეს საკუთარი სიყალთაბანდე,
და ყოველ ბუჩქთან, შუაღამის ყოველ ძახილზე,
ელანდებოდეს უმსგავსობა და სიმახინჯე.

შვება წაერთვას, წარეხადოს ბოლო ნუგეში,
გარს ეხვეოდეს ქიმერების ბილწი კრებული
და შეძრწუნება ჩაუსახლონ თვალისგუგებში...
და ცრემლიანი სეფეწული, რომხმე ზეპური,
აწ ახლობელთა გულქვაობით გაბეზრებული —
დგეს დიაცებთან ცოდოების გამოსასყიდად,
დიაცებმა კი დაიფრინონ დია სასტიკად.

სიმწრით იგლეჯდეს კულულებს და, როგორც
ასპიტებს,
სწყევლიდეს დღეებს — შავშემოსილთ შავი არშიით,
თან გლახაკივით შესტიროდეს ცის სისასტიკეს
და ბალღამს სვამდეს მშიერ კუჭზე რძის ნახარშივით,
და შარა-შარა — მწირი განძით, მცირე არჩივით
დაწანწალებდეს ძონძიანი და დაკონკილი
და ქედზე ედოს განკიცხულის მძიმე ბორკილი.

ძმანი მტრად ექცნენ, სიძულვილით გული აუვსე,
დასცინოდნენ და... დაუმძიმდეს ბოლმის დაძლევა,
დე, გამოსცადოს თავისივე დანაშაულზე,
რომ სიხარული უხანოა: მალე დაზრება,
მწუხარება კი ფეხათრევით მიიზლაზნება;
ისიც გაიგოს — მოკვეთილად რატომ აცხადებს
კანონმდებლობა ამისთანა შეურაცხადებს.

დროვ ულმობელო, დამადევნე ულირსს და უგვანს
და უნასივით მაწყევლინე ხშირად და მალ-მალ,
რომ სასიკვდილოდ დავაძგერო საკუთარ გულ-გვამს,
ბოროტი სისხლი დააქციოს ბოროტმა მკლავმა.
სხვებს — შთავაგონო თავდაჭერა რიდი და კრძალვა:
ერთიც ვნახოთ და, დაელიონ გველს
ჯალათივით, —
ქვეწარმავლის მკვლელს შეამკობენ დიდი
პატივით?

მას კი, ასე ვთქვათ, წარჩინებულს სასიქადულოს,
ერთიათასად მოაყივნებს ქცევა ამგვარი;
რაც უფრო ზეობ, მნიშვნელობით უფრო მატულობს
შენი გარჯა და ყოველგვარი გულისკანკალი, —
დიდ წარჩინებას ხშირად მოსდევს დიდი სკანდალი:
უვარსკვლავობას ცოტა ამჩნევს, მაგრამ
მთა-გორებს
მთვარის ჩაქრობა, დამერწმუნეთ, დიდად
ალონებს...

ზოგჯერ ყვავიც კი იმურება, შავად ითხვრება,
მაგრამ ვერ ამჩნევს კაციშვილი მოთხვრას ყვავისას,
ხოლო გედის ფრთა წამიერად შეითითხნება
და გაზანგული ნაკრტენები, შესაბამისად,
მეფის მაგიერ ემსგავსება მურდალ კარისკაცს.
ქინქლა შენატრის კაცთაგანის ერთ შემოხედვას,
ხოლო არწივი აფრენისას მთელ ჯარს მოხვეტავს.

გასწით, სიტყვებო, გამეცალეთ! — გითხრათ
სიმართლე, —
კი დაგხატავდათ ერთი ცივი წყლის გადავლება!
ისევ წადით და რიტორიკის სკოლებს მიმართეთ
ან ენაწყლიან სამსჯავროებს, — ვინძლო თავნება
ხალხს გამოადგეთ უნიათო შუამავლებად:
მე, ჩემდა თავად, როგორც ვატყობ, ფუჭად
ვენთები,
ვის რაში უნდა ჩემეული არგუმენტები!..

ტყუილუბრალოდ შევაჩვენე შემთხვევითობა,
ტარკვინიუსი, ბნელი ღამე, ღამე უშვერი,
ტყუილუბრალოდ დავირღვიე სულის მშვიდობა:
შენს გაჭირვებას, თავო ჩემო, ამ მოუშლელი
საყვედურებით, დამერწმუნე, ვერას უშველი!
გამოსადენის გამოდენა, სისხლის დათხევა! —
სხვა — სააქიმოდ არაფერი გამოგადგება.

მაგრამ რად მოდგნენ სალმობანი სალამოისნი? —
ხელო, შენ გესავ სათნოების გადასარჩენად!
მე თუ მომაკვდენ, ჩემთან ერთად ცოდვებს მოიხსნი,
თუ დამარჩენ და — ჩემი ხინჯიც შენთან დარჩება
და ერთიორად გაჭირდება საქმის გარჩევა...
მაშ, მიპასუხე, — შეკითხვისთვის ვარ
უკადრავად, —
რად გაისტუმრე მოსისხარი დაუკაწრავად?"

წამოდგება და გაშმაგებით, — მთლად რომ აოსებს, —
იარაღს ეძებს პალატაში... ახლა — უთხარი,
რომ იარაღი მოიკითხოს სასაკლაოზე!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და სასიკვდილოდ ალანძული და ნათუთქარი
სუნთქვას იოკებს ძალისძალად, როგორც
ვულკანი. —
რომ მოგუზგუზებს აბოლებულ ციხე-დარბაზად
და კრატერიდან მოაქუხებს ზარს და ზარბაზანს...

„— თუმც ამაოა!“ — გაიფიქრა — „და ამაოთი
ამაოების კარიბჭესთან რატომ მივედი?
ტარკვინიუსის მახვილიდან დახსნას ვლამობდი,
ახლა თვით ვლამობ თვითმკვლელობას, რომ რაიმეთი
პატიოსნებას ჩავუსახო ბოლო იმედი.
მაგრამ ტყუილად: რასაც ერქვა ჩემი წარსული,
ან ყოველივე ჯვარცმულია და განძარცული...

და მაინც, მაინც — ხორცი დავგმე, გული შევრისხე,
მიდექ, ხელო და, შენდა თავად, დაშნა შეასე!
თვითმკვლელობიდან უხორცოთა სასუფევლისკენ
ცილისწამების ასი გზაა, ხოლო მეასე
გზა მიიქცევა მარტოობის ბნელ ლივრეაზე...
ო, გულქვაობავ! სათნოების ძველ ზარდახშიდან
მარგალიტების დატაცება რატომ გახშირდა!..

შენ კი — რას გეტყვი, კოლატინუს: ღმერთიმც
ინებებს —
და რიოშების საჭორაოდ, ბრმების სავახშოდ
ვერ შეგიბღალავ კეთილშობილ მიდრეკილებებს...
მაშ, შთამაგონე, — ჩასახშობი დღესვე ჩავახშო,
თესლი ულირსი ჩავანელო და ჩავახავსო,
თორემ, ვინ იცის, მოლიზღარმა გზა
გადაგიჭრას, —
მამა-მშობელად გაუხდიო ვილაც ნაბიჭვარს!

ეგლა აკლია — გაგანბილოს მისი შვილობით!
ო, ამისთანა უტიფრები — თავის მახლობელ
ხალხს აუწყებენ კადნიერი სიამტკბილობით, —
რა უკადრისი ილეთებით მამაძაღლობენ;
მაგრამ ჩემს სულში უნდილები როდი სახლობენ:
მა, მოდექ, მოდექ, სიბნელეო გულამომპალო,
რომ თვითმკვლელობით საშინელი ცოდვა
მომბანო!

ვერა, ვერ გკადრებ, კოლატინუს! — შენს თეთრ
იალქნებს
მე რანაირად შევუთავსო შავი ტაროსი? —
როცა ენა დუღს, ნიაღვარი ბაღლამს მიაფრქვევს,
როს თვალისჩინი განხმულია, ვით ავგაროზი,
და სიმართლიდან გადმომსკდარი ჭავლი წყაროსი
მიდის ჭალისპირ, მისრიალებს ნელი სისინით,
რომ ამღვრეულ სულს მოეფონოს
კათარზისივით...“

და ფილომელამ — სევდიანი იადონივით —
კვლავ დააკვნესა სატკივარი უდიადესი,
ღამე კი მიდის, მიირხევა დინჯი რონინით,
რომ მერამდენედ დაიმკვიდროს შავი ჰადესი.
და, უთენია, ნათლიერის მზისფერ ბადეში
დგას ლუკრეცია — შელანძღული, ობლად ნაშთენი,
მგლოვიარე და მარტოსული, ვით მონასტერი.

სხივი კი ანცობს, იჭყიტება ვიწრო ხვრელებში,
თან მგლოვიარეს უთვალთვალებს, როგორც ჯაშუში;
ქალი შესტირის: განმარეო თვალი ხენეში
და მძინარეებს ელაციცე, — ვინც მოსაშუში
ვნების ამარა ჩახვეულა ღამის საშოში:
„— ჩემს შუბლს რად უნდა, სინათლეო, შენი თანხლება,
ღამეს დღის შუქი რანაირად შეეთანხმება?“

გამოუცდელ სულს ყველაფერი აღიზიანებს,
როგორც უწრთვნელ ყრმას, — განსაცდელი რომ არ ეთნია
და უმიზეზოდ ამუნათებს თავისიანებს...
შეჩვევა იცის ძველმა დარდმა, და ტრაგედია
მაშინ იწყება, მწუხარება როცა ნედლია:
ცურვით კი ცურავს ახალბედა, მაგრამ ჩაყვინთვა
ნაადრევია, საკმარისად თუ არ დალევინდა.

და ლუკრეციაც დაბნეული დაბოდიალობს
და მწუხარების ოკეანეს ეაბეზრება,
თან თავისთავთან ნერვიულად იწყებს დიალოგს,
რომ ემოციებს მიანიჭოს მეტი შეძლება,
თუმც განუწყვეტელ მიმოცვლაში ღონე ეცლება...
ხან იტყვის რასმე — უადგილოს და ოკრობოკროს,
ხან აწყვეტილი ვულკანივით დუღს და ბობოქრობს!..

ესალმებიან ჩიტუნები ცას და ციურებს,
ქალს მწუხარებას უორკეცებს მათი გნიასი;
დამდაბლებულ სულს აღმაფრენა ანერვიულებს
და მგლოვიარეს — სიხარული, ხოლო დიაცი
თავს იუცხოებს განთიადის მელოდიაში:
ოდენ მსგავსი ხამს ტკივილებში მსგავსის მცნობელად
და მწუხრეული — მწუხრეულის თანამგრძნობელად...

ეროვნული ბიბლიოთეკა

როს დავრდომილი მდინარესთან დაიარები,
რა უდლეური გეჩვენება ნაშთი დიდების,
მკურნალობის ჟამს გახსენდება ნაიარევი,
დაყვავების ჟამს — ტკივილები გაბედითების;
და მწუხარება ჭალა-ჭალა ზათქით მიდენის
    ტალღებს, რომელიც მოაჯირებს წალიკ-წალიკად
    ჩამოილებს და აქაფებულ ჩქერში წალეკავს.

ხოლო ქალი კი: „— მიტიონნო დაე, ჩიტებმა,
დე, თვითეულმა თავისივე გულ-მკერდს ჩასცინოს:
გულს რომ ასეთი სიმძიმილი დაეჭიდება
და მწუხარება დააბნელებს მზეს და ასპიროზს, —
ვის შეუძლია მხიარულად დაითათბიროს
    ჭირისუფალთან, სულელურად რომელიც როშავს —
    ალტაცებული ვუმღერიო ცრემლიან დრო-ჟამს!..

მო, ფილომელა, გარე-გარე რას ვიწყევლებით,
ბნელეთს რომ ვუხმობთ საკუბოოდ, მიწას —
                                        სასუდროდ. —
სჯობს — ერთმანეთზე დანდობილი ჩვენი ცრემლებით
ერთიმეორის სატკივარი გავისაკუთროთ
და სამდურავი შევლალადოთ ცას და საწუთროს:
    შენ წყევლა-კრულვით გამოიხმე შენი ტერევსი,
    მე — ტარკვინიუსს შევაჩვენებ ჩემს სიმღერებში.

შენ ვარდს ელტვი და გიმუსრავენ გულ-მკერდს
                                        ეკლები,
მე — გუნებაში ერთადერთი აზრი მიელავს:
შენ სულთამხუთავს ეკლიანში გადაეყრები,
მე — ალსასრული მომეწევა ხანჯლის მიერაც
და სამარეში შევიყრებით თანახმიერად, —
    რომ, სიბნელეო, საუკუნოდ ჩვენში იმეფო
    და მწუხარებას უგალობოთ, გულის სიმებო!

სხივს რომ უფრთხი და სინათლეში ჭიკჭიკს მოეშვი,—
დაუბრებიხარ, იადონო, მზეს და სიამეს,
მაშ, გავეშუროთ უკაცრიელ უდაბნოებში,
სად, იმედია, გავარიდებ ადამიანებს
გულს, რომელზედაც ტკივილებმა გადამიარეს,
    სად ნადირის ხმას მოგვაგონებს კაცის ქაქანი
    და გულისყურით იყურსება ნადირთაგანი!..“

ინგლისურიდან თარგმნა **ჯემალ აჯიაშვილმა**

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ლევ ტროცკი

# სტალინი

კამოს ფიგურას ხუვარინი გაუმართლებელი მაღალფარდოვნებით უკავშირებს „ანაქრონისტულ მისტიციზმს“, რაც შეუსაბამოა მოწინავე ქვეყნების რაციონალიზმთან. სინამდვილეში, კამოს რევოლუციონერის მხოლოდ რამდენიმე ისეთი თვისება ახასიათებდა, რომელთაც სრულიადაც არ დაუკარგავთ თავისი მნიშვნელობა „დასავლეთის ცივილიზაციაში“. დასავლეთ ევროპის მუშებში რევოლუციური სულის სისუსტემ რამდენიმე ქვეყანა უკვე ფაშიზმის გამარჯვებასთან მიიყვანა, სადაც ანაქრონისტული მისტიციზმი — აი, სად არის ეს სიტყვა ყველაზე მართებული — თავის უსაზიზღრეს გამოხატულებას პოულობს.

ფაშისტური რკინის ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლა უეჭველად წარმოშობს დასავლეთის რევოლუციურ მებრძოლებში ყველა იმ თვისებას, რაც სკეპტიკოს ფილისტერს ანცვიფრებდა კამოს პიროვნებაში. თავის „რკინის ქუსლში“ ჯეკ ლონდონი წინასწარმეტყველებდა ამერიკელი კამოების მთელ ეპოქას, რომელნიც სოციალიზმის სამსახურში იქნებოდნენ. ისტორიული პროცესი უფრო რთულია, ვიდრე ეს ზერელე რაციონალიზატორებს სურთ.

თბილისურ ექსპროპრიაციებში კობას მონაწილეობა პარტიულ წრეებში ოდითგანვე უდავოდ იყო მიჩნეული. ყოფილი საბჭოთა დიპლომატი ბესედოვსკი, რომელსაც საშუალება ჰქონდა მეორე და მესამე კლასის ეშელონებში მოესმინა ათასგვარი მითქმა-მოთქმა, ყვებოდა, რომ სტალინი, „ლენინის ინსტრუქციის თანახმად“, უშუალო მონაწილეობას ექსპროპრიაციაში არ ღებულობდა. მაგრამ კობა თითქოს შემდეგ ტრაბახობდა, რომ მან „უწვრილეს დეტალებამდე დაამუშავა თავდასხმის გეგმა და პირველი ბომბიც თვითონ ისროლა სუმბათოვის სახლის სახურავიდან“. ტრაბახობდა სტალინი ოდესმე ამგვარ რამეს თუ ბესედოვსკი ტრაბახობდა საქმეში ჩახედულობით, ძნელი გასარკვევია. ყოველ შემთხვევაში, სტალინს საბჭოთა ეპოქაში არ დაუდასტურებია ეს ხმები. თუმცა არც უარუყვია. როგორც ჩანს, მას არაფერი ჰქონდა იმის საწინააღმდეგო, რომ ექსპროპრიაციების ტრაგიკული რომანტიკა ახალგაზრდობის თვალში მის სახელთან ყოფილიყო დაკავშირებული.

მე პირადად არ მეეჭვებოდა სტალინის, როგორც ხელმძღვანელის მონაწილეობა თბილისში მომხდარ შეიარაღებულ თავდასხმაში და ამის შესახებ 1932 წელს გაკვრით აღვნიშნე ერთ ჩემს სტატიაში, მაგრამ იმდროინდელი ვითარების დაწვრილებით შესწავლა მაიძულებს, გადავსინჯო ტრადიციული ვერსია. ქრონიკაში, რომელიც დართული აქვს ლენინის თხზულებათა XII ტომს, 1907 წლის 12 ივნისის თარიღით, ვკითხულობთ: „თბილისური ექსპროპრიაცია (341000 მან.) ორგანიზებული იყო კამო-პეტროსიანის მიერ“, სულ ეს არის. კრასინისადმი მიძღვნილ კრებულში, სადაც ბევრი რამ არის მოთხრობილი კავკასიის არალეგალურ სტამბებსა და პარტიის საბრძოლო მუშაობაზე, სტალინი ერთხელაც არ არის მოხსენიებული. იმდროინდელი, საქმეში ჩახედული ძველი მებრძოლი წერს: „კამოს მიერ ორგანიზებული ყველა შემდგომი ექსპროპრიაციის გეგმა, რომელიც განხორციელდა ყვარლისა და დუშეთის ბანკებში, ასევე ერევნის მოედანზე, მზადდებოდა და განიხილებოდა ნიკიტიჩთან (კრასინთან) ერთად“. სტალინზე კი არც ერთი სიტყვა. მეორე ყოფილი მებრძოლი ამტკიცებს: „ისეთი ექსპროპრიაციები, როგორიც იყო თბილისისა, ხდებოდა ლეონიდ ბორისოვიჩის (კრასინის) უშუალო ხელმძღვანელობით“. სტალინზე კვლავ არაფერი. ბიბინეიშვილის წიგნში, სადაც დაწვრილებით არის მოთხრობილი ექსპროპრიაციის მომზადებასა და შესრულებაზე, სტალინის სახელი არც ერთხელ არ არის მოხსენიებული. ყოველივე აქედან გამომდინარეობს უდავო დასკვნა, რომ კობა უშუალო კავშირში არ ყოფილა რაზმის წევრებთან, მათთვის არც ინსტრუქციები მიუცია; შესაბამისად, არც საქმის ორგანიზატორი ყოფილა, ამ სიტყვის მეუ-

გაგრძელება. იხ. „ცისკარი“ № 1, 2, 3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარიტი გაგებით, რომ ალარაფერი ვთქვათ პირდაპირ მონაწილეობაზე.

ლონდონში ყრილობა 27 აპრილს დამთავრდა. თბილისში ექსპროპრიაცია მოხდა თვენახევრის შემდეგ, 12 ივნისს. სტალინს მეტად მცირე დრო ჰქონდა საზღვარგარეთიდან დაბრუნებისა და აღნიშნულ ექსპროპრიაციას შორის, რათა ესოდენ რთული ოპერაციის მომზადება და ხელმძღვანელობა მოესწრო. ყველაზე უფრო სარწმუნოა, რომ მებრძოლებმა წინასწარ დაგეგმეს და მოამზადეს ეს სახიფათო საქმე და მხოლოდ ყრილობის გადაწყვეტილებას უცდიდნენ. ზოგიერთი შეიძლება ყოყმანობდა, თუ როგორ შეხვდებოდა ექსპროპრიაციას ლენინი. მებრძოლები ნიშანს უცდიდნენ. სტალინს შეეძლო მათთვის ამგვარი ნიშანი ეცნობებინა. მიდის თუ არა სტალინის მონაწილეობა უფრო შორს? კობას და კამოს ურთიერთობის შესახებ ჩვენ თითქმის არაფერი ვიცით. კამოს შეეძლო ადამიანებთან სიახლოვე, მაგრამ არავინ არაფერს ამბობს დაუახლოვდა თუ არა კამო კობას. ეს დუმილი გვაფიქრებინებს, რომ მათ შორის სიახლოვე არ ყოფილა და უფრო კონფლიქტი იყო. ამის საფუძველი შეიძლებოდა ყოფილიყო კობას მბრძანებლური დამოკიდებულება კამოსადმი, ანდა იმის მითვისება, რაც მას არ ეკუთვნოდა. კამოს შესახებ დაწერილ წიგნში ბიბინეიშვილი მოგვითხრობს: უკვე საბჭოთა პერიოდში საქართველოში გამოჩნდა ვინმე „იდუმალი უცნობი", რომელმაც ყალბი საბაბით წაილო კამოს კორესპონდენციები და ფასეული მასალები. ვის და რისთვის სჭირდებოდა ისინი? დოკუმენტები, ისევე, როგორც მათი გამტაცებელი, უკვალოდ გაქრა, იქნება კი მეტად ნაჩქარევი იმის ვარაუდი, რომ სტალინმა თავისი აგენტის მეშვეობით, კამოს ხელიდან გამოგლიჯა ის მასალები, რომლებიც, რატომღაც, მოსვენებას არ აძლევდა? ეს იმას მაინც არ ნიშნავს, რომ მათ შორის მჭიდრო თანამშრომლობა არ არსებობდა 1907 წელს. სავსებით დასაშვებია, რომ ურთიერთობა წახდა თბილისის „საქმის" შემდეგ და რომ კობა შეიძლებოდა ყოფილიყო კამოს მრჩეველი თავდასხმის დეტალების საბოლოო დამუშავებისას. მრჩეველს, ამავე დროს, შეეძლო საზღვარგარეთ გადაჭარბებული წარმოდგენა შეექმნა თავის როლზე. ექსპროპრიაციის მეთაურობის მითვისება გაცილებით ადვილია, ვიდრე ოქტომბრის გადატრიალების ხელმძღვანელობისა, მაგრამ სტალინი არც აქ შეყოყმანებულა.

ბარბიუსი მოგვითხრობს, რომ 1907 წელს კობა ბერლინში გაემგზავრა და რამდენიმე ხანს დარჩა „ლენინთან საუბრისათვის". რა საუბარს ეხება საქმე, ავტორმა არ იცის. ბარბიუსის წიგნი უმეტესად შეცდომებზეა აგებული, მაგრამ ბერლინში ჩასვლის ამბავი მით უფრო ყურადსაღებია, რომ ლუდვიგთან საუბარში თვით სტალინმა აღნიშნა თავისი ბერლინში 1907 წელს ყოფნის შესახებ. თუ ლენინი ამ შეხვედრისთვის საგანგებოდ ჩამოვიდა გერმანიის დედაქალაქში, მაშინ, ბუნებრივია, საქმე უბრალოდ თეორიულ „საუბრებს" არ ეხება. ეს შეხვედრა უნდა შემდგარიყო ან უშუალოდ ყრილობის წინ, ან მისი დამთავრებისთანავე. საუბარი, უეჭველია, ეხებოდა მომავალ ექსპროპრიაციას, ფულის გატანის საშუალებებს და სხვა. რატომ მიმდინარეობდა მოლაპარაკება ბერლინში და არა ლონდონში? სარწმუნოა ვარაუდი, რომ ლენინმა გაუფრთხილებლობად ჩათვალა ივანოვიჩთან შეხვედრა ლონდონში, დელეგატების, მრავალრიცხოვანი სტუმრებისა და ყრილობისათვის მიჩენილი მეფის ჯაშუშების თვალწინ. ისიც დასაშვებია, რომ თათბირს ესწრებოდა მესამე პირი, რომელიც არ იყო ყრილობის მონაწილე. ბერლინიდან კობა თბილისში დაბრუნდა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ბაქოში გადასახლდა, საიდანაც ბარბიუსის სიტყვით, „კვლავ მიემგზავრება საზღვარგარეთ, ლენინთან შესახვედრად". ზოგიერთი კავკასიელი (ბარბიუსი კავკასიაში იყო და იქ ბერიას მიერ ორანჟირებული ბევრი მოგონება ჩაიწერა) განგებ იხსენებს სტალინის ორ შეხვედრას ლენინთან, რათა ხაზი გაუსვას მათ სიახლოვეს. ამ შეხვედრების ქრონოლოგია მრავალმნიშვნელოვანია: ერთი წინ უსწრებს ექსპროპრიაციას, მეორე უშუალოდ მისდევს მას, ამით საკმაოდ გარკვეულია მათი მიზანი. მეორე შეხვედრა უსათუოდ იმ მიზანს ემსახურებოდა, განეგრძოთ თუ შეეწყვიტათ ექსპროპრიაციები.

ირემაშვილი წერს: „კობა-სტალინის მეგობრობა ლენინთან ამით დაიწყო". სიტყვა „მეგობრობა" აქ ნამდვილად არ გამოდგება. ამ ორ ადამიანს შორის არსებული დისტანცია მეგობრობას გამორიცხავდა, მაგრამ მათი დაახლოება, როგორც ჩანს, მართლაც იმ დროიდან დაიწყო. თუ სიმართლეს შეეფერება ვარაუდი, რომ ლენინი კობას წინასწარ მოელაპარაკა თბილისური ექსპროპრიაციის პროექტზე, მაშინ სრულიად ბუნებრივია, ლენინი აღტაცებაში მოიყვანა იმან, ვინც ამ საქმის ორგანიზატორად წარუდგა. როცა წაიკითხა ტელეგრამა, რომ ნადავლი გატაცებულია რევოლუციონერთა მხრიდან მსხვერპლის გარეშე, ლენინმა, ალბათ, გულში წამოიძახა ან კრუპსკაიას უთხრა: „საოცარი ქართველია", — სიტყვები, რომელთაც ჩვენ შემდგომში კიდევ შევხვდებით ერთ მის წერილში გორკისადმი. ადამიანებს, რომელნიც ამჟღავნებდნენ გადამწყვეტი მოქმედების უნარს, ან წარმატებით ასრულებდნენ დაკისრებულ მოვალეობას, ლენინი თავისი სიცოცხლის ბოლომდე უმაღლეს რანგს აკუთვნებდა. იგი ადამიანებში განსაკუთრებით აფასებდა მოქმედების უნარს, კავკასიური ექსპროპრიაციების გამოცდილებით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მან, როგორც ჩანს, კობა იმ ადამიანად ჩათვალა, ვისაც შეეძლო თვითონაც წინ ევლო და სხვებიც ბოლომდე გაეყოლიებინა. ამიტომ გადაწყვიტა, რომ „საოცარი ქართველი“ კიდევ გამოადგებოდა.

თბილისურმა ნადავლმა სიკეთე არ მოიტანა. მთელი გატაცებული თანხა ხუთას მანეთიანი კუპიურებისაგან შედგებოდა. ასეთი მსხვილი ფულის ბრუნვაში გაშვება ერევნის მოედანზე მომხდარი ტრაგიკული შეტაკების გახმაურების შემდეგ შეუძლებელი იყო. რუსეთის ბანკებში ამ ფულის გადახურდავების ცდა უაზრობა იქნებოდა. ოპერაცია საზღვარგარეთ გადაიტანეს, მაგრამ ფულის გადახურდავებაში მონაწილეობას ღებულობდა აროვოკატორი ჟიტომირსკი, რომელმაც დროულად გააფრთხილა პოლიცია. საგარეო საქმეთა მომავალი სახალხო კომისარი ლიტვინოვი დააპატიმრეს პარიზში ფულის გადახურდავების მცდელობისას, ოლღა რავიჩი, რომელიც შემდგომში ზინოვიევს გაჰყვა ცოლად, პოლიციის ხელში მოხვდა სტოკჰოლმში. ჯანმრთელობის დაცვის მომავალი სახალხო კომისარი სემაშკო, როგორც ჩანს, შემთხვევით დააპატიმრეს ჟენევაში. „მე ვიყავი იმ ბოლშევიკთაგანი, — წერს იგი, — ვინც მაშინ პრინციპულად ეწინააღმდეგებოდნენ ექსპროპრიაციებს“. გადახურდავების ისტორიამ ამგვარ ბოლშევიკთა რიცხვი გაზარდა. „შვეიცარიელ ობივატელებს, — მოგვითხრობს კრუპსკაია, — შიშით გული უსკდებოდათ, საუბარი მხოლოდ რუსულ ექსპროპრიაციებზე იყო, ამ საშინელებაზე მსჯელობდნენ იმ პანსიონშიც, სადაც მე და ილიჩი სასადილოდ დავდიოდით“. უნდა აღინიშნოს, რომ ოლღა რავიჩი, ისევე როგორც სემაშკო, გაქრა, უკანასკნელი საბჭოთა „წმენდისას“.

თბილისური ექსპროპრიაცია არავითარ შემთხვევაში არ უნდა განვიხილოთ, როგორც პარტიზანული შეტაკება სამოქალაქო ომში მებრძოლ ორ მხარეს შორის. ლენინს არ შეეძლო არ დაენახა, რომ შეიარაღებულმა აჯანყებამ შორეულ მომავალში გადაინაცვლა. მისთვის ამჟამად მთავარი ამოცანა იყო პარტიის ფულადი სახსრებით უზრუნველყოფა მტრის ხარჯზე, მომავალ შავბნელ პერიოდში. ლენინმა თავი ვერ შეიკავა ცდუნებისაგან — გამოეყენებინა ხელსაყრელი შემთხვევა, „ბედნიერი გამონაკლისი“. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ამ [illegible]ებით თბილისური ექსპროპრიაცია თავისთავში შეიცავდა ავანტიურიზმის უბოროტეს ელემენტებს, რაც საერთოდ უცხო იყო ლენინის პოლიტიკაში. სხვა არის სტალინი, ფართო ისტორიულ მოსაზრებებს მის თვალში ნაკლები ფასი ჰქონდა. ლონდონის ყრილობის რეზოლუცია წარმოადგენდა ქაღალდის უსიამოვნო ნაგლეჯს, რომლის უარყოფა შეიძლებოდა უხეში ფანდების დახმარებით. რისკი გამართლებული იქნებოდა წარმატებით. სუვარინი ეწინააღმდეგებოდა იმ აზრს, რომ პასუხისმგებლობა ფრაქციის ბელადიდან გადატანილი იქნას მეორეხარისხოვან ფიგურაზე. პასუხისმგებლობის გადატანაზე ლაპარაკიც არ შეიძლება, მაგრამ ბოლშევიკთა ფრაქციაში ამ დროისათვის უმეტესობა ექსპროპრიაციების საკითხში ლენინის წინააღმდეგი იყო. ბოლშევიკებს, რომელთაც უშუალოდ ჰქონდათ შეხება მებრძოლ რაზმებთან, მეტისმეტად დამაჯერებელი დაკვირვებები გააჩნდათ, ლენინი კი, რომელიც კვლავ ემიგრაციაში აღმოჩნდა, ამას მოკლებული იყო. ქვემოდან შესწორებების გარეშე, ყველაზე გენიალური ბელადიც აუცილებლად შეცდომებს დაუშვებს. ფაქტია, სტალინი მათ შორის არ იყო, ვინც დროულად მიხვდა, რომ პარტიზანულ ბრძოლებს აზრი აღარ ჰქონდა რევოლუციის დაღმავლობის ვითარებაში და ეს შემთხვევითი არ არის. პარტია მისთვის, უპირველეს ყოვლისა, აპარატი იყო, აპარატი არსებობისათვის ფულად სახსრებს ითხოვს, ფულადი სახსრების მოპოვება კი მეორე აპარატის საშუალებით შეიძლება. სტალინი აქ მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა.

1907 წლის შემოდგომიდან 1908 წლის მარტამდე კობა რევოლუციურ მუშაობას ეწევა ბაქოში. ამ ქალაქში მისი გადასვლის თარიღის დადგენა შეუძლებელია. სრულიად მოსალოდნელია, რომ იგი თბილისიდან გზას სწორედ მაშინ დაადგა, როცა კამომ უკანასკნელი ბომბი ისროლა: კობას სიმამაცეს მუდამ განუყრელად ახლდა სიფრთხილე.

ჭრელი ხალხით დასახლებული ბაქო უკვე საუკუნის დასაწყისში მოითვლიდა 100 ათას მცხოვრებს. მისი ნავთის სარეწები ისრუტავდა აზერბაიჯანელი თათრების მასას და ქალაქიც ძალზე სწრაფად იზრდებოდა. 1906 წლის რევოლუციურ მოძრაობას მეფის მთავრობამ არცთუ წარუმატებლად უპასუხა თათრებსა და უფრო დაწინაურებულ სომხებს შორის ურთიერთობის მოწამვლით. თუმცა რევოლუციამ შემდგომში ჩამორჩენილი აზერბაიჯანელებიც მოიცვა. მართალია, ქვეყნის სხვა მხარეებთან შედარებით გვიან, მაგრამ 1907 წელს ისინი მასობრივად მონაწილეობდნენ გაფიცვებში.

კობამ ამ შავ ქალაქში, ბერლინში გამგზავრების დროის გამოკლებით, თითქმის რვა თვე გაატარა. „ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით, — წერს უხეირო გამომგონებელი ბერია. — მენშევიკებთან ბრძოლაში გაიზარდა, განმტკიცდა და გამოიწრთო ბაქოს ბოლშევიკური ორგანიზაცია“. კობა მიემგზავრება იმ რაიონებში, სადაც მოწინააღმდეგე შედარებით ძლიერი იყო. „ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ბოლშევიკებმა გააქარწყლეს მენშევიკებისა და ესერების გავლენა“ და ა. შ. უფრო მეტი ჩვენ შეგვიძლია გავიგოთ ალილუევისაგან. პოლიციური დარბევის შემდეგ ბოლშევიკთა ძალე-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბის შემოკრება, მისი სიტყვებით, ხდებოდა „ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით და უშუალო მონაწილეობით... მისი ორგანიზატორული უნარით, ჭეშმარიტი რევოლუციური ენთუზიაზმით, ამოუწურავი ენერგიით, მტკიცე ნებისყოფით, ბოლშევიკური შეუპოვრობით" და ა. შ. სამწუხაროდ, სტალინის სიმამრის მოგონებები დაწერილია 1937 წელს, ფორმულა: „უშუალო ხელმძღვანელობით და აქტიური მონაწილეობით" აშკარად ამხელს ბერიას მანუფაქტურას. სოციალისტ-რევოლუციონერი ვერეშაკი, რომელიც იმავე პერიოდში მუშაობდა ბაქოში და კობას მოწინააღმდეგის თვალით აფასებდა, აღიარებს მის განსაკუთრებულ ორგანიზატორულ უნარს, მაგრამ სრულიად უარყოფს კობას რაიმე გავლენას მუშებზე. „მისი გარეგნობა, — წერს იგი. — წესიერ ადამიანებზე უსიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებდა, კობა ამას ანგარიშს უწევდა, ის არასოდეს გამოდიოდა მასობრივ შეკრებებზე. კობას გამოჩენა მუშათა ამა თუ იმ რაიონში მუდამ კონსპირაციული იყო და ამის მიხვედრა იქ მხოლოდ ბოლშევიკთა მუშაობის გააქტიურებით შეიძლებოდა". სიმართლეს ეს უფრო მიაგავს; ვერეშაკს ჩვენ კიდევ შევხვდებით.

ტოტალიტარულ ეპოქამდე დაწერილი ბოლშევიკთა მოგონებები პირველ ადგილს ბაქოს ორგანიზაციაში აკუთვნებენ არა კობას, არამედ შაუმიანს და ჯაფარიძეს, ორ უგამოჩენილეს რევოლუციონერს, რომლებიც ინგლისელებმა დახვრიტეს 1918 წლის 20 სექტემბერს, კავკასიის ოკუპაციის პერიოდში. „ძველი ამხანაგებიდან მაშინ ბაქოში მუშაობდნენ, — წერს შაუმიანის ბიოგრაფი კარაიანი, — ამხანაგები: ა. ენუქიძე, კობა (სტალინი), ტიმოფეე (სპანდარიანი), ალიოშა (ჯაფარიძე), ბოლშევიკურ ორგანიზაციას მუშაობისათვის ფართო ბაზა ჰქონდა ნავთობმრეწველობის მუშათა პროფკავშირების სახით. მთელი ორგანიზაციის მდივანი და ფაქტობრივი ორგანიზატორი იყო ალიოშა (ჯაფარიძე)". აქ ენუქიძე დასახელებულია კობაზე ადრე, მთავარი როლი მიეკუთვნება ჯაფარიძეს. შემდეგ ნათქვამია: „ორივე ისინი (შაუმიანი და ჯაფარიძე) იყვნენ ბაქოს პროლეტარიატის უსაყვარლესი ბელადები". კარაიანს, რომელიც ამ სიტყვებს 1924 წელს წერდა, ჯერ კიდევ არ მოსვლია აზრად, „უსაყვარლესი ბელადებისათვის" კობაც მიეთვალა. ბაქოელი ბოლშევიკი სტოპანი მოგვითხრობს 1907 წელს როგორ დაანება მან თავი პროფკავშირულ მუშაობას, „იმდროინდელი ბაქოს ყველაზე საჭირბოროტო საქმეს. პროფკავშირული მუშაობა დაქვემდებარებული იყო ბოლშევიკური ხელმძღვანელობისადმი. კავშირში თვალსაჩინო როლს ასრულებდა შეუცვლელი ალიოშა ჯაფარიძე, უფრო ნაკლებს კობა (ჯუღაშვილი), იგი მეტ უპირატესობას ანიჭებდა პარტიულ მუშაობას, რომელსაც ხელმძღვანელობდა".

რაში მდგომარეობდა „პარტიული მუშაობა", „ყველაზე საჭირბოროტო პროფკავშირული მუშაობის" გამოკლებით სტოპანი არ აზუსტებს. სამაგიეროდ, ის იძლევა საინტერესო შენიშვნას ბაქოელ ბოლშევიკთა შორის უთანხმოების შესახებ. „ყველა ისინი აუცილებლად მიიჩნევდნენ პარტიის ორგანიზაციული გავლენის „განმტკიცებას" პროფკავშირში, მაგრამ ჩვენს შორის უთანხმოება „განმტკიცების" ფორმებთან დაკავშირებით არსებობდა. გვქონდა ჩვენი „მემარცხენე" (კობა-სტალინი) და „მემარჯვენე" (ალიოშა ჯაფარიძე და სხვები) ფრთა. უთანხმოება არ იყო არსებითი ხასიათისა, იგი შეეხებოდა მხოლოდ ამ კავშირის განხორციელების ტაქტიკასა და ხერხებს. სტოპანის განგებ გაბუნდოვანებული სიტყვებიდან გამომდინარე, სტალინი უკვე ძალზე ძლიერი იყო — ჩვენ შეგვიძლია შეუმცდარად წარმოვიდგინოთ ფიგურების განლაგება. გვიან დაწყებული მღელვარებების წყალობით, პროფესიულმა კავშირებმა წინა პლანზე წამოიწიეს. ბუნებრივია, პროფკავშირების ბელადებად ისინი იქცნენ, ვისაც შეეძლო მასებთან ლაპარაკი და მათი გაყოლიება, ესენი იყვნენ ჯაფარიძე და შაუმიანი, კობა კვლავ მეორე რიგში აღმოჩნდა და იგი ჩასანგრდა იატაკქვეშა კომიტეტში. პროფკავშირებში პარტიის გავლენისათვის ბრძოლა მისთვის ნიშნავდა მასების ბელადების, — შაუმიანისა და ჯაფარიძის საკუთარი ნებისადმი დაქვემდებარებას. კობას პირადი ძალაუფლების დამკვიდრებისათვის ამგვარმა ბრძოლამ, როგორც სტოპანის სიტყვებიდან ჩანს, მის წინააღმდეგ აამხედრა ბოლშევიკი ხელმძღვანელები. მასების აქტიურობა ხელს არ უწყობდა კულისებმიღმა კომბინატორს.

განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო კობას შუღლმა შაუმიანთან, საქმე იქამდე მივიდა, რომ შაუმიანის დაპატიმრების შემდეგ, ქართველი მენშევიკების ცნობით, მუშებმა დაბეზღებაში ეჭვი კობაზე მიიტანეს და მოითხოვდნენ მის პარტიულ გასამართლებას. ეს კამპანია მხოლოდ კობას დაპატიმრებამ შეწყვიტა. ბრალმდებლებს, ალბათ, არც ჰქონდათ რაიმე დამამტკიცებელი საბუთი, მაგრამ ეჭვი შეიძლებოდა გამოეწვია მთელი რიგი გარემოებების დამთხვევას. ისიც საკმარისია, რომ პარტიული ამხანაგები კობას თვლიდნენ ისეთ პიროვნებად, ვისაც პატივმოყვარეობის შლეგის მოტივით შეეძლო მოწინააღმდეგის დასმენა, სხვა არავიზე მსგავსი რამ არ უთქვამთ!

ბაქოს კომიტეტის ფინანსებთან დაკავშირებით, როცა იქ კობა მუშაობდა, არსებობს თანმხვედრი, მაგრამ არცთუ უდავო ცნობები შეიარაღებული „ექსპროპრიაციების" შესახებ: მეწარმეთათვის სიკვდილისა და საწარმოს გადაწვის მუქარით, ფულადი კონტრიბუციების

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაკისრება, ყალბი ასიგნაციების დამზადება და გასაღება. ძნელია იმის თქმა, მიეწერებოდა ეს მოქმედებები იმ შორეულ წლებში კობას სახელს თუ შემდეგ დაუკავშირდა მას. ყოველ შემთხვევაში, არ შეიძლებოდა ასეთი სარისკო ოპერაციების პირდაპირი მონაწილე ყოფილიყო, თორემ, უეჭველია, ეს მაშინვე გამჟღავნდებოდა. უფრო სარწმუნოა, რომ ის საბრძოლო ოპერაციებს ისევე ხელმძღვანელობდა, როგორც ცდილობდა ხელმძღვანელობის მოპოვებას პროფკავშირებზე — კულისებიდან. ყურადღების ღირსია, რომ ამ თვალსაზრისით, კობას ბაქოში ცხოვრების პერიოდზე ძალზე ცოტა რამ არის ცნობილი, ბრუნვაში შემოდის მეტად მწირი ეპიზოდები თუ ისინი რამენაირად „ბელადის" განდიდებას ემსახურებიან, მისი რევოლუციური მოღვაწეობის შინაარსზე მხოლოდ ზოგადი ფრაზებით მოგვითხრობენ. ამ მიჩქმალვას არ შეიძლება შემთხვევითი ხასიათი ჰქონდეს. „სოციალისტ-რევოლუციონერი" ვერეშაკი 1909 წელს ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა მოხვდა ბაქოს ე. წ. ბაილოვის ციხეში, სადაც სამნახევარი წელი გაატარა. 25 მარტს დაპატიმრებული კობა ამავე ციხეში ნახევარ წელიწადს იმყოფებოდა, იქიდან გადასახლებაში გაგზავნეს, სადაც 9 თვე დაჰყო, მერე გამოიქცა და არალეგალურად კვლავ ბაქოში დაბრუნდა. 1910 წლის მარტში ისევ დააპატიმრეს და 6 თვე ისევ ვერეშაკის გვერდით გაატარა. 1912 წელს ციხის ამხანაგები ციმბირში, ნარიმაში შეხვდნენ ერთმანეთს, და ბოლოს, თებერვლის რევოლუციის შემდეგ, ვერეშაკი როგორც თბილისის გარნიზონის დელეგატი, თავის ძველ ნაცნობს, პეტროგრადში, საბჭოების პირველ ყრილობაზე შეხვდა. სტალინის აღზევების კვალობაზე, ვერეშაკი ემიგრანტულ გაზეთებში თანდათან ჰყვებოდა ციხესა და გადასახლებაში სტალინთან ერთად ცხოვრების წლებზე. სავარაუდოა, რომ მის მონათხრობში ყველაფერი სანდო არ არის და არც მისი მსჯელობებია დამაჯერებელი. ასე, მაგალითად, ალბათ, სხვისი მონათხრობის მიხედვით, ვერეშაკი ამტკიცებს, თითქოს კობამ თავად აღიარა, რომ „რევოლუციური მიზნებისათვის გასცა თავისი სემინარიელი ამხანაგები. ეს მტკიცება სიმართლეს რომ არ შეეფერება, ამაზე ზემოთ იყო ლაპარაკი, მაგრამ ვერეშაკს ფასდაუდებელი შესაძლებლობა ჰქონდა დაჰკვირვებოდა კობას ისეთ გარემოსა და ვითარებაში, სადაც ძალაუნებურად უკუგდებულია კულტურული თანაცხოვრების ყველა ჩვეულება და პირობითობა. 400 პატიმარზე გათვალისწინებულ ბაქოს ციხეში იმ დროს 1500-ზე მეტი ტუსაღი იყო თავმოყრილი. პატიმრებს ეძინათ გადაჭედილ საკნებში, დერეფნებში, კიბის საფეხურებზე, ასეთ სივიწროვეში მათ იზოლირებაზე ლაპარაკიც არ შეიძლებოდა. ყველა კარი, გარდა კარცერისა, ყურთამდე ღია იყო, პოლიტიკური და სისხლის სამართლის დამნაშავენი თავისუფლად დადიოდნენ საკნებში, დერეფნებსა და ეზოში. „არც დაწოლა, არც დაჯდომა არ შეიძლებოდა, სხვას რომ არ წამოსდებოდი". ასეთ ვითარებაში ყველა ამჩნევდა ერთმანეთს, ხოლო ზოგი თავის თავში უცნობ თვისებასაც პოულობდა. ყველაზე გულცივი და თავშეკავებული ადამიანებიც კი საკუთარ ხასიათში ისეთ შტრიხებს ავლენდნენ, რომელთაც ჩვეულებრივ ცხოვრებაში ცხრაკლიტულში ჩამალავენ ხოლმე.

„კობა უკიდურესად ცალმხრივად იყო განვითარებული, — წერს ვერეშაკი. — მოკლებული იყო ზოგადსაგანმანათლებლო მომზადების საერთო პრინციპებს; თავისი ბუნებით ნაკლებად კულტურული და უხეში ადამიანი იყო. ყოველივე ეს მასში შერწყმოდა განსაკუთრებულ ეშმაკობას, რომლის მიღმა ყველაზე გამჭრიახი ადამიანიც კი ძნელად შეამჩნევდა სხვა დაფარულ თვისებებს". „საერთო პრინციპებში", ავტორი, როგორც ჩანს, გულისხმობს მორალს, თვით იგი ხალხოსნობისას „ეთიკური" სოციალიზმის სკოლას ეკუთვნოდა. ვერეშაკის გაოცებას იწვევდა კობას გამძლეობა. ციხეში არსებობდა „უსასტიკესი თამაში, რომლის მიზანი, რადაც უნდა დასჯდომოდათ, მოწინააღმდეგის გონებრივ სიჩლუნგემდე მიყვანა იყო. ამ თამაშს ეწოდებოდა „ბუშტში დამწყვდევა". „ვერასოდეს ვერ შეძლეს კობას წონასწორობიდან გამოყვანა, — ამტკიცებს ვერეშაკი. — მას არაფერი ეკარებოდა..." ეს თამაში, რასაკვირველია, უმწიკვლო იყო იმ თამაშთან შედარებით, რომელსაც ხელისუფლება ეწეოდა. პატიმართა შორის იყვნენ ადამიანები, რომელთაც სიკვდილი ჰქონდათ მისჯილი და წუთი წუთზე ელოდნენ აღსასრულს. „სმერტნიკები" სხვებთან ერთად ჭამდნენ და ეძინათ ტუსაღთა თვალწინ, ისინი ღამღამობით გაჰყავდათ და ციხის ეზოში სახრჩობელაზე ჰკიდებდნენ, ისე რომ „საკნებში ისმოდა დასჯილთა ყვირილი და ხროტინი". მთელ საპატიმროს ნერვიული ციებ-ცხელება უვლიდა. „კობას მაგრად ეძინა, — წერს ვერეშაკი. — ან მშვიდად იზუთხავდა ესპერანტოს (მას მიაჩნდა, რომ ესპერანტო ინტერნაციონალის მომავალი ენა იყო)". გადაჭარბებული იქნება იმის თქმა, რომ კობა გულგრილი იყო სიკვდილით დასჯას მიმართ, მაგრამ მას ჰქონდა მტკიცე ნერვები, არ განიცდიდა, რა ხდებოდა მის ირგვლივ, ისევე არ წუხდა სხვებზე, როგორც საკუთარ თავზე. ასეთი ნერვები, თავისთავად უკვე მნიშვნელოვან კაპიტალს წარმოადგენდა. ქაოსის მიუხედავად, დასჯით, პარტიული და პიროვნული შეჯახებებით, ბაქოს ციხე დიდი რევოლუციური სკოლა იყო. მარქსისტ ხელმძღვანელთა შორის გამოირჩეოდა კობა, პიროვნულ კამათებში ის მონაწილეობას არ ღებულობდა და უფრო საჯარო დისკუსიას ამჯობინებდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ თავისი განვითარებით ალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ემატებოდა ტუსაღთა უმეტესობას. „კობას გარეგნობისა და მისი პოლემიკური უხეშობის გამო, კამათში მისი მონაწილეობა ყოველთვის არასასიამოვნო იყო. კობას სიტყვას აკლდა მახვილგონივრულობა და მეტად მშრალად გამოიყურებოდა“. ვერეშაკი იგონებს ერთ „აგრარულ დისკუსიას“, როცა ორჯონიკიძე, კობას ძმაკაცი, სახეში სწვდა ესერ ილია ქარცივაძეს, რისთვისაც ესერებმა სასტიკად მიბეგვეს“. ეს გამოგონილი არ გახლავთ. მოწინააღმდეგეთა მიმართ ფიზიკური არგუმენტებით გატაცება ორჯონიკიძეს მაშინაც შემორჩა, როცა უკვე საბჭოთა დიდებულად იქცა. ლენინი წინადადებასაც კი აყენებდა ამის გამო მისი პარტიიდან გარიცხვის შესახებ.

ვერეშაკს აოცებს კობას „მექანიზებული მეხსიერება“, რომლის პატარა თავი, განუვითარებელი შუბლით, თითქოს მარქსის მთელ „კაპიტალს“ იტევდა. „მარქსიზმი მის სტიქიას წარმოადგენდა, ის აქ დაუმარცხებელი იყო. ყველა ვითარებაში შეეძლო მოეყვანა შესაბამისი ფორმულა მარქსის მიხედვით. პოლიტიკაში გაუთვითცნობიერებელ ახალგაზრდებზე ასეთი ადამიანი დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა“ ამგვარ „გაუთვითცნობიერებლებს“ ეკუთვნოდა თვით ვერეშაკიც. ახალგაზრდა ხალხოსანს, რომელიც აღზრდილი იყო ჭეშმარიტ რუსულ ბელეტრისტულ სოციოლოგიაზე, განსაკუთრებით სოლიდური ეჩვენებოდა კობას მარქსისტული „ბაგაჟი“. სინამდვილეში ის მეტად მოკრძალებული გახლდათ. კობას არ ჰქონდა ნამდვილი თეორიული მოთხოვნილებები, არც სიბეჯითე გააჩნდა, არც აზროვნების დისციპლინა. ალბათ, არც მის „მექანიზებულ მეხსიერებაზე“ შეიძლება ლაპარაკი. ის ვიწრო, ემპირიული, უტილიტარული, მაგრამ, მიუხედავად სემინარიული ვარჯიშისა, სრულიადაც არ არის მექანიზებული. ეს არის გლეხკაცის მეხსიერება, მოკლებული გაქანებასა და სინთეზს, თუმცა მტკიცეა და ჯიუტი, განსაკუთრებით გულღვარძლიანობაში. სრულიად დაუჯერებელია, თითქოს კობას თავი ცხოვრების ყველა შემთხვევაში გამოსადეგი ციტატებით იყო გამოტენილი. ნაკითხი და სქოლასტიკოსი კობა არ ყოფილა. მარქსიზმიდან მან პლეხანოვისა და ლენინის მეშვეობით აითვისა ყველაზე ელემენტარული დებულებები კლასთა ბრძოლის შესახებ. ამ ძალზე გაუბრალოებული იდეების გამოყენება წარმატებით შეეძლო ხალხოსნების წინააღმდეგ, როგორც რევოლვერიან კაცს შეუძლია წარმატებით ებრძოლოს ადამიანს, რომელსაც ბუმერანგი უჭირავს. მაგრამ მთლიანად მარქსისტული დოქტრინებისადმი კობა არსებითად გულგრილი რჩებოდა.

როგორც ვიცით ქუთაისისა და ბათუმის ციხეებში ყოფნისას კობა გერმანული ენის შესწავლას ცდილობდა: გერმანული სოციალ-დემოკრატიის გავლენა რუსეთში ძალზე დიდი იყო, მაგრამ კობასათვის მარქსის ენის დაუფლება კიდევ უფრო ძნელი გამოდგა, ვიდრე მისი დოქტრინებისა. ბაქოს ციხეში მან ხელი მიჰყო ესპერანტოს როგორც „მომავლის ენის“ შესწავლას. ეს შტრიხი თვალსაჩინოს ხდის კობას ინტელექტუალურ დიაპაზონს, რომელიც შემეცნების სფეროში ყოველთვის ეძებდა იმ ხაზს, სადაც ნაკლებ წინააღმდეგობას წააწყდებოდა. მიუხედავად ციხეებსა და გადასახლებებში გატარებული რვა წელიწადისა, მან მაინც ვერ ისწავლა ვერც ერთი უცხო ენა და ვერც ესპერანტოს დაეუფლა. საერთო წესის მიხედვით, პოლიტიკური პატიმრები ცდილობდნენ შორს მდგარიყვნენ სისხლის სამართლის დამნაშავეებისაგან. კობას, პირიქით, „ხშირად ნახავდით მკვლელების, შანტაჟისტების, მძარცველების, მაუზერისტების საზოგადოებაში“. ის მათში თავს თანასწორად გრძნობდა, და ყოველთვის მოსწონდა საქმის ხალხი, რომელთაც შეეძლოთ „შოვნა“ და „გაყოფა“. ძალზე კარგადაა შენიშნული და ყველაზე უკეთ სწორედ ეს სიტყვები აბათილებს ცნობას „მექანიკური მეხსიერებისა“ და გამზადებული ციტატების შესახებ. კობას უჭირდა მაღალი გონებრივი ინტერესებით გამორჩეულ ადამიანთა საზოგადოებაში ყოფნა. პოლიტბიუროში, ლენინის სიცოცხლეში ის თითქმის სულ გაჩუმებული, მოღუშული და გალიზიანებული იჯდა. პირიქით, გულგახსნილი და ადამიანური ხდებოდა უფრო პრიმიტიული წყობის თანამოსაუბრეთა წრეში, რომელნიც რაიმე ცრურწმენებით არ იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებულნი.

სამოქალაქო ომის დროს, როცა ზოგიერთი, უმეტესად საკავალერიო ნაწილები თავხედობდნენ და ძალადობდნენ, ლენინი ხშირად კითხულობდა: „ხომ არ გაგვეგზავნა იქ სტალინი, მან იცის ამგვარ ადამიანებთან ლაპარაკი“. კობა არ ყოფილა ციხის პროტესტებისა და დემონსტრაციების წამომწყები. ის ყოველთვის მხოლოდ მხარს უჭერდა მათ. რაც „ციხის საზოგადოებაში მას კარგ ამხანაგად აჩენდა“. ეს დაკვირვებაც სწორია. ინიციატორი კობა არსად და არასოდეს ყოფილა, მაგრამ ძალზე მოხერხებულად იყენებდა სხვების ინიციატივას. წინ უბიძგებდა ინიციატორებს, ხოლო თვითონ არჩევანის თავისუფლებას იტოვებდა. ეს არ ნიშნავს, რომ კობას სიმამაცე აკლდა. მაგრამ ამჯობინებდა მის მომჭირნეობით ხარჯვას. ციხის რეჟიმი თავაშვებულობისა და სისასტიკის ნაზავს წარმოადგენდა, ტუსაღები ციხის კედლებში საკმაოდ თავისუფლად ცხოვრობდნენ. მაგრამ როცა მათი ყოფა-ქცევა ზღვარს გადადიოდა. ადმინისტრაცია წესრიგის დასამყარებლად ძალას მიმართავდა. ვერეშაკი მოგვითხრობს თუ 1909 (ალბათ, 1908 წ.) წლის აღდგომა დღეს სალიანსკის პოლკის ჯარისკაცებმა როგორ სცემეს პატიმრებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათ შორის პოლიტიკურებსაც. პატიმრები მწკრივში გაატარეს. „კობა თავაწეული მოდიოდა, როცა კონდახებით სცემდნენ და ხელში წიგნი ეჭირა. დაიწყო სტიქიური ობსტრუქცია, კობამ პარაშით ჩაგმანა საკნის კარი, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლებოდა ხიშტზე წამოეგოთ“. ამ თავდაჭერილ ადამიანს, როგორც ჩანს, თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც შეეძლო უკიდურესი გააფთრება.

მოსკოველი „ისტორიკოსი“ იაროსლავსკი ასე გადათქვამს ვერეშაკის სიტყვებს: „სტალინი მოდიოდა მწკრივში და მარქსს კითხულობდა“. აქ მარქსის სახელი იმავე მიზნით არის მოტანილი, რა მიზნითაც სურათებზე ღვთისმშობელს უჭირავს ვარდი. კობა მარქსით ხელში — საბჭოთა მეცნიერების, პროზისა და პოეზიის საგნად იქცა. სხვათა შორის, ამგვარი საქციელი არ შეიცავდა რამე გაუგონარს, ციხეში ცემა-ტყეპა, ისევე როგორც გმირობები, ჩვეულებრივი ამბავი იყო.

პაიტნიცკი მოგვითხრობს, რომ ვილნოში მისი დაპატიმრების შემდეგ, 1902 წელს, პოლიციელმა წინადადება წამოაყენა — პატიმარი ჩვენებების მისაცემად მთავარ პრისტავთან გავგზავნოთო, რომელიც თურმე განსაკუთრებული სისასტიკით სცემდა ტუსაღებს. ამაზე უფროსმა პოლიციელმა უპასუხა: „სულ ერთია, იქაც არაფერს იტყვის, ეს ხომ ისკრის ორგანიზაციას ეკუთვნისო“. უკვე იმ შორეულ წლებში ლენინური სტილის რევოლუციონერებს ქედუხრელობის რეპუტაცია გააჩნდათ. კამოს მგრძნობელობის დაკარგვის სიმულაცია რომ დაედგინათ, ექიმები მას ფრჩხილებქვეშ ნემსებს უყრიდნენ და მხოლოდ იმის წყალობით, რომ კამომ გმირულად გადაიტანა ამგვარი წამება რამდენიმე წლის მანძილზე, ბოლოს და ბოლოს შეშლილად ცნეს. რა არის ამასთან შედარებით კონდახის რამდენიმე დარტყმა? არავითარი საფუძველი არა გვაქვს დავამციროთ კობას შეუპოვრობა, მაგრამ საჭიროა განვსაზღვროთ მისი ადგილი დროსა და ვითარებაში.

სატუსაღოს პირობების წყალობით, ვერეშაკმა იოლად მოუყარა თავი სტალინის სწორედ იმ თვისებებს, რომელთა შემწეობითაც იგი დიდხანს რჩებოდა შეუმჩნეველი. ეს იყო ძირითადად „თვისება, ჩუმ-ჩუმად წაექეზებინა სხვები, თვითონ კი გვერდზე დარჩენილიყო“. უნდა მოვიყვანოთ ორი მაგალითი: ერთხელ „პოლიტიკურთა“ დერეფანში სასტიკად სცემდნენ ქართველ ახალგაზრდას, ირგვლივ ისმოდა ავისმომასწავებელი ღრიალი: „პროვოკატორი!“ უწყალო გვემა მხოლოდ გამოძახებულმა ჯარისკაცებმა შეწყვიტეს. გასისხლიანებული ჭაბუკი საკაცით ციხის საავადმყოფოში გადაიყვანეს. მართლა პროვოკატორი იყო? მაშინ რატომ არ მოკლეს! „ჩვეულებრივ, პროვოკატორებს თუ ეს დაუმტკიცდებოდათ ბაილოვის ციხეში კლავდნენ“[1]. სხვათა შორის, აღნიშნავს ვერეშაკი: „ვერავის ვერაფერი გაეგო და მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ გაირკვა, — ხმა კობას მიერ იყო დაყრილი“. იყო თუ არა ის ახალგაზრდა პროვოკატორი, ამის დამტკიცება ვერ მოხერხდა. ეგება, ეს ერთი იმ მუშათაგანი იყო, ვინც ექსპროპრიაციის წინააღმდეგ გამოდიოდა ან კობას ადანაშაულებდა შაუმიანის დასმენაში? მეორე შემთხვევა: პოლიტიკურთა კორპუსისაკენ მიმავალ კიბეზე, პატიმარმა, მეტსახელად „გრეკმა“ დანით მოკლა ციხეში სულ ახლახან მოყვანილი ახალგაზრდა მუშა. თვითონ „გრეკი“ მას ჯაშუშად თვლიდა, თუმცა ადრე არ იცნობდა. ეს სისხლიანი შემთხვევა, რამაც შეძრა მთელი საპატიმრო, დიდხანს გამოურკვეველი დარჩა. ბოლოს და ბოლოს „გრეკის“ სიტყვებიდან გაირკვა, რომ იგი, როგორც ჩანს, განგებ წააკიდეს ახალგაზრდა მუშას. ეს წაქეზებაც კობასაგან მოდიოდა.

კავკასიელები მალე ბრაზდებიან და ხელი დანისკენ მიაქვთ. გულცივსა და ანგარიშიან კობას, რომელმაც იცოდა აქაური ენა და ჩვეულებები, იოლად შეეძლო მათი ერთმანეთზე გადაკიდება. ორივე შემთხვევაში საქმე ეხებოდა შურისძიებას. წამქეზებლისთვის საჭირო არ იყო მსხვერპლს სცოდნოდა, ვინ იყო მის უბედურებაში დამნაშავე. კობას არ სჩვეოდა თავისი გრძნობების გამხელა, იგი მალავდა იმ სიხარულსაც, რაც მისთვის შურისძიებას მოჰქონდა. ორივე ზემოხსენებული შემთხვევა უჩვეულო არა ჩანს. შემდეგი მოვლენები მათ შინაგან დამაჯერებლობას ანიჭებს. ბაილოვის ციხეში მიმდინარეობს მზადება მომავალი მოვლენებისათვის. კობა გამოცდილებას ღებულობს, კობა კაჟდება, კობა იზრდება და სახედაკენკილი ყოფილი სემინარიელის ულიმღამო ფიგურა თანდათან ავბედითი ჩრდილით იმოსება.

ვერეშაკი შემდეგ ყვება აშკარად ყურმოკრულ ამბებს კობას ბაქოში მუშაობის დროინდელ სარისკო საქმეებზე: ყალბი ფულის მჭრელებთან კავშირზე, სალაროების ძარცვაზე და სხვა. თანაც „ამისათვის ის არასოდეს გაუსამართლებიათ, მიუხედავად იმისა, რომ მასთან ისხდნენ ყალბი ფულის მჭრელები და ექსისტები“. რომელიმე მათგანს რაიმე რომ სცოდნოდა კობას საქმიანობაზე, აუცილებლად გასცემდა. უნარი, სხვისი ხელით უჩუმრად გაერტყა მიზანში, ამავე დროს დარჩენილიყო შეუმჩნეველი, კობას მოხერხებულ კომბინატორად წარმოაჩენს, რომელიც საქმეში ხელს არასოდეს ისვრიდა, თავიდან იცილებდა საჯარო ანგარიშსწორებას და პასუხისმგებლობას. ამიტომ ციხეებში კობას ცხოვრებიდან ჩვენ უფრო მეტი ვიცით, ვიდრე მისი თავისუფლად ყოფნის შესახებ. მაგრამ აქაც და იქაც ის საკუთარი თავის რწმენას არასოდეს კარგავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაროდნიკებთან დისკუსიასა და მძარცველებთან მუსაიფშიც არასოდეს ავიწყდებოდა რევოლუციური ორგანიზაციები. ბერია გვაუწყებს, რომ კობამ ციხიდან მოახერხა კავშირის დამყარება ბაქოს ორგანიზაციასთან. ეს მართლაც ადვილი შესაძლებელია: სადაც არ არის პოლიტიკური და სისხლის სამართლის დამნაშავეთა ერთმანეთისაგან იზოლაცია, იქ არ არის იზოლაცია გარესამყაროსთან. არალეგალური გაზეთის ერთი ნომერი მთლიანად ციხეში მომზადდა. რევოლუციის პულსი თუმცა შენელებულად, მაგრამ მაინც განაგრძობდა ფეთქვას. თუ საპატიმრომ ვერ განავითარა კობას თეორიული ინტერესები, სამაგიეროდ, ვერც მისი ბრძოლებისათვის მზადყოფნა გატეხა.

20 სექტემბერს კობა ვოლოგოდსკის გუბერნიის სოფელ სოლვიჩეგოდსკში გადაასახლეს. ეს იყო მეტად შეღავათიანი გადასახლება: სულ რაღაც ორი წლით, არა ციმბირში, არამედ ევროპულ რუსეთში, არა სოფელში, არამედ პატარა ქალაქში, სადაც ორიათასამდე მცხოვრები იყო და საიდანაც ძალზე იოლად შეიძლებოდა გაქცევა. ცხადია, ჟანდარმებს კობას მიმართ რამდენადმე სერიოზული სამხილი არა ჰქონდათ. ამ განაპირა მხარეში ცხოვრება საკმაოდ იაფი იყო და გადასახლებულს შეეძლო თავი გაეტანა იმ რამდენიმე მანეთით, რომელსაც ყოველთვიურად აძლევდა მთავრობა. ექსტრემალურ სიტუაციაში ღებულობდა აგრეთვე მეგობრებისა და რევოლუციური წითელი ჯვრის დახმარებას. როგორ გაატარა კობამ ცხრა თვე სოლვიჩეგოდსკში, რას აკეთებდა, რას სწავლობდა, ჩვენ არ ვიცით. ამის შესახებ არ გამოქვეყნებულა არავითარი დოკუმენტი, არც ლიტერატურული ნამუშევრები, არც დღიურები, არც წერილები. ადგილობრივი პოლიციის საქმეში „იოსებ ჯუღაშვილის შესახებ" გრაფაში „ყოფაქცევა" აღნიშნულია: „უხეში, თავხედი, უფროსებისადმი უპატივცემულო". თუ „უპატივცემულობა" საერთოდ ახასიათებდა რევოლუციონერებს, სამაგიეროდ უხეშობა კობას ინდივიდუალური ხასიათის თვისება იყო.

1909 წლის გაზაფხულზე უკვე პეტერბურგში მცხოვრებმა ალილუევმა გადასახლების ადგილიდან კობას წერილი მიიღო, რომელშიც ის სთხოვდა, ეცნობებინა თავისი მისამართი, ხოლო იმავე წლის „ზაფხულში სტალინი გაიქცა გადასახლებიდან და პიტერში ჩავიდა. სადაც ჩვენ მას შემთხვევით შევხვდით ერთ-ერთ ქუჩაზე ლიტეინის მხარეს". მოხდა ისე, რომ სტალინი ვერ შეხვდა ალილუევს ვერც ბინაზე, ვერც სამსახურში და იძულებული გახდა, თავშესაფრის გარეშე დარჩენილს ქუჩა-ქუჩა ეხეტიალა. „როდესაც ჩვენ მას შემთხვევით შევხვდით ქუჩაში, დაღლილობისაგან ფეხზე ძლივს იდგა". ალილუევმა კობა ერთ-ერთი გვარდიული პოლკის რევოლუციონერებისადმი თანამგრძნობ მეეზოვესთან დააბინავა. „აქ სტალინი რამდენიმე ხანს მშვიდად ისვენებდა, ხვდებოდა მესამე სათათბიროს ბოლშევიკური ფრაქციის ზოგიერთ წევრს, შემდეგ კი კვლავ სამხრეთისაკენ, ბაქოში გაემგზავრა".

კვლავ ბაქო! იქ მას, ალბათ, პატრიოტიზმი არ იზიდავდა. უფრო მართებულია ვარაუდი, რომ პეტერბურგში კობას არავინ იცნობდა, სათათბიროს დეპუტატებს ის არ აინტერესებდათ, არავინ თხოვდა, დარჩენილიყო და არც არალეგალურ მუშაობაში ეგზომ აუცილებელ თანადგომას სთავაზობდა. „დაბრუნდა რა ბაქოში, კვლავ ენერგიულად მოჰკიდა ხელი ბოლშევიკური ორგანიზაციების განმტკიცებას. 1909 წლის ოქტომბერში ჩამოდის თბილისში, სათავეში უდგება და წარმართავს ბოლშევიკების ბრძოლას მენშევიკ-ლიკვიდატორების წინააღმდეგ". მკითხველი, ალბათ, იცნობს ბერიას სტილს.

არალეგალურ პრესაში კობა აქვეყნებს რამდენიმე სტატიას, რომლებიც მხოლოდ იმდენად არის საინტერესო, რამდენადაც დაწერილია მომავალი სტალინის მიერ, რამდენადმე ხელჩასაჭიდი, ნათელი ფაქტების გარეშე. ამჟამად დიდ მნიშვნელობას აძლევენ კობას მიერ 1909 წელს პარტიის საზღვარგარეთული გაზეთისათვის დაწერილ სტატიას — „წერილი კავკასიიდან". უპირისპირებს რა აქტიურ სამრეწველო ცენტრს ბაქოს ჩინოვნიკების, მედუქნეებისა და ხელოსნების თბილისს, ავტორი სწორად ხსნის თბილისის სოციალურ სტრუქტურას და იქ მენშევიკთა ბატონობის მიზეზს. შემდგომ მოდის პოლემიკა სოციალ-დემოკრატთა უცვლელ ლიდერთან ნოე ჟორდანიასთან, რომელმაც კიდევ ერთხელ გამოაცხადა „ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის ძალთა გაერთიანების აუცილებლობის შესახებ". მუშებმა უნდა უკუაგდონ შეურიგებლობის პოზიცია, რადგან, რაც უფრო სუსტია ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის წინააღმდეგობა, მით უფრო სწრაფად გაიმარჯვებს ბურჟუაზიული რევოლუციაო. — ამტკიცებდა ჟორდანია. კობა მას უპირისპირებდა აბსოლუტურად საწინააღმდეგო დებულებას: „რევოლუციის გამარჯვება მით უფრო სრული იქნება, რაც უფრო მეტად დაეყრდნობა პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლას და თან გაიყოლიებს სოფლის ღარიბობას მემამულეებისა და ლიბერალური ბურჟუაზიის წინააღმდეგ". ყოველივე ეს არსებითად სწორი იყო, მაგრამ არავითარ სიახლეს არ შეიცავდა: 1905 წლის გაზაფხულიდან ამგვარი პოლემიკა, ვინ იცის, რამდენჯერ გაჩაღდა. თუ ლენინისათვის ამ კორესპონდენციაში რაიმე საინტერესო იყო, ალბათ, არა მისი აზრების მოწაფეური გადმოცემა, არამედ ცოცხალი სიტყვა რუსეთიდან, იმ მომენტში, როცა ამგვარი ხმები უკვე აღარ ისმოდა. ამის მიუხედავად, 1937 წელს „წერილი კავკასიიდან" გამოცხადებული იქნა „ლენინ-სტალინური ტაქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიკის კლასიკურ ნიმუშად“ „ჩვენს ლიტერატურაში და საერთოდ ჩვენს მოძრაობაში, — წერს ერთ-ერთი პანეგირისტი, — ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის შეფასებული განსაკუთრებული შინაარსითა და სიღრმით გამორჩეული ეს ისტორიული სტატია“. ჩვენც მეტი რაღა დაგვრჩენია, თუ არა ის, რომ უსიტყვოდ ავუაროთ გვერდი. „1910 წლის მარტ-აპრილში, ბოლოს და ბოლოს შესაძლებელი გახდა, — გვაუწყებს იგივე ისტორიკოსი (ვინმე რაბიჩევი) — ცკ-ის რუსული კოლეგიის შექმნა, რომლის შემადგენლობაში შევიდა სტალინი, თუმცა ამ კოლეგიამ ვერ მოასწრო მუშაობის გაშლა, ყველანი დააპატიმრეს“. თუ ეს მართალია, მაშინ 1910 წლიდან კობა ფორმალურად მაინც შესულა ცკ-ის შემადგენლობაში. რა უმნიშვნელოვანესი ეტაპია მის ბიოგრაფიაში! მაგრამ ეს ჭეშმარიტებას არ შეესაბამება. რაბიჩევზე თხუთმეტი წლით ადრე, ძველი ბოლშევიკი გერმანოვი (ფრუმკინი) მოგვითხრობდა: „ამ სტრიქონების ავტორთან თათბირზე, ნოგინთან ერთად გადაწყდა, რომ ცენტრალური კომიტეტისათვის შეგვეთავაზებინა რუსული ნაწილი შემდეგი შემადგენლობით: ნოგინი, დუბროვინსკი, მალინოვსკი, სტალინი და მილიუტინი“. მაშასადამე, საუბარი ყოფილა არა ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებაზე, არამედ ორი ბოლშევიკის პროექტზე. „სტალინს ჩვენ ორივენი პირადად ვიცნობდით, — განაგრძობს გერმანოვი. — როგორც ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ და საუკეთესო ბაქოელ მუშაკს. ნოგინი წავიდა ბაქოში მასთან მოსალაპარაკებლად, მაგრამ მთელ რიგ გარემოებათა გამო სტალინმა თავის თავზე ვერ აიღო ცენტრალური კომიტეტის წევრის მოვალეობანი“. მაინც რამ შეუშალა ხელი? ამაზე გერმანოვი არაფერს ამბობს. თვით ნოგინი ორი წლის შემდეგ წერდა ბაქოში თავისი მგზავრობის შესახებ: „სტალინი (კობა), ღრმა იატაკქვეშეთში იყო, რადგან იმდროისათვის, როგორც კავკასიაში ფართოდ ცნობილი რევოლუციონერი, იძულებული გახდა, ბალახანის სარეწაოებში დამალულიყო“. ნოგინის ნაამბობიდან ჩანს, რომ მან ვერც კი მოახერხა კობას ნახვა. იმ მიზეზთა მიჩქმალვიდან, რის გამოც სტალინი ვერ შევიდა ცენტრალური კომიტეტის რუსულ კოლეგიაში, შეიძლება გავაკეთოთ საინტერესო დასკვნა: 1910 წელი იყო რევოლუციური მოძრაობის განსაკუთრებული დაქვეითების და შემრიგებლური ტენდენციების გავრცელების წელი. იანვარში, პარიზში გაიმართა ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, სადაც „პრიმირენცებმა“ ძალზე არამყარი გამარჯვება მოიპოვეს. გადაწყდა ცენტრალური კომიტეტის აღდგენა რუსეთში, რომელშიც მონაწილეობას მიიღებდნენ ლიკვიდატორებიც. ნოგინი და გერმანოვი შეურიგებელ ბოლშევიკებს ეკუთვნოდნენ. „რუსული“, ანუ მოქმედი არალეგალური კოლეგიის შექმნა ნოგინს ევალებოდა. პარტიის რამდენიმე მთავარი მოღვაწის რუსეთში არყოფნის გამო, რამდენჯერმე სცადეს კოლეგიაში პროვინციელი მუშაკების შეყვანა. მათ შორის იყო კობა, რომელსაც ნოგინი და გერმანოვი იცნობდნენ როგორც „ერთ-ერთ საუკეთესო ბაქოელ მუშაკს“. ამ ჩანაფიქრიდან არაფერი გამოვიდა. გერმანული სტატიის კარგად ინფორმირებული ავტორი, რომელიც ზემოთ მოვიხსენიეთ, ამტკიცებს, რომ „თუმცა, თვით ოფიციალური ბოლშევიკი ბიოგრაფები ცდილობდნენ უარეყოთ ექსპროპრიაციებში კობას მონაწილეობა და მისი პარტიიდან გარიცხვა, თვით ბოლშევიკებს რცხვენოდათ შემდგომში, ასე თუ ისე, ხელმძღვანელ პოსტზე სტალინის დანიშვნა“. სავარაუდოა, რომ ნოგინის წარუმატებელი მისიის მთავარი მიზეზი იყო ცოტა ხნის წინ კობას მონაწილეობა „საბრძოლო მოქმედებაში“. პარიზის პლენუმმა გაკიცხა ექსპროპრიატორები, როგორც პიროვნებები, „რომელთაც მცდარად ესმოდათ პარტიის ინტერესები“. იბრძოდნენ რა ლეგალიზაციისათვის, მენშევიკები არავითარ შემთხვევაში არ დათანხმდებოდნენ ექსპროპრიაციების მეთაურებთან თანამშრომლობას. ნოგინი, როგორც ჩანს, ამას მიხვდა კავკასიელი მენშევიკების ხელმძღვანელებთან საუბარში.

არავითარი კოლეგია კობას მონაწილეობით არ შექმნილა. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ სტალინის ორი პროტეჟედან ერთ-ერთი — გერმანოვი, უკვალოდ გაქრა, რაც შეეხება ნოგინს, იგი ნაადრევმა სიკვდილმა (1924 წ.) იხსნა რიკოვის, ტომსკის, გერმანოვის და სხვა, მისი უახლოესი მეგობრების ხვედრისაგან.

უეჭველია, კობას მოღვაწეობა ბაქოში უფრო ნაყოფიერი იყო, ვიდრე თბილისში, მიუხედავად იმისა, ასრულებდა თუ არა პირველხარისხოვან როლს, მაგრამ ბაქოს ორგანიზაციის ბოლშევიკთა აულებელ ციხესიმაგრედ წარმოსახვა მითების სფეროს განეკუთვნება. 1911 წელს ამ მითს შემთხვევით თვით ლენინმა ჩაუყარა საფუძველი, მოიხსენია რა ბაქოს ორგანიზაცია კიევის ორგანიზაციასთან ერთად, როგორც მთელ რუსეთში მოწინავე და სანიმუშოდ—1910-1911 წლებში, ე. ი. პარტიის სრული დაცემის პერიოდში და ახალი აღმავლობის დასაწყისში. „ბაქოს ორგანიზაცია განუწყვეტლივ მუშაობდა რეაქციის უმძიმეს წლებში და მუშათა მოძრაობის ყოველგვარ გამოვლენებში უაქტიურეს მონაწილეობას ლებულობდა“. — ნათქვამია ლენინის თხზულებათა XV ტომის ერთ-ერთ დამატებაში. შემოწმებით მტკიცდება, რომ მცდარია ორივე ეს დასკვნა, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული კობას იმჟამინდელ საქმიანობასთან. სინამდვილეში ბაქომ, ქვეყნის სხვა სამრეწველო ცენტრების მსგავსად, აღმავლობის

შემდგომ განვლო დაღმავლობის ეტაპები, მართალია, ცოტა დაგვიანებით, სამაგიეროდ, უფრო მძიმე ფორმებში.

ჩვენთვის უკვე ნაცნობი სტოპანი წერს თავის მოგონებებში: „პარტიული და პროფკავშირული მუშაობა ბაქოში 1910 წელს მთლიანად ჩაკვდა“. პროფკავშირული ორგანიზაციების რაღაც ნარჩენები ჯერ კიდევ განაგრძობდნენ არსებობას და იქაც მთავარი როლი მენშევიკებს ეკუთვნოდათ. „ჩვენი ბოლშევიკური მუშაობა მალე თითქმის მთლიანად კვდება გამუდმებული ჩავარდნების წყალობითა და მუშაკთა უკმარისობის გამო“. 1911 წელს მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. ორჯონიკიძე, რომელიც ბაქოს 1911 წლის მარტში ეწვია, მაშინ, როცა მოქცევის ტალღები უკვე იგრძნობოდა მთელ ქვეყანაში, საზღვარგარეთ წერდა: „გუშინ მოვახერხე რამდენიმე მუშის შეკრება... ადგილობრივი ცენტრი, ე. ი. ორგანიზაცია, არ არსებობს, ამიტომ, იძულებული ვიყავი, მხოლოდ კერძო თათბირი ჩამეტარებინა“. ეს ორი ფაქტი სრულიად საკმარისია. გავიხსენოთ უკვე ზემოთ ციტირებული ოლომინსკის სიტყვები: „აღორძინება ყველაზე ნელა იმ ქალაქებში მიმდინარეობდა, სადაც ყველაზე მეტი იყო გატაცება ექსეებით (მაგალითისათვის ვასახელებ ბაქოს და სარატოვს)“ ლენინის შეცდომა ბაქოს ორგანიზაციის შეფასებაში, წარმოადგენს ჩვეულებრივი ემიგრანტული აბერაციის შემთხვევას, როდესაც მოვლენებს შორიდან ადევნებენ თვალს კერძო ცნობების საფუძველზე, რაშიც, ალბათ, თვით კობას ძალზე ოპტიმისტური ცნობებიც იგულისხმება. ყოველ შემთხვევაში, საერთო სურათი საკმაო სისრულით არის ასახული. კობა არ ღებულობდა აქტიურ მონაწილეობას პროფკავშირულ მოძრაობაში, რომელიც მაშინ ბრძოლის მთავარ ასპარეზს წარმოადგენდა (კარაიანი, სტოპანი), ის არ გამოდიოდა მუშათა კრებებზე (ვერეშაკი) და იჯდა „ღრმა იატაკქვეშეთში“ (ნოგინი), მან მთელი რიგი მიზეზების გამო „ვერ შეძლო ცენტრალური კომიტეტის რუსულ კოლეგიაში შესვლა“ (გერმანოვი). კობას მიეწერება ბაქოში „საბრძოლო მოქმედებების“ პირდაპირი ხელმძღვანელობა (ვერეშაკი, მარტოვი და სხვები). ამგვარი საქმიანობა, ბუნებრივია, მოითხოვდა მასებისაგან გაქცევას და „ღრმა იატაკქვეშეთში“ დამალვას. ნადავლი ფულადი სახსრები გარკვეულ პერიოდში ხელს უწყობდა არალეგალური ორგანიზაციის ხელოვნურ არსებობას, ამიტომაც უფრო ძლიერი იყო რეაქციის დარტყმა და უფრო გვიან დაიწყო აღმავლობა. ამ დასკვნას არა მარტო ბიოგრაფიული, არამედ თეორიული მნიშვნელობაც აქვს, რადგან გვეხმარება მასობრივი მოძრაობის ზოგიერთი საერთო კანონზომიერების ახსნაში. 1910 წლის 24 მარტს ჟანდარმთა როტმისტერი მარტინოვი იტყობინებოდა, რომ მათ მიერ „დაკავებულია იოსებ ჯუღაშვილი, მეტსახელად „კობა“, ბაქოს კომიტეტის წევრი და ყველაზე ცნობილი პარტიული მოღვაწე, რომელმაც ხელმძღვანელობა მოიპოვა“ (იმედს ვიტოვებ, რომ დოკუმენტი ბერიას ხელით არ არის შესწორებული). ამ დაპატიმრებასთან დაკავშირებით, მეორე ჟანდარმი მოახსენებდა უფროსობას: ვილებ რა მხედველობაში ჯუღაშვილის „დაუდგრომელ მონაწილეობას“ რევოლუციურ საქმიანობაში და მის „ორგზის გაქცევას“, ის, როტმისტერი გალიმბატოვსკი, თვლის, რომ „გამოყენებული უნდა იქნეს სასჯელის უმაღლესი ზომა“. არ უნდა ვიფიქროთ, რომ საქმე ეხება დახვრეტას, ადმინისტრაციის ენაზე „სასჯელის უმაღლესი ზომა“ ნიშნავდა 5 წლით ციმბირის შორეულ კუთხეში გადასახლებას. ამ დროს კობა კვლავ მისთვის კარგად ცნობილ ბაქოს ციხეში იჯდა. განვლილი წელიწადნახევრის მანძილზე ქვეყნის პოლიტიკურმა მდგომარეობამ და ციხის რეჟიმმაც ღრმა ცვლილებები განიცადა. იდგა 1910 წელი. რეაქცია ყველა მიმართულებით გამარჯვებას ზეიმობდა. არა მარტო მასობრივ მოძრაობას, არამედ ექსპროპრიაციებს, ტერორს და სხვა ინდივიდუალურ გამოხდომებს თითქმის ბოლო მოეღო. საპატიმროში სიწყნარე და სიმკაცრე იყო. კობას საკმარისზე მეტი დრო ჰქონდა ესპერანტოს შესასწავლად, თუ ამ დროისათვის უკვე გული არ აიყარა მომავლის ენაზე. 27 აგვისტოს კავკასიის მეფისნაცვლის განკარგულებით, ჯუღაშვილს 5 წლით აუკრძალეს კავკასიაში ცხოვრება, მაგრამ პეტერბურგში ყური არ ათხოვეს როტმისტრ გალიმბატოვის რჩევას, რომელსაც ამავე დროს არ შეეძლო რაიმე სერიოზული სამხილის წარდგენა. კობა ხელახლა გაგზავნეს ვოლოგოდსკის გუბერნიაში, ადრინდელი გადასახლების ორწლიანი ვადის მოსახდელად.

აშკარაა, პეტერბურგის ხელისუფლება ჯერ კიდევ სერიოზულად ვერ აფასებდა იოსებ ჯუღაშვილს.

## ახალი აღმავლობა

დაახლოებით ხუთ წელიწადს (1906-1911) ქვეყანას განაგებდა სტოლიპინი. მან ბოლომდე გახარჯა რეაქციის რესურსები. „მ ივნისის რეჟიმმა“ საკუთარი უსუსურობა გამოამჟღავნა ყველა უბანზე და, პირველ ყოვლისა, აგრარულ საკითხში. პოლიტიკური ხასიათის კომბინაციები რომ ამოწურა, სტოლიპინს კვლავ პოლიციელის ხელჯოხთან დაბრუნება მოუწია და თითქოს სპეციალურად იმის საჩვენებლად, რომ უფრო ნათლად წარმოჩენილიყო სისტემის გაბანკროტება, სტოლიპინის მკვლელი მისსავე საიდუმლო პოლიციაში მოინახა.

ამჯერად კობას 8 თვეზე მეტ ხანს მოუწია

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადასახლებაში ყოფნამ. თითქმის არაფერია ცნობილი სოლვიჩეგოდსკში მისი ცხოვრების შესახებ ან იმ გადასახლებულებზე, ვისთანაც კობას უხდებოდა ურთიერთობა; არ ვიცით, რა წიგნებს კითხულობდა ან რა პრობლემებით იყო დაინტერესებული. მისი ამ პერიოდის ორი წერილიდან ვგებულობთ მხოლოდ იმას, რომ ღებულობდა საზღვარგარეთულ გამოცემებს და შესაძლებლობა ჰქონდა, თვალი მიედევნებინა პარტიის ცხოვრებისათვის, უფრო სწორად, ემიგრაციისათვის, სადაც ფრაქციების ბრძოლა მეტად მწვავე ფაზაში შევიდა.

პლეხანოვმა თანამოაზრეთა მცირე ჯგუფთან ერთად კვლავ გაწყვიტა კავშირი უახლოეს მეგობრებთან და ლიკვიდატორთაგან არალეგალური პარტიის გზას დაადგა. ეს იყო რადიკალიზმის უკანასკნელი გამოვლინება ამ შესანიშნავ ადამიანში, რომლის მზეც მალე ჩაესვენება. ასე აღმოცენდა ლენინ-პლეხანოვის მოულოდნელი, პარადოქსული და ხანმოკლე ბლოკი. მეორე მხრივ, მიმდინარეობდა ლიკვიდატორთა (მარტოვი და სხვ.), „ვპერედოვიკების" (ბოგდანოვი, ლუნაჩარსკი), და შემრიგებელთა (ტროცკი) გაერთიანება. ყოველგვარ პრინციპულ საფუძვლებს მოკლებული მეორე ბლოკი, გარკვეული თვალსაზრისით, თვით მონაწილეთათვისაც მოულოდნელად ჩამოყალიბდა. შემრიგებლები კვლავ ცდილობდნენ „შეერიგებინათ" ბოლშევიკები და მენშევიკები, მაგრამ, რამდენადაც ბოლშევიზმი — ლენინის სახით — შეუბრალებლად იგერიებდა თვით აზრსაც კი ლიკვიდატორებთან რაიმე შეთანხმებაზე, ბუნებრივია, შემრიგებლები გადადიოდნენ მენშევიკებთან ან „ვპერედოვიკებთან" კავშირის ან ნახევარკავშირის პოზიციებზე. ამ ეპიზოდური ბლოკის შემაკავშირებელ დუღაბად, როგორც ლენინი წერდა გორკის, გვევლინება „ბოლშევიკური ცენტრისადმი სიძულვილი მისი შეურიგებელი იდეური ბრძოლის გამო". ორი ბლოკის საკითხი ცხარე კამათის საგნად იქცა პარტიის იმდროინდელ შეთხელებულ რიგებში.

1910 წლის 31 დეკემბერს სტალინი საზღვარგარეთ, პარიზში წერს: „ამხ. სიმონ! გუშინ ამხანაგებმა გადმომცეს თქვენი წერილი. უპირველეს ყოვლისა, მხურვალე სალამი ლენინს, კამენევს და სხვ." ეს შესავალი ნაწილი შემდგომში აღარასოდეს გადაბეჭდილა იმის გამო, რომ აქ მოხსენებულია კამენევის გვარი. შემდგომ იწყება პარტიაში არსებული მდგომარეობის შეფასება. „ჩემი აზრით, ერთადერთი ნორმალურია ბლოკის (ლენინი-პლეხანოვი) მიმართულება... ბლოკის გეგმაში ლენინის ხელწერა აშკარაა — იგი ჭკვიანი კაცია და იცის, სად გამოიზამთრებენ კიბორჩხალები, იცის როგორ უჩვენოს ხეირი ტროცკის, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ვარგისია ყველა სხვა ბლოკი. ტროცკის ბლოკი (ის იტყოდა — „სინთეზისი") — ეს არის აშმორებული უპრინციპობა... ბლოკი ლენინი-პლეხანოვი იმიტომაც არის სიცოცხლისუნარიანი, რომ იგი ღრმად პრინციპულია და პარტიის აღორძინების გზების ძიების საკითხში შეხედულებათა ერთიანობას ეფუძნება. მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ ეს ბლოკია და არა გაერთიანება, სწორედ ამიტომ ბოლშევიკებს ესაჭიროებათ საკუთარი ფრაქცია". ყველაფერი ეს სავსებით პასუხობდა ლენინის შეხედულებებს, არსებითად მისი სტატიების პერიფრაზს წარმოადგენდა და ერთგვარი პრინციპული თვითრეკომენდაცია გახლდათ. წერილის ავტორი ამის შემდეგ თითქოსდა სახვათაშორისოდ აცხადებს, რომ „მთავარია" არა იმდენად უცხოეთი, არამედ პრაქტიკული მუშაობა რუსეთში და იქვე ჩქარობს ახსნას, რომ პრაქტიკული მუშაობა ნიშნავს „პრინციპების გამოყენებას". თავისი პოზიცია სიტყვა პრინციპის განმეორებით რომ გაამაგრა, კობა უფრო ახლოს მივიდა საქმის არსთან. „ჩემი აზრით, — წერს იგი, — უახლოესი ამოცანა, რომელიც ვერ ითმენს გადადებას, არის ცენტრალური (რუსული) ჯგუფის ორგანიზება, რომელიც გააერთიანებს არალეგალურ, ლეგალურ და ნახევრად ლეგალურ მუშაობას... ასეთი ჯგუფი საჭიროა, როგორც ჰაერი, როგორც პური" ამ გეგმაში ახალი არაფერია. ლენინმა ლონდონის ყრილობის შემდეგ არაერთხელ სცადა, აღედგინა ცენტრალური კომიტეტის რუსული ბირთვი, მაგრამ მისი ყველა ცდა პარტიის გათიშულობის გამო წარუმატებლად დამთავრდა. კობა წინადადებას აყენებს, მოიწვიონ პარტიულ მუშაკთა კრება. „ადვილი შესაძლებელია, რომ სწორედ ეს შეკრება მოგვცემს ზემოთ აღნიშნული ცენტრალური ჯგუფისათვის გამოსადეგ ხალხს". თავისი მისწრაფება რომ გამოამჟღავნა სიმძიმის ცენტრის უცხოეთიდან რუსეთში გადმოტანის თაობაზე, კობა შეეცადა, გაენელებინა ლენინის შესაძლო სიფრთხილე: „მოქმედება მოგვიწევს განუხრელად და დაუნდობლად, არ უნდა შევუშინდეთ ლიკვიდატორთა, ტროცკისტთა და მოწინავეთა საყვედურებს". გაანგარიშებული გულახდილობით წერს სტალინი მის მიერ დაპროექტებული ცენტრალური ჯგუფის შესახებ: „დაარქვით, რაც გენებოთ: „ცკ-ის რუსული ნაწილი" ანდა „ცკ-სთან არსებული დამხმარე ჯგუფი", ეს სულერთია", ამ მოჩვენებითმა განურჩევლობამ უნდა დაფაროს კობას ამბიცია; „ახლა ჩემს შესახებ. კიდევ 6 თვე დამრჩა, გადასახლების ვადის გასვლის შემდეგ მთლიანად თქვენს სამსახურში ვარ. თუ ძალზე მწვავედ დგას თანამშრომელთა საკითხი, შემიძლია დაუყოვნებლივ მოვიხსნა". წერილის მიზანი ნათელია: კობა აყენებს საკუთარ კანდიდატურას: მას სურს, ბოლოს და ბოლოს, ცკ-ის წევრი გახდეს.

კობას ეს თავისთავად არცთუ მთლად გასა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიცხი ამბიცია მოულოდნელი შუქით განათდება მის მეორე წერილში, რომელიც მოსკოველი ბოლშევიკებისადმია გაგზავნილი.

„გწერთ კავკასიელი სოსო, — ასე იწყება წერილი, — ხომ გახსოვთ, 4-ში (1904 წ.) თბილისსა და ბაქოში. უპირველეს ყოვლისა, ჩემი გულითადი სალამი ოლღას, თქვენ, გერმანოვს. ყველა თქვენგანის შესახებ მე ი. მ. გოლუბევმა მიამბო, რომელთან ერთადაც ვატარებ გადასახლების დღეებს. გერმანოვი მიცნობს, როგორც კ...ბ...ს (ის მიხვდება)."

საინტერესოა, რომ ახლაც, 1911 წელს, კობა იძულებულია, პარტიის ძველ წევრებს შემთხვევითი და არაპირდაპირი საშუალებით შეახსენოს თავი: მას ჯერ კიდევ არ იცნობენ და, ადვილი შესაძლებელია, სულაც მიივიწყონ.

„ვამთავრებ (გადასახლებას) ამა წლის ივლისში, — განაგრძობს იგი. — ილიჩი და კობა დაბეჯითებით მეპატიჟებიან ორიდან ერთ-ერთ ცენტრში სამუშაოდ, ისე, რომ არ ხურთ, დაველოდო ვადის გასვლას. მინდოდა, ბოლომდე მომეხადა სასჯელი (ლეგალურს მეტი შესაძლებლობა აქვს...), მაგრამ თუ საჭიროება მოითხოვს (მათგან პასუხს ველოდები), მაშინ, რა თქმა უნდა, მოვიხსნები... აქ, ჩვენთან უსაქმურობისგან ყველაფერი იხუთება, პირდაპირ ვიგუდები..."

ელემენტარული სიფრთხილის თვალსაზრისით მეტისმეტად გვაოცებს წერილის ეს ნაწილი. გადასახლებული, ვისი ბარათიც არ არის დაზღვეული პოლიციის ხელში მოხვედრისგან, ყოველგვარი პრაქტიკული საჭიროების გარეშე ფოსტით ატყობინებს პარტიის ნაკლებად ცნობილ წევრებს ლენინთან კონსპირაციული მიმოწერის თაობაზე, აგრეთვე იმაზე, როგორ არწმუნებენ, გაიქცეს გადასახლებიდან და ბოლოს, იმაზეც კი, რომ საჭიროების შემთხვევაში, ის, „რასაკვირველია, მოიხსნება". როგორც ვნახავთ, წერილი მართლაც უანდერძებს ჩაუვარდათ ხელში, რომელთაც დიდი ჯაფა არ დასჭირდებოდა... [cont.]

გომიათ იმის გამოსაცნობად, ვინ იყო წერილის გამგზავნი ან მისგან მოხსენიებული ესა თუ ის პიროვნება. ასეთი დაუდევრობის ერთი ახსნა თავისთავად ჩნდება: მოუთმენელი პატივმოყვარეობა! „კავკასიელი სოსო", რომელიც, შესაძლოა, სათანადოდ არ დააფასეს 1904-ში, ვერ უძლებს ცდუნებას, რაც შეიძლება მალე აცნობოს მოსკოველ ამხანაგებს, რომ ის თვით ლენინმა შეიყვანა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაკთა რიცხვში. თუმცა აქ პატივმოყვარეობის მოტივი მეორეხარისხოვანია. საიდუმლოებით მოცული წერილის გასაღები მის მეორე ნაწილში დევს: „საზღვარგარეთულ „ქარიშხალზე ჭიქა წყალში", რასაკვირველია, გაგიგონიათ. ბლოკები, ერთი მხრივ ლენინი-პლეხანოვი და ტროცკი-მარტოვი-ბოგდანოვი, მეორე მხრივ: მუშების დამოკიდებულება პირველ ბლოკისადმი, რამდენადაც მე ვიცი, კეთილგანწყობილია, მაგრამ, საერთოდ, საზღვარგარეთული ცენტრისადმი მუშებს უპატივცემულო დამოკიდებულება უჩნდებათ. „დაე, გაცოფდნენ, კედლებზე გავიდნენ". ჩვენი აზრით კი, ვისთვისაც ძვირფასია მოძრაობის ინტერესები, — მიდი, იმუშავე, — დანარჩენი თვითონ მოწესრიგდება", ჩემი აზრით, ეს ყველაფერი უკეთესობისკენაა!"

სოცარი სტრიქონებია! ლენინის ბრძოლას ლიკვიდატორობისა და შემრიგებლობის წინააღმდეგ სტალინი მიიჩნევდა „ქარიშხლად ჭიქა წყალში", „საზღვარგარეთისადმი (ბოლშევიკური გენერალური შტაბის ჩათვლით) მუშებს აგდებული დამოკიდებულება უჩნდებათ" და სტალინიც მათთან ერთადაა! „ვისთვისაც ძვირფასია მოძრაობის ინტერესები — მიდი, იმუშავე — დანარჩენი თვითონ მოწესრიგდება", მოძრაობის ინტერესები თურმე დამოუკიდებელია თეორიული ბრძოლისაგან, რომელიც იმუშავებს მოძრაობის პროგრამას.

ძალზე ძნელი დასაჯერებელია, რომ ამ ორი დოკუმენტის შექმნას სულ 24 დღე დაჭირდა! წერილში, რომელიც ლენინისთვისაა განკუთვნილი, საზღვარგარეთულ ჯგუფებს რუსეთის პრაქტიკულ მუშაობაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებათ. თვით ეს მუშაობა მოკრძალებულად არის დახასიათებული, როგორც ემიგრაციაში შემუშავებული „პრინციპების გამოყენება", მეორე წერილში კი, რომელიც რუსი პრაქტიკოსებისათვის დაიწერა, ემიგრაციის ბრძოლა დაცინვის საგნადაა ქცეული. თუ პირველ წერილში ლენინი მოხსენიებულია, როგორც „ჭკვიანი კაცი", ვინც იცის, „როგორ უჩვენოს ხეირი" (ეს რუსული გამოთქმა, სხვათა შორის, სულაც არ შეესატყვისება იმას, რისი თქმაც სტალინს უნდოდა), „იცის სად ზამთრებენ კიბორჩხალები", მეორე წერილში იგი, უბრალოდ, გაცოფებულ მანიაკ-ემიგრანტადაა დახატული. „საგანთა ლოგიკა თავისი ბუნებით მკაცრად პრინციპულია", მაგრამ ამ ლოგიკისათვის ბრძოლა აღმოჩნდა „ქარიშხალი ჭიქა წყალში". თუ რუს მუშებს „საზღვარგარეთისადმი" და მათ შორის, ლენინის „პრინციპებისათვის" ბრძოლის მიმართაც „უპატივცემულო დამოკიდებულება უჩნდებათ", ეს „ჩემი აზრით, უკეთესია". სტალინი აშკარად ელაქუცება თეორიული განურჩევლობის მომხრეებს და ბეცი პრაქტიკოსების ყალბ რწმენას საკუთარი უპირატესობის შეგრძნების თაობაზე.

წელიწადნახევრის შემდეგ, როცა დაწყებული ზვირთცემის გავლენით ემიგრაციაში ბრძოლამ კიდევ უფრო მწვავე ხასიათი მიიღო, სენტიმენტალური ნახევრად ბოლშევიკი გორკი ლენინისადმი გაგზავნილ წერილში უჩიოდა საზღვარგარეთულ „კინკლაობას" — ქარიშხალს ჭიქა წყალში. „სოციალ-დემოკრატების კინკლაობის თაობაზე — ცივად პასუხობდა ლენინი, — ხმამაღლა გაიძახიან ბურჟუები, ლიბერალები, ესერები, რომლებიც მტკივნეულ საკითხებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

არასერიოზულად უდგებიან. ხვების კუდში მიჩანჩალებენ, ჭორაობენ, დიპლომატობენ, იოლად გადიან ეკლექტიზმით...“ „იმათ, ვინც ჩაწვდა „კინკლაობის“ იდეურ საფუძვლებს, — დაცინებით იმეორებს იგი მეორე წერილში, — ევალებათ, დაეხმარონ მასებს ამ ფესვების მოძებნაში და არა გაამართლონ მასა იმისათვის, რომ უთანხმოებას განიხილავს როგორც გენერლების პირად საქმეს“. „რუსეთში ახლა, — თავის მხრივ, არ ცხრება გორკიც, — მუშებს შორის ბევრი კარგი... ახალგაზრდაა, მაგრამ ეს ახალგაზრდობა გაავეთრებულია საზღვარგარეთის მიმართ“. ლენინი პასუხობს: „ეს, ფაქტობრივად, სწორია, მაგრამ სულაც არ არის „ლიდერთა“ დანაშაულის შედეგი... საჭიროა, გაწყვეტილის აღდგენა, ლიდერების ლანძღვა კი იაფფასიანი, მომგებიანი, მაგრამ ნაკლებ სასარგებლო საქმეა“. ისე გეჩვენება, თითქოს გორკისთან ამ თავშეკავებული შეპასუხებით ლენინი ბრაზმორეულად ეკამათება სტალინს.

ორი წერილის ყურადღებით შედარება, რომლებიც, ავტორის ჩანაფიქრით, არასოდეს არ უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს, ძალზე მნიშვნელოვანია სტალინის ბუნებისა და მისი ფანდების გამოსაცნობად. „პრინციპებისადმი“ მისი ნამდვილი დამოკიდებულება გაცილებით გულწრფელადაა გადმოცემული მეორე წერილში: „იმუშავე, დანარჩენი თვითონ მოწესრიგდება“. არსებითად, ასეთივე იყო ბევრი მარტივად მოაზროვნე შემთანხმებლის შეხედულება. „საზღვარგარეთის“ მიმართ ასეთ უხეშ გამოთქმებს სტალინი ირჩევს არა მარტო იმის გამო, რომ უხეშობა მისი დამახასიათებელი ნიშანია, არამედ უმთავრესად იმიტომ, რომ იმედი აქვს „პრაქტიკოსთა“, განსაკუთრებით გერმანოვის თანაგრძნობისა. მათი განწყობილება კი სტალინისათვის შესანიშნავადაა ცნობილი ცოტა ხნის წინ მოსკოვიდან გასახლებული გოლუბევის მეშვეობით. რუსეთში საქმეები ცუდად მიდიოდა, იატაკქვეშა ორგანიზაცია უმდაბლეს დონეს უახლოვდებოდა და პრაქტიკოსებს დიდი სურვილი ჰქონდათ, გულის ჯავრი ემიგრანტებზე ეყარათ, რომლებიც უბრალო რამეზე ატეხდნენ ხოლმე ხმაურს.

თუ გვსურს კარგად გავერკვეთ პრაქტიკულ მიზანში, რომელიც სტალინის ასეთი გაორების მიღმა იმალებოდა, უნდა გავიხსენოთ, რომ გერმანოვი — სწორედ მან წამოაყენა რამდენიმე თვის წინ ცკ-ში სტალინის კანდიდატურა, — მტკიცედ იყო დაკავშირებული სხვა შემთანხმებლებთან, რომლებიც გავლენით სარგებლობდნენ პარტიის ზედა ფენებში. კობა მიზანშეწონილად მიიჩნევს, დაუმტკიცოს ამ ჯგუფს თავისი სოლიდარობა, მაგრამ, ამასთან, ის ნათლად ხედავს ლენინის უზარმაზარ გავლენას და ამიტომ იწყებს „პრინციპებისადმი“ ერთგულების განცხადებით. პარიზში გაგზავნილ წერილში — ფეხქვეშ გაგება ლენინის შეურიგებლობისადმი, რომლისაც სტალინს ეშინოდა; მოსკოველებისადმი მიწერილ წერილში — შეგულიანება ლენინის წინააღმდეგ, რომელიც „გაცოფებული კედელზე გადის“. პირველი წერილი შემთანხმებლების წინააღმდეგ მიმართული ლენინის სტატიების დაურიდებელი გადამღერებაა, მეორე იმეორებს შემთანხმებლების არგუმენტებს ლენინის წინააღმდეგ და ეს ხდება სულ 24 დღეში!

მართალია, წერილი „ამხანაგ სემიონისადმი“ შეიცავს ერთ ფრთხილ ფრაზას: საზღვარგარეთი — „ეს არც ყველაფერია და, თქვენ წარმოიდგინეთ, არც მთავარი. მთავარია — რუსეთში მუშაობის ორგანიზაცია“. მეორე მხრივ, მოსკოველებთან გაგზავნილ წერილში გვხვდება თითქოს შემთხვევით ჩაგდებული შენიშვნა: მუშათა დამოკიდებულება ბლოკისადმი ლენინი-პლეხანოვი „რამდენადაც მე ვიცი, კეთილგანწყობილია“, მაგრამ ის, რაც ერთ წერილში მეორეხარისხოვან შესწორებად ჩანს, მეორე წერილში მკვეთრად საწინააღმდეგო აზრის განვითარების ამოსავალ პუნქტად იქცევა. შეუმჩნეველი შესწორებები, თითქმის reservations mentales. ერთგვარად მიზნად ისახავენ შეარბილონ ორ წერილს შორის არსებული წინააღმდეგობები, სინამდვილეში ისინი მხოლოდ ავტორის არც თუ სუფთა სინდისზე მიუთითებენ.

ინტრიგის ტექნიკა, პრიმიტიულობის მიუხედავად, საკმარისია დასახული მიზნის მისაღწევად, კობა წინასწარგანზრახულად არ წერს უშუალოდ ლენინს და არჩევს მიმართოს „სემიონს“. ეს საშუალებას აძლევს, ილაპარაკოს ლენინზე ფამილარული აღფრთოვანებით და, ამავე დროს, არ აიძულოს იგი, ჩაუღრმავდეს საკითხის არსს. კობას ნამდვილი ზრახვები, უნდა ვიფიქროთ, ლენინისთვის საიდუმლოდ არ დარჩენილა, მაგრამ იგი საქმეს უდგებოდა, როგორც პოლიტიკოსი. პროფესიონალ რევოლუციონერს, რომელმაც წარსულში მოასწრო ნებისყოფისა და სიმტკიცის გამომჟღავნება, სურს ამჯერად პარტიის აპარატამდე ამაღლდეს. ლენინმა ეს გაითვალისწინა. მეორე მხრივ, გერმანოვმაც დაიმახსოვრა, რომ კობას სახით შემთანხმებლებს კარგი მოკავშირე ეყოლებათ. ამგვარად, მიზანი, ყოველ შემთხვევაში, მოცემულ ეტაპზე მაინც, მიღწეულია. დანარჩენი მერე გამოჩნდება! კობას ბევრი მონაცემი აქვს, რათა ცკ-ის გამორჩენილ წევრად იქცეს. მისი ამბიცია სრულიად კანონიერია, მაგრამ გამაოგნებელია ის გზები, რითაც ახალგაზრდა რევოლუციონერი მიზნის მისაღწევად მიიწევს: გაორების, სიყალბისა და იდეური ცინიზმის გზები!

იატაკქვეშა მუშაობის პირობებში მაკომპრომეტირებელი წერილები ნადგურდება; საზღვარგარეთთან კავშირები იშვიათია; კობას არ ეშინია, რომ მისი ორი წერილი შეიძლება ერთმანეთს შეუდარონ. ეს შეუფასებელი ადამიანური

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოკუმენტები კი მომავალს შემოენახა, რაც მთლიანად მეფის საფოსტო სამსახურის პერლიუსტრატორთა დამსახურებაა. 1925 წლის 23 დეკემბერს, როცა ტოტალიტარული რეჟიმი ჯერ კიდევ ძალზე შორს იყო ახლანდელი ავტომატიზმისაგან, თბილისურმა გაზეთმა „ზარია ვოსტოკამ" გაუფრთხილებლობა გამოიჩინა და პოლიციის არქივებიდან ამოღებული მოსკოველთადმი გაგზავნილი კობას წერილი გამოაქვეყნა. ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, რა შავი დღე დაადგებოდა ბედკრულ რედაქციას! შემდგომში წერილი აღარასოდეს გამოქვეყნებულა და არც ერთ ოფიციალურ ბიოგრაფს არ დაუმოწმებია იგი.

მუშაკთა მძაფრი საჭიროების მიუხედავად, კობა „დაუყოვნებლივ არ მოხსნილა", ე. ი. არ გაქცეულა გადასახლებიდან და სასჯელის ვადა მთლიანად მოიხადა. გაზეთებს მოქონდათ ცნობები სტუდენტურ კრებებსა და დემონსტრაციებზე. ნევის პროსპექტზე 10 000 კაცი შეიკრიბა. სტუდენტებს შეუერთდნენ მუშებიც. „ხომ არ არის ეს გადატრიალების დასაწყისი?" კითხულობდა ლენინი სტატიაში გადასახლებიდან კობას წერილის მიღებამდე რამდენიმე კვირით ადრე. 1911 წლის პირველ თვეებში გამოცოცხლება უკვე უეჭველი ხდება. კობა, რომელიც მანამდე უკვე სამჯერ გაიქცა გადასახლებიდან, ამჯერად მშვიდად ელოდება სასჯელის ვადის გასვლას. ახალი, გაზაფხულის გამოცოცხლების პერიოდი მას როგორღაც გულგრილს ტოვებს. შეიძლება იფიქრო, რომ მას, 1905 წელს რომ იხსენებს, აშინებს ახალი აღმავლობა.

ყველა ბიოგრაფი, გამონაკლისის გარეშე, გვიყვება კობას ახალ გაქცევაზე. სინამდვილეში, გაქცევის საჭიროება არ იყო: გადასახლების ვადა მთავრდებოდა 1911 წლის ივლისში. მოსკოვის ოხრანკა გაკვრით მოიხსენიებს იოსებ ჯუღაშვილს და ახასიათებს როგორც „ადმინისტრაციული გადასახლების სასჯელმოხდილს ქალაქ სოლვიჩეგოდსკში". ამ დროისათვის საზღვარგარეთ შემდგარმა ცკ-ის ბოლშევიკური წევრების შეკრებამ პარტიული კონფერენციის მოსამზადებლად შექმნა სპეციალური კომისია, რომლის შემადგენლობაში, როგორც ჩანს, სხვა ოთხ წევრთან ერთად, უნდა შესულიყო კობაც. გადასახლების შემდეგ იგი მიემგზავრება თბილისსა და ბაქოში, რათა შეანჯღრიოს ადგილობრივი ბოლშევიკები და ჩართოს ისინი კონფერენციის მუშაობაში. კავკასიაში ჩამოყალიბებული ორგანიზაციები არ იყო და თითქმის ცარიელ ადგილზე უხდებოდათ მუშაობის დაწყება. თბილისელმა ბოლშევიკებმა მხარი დაუჭირეს კობას მოწოდებას რევოლუციური პარტიის შექმნის აუცილებლობის თაობაზე. „სამწუხაროდ, მოწინავე მუშებს მშობლიური სოციალ-დემოკრატიული პარტიის განმტკიცების სისხლხორცეულ საქმეში შეჯახება უწევთ არა მარტო პოლიტიკურ ხელისშემშლელებთან, პროვოკატორებსა და სხვა არამზადებთან, არამედ სხვა, ჩვენსავე რიგებში გაჩენილ ახალ წინააღმდეგობებთანაც: კერძოდ, ბურჟუაზიული ფსიქოლოგიის მქონე ადამიანებთან", საუბარია ლიკვიდატორებზე. მოჯოდება მთავრდება ჩვენი ავტორისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი მხატვრული სახით: „ქვეყანაზე ჩამოწოლილი შავი რეაქციის პირქუში, სისხლიანი ღრუბელი იფანტება. მას ცვლის სახალხო მრისხანებისა და აღშფოთების საავდრო ღრუბლები. ჩვენი ცხოვრების შავ ფონს ელვის ენები კვეთს და შორიდან უკვე მოჩანს ელვარება. ქარიშხალი ახლოვდება".

მოწოდება მიზნად ისახავდა, გაეხმაურებინა თბილისის ჯგუფის შექმნის ამბავი და ამით მოეპოვებინა არცთუ მრავალრიცხოვანი ადგილობრივი ბოლშევიკებისათვის მომავალ კონფერენციაში მონაწილეობის უფლება.

ვოლოგდის გუბერნია კობამ ლეგალურად დატოვა. ლეგალურადვე ჩამოვიდა თუ არა კავკასიიდან პეტერბურგში, გაურკვეველია: ყოფილ გადასახლებულებს გარკვეული დროის მანძილზე ქვეყნის ცენტრებში ცხოვრება ეკრძალებოდათ. მაგრამ, ნებით თუ უნებართვოდ, პროვინციალი, ბოლოს და ბოლოს, დედაქალაქის ტროტუარზე შემოაბიჯებს. პარტია ჯერ ისევ უმოქმედობიდან გამოსვლის პერიოდშია. უკეთესი ძალები საპატიმროებში, გადასახლებებსა და ემიგრაციაში არიან. სწორედ ამის გამო დაჭირდათ კობა პეტერბურგში. მაგრამ დედაქალაქის არენაზე მის პირველ გამოჩენას ეპიზოდური ხასიათი აქვს. გადასახლების დამთავრებასა და ახალ პატიმრობას შორის სულ ორი თვეა, რომლიდანაც 3-4 კვირა კავკასიაში მოგზაურობას უდნა შეეწირა. ჩვენთვის უცნობია, როგორ შეეგუა კობა ახალ პირობებს და როგორ შეუდგა ამ გარემოში მუშაობას.

ამ პერიოდის ერთადერთი ძეგლია კობას მიერ საზღვარგარეთ გაგზავნილი კორესპონდენცია, რომელშიც აღწერილია ვიბორგის რაიონის 48 სოციალ-დემოკრატის საიდუმლო შეკრება. გამოჩენილი ლიკვიდატორის მოხსენების არსი იმაში მდგომარეობდა, რომ „პარტიული აზრით საჭირო არ არის არავითარი ორგანიზაცია", რადგან ღია არენაზე მუშაობისას საკმარისია „საინიციატივო ჯგუფები", რომლებიც იზრუნებენ საჯარო გამოსვლებისა და ლეგალური შეკრებების მოწყობაზე, სახელმწიფოებრივი დაზღვევის, მუნიციპალური პოლიტიკისა და სხვა საკითხებთან დაკავშირებით. ცრუკონსტიტუციურ მონარქიასთან შეთანხმების ლიკვიდატორულმა გეგმამ, კორესპონდენციის თანახმად, მუშათა, მათ შორის, მენშევიკთა, წინააღმდეგობა გამოიწვია. დასასრულს ყველა შეკრებილმა, გარდა მომხსენებლისა, მხარი დაუჭირა არალეგალურ რევოლუციურ პარტიას. ლენინი და ზინოვიევი პეტერბურგიდან მიღე-

ბულ ამ წერილს სარედაქციო შენიშვნას ურთავენ: „ამხ. კ-ს კორესპონდენცია იმსახურებს ყველა უდიდეს ყურადღებას, ვისთვისაც ძვირფასია პარტია... ძნელია, წარმოიდგინო ჩვენი შემრიგებლებისა და შემთანხმებლების იდეებისა და შეხედულებების უკეთესი უარყოფა. გამონაკლისია ამხ. კ-ს მიერ აღწერილი შემთხვევა? არა, ეს გახლავთ ტიპიური შემთხვევა". მაგრამ „ასეთ ზუსტ შეტყობინებას, რისთვისაც უსაზღვროდ მადლიერნი უნდა ვიყოთ ამხ. კ-სი პარტია ღებულობს" ძალზე იშვიათად. ამ საგაზეთო ეპიზოდთან დაკავშირებით საბჭოთა ენციკლოპედია წერს: „სტალინის წერილები და სტატიები მეტყველებენ ბრძოლისა და მიმართულების იმ ურყევ ერთიანობაზე, რომელიც არსებობდა ლენინსა და მის გენიალურ თანამებრძოლს შორის".

ეს შეფასება რომ მიგველო, საჭირო გახდა, ზედიზედ რამდენჯერმე გამოცემულიყო ენციკლოპედია, გზადაგზა კი ამას მისი რედაქტორების გვარიანი რაოდენობა შეეწირა.

ალილუევი გვიამბობს, რომ სექტემბრის ერთ დღეს თავის სახლთან ჯაშუშები შენიშნა, შინ კი სტალინი და კიდევ ერთი ქართველი ბოლშევიკი დახვდნენ. ალილუევმა „კუდის" თაობაზე თავისი ეჭვები რომ გაუმხილა, სტალინმა არცთუ მთლად ზრდილობიანად უპასუხა: „ეშმაკმა უწყის, რა არის ეს! ამხანაგები შეშინებულ მეჩჩანებად და ობივატელებად იქცნენ!" მაგრამ ჯაშუშები რეალურად არსებობდნენ: 9 სექტემბერს კობა დააპატიმრეს და უკვე 22 დეკემბერს გადასახლების ადგილზე, ამჯერად საგუბერნიო ქალაქ ვოლოგდაში ჩავიდა. ე. ი. გაცილებით უკეთეს პირობებში, ვიდრე ადრე, შესაძლოა, რომ გადასახლება, უბრალოდ, საჭირო იყო პეტერბურგში უკანონოდ ჩასვლისათვის.

ბოლშევიკების საზღვარგარეთული ცენტრი კვლავ განაგრძობდა კონფერენციის მოსამზადებლად რუსეთში ემისრების მივლინებას. ადგილობრივ სოციალ-დემოკრატიულ ჯგუფებს შორის, კავშირი ძალზე ნელა მყარდებოდა და ხშირად წყდებოდა ბოლმე. პროვოკაცია მძვინვარებდა, დაპატიმრებებს გამანადგურებელი შედეგი მოჰქონდა. ეს კია, იმ თანაგრძნობამ, რომლითაც შეხვდნენ კონფერენციის იდეას მოწინავე მუშები, ოლმინსკის სიტყვით, უცებ წამოაჩინა, რომ „მუშები ურიგდებოდნენ ლიკვიდატორებს, მაგრამ შინაგანად ყოველთვის შორს იყვნენ მათგან", მიუხედავად უკიდურესად მძიმე პირობებისა, წარგზავნილებმა შეძლეს დაკავშირებოდნენ ადგილობრივი დაჯგუფებების მთელ წყებას, „თითქოს სუფთა ჰაერის ნაკადი შემოიჭრა", წერს იგივე ოლმინსკი.

კონფერენციას, რომელიც 1912 წლის 5 იანვარს შეიკრიბა პრაღაში, ორი ათეული იატაკქვეშა ორგანიზაციის 15 დელეგატი ესწრებოდა. თუმცა თვითონ ორგანიზაციები საკმაოდ სუსტი იყო, ადგილებიდან ჩამოსული დელეგატების მოხსენებებიდან იხატებოდა პარტიის მდგომარეობის საკმაოდ ნათელი სურათი: მცირერიცხოვანი ადგილობრივი ორგანიზაციები ძირითადად მხოლოდ ბოლშევიკებით იყო დაკომპლექტებული, მაგრამ დიდი იყო პროვოკატორთა რიცხვი, რომლებიც მაშინვე ყიდდნენ ორგანიზაციას, როგორც კი იგი თავის წამოწევას შეეცდებოდა ხოლმე. განსაკუთრებით სამწუხარო ჩანდა ვითარება კავკასიაში. „არავითარი ორგანიზაცია ქუთაისში არ არის, — მოახსენებდა ორჯონიკიძე საქართველოს ერთადერთი სამრეწველო პუნქტის თაობაზე, — არც ბათუმშია რაიმე ორგანიზაცია", თბილისშიც „იგივე მდგომარეობაა. უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში არც ერთი ფურცელი, არავითარი არალეგალური მუშაობა..." ადგილობრივი ჯგუფების ასეთი აშკარა სისუსტის მიუხედავად, კონფერენციაზე ოპტიმიზმის ახალმა სიომ დაქროლა. მასები ამოძრავდნენ, პარტიის აფრებს ზურგის ქარმა დაუბერა.

პრაღაში გამოტანილმა გადაწყვეტილებებმა კარგა ხნით განსაზღვრეს პარტიის მარშრუტი. კონფერენციამ პირველი რიგის აუცილებელ ამოცანად დასახა „არალეგალური სოციალ-დემოკრატიული წრეების შექმნა, რომლებიც გარემოცულნი იქნებიან ყოველგვარი ლეგალური მუშათა საზოგადოებების რაც შეიძლება მეტად გაწვრთნილი ბადით". მოუსავლიანობამ, რომელმაც 20 მილიონი გლეხის შიმშილობა გამოიწვია, კონფერენციის თანახმად, კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ „შეუძლებელია რუსეთის რამდენადმე ნორმალური ბურჟუაზიული განვითარება მისი პოლიტიკის მართვით... მებატონე-მემამულეთა კლასის მიერ". „პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების მოპოვების ამოცანა, გლეხობასთან კავშირში, კვლავ რჩება რუსეთში დემოკრატიული გადატრიალების უმთავრეს ამოცანად", კონფერენციამ ლიკვიდატორთა ფრაქცია გამოაცხადა პარტიის რიგებს გარეთ მდგომად და მოუწოდა ყველა სოციალ-დემოკრატს, მიუხედავად „მიმდინარეობისა და გადახრებისა", ეწარმოებინათ ბრძოლა ლიკვიდატორების წინააღმდეგ, არალეგალური პარტიის აღდგენის მიზნით, ამგვარად, ბოლომდე რომ მიიყვანა მენშევიკებთან განხეთქილება, პრაღის კონფერენციამ დასაბამი დაუდო საკუთარი ცენტრალური კომიტეტის მქონე ბოლშევიკური პარტიის დამოუკიდებელი არსებობის ერას.

პარტიის უახლესი „ისტორია", რომელიც 1938 წელს სტალინის რედაქციით გამოიცა, გვამცნობს: „ამ ცკ-ის შემადგენლობაში შევიდნენ ლენინი, სტალინი, ორჯონიკიძე, სვერდლოვი, გოლოშეკინი და სხვები. სტალინი და სვერდლოვი, რომლებიც იმ დროს გადასახლებაში იმყოფებოდნენ, დაუსწრებლად აირჩიეს". მაგრამ პარტიის დოკუმენტების ოფიციალურ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრებულში (1926 წ.) ვკითხულობთ: „კონფერენციამ აირჩია ახალი ცენტრალური კომიტეტი, რომელშიც შევიდნენ: ლენინი, ზინოვიევი, ორჯონიკიძე, სპანდარიანი, ვიქტორი (ორდინსკი), მალინოვსკი და გოლოშეკინი“. „ისტორია“ ცკ-ის შემადგენლობაში არ ასახელებს, ერთი მხრივ, ზინოვიევს, მეორე მხრივ პროვოკატორ მალინოვსკის, სამაგიეროდ, ჩაურთავს სტალინს, რომელიც ძველ სიაში არ გვხვდება. ამ ამოცანის ამოხსნა ნათელს ჰფენს, როგორც პარტიაში სტალინის მაშინდელ მდგომარეობას, ასევე ახლანდელი მოსკოვური ისტორიოგრაფიის მეთოდებს. სინამდვილეში, სტალინი კონფერენციაზე არ აურჩევიათ. ცკ-ში იგი კონფერენციის დამთავრების შემდეგ: ე. წ. კოოპტაციის გზით შეიყვანეს. ამის შესახებ ნათლად არის ნათქვამი ზემოთ უკვე ციტირებულ ოფიციალურ წყაროში: „...შემდეგ ცკ-ში კოოპტირებული იყვნენ ამხ. კობა (ჯუღაშვილი-სტალინი) და ვლადიმირი (ბელოსტოცკი, პუტილოვის ქარხნის ყოფილი მუშა)“. მოსკოვის ოხრანკის მასალების მიხედვითაც ჯუღაშვილი ცკ-ის შემადგენლობაში შეიყვანეს კონფერენციის დამთავრების შემდეგ, „ცეკისტებისადმი მინიჭებული კოოპტაციის საფუძველზე“. ასეთივე ინფორმაციას გვაწვდის აბსოლუტურად ყველა საბჭოთა ცნობარი 1929 წლის ბოლომდე, ვიდრე გამოქვეყნდებოდა სტალინის ინსტრუქცია, რომელმაც ისტორიულ მეცნიერებაში გადატრიალება მოახდინა. კონფერენციის საიუბილეო, 1937 წლის გამოცემაში უკვე ასეთ რამეს ვკითხულობთ: „სტალინმა ვერ შეძლო, მონაწილეობა მიეღო პრაღის კონფერენციის მუშაობაში, რადგან ამ დროს სოლვიჩეგოდსკში იყო გადასახლებული. ლენინი და პარტია ჯერ კიდევ იმ დროს კარგად იცნობდნენ სტალინს, როგორც გამოჩენილ ხელმძღვანელს... ამიტომ, ლენინის წინადადებით, კონფერენციის დელეგატებმა სტალინი დაუსწრებლად აირჩიეს ცკ-ის შემადგენლობაში“.

შეიძლება მეორეხარისხოვნადაც მოგვეჩვენოს საკითხი იმის თაობაზე, დაუსწრებლად აირჩიეს სტალინი კონფერენციაზე ცკ-ის წევრად თუ შემდგომში მოხდა მისი კოოპტაცია, მაგრამ სულაც არ არის ასე. სტალინს სურდა, მოხვედრილიყო ხელმძღვანელ ორგანოში. ლენინიც თვლიდა, რომ საჭიროა მისი შეყვანა ცკ-ში. შესაძლოა კანდიდატთა არჩევანი იმდენად შეზღუდული იყო, რომ მასში რამდენიმე მეორეხარისხოვანი ფიგურა აღმოჩნდა, კობა კი მაინც არ ამოურჩევიათ. როგორ? ლენინი არ გახლდათ პარტიის დიქტატორი. რევოლუციამდელი პარტია ვერც მოითმენდა დიქტატურას! დელეგატებთან წინასწარი მოლაპარაკების შემდგომ ლენინმა, როგორც ჩანს, უფრო ჰკვიანურად მიიჩნია, არ წამოეყენებინა კობას კანდიდატურა... „როცა 1912 წელს ლენინმა სტალინი ცკ-ის შემადგენლობაში შეიყვანა, — წერს დმიტრიევსკი, — ამას აღშფოთებით შეხვდნენ. აშკარა წინააღმდეგობა არავის გამოუმჟღავნებია, მაგრამ ერთმანეთთან გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას“. ყოფილი დიპლომატის ინფორმაცია, საერთო წესიდან გამომდინარე, დიდ ნდობას არ იმსახურებს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ინტერესს იწვევს, როგორც მოგონებებისა და ჭორების ბიუროკრატიული გამოძახილი. ლენინი, უეჭველია, სერიოზულ წინააღმდეგობას წააწყდა. რჩებოდა ერთი გამოსავალი: დალოდებოდა კონფერენციის დამთავრებას, ხოლო შემდეგ აპელაციით მიემართა ვიწრო ხელმძღვანელი წრისთვის, რომელიც ან ლენინის რეკომენდაციას ეყრდნობოდა ან და იზიარებდა კანდიდატის მისეულ შეფასებას. ასე მოახერხა სტალინმა ცკ-ში პირველად უკანა კარით შესვლა.

ასეთივე მეტამორფოზები განიცადა ცენტრალური კომიტეტის შიდა ორგანიზაციის თაობაზე მონათხრობმა. „ცკ-მა... ლენინის წინადადებით, რუსეთში პარტიული მუშაობის წარმართვის მიზნით ჩამოაყალიბა ცკ-ის ბიურო სტალინის ხელმძღვანელობით. რუსულ ბიუროში სტალინის გარდა შედიოდნენ სვერდლოვი, სპანდარიანი, ორჯონიკიძე, კალინინი“, ასე გვიამბობს ბერია, რომელიც წიგნის ამ თავზე მუშაობის ჟამს სტალინის საიდუმლო პოლიციის უფროსად აღმოჩნდა დანიშნული: მეცნიერული დამსახურებები აღიარების გარეშე არ დარჩენილა. ამაოდ დავუწყებთ ძებნას ამ ვერსიის დამამტკიცებელ საბუთს, რომელსაც იმეორებს ოფიციალური „ისტორიაც“; ეს კი უნდა აღინიშნოს, რომ პარტიული დაწესებულებების „მეთაურად“ არასოდეს არავინ არ ინიშნებოდა: არჩევის ასეთი მეთოდი საერთოდ არ არსებობდა. ძველი ოფიციალური ცნობარის თანახმად, ცკ-მა აირჩია „ბიურო შემდეგი შემადგენლობით: ორჯონიკიძე, სპანდარიანი, სტალინი და გოლოშეკინი“. იგივე სიაა მოცემული ლენინის „თხზულებათა“ შენიშვნებში. მოსკოვის ოხრანკის ქაღალდებში ცკ-ის რუსული ბიუროს წევრებად დასახელებულია პირველი სამის მეტსახელი: „ტიმოთე, სერგო, კობა“; ინტერესმოკლებული არ არის, რომ ყველა ძველ სიაში სტალინს უცვლელად უკავია ბოლო ან ბოლოსწინა ადგილი, რაც, რასაკვირველია, არ მოხდებოდა, ის რომ „მეთაური“ ყოფილიყო. გოლოშეკინი, ერთ-ერთი ბოლო წმენდის დროს აპარატიდან გაძევებული, 1912 წელს დაითხოვეს ბიუროდან. მისი ადგილი დაიკავა ილბლიანმა კალინინმა. ისტორია ერთობ დამყოლი თიხაა მექრთნის ხელში.

24 თებერვალს ორჯონიკიძე ლენინს აცნობებს, რომ ვოლოგდაში ინახულა ივანოვიჩი (სტალინი): „საბოლოოდ მოვილაპარაკეთ. იგი კმაყოფილი დარჩა საქმის დასასრულით“. ლაპარაკია პრაღის კონფერენციის გადაწყვეტილებაზე. კობამ შეიტყო, რომ იგი, ბოლოს და ბოლოს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოოპტირებულია ეს-ესაა ჩამოყალიბებულ „ცენტრში“. უკვე 28 თებერვალს იგი თავისი ახალი წოდებით — ცენტრალური კომიტეტის წევრი — გარბის გადასახლებიდან და ბაქოში ხანმოკლე ვიზიტის შემდეგ ჩადის პეტერბურგში, 2 თვის წინ იგი 32 წლისა გახდა.

●

კობას პროვინციულიდან საერთო სახელმწიფოებრივ არენაზე გასვლის პერიოდი ემთხვევა მუშათა მოძრაობის ახალ აღმავლობას და მუშური ბეჭდვითი სიტყვის შედარებით ფართოდ განვითარებას. იატაკქვეშა ძალების დაწოლით მეფის ხელისუფლებამ წინანდელი თვითდაჯერებულობა დაკარგა. ცენზორის ხელით დასუსტდა. გაფართოვდა ლეგალური შესაძლებლობები. ჯერ ყოველკვირეული, შემდეგ კი ყოველდღიური გაზეთის დაარსებით ბოლშევიზმი ღია არენაზე გამოვიდა. უცბად გაიზარდა მუშებზე ზემოქმედების შესაძლებლობები. პარტია კვლავ იატაკქვეშეთში რჩებოდა, მაგრამ მისი გაზეთების რედაქციები რევოლუციის ლეგალურ შტაბად იქცა. პეტერბურგის „პრავდას“ სახელი განუყრელია მუშათა მოძრაობის მთელი პერიოდისგან, როცა ბოლშევიკებს „პრავდისტებს“ უწოდებდნენ. გაზეთი ორწელიწადნახევარს არსებობდა. მთავრობამ 8-ჯერ დახურა იგი, მაგრამ გაზეთი კვლავ ევლინებოდა ქვეყანას რაიმე მსგავსი სახელწოდებით. ყველაზე მძაფრ საკითხებზე მსჯელობისას „პრავდას“ ხშირად უწევდა შემოფარგლულიყო ნახევარფრაზებით ან მინიშნებებით, მაგრამ იატაკქვეშელი აგიტატორები და მოწოდებები ავსებდნენ იმას, რის აშკარად თქმასაც ვერ ახერხებდა გაზეთი. ამასთან, მოწინავე მუშებმა ისწავლეს სტრიქონებს შორის ჩამალული აზრის ამოკითხვა. დასავლეთევროპული ან ამერიკული მასშტაბების გათვალისწინებით მისი 40000 ტირაჟი შეიძლება ძალზე მოკრძალებულად მოგვეჩვენოს, მაგრამ მეფის რუსეთის დაძაბული პოლიტიკური აკუსტიკის პირობებში ბოლშევიკური გაზეთი უშუალო ხელისმომწერებისა და მკითხველების საშუალებით გამოხმაურებას პოულობდა ასობით ათას ადამიანში. ამგვარად, გაზეთ „პრავდის“ ირგვლივ რეაქციის წლებში გადარჩენილ ვეტერანთა ხელმძღვანელობით ერთიანდებოდა ახალგაზრდა რევოლუციონერთა თაობა. „1912 წლის „პრავდა“ — ეს არის ფუნდამენტის გამზადება 1917 წელს ბოლშევიზმის გამარჯვებისათვის“, — წერდა მოგვიანებით სტალინი და მიანიშნებდა ამ მუშაობაში მის მიერ შეტანილ წვლილზე.

ლენინი, რომელსაც ჯერ არ გაუგია, რომ სტალინი გადასახლებიდან გაიქცა, 15 მარტს ჩიოდა: „ივანოვიჩისგან არაფერი ისმის. რას შვრება, სად არის? როგორ არის?.. ხალხი ცოტაა. დედაქალაქშიც კი არა გვყავს შესაფერისი კადრები“. ამავე წერილში ლენინი აღნიშნავს, რომ პეტერბურგში „ჭოჭოხეთურად“ საჭიროა ლეგალური ადამიანი, „რადგან იქ საქმეები ცუდადაა. ბრძოლა მძვინვარეა და რთული. ჩვენ არ გვაქვს არც ინფორმაცია, არც ხელმძღვანელობა, არც გაზეთზე ზედამხედველობა“. „მძვინვარე და რთული ბრძოლა“ ლენინს გამართული ჰქონდა „ზვეზდას“ რედაქციასთან, რომელსაც არ სურდა შებრძოლებოდა ლიკვიდატორებს. „ჟივოე დელოს“ (ლიკვიდატორთა ჟურნალს) ცოცხლად ებრძოლეთ — მაშინ გამარჯვება განაღდებულია. სხვაგვარად უბედურებაა! არ შეუშინდეთ პოლემიკას...“ კვლავ დაჟინებით მოითხოვდა ლენინი 1912 წლის მარტში. ასეთია ყველა მისი იმდროინდელი წერილის ლაიტმოტივი.

„რას შვრება? როგორ არის? სად არის?“ — ეს შეკითხვები ლენინთან ერთად ჩვენც შეგვიძლია გავიმეოროთ. სტალინის, როგორც ყოველთვის, კულისებს მიღმა როლის განსაზღვრა ძნელია: საჭიროა ფაქტებისა და დოკუმენტების გულდასმითი ანალიზი. მისი, როგორც ცკ-ის კომიტეტის წევრის, ე. ი. პარტიის ერთ-ერთი ოფიციალური ხელმძღვანელთაგანის უფლებამოსილება, რასაკვირველია, ლეგალურ ბეჭდვით ორგანოებზეც ვრცელდებოდა, მაგრამ ეს გარემოება სრულებით მივიწყებული იყო „ისტორიკოსთა“ ინსტრუქციამდე. კოლექტიურ მეხსიერებას საკუთარი კანონები აქვს, ისინი კი ყოველთვის როდი ემთხვევა პარტიის წესდებას. „ზვეზდა“ 1910 წლის დეკემბერში დაარსდა. როცა ის-ის იყო იწყებოდა მოძრაობის გამოცოცხლება, „გამოცემის მომზადებასა და სარედაქციო მუშაობაში საზღვარგარეთიდან ყველაზე აქტიურად მონაწილეობდნენ, — იუწყება ოფიციალური ცნობა, — ლენინი, ზინოვიევი და კამენევი“. რუსეთში მყოფი თანამშრომლებიდან ლენინის „თხზულებათა“ რედაქცია 11 კაცს ასახელებს, მაგრამ ავიწყდება მათ შორის სტალინის მოხსენიება.

რამდენადმე გამონაკლისს შეადგენს „ზვეზდას“ და „პრავდას“ თანამშრომლის, ოლმინსკის მნიშვნელოვანი მოგონებები, რომელიც სტალინის როლს შემდეგი სიტყვებით ახასიათებს: „გადასახლებიდან გამოქცეული... სტალინი და სვერდლოვი პეტერბურგში სხვადასხვა დროს ჩამოვიდნენ. პეტერბურგში დიდხანს ყოფნა (მორიგ დაპატიმრებამდე) არც ერთს არ დასცალდა, მაგრამ მათ მოასწრეს არსებითი კვალი დაეჩნიათ გაზეთის, ფრაქციის და სხვ. მუშაობაზე“. ეს მშრალი მინიშნება, რომელიც, სხვათა შორის, ძირითადი ტექსტის შინაარსში კი არ შედის, არამედ შენიშვნებშია შეტანილი, მდგომარეობას ყველაზე დამაჯერებლად ახასიათებს. სტალინი პეტერბურგში ხანმოკლე ვადით ჩნდებოდა, ზემოქმედებას ახდენდა ორგანიზაციაზე, სათათბიროს ფრაქციაზე, გაზეთზე და ისევ ქრებოდა. მისი გამოჩენა ძალზე ეპიზო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დური იყო. გავლენა — ძალზე აპარატული, მისი იდეები და სტატიები — ძალზე ორდინალური იმისათვის, რომ მეხსიერებაში აღბეჭდილიყვნენ. როცა ადამიანები იძულების გარეშე წერენ მემუარებს, ისინი ჩინოვნიკების ოფიციალურ ფუნქციებს კი არ იხსენებენ, არამედ ცოცხალი ადამიანების მნიშვნელოვან მოქმედებას, აშკარა ფაქტებს, გამოკვეთილ ფორმულებს, ორიგინალურ წინადადებებს. არაფერი მსგავსით სტალინს თავი არ გამოუჩენია. გასაკვირი არ არის, რომ არავის ამახსოვრდებოდა უფერული ასლი კაშკაშა ორიგინალის გვერდით. თუმცა ისიც მართალია, რომ სტალინი მარტო ლენინის აზრების გადმოღებით არ იფარგლებოდა. შემთანხმებლებთან დაკავშირებული სტალინი ერთდროულად კვლავ ორ ხაზს ავითარებდა. ეს მიმართულებები ჩვენთვის უკვე ცნობილია სოლვიჩეგოდსკიდან გამოგზავნილი წერილების წყალობით: ლენინთან გაგზავნილი წერილი ლიკვიდატორთა წინააღმდეგ, შემრიგებლებთან — ლენინის წინააღმდეგ. პირველი ხაზი აშკარა ხასიათის იყო, მეორე — შენიღბული. მაგრამ ის ბრძოლა, რომელსაც სტალინი ეწეოდა საზღვარგარეთის ცენტრის წინააღმდეგ, არ იწვევდა მემუარისტების შთაგონებას მეორე მიზეზის გამოც: ყველა მათგანი აქტიურად ან პასიურად თვითონაც მონაწილეობდა შემთანხმებლებთან „შეთქმულებაში" ლენინის წინააღმდეგ და ამიტომაც ირჩიეს, ზურგი შეექციათ პარტიული წარსულის ამ ფურცლებისათვის. მხოლოდ 1929 წ. სტალინის, როგორც ცკ-ის მეთაურის, ოფიციალური მდგომარეობა საფუძვლიანად დაედო იმ ისტორიული პერიოდის ახალ შეფასებას, რომელიც წინ უძღოდა ომს.

სტალინს არ შეეძლო საკუთარი ხელი დაეტყო გაზეთისთვის, თუნდაც იმიტომ, რომ იგი ბუნებით ჟურნალისტი არ ყოფილა. 1912 წლის აპრილიდან 1913 წლის თებერვლამდე, მისი ერთ-ერთი ახლო თანამშრომლის გამოანგარიშებით, სტალინმა ბოლშევიკურ ბეჭდვით ორგანოებში გამოაქვეყნა „არანაკლებ ორი ათეული სტატიისა", რაც საშუალოდ თვეში 2 სტატიას შეადგენს. და ეს ხდება იმ გაცხარებულ ეპოქაში, როცა ცხოვრება ყოველდღიურად ახალ საკითხებს აყენებდა! თუმცა ისიც მართალია, რომ სტალინმა ამ წელს 6 თვე გადასახლებაში გაატარა, მაგრამ „პრავდაში" თანამშრომლობა გაცილებით ადვილი იყო სოლვიჩეგოდსკიდან ან ვოლოგდიდან, ვიდრე კრაკოვიდან, საიდანაც ლენინი და ზინოვიევი ყოველდღე აგზავნიდნენ წერილებს და სტატიებს. მისი ბუნებითი სიდინჯე და განსაკუთრებული სიფრთხილის გრძნობა, ლიტერატურული საზრიანობის უქონლობა და, ბოლოს, განსაკუთრებული აღმოსავლური სიზარმაცე სტალინის კალამს ნაკლებპროდუქტიულს ხდიდნენ. მისი სტატიები, რომლებიც გაცილებით უფრო დაჭერებულია, ვიდრე პირველი რევოლუციის პერიოდში შექმნილი ნაწერები, ძველებურად ატარებენ საშუალოობის წარუშლელ კვალს.

„მუშათა ეკონომიკურ გამოსვლებთან ერთად ეწყობა — წერს იგი 15 აპრილის „ზვეზდაში", — მათი პოლიტიკური გამოსვლები: ხელფასის მომატებასთან დაკავშირებული გაფიცვების კვალდაკვალ — პროტესტები, მიტინგები, პოლიტიკური გაფიცვები ლენის დახვრეტების თაობაზე... ეჭვი არ არის, რომ გამათავისუფლებელი მოძრაობის მიწისქვეშა ძალები ამუშავდნენ. სალამი თქვენ, პირველო მერცხლებო!" „მერცხლის" სახე, როგორც „მიწისქვეშა ძალების" სიმბოლოსი, საერთოდ, ტიპიურია ჩვენი ავტორისათვის. მაგრამ ის, რისი თქმაც უნდა, მაინც ნათელია: ე. წ. „ლენის დღეებიდან" „დასკვნები" რომ გამოაქვს, სტალინი, როგორც ყოველთვის, სქემატურად, ცოცხალი ფერების გარეშე აანალიზებს მთავრობისა და პოლიტიკური პარტიების მოქმედებებს, ააშკარავებს მუშათა დახვრეტით გამოწვეულ ბურჟუაზიის „ნიანგის ცრემლებს" და ამთავრებს გაფრთხილებით: „ახლა, როცა აღმავლობის პირველი ტალღა გადავლილია, ბნელი ძალები, ნიანგის ცრემლების შირმას რომ ეფარებოდნენ, კვლავ იწყებენ გამოჩენას". მიუხედავად ასეთი მხატვრული სახის: „ნიანგის ცრემლების შირმა" — მოულოდნელობისა, რომელიც განსაკუთრებით უჩვეულო ჩანს ტექსტის უფერულ ფონზე, სტატიამ შეძლო ეთქვა ის, რისი თქმაც უნდოდა და რასაც ათობით სხვა იტყოდა. მაგრამ სწორედ გადმოცემის „მიახლოებითობა" — არა მარტო სტილისა, არამედ თვითონ ანალიზისაც — სტალინის ლიტერატურული ნალვაწის კითხვას ისევე აუტანელს ხდის, როგორი მძიმე მოსასმენიცაა მგრძნობიარე მსმენელისათვის ყალბი მუსიკა.

„სწორედ დღეს, პირველ მაისს, — წერს იგი არალეგალურ მოწოდებაში, — როცა ბუნება ზამთრის ძილისაგან გამოღვიძებას იწყებს, ტყეები და მთები მწვანით იფარება, მინდვრები და მდელოები ყვავილებით ირთვება, მზე უფრო აცხუნებს, ჰაერში განახლების სიხარული იგრძნობა, ბუნება კი ცეკვასა და მხიარულებას ეძლევა, — მათ გადაწყვიტეს, სწორედ დღეს განუცხადონ მსოფლიოს, რომ მუშებს კაცობრიობისათვის მოაქვთ გაზაფხული და კაპიტალიზმის ბორკილებისაგან განთავისუფლება... სულ უფრო ფართოვდება მუშათა მოძრაობის ოკეანე... მაღალი ტალღებით იქოჩრება პროლეტარული მრისხანების ზღვა... და გამარჯვებაში დარწმუნებულნი, მშვიდნი და ძლიერნი, ისინი ამაყად მიაბიჯებენ აღთქმული მიწისკენ, სოციალიზმის ნათელ გზაზე..." პეტერბურგის რევოლუცია აქ თბილისური ჰომილეტიკის ლექსიკით მეტყველებს.

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჯუმბერ ქორჩილავა

# აკაკი და ქართული სამედიცინო სამყარო

ამ წერილში გვინდა მკითხველის ყურადღება გავამახვილოთ აკაკის შემოქმედებაში: ხალხური მედიცინის, ქართული სამედიცინო ეთნოხისა და სამედიცინო ფოლკლორის, თუ ქართული მედიცინის ისტორიის შინაარსის ამსახველ საკითხებზე.

პოეტის რამდენიმე ლექსი („მღვდელი და ექიმი" 1890 წ. „ხოლერა" 1892 წ. „მედია" 1897 წ. „პატარა ცემი" 1904 წ.) სამედიცინო თემას უკავშირდება ამათგან „მღვდელი და ექიმი" განხილული აქვს პროფ. მ. შენგელიას და ჩვენ მას აღარ შევეხებით. „ხოლერა" 1892 წელს ცალკე წიგნად გამოიცა ქუთაისში. საქართველოს თუ მსოფლიოს მედიცინის ისტორიაში, ქოლერა ჯერ კიდევ უხსოვარი დროიდანაა ცნობილი და ლამის გვიანი შუა საუკუნეებამდე მის წინააღმდეგ ბრძოლის რაციონალურ მეთოდებზე ხეირიანი წარმოდგენაც არ ჰქონდათ, მიმართავდნენ მაგიურ რიტუალებს, ლოცვებსა და შელოცვებს. მგოსანმა კარგად იცოდა ხალხური მკურნალობის ეს მეთოდები, რაც კიდევ უფრო თვალსაჩინო შეიქმნა 1882 წელს საქართველოში ქოლერის ეპიდემიის დროს. ამ შთაბეჭდილებით დაიწერა აკაკის ეს ლექსი. მართლაც, აქ გადმოცემული მთელი პროცესი ხალხურ მოტივზეა წარმოდგენილი (ამას მოწმობს სათაურის ქვეშ მიწერილი „მესტვირული"). ხალხური წარმოდგენების თვალსაზრისით ამ მხრივ მნიშვნელოვანია ერთი ადგილი:

ხოლერამ სთქვა: ღვთის რისხვა ვარ,
სიკვდილის მოციქულიო....

იმის გამო, რომ ქვეყანა და ხალხი შეირყა, სწორ გზას მხარი უქცია, სამსჯავროდ დამჯდარ მაღალ ღმერთს გადაუწყვეტია რისხვად მოავლინოს ქოლერა, მუდამ სიკეთის მთესველი წმინდა გიორგი მუხლმოდრეკით შეჰბედავს უფალს (პასუხში გამოიკვეთა სენის ბუნების ხალხური წარმოდგენა):

გიორგი ჰკადრებს: დიდება
შენს სულგრძელობას, უფალო!
გინდა ბოროტი გააქრო,
კეთილი კეთილს უცვალო!

მაგრამ ხოლერის შიში მაქვს,
ყრუ არის ის და უთვალო,
წარამარ დაეხეტება,
უაზროდ, უგზო-უკვალოდ!..
ვაი თუ ბრალიანებში
გამოურიოს უბრალო!

წმინდა გიორგი უფლისაგან ნებას იღებს დაიაროს ქვეყანა, ქოლერა რისხვად მოუვლინოს არა ყველას, არამედ ბოროტსა და უკეთურს. ბოლოს ღმერთს შეხთხოვს იკმაროს ეს რისხვა და იხსნას მის მიერ შექმნილი ქვეყანა, თუმც კი:

დავიწყებია ქართველებს
შენი სესხი და ვალია...
მაგრამ იმისი გაქრობა
ჯერ მაინც ცოდვა ბრალია!...
შენს ხელში არის უფალო,
იმისი მომავალია.

უფალი დათრგუნავს სენს. ასეთია ავადმყოფობის გავრცელებისა და შეწყვეტის ხალხური ვერსია.

პოეტის ლექსად დაწერილი დრამა „მედია" ძველი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულის კოლხეთის მედიცინის ისტორიის სახელოვან ეპიზოდს გადმოგვცემს.

აკაკი წერეთლის მხატვრული ნაწერები ყოველთვის ჭეშმარიტ ისტორიულ წყაროებზეა აღმოცენებული. არანაკლებ მკვეთრად ეტყობა ეს „მედია"-ს. პოეტისათვის ცნობილია უცხოელი ავტორების შრომები მედეასა და ძველი კოლხეთის შესახებ (იხ. „მედიაზე" თანდართული პოეტისეული „შენიშვნები") თვით აპოლონ როდოსელის „არგონავტების" შინაარსსაც იცნობს პოეტი, მიუხედავად იმისა, რომ ეს ნაწარმოები ქართულად 1947 წელს ითარგმნა. გარდა ამისა, გასული საუკუნის II ნახევრის პერიოდის საქართველოს პრესამ რამდენჯერმე დაბეჭდა აიეტის პერიოდის კოლხეთის, მედეას, ჰეკატეს და ცირცეას სამკურნალო საქმიანობის შესახებ („დროება", 1867, № 4, „მოგზაური", 1901, № 4). ასე, რომ, აკაკი წერეთელი წლების განმავლობაში პირველად წყაროებზე მუშაობის შემდეგ წერს ამ ნაწარმოებს.

აკაკის კარგად ესმოდა თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ერის კულტურული ცხოვრების საქმეში, საერთოდ, ხალხური ნიმუშებისა და მათ შორის, ქართული ხალხური მედიცინის, სამედიცინო-ეთნოგრაფიული და ფოლკლორული ნიმუშების შეგროვების საქმეს. უთითებდა კიდეც, რა ხასიათის ხალხური სამედიცინო მასალა უნდა შეგროვილიყო.

აკაკი „კვალის" რედაქციასთან ჰქმნის ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების შემგროვებელ ფრიად კომპეტენტურ კომისიას (ალექსანდრე გარსევანიშვილი, გიორგი წერეთელი, დეკანოზი დავით ღამბაშიძე, ექიმი და მწერალი ივანე ელიაშვილი), რომელიც, სხვასთან ერთად, თავს უყრიდა სამედიცინო შინაარსის მასალასაც. 1897 წლიდან, მას შემდეგ, რაც აკაკი აარსებს საკუთარ ჟურნალს „აკაკის თვიური კრებული", პოეტი სულ უფრო ხშირად უთმობს ადგილს ქართული ხალხური სამედიცინო შინაარსის ნიმუშებს, განსაკუთრებით სამედიცინო ეთნოგრაფიულ და ფოლკლორულ მასალას.

გამოვყოფთ რამდენიმე მათგანს: აკაკი ხშირად ათავსებს წერილებს, რომლებშიც საქართველოს სამკურნალო-მცენარეულ სამყაროზეა საუბარი, საქართველოს ცალკეული რეგიონის კლიმატური, თუ კლიმატურ-ბალნეოლოგიური დახასიათებაა მოცემული.

ზოგჯერ პირდაპირ არის მითითებული ამა თუ იმ მცენარეს რა დაავადების დროს იყენებენ საქართველოს ზოგიერთ მხარეში, მაგალითად, იმერეთის სოფ. ჭოლევში: „მრავალ-ძარღვა (ჭრილობის წამალია)... ჯინჯილოჯა, კრავისკუდა, ნიგვზის ძირა, ტუხტი, ოსარო (მოტეხილის წამალია)... ფშალა, ხვართქლა, კილომურა (ხვლების წამალია), ლეშუტა (ბლერის წამალია)".

ფოლკლორულ მასალებიდან ინტერესს იწვევს ხალხში გავრცელებული გალექსილი გამოცანები, რომლებიც ზოგჯერ ასახავს ადამიანის ცალკეული ორგანოების თვისებებს, ზოგჯერ რომელიმე ბიოლოგიურ პროცესს.

ქართველი კაცისათვის ოდითგანვე ღვთის რისხვად გადაქცეული ციება და ქოლერა ქართულ ხალხურ ფოლკლორშიც შემზარავადაა ასახული. ამდენად, ინტერესს იწვევს კრებულში მოთავსებული ხალხში გავრცელებული ლექსი „ციევების ლექსი". ციებითშეპყრობილი ქალისა და მალარიის პაექრობაში იკვეთება ავადმყოფობის მრისხანე ბუნება თუ სიმპტომები. ლექსი სამედიცინო ფოლკლორზე მომუშავე სპეციალისტებისათვის უცნობია, ამიტომ მოვიყვანთ ზოგიერთ ადგილს:

თქვენი მტერი და ორგული,
ციევებმ დაგვალონა,
დაგვადნო სანთლისფერითა
გაგვხადა ღრამის წონა.
მე ამას ველარ მოვრჩი,
თუ არ რა გამაგონათ.

პაექრობის დროს კარგად შეიმჩნევა ციების ის ნიშნები, რაც ხალხშია ცნობილი, ასევე ისიც, თუ ღმერთის როგორი დიდი მოიმედეა ადამიანი ეპიდემიის დროს.

ქალიშვილის პირველი პასუხი:

ამის უარესს რას მიზამ,
კბილიც არ შემრჩა ერთიო,
მეტს შენ ველარას დამაკლებ
თუ მწყალობს მაღლა ღმერთიო.
(1892 წ. № 12).

საქართველოს მედიცინის ისტორიაში არის შემთხვევები, როდესაც ქართველ ხალხურ მკურნალებს მადლიერების ლექსს უძღვნიდნენ. ასეთი დასკვნის უფლებას იძლევა ჟურნალში მოთავსებული ერთსტროფიანი ხალხური ლექსიც, რომელიც ეძღვნება ხალხურ მკურნალ თურმანიძეს:

ძირულა მოდიდებულა,
ყვირილას მიაქვს ხიდიო,
ვისაც წამალი გინდოდეს,
თურმანიძესთან მიდიო (1897, № 4).

ქართული ხალხური ეთნოსის ნიმუშების შეგროვებისათვის მეტად მნიშვნელოვანი და საინტერესო პროგრამა-კითხვარი მოუთავსებია აკაკის თავის ჟურნალში 1899 წელს სათაურით „პროგრამა ეთნოგრაფიულ და იურიდიულ ცნობების შესაკრებად", რაც პროფესორ ალექსანდრე ხახანაშვილის კალამს ეკუთვნის. აქვეა კითხვარი, თუ როგორ უნდა შეგროვდეს, ხალხში უხვად არსებული სამედიცინო-ბიოლოგიური ხასიათის ჩვევების, ცხოვრებით ნაკარნახევი მკურნალობის ნიმუშები (1899, № 7, 8, 9, გვ-ბი, 17-33, 71-87, 122-134). პროფესორ ალ. ხახანაშვილის ეს „პროგრამა" უნიკალური მასალაა, რისი დაბეჭდვითაც აკაკიმ ერთხელ კიდევ მოუხადა ხარკი ქართულ სამედიცინო ეთნოსს, მიაწოდა რა მის შემგროვებლებს მუშაობის სწორი გეზი. აკაკი თავის კრებულში ათავსებდა შელოცვების სახით ხალხში არსებულ საინტერესო შინაარსის ტექსტებს, როგორც ქართული ფოლკლორის საუცხოო ნიმუშებს. მედიცინის ისტორიკოსთათვის მათ, პირველ ყოვლისა, ხალხური ფსიქოთერაპიული აზროვნების განვითარების ისტორიის თვალსაზრისითაც აქვს მნიშვნელობა. აკაკის ჟურნალმა შემოგვინახა საქართველოს მედიცინის ისტორიიდან მნიშვნელოვანი დეტალები, ასე მაგალითად:

ზაქარია ჭიჭინაძის წერილით მოკლედ არის გაშუქებული ახალციხე-არტაანში (არდაგანი) ევროპიდან ჩამოსული კათოლიკე პატრ-მისიონერთა საექიმო საქმიანობა (ა. თ. კრ. 1899, № 5 გვ. 3), მეფე ერეკლეს ჩანაში საქართველოს სამეფო სასახლეში მიწვეული უნგრელი ექიმის იაკობ რეინეგსის (წყაროში ექიმი რეინეგსია) საქართველოში მოღვაწეობა განხილულია რამდენიმე ასპექტში: ექიმი, პედაგოგი, მთარგმნელი, კარტოგრაფი და ერეკლეს ბიოგრაფი (ა. თ. კრ. 1898, № 4, გვ. 42), ფრანგი მოგზაურის დე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაპორტის მიერ თბილისის ერეკლესეული სასახლის კარის აღწერაში ჩანს, რომ აქ არის კარგად მოწყობილი გოგირდოვანი წყლის აბანო და „ქვეყნონი უცხოეთიდან მოსულ სტუმართა მისაღებად". (ა. თ. კრ, 1898, № 8, გვ. 98).

რუსი ექიმების საქართველოში მოღვაწეობის შესახებ ცნობები რევოლუციამდელმა ქართულმა პრესამაც შემოგვინახა და სხვა წყაროებმაც. მაგრამ ექიმ ერასტი ივანეს ძე ანდრიევსკის შესახებ ცნობები შემონახულია აკაკის ჟურნალში (1899, № 9). იგი ვორონცოვის პირადი ექიმი იყო, ცოლად ჰყავდა ქართველი თავადის თუმანიშვილის ასული და ჩვენი ხალხისადმი კეთილი დამოკიდებულებით გამოირჩეოდა.

მეცხრამეტე საუკუნის პირველი მეოთხედის ქართული მედიცინის განვითარების საქმეში დიდი როლი შეასრულა ევროპული განათლების ქართველმა ექიმმა პეტრე კლაპიტონიშვილმა (კლაპიტონოვი). რევოლუციამდელ ქართულ პრესას მასზე არაფერი შემოუნახავს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ერთ საცნობარო ხასიათის მასალას: აკაკის ჟურნალში დაბეჭდილია პატარა ცნობა, რომელიც ზაქარია ჭიჭინაძეს ეკუთვნის და მასში 1819 წელს საქართველოში გამომავალი „საქართველოს გაზეთის" მიმოხილვაა. ავტორი ერთადერთია და მაშასადამე პირველი, ვინც თვლის, რომ დასახელებულ გაზეთში მოთავსებული ერთ-ერთი უავტორო წერილი ყვავილის აცრის შესახებ ეკუთვნის პეტრე კლაპიტონიშვილს, „რომელმაც იმ დროს რუსეთში სახელი გაითქვა და მისი „კარაბადინები" და „ყვავილის აცრის" წიგნები 1820 წლებში ქართულს ენაზედ ნათარგმნი, პეტერბურგში ცალკე წიგნებადაც გამოსცეს". ამ წყაროთი ისიც ირკვევა, რომ ქართულად ეს წიგნები უთარგმნია მეფე გიორგი XII-ის ყოფილ მდივანს გ. ფირალოვს (გოდერძი ფირალიშვილი).

გასული საუკუნის მეორე ნახევარში და ჩვენი საუკუნის გარიჟრაჟზე მოწინავე ქართული საზოგადოების აზრი და გონი თავს დასტრიალებდა საქართველოს სოფლებისა და ქალაქების განათლებული და მაღალზნეობრივი ექიმებით უზრუნველყოფის საქმეს. ხალხისთვის თავდადებულ მკურნალთა დასს აშკარად სჭარბობდა ვერცხლის მოყვარე ექიმთა რაოდენობა. ამიტომ აკაკი თავის ჟურნალში სიამოვნებით უთმობს ადგილს პირველთა ქებას, ხოლო მეორეთა ძაგებას.

პირველს მიეკუთვნება მხატვრულ-დოკუმენტური სახის მოთხრობა „თავგანწირული ექიმი", რომელიც დ. კამკამიძეს ეკუთვნის. მასში ახალგაზრდა ქართველი, უანგარო, ქველმოქმედი ექიმის სახეა გადმოცემული. ესაა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ჭეშმარიტი ქართველი ინტელიგენტის ტიპიური წარმომადგენელი. მოცემულია ამ პერიოდის ტიპიური სოფელი თავისი პრობლემებით: სიღარიბე, უსახსრობა, რაც ექიმის დაქირავების საშუალებას არ იძლევა, მოსახლეობაში ელემენტარული სანიტარული ცოდნის უქმარობა, უექიმობა და სხვა. ამ ფონზე გამოკვეთილია ზემოთ ნახსენები ახალგაზრდა ექიმის სახე.

რედაქციის სქოლიოში მოცემულია აკაკი წერეთლის, როგორც რედაქტორის, საკუთარი კრედო ჭეშმარიტი ექიმის მიმართ: „დიდის სიამოვნებით ვბეჭდავთ ამ მცირე მოთხრობას, მით უფრო, რომ აქ დასახული მკურნალი (ექიმი), სურვილისაგან გამოწვეული ოცნების ნაყოფი კი არ არის, ნამდვილი ტიპია. ამ ბოლო დროს არის ჩვენში ჯგუფი, რომელთაც მართლაც საქმით უნდათ გაუწიონ შეძლებისდაგვარ ჩვენ ქვეყანას სამსახური და არა მარტო ცარიელი სიტყვითა და გარეგანი ქცევით, როგორც დღემდის იყო ჩვენში!.. მართალია, ეს ახლად გამოსული ახალგაზრდები ისეთ მაღალ საფეხურზე არა დგანან, რომ ყველას თვალში ეჩხირონ და არც სხვებსავით მებუკე და მეგანგაშეები ჰყავთ, რომ უჯერო ქვეყანაში სახელი გაითქვან, მაგრამ „საქმემან თქვენმან გამოგაჩინოსთ თქვენ" — ბრძანებს დიდი მოძღვარი და უეჭველია ოდესმე ამათაც გაიცნობს ჩვენი ხალხი და მაშინ კი შეიგნებს, თუ როგორი უნდა იყოს ნამდვილი ახალთაობის კაცი. ამ მოთხრობაში დასახული ექიმიც ერთი იმათგანია. ღმერთმა ინებოს, რომ ამათ ძველების ფარისევლობა წინ არ გადაღობებოდეს. რედ. 10 თებერვალი, 1895 წ." (ა. თ. კრ., 1899, № 12, გვ. 7-22).

მეორეს მიეკუთვნება ჟურნალის რუბრიკაში „ქუთათური საახალწლო" (ა. თ. კრ. № 11, 1900) ცუდ ექიმზე მოთავსებული ერთსტროფიანი შარჟი სათაურით „საექიმო ექიმს":

რეცეპტები დაგავიწყდა
პროტოკოლის წერითაო,
მიკვირს ხალხში თავს როგორ ჰყოფ
მაგ ულვაშებ-წვერითაო.

აკაკის თბილი, მეგობრული და საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა ქართველ ექიმებთან. ჩვენამდე მოაღწია რამდენიმე მათგანის გვარმა: ვასილ გამრეკელი, გიორგი ტარხაიძე, სამსონ თოფურია, გრიგოლ ელიავა, გაბრიელ გოკიელი, ივანე ელიაშვილი, ვახტანგ ღამბაშიძე, ვასილ წერეთელი, სევერიან ჭოლოშვილი, ალექსანდრე დიასამიძე და სხვა.

ქართველ ექიმთა ის კოჰორტა გახლავთ, რომლებმაც არა მარტო მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის პრაქტიკული თუ მეცნიერული ღვაწლით დატოვეს დიდი კვალი საქართველოს ისტორიაში, არამედ მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს საქართველოს საზოგადოებრივი აზრის განვითარების ისტორიაშიც.

ვასილ გრიგოლის ძე გამრეკელსა და აკაკის შორის მისი ოზურგეთის მაზრაში ექიმად სამსახურის დროს, სრულიად შემთხვევით გაზეთ „დროების" ფურცლებზე (1872) იმართება პოლემიკა. ექიმის პასუხში ჩანს მისი ცხოვრების კრედო — ერის სამსახურის მაღალზნეობრივი და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიშნულება, რომელმაც დაამტკიცა კიდეც ეს მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე. მის პასუხებში ექიმის მოღვაწეობის პროგრამაა მოცემული, მოკლედ. იგი ღირსეული ოპონენტია ახალგაზრდა პოეტისა. ირკვევა ისიც, რომ მათ ერთმანეთთან კეთილი პირადი ურთიერთობა და პატივისცემა ჰქონიათ.

ცნობილ ქართველ ოფთალმოლოგს გ. ტარსაიძეს პოეტმა გარდაცვალების შემდეგ გულითადი ლექსი უძღვნა. ეს ლექსი ქართველი ექიმისადმი ერთ-ერთი პირველი მიძღვნაა ქართულ პოეზიაში, რაც განხილული აქვს პროფ. მ. შენგელიას.

აკაკი წერეთელმა ხალხისთვის თავდადებულ მეორე ექიმს სამსონ ბესარიონის ძე თოფურიასაც (1854-1904) უძღვნა ლექსი.

გასული საუკუნის 80-იანი წლების დასასრულს დასავლეთ საქართველოში არ არსებობდა ერთი ნორმალური საავადმყოფოც კი, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ქუთაისში არსებულ სამხედრო ჰოსპიტალს. ამიტომ იყო, რომ ს. თოფურიას მიერ 1890 წლის აპრილში ქუთაისში გახსნილი პირველი კერძო სამკურნალო დიდი მოვლენა იყო მთელს დასავლეთ საქართველოში. ავადმყოფი აკაკი მკურნალს ორჯერ დაუწვენია თავის საავადმყოფოში და მისთვის განსაკუთრებული პირობები შეუქმნია. („ცნობის ფურცელი", 1898, № 501). რის გამოც გამოჯანმრთელებული აკაკი მადლობის წერილსაც ბეჭდავს გაზ. „ივერია"-ში. გარდა ამისა აკაკის ეკუთვნის „ივერიაში" დაბეჭდილი წერილი ს. თოფურიას შესახებ სათაურით: „მოგონება, ფიქრები კუბოს წინ" (1904, № 164).

აკაკი წერეთელსა და ვასილ გრიგოლის ძე წერეთელს შორის (1862-1937), ამ უკანასკნელის (პედიატრი, თერაპევტი, სანიტარიის დარგის ექიმი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე) საექიმო და საზოგადოებრივ სარბიელზე გამოსვლისთანავე, მეგობრული და საქმიანი ურთიერთობა დამყარდა. ის ერთადერთი ქართველი ექიმია, რომელიც იბეჭდებოდა „აკაკის თვიურ კრებულში" (1899, № 5): „კრიტიკული წერილები" (რამდენიმე წერილი: „ხელოვნების ლიტერატურა", „მსგავსება და განსხვავება ხელოვნებასა და მეცნიერებას შორის", „სასიამოვნო და უსიამოვნო გრძნობები", და სხვა). მეორე წერილი, რომელიც ჟურნალის მომდევნო ნომერში დაიბეჭდა, ეძღვნება სამი პოეტის (გრ. ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი და ა. წერეთელი) შემოქმედების განხილვას (№ 6).

საინტერესო ურთიერთობა ჰქონდა აკაკის ივანე გედეონის ძე გომართელთან (1875-1938 წ.) იგი იყო ექიმი, მწერალი და გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, რამდენჯერმე გაეპაექრა აკაკი წერეთელი ივანე გომართელს პუბლიცისტური წერილებით, ზოგჯერ მკაცრ კრიტიკულ ქარცეცხლში გაატარა მისი გამოსვლა ქართულ პრესაში. საერთოდ კი აკაკის ივ. გომართელი შეფასებული ჰყავს, როგორც სახელგანთქმული ექიმი, მწერალ-პუბლიცისტი, გონებაგახსნილი და „სწავლა-განათლებაში განვითარებული". პოეტს ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა აგრეთვე ქართველ ექიმებთან ალექსანდრე დიასამიძესთან, გრ. ელიავასთან, ვახტანგ ღამბაშიძესთან, სევერიან ჭოლოშვილთან.

აკაკიმ 1907 წლის 1 ოქტომბერს დაწერა „უკანასკნელი სურვილი", რომელშიც ხუთი რამ სწადია შეუსრულონ მხცოვან პოეტს. მათ შორის ერთი მათგანის (მეხუთე პუნქტი) ასრულება — ენდოთ ექიმებს: ალექსანდრე დიასამიძეს და ვახტანგ ღამბაშიძეს.

ვახტანგ დავითის ძე ღამბაშიძე აკაკის მეგობრის, საზოგადო მოღვაწის დეკანოზ დავით ღამბაშიძის ვაჟი იყო და მისმა ბავშვობამ და ჭაბუკობამ ლამის აკაკის თვალწინ გაირბინა. სტუდენტი უკვე აკაკის მეგობარია და ერის საჭირბოროტო საკითხებზე მსჯელობს პოეტთან. ხოლო მას შემდეგ, რაც იგი საქართველოში სახელგანთქმული ექიმი, ჯანდაცვის ორგანიზატორი და საზოგადო მოღვაწე ხდება, ეს მეგობრობა უფრო სერიოზულ და საქმიან ელფერს იძენს. ვ. ღამბაშიძე ცნობილია როგორც საქართველოში სანატორიუმული საქმის პიონერი, მან პირველმა აღმოაჩინა პატარა ცემი და პირველმა გახსნა ქართველ ბავშვთათვის აქ გამაჯანსაღებელი სანატორიუმი. აკაკი ბევრჯერ ყოფილა ამ სტაციონარში სტუმრად, დაუსვენია და ჯანმრთელობა აღუდგენია. 1910 წელს იაკობ გოგებაშვილისადმი გაგზავნილ ერთ პირად წერილში ვკითხულობთ: „ამ თვის 15-ს ბორჯომში უნდა გამოვიარო, განახავდი, მაგრამ სახლობა მიმყავს ცემში, ღამბაშიძესთან და ვეღარ ვახერხებ".

ექიმ ვ. ღამბაშიძესთან მეგობრულ ურთიერთობაზე მეტყველებს ისიც, რომ პოეტის ცოლიშვილი პარიზიდან გამოგზავნილ წერილებს ხშირად ექიმის მისამართზე გზავნიან: „ღამბაშიძის სახელზე გამოგზავნილი მეორე შენი წერილი ჯერ არ მიმიღია" წერს აკაკი ცოლს პარიზში.

საფრანგეთში მცხოვრებმა ვახტანგ ღამბაშიძემ 1949 წლის ჟურნალ „ბედი ქართლისა"-ში (№ 5, 6) გამოაქვეყნა ვრცელი მოგონება აკაკიზე, სადაც ბევრი საინტერესო მომენტია შემონახული მათი ურთიერთობიდან.

აკაკი წერეთელს ვ. ღამბაშიძის სანატორიუმმა შთააგონა მშვენიერი ლექსი „პატარა ცემი", რომელიც 1904 წელს (№ 209) მოათავსა „ივერიაში".

ექიმ ვ. ღამბაშიძის მადლიერი უნდა იყოს ქართველი ერი, რომ მან შემოგვინახა ჩვენამდე მოსული აკაკის ხმის ორი ჩანაწერი. გაზეთ „თემის" (1911-1915 და მისი უფასო სურათებიანი დამატების (1912-1913) რედაქტორი, ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე, აკაკის მეგობარი გრ. დიასამიძე იგონებს (გაზ. „ქართველი ერი", 1948, № 5, ბერლინი): „აკაკის ძალიან უყვარდა ყველასაგან პატივცემული ბატონი ვახტანგი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ ბოლოს და ბოლოს არ უარყო მისი წინადადება გრამოფონში ჩალაპარაკების შესახებ".

ვ. ღამბაშიძემ აკაკის ხმის ჩაწერისათვის მსვლელობის პროცესში გადაიღო მგოსნის 3 ფოტო (ახლავს გრ. დიასამიძის მოგონებას), რომელიც უცხოა და ამჟამად უნიკუმია ჩვენი ერისათვის. ყველა მათგანის მეორე გვერდზე მოცემულია სურათის შინაარსი, რომელიც ვ. ღამბაშიძის ხელით არის მიწერილი. პირველ მათგანზე ვკითხულობთ: „მე და გიგომ გარდავსწყვიტეთ ძვირფასი აკაკის ხმა, მისი ტკბილი კილო ბაასისა და ლექსის წაკითხვისა„ ფირფიტაზე აღგვენიშნა რომ საშვილიშვილო საგანძურად დარჩენილიყო... აკაკი ჯერ უარზე იდგა, მაგრამ როგორც იქნა დავითანხმეთ". მეორე სურათზე წარწერაა, თუ როგორ ღელავს მგოსანი ხმის ჩაწერის პროცესში. მესამე სურათზე წარწერა გვამცნობს, თუ როგორი „კმაყოფილებითა და სასიამოვნო მღელვარებით მოისმინა" აკაკიმ მისი ჩანაწერი" (გ. შარაძე, „კომუნისტი". 22.IV.80). ეს ფოტოები პირველად ბატონმა რევაზ თაბუკაშვილმა ჩამოიტანა ნიუ-იორკიდან. გარდა ყოველივესი, ვ. ღამბაშიძე მკურნალობდა აკაკი წერეთელს, გრ. დიასამიძე აღნიშნავს: „ვახტანგი პატარაობიდანვე აღმერთებდა მგოსანს და როცა მკურნალობა შეისწავლა, დაუწყო ჯანმრთელობაზე ზრუნვა".

სამუდამოდ გაჰყვა პოეტს ექიმ გრ. ელიავას ვალი 400 მანეთი, რისი გამორთმევა არასოდეს უფიქრია ბათუმელ ექიმს, ხოლო პოეტის გარდაცვალების შემდეგ საბოლოოდ თქვა უარი მასზე.

საჩხერელი ექიმი სევერიან ჭოლოშვილი (საჩხერის აკაკის სახელობის წიგნსაცავ-სამკითხველოს დამაარსებელი და მისი გამგეობის თავმჯდომარე, საჩხერეში თეატრის აშენების ინიციატორი (პოეტთან 1909 წლიდან ახლო ურთიერთობაშია) გვიტოვებს აკაკის ბიოგრაფიისათვის მეტად ძვირფას მოგონებას (აკაკი წერეთელი, „საიუბილეო კრებული", 1940, გვ. 409). კერძოდ, აღწერილია აკაკისთან შეხვედრები, მასთან საუბრის თემატიკა, გადმოცემულია პოეტის ხასიათები და სხვა. ერთ ადგილას ექიმი ს. ჭოლოშვილი მოგვითხრობს: „პოეტებსა და ხელოვნების ხალხშიც იშვიათად შეხვდებით ისეთ პოეტური ხასიათისა და გარეგნობის ადამიანს, როგორიც აკაკი იყო. მისი გარეგნობის სამი მხარე მინდა აღვნიშნო, ყველაზე უფრო შთაბეჭდილი ჩემს ხსოვნაში.

აკაკის თვალები — დიდრონი, ალერსიანი, ცეცხლით ანთებული, ხშირად ცად რომ აპყრობდა; აკაკის თავი — აზურძგნული, სპეტაკი ჭაღარით შემოსილი, ნელად მოძრავი; აკაკის ტანი — ახოვანი, ლამაზად გამოყვანილი... ხასიათით უდარდელი კაცი იყო, ხვალინდელ დღისთვის არამზრუნავი, უანგარო, ბავშვივით კეთილი, სადა, თავმდაბალი: მედიდურობა მის გულს არ ეკარებოდა. ფუფუნება სძაგდა, ქონების, ნივთის შეძენაზე და შენახვაზე არასოდეს არ ფიქრობდა. ოჯახური ცხოვრების არა გაეგებოდა რა, ცხოვრობდა ოჯახში, როგორც არაფერზე მზრუნველი სტუმარი. უყვარდა უბრალო, ღარიბული, მდაბიური ცხოვრება. სახლის მორთულობა — სადა და ღარიბული... იშვიათი გულკეთილი და შემბრალე იყო; და თუ ფული ჯიბეში ეგულებოდა გაჭირვებულთათვის დახმარებას არ დაიშურებდა... აკაკის ენას, ამრიგად, შთამომავლობითი ხასიათი ჰქონდა, და ეს ენა იყო სხარტი, მახვილი, ავი, გესლიანი, გამკიცხავი, დამცინავი... აკაკის გული — წინაალმდეგ მისი ენისა — უბოროტო იყო, უსაზღვრო სიკეთით სავსე; გაჭირვებაში ყველასათვის გულშემატკივარი, მშველელი, ხელის გამმართავი".

საგულისხმოა ის ცნობები პოეტის ავადმყოფობის შესახებ, რომელიც ს. ჭოლოშვილმა დაგვიტოვა თავის მოგონებაში. ესაა 1914 წლის დეკემბრის მესამე დეკადისა და 1915 წლის იანვრის 25-ის ჩათვლით, ჩანაწერები ექიმთა კონსილიუმის შესახებ, ლამის ყოველდღიური სავადმყოფო ბიულეტინი.

ექიმი ივანე სპირიდონის ძე ელიაშვილი (1864-1932) მაინც ყველაზე დიდი და განუყრელი მეგობარი იყო აკაკი წერეთლისა.

ივანე ელიაშვილი ცნობილი საბავშვო მწერალი იყო, პროზაიკოსი და პუბლიცისტი, რედაქტორი და მთარგმნელი, ცნობილი თერაპევტი, მეცნიერი, თბილისის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის სოციალური ჰიგიენისა და ჯანდაცვის ორგანიზაციის პირველი კათედრის, პირველი გამგე, ცნობილი ქველმოქმედი და საზოგადო მოღვაწე.

თუ გავიხსენებთ იმას, რომ ჩვენი სახიქადულო პოეტი ექიმ ივანე ელიაშვილს „სულის სწორს", „ჩემი სინათლეს" უწოდებდა, ცხადი გახდება, თუ რა გულთბილი მეგობრობა ყოფილა მათ შორის.

ამასვე მეტყველებს აკაკის მიერ ივანე ელიაშვილთან თუ მის ბავშვებთან, გადაღებული ფოტო (როგორც ვიცით, პოეტს ქართველ ექიმთაგან, თითქმის არ გადაუღია ფოტოსურათი), აგრეთვე უცნობი ავტოგრაფები, რაც თავის წიგნებისა და საკუთარი ფოტოების მიძღვნის დროს შეურჩევია მგოსანს.

აკაკისათვის დამახასიათებელმა თვისებამ ადამიანის შეცნობის დიდმა ინტუიციამ საზოგადოებრივი საქმიანობის ისეთ საინტერესო და საპირო უბანზე მიიზიდა ივანე ელიაშვილი, როგორიც იყო მდიდარი ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების შეგროვება.

ისტორიამ შემოგვინახა აკაკის მიერ ივანე ელიაშვილისადმი გაგზავნილი 16 პირადი წერილი საზოგადოებრივი თუ პირადი მრავალმნიშვნელოვანი საკითხების ახსნით (პროფ. ს. ხუციშვილი, ა. პუშკინის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის შრომათა კრებული, 1947 და აკაკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერეთლის თხზულებათა სრული კრებული, ტ. 15, გვ. 205-211).

ერთი დიდად მნიშვნელოვანი ფაქტიც შემოგვინახა ამ მეგობრობამ — აკაკიმ, თავისი ანდერძის მიხედვით, მისი ნების აღსრულება ხხვებთან ერთად, ივანე ელიაშვილსაც დაავალა, რომელიც პოეტის ანდერძს მისი გარდაცვალების შემდეგაც ღირსეულად ასრულებდა.

ივანე ელიაშვილმა, ბაქოში თავისი 14 წლის ექიმად სამსახურის დროს, საკუთარი ინიციატივით რამდენჯერმე მიიწვია მგოსანი და საღამოები გაუმართა მას.

ივანე ელიაშვილი ნამდვილი მეცენატი იყო აკაკისათვის, ხშირად ისე უწევდა მატერიალურ დახმარებას, რომ პოეტმა არც კი იცოდა ამის შესახებ.

ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ გარდაცვლილ პოეტს ანდერძით თავისი ვალების გასტუმრებაც დაუბარებია მის მიერ დატოვებული ქონებიდან. მევალეთაგან ყველაზე დიდი ვალი ჰქონია ექიმების: ივანე ელიაშვილისა და გრ. ელიავასი, მაგრამ ორივე ექიმმა, არა თუ თავიანთი თანხის მიღებაზე თქვეს უარი, არამედ აკაკის დანარჩენი წვრილმანი ვალებიც გაისტუმრეს.

ზემოთ ითქვა, რომ აკაკი ლექსებს უძღვნიდა ქართველ ექიმებს და მათ შემოქმედებით შრომას, ასევე ქართველი ექიმებიც უძღვნიდნენ დიდ პოეტს მხატვრულ ნაწარმოებებს, განიცდიდნენ აკაკის პოეზიის კეთილ გავლენას.

1911 წელს ჟურნალ „ნაკადულში" იბეჭდება ივანე ელიაშვილის საბავშვო მოთხრობა „ბულბულის ამონაკვნესი", რომელსაც ავტორმა დაურთო მიძღვნა: „ვუძღვნი საქართველოს დიდებულ მგოსანს აკაკის. თუ ჩემი ნაწერები, ჩემო პატარა მეგობრებო, თქვენის ყურადღების ღირსი იყოს, გახსოვდეთ, რომ იმათი გამოქვეყნება გამოიწვია ჩვენის სათაყვანებელის აკაკის თანაგრძნობამ და პატივისცემამ..."

გამოირკვა, რომ ოზურგეთის მაზრის ექიმს დიმიტრი (ტიტიკო) კონსტანტინეს ძე ერისთავს (1882-1924) ლექსი უძღვნია აკაკისათვის, რომელიც ჯერ არ არის გამოქვეყნებული:

### თ. აკაკი წერეთელს

როგორც პატარა ჩიტუნა
მსწრაფლ აფრინდება მთაზედა,
და არვისა აქვს უფლება
გასწყრეს მის განზრახვაზედა,
ეგრეთვე მეც მსურს პოეტო
მოგმართო მცირე სიტყვებით,
და თუ ვერა ვსთქვი რაც მინდა,
თქვენ მაინც კი მიმიხვდებით!
რაც კი რამ ქონდა ბუნებას
მოგიძღვნა ყველა ერთადა,
გიკურთხა ხელი მარჯვენა
გაგხადა კალმის ღმერთადა.
და მით აყლერებ საოცრად
შენს ჩანგს ორმოცი წელია,
უმღერი ტურფა სამშობლოს,
მუდამ ჩაგრულთა მცველია!
შენი ლექსები გაისმის
ივერის ყოველ კუთხეში,
ხან გლეხის ღარიბს ოჯახში,
ხან დიდ-კაცის სასახლეში.
ყველა კი ერთად გიძღვნიან
სიყვარულს, დაფასებასა,
მაგრამ ვინ შესძლებს ნეტავი,
შენს ღირსეულად ქებასა!

დ. ერისთავის ხელნაწერ ლექსთა რვეულში ასევე არის ლექსი სათაურით „მილოცვა დაბადების დღეს", რაც, როგორც სათაურის ქვეშ მინაწერიდან ირკვევა, აკაკის მიბაძვითაა დაწერილი და ვინმე „ნ"-ს ეძღვნება.

ნათელი ეფინება, აგრეთვე ფართო საზოგადოებისათვის ნაკლებად ცნობილ ერთ საინტერესო დეტალს; ირკვევა, რომ პოეტი პირველი იმპერიალისტური ომის დასაწყისში, საზოგადოებრივ საწყისებზე, თბილისში ერთ-ერთი ჰოსპიტლის მზრუნველიც ყოფილა. ამას ადასტურებს 1941 წელს კიევიდან გამოგზავნილ თავის მოგონებაში „სამი შეხვედრა პოეტთან" პოეტის უკრაინელი მეგობარი ვსევოლოდ ჩაგოვეცი, რომელიც პირველი იმპერიალისტური ომის დროს ხშირად იყო თბილისში, როგორც ფრონტელი კორესპონდენტი. იგი აღნიშნავს „მე და აკაკი წერეთელი შევთანხმდით ერთად დაგვეთვალიერებინა ის ჰოსპიტალი, რომლის მზრუნველიც იყო... ლაზარეთში ბევრი საინტერესო ადამიანი ვნახეთ, რომელთანაც შეიძლებოდა საუბრის გამართვა. ამ მხრივ აკაკი წერეთელი დაუფასებელ დახმარებას უწევდა მათ. იგი ერთი საწოლიდან მეორე საწოლთან მიდიოდა, ერთი პალატიდან მეორე პალატაში გადადიოდა, ასკერებს — თურქულად ელაპარაკებოდა, თავისიანებს მშობლიურ ენაზე, რუსებს — რუსულად, საუბარი სადად, გულისხმიერად მიმდინარეობდა, თანასწორობისა და საყოველთაო თანადგომის ფარგლებში.

ერთ პალატაში ტყვედ წამოყვანილი ბედუინები იწვნენ და აქ, ხურვებით გამხდარიყვნენ ავად. მგონია, რომ ეს უფრო პარტახტიანი სახადი იყო.

— საბრალო შვილნი უდაბნოისა!... ერთი შეხედეთ, რა მშვენიერი ეგზემპლარებია ადამიანისა! მოხდენილნი ჭაბუკნი, სხარტი მშვენიერნი, რა აქვთ მათ საერთო იმ ყასბებთან, რომელთაც ეს მსოფლიო ომი გააჩაღეს?! და რატომ უნდა იხოცებოდნენ ეს თავისუფალნი შვილნი უსაზღვრო სივრცეებისა აქ, სარეცელზე მიკრულნი, მათთვის უცხო ქვეყანაში?!..

ჩვენი საკვირველი მოხუცი გამოელაპარაკა ზოგიერთს არაბულად. ისინი უპასუხებდნენ მიმქრალი ოდნავ გახაგონი ხმით. პოეტმა განკარგულება გასცა მიეცათ მათთვის ჭარბად წყალნარევი ღვინო და თვითონვე ასმევდა კოვზით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვით პაწია ბავშვებს. ისინი გრძნობით მადლობას უცხადებდნენ შუბლზე და გულზე ხელის დადებით.

— საბრალონი... ყველანი სასიკვდილოდ არიან განწირულნი... პოეტის არწივისებურ ღრმა თვალებში ცრემლი აციალდა („ლიტერატურის მატიანე", 1942, გვ. 188).

თუ ეს ფაქტი სხვა წყაროთიც დადასტურდება, დიდი პოეტის ცხოვრების მოქალაქეობრივი — პატრიოტული მხარე კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნალვაწით შეივსება.

ტრადიციულად, აკაკის ოჯახი სამკურნალო საქმიანობასთან დაკავშირებული იყო დედის მხრიდან. ამის შესახებ პირველმა მიუთითა აკაკი წერეთელმა „ჩემი თავგადასავალში", შემდეგ კი ექიმმა ს. ქოლოშვილმა, პაპუნა წერეთელმა, ექიმმა შ. შარვაძემ და პროფესორმა მ. შენგელიამ.

საინტერესოა ერთი შემთხვევა ექიმ ს. ქოლოშვილის მოგონებიდან: „აკაკის დედა გურიელის სასახლეში გაიზარდა, სადაც შინაკაცებად ითვლებოდნენ ფრანგის პატრები; აკაკის დედას მათის მეოხებით შესწავლილი ჰქონდა ექიმობა და ეს ხელობა დედამ აკაკის უფროს დას, ანასაც გამოაყოლა. ანას დიდი სახელი ჰქონდა მოხვეჭილი სოფლად. მე ხშირად მომისმენია ჩემი ავადმყოფებისაგან საუბარი ანას „უებარ წამლობაზე", და ანას „უებარი" წამლებიც ხშირად მინახავს ავადმყოფების ოჯახში. აკაკის ძლიერ უყვარდა ანას უებარ წამლებზე ოხუნჯობა. კარგი სანახავი იყო, როცა ბასრი და გესლიანი ენის მქონე და-ძმა ერთიმეორეს დაუწყებდნენ გალიზიანებას და დაცინვას.

ერთხელ ასეთ სახუმარო ამბავს მომიყვა აკაკი: ანამ თურმე ვიღაც გლეხს ბოთლით წამალი გაატანა შარდის შეკავების წინააღმდეგ. ანას მიერ გატანებულ წამალს თურმე იმლამესვე დადებითად ემოქმედნა ავადმყოფზე და მეორე დილას ადრე, როცა უკანა დერეფანში აკაკი და ანა ერთად იდგნენ, შარდის შეკავებისაგან უკვე განკურნებული გლეხი შემოსულა ეზოში, სალამი მიუცია ორთავ და-ძმისთვის და დაბლიდან დაუძახნია ანასთვის:

— თუ გაცხონა, ანა, ამან უნდა გაცხონოსო, — და ხელით მუცლის დაბლა ადგილი უჩვენებია. როცა აკაკი ამ ამბავს მოყვებოდა, ანა ხითხით იცინოდა ხოლმე".

ანას დედისაგან ტრადიციულად მიღებული სამკურნალო ხელოვნების ფლობის შესახებ გვიამბობს საზოგადო მოღვაწე პაპუნა წერეთელიც: „სახლის წინ მუდამ მრავლად იყვნენ ბაბუდა (პაპის და) ანას „კლიენტები". ანას ჰქონდა განთქმული ექიმის სახელი და არათუ ახლომახლო სოფლებიდან, შორიდანაც კი მოდიოდნენ მასთან სამკურნალოდ („ლიტერატურის მატიანე", 1942, № 3-4).

აკაკის ბიოგრაფი ლევან ასათიანიც გადმოგვცემს პოეტის დედის ეკატერინეს ექიმობაში განსწავლულობის და ამ პროფესიის ათვისებაში განათლებული ფრანგი პატრების დამსახურებას.

გარდა ამისა, ჟურნალისტმა დარეჯან კომლაძემ სრულყოფილად გადმოგვცა აკაკის დის ანას დამსახურება ხალხურ მედიცინაში, ხალხის ჯანმრთელობის დაცვის საქმეში. სხვიტორში აკაკის მუზეუმში დაცული ანასეული სამედიცინო შინაარსის ხელნაწერები, მის მიერ შედგენილი რეცეპტები, იმის საშუალებას იძლევა, წარმოვიდგინოთ იმ დაავადებათა არსენალი, რომელთაც ასე წარმატებით მკურნალობდა ანა, — გველის ნაკბენი, მეჭეჭის გაქრობა, ნაწლავების გადახლართვა, ჭრილობები, ძირმაგარა, შარდის შეკავება, თირკმელების ტკივილი, უშვილობა, საწველი და სხვა. იყო უბადლო მცოდნე და შემგროვებელი სამკურნალო მცენარეებისა და ბალახებისა. მკურნალობდა უანგაროდ და თავის გარშემო იკრებდა სოფლის გოგონებს, რომელთაც ასევე უანგაროდვე ასწავლიდა მკურნალობის საიდუმლოებას (გაზ. „მედიცინის მუშაკი" 1990, 27 თებერვალი, გვ. 3).

ჩვენს დიდ მგოსანსა და ქართველი ერის თავდადებულ მსახურს ერის ცხოვრების ისეთი ფრიად მნიშვნელოვანი უბნის განვითარების საქმეში, როგორიცაა ადამიანთა ჯანმრთელობის ყურის გდება და მოვლა აკისრია, თავისი — მამულიშვილურ საზოგადოებრივ თუ მწერლური მოღვაწეობის პერიოდში მცირედი წვლილი შეუტანია.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# დიდოსტატის საუკუნე

ქართული ეროვნული ხასიათის, ქართული სულის იდუმალ სიღრმეებამდე ჩაწვდომისა და შეცნობის, ისტორიის თვალუწვდენელ გზაზე ათასგზის ნაწრთობი და გამობრძმედილი ქართული ეროვნული სახის შესანიშნავი მხატვარი, საქართველოს წარსულისა და აწმყოს გულმართალი მემატიანე კონსტანტინე გამსახურდია, როგორც პიროვნება, როგორც მოქალაქე, როგორც შვილი თავისი ხალხისა, თვითონ იყო ამ ეროვნული სახისა და ხასიათის სრულყოფილი განსახიერება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, იგი თავის რაინდული სულის ნაწილებს ურიგებდა და უზიარებდა თავისივე პერსონაჟებს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბატონი კონსტანტინე იყო ქართული ეროვნული გენია, გასული მსოფლიო ასპარეზზე, ნაზიარები კაცობრიობის სიბრძნისა და აზროვნების მწვერვალებს.

დიახ, ქართული ხასიათი — ქირში გაუტეხლობა, განსაცდელის არად ჩაგდება, მართლაც ვაჟკაცური შემართება რომ არა, რა გაუძლებდა იმ ლიტერატურულ თუ პოლიტიკურ შემოსევებს, იმ ჩასაფრებებსა და თავდასხმებს, იმ გაუთავებელ ბრძოლას საქართველოს ისტორიის, ქართული ენისა და ქართული კულტურის დასაცავად, რომლებიც კონსტანტინემ გადაიტანა. ბევრს მწერლის სიცოცხლეშივე ანცვიფრებდა ეს ენერგიის დაულეველობა, ეს სტოიციზმი და მზადყოფნა საბრძოლველად, როცა თოფის წამალი მუდამ მშრალი ჰქონდა და მუდამ მზად იყო ყოველი თავდამსხმელის მოსაგერიებლად, რომელი მხრიდანაც არ უნდა წამოსულიყო იგი. აქ ერთი რამ აუცილებლად უნდა აღინიშნოს — მისი ლიტერატურული ბრძოლა მუდამ, ასე ვთქვათ, მოგერიებითი ხასიათისა იყო. ეს მწერალმა თავადაც აღნიშნა თავის წერილში „თანამედროვე რომანისათვის“ კონსტანტინე წერდა:

„საერთოდ უნდა მოგახსენოთ, ლიტერატურაში კუკუმალულობის გამართვა მე არა მწამს, რადგან მწერლობა კუკუმალულობა როდია, არამედ ომსა ჰგავს იგი ხშირად. ამიტომაც დაერქვა პაექრობას ბერძნული „პოლემოს“ — ომი. ესეც უნდა განვაცხადო, ჯერ არასდროს, არავის თავს არ დავსხმივარ, მანამდის სანამ ვინმე უფრო ადრე ასეთ რამეს არ ჩაიდენდა ჩემს მიმართ“.

ეს ლიტერატურული პაექრობანი ნათელ წარმოდგენას იძლევიან იმ მძიმე და სულისშემხუთველ ატმოსფეროზე, როცა მართალ აზრს ადვილად ვერ გაიტანდი. ასეთ ვითარებაში კონსტანტინე მაინც შესძლებდა ხოლმე ჩასაფრებული კრიტიკოსისათვის საკადრისი პასუხი გაეცა. ორმოციან წლებში ჟურნალ „ზნამიას“ ფურცლებზე დაიბეჭდა ვიქტორ შკლოვსკის ვრცელი წერილი, რომელშიც გარჩეული იყო ორი შესანიშნავი რომანი — „დიდოსტატის მარჯვენა“ და „დავით აღმაშენებელი“. მაგრამ ვაი ამ გარჩევას — ეს იყო არა ლიტერატურული ნაწარმოებების კეთილსინდისიერი განხილვა, არამედ შიშველი პოლიტიკური ინსინუაცია. რაღა არ დააბრალა შკლოვსკიმ ქართველ მწერალს: ისტორიის გაყალბება, ნაციონალისტური შეზღუდულობა, წარსულის ბრმა იდეალიზაცია, მეზობელი ხალხების — კერძოდ, რუსებისა და სომხების ისტორიისა და კულტურის გაბიაბრუება, უპატივისმცემლობა და არად ჩაგდება და ა. შ.

კონსტანტინემ თავის საპასუხო წერილში, რომელიც ქართულ და რუსულ ენებზე გამოქვეყნდა, დოკუმენტური სიზუსტით ნათელყო, თუ რამდენ უმწეო, უმართებულო და არეული იყო შკლოვსკის შეგონებანი. რა გამოხმაურება მოჰყვა კონსტანიტნეს საპასუხო გამოსვლას? იგი გულწრფელად გაიზიარა და მოიწონა არა მარტო ქართველმა მკითხველმა, არამედ... მაგრამ მოდით აქ ისევ ბატონ კონსტანტინეს დავუთმოთ სიტყვა: „მოსკოვში, ვოროვსკის ქუჩაზე, მწერალთა კავშირის კაფეში ხუთი ახალგაზრდა რუსი მწერალი გამეცნო და მითხრეს შკლოვსკის შესახებ: ჩვენ დიდ მადლობას გიხდით იმისათვის, რომ თქვენ სული გააფრთხობინეთ ამ მორიელსო“.

მაშ ასე, თვითონ ბატონი კონსტანტინეს სიტყვებით, რომ ვთქვათ, „ქვა გატყორცნილი გულმართლის მიმართ უკანვე მიუბრუნდა გამსროლელს, განა მარტო ერთს?“

კიდევ ვის გულისხმობს მწერალი? საქმე ის არის, რომ იმ დროს თბილისში იყო ერთი კატეგორია ადამიანებისა, უმთავრესად მწერალთა წრეში, რომლებსაც კონსტანტინე „კარტის ჩამწყობლებს“ ეძახის. სწორედ ისინი აქეზებდნენ ვიქტორ შკლოვსკის, ანატოლ ტარასენკოვს, ანა ანტონოვსკაიას, ვიქტორ გოლცევს, ზოია კედრი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნას და ისინიც, უსაბუთოდ და ხელაღებით ებრძოდნენ მწერალს საკავშირო პრესის ფურცლებზე. რას არ იგონებდნენ ეს კალმოსნები; რაღას არ აბრალებდნენ მწერალს — ახალსა და ნოვატორულს — რეაქციულის იარლიყს აწებებდნენ, ისტორიული სიმართლის აღდგენის ცდას — ნაციონალიზმად მიიჩნევდნენ, კაცის სულის იდუმალ სიღრმეებში ჩახედვა და მზის სინათლეზე გამოტანა — ბნელ მისტიკად ესახებოდათ, და კიდევ ვინ მოსთვლის! ანა ანტონოვსკაიამ მწერალს „კათოლიკურ ტენდენციებში" კი დასდო ბრალი; ამ ამბავს რომ იხსენებს, კონსტანტინე გამწარებით დასძენს: „ამ ქალს თავის დროზე შეძლებისამებრ დავეხმარე თავისი რომანის საქართველოში გამოქვეყნების საქმეში. ვინაიდან მას ბინა არ ჰქონდა, საკუთარი ბინა დავუთმე და მე კი გერონტი ქიქოძესთან გადავედიო". არა ნაკლები უმადურობა გამოიჩინა ვიქტორ შკლოვსკიმ — ჯერ ისევ 1926 წელს გამოიცა თბილისში მისი, სიმართლე უნდა ითქვას, შესანიშნავი მემუარების კრებული „სენტიმენტალური მოგზაურობა", რომელიც ქართულ ენაზე თარგმნეს კონსტანტინე გამსახურდიამ და ვახტანგ კოტეტიშვილმა.

საქმე ის იყო, რომ მარტო შკლოვსკი კი არა, შინაურები, თანამემამულენი უარესსა სჩადიოდნენ. ზემოთ უკვე ვთქვი, კონსტანტინეს სტოიკური გამძლეობა ჰქონდა-მეთქი. მაგრამ კაცნი ვართ, ადამიანები, და გულსაც მართლა ქვის გამძლეობა როდი აქვს, თუმცა ხანდახან ქვაც ვერ უძლებს — ხომ თქვა ყველაფრის მცოდნე და ყველაფრის გამგებმა ბრძენმა პოეტმა — გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ლბილისა. და აი, იყო წუთები, როცა ეს ვაჟკაცური გულიც სასოწარკვეთილობამ შეიპყრო; 1947 წლის რვა სექტემბერს, მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმზე წარმოთქმულ სიტყვაში კონსტანტინე გამსახურდიამ განაცხადა:

„როცა მწერალს განიკითხავს კრიტიკა, რად უნდა მიიჩქმალონ რომელ პერიოდს ეხება ამ მწერლის ქმნილება! ჩემი ნოველები, „ხოგაის მინდიასა" და „უკვდავების" გარდა, დაწერილია 1918-1930 წლებს შორის".

რატომ არ იკითხავთ, რა საბუთი მქონდა კარგ გუნებაზე არ ვყოფილიყავ 1930 წელს, „ქალის რძის" დაწერისას. ეს ნოველა ჩემს ბიოგრაფიასთანაა დაკავშირებული... კახიანმა, ტოროშელიძემ და სხვებმა იმ ზომამდის მიმიყვანეს, გადავწყვიტე თავი მომეკლა. ორგზის ვეცადე, ვერ შევძელი; იმ თვეებში ნადირობის დროს მოჰკლეს ყარაიაზის მახლობლად ვინმე ინჟინერი ჯაფარიძე.

მე ეს გავიგე და სწორედ იქ წავედი ჩემი თავისა და ძაღლის ამარა, სადაც ეს მოხდა; რაკი თავად ვერ მოვიკალ თავი, ეგებ იმ ბანდიტებმა მომკლან-მეთქი.

სხვა დანარჩენი ისევე მოხდა, როგორც ნოველაშია, რა თქმა უნდა, ბანდიტის ცოლის ამბავი გამოგონილია.

ახლა ამოკრიფეს იმჟამინდელი ჩემი განწყობილების მაუწყებელი ფრაზები და ბებუთებივით ატრიალებენ ხელში".

აი, რანაირი ისტორია გადახდათ თავს უმშვენიერეს ქართულ ნოველას — „ქალის რძეს" და მის დამწერს. მაგრამ ეს ტრაგიკული ჩანაფიქრი მხოლოდ წუთის განწყობილება იყო, მეორე დღეს ბატონი კონსტანტინე ისევ ძველებურად გულგაუტეხელი კაცი იყო, ამაყად შემართული ქართული სიტყვის დასაცავად.

მიუხედავად ამ არც ისე იოლად გადასალახავი დაბრკოლებებისა, მაინც ისევ კონსტანტინე გამსახურდიას ისტორიამ წილად არგუნა მეოცე საუკუნეში თავისი მხრებით ეტარებინა მთავარი სიმძიმე ქართული ინტელექტუალური ცხოვრებისა და ესთეტიკური აზროვნებისა, როგორც თავის პროზაულ ქმნილებებში, ისე პუბლიცისტურ ნარკვევებში მწერალი ისწრაფვოდა სიკეთის, სილამაზის, თავისუფლების, პატრიოტული ლვაწლისა და სიქველის დასანერგად და გასამტკიცებლად. ეს იყო მისი მოქალაქეობრივი და ესთეტიკური მრწამსის საფუძველთა საფუძველი.

●

„მე დავიბადე მსოფლიოს უმცირეს და უმოკლეს მდინარის პირად. მას ჰქვი სახელად „ზანა".

როგორც წინათ მიღებული იყო, მე მომიხდა რამდენიმე უნივერსიტეტში სწავლა, პეტერბურგში, კენისბერგში, ლაიპციგში, მიუნხენში, პარიზში, ბოლოს ბერლინში. გამოცდებზე, სემინარებში, ყველგან და ყოველთვის მე მიხდებოდა გაჯიბრება გერმანელებთან, ებრაელებთან, პოლონელებთან, ამერიკელებთან, ფრანგებთან. არავის ვუმხელდი, მაგრამ ჩემს თავს ვეუბნებოდი: „შენ ჰეი, მსოფლიოს უმცირეს მდინარის პირად შობილო ბიჭო, არ გაჯობონ დიდი მდინარეების პირად დაბადებულთა.

მწერლობაშიც ასეთი მქონდა ქადილი, გულს ჩადებული. თუ როგორ შევძელი მე მისი შესრულება, ამას აქ დამსწრენი თავად განსჯიან".

ასე განაცხადა კონსტანტინე გამსახურდიამ თავის სიტყვაში საიუბილეო საღამოზე, 1961 წლის 27 ივნისს. მწერლის ამ სიტყვებს აქვთ თავისი ქვეტექსტი, რომელიც გულისხმობს, რომ მსოფლიო ჰორიზონტზე, აზროვნებისა და მხატვრული შემოქმედების სფეროში ერთნაირი უფლებით ალჭურვილნი გამოდიან საასპარეზოდ და საკაცობრიო კულტურის ახალი მწვერვალების დასაპყრობად ისინიც, ვინც ზანასავით პაწია მდინარეების ნაპირებზე დაიბადნენ და ისინიც, ვინც უზარმაზარი ქვეყნების შვილები არიან, კონსტანტინე გამსახურდია ეკუთვნის იმ დიდოსტატთა რიცხვს, ვისი ქმნი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებანიც თავიდანვე მსოფლიო ლიტერატურის დიდ ფარვატერში მოექცნენ. მწერალმა ქართული სიტყვა, ქართული აზრი, ფიქრი და გრძნობა ისეთი მკვეთრი და ძლიერი ფერებით გამოხატა, რომ ფრანგულ ლიტერატურულ გაზეთს — „ლეტრ ფრანზესს" ათქმევინა: „კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენამ" დასავლეთის ლიტერატურას უჩვენა ვნებიანი სიცოცხლისა და დაუცხრომელ ქმედითობის ახალი საწყისებიო".

მაგრამ დავუბრუნდეთ კვლავ ბავშვობის წლებს. მომავალი მწერალი ჯერ ისევ პატარაობისას წაუყვანია დედას გელათში. ტაძარს რომ მიახლოვებიან, როგორც მორწმუნის წესი მოითხოვდა, დედას და შვილსაც ფეხთ გაუხდიათ. „არის ადგილი, მის მშვენებას ვერ აღწერს ხელი, როგორც ედემის, მისი აღწერა ისეა ძნელი", წერდა პოეტი გელათზე და ბავშვზე მართლაც უმძაფრესი შთაბეჭდილება მოუხდენია იმ მიდამოებს — წყალწითელას ველსა და მთიდან ფანტასტიკურ ჩვენებასავით გადმომდგარ ტაძარს. გაოცებული შესცქეროდა ბავშვი იმ ტაძარში დავითის ფრესკას, მის დიდრონ, ცისფერ თვალებს, ნიკაპთან ოდნავ გაჭლალებულ წვერს, ალმასებით მოოჭვილ გვირგვინს, კეისრულ წითელ წაღებსა და ლოორს — ოლარისდარ სამხრეს, რომელიც თურმე — ეს უკვე დიდი ხნის შემდეგ, განსწავლის წლებში გაიგო მომავალმა მწერალმა — ეცვათ მარტო ბიზანტიის კეისრებს და საქართველოში კი მარტო დავითსა და თამარს. ახე გაიცნო ჯერ ისევ ბავშვმა მთავარი გმირი თავისი მომავალი უზარმაზარი ეპოპეისა „დავით აღმაშენებელი".

პორტრეტებიდან გაიცნო ბავშვმა ილია ჭავჭავაძეც. როგორც კი მორჩებოდა გაკვეთილების სწავლას, იღებდა ხელში ფანქარს და ხატავდა ილიას მაღალსა და ნათელ შუბლს, მის დიდრონ, სევდიან თვალებს და ოცნებობდა, ოცნებობდა ენახა ეს დიდი „პატერ პატრია" საქართველოსი. მაგრამ აგვისტოს ერთ საღამოს თავზარდამცემი ამბავი შეიტყო — ილია ჭავჭავაძე მოჰკლესო. ეს საშინელი ცნობა მოურჩენელ იარად დააჩნდა ბავშვის გულს.

თოთხმეტი წლის ბიჭი იყო კონსტანტინე, სიხარულით რომ გაეშურა საქართველოს დედაქალაქის სანახავად. გული დაეწვა ბიჭს, როცა თბილისს ჩამოსულმა დაინახა, რომ ქართული ასოები მარტო თონეებსა და სახაშეების აბრებზე იყო წარწერილი და არც ჩაქჩაქა ცხენიან ტრამვაიში, არც ქუჩაში ქართული არ ისმოდა.

„საშინელი შთაბეჭდილება დასტოვა ჩემზე ჩვენმა ტფილისმა, — იგონებს მწერალი, — რკინიგზის სადგურზე გრძელ ულვაშიანი ჟანდარმები დაძრწოდნენ დეზების ჩხარუნით. რიყის ქვით მოკირწყლულ ქუჩებში ჩაბალახიანი კაზაკები დააჯირითებდნენ თავიანთ ნახუქარ ცხენებს".

ყოველივე ეს ამწიფებდა ჭაბუკის სულში შეურიგებლობის გრძნობასა და სიძულვილს იმ რეჟიმისადმი, რომელიც რუსეთის იმპერიამ თავს მოახვია აუარებელ ხალხებს და მათ შორის — საქართველოს. სიჭაბუკის წლების ამ შთაბეჭდილებებმა დიდად განსაზღვრეს და გაძლიერეს ის მგზნებარე პატრიოტული მისწრაფებანი, რამაც ესოდენ მძაფრი გამოხატულება ჰპოვა მწერლის მთელ შემოქმედებაში, მის შესანიშნავ მოთხრობებსა და რომანებში.

1911 წელს კონსტანტინე ევროპაში გაემგზავრა, იქ იგი გაეცნო მოდერნისტული ლიტერატურის სკოლების ნაირსახეობებს და გაიზიარა მათი შემოქმედებითი პრინციპები. მწერალმა თავისებურად მოარიგა ეს მოდერნიზმი რეალიზმთან, რომელსაც ქართულ მწერლობაში უძლიერესი ტრადიციები ჰქონდა. ეს ნათლად გამოჩნდა მის პირველ რომანში, რომელსაც „დიონისოს ღიმილი" ეწოდება. ამ რომანის მთავარი გმირი — კონსტანტინე სავარსამიძე — სრულიად ახალი სახე იყო, სახე იმ ქართველი ინტელიგენტისა, რომელიც ეძებს გზებს თავისი სამშობლოს სულიერი აღდგომისა და აღორძინებისათვის. რთული და ძნელია ეს ძიება და ამ გზაზე არა ერთი მარცხი და ხიფათი უნდა განიცადოს ახალგაზრდა ინტელიგენტმა, მაგრამ ყველგან და ყოველთვის უცვლელი და ურყევი რჩება მისი სიყვარული სამშობლოსადმი. რეაქციის წლების საერთო გულგატეხილობამ მის სულშიც ღრმა კვალი დასტოვა, მაგრამ ეს მტანჯველი გრძნობაც დაძლია საქართველოს სიყვარულმა. „ისევ აქა ვარ, ჩემს მიწაზე, — აღსარებასავით ამბობს სავარსამიძე, — მახარებს საქართველოს მაღალი ზეცა. მე არსად მინახავს ასეთი თეთრი აქატის ღრუბლები, ასეთი გამჭვირვალე ჰაერი, არც ბალახს, არც ნეშოს ასეთი სურნელება არ უდის სხვაგან, ქვეყანას არ მოლანდებია ასეთი გაოენება.., მზეო, მზეო, ამოაშრე ჩემს სახსრებში უცხოეთში შეხრუტული ნისლი, მასწავლე შენი უშუალო მზერა და ღიმილი. რადგან მე არ მინდა ვგავდე იმ მახინჯსა და სიცილსგადაჩვეულ ინვალიდს; დედის ალერსს დანატრებული, შორეთს გაფრენილი, საცოდავი მარტოხელა ვარ, გულწითელას მართვე, შინ მობრუნებული".

„მთვარის მოტაცება", ეს ბრწყინვალე რომანი ოცდაათიანი წლების ქართულ ლიტერატურაში — ჭეშმარიტად ტრაგიკული წიგნი იყო, რომელმაც გვიჩვენა თუ რამდენი ზიანი, რამდენი უბედურება მოუტანა ქართულ სოფელს მთლიანმა კოლექტივიზაციამ, რომელმაც მეზობელი სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაჰკიდა მეზობელს, ამალა და დაანგრია ტრადიციული სახე ქართული ყოფისა, დასთესა შუღლი და მტრობა, როცა გუშინდელი კეთილი მეზობლები მოსისხლე მტრებად აქცია. ეს ნაწარმოები წამოცავდა დიდ სოციალურ პრობლემებსა და გამოსახავდა მწვავე ადამიანურ ვნებებს, რომელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა დაწვრილებით განხილვა ქართულ კრიტიკას, გასაგები მიზეზების გამო, დღემდე არ გაუკეთებია.

„დიდოსტატის მარჯვენაში“ ცოცხლდება ერთიანი საქართველოს შექმნის ისტორია. რომანის მთავარი პათოსის გამომსახველია კონსტანტინე არსაკიძე. ეს მუდამ წარმტაცი სახე ნამდვილი ზეცით შთაგონებული შემოქმედისა. იგი მზად არის სიცოცხლე, თვით სიყვარულიც ანაცვალოს იმ იდუმალ ძალას, რომელმაც მას სვეტიცხოვლის — გენიალური ჩანაფიქრი შთააგონა. „მხოლოდ ოსტატს ვერ დაეწევა სიკვდილიო“, ამბობს არსაკიძე და რომანის ავტორიც ამ უკვდავებას უმღერის, არა მარტო ერთი ოსტატის, არამედ მთელი ხალხის უკვდავებას. მოჰკვეთენ არსაკიძეს მარჯვენას, მაგრამ დარჩება სვეტიცხოველი, როგორც მარად უკვდავი გამობრწყინება მარტო ერთი კაცის კი არა, მთელი ერის სულიერი ძალ-ღონისა.

„დიდოსტატის მარჯვენას“ მეორე ასპექტიცა ჰქონდა, ეს როდი იყო მარტოოდენ ისტორიული რომანი; წიგნი შეფარულად, თუმცა ფრიად გამჭვირვალედ ეხმაურებოდა და უმიზნებდა თანამედროვეობასაც — აბა, ამას საჯაროდ ვინ იტყოდა, გულში კი ბევრმა იცოდა, რომ მწერალი ამ წიგნით აფრთხილებდა ქვეყნის მბრძანებელს — მარჯვენას ნუ მოსჭრი დიდოსტატს, თორემ დადგება განკითხვის დღე და მწარედ მოგკითხავენ ყველაფერსო.

ვრცელი ეპოპეის „დავით აღმაშენებლის“ განხილვა ამ მცირე მიმოხილვაში, ცხადია, შეუძლებელია. მარად გაუთავებელ შფოთიანობაში, ეჭვში, დარდში, სიყვარულში, გაუთავებელ ომებში იფერფლება დავითის სიცოცხლე, მაგრამ წარმოიქმნება მისი ხელით აშენებული საქართველოს სახელმწიფო, უფრო მაგარი და გამძლე, ვიდრე მანამდე იყო. და სწორედ ამიტომ გამსახურდიას წიგნებში ისტორია მკვდარი კი არ არის, არამედ გაუთავებელი სიცოცხლე და წარმოქმნაა.

●

ამ სტრიქონების ავტორი ნახევარი საუკუნის განმავლობაში ჯერ „ლიტერატურული გაზეთის“, შემდეგ ჟურნალების — „დროშისა“ და „მნათობის“ მთავარი რედაქტორი იყო. და მთელი ამ ხნის მანძილზე სამივე ამ რედაქციის თანამშრომელთათვის ყველაზე სასიხარულო და სანეტარო იყო ის დღე, როცა რედაქციის კარს კონსტანიტნე გამსახურდია შემოაღებდა. ჟურნალის ყველა თანამშრომელი ცდილობდა კონსტანტინეს შინაურ გარემოში ეგრძნო თავი, ვინაიდან ყველამ კარგად იცოდა, რომ ეს უბრალო სტუმარი არ იყო, სტუმარი არც ეთქმოდა, სტუმრები ჩვენ ვიყავით, ის კი აქაც პატრონი იყო, მასპინძელი იყო, ეს იყო დიდი ბატონი ქართული მხატვრული სიტყვისა და აზროვნების სფეროში; ამიტომ მისი სიტყვა ძირს არ დაიშვებოდა, კერძოდ, ფრიად აქტიურად ერეოდა ჟურნალის თემატიკის დაგეგმვაში, შეჰქონდა მასში კორექტივები და იძლეოდა უალრესად ძვირფას რჩევა-დარიგებას. და აი, 1970 წლის დასაწყისში მან შემდეგი ავტორისეული განაცხადი თუ ანოტაცია წარუდგინა „დროშის“ რედაქციას:

„შარშან, აღმოსავლეთ ბერლინში გამომცემლობა „Nation“-მა გამოაქვეყნა დიდი კრებული Tränen und Rosen — (ცრემლები და ვარდები). ამ კრებულში, რომელიც შეიცავს 532 გვერდს, შესულია ლექსები ომებისა და მშვიდობის შესახებ, დაწერილი 5,000 წლის მანძილზე.

დავასახელებ რამდენიმე მათგანს.

1. ანონიმი. ფრაგმენტი ერთი სუმერული პოემისა.

2. ში-კინგ (ლექსთა კრებული) უძველესი ლექსები ჩინური პოეზიისა.

3. ჰომერი. „დაისვენეთ იტაკელებო“ (ფრაგმენტი „ოდისეადან“).

4. „სპარსელნი“ ტიმოთეოს მილეთელისა, გაშიფრულია უძველესი ბერძნული პაპირუსიდან, რომელიც იპოვეს დიდი პირამიდის სამხრეთით.

5. ესხილოსის დანაოსის ასულთა ქორო.

6. დამაპადა, ძველი ინდური აფორიზმები.

7. „მშვიდობა“, არისტოფანეს კომედიის ფრაგმენტი.

8. აურელიოს პროპერციუსის ელეგიები.

9. საზავო ბალადა შარლ დ'ორლეანისა.

10. ვაჲ რამდენი გაჭირვებაა (ლუისიადეს ფრაგმენტი).

11. ინგლისი დიდხანს შეშლილი იყო (რიჩარდ III ფრაგმენტი).

12. „ომი“, იაკობ მიხაილ რაინჰოლდ ლენცისა.

13. ჰოი, მშვენიერო დღეო (შილლერის პიკოლომინის ფრაგმენტი) და კიდევ მრავალი ფრაგმენტი ევროპული ხალხების პოეზიიდან ამოღებული.

— ეს ლექსები „დროშის“ რედაქციის თხოვნით თარგმნა კონსტანტინე გამსახურდიამ.

ყველა ლექსი ურითმოდ ყოფილა ორიგინალში. მხოლოდ ჰომერის ოდისეას ფრაგმენტი ჰეგზამეტრით ითარგმნა“.

ეს ამბავი ნათლად მეტყველებს, თუ რაოდენ შემოუფარგლავი და მიჯნადაუდებელი იყო, დროისა და სივრცის თვალსაზრისით, მსოფლიო ისტორია და მსოფლიო ლიტერატურა კონსტანტინე გამსახურდიას შორსმჭვრეტელი ინტელექტისა და მისნური თვალისათვის. ის შინ იყო ყველგან, ყველა ქვეყანაში და საუკუნეში — შუმერსა და აქადის ქვეყანა იქნებოდა ეს, თუ ძველი ინდოეთი, ჰომეროსის სამყარო თუ ფარაონების ეგვიპტე, ანტიკური რომი თუ შუა საუკუნეების ევროპა, ხოლო რენესანსის ეპოქასა და მომდევნო საუკუნეებს, აქ მისთვის გაუხსნელი აღარ იყო არცერთი საიდუმლო. და

ამ ვრცელ პოეტურ ექსკურსში, თუ მოგზაურობაში საუკუნეების გრძელ მანძილზე, გამსახურდიამ აარჩია ყველაზე უფრო გულითადი მისწრაფებანი მსოფლიო პოეზიის ოსტატებისა, რომელნიც ცდილობდნენ მდგარიყვნენ ხალხთა სიცოცხლის სადარაჯოზე, ბოროტებისა და სიბნელის დასათრგუნად და დასაგმობად.

კეთილისა და ბოროტის ეს მსოფლიო-ისტორიული მასშტაბის ბრძოლა კონსტანტინე გამსახურდიას ასახული აქვს როგორც ფილოსოფიურ-ეთიკურ, ისე ესთეტიკურ ასპექტებში. მწერლის პირველივე საეტაპო რომანს — „დიონისოს ღიმილს" დედააზრივით გასდევს დაგმობა ომისა და არ მარტო პირველ თავში, რომელსაც ეწოდება „კაცი, რომელიც ველარ იცინის", არამედ მთელ რომანში; შემდეგ იგივე თემა გადადის რომანებში „მთვარის მოტაცებასა" და „ვაზის ყვავილობაში"; ქართველი მწერალი აქ მხარში ედგა თავის დიდ თანამედროვეებს, ჰუმანიზმის მოციქულებს — თომას მანს, რომელსაც პირადად იცნობდა, ანრი ბარბიუსს, ერნესტ ჰემინგუეის, ლიონ ფოიხტვანგერს, ერიხ მარია რემარკს, რომლის შესანიშნავი რომანი „დასავლეთის ფრონტი უცვლელია" გამოქვეყნებისთანავე თარგმნა კონსტანტინემ ქართულ ენაზე. ამიერიდან მისი სახელი მოიხსენიება არა მხოლოდ ქართული ლიტერატურის, არამედ მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში, რომელსაც მან არაერთი შედევრი შესძინა, რაც არაერთ გზის აღუნიშნავთ თვითონ ევროპელ მწერლებს.

გერმანულ ანთოლოგიაში კონსტანტინემ შეარჩია ერთი ფრიად საინტერესო ფრაგმენტი ძველი შუმერული ეპოსიდან „ენმერქარი და არათას ბატონი", რომელიც ამერიკელი შუმეროლოგის სემუელ კრამერის სიტყვით ყველაზე ადრინდელი პოემაა მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში, დაწერილი ოთხი ათასი წლის წინ და მაინც საოცარ უნისონშია ჩვენს თანამედროვეობასთან, თითქოს იგი მეოცე საუკუნის მტაცებლების სამხილებლად იყო დაწერილი; პოემა მოგვითხრობს მწვავე საერთაშორისო კონფლიქტზე ახლო აღმოსავლეთში, რომლის დროსაც სპარსეთის ყურესთან, ტიგროსსა და ევფრატს შორის მდებარე ურუქის ქვეყნის ბატონი ენმერქარი, მოქმედებს რა ძალის პოზიციიდან, ემუქრება მეზობლად მდებარე არათის ქვეყანას, რომ დაანგრევს და მიწასთან გაასწორებს მის ქალაქებს, თუ არათი ქედს არ მოიხრის და მას არ დაემორჩილება. თავის მხრივ, არათის ბატონი, ცხადია, ეწინააღმდეგება თავდამსხმელს, მაგრამ უბედურება ისაა, რომ ურუქის ქვეყანას მფარველობს ომის ქალღმერთი ინანა, იგი აიძულებს არათას მცხოვრებთ მიუტანონ ურუქის ბატონს აუარებელი ოქრო-ვერცხლი, ქვა-ლაჟვარდი და სხვა ძვირფასი ქვები. შემდეგ, არათის ქვეყანასაც გამოუჩნდება მფარველი და მხარდამჭერი — ეს არის იშქური, წვიმისა და ჭექა-ქუხილის ღმერთი... ასე თავდება მშვიდობის საუკუნე და იწყება ისტორია გაუთავებელი ომებისა, დღევანდლამდე რომ გრძელდება.

დიახ, დღევანდლამდე... აგერ ახლახან არ იყო, რომ ზუსტად იმ ადგილებში — ტიგროსსა და ევფრატს შუა მდებარე ქვეყნის — ერაყის პრეზიდენტმა სადამ ჰუსეინმა მიიტაცა მეზობლად მდებარე ქუვეითი, ერთი ეს არის, მშვენიერი ქალღმერთი ინანა და ჭექა-ქუხილის ღმერთი იშქური აღარ ჩარეულან ომში, სამაგიეროდ ჩაერია ჯორჯ ბუში და მაგრად აუწია ყური ერაყის პრეზიდენტს.

მაპატიეთ ეს მცირე გადახვევა. დავუბრუნდეთ ისევ შუმერულ ეპოსს, საიდანაც კონსტანტინემ შეარჩია ძალზე საინტერესო ფრაგმენტი. მასში აღწერილია ე. წ. ოქროს საუკუნე, როცა მთელ დედამიწაზე ადამიანები ძმები იყვნენ და არ იცოდნენ რას ნიშნავს სიტყვა „ომი". მშვიდობა — ეს ნატვრა და ოცნება იყო, რომელიც პირველად ლექსად გამოთქვეს შუმერებმა და შემდეგ საუკუნეებში მოედო მთელ მსოფლიოს. კერძოდ, იგი გვხვდება ძველ ბერძნულ მითოლოგიაში, ბიბლიის წიგნში „შესაქმე", ელინიზმის ეპოქის მწერლის იამბულის რომანში „მზის სახელმწიფო", სერვანტესმა იგი აღწერა თავის სახელგანთქმულ რომანში „დონ კიხოტი", რომელშიაც ვკითხულობთ: „ბედნიერი იყო ის დრო და ის საუკუნე, რომელსაც ჩვენმა წინაპრებმა ოქროს საუკუნე უწოდეს. მაშინ ყველგან მეგობრობა, მშვიდობა და სიყვარული მეფობდა, ცილი, სიცრუე, ვერაგობა სიმართლეს და გულახდილობას არა ჩრდილავდა და ყველგან წმინდა მართლმსაჯულება სუფევდა".

ახლა გავეცნოთ ძველი შუმერული ლექსის გამსახურდიასეულ თარგმანს:

ესე ამბავი მთლად შორიელი,
უცნაური და ძველთაგან ძველი,
არსად არ იყო არც მორიელი,
არ იყო არსად სისინა გველი.
არსად არ იყო ძუნძულა მგელი,
კაცთა მოდგმასაც არ ჰქონდა შიში,
არვის ესმოდა ვაი და ვიში.
არსად არ იყო ავი ფოცხვერი
და ადამიანს არ ჰყავდა მტერი.
არავინ იყო ზანტი, ზარმაცი,
როცა მეფობდნენ შუბურ, ჰარმაცი,
ისმოდა ყველგან ენა მრავალი
და საოცარი და უცნაური
ამ ვრცელ მიწაზე მეფობდა ური.
არავინ იყო აქ განაწყენი,
ღმერთს ადიდებდნენ ერთადერთ ენით.
ბოლოს მოვიდა თავისთავადი,
თავად მამფალი, თავად თავადი,
მერე დაერღვათ ხალხებს მშვიდობა,
ლაუცხრომელი, ვით წყალდიდობა,
მოვიდა მეფე ავი, სვიანი,
მონად აქცია ადამიანი.

სიტყვა შორიელი ამ თარგმანში მორიელის გასარითმავად როდია მოტანილი; როგორც ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი აღნიშნავს, ეს არის შორეულის არქაული ფორმა, და სავსებით დამახასიათებელია კონსატნტინე გამსახურდიას სტილისათვის.

ამას მოსდევს „გამარჯვებული ამირბარი" (ანონიმი. ეგვიპტე. 2.800 წელი ჩვენს წელთაღრიცხვამდე).

ეს ვაჟბატონი ბედნიერად დაბრუნებულა,
ბედუინები რა შემუსრა შეუწყნარებლად,
ეს ვაჟბატონი ბედნიერად დაბრუნებულა,
მას შემდეგ, რაც მან ციხეები დააქცევინა,
ეს ვაჟბატონი ბედნიერად დაბრუნებულა,
მას შემდეგ, რაც მან ვენახები დაათხრევინა,
ეს ვაჟბატონი ბედნიერად დაბრუნებულა,
მას შემდეგ, რაც მან ქოხმახები
დაანგრევინა.
ეს ვაჟბატონი ბედნიერად დაბრუნებულა,
მას შემდეგ, რაც მან ათას ვაჟკაცს წააჭრა
თავი,
ეს ვაჟბატონი ბედნიერად დაბრუნებულა,
მას შემდეგ, რაც მან ბორკილები შეაბა
ხალხებს,
ამ სვესვიანმა ამირბარმა შემაქო მეცა,
ქება შემასხა დიდებულმა
მხედართმთავარმა.

ლექსის ავტორი ჰგმობს მხედართმთავარს, რომელსაც აუოხრებია მეზობელი ქვეყანა, დაუნგრევია ღატაკთა ქოხმახები, გაუპარტახებია ვენახები, ათასი ვაჟკაცი მუხანათურად მოუკლავს, ხალხებისათვის ბორკილი დაუდვია და ამ საშინელი საქმეების ჩამდენს თავის თავი მაინც ბედნიერი ჰგონია. როგორც ჩანს, ლექსის ავტორი ან მხედართმთავრის ახლობელია, ანაც მის ლაშქარში ირიცხება.

აქვეა ლაოცი. გამოჩენილი სინოლოგი აკად. ვ. ალექსეევი აღნიშნავს, რომ ჯერ ისევ გადაუწყვეტელია საკითხი „ლაოცი მითია თუ ისტორიული პიროვნება, მართლა მას ეკუთვნის მისი სახელით ცნობილი წიგნი თუ ეს სხვადასხვაგვარი ამბების კრებულია, რატომ წავიდა იგი (თუ ეს მითი არ არის) დასავლეთში და სახელდობრ სად წავიდა? ეს ძნელად გადასაწყვეტი საკითხებია რომლებზეც, თუ პასუხი არ გავეცით, ამათ იქნება ყველა თარგმანები და თარგმანთა თარგმანებიც". მიუხედავად ამ გადაუჭრელი პრობლემისა, მაინც საინტერესოა მისი მცირე მოცულობის ლექსი, რომელშიც ვკითხულობთ:

იქ სადაც ომი მძვინვარებდა
გამოშრა მიწა,
ანწლმა, კაჭაჭმა დაიუფლეს
ჭვავის ყანები.

ამრიგად, ბატონი კონსტანტინე არა მარტო თავის ორიგინალურ თხზულებებში ეხებოდა ომისა და მშვიდობის თემებს, არამედ ღრმა ინტერესი ჰქონდა იმ უცხოური ქმნილებებისადმი, რომლებშიაც ადამიანი პროტესტს უცხადებს და ჰგმობს ამ ქვეყნად ყველაზე დიდ უსამართლობას — ომს.

გიორგი ნატროშვილი

„მე ბედნიერად ვთვლი ჩემს თავს როგორც ხელოვანი და მამულიშვილი ჩემი ვეყნის, რომ მე და ჩემს ხალხს შეგვიძლია უკან მოვიხედოთ და თვალით დავინახოთ, თუ როგორ უბრძოლია ქართველ ხალხს თავისი კულტურისა და თავისი ენის თავისთავადობისთვის.

ამ ხნის მანძილზე მრავალი ერი, მრავალი ტომი შეეწირა არსებობისათვის უსწორო ბრძოლას. მართალია ჩვენს ხალხს აბჯარი შემოაცვდა პერმანენტულ ომებში, მაგრამ მისი შეუდრეკელი სული თავგამეტებით იბრძოდა და იბრძვის დღესაც".

კონსტანტინე გამსახურდია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უკვდავი და უბერებელი

კონსტანტინე გამსახურდიას დაბადებიდან 100 წელი გასულა.

იგი არამარტო დიდად ნაყოფიერი მწერალი იყო, არამედ ფართოდ განათლებული ლიტერატორი და ფართოდ კოლორიტული პიროვნებაც.

მისი მემკვიდრეობა ათზე მეტ სქელტანიან ტომს შეიცავს, რომელთაგან მკითხველმა ბევრი გულწრფელად შეიყვარა, ხოლო ამ წიგნების გმირები თავისი ცხოვრების თანამგზავრად გაიხადა.

„დიონისეს ღიმილი“ და „დავით აღმაშენებელი“, „მთვარის მოტაცება“ და „დიდოსტატის მარჯვენა“ მეოცე საუკუნის ქართული მწერლობის მშვენებად დარჩა და მის ავტორს სიცოცხლეშივე მისი რომანის გმირის ზეწოდება „დიდოსტატი“ დაუმკვიდრა.

კ. გამსახურდია თავისი საქმისა და მოწოდების ჭეშმარიტი პროფესიონალი იყო, მწერლის მოვალეობას დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა და ახალგაზრდობასაც სულ ამას ჩააგონებდა.

ესოდენ დიდი ნაყოფიერებით გამორჩეულს, სხვა დანარჩენი საქმეებისათვის თითქმის დრო და მოცალეობა არ უნდა ყოფნოდა, მაგრამ მას ამოუწურავი ენერგია ჰქონდა და ამ ენერგიას ხელგაშლილად ხარჯავდა ბევრი საქვეყნო საქმისათვის.

მისი მოწოდება მწერლობაშიც და ცხოვრებაშიც თავისი სათაყვანო სამშობლოს სამსახური იყო და იგი ხმალამოღებული იბრძოდა მშობელი ხალხისა და მისი ენის უფლებების დასაცავად. მას ხშირად უხდებოდა ბეწვის ხიდეზე გავლა იმ ძნელ დროში, როცა ყოველგვარი ეროვნული საქმე იდევნებოდა და ქართული ენის ქომაგობა პოლიტიკურ დაუმორჩილებლობის ტოლფასი იყო.

კონსტანტინე ბუნებით პოეტი იყო და ეს კარგად ჩანს მის პროზაშიც. უთუოდ კარგად გაგებული „პროზის პოეტურობა“ აძლევდა სტიმულს ბევრ მის თაყვანისმცემლებს ზეპირად დაესწავლათ მისი ბელეტრისტული შედევრების საუკეთესო პასაჟები.

მისთვის უცხო იყო სნობობა და კარჩაკეტილობა, ცხოვრების შუაგულში ტრიალი უყვარდა და პატივს სცემდა ქართველი ხალხის ცოცხალ ტრადიციებს. კონსტანტინე ახალგაზრდობის საუკეთესო მრჩეველი და მეგობარიც იყო და მისი მომდევნო ბევრი კარგი მწერალი არაერთხელ ყოფილა მისი ყურადღებითა და კეთილგანწყობილებით დავალებული.

როცა იგი 85 წლისა გახდა, ჩვენ მასთან შეთანხმებით, მისი საიუბილეო ზეიმი საქართველოში გამართულ საბჭოთა კავშირის ხალხთა დღეებს დავამთხვიეთ და ქართული კულტურის ამ ზეიმში მონაწილეობა მივაღებინეთ ბევრ ჩვენში კარგად ცნობილ მწერლებთან ერთად, საგანგებოდ მოწვეულ უცხოეთის გამოჩენილ მწერლებთან. სწორედ ასეთი მასშტაბები შეეფერებოდა მის მწერლურ რანგსა და დამსახურებას.

კონსტანტინე უკვდავია და ამიტომ იგი დღესაც ჩვენთან არის.

ასი წლის კონსტანტინე მისი გმირების — არსაკიძისა და თარაშ ემხვარის მსგავსად, მარად უბერებელ ჭაბუკად გვევლინება დღესაც, როცა ხორცს ისხამს მისი უპირველესი ოცნება — საქართველოს თავისუფლება.

გრიგოლ აბაშიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უკანასკნელი დიალოგი

უკანასკნელად მე მას ვესაუბრე 1975 წლის 17 ივნისს.

საწოლ ოთახში, სადაც ზვიადი შემიძღვა, მწუხრისფერი იდგა. დარაბები ჩაეკეტათ. სიბნელეს თვალი რომ შევაჩვიე, ზურგით ბალიშსმიყრდნობილი, ნახევრადმწოლიარე საყვარელი მოძღვრის სახე ძლივს გავარჩიე.

საწოლის მარჯვენა მხარეს ხეში გამოთლილი სვეტიცხოველი იდგა.

მამავ ბატონო, რევაზ მიშველაძეა. თქვენთან შეკითხვები აქვს, დღეისთვის დავიბარეთო, — ზვიადმა.

კარგა ხანს ხმა არ გაუღია.

თვითონ გამოგელაპარაკება, ეცადე, რასაც გეტყვის, სწრაფად ჩაიწერო, არ გაამეორებინო, თორემ გაგიბრაზდებაო, მიჩურჩულა ზვიადმა და დაგვტოვა.

კარგა ხნის შემდეგ გამომხედა და მომესმა შორიდან, გულის სიღრმიდან წამოსული, გაბზარული ხმა:

— რა გაგჭირვებია, ყმაწვილო?

შევბედე მოკრძალებული თხოვნა; ლიტერატურული საუბრისთვის გეახელით-მეთქი. ოპერაციამდე გთხოვეთ, მაგრამ მაშინ ვერ მოიცალეთ-მეთქი.

თანახმა ვარ, მაგრამ დიდხანს ლაპარაკი არ შემიძლია და გრძელი კითხვები არ მომცეო.

ლაპარაკობდა ხმადაბლა, ხრინწგარეული ხმით, შესამჩნევი მეგრული აქცენტით. ხშირად ახველებდა და პირზე ცხვირსახოცს იდებდა. თანაც არც ის ეშლებოდა, რომ ხველების შემდეგ ბოდიში მოეხადა ჩემთვის, ეს ხველება მაინც რატომღა დამჩემდა, ჩანს ძალიან დავსუსტდიო.

სამი დღის შემდეგ გადაბეჭდილი დიალოგი მივუტანე.

თავიდან ბოლომდე წამაკითხა. მცირეოდენი რამ შემასწორებინა, ერთი ორი გვარი ჩამამატებინა. გამომართვა და ბოლო გვერდზე დააწერა: „თანახმა ვარ გამოქვეყნდეს. კონსტანტინე გამსახურდია, 21/VI.75 წ.“ მერე გადმოიღო და თავისი რუსული სამტომეულის პირველი ტომი მაჩუქა ავტოგრაფით.

ამის შემდეგ დიდხანს აღარ უცოცხლია.

სულ რაღაც ერთ თვეში სამუდამოდ დახუჭა თვალები.

დიდოსტატის სიკვდილიდან ორი-სამი თვეც არ გასულა, ჩვენი ვრცელი საუბარი სათაურით „უკანასკნელი დიალოგი“ გამოვაქვეყნე „განთიადის“ სექტემბერ-ოქტომბრის ნომერში.

ახლაც ყურში ჩამესმის ბატონი კონსტანტინეს ნათქვამი:

„ის, რაც თქვენ სამწერლო დიდებად მიგაჩნიათ, ჩემთან ძალიან გვიან მოვიდა...

მე ვწერდი, ვნადირობდი, ვცხოვრობდი. კლასიკოსის დაფნის გვირგვინი არც დამსიზმრებია. იგი ყოველთვის სხვათა წილხვედრი მეგონა“...

„თანამედროვება იშვიათად აფასებს ღირსეულებს. დაფნის გვირგვინი ხშირად სრულიად სხვას, შემთხვევითს, რიგითს ადგას თავზე...“

ჩემს კითხვაზე, რატომ არ წავიდა თქვენს მიერ ნაჩვენები სწორი გზით ქართული ენის განვითარება-მეთქი, მიპასუხა:

„ძნელია ენდო ცოცხალ კონსტანტინე გამსახურდიას. ძნელია მისი ეპიგონთა ამალაში ყოფნა. მე რომ ასი წლის წინათ მეცხოვრა, სხვა ამბავია. დღეისთვის უკვე ენის საკითხშიც ავტორიტეტი ვიქნებოდი“.

კრიტიკაზე რა აზრისა ხართ-მეთქი, რომ ვკითხე, გამოცოცხლდა:

„შემოვა, ხანდახან, ჩემთან ჯავრით

გაბერილი მწერალი და შემომჩივლებს; მიშველე, უსამართლოდ მაკრიტიკებენო.

— მერე რა მოხდა? — ვიცინი მე — გაკრიტიკებენ? მაგას რა სჯობია. ესე იგი არსებობ. ანგარიშს გიწევენ. შენით ინტერესდებიან, შენზე მუშაობენ...“

კითხვაზე; რომელი რომანის წერა გაგიჭირდათ-მეთქი ყველაზე მეტად, მიპასუხა:

„განსაკუთრებით გამიჭირდა „დავით აღმაშენებლის“ წერა. დავით აღმაშენებლისადმი ბავშვობიდანვე მოკრძალებას და შიშსაც განვიცდიდი. მერე ბედმა მარგუნა ისე შევთამამებოდი დავითს, რომ დამეწერა, როგორ ილაპარაკებდა იგი, როგორ მოიქცეოდა ამა თუ იმ სიტუაციაში. ეს, ჩემი მხრივ, დიდი შებედვა იყო მეფის მიმართ, რომელსაც მწერლობაშიც დიდ ავტორიტეტად ვთვლიდი. „გალობანი სინანულისანი“ დიდი მწერლის დაწერილია.

ასევე მიჭირს ახლა „თამარის“ წერა. თამარ მეფე ჩვენმა ხალხმა სრულიად სამართლიანად გააღმერთა. იგი ჩვენი დიდი დედაა. ბრძენი, ულამაზესი, შორსმჭვრეტელი. მაგრამ, ამავე დროს, თამარი ქალი გახლდათ და თავისი ადამიანური ვნებები ჰქონდა. მოდი ახლა და იმ ვნებებზე, ხანდახან მიწიერ საკითხებზეც ელაპარაკე მკითხველს, რომლისთვისაც თამარი თითქმის ზეციური არსებაა. არა და, ჩემი რომანის ღირებულება არარა იქნება, თუ მე თამარი დავხატე მხოლოდ ბრძენ მეფედ და არ ვაჩვენე როგორც ქალი...“

როგორ შეადგენდით-მეთქი მეოცე საუკუნის ქართული პოეზიის ხუთეულს?

„გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ლეონიძე, კონსტანტინე ჭიჭინაძე, ირაკლი აბაშიძე. შოთა ნიშნიანიძე. მიყვარს აგრეთვე ანა კალანდაძე. იოსებ ნონეშვილი და მუხრან მაჭავარიანი“.

რა არ ვკითხე გათამამებულმა; მდიდარი კაცი თუ ხართ-მეთქი, სპორტი თუ გიყვართ-მეთქი. პირადი მეგობრებიც კი ჩამოვათვლევინე.

ახლა, როცა ამ დიალოგს ვკითხულობ, ორი რამ მაოცებს: კონსტანტინე გამსახურდიას ღვთაებრივი უბრალოებით შეფარული სიდიადე და ჩემი წრეგადასული სითამამე.

დავლალე იმ დღეს ავადმყოფი კლასიკოსი მეოცე საუკუნისა, მაგრამ ისტორიას სამუდამოდ შემოვუნახე მისი უკანასკნელი დღეების სუნთქვა, მომაკვდავის ფიქრები და შეხედულებანი.

ვაი თუ წოლა გამიგრძელდეს, გვიან შემოდგომაზე ჭალადიდში ლორზე სანადიროდ ვაპირებო წასვლას.

მეუბნებოდა დიდი ბავშვი, დიდი არტისტი, რომანტიკოსი და მეოცნებე, თუმცა მის სანადირო თოფს კარგა ათი წელი იყო ბოლი აღარ ამოსვლოდა ლულიდან და დიდოსტატს უკანასკნელ ხანებში ზედიზედ დატყდომოდა თავს წუთისოფლის საშინელი განსაცდელი: — ქ-ნი მირანდას და თამარის წასვლა ამქვეყნიდან... უმძიმესი ოპერაცია...

დგას ახლა ძეგლად საუკუნის ქართველ მწერალთა ამაყი სარდალი. მისებურად მოკუმული ტუჩებით, ქორის თვალებით, კუშტად გაჰყურებს შორეთს.

იგი მკაცრიცაა და უაღრესად კეთილიც, წინასწარმეტყველიც და გულუბრყვილოც, პრაქტიკოსიც და მეოცნებეც.

იგი უნებლიე შეცდომას გაპატიებს, მაგრამ სიმხდალეს და სულმდაბლობას არასოდეს.

**რევაზ მიშველაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ისევ დგას მტკიცედ „კოლხური კოშკი“

ჯერ კიდევ მოსწავლეობის დროს, ცოდვა გამხელილი სჯობია, არ მინდოდა ჩვეულებრივ „ადამიანურ ფორმაში“ მენახა გალაკტიონ ტაბიძისა და კონსტანტინე გამსახურდიას ხატი. როცა თბილისში ჩამოვედი, სულკურთხეული გალაკტიონი უკვე მთაწმინდაზე განისვენებდა, დიდი კონსტანტინე კი ისევ მკლავმოუდლელად ებრძოდა გარსმოჯარულ სიტყვათა ლაშქარს...

მხოლოდდა ერთხელ ვნახე შორიდან. უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში ვისხედით სტუდენტები. ბატონი კონსტანტინე პრეზიდიუმში მომნუსხველი მზერით უსმენდა რომელიღაც ორატორს... რაღაც საოცრად ამაღლებული განცდები მქონდა. არ მინდოდა დამეჯერებინა, რომ „დიონისოს ღიმილი“, „მთვარის მოტაცება“, „დიდოსტატის მარჯვენა“, „დავით აღმაშენებელი“... შექმნილია ისეთი ხორცქმნილი ადამიანის მიერ, რომელიც ჩვენსავით მიწაზე დააბიჯებს, სუნთქავს, ლაპარაკობს, იღიმის ან შუბლშეჭმუხვნილია... დიახ, ერთხელ ვნახე შორიდან და, ასე მგონია, ეს მხოლოდ ზმანება იყო, წამიერი მოლანდება... სხვა არაფერი!

სამაგიეროდ, დაქირავებულ ბინაში მარტომყოფი, გულშეჭირვებისას ხშირად ავიღებდი დიდოსტატის რომელიმე წიგნს და, ვინ იცის მერამდენედ, წავიკითხავდი ხოლმე ზოგიერთ ადგილს. ღმერთმანი, უჩვეულო რამ ხდებოდა ჩემში, რაღაც მაგიური ძალა მემატებოდა, ვლონიერდებოდი, ვმხნევდებოდი, ვნათლდებოდი, დიდი ერის დიდ წარსულს ვეზიარებოდი; დიდგორით გადიდგულებულს მავიწყდებოდა კრწანისის ტრაგედია, მიმტკიცდებოდა რწმენა, რომ შეუძლებელია ჩვენი ძირფესვის ამოძირკვა თუ გადაშენება...

იმ ავადსახსენებელ წლებში, ზოგიერთი მწერალი „ფაშისტს“ ეძახდა ბატონ კონსტანტინეს, რადგან ის საქართველოში ქართული კულტურის ჰეგემონიას მოითხოვდა. დიდოსტატს ხშირად უთანასწორო ბრძოლაში უწევდა თავის დაცვა, მიუხედავად ამისა, სხვათა გადასარჩენადაც უბრძოლია ხმალშემართულს.

ერთხელ, დიდებული პოეტის ლადო ასათიანის დამ — ქალბატონმა მედეამ მითხრა: — არქივში სტენოგრაფიული ჩანაწერები წავიკითხე. 1940 წელს მწერალთა საქალაქო კონფერენციაზე განსაკუთრებით აკრიტიკებდნენ ახალგაზრდა პოეტებს, შეეხნენ ჟურნალ „ჩვენ თაობაში“ დაბეჭდილ მასალებს, აღინიშნა, რომ პოეზიაში ცუდადაა საქმე, ჟურნალში გამოქვეყნებული ლექსები არ ასახავენ ჩვენს თანადროულობასო. მაგალითისათვის მომხსენებელმა წაიკითხა ლადო ასათიანის ლექსი „ალბომიდან“ და სხვ.

ახალგაზრდების დასაცავად გამოვიდა ბატონი კონსტანტინე გამსახურდია და განაცხადა: — ახალგაზრდა მწერლებს თქვენ ეუბნებით: გოგონებზე და სიყვარულზე რატომ წერთო. რად გინდათ ახალგაზრდამ ერთი და იგივე ალილუია იძახოს, ე. ი. თუ ლექსს დაწერს სტალინზე — კარგია, თუ არადა — მიუღებელიაო... ბოლოს ქალბატონმა მედეამ დასძინა: — „მთვარის მოტაცების“ ავტორმა კონფერენციაზე კატეგორიულად მხარი დაუჭირა გაკრიტიკებულ ახალგაზრდა მწერლებს. ეს იმ დროს სარისკო იყო, მაგრამ დიდი კაცი, მართლაცდა ყველაფერში დიდიაო...

ბატონი კონსტანტინე ბრძანებდა: „მახვილის ამოღება გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე ძლევამოსილად ჩაგე-

ბა მისი“... სიტყვებთან მუხლჩაუხრელად მებრძოლი დიდოსტატის მახვილი — კალამი კარგახანია ძლევამოსილად ჩაგებულია. ამით დიდმა მოძღვარმა „უკანასკნელი ომიც“ მოიგო.

ერთ-ერთი გამოჩენილი ქართველი მწერალი წერდა: „კოლხური კოშკიდან“ ყოველთვის უშიშრად, გაბედულად და გონივრულად ებრძოდნენო ბოროტების იმპერიას...

ისევ დგას მტკიცედ „კოლხური კოშკი“, როგორც სიმბოლო მტერთან ჩვენი გამარჯვებისა. და, ურყევად იქნება მანამ სანამ ერთი ქართველი მაინც წაიკითხავს დიდოსტატი კონსტანტინეს მზედაუვალ სტრიქონებს!

ზაურ მოლაშხია

---

●

„საკუთარი ენის გაღრმავება და გაალმასება, ისეთივე დიდი საქმეა, როგორც ხმალშემართულად დაცვა მამულისა, მხოლოდ ეგაა, მეომარი ერთ ომში იცავს თავის ქვეყანას, ხოლო შემოქმედი ნაციონალური ენისა, ამას მიელტვის — სამარადჟამო სადენი გაუკეთოს საკუთარი ხალხის შემეცნებას და მსოფლგაგებას“.

●

„ჩვენი საუკუნის ცხოვრების გართულებამ, თავათ ქართველი კაცის მოქმედების ასპარეზის გაფართოვებამ, მე მაიძულა იგი გამომეხატა არა მარტო ლიხს გაღმა და ლიხს გამოღმა, არამედ მსოფლიო ცენტრებშიც, ქართველი კაცი არა მარტო ცხენზე, ურემზე და ტივზე დამჯდარი, არამედ საერთაშორისო ვაგონში, ჰაეროპლანზე მჯდომი, ზღვაზე და ხმელეთზე მოხეტიალე“.

●

„ქართულმა მწერლობამ უდიდესი როლი შეასრულა პატრიოტიზმის კეთილშობილი გრძნობის გაღვივებაში, ეს ითქმის განსაკუთრებით მეცხრამეტე საუკუნის მიმართ... ჩვენ იარებიც ბევრი მიგვილია ამ პატრიოტიზმის სახელით, ბევრ ტყვიასაც გადაუვლია ჩვენ თავზე, მაგრამ პატრიოტიზმი უბრალო მოვალეობაა როგორც ყოველი მწერლისა, ისე უბრალო მოქალაქისა და მოვალეობის ასრულებით ჩვენ არასოდეს არ დაგვიტრაბახნია“.

●

„ჩვენ პატივს ვცემთ ყოველ ხალხს და ყოველ ენას, მიუხედავად ამისა სხვათა ენისა და ლიტერატურის ტრადიციების ჩვენს თავზე მოხვევას არ დავანებებთ არავის“.

კონსტანტინე გამსახურდია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიდოსტატის ლეგენდა

ჩვენი თაობა უმშვენიერესი ლეგენდით იზრდებოდა.

ეს იყო ლეგენდა სიმამაცისა და შეუპოვრობის, სიბრძნისა და მამულიშვილობის შესახებ. იგი თავს დასტრიალებდა ტირანიით დათრგუნვილ მეოცე საუკუნის საქართველოს და არ ანებებდა დაქანცული მონის უდრტვინველ ძილს მისცემოდა, რაც ჩვენი ერისთვის საბედისწერო აღმოჩნდებოდა უთუოდ.

ლეგენდის სათავეში დიდოსტატი კონსტანტინე იდგა.

ლეგენდარული ბრძენისა და ოსტატის მიერ შექმნილ, ასევე ლეგენდარულ სამყაროში ლეგენდარული გმირები ცხოვრობდნენ.

ამ გმირების უპირველესი საზრუნავი საქართველო იყო. თითოეულ მათგანს განუმეორებელი ხიბლი ახლდა, ყოველი მათგანი ღრმად იბუდებდა სულსა და გონებაში, თავის კვალზე, თავის ნებაზე, თავისი მაგალითისამებრ გვიწვევდა სამშობლოს სამსახურად.

ამ სამყაროში მუდამ რაინდული რკენა და ხმალთაკვეთება გაისმოდა. იქ საქართველო არ იყო ტირანიით დათრგუნვილი, უსახელო და უსახარულო კოლონია, იქ დიდი საქართველო იყო, მსოფლიო ორომტრიალში ჩაბმული, სელჯუკიანთა იმპერიასთან მორკინალი დავითის საქართველო, აზიისა და ევროპის გზაჯვარედინზე მდებარე, ჩრდილოეთისა და სამხრეთის ხალხებში განთქმული, მტერთათვის ზარდამცემი და მოყვასთათვის კეთილის მიმგები ქრისტიანული საქართველო.

ის დიდი, ამაყი და თავისუფალი საქართველო იბრძოდა დღევანდელი ტანჯული და კოლონიური საქართველოს გადასარჩენად. ახალი დროის ქართველთა სულიერი წყობა და ეროვნული იდეალები ამ სამყაროს ხატების ფონზე ყალიბდებოდა. დროთა უწყვეტი კავშირი არ გვანებებდა მორეული ფესვებისა და მორეული იდეალების დავიწყებას, იგი გადაულახავ დაბრკოლებად და შეულახავ სიწმინდედ ელობებოდა წინ სიცრუითა და სისასტიკით გაჟღენთილ, თავბრუდამხვევ სატანურ იდეოლოგიას.

ამ ლეგენდარული სამყაროს შემოქმედიც თავისი გმირებისამებრ, მთელი ცხოვრების მანძილზე ხმალამოღებული იდგა საქართველოს სულიერების სადარაჯოზე, ნიადაგ ებრძოდა სატანის მიერ აღძრულ ძალებს, ერკინებოდა ბნელსა და ბოროტს, და უნდა ითქვას, რომ იგი იმდენად მძლავრი, დიადი და შეუვალი იყო, თვით სატანის მსახურთაც კი აიძულებდა რიდითა და მოკრძალებით მოპქცეოდნენ.

საქართველოს თავისუფლებაზე მეოცნებეთა ფიქრი და იმედიანი მზერა დიდოსტატის კოლხური კოშკისკენ მიემართებოდა; მტკიცე გალავნით შემოზღუდულ, ერთადერთი აუღებელი ეროვნული ციტადელისაკენ, რომელსაც დიდი მეციხოვნე იცავდა და ყოველგნით დევნილ ეროვნული თავისუფლების იდეალებს ახალ, მაცოცხლებელ სულს შთაბერავდა.

იგი მეცხრამეტე საუკუნის დიდ სამოციანელთა პირდაპირი მემკვიდრე იყო და ჩვენს საუკუნეში ერის სულიერი მოძღვარის მისია სწორედ მას არგუნა ბედმა. იგივე ბედმა ინება, რომ დიდოსტატს ბოლომდე გაეხარჯა უსაზღვრო ენერგია, შემოქმედებითი ტალანტი და მშობლიური ქვეყნისთვის, მთელი კაცობრიობისათვის ფასდაუდებელი საგანძური დაეტოვებინა. თუმცა ამ საგანძურს, როგორც მთლია-

ხად საქართველოს ყოფიერებას. იმპერიული ბნელეთი ფარავდა და ცივილიზებული კაცობრიობა მას მომავალში აღმოაჩენს.

კონსტანტინე გამსახურდიამ განუზომელი კვალი დაჩნია მეოცე საუკუნის საქართველოს ინტელექტუალურ ცხოვრებას, აზროვნებას, ეროვნულ სულისკვეთებას, ესთეტიკურ სამყაროს...

უპირველესად იგი იყო სიტყვის დიდოსტატი. ილვწოდა როგორც ენის რეფორმატორი და უამრავი მივიწყებული, გარდასულ დროთა ფოლიანტებში გაუჩინარებული კეთილხმოვანი სიტყვა აღადგინა მკვდრეთით და კვლავ ახალი სიცოცხლე მიანიჭა. ქართული ენა მისი უპირველესი ზრუნვის საგანი იყო. მთელი სიცოცხლის მანძილზე მედგრად იბრძოდა მშობლიური ენის შეურყვნელობისათვის. ხმალშემართული იცავდა იმ საგანძურს, რომლის წართმევა და მიტაცება ჯერ ვერ შესძლო რუსულმა იმპერიალიზმმა, თუმცა საამისო მცდელობა არ დაუკლია არც გასულ და არც მიმდინარე საუკუნეში. ენის სოლცარი გრძნობით, სილბოთი და მოქნილობით არის გამორჩეული მისი უკვდავი ქმნილებები: განუმეორებელი არტისტიზმი, ზომიერება, სილაღე და თავისუფლება ახასიათებდა ენასთან დამოკიდებულებაში, შორს იყო თვითმიზნური ენობრივი ექსპერიმენტებისაგან, რაც ზოგჯერ კარგ ქართულადაც კი საღდება. თუმცა ავტორისაგან ენაზე თვითნებობის დასტური უფროა.

უვრცესია მისი მხატვრული სამყარო, ზღვასავით დაუშრობელი, დიადი და მონუმენტური...

მთელი თავისი ცხოვრებით ბატონმა კონსტანტინემ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ გენიოსობა მარტოდენ ნიჭი როდია, არამედ შრომისმოყვარეობის, ნებისყოფის და ადამიანური სიმტკიცის გარეშე ღირებულს ვერაფერს შექმნის მწერალი. არავინ იცის რამდენ ტომს მოიცავს მისი თხზულებები. მისი შემოქმედების მასშტაბები მხოლოდ მომავალი საქართველოსთვის გახდება ცნობილი.

როგორც ყოველი დიდი კლასიკოსის ღვაწლი, ბატონი კონსტანტინეს ამაგიც განუზომელია საქართველოზე. იგი კონკრეტული და ზოგადი გაგებით მონაწილე და სულისჩამდგმელია იმ ბრძოლებისა, ამჟამად ჩვენი სამშობლო რომ ეწევა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. ჩვენს გვერდით დგას დიდოსტატის მიერ შექმნილი ლეგენდარული სამყარო — თავისუფალი და სახელგასმენილი, დიდი დავითის საქართველო და ვისაც უებრო ხელოვნებით შექმნილი ამგვარი ხატი ეგულება სამაგალითოდ, ბოლომდე იბრძოლებს თავისუფლებისათვის. დიდოსტატის ლეგენდა გრძელდება.

**დავით მჭედლური**

„მე ძალიან მოუცლელი და დაღლილი ვარ, მაგრამ ქართული ენის სადარაჯოზე დგომისათვის მუდამ მზადა ვარ. ჩვენ — ქართველმა მწერლებმა ხმალი უნდა ვიშიშვლოთ მშობლიური ენის თავანკარობის დასაცავად".

**კონსტანტინე გამსახურდია**

ეროვნული ბიბლიოთეკა



პაატა სურგულაძე

# საქართველოს ეროვნული საბჭო

1918 წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღესვე უზენაესი საკანონმდებლო ორგანო გახდა ეროვნული საბჭო, რომელიც 1917 წ. 19 ნოემბერს შეიქმნა. ეროვნულ საბჭოში და მთავრობაში წამყვანი პოზიცია სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ დაიკავა. ეს პარტია სახელმწიფოს სათავეში მივიდა წინასწარ შემუშავებული პროგრამით, რომლის თეორიული წანამძღვრები წარმოდგენილია ნოე ჟორდანიას ნაშრომში „სოციალ-დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფო ორგანიზაცია".

ნ. ჟორდანია მიუთითებდა, რომ ქართველ სოციალ-დემოკრატიას მსოფლიო მასშტაბით პირველად უხდება გამოვიდეს ქვეყნის ბატონ-პატრონის როლში. აქამდე სხვადასხვა ქვეყნებში ეს პარტია მთავრობაზე ახდენდა ერთგვარ ზეგავლენას, რომ გამოცემული კანონები სოციალისტური შინაარსისა ყოფილიყო, (შვეიცარია, ფინეთი), ჩვენ კი „სახელმწიფოს ვაშენებთ არა მარტო კანონების გამოცემით, არამედ — ჩვენი სისხლითაც".

...ჩვენ სახელმწიფოს ვუყენებთ გარკვეულ ნათელ მიზანს: საზოგადოების სოციალურ ნიადაგზე გარდაქმნას, მაგრამ როცა ამ მიზნისკენ მივისწრაფვით, აუცილებლად უნდა გავიაროთ საჭირო პოლიტიკურ-ეკონომიკური საფეხურები. ამ საფეხურებს ჩვენ გვერდს ვერ ავუვლით, ვერც ნახტომებს გავაკეთებთ.

ნ. ჟორდანია სოციალ-დემოკრატიის პროგრამის პირველ საფეხურად მიიჩნევს ძველი რეჟიმის დამხობას და ახალ დემოკრატიული წყობილების დამყარებას. აკრიტიკებს რა ბოლშევიკურ პლატფორმას, იგი აღნიშნავს: „ბოლშევიკებმა მოინდომეს დაბალი საფეხურიდან უმაღლესზე გადახტომა, ერთი ნახტომით ძველი რეჟიმის სამეფოდან სოციალიზმის სამეფოში შესვლა, გვერდი აუარეს დემოკრატიას, მოატყუეს ისტორია, მაგრამ თვითვე დარჩნენ მოტყუებულნი. ამით მათ გაიმეორეს ბლანკიზმი".

●

საქართველოს ეროვნული საბჭო დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველივე დღეებიდანვე შეუდგა ხელისუფლების ორგანიზაციის და სახელმწიფოებრივი მშენებლობის საქმეს. სამანდატო კომისიამ, რომელიც ყველა პარტიის წარმომადგენელთაგან იქნა არჩეული, მიზანშეწონილად სცნო და დაადგინა, რომ ეროვნული საბჭოს შემადგენლობა გადიდებულიყო — 120 კაცამდე. დამატებულთა რაოდენობა ასე განაწილდა: სოციალურ-დემოკრატიულ პარტიას — 16; სოციალისტ-ფედერალისტებს — 5; ეროვნულ დემოკრატებს — 5; ალიონისტებს — 1*.

„ეროვნული საბჭოს" წევრთა ერთ ნაწილში კანონზომიერად გაჩნდა საკითხი იმის თაობაზე, რომ მართებული იქნებოდა თუ არა ეროვნული საბჭოს სახელით ემოქმედა იმ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს, რომელიც მრავალეროვანი საქართველოს ყველა მოქალაქის ინტერესთა დამცველად იყო მოწოდებული. „ეროვნული საბჭოს" სახელწოდების შეცვლის საკითხი დაისვა კიდეც ოქტომბრის დამდეგს, საბჭოს 44-ე სხდომაზე. ამ საკითხის შესახებ მოხსენებით გამოვიდა პავლე საყვარელიძე (ალიონი), რომელმაც წარადგინა საკონსტიტუციო კომისიის აზრი, „ეროვნული საბჭოსათვის" ახალი სახელის შერქმევის შესახებ. ამ საკითხზე პაექრობისას, რაშიც მონაწილეობდნენ ალ. ლომთათიძე (სოც. დემოკრ.) ივ. ჩერქეზიშვილი (სოც. რევ.), რ. გაბაშვილი (ერ. დემოკრ.) ექვთ. თაყაიშვილი (ერ. დემოკრ.) და სხვები, მსჯელობა გაიმართა მრავალი შემოთავაზებული სახელწოდების შესახებ. მრავალი სახელწოდება საბოლოოდ დაყვანილ იქნა 3 წინადადებაზე: 1. „საქართველოს პარლამენტი" (სოც. დემოკრ. ფრაქციის წინადადება); 2. „საქართველოს სახალხო საბჭო", (სოციალისტ-რევოლუციონერთა ფრაქცია), 3. „საქართველოს რესპუბლიკური საბჭო" (სოციალისტ-ფედერალისტთა ფრაქცია). კენჭისყრის შედეგად ხმის უმრავლესობა სოციალ-დემოკრატთა ფრაქციის წინადადებამ მოიპოვა (40 მომხ.—30 წინ). ამრიგად, უმრავლესობის გადაწყვეტილებით 1918 წლის ოქტომბრიდან „ეროვნულ საბჭოს" ეწოდა „საქართველოს პარლამენტი".

---

* საქართველოს ეროვნული საბჭოს, 1 სხდომა. სტენოგრაფიული ანგარიში. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკის დამატება, 1918, თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ეროვნული საბჭოს" 6 სექტემბრის სხდომაზე განხილულ იქნა ეროვნული დროშის საკითხი. მოხსენებით გამოვიდა მწერალი კონსტანტინე მაყაშვილი (დამოუკიდ. პარტია), რომელმაც მოიხილა საქართველოს ეროვნული დროშების ისტორია. მანვე ისიც აღნიშნა, რომ ეროვნული დროშის საკითხი იდგა 1917 წელს ინტერპარტიულ საბჭოში, რომელმაც ამ საკითხზე საკონსულტაციოდ მოიწვია ივანე ჯავახიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, მხატვარი დიმიტრი შევარდნაძე, მოქანდაკე ი. ნიკოლაძე და სხვები. პარლამენტში ეროვნული დროშის პროექტი წარადგინა ნიკო ნიკოლაძემ. ეს იყო სამფეროვანი დროშა, რომლის ალამი უმეტეს წილად შინდის ფერისაა. ალმის სიგრძის ორ მეხუთედს შეადგენს თეთრი და შავი ზოლები. რა თქმა უნდა, — ამბობდა მომხსენებელი, — ეს დროშა არის ერთგვარი კომპოზიცია, მაგრამ რადგანაც ეს დროშა იყო გაშლილი შარშან ნოემბერში ეროვნულ ყრილობაზედ, რადგან ამ დროშის ქვეშ გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა და, გარდა ამისა, ეს დროშა უკვე მოინათლა ბრძოლის ცეცხლში, ამგვარად იგი იქცა ისტორიულად და მე მგონია, ახლა ჩვენ ვალდებული ვართ, რომ კანონით დავადასტუროთ მისი არსებობა". ეროვნული დროშის თაობაზეც მრავალი აზრი იქნა წამოყენებული (ალ. ლომთათიძე, რ. გაბაშვილი, რ. არსენიძე), კენჭისყრით ეროვნული დროშის შემოთავაზებული პროექტი დამტკიცებულ იქნა.

„ეროვნული საბჭოს" რამდენიმე სხდომაზე იხილებოდა ეროვნული ღერბის საკითხი, რომელზედაც მოხსენება კვლავ კოტე მაყაშვილს ჰქონდა დაკისრებული. ღერბის საკითხი საქართველოს დამოუკიდებლობის დღიდანვე დაისვა, როცა ქართული ფულის მოჭრის საჭიროება დადგა. კომისიამ მიიწვია სპეციალისტები — ისტორიკოსები, მხატვრები (ივ. ჯავახიშვილი, ე. თაყაიშვილი, აბაკელია, ამირეჯიბი, წუწუნავა, შარაშიძე და სხვ.), კომისიამ იმთავითვე სცნო საჭიროდ, რომ საქართველოს ღერბზე გამოხატული ყოფილიყო თეთრი გიორგი შვიდი მნათობით. იყო წინადადებაც, რომ ღერბზე გამოხატულიყო გათავისუფლებული ამირანი. კომისიამ მხარი თეთრ გიორგის დაუჭირა. მიზანშეწონილად სცნო აგრეთვე დროშაზე, ღერბზე და სხვა რეგალიებზე გამოსახულიყო 7 მნათობი და მთვარე როგორც „7 მთავარ თემების და სამმართველოების, გაერთიანებული საქართველოს სახელმწიფოებრივი სიმბოლო". კამათის შემდეგ შედგა კენჭისყრა. ხმების უმრავლესობით (33, 17) დადგინდა საქართველოს რესპუბლიკის ღერბად თეთრი გიორგის გამოცხადება.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ეროვნულ საბჭოს უნდა გადაეწყვიტა, იყო პარლამენტში ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლობა. იგი უშუალოდ უკავშირდებოდა რესპუბლიკის მოქალაქეობის სტატუსის განსაზღვრას. დაისვა საკითხი უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში არაქართველ მოქალაქეთა წარმომადგენლობის წესის შესახებ. დამოუკიდებლობის აქტის მეშვიდე მუხლში აღნიშნულია, რომ ეროვნული საბჭო შევსებულ იქნას ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით. 29 მაისის სხდომაზე ასეთი წარმომადგენლობის აუცილებლობა კანონით იქნა დადასტურებული.

ეროვნული საბჭოს სამანდატო კომისია გულმოდგინეთ სწავლობდა ამ საკითხს. მან გაარკვია საქართველოს ტერიტორიაზე ეროვნულ უმცირესობათა საერთო რაოდენობა და მიიღო ასეთი მონაცემები:

სომხები — 200 000
თათრები — 30 000
აფხაზები — 60 ათასი
ოსები 45-50 ათასი
ქართველი ისრაელობა — 40 ათასი
ბერძნები — 21 ათასი
გერმანელები — 8 ათასი
დანარჩენი ებრაელები — 7 ათასი.

— „რაც შეეხება რუსებს — აღნიშნავდა მომხსენებელი შ. მიქელაძე (სოც. ფედერ.), საბჭოს 6 სექტემბრის სხდომაზე, — ჩვენ მივიღეთ მხედველობაში, რომ რუსების რიცხვი საქართველოში თუმცა 100 ათასს აღემატება, მაგრამ ამ რიცხვიდან საქართველოს საზღვრებში მხოლოდ ნახევარი დარჩება როგორც საქართველოს მოქალაქე, ე. ი. 50 ათასამდე".

სამანდატო კომისია ანგარიშს უწევდა იმას, რომ რესპუბლიკის არც ერთი ეროვნების მოქალაქე ეროვნულ საკრებულოში წარმომადგენლობის გარეშე არ უნდა დარჩენილიყო. ამის გამო, ისეთ მცირე რიცხოვან მოქალაქეებს, როგორიც იყვნენ, მაგალითად, გერმანელები, ან ებრაელები, თითო ხმა ჰქონდათ განკუთვნილი.

საკითხმა ეროვნული საბჭოს სხვადასხვა ფრაქციათა ცხოველი კამათი გამოიწვია. ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლობის მიზანშეწონილობას არცერთი ფრაქცია არ უარყოფდა, მაგრამ აზრთა სხვადასხვაობა იყო წარმომადგენლობათა ოდენობაზე, ზოგიერთი ეთნიკური ერთეულის უფლებაზე ასეთი წარმომადგენლობისა და აგრეთვე იმის შესახებ, ჩაეთვალათ თუ არა ეროვნულ უმცირესობაში ეროვნული საბჭოს ის წევრები, რომლებიც მის შემადგენლობაში ადრევე იყვნენ შეყვანილნი.

ეროვნული საბჭოს 38-ე სხდომაზე კანონი ეროვნული უმცირესობათა წარმომადგენლობის შესახებ საბოლოოდ ასე ჩამოყალიბდა: „მიეცეს უფლება საქართველოს ეროვნულ საბჭოში 26 წარმომადგენლის არჩევისა, იმ ეროვნულ უმცირესობას, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზედ მოსახლეობს და საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთაგან შედგება, — სახელდობრ":

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | |
|---|---|
| სომხებს — 10 | ოსებს — 2 |
| თათრებს — 4 | ქართველ ისრაელებს — 2 |
| აფხაზებს — 3 | ებრაელებს — 1 |
| რუსებს — 2 | ბერძნებს — 1 |
| | გერმანელებს — 1 |

კანონში მითითებული იყო: „ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლები უნდა გამოგზავნონ ამ ერების ეროვნულმა საბჭოებმა, რომელნიც არჩეულნი არიან საქართველოს მოქალაქეების მიერ და საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში მოქმედებენ. შენიშვნაში ნათქვამია: „სადაც ასეთი საბჭო არ არსებობს, საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრის არჩევის უფლება მიეცეთ ისეთ ერის წარმომადგენლებს, რომელნიც არჩეულნი არიან სხვადასხვა დემოკრატიულ დაწესებულებაში საქართველოს რესპუბლიკაში".

„ეროვნულმა საბჭომ" (პარლამენტმა) განიხილა და დააკანონა მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტის დებულება. იურიდიული კომისიის თავმჯდომარე რაფიელ ივანიცკი (ეროვნ-დემოკრატი), რომელმაც საბჭოს სხდომაზე ეს საკითხი დააყენა განსახილველად, ამბობდა: „სახელმწიფოს წინსვლა და კეთილდღეობა უეჭველად დამოკიდებულია მართლმსაჯულების წესიერ მოწყობაზე. ეს ისეთი აქსიომეტრიული ჭეშმარიტებაა, რომელიც საზოგადოდ კულტურულგანვითარებულსა და რიგიანად მოწყობილ სახელმწიფოში არავისში ეჭვს არ ბადებს. მით უმეტეს, სავალდებულოა სასამართლოს საქმის წესიერად მოწყობა ისეთს სახელმწიფოსათვის, რომელიც აღმაშენებლობითს ხანაში იმყოფება... ჩემის აზრით, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა მივიდა იმ ვადამდე, როდესაც რაც დასანგრევი იყო, უნდა აღიარებულ იქნას დანგრეულად... სასამართლო არის ის დარგი, რომელზედაც განსაკუთრებით ემყარება სახელმწიფოს კეთილდღეობა".

ეროვნულ საბჭოს ამ სხდომაზე განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო ვრცელი სიტყვა იუსტიციის მინისტრ შლავა მესხიშვილისა, რომელმაც მიმოიხილა სასამართლოს რეფორმა რუსეთის იმპერიაში. თავისი არსით იგი პროგრესული იყო, მაგრამ თვითმპყრობელურმა რეჟიმმა თავისი ინსტრუქციებით, ცირკულარებით მეტად შეზღუდა და გააქარწყლა მისი დამოუკიდებლობა — შენიშნავდა მომხსენებელი. ისიც აღნიშნა, რომ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი, რომელიც რუსეთში ასეთუ ისე ნორმალურ საფუძველზე იყო მოწყობილი, ჩვენში დამახინჯებულად იქნა გადმოტანილი. „მე მოვალედ ვთვლი ჩემს თავს ვაუწყო ეროვნულ საბჭოს, რომ შემადგენლობა ამ სასამართლოსი და ყველა იმ ორგანიზაციებისა, რომელიც საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკას შერჩა ხელში თავისუფლების გამოცხადების შემდეგ, ხრულიად არ შეეფერება ჩვენს მდგომარეობას, ჩვენ პოლიტიკურ ინტერესებს და ჩვენს მისწრაფებებს".

მომხსენებელმა საგანგებოდ გაამახვილა ყურადღება სასამართლოს გაეროვნულებაზე: „მე ვფიქრობ, რომ ძალიან მოკლე მომავალში, მთელი საქართველოს ტერიტორიაზე სამართალი იქნება ქართულ ენაზე. მხოლოდ იმ რაიონებში, სადაც უმრავლესობა არა ქართული მოსახლეობაა, მათ მიცემული ექნებათ ყოველგვარი გარანტია თავიანთი უფლების დაცვისა". მომხსენებელმა, ამასთან, საბჭოს ნათლად წარუდგინა ამ ღონისძიების განხორციელების სიძნელე და დაბრკოლებანი. ერთ-ერთ დაბრკოლებად მიიჩნია ქართული იურიდიული ტერმინოლოგიის არ არსებობა და დააყენა საკითხი სპეციალისტთა მიერ ქართული იურიდიული ტერმინოლოგიის შემუშავების შესახებ. მოითხოვა აგრეთვე ზედა ინსტანციის უმაღლესი სასამართლოს შექმნა, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის, სასამართლოს ამ მთავარი ღერძის — შემოღება და სხვ.

ეროვნულ საბჭოში დიდი კამათი გამოიწვია მომრიგებელ მოსამართლეთა შესახებ წარმოდგენილი კანონის მე-17 მუხლმა, სადაც არაქართველი ერის ნაწილი შეადგენს მცხოვრებთა თვალსაჩინო უმცირესობას, ყოველგვარი ქაღალდის შეტანა სასამართლოში და სიტყვიერი განმარტება შეიძლება მოხდეს უმცირესობის ენაზე, ამავე ენაზე უფლება აქვთ უსასყიდლოდ მოითხოვონ ყოველგვარი სასამართლოს წესით განსაზღვრული ქაღალდების ასლი, თუ ბრალდებული, ან ორივე მხარე სამოქალაქო საქმეში მოითხოვენ საქმის გარჩევას უმცირესობის ენაზე და მოსამართლემ ან მოსამართლეთ ყრილობამ იცის ეს ენა, საქმის სიტყვიერი წარმოება უნდა მოხდეს ამ ენაზედ. ამ მუხლის აუცილებლობას იცავდა სოციალ-დემოკრატიული პარტია. მის მკვეთრ მოწინააღმდეგედ გამოვიდნენ ეროვნული დემოკრატები. „ვისაც ესმის რა არის სასამართლო ამბობდა ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის წარმომადგენელი იოსებ მაჭავარიანი, — ის დამეთანხმება, რომ თუ იმდენ ენაზე ვაწარმოებთ სასამართლოებში საქმეები, რამდენ ენაზეც მოლაპარაკე საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩნდება, მაშინ ჩვენ მოვსპობთ ჩქარ სასამართლო პრინციპს, ვინაიდან მოსამართლე ერთ სახელმწიფო ენაზე ერთ დღეში თუ მოასწრებს ათი საქმის გარჩევას, ორს ენაზე ვერ მოახერხებს ორი საქმის გათავებასაც და ამასთან ჩვენ მეტად გავაძვირებთ თვით სასამართლო აპარატს, ვინაიდან დაგვჭირდება მეტი მოსამართლენი, მეტი მოხელენი და სხვადასხვა, რაც მძიმე ტვირთად დააწვება ხალხს... თუ თქვენ ეს კანონი მიიღეთ, მაშინ რა ნება გექნებათ იგივე უფლება არ მიანიჭოთ არა ქართველ ერის ნაწილებს ყოველივე საქართველოს სახელმწიფოებრივ დაწესებულებებში, და თუ სასამართლოებში, სკოლებში, საკანონმდებლო და აღმასრულებელ დაწესებულებებში იმდენ ენაზედ ვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოეთ წერილობითი საქმეები, რამდენ ენაზე მოლაპარაკე მოქალაქე საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩნდება, საქართველოს სახელმწიფო კი არ იქმნება ის, არამედ რაღაც უცნაური ბაბილონის გოდოლი, რომლის დაშლის და დანგრევის დღეები დახათვლილი გვექნება". იოსებ მაჭავარიანის დებულების წინააღმდეგ გაილაშქრა სოციალისტ-ფედერალისტთა ფრაქციის წარმომადგენელმა იასე ბარათაშვილმა, რომელმაც მართებულად მიიჩნია კანონში მე-17 მუხლის დატოვება.

კენჭისყრის შედეგად ეროვნულმა საბჭომ ამ მუხლის ამოღება კანონიდან მიზანშეწონილად ჩათვალა. საბჭომ გააუქმა სოფლის სასამართლოები და მათი ქვემდებარე დაუმთავრებელი საქმეები გადასცა მომრიგებელ მოსამართლეთ. ამასთან დაამტკიცა შტატები მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტისა.

სასამართლო ინსტიტუტების ორგანიზაციის, პარლამენტში ეროვნული უმცირესობათა წარმომადგენლობის შესახებ კანონები ორგანიულად იყო დაკავშირებული საქართველოს სახელმწიფო ენის სტატუსის განსაზღვრასთან. სახელმწიფო ენის დებულება უაღრესად პრინციპული მნიშვნელობა იყო მრავალეროვანი საქართველოს ვითარებაში, და ბუნებრივია, ამ საკითხის განხილვას საფუძვლიანი კამათი მოჰყვა.

სახელმწიფო ენის საკითხი გაკვრით უკვე იხილებოდა ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლობის კანონთან დაკავშირებით, მაგრამ საგანგებოდ, მთელი სიგრძე-სიგანით იგი დაისვა ეროვნული საბჭოს 42-ე სხდომაზე, 27 სექტემბერს. მოხსენებით ამ საკითხზე გამოვიდა სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წარმომადგენელი რაჟდენ არსენიძე, რომელმაც მოითხოვა დაკანონებულიყო უმცირესობის უფლებები მისი ენის ხმარებისა პარლამენტში.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებმა (ს. კედია, შ. ქარუმიძე) არ გაიზიარეს ეს თვალსაზრისი და მოითხოვეს პარლამენტში მხოლოდ სახელმწიფო ენა დამკვიდრებულიყო.

პარლამენტმა საბოლოოდ მიიღო კანონი, რომ საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო ენა არის ქართული ენა; შენიშვნით: ეროვნულ უმცირესობათა ენის ხმარება სხვა და სხვა დაწესებულებაში ცალკე კანონით განისაზღვრება.

საქართველოს ეროვნულ საბჭოში ყოველნაირი საქმის წარმოება და კამათი უნდა იყოს ქართულს ენაზედ.

ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელს, რომელმაც სახელმწიფო ენა არ იცის, შეუძლიან სიტყვა წარმოთქვას დედაენით. შენიშვნა: წესი ენის ხმარებისა და თარგმნისა განისაზღვრება რეგლამენტით, რომელსაც საბჭო შეიმუშავებს.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის ერთერთ მტკიცე გარანტიას წარმოადგენდა ადგილობრივი მმართველობის მოგვარება. თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ საქართველოს მაზრებისა და სოფლების მართველობაში არსებითი ცვლილება არ მომხდარა. მართალია, „ოზაკომის" მითითებით საქართველოში ჩატარდა ადგილობრივ ორგანოთა არჩევნები, მაგრამ იგი მოუმზადებელი იყო და ფორმალურ არჩევნებში ხმის უმეტესობა სოფლის შეძლებულმა პირებმა მოიპოვეს. ადგილობრივი მართველობის ორგანოთა თვითნებობასა და განუკითხაობაზე იმდროინდელ პრესაში ბევრი იწერებოდა.

„ეროვნულმა საბჭომ" ადგილობრივი მმართველობის ორგანოების შექმნას იმთავითვე მიაქცია ყურადღება. სათანადო კომისიაში ამ საკითხის შესწავლის შემდეგ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საქართველოში საერობო მმართველობათა შემოღების შესახებ. როგორც ცნობილია, საერობო რეფორმა რუსეთში XIX ს. 60-იან წლებში გატარდა. კოლონიური საქართველო, ისე როგორც სხვა განაპირა არარუსული რაიონები, მაშინ არ ჩათვალეს ერობათა ღირსად. საერობო მოძრაობა საქართველოში ფართოდ იყო გაჩაღებული მთელს რევოლუციამდელ პერიოდში. განსაკუთრებით აქტიური ხასიათი ჰქონდა მას 1915-1917 წლებში, მაგრამ ცარიზმმა ყოველი საშუალებით გააჭიანურა საერობო მართველობის პრაქტიკული განხორციელება და ისე დაემხო, რომ იგი არ აღირსა საქართველოს.

საერობო მმართველობის შემოღების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 1918 წლის მეორე ნახევარში. პირველ რიგში განხორციელდა სამაზრო ერობათა შექმნა. ერობები და საქალაქო თვითმართველობანი აღიარებულ იქნა იმ საფუძვლად, რომელზედაც უნდა აშენებულიყო თვით სახელმწიფო. ამით სახელმწიფოებრივი ძალაუფლება განაწილებულ იქნა ცენტრსა და პერიფერიებს შორის. ეროვნულმა საბჭომ ერობებსა და საქალაქო თვითმართველობებს დააკისრა ადგილობრივი საქმეების მოვლა-პატრონობა (საექიმო-სანიტარული პუნქტების გახსნა, საცდელ მეურნეობათა მოწყობა, ჭაობების ამოშრობა, ადგილობრივ წარმოებათა ორგანიზაცია და მრავალი სხვა) ერობები, ამასთან, ადმინისტრაციულ ფუნქციებსაც ახორციელებდნენ. ერობათა უფლება-მოვალეობანი საბოლოოდ ჩამოყალიბებული არ ყოფილა. მშენებლობის პროცესში მყოფი ეს ორგანოები საბოლოოდ ხვეწდნენ თავიანთ ფუნქციებს, რამაც, შემდეგ ასახვა პოვა დამფუძნებელი კრების მიერ შემუშავებულ კონსტიტუციაში. სამაზრო ერობებთან ერთად შეიქმნა სათემო ერობანიც. ერობათა ხარჯებს ფარავდა სახელმწიფო თავის ბიუჯეტიდან.

1918 წლის ბოლოს ჩამოყალიბდა რესპუბლიკის ერობათა კავშირი. მისი მოვალეობა იყო სამაზრო და სათემო ერობათა საერთო-ხელმძღვანელობა და მათთვის დახმარება. საერობო სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კითხები შუქდებოდა სპეციალურ გამოცემაში „ერობის" სახელწოდებით. ერობათა კავშირის მსგავსად ჩამოყალიბდა ქალაქთა კავშირიც, რომელიც დახმარებას უწევდა ცალკეულ ქალაქებს. ერობებმა და საქალაქო თვითმმართველობებმა ფართო გასაქანი მისცეს ხალხის ინიციატივას ადგილობრივი ცხოვრების ორგანიზაციის ყველა დარგში. ერობები სავსებით თავისუფალნი იყვნენ იმ ბიუროკრატიული აპარატშჩინისაგან, რომელიც შემდეგ საბჭოთა სისტემამ მოიტანა.

პარლამენტის თითქმის ყველა სხდომაზე ირჩეოდა ეროვნული კულტურის განვითარების საკითხები. ძირითად და მთავარ ამოცანად მიჩნეული იყო სკოლის გაეროვნულება და სასკოლო ქსელის გაფართოება. დამუშავებულ იქნა საყოველთაო განათლების გეგმა, რომელსაც საფუძვლად დაედო სწავლება მშობლიურ ენაზე. განათლების სამინისტროსთან შეიქმნა საგანგებო კომიტეტი ცნობილ მეცნიერთა და პედაგოგთა მონაწილეობით, რომლებიც დეტალებამდე ამუშავებდნენ სასკოლო განათლების ორგანიზაციასა და პროგრამულ საკითხებს. სხვადასხვა სამაზრო ცენტრებში გაიხსნა ჳამასწავლებლო სემინარები, თბილისში, უნივერსიტეტის ბაზაზე ჩამოყალიბდა უმაღლესი პედაგოგიური ინსტიტუტი. ფართო ყურადღება მიექცა სასკოლო მშენებლობას. თუ რევოლუციის წინ საქართველოში 864 სკოლა იყო აღრიცხული, 1921 წლის დამდეგისთავის იგი 1924-მდე გაიზარდა (162000 მოსწავლით).

ეროვნული საბჭო განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდა ეროვნულ უმცირესობათა განათლების საქმესაც. საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში არსებობდა 60 რუსული, 81 სომხური, 31 თათრული, 66 ბერძნული, 48 ოსური სკოლა. რა თქმა უნდა, ახლადშობილ დამოუკიდებელ რესპუბლიკას უჭირდა სკოლების უზრუნველყოფა კვალიფიციურ პედაგოგთა კადრებით, სათანადო ინვენტარით. მასწავლებლობაც დიდ მატერიალურ-საყოფაცხოვრებო გაჭირვებას განიცდიდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, იყო საოცრად დიდი ენთუზიაზმი სახალხო განათლების საქმის ეროვნულ საწყისებზე შემობრუნებასა და მის წარმატებათა უზრუნველყოფაში.

ეროვნულ უმაღლეს განათლებას, როგორც ცნობილია, საფუძველი საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე ჩაეყარა. ივ. ჯავახიშვილისა და მის ირგვლივ შემოკრებილ მოღვაწეთა კერძო ინიციატივით უნივერსიტეტი თბილისში გაიხსნა 1918 წლ. იანვარში, თუმცა უნდა ითქვას, რომ ამ საშვილიშვილო საქმეს იმთავითვე გვერდით დაუდგა საქართველოს ეროვნული საბჭო, რომლის თავმჯდომარე აკაკი ჩხენკელი განაგებდა უნივერსიტეტის დაარსების გამგეობას.

დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე თბილისის უნივერსიტეტი, რომელსაც კერძო სახსრებით არსებობა უჭირდა, ეროვნული საბჭოს ზრუნვის საგანი გახდა. 1918 წ. აგვისტოში ეროვნულმა საბჭომ დააყენა უნივერსიტეტის სახელმწიფო დაწესებულებად გარდაქმნის საკითხი. მოხსენებით ამ საკითხზე გამოვიდა განათლების მინისტრი გიორგი ლასხიშვილი. ფართო მსჯელობით, რომელშიაც ყველა ფრაქცია მონაწილეობდა, დადგინდა უნივერსიტეტის აყვანა სახელმწიფოებრივ მზრუნველობაში მისთვის ავტონომიის შენარჩუნებით. დამტკიცდა უნივერსიტეტის განაწესი, საშტატო შემადგენლობა, ბიუჯეტი და სხვ.

დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველსავე წელს უმნიშვნელოვანესი ღონისძიებანი განხორციელდა კულტურის სხვადასხვა სფეროშიც: პარლამენტისა და მთავრობის ხელშეწყობით გაიხსნა საქართველოს კონსერვატორია, დაიდგა ქართული ოპერები, შეიქმნა პირველი სამეცნიერო დაწესებულებანი, საზღვაგარეთ სწავლის მისაღებად გაიგზავნა 75 ახალგაზრდა, ქართულ თეატრს გადაეცა საუკეთესო შენობა და მრ. სხვ. კულტურულ ღონისძიებებზე სახელმწიფო ხარჯები გეგმით წლიურად ნავარაუდევი 165 მილიონი მანეთიდან გაიზარდა 450 მილიონ მანეთამდე. „ჩვენი ქვეყნის მებატონე — აღნიშნავს გრ. ურატაძე, — მომავალში მიუდგომლობით აღნიშნავს, თუ როგორ და რა სისწრაფით ხორცს ისხამდა და იფურჩქნებოდა გამოღვიძებული ეროვნული სული".

●

დამოუკიდებელ საქართველოს თავისი ეკონომიკური ცხოვრების აწყობის ყველა პირობა ჰქონდა. საკმარისი ტერიტორია, მჭიდრო მოსახლეობა, მდიდარი და მრავალფეროვანი ბუნება, ბუნებრივი რესურსები, ზღვაზე გასასვლელი, — ერთი სიტყვით, ყველა კომპონენტი მისი ეკონომიკური წინსვლის სამსახურად იყო მოწოდებული. თუ ამას დავუმატებთ სახელმწიფოებრივი ცხოვრების დიდ ტრადიციას, მისი ხალხის მაღალ შრომითსა და პოლიტიკურ კულტურას, დემოკრატიული საქართველოს მომავალი სასიკეთო და პერსპექტიული ჩანდა.

მაგრამ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის კონკრეტულ მომენტში მისი ეკონომიკური მდგომარეობა ძალზე გართულებული იყო. საქართველოზე, ისე როგორც მთელ რუსეთის იმპერიაზე, დამანგრეველი გავლენა იქონია პირველმა მსოფლიო ომმა, რომელიც ოთხი წელი მძვინვარებდა. ომს ზედ დაერთო რევოლუცია რუსეთში, რამაც კიდევ უფრო მეტად შეარყია ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა. — „შეაჩე-

---

*. კ. კანდელაკი, საქართველოს ეროვნული მეურნეობა. წიგნი მეორე, პარიზი, 1960 წ. გვ. 12.

რა ისედაც ჩამორჩენილი რუსეთის მრეწველობა, დააზარალა სოფლის მეურნეობა, მოშალა ტრანსპორტი. დასცა შრომის ნაყოფიერება, აწეწ-დაწეწა ფინანსები. ერთი სიტყვით, მოიტანა ომისა და რევოლუციის პირველ ხანებს ჩვეულებრივად ყველგან და ყოველთვის თანდაყოლილი მოვლენები".

დამოუკიდებლობის დროისათვის საქართველო იძულებული იყო ეომა ოსმალეთთან. ამასთან, ოსმალეთის ფრონტიდან 1917 წლ. დეკემბრის ბოლოს მოხსნილი ვებერთელა არმია ნამდვილად „შემოესია" საქართველოს, ოსმალეთმა ამასთან დაიკავა ქ. ბათუმი და მთელი ბათუმის ოლქი.

რუსეთში მძვინვარე სამოქალაქო ომის ვითარებაში საქართველოსთვის მთლიანად დაიხურა რუსეთის ბაზარი, რომელზედაც საქართველო იყო დამოკიდებული. რუსეთის ბაზრიდან გამოთიშვა მოხდა იმ დროს, როცა ევროპასთან ეკონომიკური ურთიერთობის გაბმა, საომარი მდგომარეობის გამო, გამორიცხული აღმოჩნდა.

უმძიმეს ეკონომიკურ ვითარებაში, რაც ჩვენი ქვეყნის საუკუნოვანი კოლონიური ჩაგვრით, ხოლო 1914-1918 წლებში ომით გამოწვეული სამეურნეო ნგრევით იყო შეპირობებული, ხალხისთვის ნორმალური ეკონომიკური ცხოვრების პირობების შექმნა გამორიცხული ჩანდა. ეს ვერ მოახერხეს რუსეთის იმპერიისაგან ჩამოცილებულმა ისეთმა ქვეყნებმაც კი (ფინეთი, პოლონეთი, ბალტიისპირა რესპუბლიკები), რომელთაც საამისოდ გაცილებით უკეთესი პირობები ჰქონდათ. ამიტომ იყო რომ დამოუკიდებლობის წლებში კიდევ უფრო უჭირდა ჩვენს მრეწველობას, ვიდრე მსოფლიო ომის წინ, გაჩანაგებული იყო სოფლის მეურნეობა, დეფიციტით ხასიათდებოდა ბიუჯეტი და აწეწილი იყო საფინანსო ვითარება, მოშლილი იყო ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა.

ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის ეს სიძნელენი, რის უარყოფა ცხადია, შეუძლებელია, ქართველ საბჭოთა მკვლევარებს აძლევდა უხვ მასალას იმისათვის, რომ დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველოს ეკონომიკა წარმოესახათ მეტად მუქ ფერებში და დაესკვნათ, რომ „მენშევიკებმა დაღუპეს საქართველო", რომ დაღმავალი გზით მიმავალი ეკონომიკა განწირული იყო კატასტროფისათვის; საბჭოურ წყობილებას რომ არ ეშველა მისთვისო.

მაგრამ სამართლიანი მკვლევარი, თუ იგი ფაქტებსა და მოვლენებს შეხედავს მათს ყველა განზომილებაში და შეზღუდული არ არის დეკრეტირებული სტერეოტიპებით, 1917-1921 წლების საქართველოს ეკონომიკური ცხოვრების ანალიზისას შეამჩნევს საპირისპირო ტენდენციას: მიუხედავად დიდი სიძნელეებისა, საქართველოს ეკონომიკური ვითარება თანდათან მიდიოდა წინ, აღმავლობისაკენ და აღორძინების ტენდენციით ხასიათდებოდა.

„შექმნა იმის, რაც საუკუნის განმავლობაში არ გაკეთებულა და აკლდა საქართველოს, შეუძლებელი იყო მისი დამოუკიდებლად არსებობის სულ მცირე ხნის განმავლობაში. საპარლამენტო ქვეყნებში ხშირად ერთი მნიშვნელოვანი კანონის მიღებას და ცხოვრებაში გატარებას უნდებიან ხოლმე. ამდენად, დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკური კატასტროფის ნიადაგზე კი არ დაღუპულა და ცოტა უფრო დიდხანს რომ გაეძლო მას, ყველასათვის თვალსაჩინო შეიქმნებოდა. თუ რა ადრე და რამდენად უსაფუძვლოდ ლაპარაკობენ ეკონომიკური კატასტროფის შესახებ ჩვენში", — აღნიშნავს კ. კანდელაკი. იგივე მოსაზრებისაა გრ. ლორთქიფანიძე, რომელიც შენიშნავს: „დამოუკიდებელმა საქართველომ საშინელი ეკონომიკური და ფინანსური მემკვიდრეობა მიიღო რუსეთისაგან. მას არ გააჩნდა თავისი მრეწველობა. მას არ გააჩნდა არავითარი ფინანსური რესურსები. მას ირგვლივ შემორტყმული ჰქონდა საშინელი შიმშილისა და ეკონომიკური განადგურების ალყა. არცერთი სახელმწიფო მას ეკონომიურად არ ეხმარებოდა... მისი სასოფლო მეურნეობის მაღალი კულტურა, ღვინო, თამბაქო, აბრეშუმი, ბამბა, თხილი, დაფნა და სხვა კარგავს ბაზარს და ნადგურდება. მას წინადაც არასოდეს არ ქონია შიგნით მოწეული საკმარისი პური, ხოლო ახლა მრავალი ათასი უცხო შემოხიზნული და ლტოლვილი გაუხდა სარჩენათ. აი ასეთი უნუგეშო იყო საქართველოს ეკონომიურ-ფინანსური მემკვიდრეობა და საფუძველი და ამის შემდეგ საკვირველი ის კი არ არის, თუ რატომ იმ საშინელი მსოფლიო მიწისვრებისა და საერთაშორისო გრიგალების დროს ვერ შექმნა საქართველომ მტკიცე ფინანსები და აყვავებული მრეწველობა, არამედ საოცარია ის, თუ როგორ შეძლო ამდენი რამ ქართველმა ხალხმა".

დამოუკიდებელი საქართველოს მეურნეობის ღრმა ანალიზი მოცემულია ვაჭრობისა და ფინანსთა მინისტრის კონსტანტინე კანდელაკის ვრცელ ნარკვევში, რომელიც მან გამოსცა პარიზში 1980 წელს. ამ ნაშრომის მონაცემებით საქართველოს ეროვნული საბჭო ქვეყნის ეკონომიკურ პრობლემებს თითქმის ყველა სხდომებზე განიხილავდა. საბჭოს სათანადო კომისიები ამუშავებდნენ და პარლამენტს უდგენდნენ სასურსათო პრობლემების მოგვარების, მზარდ სიძვირესთან და სპეკულაციასთან ბრძოლის; მუშათა კლასის, ინტელიგენციის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღმავლობის; საგარეო ვაჭრობის გაცხოველების, ქართული ფულის შექმნისა და მისი კურსის განმტკიცების საკითხებს.

დამოუკიდებლობის პირველსავე წელს, ეროვნული პარლამენტის გონიერ გადაწყვეტილებათა

შედეგად სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში მოესწრო რიგ პრობლემათა გადაწყვეტა:

„კავკასიის სანამესტნიკის“ ცენტრალური დაწესებულებების და ბიუროკრატიის დემონტაჟის, რუსეთის დიდძალი არმიის მშვიდობიანი გამგზავრების და მასთან დაკავშირებული ხარჯების უზრუნველყოფა, გარეშე მტერთა ხელყოფისაგან საქართველოს ტერიტორიის დაცვა, ქვეყნის შიგნით წესრიგი და გაუვნებადი ანარქიის წამაქეზებელი ძალებისა, ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულების გაეროვნება, აგრარული რეფორმის ცხოვრებაში გატარება, საქართველოს მრეწველობისათვის სასიცოცხლო ძალების შთაბერვა, კერძოდ მარგანეცის მრეწველობის, ტყიბულის ქვანახშირის წარმოების ნაციონალიზაცია, ახალ პრინციპებზე საქართველოს ბანკის დაარსება, სააქციონერო და კოოპერაციული დაწესებულებებისთავის გზის მიცემა, შრომასა და კაპიტალს შორის ნორმალური ურთიერთობის დამყარება და მრ. სხვ.

ეროვნულ საბჭოში განხილული საკითხების უდიდესი უმრავლესობა და წლის ბოლომდე მიღებული 125-ზე მეტი მნიშვნელოვანი კანონიდან უმეტესობა ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებს განეკუთვნებოდა და მოწოდებული იყო რესპუბლიკის დამოუკიდებლობის მტკიცე ბაზის შექმნისათვის.

დამოუკიდებლობის დღიდანვე საქართველოს ჰყავდა თავისი შეიარაღებული ძალა — სახალხო გვარდია, რომელიც 1917 წელსვე ჩამოყალიბდა.

პირველი დიდმნიშვნელოვანი ფაქტი სახალხო გვარდიის ისტორიაში იყო თბილისის არსენალის აღება. არსენალი, რომელსაც ბოლშევიკური პოლკი იცავდა, აიღო 300-მდე შეიარაღებულმა მუშა გვარდიელმა და ეს მაშინ, როცა დედაქალაქზე თურქეთის ფრონტიდან დაძრული ვეებერთელა არმია მიეშურებოდა, როცა ნავთლუღში განლაგებული ყარსის პოლკი, კომისარიატს და სეიმს დამხობით ემუქრებოდა. გვარდიამ დიდი მუშაობა გასწია იმ მიმართულებითაც, რომ თურქეთის ფრონტიდან დაძრულ ჯარისკაცთა მასას თბილისში შესასვლელი გზები გადაუღობა და ქალაქს სისხლისღვრა აარიდა.

მაგრამ საქართველოს რესპუბლიკა სახალხო გვარდიის ამარა ვერ იქნებოდა. ეს გვარდია ექსტრემალური მნიშვნელობის ანტისახელმწიფოებრივი გამოსვლების ლიკვიდაციას ემსახურებოდა. იგი შედგებოდა ენთუზიასტ მუშებისაგან, რომლებიც ჩვეულებრივ შემთხვევაში წარმოებაში იყვნენ დაკავებული. დამოუკიდებელ საქართველოს კი, რომელიც ურთულეს ვითარებაში იშვა და რომელსაც ყოველი მხრიდან აგრესიის მახვილი ჰქონდა მიბჯენილი, სჭირდებოდა თავისი მუდმივი არმია, ორგანიზებული შეიარაღებული ძალა, რომელიც სათანადოდ გაწვრთნილი, მუდმივ მზადყოფნაში იქნებოდა ქვეყნის დამოუკიდებლობის დასაცავად. ეროვნული არმიის შექმნის ყველა წინამძღვარი გააჩნდა მაშინ დამოუკიდებელ საქართველოს: მას ჰყავდა ოფიცერთა მრავალრიცხოვანი კადრები, რომელთაც სამხედრო განათლება რევოლუციამდელ სამხედრო სკოლებში ჰქონდათ მიღებული და ამასთან აღჭურვილნი იყვნენ პირველი მსოფლიო ომის საბრძოლო გამოცდილებით. საქართველოს ჰყავდა აგრეთვე შესანიშნავი გენერალიტეტი, რომლებიც დამოუკიდებლობის დღიდანვე გამოთქვამდნენ მზადყოფნას ემსახურათ სუვერენული საქართველოსათვის. ქართველი ახალგაზრდობა, აღფრთოვანებულ-ეროვნული თავისუფლებით, გამოთქვამდა მზადყოფნას ერთგულად ემსახურა არმიის რიგებში.

საქართველოს შეიარაღებული ძალების დაუყოვნებლივ შექმნის აუცილებლობას აპირობებდა მისი ურთულესი საგარეო ვითარება. მართალია, დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდანვე საქართველოს მთავრობამ საჯაროდ გამოაცხადა თავისი ნეიტრალიტეტი უცხო სახელმწიფოთა კონფლიქტების მიმართ და ეს ნეიტრალური პოლიტიკა არსებობის მთელ მანძილზე მის საერთაშორისო ურთიერთობათა მთავარ ღერძს წარმოადგენდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მისი არსებობა მუდმივად საფრთხის წინაშე იდგა და მის საზღვრებთან მუდამ გაბჯენილი იყო მტრის მახვილი ოთხივე მხრიდან.

რთულ საგარეო ვითარებაში საგარეო პრობლემები საქართველოს პარლამენტის მთავარი საზრუნავი იყო და მის სხდომებზე მუდამ გულდასმით იხილებოდა ამ პრობლემებთან დაკავშირებული ყველა ფაქტი და მოვლენა. აქ საშუალება არაა საგარეო ურთიერთობასთან დაკავშირებული ყველა საკითხი განვიხილოთ. ყურადღებას მივაქცევთ ეროვნული საბჭოს მუშაობის პერიოდში (1918 წ. 26 მაისი — 1919 წ. თებერვალი) რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხს: 1. ურთიერთობა საბჭოთა რუსეთთან. 2. ურთიერთობა ამიერკავკასიის რესპუბლიკებთან და 3. ორიენტაციის იძულებითი შეცვლა დასავლეთის ქვეყნებთან ურთიერთობაში.

საქართველოს ჩამოცილებას იმპერიული სხეულიდან, რა თქმა უნდა, მწვავედ განიცდიდა კომუნისტური რუსეთი და ყოველმხრივ ცდილობდა ეს აქტი საზოგადოებისათვის წარედგინა როგორც პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, რევოლუციის ინტერესების, სოციალიზმის საპირისპირო და მტრული მოვლენა, რომელსაც, თითქოს, სოციალიზმის აზრით შენიღბული მენშევიკები ახორციელებდნენ. ამით კრემლი უკვე აღვივებდა მტრობის თესლს რუს და ქართველ ხალხს შორის და ამზადებდა კიდეც ნიადაგს, რომ ყველა შემთხვევაში, როგორც და როდესაც კი ეს მოსახერხებელი გახდებოდა, განეხორციელებინა სამხედრო აქციები საქართველოში, რომლითაც უზრუნველყო-

ფილი იქნებოდა მისი კვლავ მიერთება იმპერიასთან.

მაგრამ შექმნილმა ვითარებამ და გერმანიის მთავრობის მტკიცე პოზიციამ ბრესტ-ლიტოვსკში მოლაპარაკებისას, რუსის მთავრობა აიძულა შეეცვალა გეზი და არაპირდაპირ ეცნო საქართველოს დამოუკიდებლობა. ეროვნული საბჭოს 20 სექტემბრის სხდომაზე საგანგებო განცხადებით გამოვიდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი.

ეს იმედის აღმძვრელი ცნობა იყო. ეს იყო პირველი დოკუმენტი საქართველოს მთავრობის ოფიციალურად აღიარებისა. რა თქმა უნდა, ეს აღიარება არ იყო გულწრფელი და კრემლში დამოუკიდებელ საქართველოს წინააღმდეგ აქციები სამომავლო დღის წესრიგში იდგა.

დამოუკიდებელი საქართველოს ყველაზე საშიში მტერი სამხრეთიდან იყო ქემალისტური თურქეთი.

როგორც ცნობილია, 1918 წ. 4 ივნისის ხელშეკრულებით თურქეთმა მიიტაცა საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი. ამ ხელშეკრულებას ძალა არ მისცემია იმის გამო, რომ იგი არ დაუმტკიცებია არც საქართველოს, არც თურქეთის მთავრობას. ქართულმა დელეგაციამ ბერლინში სამართლიანი დავა ატეხა იმის გამო, რომ ეს ხელშეკრულება თურქეთმა იძულებით მოახვია თავს ხიშტების საშუალებით და მოითხოვა მისი გადასინჯვა ცენტრალურ სახელმწიფოთა განსაკუთრებულ კონფერენციაზე. გერმანიის მთავრობის თავმჯდომარე ფონ კულმანი დაეთანხმა ამ პრეტენზიებს. თავის მხრივ უარი კონფერენციის მოწვევაზე არც თურქეთს განუცხადებია, მაგრამ იგი ვერ იქნა მოწვეული იმის გამო, რომ გერმანიამ და მისმა მოკავშირე თურქეთმა პირველ მსოფლიო ომში მარცხი განიცადეს და კაპიტულაცია გამოაცხადეს.

1918 წ. 30 ოქტომბრის მუდროსის ხელშეკრულებით თურქეთმა დაიწყო თავისი ჯარების გაყვანა კავკასიიდან. ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებაც გაუქმებულ იქნა.

მაგრამ თურქეთი არ ფიქრობდა კავკასიაზე ხელის აღებას. მან გასწია საკმაო პროპაგანდა იმისათვის, რომ კავკასიის მუსლიმი ხალხები მისდა სასარგებლოდ აემხედრებინა და საქართველოს სამხრეთ საზღვარზე შეექმნა მისი ინტერესების ამსახველი ისლამური სახელმწიფო. ნიშანდობლივია, რომ 1918 წელს, აბასთუმანში ჩატარდა მაჰმადიანთა ყრილობა, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება აჭარის, არტაანის ოლქის, ახალციხის და ახალქალაქის ყარსის ოლქად გაერთიანებისა და მის ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად ჩამოყალიბების შესახებ. ეს დადგენილება მაშინ ვერ განხორციელდა, მაგრამ იდეა დარჩა და მუდროსის ზავის შემდეგ, როცა საქართველოში თურქ დამპყრობლებს ფეხი ამოეკვეთა, კვლავ წამოტივტივდა ზედაპირზე ყარსის მუსლიმური რესპუბლიკის საკითხი. სახელდახელოდ შეიქმნა ყარსის მთავრობა სერვერ ათაბაგის ხელმძღვანელობით.

სერვერ ათაბაგი ადრე მესხეთში დამოუკიდებელ პოლიტიკას ახორციელებდა. იგი არ მტრობდა საქართველოს, თურქეთისაგანაც შორს ეჭირა თავი, მაგრამ დემოკრატიული მთავრობის სოციალისტურმა ლონისძიებებმა, კერძოდ აგრარულმა პოლიტიკამ, ეს ძლიერი ფეოდალი და მესხეთის გაბატონებული წრეების მოსარჩლე თურქეთს დაახლოვა და სამხრეთ საქართველოში პანისლამისტური პოლიტიკის გამტარებლად გადააქცია. სერვერ ბეგმა გაიჩინა მომხრენი, შეადგინა თავისი მთავრობა და ულტიმატუმით გამოცხადდა გენერალ მაყაშვილთან, რომელიც თურქთა ნაწილების ევაკუაციის შემდეგ ამ მხარის მართველად იყო დანიშნული დემოკრატიული მთავრობის მიერ*.

სერვერ ბეგის ჩანაფიქრს წინ უძღოდა არამარტო აბასთუმნის აქცია. 1918 წლის თებერვალი ივნისის მთელ მანძილზე თურქეთის აგენტები აწყობდნენ მიტინგებს ამ მხარის ოსმალეთთან შეერთების სასარგებლოდ. ბრესტ-ლიტოვსკის საზავო კონფერენციას, ტრაპიზონისა და ბათუმის საზავო კონფერენციებს ეგზავნებოდათ ამ აგენტთა მიერ ინსპირირებული ჯგუფების კოლექტიური მოთხოვნანი მესხეთში ისლამური სახელმწიფოს შექმნის შესახებ. 1918 წ. 18 აპრილის ერთერთ ოფიციალურ დოკუმენტში, რომელსაც 40 „დელეგატის" ხელმოწერა აზის, ნათქვამია, რომ ჩვენი მხარე (მესხეთი — პ. ს.) უნდა შეუერთდეს ოსმალეთს.

სერვერ ბეგის „მთავრობის" მისიას აწყურში წარმატება არ ეწერა. გენერალმა მაყაშვილმა მას განუცხადა, რომ იგი ემორჩილება საქართველოს კანონიერ მთავრობას და რადგან ოსმალებმა უკვე დასცალეს ეს მხარე, სერვერ ბეგის თვითმარქვია მთავრობა უკანონოდ წარმონაქმნიაო. მაშინ იმედგაცრუებული ათაბაგი ბათუმს გაემგზავრა და ახლად მოვლენილ ინგლისელთა იმედით შეუდგა ჩანაფიქრის განხორციელებას. ეს ცრუმოსახელე მთავრობა არმიასაც ქმნიდა ასკერებისაგან და იმედოვნებდა, რომ ინგლისელთა ხელისუფლება ამიერკავკასიაში მას აიყვანდა თავის მფარველობაში.

„ყარსის მთავრობის" შექმნისა და მესხეთში მუსლიმური ძალების გააქტიურების კვალდაკვალ სწორედ საქართველოს სამხრეთი ტერიტორიის გამო გაჩაღდა მწვავე კონფლიქტი სომხეთის დაშნაკურ მთავრობასა და საქართველოს შორის, რაც შეიარაღებულ შეტაკებამდე მივიდა. საქართველოს ეროვნულმა საბჭომ არაერთგზის

---

* ვიქტორ ნოზაძე, საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო, ჟურნ. „ქართლოსი". პარიზი, 1937.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განიხილა საქართველო-სომხეთის კონფლიქტის საკითხი და დასახა მისი გადაწყვეტის ოპტიმალური ღონისძიებანი.

ოსმალეთი ის-ის იყო შეუდგა თავისი ჯარების გაყვანას საქართველოდან, რომ სასაზღვრო სიტუაციები საქართველოსა, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის უკიდურესად დაიძაბა.

საქართველოს მთავრობამ 1918 წ. 27 ოქტომბერს სათანადო ნოტით მიმართა სომხეთის, აზერბაიჯანის და ჩრდილო-კავკასიის მთიელთა კავშირს, რათა მოწვეულიყო კავკასიის სახელმწიფოთა კონფერენცია, რომელიც იცნობდა ოთხი სახელმწიფოებრივი ერთეულის კანონზომიერებას და მოაგვარებდა მათს სასაზღვრო ურთიერთობასაც. სომხეთის დაშნაკური რესპუბლიკის მესვეურებმა ამ კონფერენციის მოწვევა ჩაშალეს. სომხეთის მთავრობამ გეზი იმაზე აიღო, რომ ამიერკავკასიაში შექმნილი სიტუაცია მათ წისქვილზე ასხამდა წყალს: გერმანელთა დამარცხებამ შეასუსტა საქართველოს პოზიციები. ანტანტა, რომელიც თურქეთ-გერმანელთა შემდეგ მოევლინა კავკასიას, დაშნაკებს ხელს შეუწყობდა განეხორციელებინათ „დიდი სომხეთის“ აღდგენის გეგმა. სომხები ამ გეგმით პრეტენზიას აცხადებდნენ ბორჩალოს მაზრაზე, სადაც XIX-XX საუკუნეებში რუსეთის კოლონიზატორული პოლიტიკის მეშვეობით ქართული მოსახლეობა აყრილი და გადასახლებული, ხოლო სომეხი მოსახლეობა გამიზნულად მომრავლებული აღმოჩნდა. სომეხი მესვეურები ოდნავადაც არ უწევდნენ ანგარიშს ისტორიულ სამართლიანობას, ამ მხარის ოდითგანვე საქართველოს კუთვნილებას და რადგან იმ მომენტისათვის სომხობა იქ რიცხობრივად ჭარბობდა, მოითხოვდნენ ამ მხარის სომხეთისათვის შეერთებას.

1918 წლის 13 დეკემბერს სომხეთის ჯარი შეიჭრა ლორისა და ბორჩალოს მაზრებში. დაშნაკურ სომხეთს შორსმიმავალი მიზნები ჰქონდა. იგი თბილისისა და ბათუმის დაკავებასაც ამზადებდა. ამის თაობაზე ანტანტის მთავრობასთან სომეხი დიპლომატები ფარულად მოლაპარაკებასაც აწარმოებდნენ.

საქართველოს ისტორიული საზღვრების დასაცავად ადგა მთელი მოსახლეობა. დგებოდა მოხალისეთა რაზმები. თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტობამ მოხალისეთა საგანგებო რაზმი ჩამოაყალიბა. ბორჩალოსკენ დაიძრნენ სახალხო გვარდიის და ახლადფორმირებული არმიის ნაწილები. დეკემბრის შუა რიცხვებში მოხდა გადამწყვეტი ბრძოლები შულავერთან. საქართველოს სამხედრო შენაერთებმა მოწინააღმდეგეს სასტიკი მარცხი აგემეს. ბრძოლებში მაღალი სამხედრო საზრიანობა გამოიჩინა ქართულმა გენარალიტეტმა (კვინიტაძე, გედევანიშვილი, მაზნიაშვილი, წულუკიძე, ჩხეტიანი, სუმბათაშვილი, წულუკიძე და სხვ.) და ოფიცრობამ. ქართველ მხედრობას სომხეთის სიღრმეში შეტევის განვითარების ყველა შესაძლებლობა ჰქონდა, მაგრამ კონფლიქტში დროულად ჩაერია ანტანტის წარმომადგენლობა და 18 დეკემბრისათვის ომი შეწყდა. 17 დეკემბერს საქართველოს პარლამენტში ნოე ჟორდანია გამოვიდა განცხადებით: „ჩვენ დავიკავეთ ბორჩალოს მაზრის ხაზი, რომელიც ჩვენ გვეჭირა ორი თვის წინადაც მათთან (სომხებთან) შეთანხმებით... ჩვენ თავის დროზე გავაცხადეთ, რომ საქართველოს ფარგლებში ჩვენ ვთვლით მთელ თბილისის გუბერნიას და რომ ამ ტერიტორიას დავიკავებთ. ჩვენ დავიკავეთ ჯავახეთი. ჩვენ დიდი ხანია გავგზავნეთ იქ ჯარები და დავაწესეთ განსაკუთრებული გენერალ-გუბერნატორობა ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში. ჩვენ ამის გამო მიწერ-მოწერას ვაწარმოებდით ოსმალეთთან. ოსმალები წავიდნენ, და ჩვენ დავიკავეთ ეს ადგილები და ეს არავისთვის საიდუმლო არ იყო, არც მოულოდნელი ყოფილა“.

საქართველოს დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარება პარიზის საზავო კონფერენციის გადაწყვეტილებაზე იყო დამოკიდებული. რუსეთსა და კავკასიაში შექმნილი სახელმწიფო ერთეულები ამ კონფერენციაზე წარსდგნენ თავიანთი მოთხოვნებით. ეროვნული საბჭოს სანქციით საქართველოს მთავრობამ შექმნა დელეგაცია ა. ჩხენკელის მეთაურობით, რომელმაც პარიზის კონფერენციას წარუდგინა დემოკრატიული მთავრობის მემორანდუმი.

ეროვნულ საბჭოში მართებულად აღიძრა საკითხი იმის თაობაზე, რომ საერთაშორისო ასპარეზზე ქართველი ხალხის ნების გამომხატველად ვერ გამოდგებოდა საქართველოს პარლამენტი, რადგან იგი არ იყო არჩეული საყოველთაო, ფარული და პირდაპირი საარჩევნო სისტემით; საჭირო იყო დამფუძნებელი კრების მოწვევა; დამფუძნებელ კრებას უნდა დაკისრებოდა არა მარტო საგარეო, არამედ საშინაო ცხოვრების ყველა პრეროგატივა.

1918 წ. ზაფხულიდანვე გაიშალა მზადება დამფუძნებელი კრების არჩევნებისათვის. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ადგილებზე ერობათა და საქალაქო თვითმართველობათა დახმარებით შეძლო არჩევნები მაღალ დემოკრატიულ დონეზე ჩაეტარებინა. დამფუძნებელი კრება გაიხსნა 1919 წ. 12 თებერვალს. ამ დღეს თავისი რწმუნებანი საქართველოს პარლამენტში დამფუძნებელ კრებას გადააბარა. ამით ამოიწურა ეროვნული საბჭოს 14 თვიანი მოღვაწეობა, რაც ერთერთი ნათელი ფურცელია საქართველოს ისტორიაში.

ზურაბ ცინცაძე

# შიდა ქართლის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფა მე—19 საუკუნეში და ცხინვალის ეთნიკური შემადგენლობა

**უჭირს** დღეს საქართველოს, უჭირს ისე, როგორც არასდროს. 1921 წლის 25 თებერვლიდან საოკუპაციო ჯარების მიერ დამყარებულმა მონობამ, — საქართველო ეკონომიკური, ეკოლოგიური და დემოგრაფიული კატასტროფის პირამდე მიიყვანა. ერი თითქმის სულიერი დეგრადაციის გზას დაადგა. ჩვენდა საუბედუროდ, ყოველივე ამას ეთნოკრიზისებიც დაერთო.

ბოლო წლებში საქართველოში აღმავალი გზით მიმდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას მოსკოვი რესპუბლიკის ამა თუ იმ რეგიონში ხელოვნურად შექმნილ ეთნოკონფლიქტურ სიტუაციას უპირისპირებს. გავიხსენოთ მოვლენები ქვემო ქართლსა და აფხაზეთში. სულ უკანასკნელ ხანებში კატასტროფულად დაიძაბა ვითარება შიდა ქართლში, ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში. ცენტრიდან ინსპირირებული, ცხინვალში მოკალათებული პროვოკატორები „ადამონ-ნიხასი"-დან შიდა ქართლის საქართველოდან მოწყვეტას და მის ჩრდილოეთ ოსეთთან გაერთიანებას მოითხოვენ. მათი ლიდერის ალან ჩოჩიევის განცხადებით გაერთიანებული ოსეთის დედაქალაქი ცხინვალი უნდა გახდეს. ქვეყნდება პროვოკაციული ხასიათის პუბლიკაციები და რუკები, თითქოსდა ალან-ოსები შიდა ქართლის მიწა-წყალზე უძველესი დროიდანვე ცხოვრობდნენ, მათი განსახლების არეალი მტკვრამდე აღწევდა და ა. შ.

დღეს შიდა ქართლში მიმდინარე მოვლენების ფონზე საჭიროა ფართო საზოგადოებას გავაცნოთ, თუ როგორი იყო შიდა ქართლის (ე. წ. სამხრეთ-ოსეთის) ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფა XIX ს-ში და რა ეთნიკური შემადგენლობისა იყო ცხინვალი, ის ცხინვალი რომელსაც პროვოკატორები გაერთიანებული ოსეთის დედაქალაქად სახავენ. გვიან შუასაუკუნეებში, როდესაც ქართლის სამეფო ტერიტორიული ადმინისტრაციული დაყოფის მხრივ სადროშოებად იყოფოდა, დღევანდელი ე. წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორია მეორე ანუ მემარჯვენე სადროშოსა და მესამე ანუ მეუკანავე სადროშოების შემადგენლობაში შედიოდა.

მეორე (მემარჯვენე) სადროშო, შიდა ქართლის ჩრდილო-დასავლეთის ნაწილს მოიცავდა და იწოდებოდა „ზემო ქართლად". „ვიწყებთ მეორეს სასპასპეტოს მემარჯვენე, შიდა ქართლის ნაკვეთსა, რომელი არს აწის ზემო ქართლი". შიდა ქართლის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილს ზემო ქართლი ეწოდა მას შემდეგ, რაც ოსმალეთმა საქართველოს მისი სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი ზემო ქართლად წოდებული მესხეთი მოსწყვიტა.

დღევანდელი ე. წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი სწორედ ზემო ქართლის სადროშოს შემადგენლობაში შედიოდა. თანამედროვე დარაიონების მიხედვით ეს ტერიტორია დაახლოებით ცხინვალისა და ჯავის რაიონებს მოიცავდა. ამავე სადროშოს შემადგენელი ნაწილი იყო აგრეთვე კავკასიონის მთავარ ქედს გადაღმა მდებარე დვალეთიც. **დვალეთი აგრეთვე ქართლის სამეფოს შემადგენლობაში სადროშოსთან შედარებით უფრო მცირე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის დვალეთის სამოურავოს სახელით იყო ცნობილი. გავიხსენოთ დვალეთის მოურავი გიორგი სააკაძე.**

შემდგომში ე. წ. ოსეთის ავტონომიურ ოლ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქში მყოფი ახალგორის რაიონი, ისტორიული ქსნის საერისთავო, სათავადო სამუხრან-ბატონოსთან და არაგვის საერისთავოსთან ერთად მესამე ანუ მეუკანავე სადროშოს შემადგენლობაში შედიოდა. ამავე სადროშოს შემადგენლობაში შედიოდა აგრეთვე პატარა ლიახვის ხეობის ზემო წელი — ისტორიული მაღრან-დვალეთი. თანამედროვე ადმინისტრაციული დარაიონების მიხედვით იგი ცხინვალის რაიონის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილს მოიცავს.

**XVII-XVIII საუკუნეებში ჩრდილო კავკასიიდან შიდა ქართლში შემოხიზნული ოსები ქართლის სამეფოს სახლისა თუ უფლისწულების, ქართველი თავადებისა და ეკლესიის ყმები იყვნენ და მათ აქ ფეოდალური საქართველოს არსებობის მანძილზე არცერთი ოსური სახელმწიფოებრივი ერთეული არ შეუქმნიათ. ოსი გლეხებით დასახლებულ სოფლებს სამეფო სახლის, თავადებისა თუ საეკლესიო ხელისუფლების მიერ დანიშნული ქართველი მოხელეები, მოურავები მართავდნენ.** ასეთი იყო შიდა ქართლის ჩრდილოეთი ნაწილის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფა XIX საუკუნის დასაწყისამდე ვიდრე რუსეთის იმპერია ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსირებას მოახდენდა და აღმოსავლეთ საქართველოს უშუალოდ შეიერთებდა.

1802 წლის 8 მაისის დებულების თანახმად, როდესაც ყოფილი ქართლ-კახეთის სამეფო (აღმოსავლეთ საქართველო) ხუთ (ლორეს, გორის, დუშეთის, თელავისა და სიღნაღის) მაზრად დაყვეს, შიდა ქართლის ჩრდილოეთი ნაწილი ე. წ. სამხრეთ ოსეთი) გორისა და დუშეთის მაზრების შემადგენლობაში შევიდა.

თანამედროვე დარაიონების მიხედვით გორის მაზრის შემადგენლობაში შევიდა ცხინვალისა და ჯავის რაიონები. ამავე მაზრის შემადგენლობაში მოხვდა აგრეთვე კავკასიონის მთავარ ქედს გადაღმა მდებარე და ამჟამად ჩრდილო-ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის შემადგენლობაში მყოფი ისტორიული დვალეთიც.

დუშეთის მაზრის შემადგენლობაში შევიდა ისტორიული ქსნის საერისთავოს უდიდესი ნაწილი, თანამედროვე დარაიონებით იგი ახალგორის რაიონს ემთხვევა.

შიდა ქართლის ჩრდილო-ნაწილის (ე. წ. სამხრეთ ოსეთი) ადმინისტრაციულ-ტერიტორიალურ დაყოფაში კი XIX ს. 40-იან წლებამდე არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

1840 წ. 10 აპრილს გამოქვეყნდა დებულება „ამიერკავკასიის მხარის მმართველობის შესახებ“. ამ დებულების თანახმად საქართველოს ეწოდა „საქართველო-იმერეთის გუბერნია, რომელიც დაიყო 11 მაზრად. ესენი იყო: **თბილისის, გორის, თელავის, ბელაქნის, ქუთაისის, ელისავეტოპოლის, ალექსანდროპოლის, ერევნის, ნახიჭევნის, ახალციხისა და გურიის მაზრები.** ეს მაზრები თავის მხრივ საპოლიციო უბნებად იყოფოდა. საქართველო-იმერეთის გუბერნია სულ 44 უბნად დაიყო.

ამ დებულების თანახმად გაუქმდა დუშეთის მაზრა და მისი დიდი ნაწილი შევიდა თბილისის მაზრის შემადგენლობაში; გორის მაზრას შეუერთეს ყოფილი დუშეთის მაზრის დასავლეთი ნაწილი (ქსნის ხეობა) დღევანდელი ახალგორის რაიონი.

დებულების მიხედვით ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორია შემდეგნაირად იყოფოდა:

**ქსნის უბანი** — მდ. ქსანსა და მდ. დიდ ლიახვს შორის მდებარე ტერიტორია.

**პირველი ოსეთის უბანი** — ლიახვის (ჯავის) ქეშელთის და მაღრან-დვალეთის საზოგადოებებისაგან უნდა შექმნილიყო.

**მეორე ოსეთის უბანი** — ისტორიული დვალეთი — ზარის, ნარის, ზრამაგის, მამისონისა და ზროგოს თემებად დაიყოფოდა.

1843წ. შეიქმნა ოსეთის ოკრუგი, რაც XIX ს. 40-იან წლებში კავკასიაში მიმდინარე მოვლენებმა განაპირობა.

1942 წ. ამიერკავკასიის სამოქალაქო მმართველობა შეამოწმა რუსეთის იმპერიის სამხედრო მინისტრმა ჩერნიშევმა. იგი ადგილზე გაეცნო საქმის ვითარებას და ნახა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მცხოვრებთა მოქალაქეობრივი განვითარების მდგომარეობა შედარებით დაბალი დონისა იყო. იმ მიზნით, რომ მათთვის უფრო („Сосредоточенное и упроченное) მმართველობა შეექმნათ, მიუთითა ამიერკავკასიის მთავარმართებელს — თუშები, ფშავლები, ხევსურები, მთიულ-მოხევეები და ოსები ჩამოეშორებინათ მაზრებისაგან, რომლებსაც ადრე ეკუთვნოდნენ და მათგან შეედგინათ განსაკუთრებული ოკრუგები სამხედრო სახალხო მმართველობით.

ამ მითითების საფუძველზე კავკასიონის სამხრეთ კალთებზე მცხოვრებ ტომებისაგან, რომლებიც ადრე გორის, თბილისისა და თელავის მაზრებში შედიოდნენ, შეიქმნა თუშ-ფშავ-ხევსურეთისა და ოსეთის ოკრუგები.

ოსეთის ოკრუგის შემადგენლობაში თავდაპირველად შეიყვანეს აგრეთვე საქართველოს სამხედრო გზის გასწვრივ მცხოვრები მთიულ-მოხევეები და ამ ოკრუგის ცენტრად ქვეშეთი აირჩიეს.

1842 წ. სექტემბერში მთავარმართებელმა გოლოვინმა იმოგზაურა ოსეთის ოკრუგში. როდესაც იგი დარწმუნდა, რომ ოსეთის ოკრუგის უფროსისათვის თავისი ადგილსამყოფელიდან — სოფ. ქვეშეთიდან — ძნელი იყო ოსებით განსახლებული მიწა-წყლის (ჯავის ხეობა, მაღრან-დვალეთი და ნარ-მამისონი) მართვა-გამგეობა, გადაწყვიტა ოსეთის ოკრუგისათვის ჩამოეცილებინა საქართველოს სამხედრო გზის გასწვრივ მცხოვრები მთის ზოლის მოსახლეობა და შეექმნა მათგან დამოუკიდებელი ადმინისტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაციული ერთეული — მთის ოკრუგი. ქვეშეთი, ამ მხარის მეტად მნიშვნელოვანი და ცენტრალური პუნქტი ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის — მთიულეთის ოკრუგის უფროსის რეზიდენციად დატოვა.

1843 წ. გორისა და თბილისის მაზრებს ჩამოაშორეს მათი კუთვნილი ქსნის ხეობის ზემო წელისა და მისი შენაკადი წყლების აუზი, რომელიც მეტწილად ქართველებით იყო დასახლებული, ცხოვრების ადათით ბევრი რამით გავდნენ არაგვის ხეობის ქართველებს და ისინი მთის შემადგენლობაში შეიყვანეს. შემდეგში მთის ოკრუგის ვრცელი ტერიტორია დაყვეს ხევის, მთისა და ქსნის უბნებად.

1843 წელსავე ოფიციალურად გაიხსნა ოსეთის ოკრუგი, რომელიც სამ უბნად (ჯავის, პატარა ლიახვისა და ნარის) დანაწილდა.

როგორც ვხედავთ ოსეთის ოკრუგის შემადგენლობაში, შიდა ქართლის (ე. წ. სამხრეთ ოსეთის) ავტონომიური ოლქის ჩრდილო მთიანი ზოლი მოიცვა, რომლებიც კომპაქტურად იყო ოსებით დასახლებული.

თანამედროვე დარაიონების მიხედვით ეს ტერიტორია მოიცავდა ცხინვალის რაიონის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილს პატარა ლიახვის ზემო წელს (ისტორიული მაღრან-დვალეთი), ჯავის რაიონის და კავკასიონის მთავარ ქედს გადაღმა ამჟამად ჩრდილო ოსეთში მდებარე ნარ-მამისონის ქვაბულს (ისტ. დვალეთი).

ყოფილი ავტონომიური ოლქის შემადგენლობაში მყოფი ქსნის ხეობა (ისტ. ქსნის საერისთავო) მთის ოკრუგს მიეკუთვნა. დღევანდელი ადმინისტრაციული დარაიონებით ქსნის უბანი ახალგორის რაიონს ემთხვევა.

ბარიატინსკის მეფისნაცვლობის დროს (1859) თბილისის გუბერნიის მთის ოკრუგის მთელი რიგი ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ხასიათის ცვლილებები განხორციელდა.

კავკასიაში ცარიზმის კოლონიური სამფლობელოების გაფართოებასთან დაკავშირებით დღის წესრიგში დადგა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში მცხოვრები ხალხების მმართველობის რეორგანიზაციის საკითხი.

ოსეთის ოკრუგი მოიცავდა დღევანდელი სამხრეთ ოსეთის მნიშვნელოვან ნაწილს და ართონის ქვაბ-ხეობას (ისტ. დვალეთი), რომელიც პატარა ლიახვის, ჯავის და ნარის უბნებად იყო დანაწილებული. ამ ოკრუგის უფროსის რეზიდენცია იმყოფებოდა ს. ჯავაში და სათანადო კონტროლს ვერ უწევდა ნარის უბანს, ვინაიდან დვალეთი მისი ადგილსამყოფელიდან კავკასიონის მთავარი ქედით იყო გამოყოფილი.

ჩრდილოეთ კავკასიაში წარმოებულ სამხედრო ლაშქრობებთან დაკავშირებით 1858 წ. 3 აპრილს შეიქმნა კავკასიის ხაზის მარცხენა ფრთა, რომლის შემადგენლობაში შევიდა სამხრეთ ოსეთის ოკრუგიც. იმის გამო, რომ ნარის უბანი ახლოს მდებარეობდა ვლადიკავკავთან და წლის ყოველი დროის განმავლობაში თავისუფლად უკავშირდებოდა მას, ბარიატინსკიმ ნარის უბანი ჩამოაშორა თბილისის გუბერნიას და „კავკასიის ლინიის მარცხენა ფრთის" ოსეთს გადასცა, რომელიც შემდეგში თერგის ოლქის შემადგენლობაში შევიდა.

ოსეთის ოკრუგის ძირითადი ნაწილი — ჯავისა და პატარა ლიახვის უბნები, რომლებიც მდებარეობდნენ კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ კალთებზე, თბილისის გუბერნიის შემადგენლობაში დატოვეს. ვინაიდან ჯავისა და პატარა ლიახვის უბნები მთის ხალხების მთავარი უფროსის ადგილსამყოფელიდან — ანანურიდან ძნელად გადასასვლელი ქედებით იყო დაცილებული და ართულებდა მის მიერ ამ ხალხების მართვა-გამგეობის საქმეს, ჯავისა და პატარა ლიახვის უბნები ჩამოაშორეს მას და ოსეთის უბნის სახით გორის მაზრის შემადგენლობაში შეიყვანეს.

1863 წელს მთის ოკრუგის ქსნის უბანი გორის მაზრის უფროსს დაუმორჩილეს და, მაშასადამე, მისი ტერიტორიაც გორის მაზრის შემადგენლობაში შევიდა. ეს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ხასიათის ცვლილება ქსნის უბანში შექმნილმა სოციალურმა მოვლენებმა განაპირობა.

ქსნის უბანში, რომლის მოსახლეობის ძირითად ნაწილს საბატონო გლეხები შეადგენდნენ, მემამულეების წინააღმდეგ გლეხების გამოსვლების შემთხვევები ხშირი იყო. ამ უბანში არსებული მღელვარებათა აღმოფხვრა ოკრუგის უფროსისა და თავადაზნაურობის მარშალის ჩარევის გარეშე შეუძლებელი იყო. ამ პირთა დროული ყოფნა მღელვარების ადგილზე იმდროინდელ ადმინისტრატორებს მღელვარებათა წარმატებით უვნებელყოფის ერთ-ერთ მნიშვნელოვან და მთავარ პირობად მიაჩნდათ. ასე, რომ მთის ოკრუგის ქსნის უბნის ოკრუგის უფროსის მუდმივ ზედამხედველობას საჭიროებდა, რაც იმდროინდელი უგზოობის პირობებში თითქმის შეუძლებელი ჩანდა.

ქსნის უბანი, რომელიც თბილისის გუბერნიის მთის ოკრუგს ეკუთვნოდა, მისგან ლომისალევის მთაგრეხილით იყო გამოყოფილი: ამ უბნის მსაჯულის რეზიდენცია (ახალგორი) მთის ოკრუგის უფროსის რეზიდენციიდან (ქვეშეთი) საკმაო მანძილითაა დაშორებული და მათი დამაკავშირებელი ვარგისი გზა არ არსებობდა. მთის ოკრუგის დუშეთზე გავლით ხსენებულ უბნამდე რომ მიეღწია.

ამ მიზეზებმა უკარნახა რუსულ ხელისუფლებას, რომ ქსნის უბანი მთის ოკრუგისათვის ჩამოეცილებინათ და იგი გორის მაზრის უფროსისათვის დაემორჩილებინათ იმ მოსაზრებით, რომ თითქოსდა ამ უკანასკნელს დროის ყველა მონაკვეთში შეეძლო ქსნის უბნის მცხოვრებლებზე სათანადო ზედამხედველობა დაეწესებინა. ამ უბნის მმართველობა მსაჯულის ჩინით

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორის მაზრის უფროსის ერთ-ერთ მოადგილეს უნდა დაევალებოდა.

1867 წ. დეკემბერში მაზრების უბნებად დაყოფა გაუქმდა. 1868 წ. 12 თებერვალს გამოიცა ცირკულარი, რომელშიც აღნიშნული იყო რომ დებულებით გათვალისწინებული ცვლილებანი 1968 წ. 14 თებერვლიდან განხორციელდებოდა. რამაც შესაბამისად შიდა ქართლის მიწა-წყალზე არსებული ოსეთის და ქსნის უბნების გაუქმებაც განაპირობა.

1867 წ. ოლადგინეს დუშეთის მაზრა და მის შემადგენლობაში ქსნის ხეობა, არაგვის ხეობა (ჴართალი, ხანდო, მთიულეთ-გუდამაყარი და ხევი) შევიდა. ე. ი. ამ დღევანდელი ე. წ. სამხრეთ ოსეთის კუთვნილი ლენინგორის რაიონი კვლავ დაუბრუნდა დუშეთის მაზრას.

1888 წ. 10 აპრილის დებულებით მაზრების უბნებად დაყოფის პრინციპი კვლავ აღსდგა. იმავე 1888 წელს გორის მაზრის შემადგენლობაში შეიქმნა ცხინვალის საპოლიციო უბანი.

ახლად შექმნილი ცხინვალის უბნის შემადგენლობაში შემდგომში ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის უდიდესი ნაწილი შევიდა. საბჭოური დარაიონების თანახმად ცხინვალის უბანი ცხინვალისა და ჯავის რაიონებს მოიცავდა.

1897 წ. სტატისტიკური აღწერის მიხედვით ცხინვალის უბნის (რაც მოიცავდა აწინდელ ჯავისა და ცხინვალის რაიონებს) ეროვნული შემადგენლობა ასე გამოიყურებოდა: რუსები — მამრობითი სქესისა — 5 სული, მდედრობითი სქესისა — 3 სული, ოსები — მამრ. სქესისა — 19172 სული, მდედრ. სქესისა — 14508 სული; სომხები მამრობითი სქესისა — 428 სული, მდედრობითი სქესისა — 325 სული; ებრაელები — მამრ. სქესისა — 1089, მდედრობითი სქესისა — 868 სული; ქართველები მამრ. სქესისა 9007, მდედრობითი სქესისა 76661 სული.

ვინაიდან ცხინვალის უბანი საკმაოდ დიდ ტერიტორიას მოიცავდა, ცხინვალის უბნიდან გამოყვეს ოსებით კომპაქტურად დასახლებული სოფლები და მათგან მთის ოსეთის უბანი შექმნეს. ამ უბნის შემადგენლობა ადრე არსებული ოსეთის უბანი (ჯავისა და მაღრან-დვალეთის ხეობები) შევიდა.

ცხინვალი ფეოდალური ქართლის სამეფო სახლის ქალაქი იყო. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით ცხინვალის მოსახლეობას მხოლოდ ქართველები, ებრაელები და სომხები შეადგენდნენ. იგი ოსებს საერთოდ არ ახსენებს.

1802 ქართლ-კახეთის მაზრებად დაყოფის უწყების მიხედვით, რომელშიც ქართლ-კახეთის დასახლებული პუნქტების სია მოცემული ეროვნული კუთვნილების მიხედვით, ვვებულობთ რომ ცხინვალი ასევე მხოლოდ ქართველებით, სომხებით და ებრაელებით იყო დასახლებული.

1804 წლის კამერალური აღწერის მიხედვით ცხინვალში ცხოვრობდა: 41 კომლი ქართველების, 123 კომლი სომხების, 16 კომლი ებრაელების და ხიზნად მოსული ოსების თორმეტი ოჯახი. ყმები ჰყავდათ ხაზინას, ეკლესიასა და ამილახვარების, ხერხეულიძეების, ორბელიანების, აბაშიძეების, მაჩაბლების, მუხრან-ბატონების, თუმანიშვილების და დავითაშვილების თავადური გვარის წარმომადგენლებს.

ჩვენ შევისწავლეთ XIX საუკუნის I ნახევრის ცხინვალის კამერალური აღწერის მასალები და განსხვავებით 1804 წლისაგან ცხინვალში ოსები აღარ იხსენიებიან. მსგავსი მდგომარეობა იყო XIX საუკუნის მეორე ნახევარშიც და თვით მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში, ვიდრე 1917 წლამდე.

1854 „კავკაზსკი კალენდრის" მიხედვით ცხინვალი ქართველებით, სომხებით, ებრაელებით დასახლებული დაბა იყო.

1886 წ. საოჯახო აღწერის მიხედვით ცხინვალში ცხოვრობდა 815 კომლი, 2129 მამრობით სქესისა, 1703 მდედრობით სქესისა; სულ — 3832 სული ორივე სქესისა. აქედან სომხები ითვლიდნენ 133 კომლს, 42 მამრ. სქესისა, 31 მდედრ. სქესისა. ქართველები 356 კომლი 619 მამრ. სქესისა, 561 მდედრ. სქესისა, ებრაელები — 326 კომლი, მამრ. სქესისა — 1085, მდედრ. — 868 სული.

1916 „კავკაზსკი კალენდრის" ცხინვალში 4619 სული ცხოვრობდა. ეროვნული შემადგენლობა — ქართველები, სომხები, ებრაელები.

ამრიგად, შიდა ქართლში, ყოფ. ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში არც ფეოდალურ ხანაში და XIX საუკუნეში, გვიან შუა საუკუნეებში (XVII-XVIII) ჩამოსახლებულ ოსებს არავითარი სახელმწიფოებრივი ერთეული არ შეუქმნიათ, არც ყოფილი ე. წ. სამხრეთ ოსეთის დედაქალაქი — ცხინვალი ყოფილა ოსებით დასახლებული!

ამდენად, სეპარატისტების სურვილი, რომ შიდა ქართლის ჩრდილო ნაწილში ოსური სახელმწიფოებრივი ერთეული (სამხრეთ ოსეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა) შექმნან ან შიდა ქართლი მოსტაცონ დედასამშობლოს საქართველოს და იგი ჩრდილოეთ ოსეთს შეუერთონ და ცხინვალი გაერთიანებულ ოსეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დედაქალაქად აქციონ ყოველ საფუძველს (ისტორიული, იურიდიული, ეთიკური) მოკლებული და განუხორციელებელია! ქართველი ხალხი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფას არ დაუშვებს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეილა ნანიტაშვილი,
ალექსანდრე ბენდიანიშვილი

# ეროვნულისა და სოციალურის მიმართება არჩილ ჯორჯაძის შემეცნებაში

ცნობილი მოაზროვნის, საქართველოში სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის ერთ-ერთი დამაარსებლისა და მისი იდეოლოგის არჩილ ჯორჯაძის შემოქმედების შესწავლა წლების მანძილზე მხოლოდ ვიწრო მეცნიერული კვლევის საგანს შეადგენდა. დღეს შესაძლებელი გახდა ჩვენი ისტორიის „თეთრი ლაქების“ შევსება.

გთავაზობთ ლ. ნანიტაშვილისა და ა. ბენდიანიშვილის წერილს, რომელშიც ზოგად ხაზებში არის წარმოდგენილი არჩილ ჯორჯაძის დამოკიდებულება ეროვნული და სოციალური პრობლემებისადმი.

ცნობილ პუბლიცისტისა და მოაზროვნის არჩილ ჯორჯაძის მოღვაწეობის ძირითად მიზანს ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა წარმოადგენდა, მაგრამ მას კარგად ესმოდა, რომ ერის კონსოლიდაციის, ეროვნული თვითშეგნების ამაღლების, მისი დამოუკიდებელი არსებობისათვის მომზადების პროცესი მჭიდროდ იყო დაკავშირებული საქართველოს ეკონომიკის და სოციალური სფეროს განვითარებასთან.

მას მიაჩნდა, რომ XIX-XX სს. მიჯნაზე დასავლეთ ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში კაპიტალიზმმა განვითარების მაღალ დონეს მიაღწია. მსოფლიო კაპიტალიზმი თავის ორბიტაში ითრევდა რუსეთის იმპერიას და სხვა ჩამორჩენილ ქვეყნებსაც; მაგრამ იგი არ იზიარებდა კაპიტალის კონცენტრაციის, მსხვილი მრეწველობის გაბატონებისა და წვრილი წარმოების საყოველთაო დაცემა-განადგურების კონცეფციას.

არ. ჯორჯაძე აქტიურად ჩაება საქართველოს ეკონომიკური განვითარების საკითხებზე, ხალხოსნებსა და მესამე დასელებს შორის გამართულ კამათში და აღნიშნავდა, რომ სიმართლის მეტი წილი დასელების, „ს. ჯიბლაძისა და მისი ამხანაგების მხარეს იყო“. მართალია, მცდარია ნ. ჟორდანიას განცხადება საქართველოში კაპიტალიზმის „საოცარი სისწრაფით“ განვითარების თაობაზე, მაგრამ ფაქტია, რომ ბატონყმობის გაუქმების შემდეგ ფეოდალიზმის რღვევა და კაპიტალიზმის განვითარება დაჩქარდა. ახლის ელემენტები 80-იან წლებამდე თუ ბუნდოვნად ჩანდა, მომდევნო პერიოდში „ტენდენცია კაპიტალისტური განვითარებისა აშკარა გახდა და მისი არ დანახვა ნიშნავდა ჩვენი ცხოვრების ნიშანდობლივი თვისებების არ დანახვას. აქ არის საზოგადოებრივი მნიშვნელობა ახალი დასისა, რომელმაც ეს ახალი სიტყვა სთქვა ჩვენს ცხოვრებასა და მწერლობაში“ (არ. ჯორჯაძე, თხზ., წიგნი IV, 1911, გვ. 140). მაგრამ არ. ჯორჯაძეს მიაჩნდა, რომ მარტო ფაქტის კონსტატაცია არ კმაროდა; თუ ახალი მოვლენა საერთო განვითარების ჭრილში არ შეფასდა, ამ აქტუალური საკითხის განხილვის დროს დაშვებული შეცდომა შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს. სწორედ ასე მოუვიდათ, მისი აზრით, დასელებს. მათ საქართველოს ეკონომიკური (კაპიტალისტური) განვითარების საფუძველზე, გადაჭარბებული დასკვნები გამოიტანეს. ისინი კაპიტალისტური განვითარების ტენდენციის ნაცვლად ალაპარაკდნენ „კაპიტალიზმის უმაღლეს განვითარებაზე“, გლეხობის პროლეტარიზაციისა და მუშათა კლასის კონსოლიდაციის გაღრმავებულ პროცესზე და ამ ყალბი წანამძღვრის საფუძველზე წამოაყენეს საზოგადოებრივი განვითარების უტოპიური თეორია“ (იქვე, გვ. 83-84).

არ. ჯორჯაძე დასავლეთ ევროპის კაპიტალისტური განვითარების ფონზე განიხილავდა საქართველოს ფაქტიურ მდგომარეობას, სვამდა კითხვას — „იმჩნევა თუ არა ჩვენ ცხოვრებას კაპიტალისა და მამულების კონცენტრაცია?“ არჩი-

ლი უჩიოდა სტატისტიკის უვარგისობას. მაგრამ მაინც მოჰქონდა სათანადო ციფრები, მკითხველს აუწყებდა, რომ XX ს-ის დამდეგს, საქართველოში არსებულ 1300-მდე ფაბრიკა-ქარხანასა და სხვა ხაზის სამრეწველო საწარმოში დასაქმებული იყო, სულ 55 ათასი მუშა. მისი გაანგარიშებით მუშების უმეტესობა, წვრილ საწარმოებში იყო გაფანტული და წვრილი საწარმოები იძლეოდა პროდუქციის უფრო დიდ ნაწილს.

შემდეგ არჩილი მსჯელობას ავითარებდა საქართველოს სოფელზე, აღნიშნავდა საქართველოს მოსახლეობის 80% სოფლად ცხოვრობს და ძირითადად სოფლის მეურნეობას ეწევაო. იგი სვამს კითხვას — რა მოუვა საქართველოს მიწაზე დაფუძნებულ და სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ ჩვენს ხალხს, „კაპიტალის კონცენტრაციის კანონი" მართლა რომ განხორციელდეს? ეს მასა, არჩილის განცხადებით, ბოგანოდ, პოტენციურ სამუშაო ძალად გადაიქცევა, რომლის მხოლოდ ნაწილი დასაქმდება ფაბრიკა-ქარხნებში. განვითარების ასეთ ტენდენციას მთლიანად ვერ გამოვრიცხავთ. მაგრამ საკუთრებისა და წარმოების კონცენტრაციის მარქსისტული თეორია საქართველოს პირობებში კიდევ უფრო უნიადაგო არისო.

არ. ჯორჯაძე კარგად ხედავდა, რომ ბატონყმობის გაუქმების შემდეგ საქართველოს სოფლის სიმდიდრე წინათ თუ — „თავადაზნაურობის განუყოფელ კუთვნილებას შეადგენდა, ეხლა მას დაესაკუთრა ხალხიც. ჩვენში შესამჩნევად გაიზარდა პატარა მესაკუთრეთა რიცხვი". წვრილ მესაკუთრე-მეურნეთა გამრავლება, არჩილის აზრით, თავისთავად ნიშნავდა სოფლის ბოგანოთა და პროლეტართა შემცირებას. შეიმჩნევაო მეორეგვარი ტენდენციაც. მემამულეთა და გლეხთა ერთი ნაწილი სოფელს სტოვებს, ქალაქში მიდის, მაგრამ ამ პროცესს აქვს ნორმალური საზღვარი, სულაც არ ხდება სოფლის დაცარიელება, ურბანიზაციას არ მიუღია ისეთი ფართო მასშტაბი როგორც მესამე დასელები „ხედავენ" და ახლო მომავლისათვის ვარაუდობენო. „ჩვენს დროში, — წერს არჩილი, — ქალაქისა და სოფლის ურთიერთობა. სოფლები და ქალაქები იცვლიან თავის ხასიათს. ჩვენი კეთილდღეობა აშენებულია ქალაქსა და სოფელს შორის შრომის განაწილებაზე და არა იმაზე, რომ ქალაქი სოფელზე ბატონობდეს" (თხზ., IV, გვ. 105).

საქართველოს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ზოგი დარგის პროდუქცია (მარგანეცი, ხე-ტყე, ღვინო, სიმინდი, აბრეშუმი და სხვ.) მართალია, გადიოდა მსოფლიო ბაზარზე, მაგრამ ამიერკავკასიის რკინიგზის მაგისტრალის არსებობის მიუხედავად, საქართველოს დიდი ნაწილი მოწყვეტილი იყო გარე სამყაროს, ვერ მონაწილეობდა საქონელმიმოქცევაში. საქართველოს, განსაკუთრებით მისი სოფლის ჩამორჩენას, არჩილის აზრით, განაპირობებდა აგრეთვე პოლიტიკური ცხოვრების პირობები, დამოუკიდებლობის დაკარგვასთან ერთად ძველ კულტურასთან კავშირის გაწყვეტა, ეროვნული სკოლების უქონლობა, უცოდინარი გლეხი კი ვერ ახერხებდა სოფლის მეურნეობის გაუმჯობესებას. სოციალურად დაჩაგრული, მცირემიწიანი, ცოდნით შეუიარაღებელი გლეხი ვერ ახერხებდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენას, ახალი აგროწესების დაუფლებას, არ შეეძლო რენტაბელური მეურნეობის შექმნა. არც მრეწველობა იყო მაღალ დონეზე და ამიტომ საქართველოში ფართო მასშტაბს არ ატარებდა, ქალაქსა და სოფელს შორის საქონელთმიმოქცევა, ჩვენი ქვეყნის კავშირ-ურთიერთობა რუსეთის იმპერიის სხვა მხარესთან და საზღვარგარეთის სახელმწიფოებთან. არჩილის მიერ დამოწმებული სტატისტიკური მასალის მიხედვით XX ს-ის დამდეგს ამიერკავკასიიდან ყოველწლიურად რუსეთსა და უცხოეთში გადიოდა 14-18 მილ. მანეთის, შემოდიოდა 50 მილ. მანეთის საქონელი. საქართველო ბუნებრივი რესურსებით მდიდარი ქვეყანა იყო. მაგრამ არჩილის აზრით, ბუნებისაგან ნაბოძებ დოვლათს რაციონალურად ვერ ვიყენებდით. ბევრი ისეთი საქონელი შემოგვქონდა, რომლის დამზადება ადგილზევე შეიძლებოდა. ბევრიც ნედლეულის სახით გაგვქონდა უცხოეთში, რაც დიდ ზარალს გვაყენებდა. ამის თავიდან აცილება ნაციონალური მრეწველობის მაღალ დონეზე დაყენებით შეიძლებოდა (თხზ., IV, გვ. 33-34). საგარეო ვაჭრობის პასიურ ბალანსთან ერთად, არჩილის აზრით, სავალალო ისიც იყო, რომ „ჩვენს გასაყიდ საქონელს სხვისი ხელით" ვასაღებდით. „ჩვენს მწარმოებელსა და მყიდველს შორის უცხო ტომის შუამავალი იდგა".

ქართველი (არა მარქსისტი) მოღვაწეები, მათ შორის არ. ჯორჯაძე, მართალია, აღიარებდნენ კაპიტალიზმის პროგრესულ მისიას, მაგრამ მის შემოჭრასთან დაკავშირებით, გარკვეულ საშიშროებასაც ხედავდნენ. აღნიშნავდნენ იმ ფაქტს, რომ ძლიერი კაპიტალისტური სახელმწიფოები ცდილობდნენ პოლიტიკურად დაუძლურებული და ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნები, თავის ნაწველ ფურად გადაექციათ, მათს ბუნებრივ სიმდიდრეს დაპატრონებოდნენ. ეს მოსაზრება, არჩილის განცხადებით, არც ისე უნიადაგო იყო. ფაქტია, რომ საქართველოში მესამე წოდება, ბურჟუაზიული კლასი მეტად სუსტია და ამიტომ ჩვენს ქვეყანაში უცხო კაპიტალი შემოდის, გაბატონებას ცდილობს. ჩვენი ვალია წინ აღვუდგეთ უცხოურ ბურჟუაზიას და დავეხმაროთ ეროვნულს, მესამე დასელებისათვის კი სამწუხაროდ, ასეთი საკითხი არც დგას. მათთვის სულ ერთია საქართველოს ეკონომიკას უცხოელი მრეწველები ჩაუდგებიან სათავეში, თუ ქართველი კომერსანტები.

არჩილი კარგად ამჩნევდა, რომ ეკონომიკაში მომხდარ ცვლილებებს თან სდევდა მოსახლეო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის სოციალური სტრუქტურის მეტამორფოზი, ფეოდალურ წოდებებს კაპიტალისტური კლასები ცვლიდა; იშლებოდა იურიდიული განსხვავება დიდებულ თავადიშვილსა და უბრალო აზნაურს შორის. ყოფილი მოჯალაბე უფლებრივად არაფრით აღარ განსხვავდებოდა მებეგრე და სხვა კატეგორიის გლეხებისაგან. არჩილს მიაჩნდა, რომ კლასთა წინააღმდეგობას ძირითადად ქონებრივი უთანასწორობა კვებავდა. მაგრამ იმის გამო, რომ რუსეთის ცარიზმი ჯერ კიდევ იცავდა თავადაზნაურობის წოდებრივ პრივილეგიებს, მსხვილ მემამულურ მიწათმფლობელობას, ახალ ეპოქაშიც წოდებრივი და კლასობრივი წინააღმდეგობანი ერთმანეთზე დარჩა გადაჯაჭვული (თხზ. IV, გვ. 198-199).

არ. ჯორჯაძე აკრიტიკებდა ყველას, ვინც უარყოფდა საქართველოში ეკონომიკური უთანასწორობისა და სოციალური ანტაგონიზმის არსებობის ფაქტს. ვინც ამას ამბობს, უნდა დაამტკიცოს, რომ „ხალხს ცხოვრების სახსარი საკმარისი აქვს და კმაყოფილია თავის ბედით“. თავის ერთ-ერთ წერილში არჩილს მოაქვს სტატისტიკური ცნობები საქართველოს მოსახლეობის სხვადასხვა წოდებათა მიწათმფლობელობის მასშტაბის შესახებ და მის საფუძველზე აღნიშნავს, რომ თავადაზნაურობის ერთი ნაწილის გაღატაკების მიუხედავად, მემამულეთა კლასს, „რომელიც რიცხვით ათჯერ ნაკლებია გლეხობაზე, 7-ჯერ მეტი მიწა აქვს აღმოსავლეთ საქართველოში და 4-ჯერ მეტი დასავლეთ საქართველოში“. ასევე უთანასწოროდაა განაწილებული უძრავ-მოძრავი ქონება საქართველოს ქალაქებში (იქვე, გვ. 199-202).

ზოგი პატრიოტი, კეთილშობილური მოსაზრებით, რათა ზიანი არ მიეყენებინა ქართველი ერის ერთიანობისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმატებისათვის, ჩქმალავდა სოციალური ანტაგონიზმისა და კლასობრივი ბრძოლის ფაქტებს. არჩილი ასეთ პუბლიცისტებს არ ეთანხმებოდა. „ჩვენ გვგონია, — წერდა იგი, — რაც უფრო მეტს დავმალავთ, რაც დასამალი არ არის, ეროვნულ საქმეს მეტ ზიანს მოვუტანთ. სინამდვილე კარგად უნდა გვქონდეს გათვალისწინებული. ეს არის წარმატების ის ერთადერთი უტყუარი გზა. კლასობრივი წინააღმდეგობა ფაქტია, მაგრამ ანტაგონისტურ კლასებს საერთო ინტერესებიც ბევრი აქვთ... წმინდა კლასობრივი ბრძოლის პრინციპი იმიტომ არ გამოდგება პრაქტიკული მოქმედებისათვის, რომ ჩვენში ყველა წოდებანი და კლასები ერთნაირად არიან დაინტერესებული თვითმმართველობის, ერობის, ნაფიცმსაჯულთა ინსტიტუტის შემოღებით, ერთნაირად არიან დაინტერესებული, რომ ქართველი ერის ტერიტორია მასვე დარჩეს, ქართული ენა არ გადაგვარდეს. ყველა ეს სწორედ ის ხიდია, რომელიც ჩვენს წოდებათა და კლასთა შორის არის გადებული“.

სწორედ ეროვნული ერთიანობის, ეროვნული მოძრაობის აღმავლობისათვის იყო საჭირო, არჩილის აზრით, სოციალური პრობლემების არამიჩქმალვა, არამედ მათი, სამართლიანობის პრინციპის საფუძველზე გადაწყვეტა. იგი აღნიშნავდა, რომ ქართველი ერის მონოლითურობას ხელს უშლის ბატონყმობის ნაშთები, ერის ერთი ნაწილის წოდებრივი უპირატესობა მეორეზე, მადლობა ღმერთს, ფეოდალიზმს ბოლო ელება, როცა გლეხები ნადელების გამოსყიდვას დაამთავრებენ და ბატონყმობის სხვა ნაშთებიც აღმოიფხვრება. „ეროვნული გაერთიანების ერთ დაბრკოლებას ავიცილებთ თავიდან და დაგვრჩება მეორე, ამჟამად ჯერ კიდევ სუსტი, ბოლო მომავალში გაძლიერებული და გაღონიერებული ბურჟუაზიულ-ქონებრივი უთანასწორობა“. (თხზ. IV, გვ. 203).

არ. ჯორჯაძე სოციალური სამართლიანობის კონტურებს შორეულ პერსპექტივაში კი ხედავდა, მაგრამ მიაჩნდა, რომ ჯერ კიდევ დიდი ხნის განმავლობაში საქართველოს ინტერესი მოითხოვდა არ კაპიტალიზმის დამხობას, არამედ მის განვითარებას, ეროვნული ბურჟუაზიის მომძლავრებას. მან კარგად იცოდა, რომ დაწინაურებულ ქვეყნებში ამ კლასმა პროგრესული მისია შეასრულა და ასეთივე მისია ეკისრებოდა საქართველოში. არჩილის აზრით, ქართველ ბურჟუაზიას ქვეყანა, არა მარტო ეკონომიკური განვითარების ფართო გზაზე უნდა გამოეყვანა, არამედ დიდი როლი უნდა შეესრულებინა ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენაშიც. იგი დაჟინებით იმეორებდა, რომ არც ბურჟუაზიის მიმართ გამოდგებოდა კლასთა ბრძოლის მარქსისტული პრინციპი. „როგორც თავადაზნაურობის უფლებებით სარგებლობა შეიძლება მოქალაქეობრივი წყობილების გაუმჯობესებისათვის, ქართული ბურჟუაზიის ძალის გამოყენება შეიძლება უცხოელების ეკონომიკური ძალადობის შესასუსტებლად და ეროვნული დაწესებულებათა გასაღონიერებლად. ჩვენ არა თუ ვერ წავამართმევთ თავადსა და ბურჟუას საერთო საქმისათვის სამსახურის სურვილს, პირიქით, ხელიც უნდა შევუწყოთ ამ სურვილის გაძლიერებას“ (იქვე, გვ. 29-207).

ეროვნულ ძალთა „საერთო მოქმედების“ პროგრამა თავდაპირველად ილია ჭავჭავაძემ წამოაყენა. არ. ჯორჯაძემ გააგრძელა ილიას ხაზი, ახალი, კიდევ უფრო რთული პირობების შესაბამისად განავითარა და დამაჯერებლად დაასაბუთა „საერთო მოქმედების“ თეორია. თავის თხზულებათა მეოთხე წიგნის წინასიტყვაობაში არჩილი წერდა: „ვიღებდი რა მხედველობაში ქართველთა პოლიტიკურ უნუგეშო მდგომარეობას, ძებნა დავუწყე საერთო მოქმედების ნიადაგს, სადაც ჩვენი ერის სხვადასხვა საზოგადოებრივ ჯგუფთა წარმომადგენლების სოლიდარული მოქმედება უნდა გამხდარიყო შესაძლებელი“. არ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩილი იქვე აღნიშნავს, საზოგადოებრივ ჯგუფთა საერთო მოქმედება მხოლოდ იმ შემთხვევაში ხერხდება, როცა სოციალურ ფენებისა და იდეურ მიმდინარეობათა პოლიტიკური ფიზიონომია ნათლადაა გამოკვეთილი, როცა მათ უნარი აქვთ მთელი სისრულით გაიზიარონ ქართველი ხალხის განსაცდელით აღვსილი აწმყო და ერის გადარჩენისათვის საერთო მოქმედების პრინციპი, მათი ბუნებრივი მოთხოვნილება ხდება. 1898-1902 წლებში ამ სახით ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი ჯგუფები და პარტიები არ არსებობდა. არჩილის აზრით, — „მათ მხოლოდ იმ ხანად დაიწყეს — განცალკევებული ვინაობის და ფიზიონომიის გარკვევა-გამოხატვა" (წიგნი IV, გვ. 1-2).

მომდევნო 7-8 წლის განმავლობაში სხვადასხვა მიმართულების ჯგუფები და პარტიები უფრო მკვეთრად გაიმიჯნენ, არსებითად განსხვავებული თვალით ხედავდნენ ეროვნულ და სოციალურ პრობლემებს. არჩილის განცხადებით, საზოგადოების ერთი ნაწილის ძველი გმირების მოგონებებითაა გატაცებული, წარსულ დიდებას მისტირის, არავითარ სურვილს არ იჩენს დაინახოს „რთული პირობები საზოგადოებრივი ცხოვრებისა", თავს არ იტკივებს ერის შიგნით არსებული კლასობრივი უთანხმოების აღმოფხვრისათვის, რის გარეშე შეუძლებელია „ნორმალური წარმატება ჩვენი ერისა". საზოგადოების მეორე ნაწილი კი, მეორე უკიდურესობაში ვარდება, „მესამე დასი" საქართველოს ორ კლასად ყოფს", მიაჩნია, რომ ამ კლასების ანტაგონიზმი, მათ საერთო ინტერესებს გამორიცხავს, მათ დადგომას საერთო ნიადაგზე შეუძლებელს ხდის. ასეთი „თვალსაზრისი", არჩილის აზრით ეწინააღმდეგებოდა ფაქტებსაც და ქართველი ერის სწორად გაგებულ ინტერესებსაც.

არ. ჯორჯაძეს გადაუდებელ საქმეთ მიაჩნდა, მოკამათე დასებს გაერკვიათ, რა აშორებდა მათ ერთმანეთისაგან და რომელი პრობლემების გადაწყვეტის დროს უნდა ევლოთ ხელიხელჩაკიდებული. იგი ურჩევდა ნაციონალისტებს, დაფიქრებულიყვნენ სოციალურ პრობლემებზე. მოუწოდებდა „მესამე დასელებს" სწორად გაეაზრებინათ ქართველი ერის მდგომარეობაც და ცალკეული კლასების ინტერესებიც. შეეგნოთ, ქართველი ხალხის ცხოვრებაში ყველაზე „რთული და საშიში" ის კი არაა, რომ მის შემადგენელ ნაწილებს შორის სოციალ-ეკონომიკური წინააღმდეგობაა (ეს თითქმის ყველა ერისათვის საერთო მოვლენას წარმოადგენს) არამედ ის, რომ „ჩვენი ერი და ქვეყანა განსაცდელშია. ერს თანდათან გადაგვარება მოელის. უპირველეს ყოვლისა ერი უნდა დავიცვათ, რაც არ გამორიცხავს ზრუნვას სოციალური პრობლემების გადაწყვეტაზე: ახლა, როცა გადაგვარება ემუქრება ქართველი ხალხის ყველა კლასსა და ფენას, ყოველი გონიერი ქართველი პირველ რიგში იმაზე უნდა ფიქრობდეს, თუ როგორ მიაღწიონ ერთიანობას, როგორ იმოქმედონ „თავის ვინაობის დასაცავად", ერის გადასარჩენათ (წიგნი IV, გვ. 2-3).

იქვე არჩილი ეხება თავისუფლების ცნებას, აცხადებს, რომ მისი სწორად განმარტება უნდა გახდეს მოკამათე დასების შეთანხმების საფუძველი. „როცა ჩვენ ვახსენებთ სიტყვა „თავისუფლებას" და ადამიანთა თავისუფლების შესახებ ვლაპარაკობთ, ხაზში გვაქვს არა მეტაფიზიკური ახსნა ამ მცნებისა, რომელიც ტრიალებს ზესთა-გრძნობათა სფეროში, არამედ სრულიად რეალური, განსაზღვრული, შუათანა ნიჭის ადამიანის გონებისათვის ადვილად მისაწვდომი და გასაგები ახსნა სრულიად ბუნებრივი მოვლენისა ადამანისათვის განავითაროს ფიზიკური და სულიერი თვისებანი. ამიტომ ეროვნება ამჟამად აუცილებელი პირობაა ადამიანთა თავისუფალი განვითარებისათვის" (იქვე, გვ. 5-6).

იგი არა ერთ წერილში აღნიშნავდა, რომ ერის ცნების განმარტებაში დღემდე დიდი ბუნდოვნება და გაურკვევლობაა. „ჩვენ არ ვკისრულობთ ამჟამად ამ ცნების ფილოსოფიურ განმარტებას... ფილოსოფიური განმარტება ყოველთვის ზოგადია... გვინდა მივაქციოთ ყურადღება ჩვენი ხალხის ცხოვრებას, გადავშალოთ მისი შინაარსი, მისი სული და გული. ამ ცხოვრების შინაარსის შესწავლით გვიადვილდება გაგება იმისა თუ რა არის ერი, ეროვნება, ეროვნული საკითხი".

არჩილი, როგორც უკვე ითქვა, ისტორიულ ასპექტში განიხილავდა ერის ჩამოყალიბების პროცესს, აღნიშნავდა, რომ ქართველებს ორი ათასი წლის წინ ჰქონდათ თავის განსაზღვრული ტერიტორია, საერთო ენა, თანდათან ჩამოუყალიბდათ თავისებური ეკონომიკური და სოციალური წყობა, თავისებური ფსიქიკა, კულტურა, ერთიანი ისტორიული ცხოვრების ტრადიციები. „ყოველივე ეს ის საფუძველი იყო, რომელიც აერთიანებდა ჩვენს ერს და მეორისაგან განარჩევდა მას, როდესაც ჩვენს ტერიტორიას გარეშე მტერი ემუქრებოდა ხოლმე, ქართველი ერი ამ მტერს ებრძოდა, რადგან იცოდა რომ მიწა იმის მარჩენალია, რომ ამ მიწაზე ცხოვრობს ერთ ენაზე მოსაუბრე ერი, რომელსაც ერთი ზნე, ერთი ჩვეულება, ერთი სარწმუნოება, ერთი ჭირი და ლხინი ჰქონდა" (იქვე, გვ. 51-52).

„კლასთა შეუგნებელი უთანხმოება ძველ დროშიც იყო", მაგრამ ყველა ერთად ებრძოდა გარეშე მტერს. „ჩვენი გლეხი რაღაცით დაკავშირებული იყო სხვა წოდებებთან და მას თავის შინაგანი მონობა ერჩია გარეშე ძალის მონობას. ეს „რაღაც" იყო ენა, ზნეჩვეულება, სარწმუნოება, ისტორიული ტრადიცია და სხვა. ის რასაც მეცნიერები ცხოვრების ფსიქიურ ფაქტორს უწოდებენ" (იქვე, გვ. 53).

ქართველ ერს ეს გამაერთიანებელი და შემ-

კვრელი ნიშნები, არც მეოცე საუკუნის დამდეგს აკლდა და ამიტომ კლასთა ანტაგონიზმს და საზოგადოების პარტიებად დაყოფას ხელი არ უნდა შეეშალა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობისათვის. მართალია, ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ჯერ არ იყო მომზადებული პირობები, მაგრამ ხელსაყრელი სიტუაციის შექმნას პასიურად კი არ უნდა დალოდებოდნენ, არამედ ყველა შესაძლებლობა, ბრძოლის ყველა ფორმა უნდა გამოეყენებიათ, ქართველი ერის პოზიციების დაცვა-განმტკიცებისათვის. არ. ჯორჯაძე მოუწოდებდა ყველა დასებსა და პარტიებს ეროვნული ინტერესების ერთობლივი დაცვისაკენ. თავდაპირველად მან წამოაყენა სამი საკითხი, რომელთა გადაწყვეტის დროს მოკამათე დასებს მოეთხოვებოდათ საერთო ნიადაგზე ყოფნა. ეს იყო 1) ქართული ენის დაცვა, 2) ვაჭრობა-მრეწველობის განვითარება და 3) საქართველოს მიწის ფონდის, მეურნეობის ქართველთა ხელში შენარჩუნება (წიგნი IV, გვ. 7-8).

არ. ჯორჯაძეს საკამათოდ არ მიაჩნდა განცხადება იმის თაობაზე, რომ საქართველოში არსებულ სამივე დაჯგუფებას თუ პარტიას („ცნობის ფურცლის" ჯგუფი-მომავალი სოციალ-ფედერალისტური პარტია, ბურჟუაზიული ნაციონალისტები, „მესამე დასი") უნდა აერთიანებდეს ქართული ენის დაცვის, მისი პოზიციების განმტკიცების დიდი მიზანი. ამაში არც „დიალექტიკური პროცესი" უნდა გვიშლიდეს ხელს და არც ეკონომიური მატერიალიზმი (წიგნი IV, გვ. 8).

რუსიფიკაციის პოლიტიკის პირობებში ქართულ ენას თითქმის ყოველთვის ყავდა მეტნაკლები რაოდენობით მოჭირნახულე და დამცველი. ქართული ენის პოზიციებს XIX ს-ის 60-იანი წლებიდან თავგამოდებით იცავდნენ თერგდალეულები. მათი ინიციატივით შეიქმნა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, გამრავლდა ქართული დაწყებითი სკოლები, სახალხო უნივერსიტეტები, გაძლიერდა ბრძოლა იმისათვის, რომ მთავრობის მიერ შექმნილ გიმნაზია — რეალურ სასწავლებლებში ქართული ენა და ლიტერატურა დაშვებულიყო სრულუფლებიან საგნად. ქართული ენა მგზნებარედ, პატრიოტულად შემართებით სჟექდა თეატრში. იგი გამოიყენებოდა სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში, კატეგორიულად მოითხოვდნენ მის დაშვებას სასამართლოში. მაგრამ არ. ჯორჯაძეს მიაჩნდა, რომ XX ს-ის დამდეგს ცარიზმის კოლონიური და რუსიფიკატორული პოლიტიკა კიდევ უფრო გაძლიერდა; მომრავლდნენ რუსეთუმეები, რომელნიც ქართული ენის პოზიციების განსამტკიცებლად ხელს არ აძრევდნენ. ზოგი გადაგვარებული ფიქრობდა, რომ „ქართული ენის პრაქტიკული საჭიროება აღარ არსებობს, საქმეები ამ ენის საშუალებით არ კეთდება" და ამიტომ აგრძელებდნენ ცნობილი რენეგატის, მუხრანსკის გზას, აცხადებდნენ, ქართული ენით შორს ვერ წავალთ, საკაცობრიო ცივილიზაციის ორბიტაში რუსული ენის მეშვეობით უნდა ჩავერთოთ. არჩილი ცდილობდა სამარცხვინო ბოძზე გაეკრა ასეთი გადაგვარების მოსურნე ქართველები. აფრთხილებდა პატრიოტებს, მთელ ხალხს: თუ სიცოცხლე გვინდა ვითარცა ერს, კი არ უნდა დავივიწყოთ, არამედ საჭიროა გავამდიდროთ ქართული ენა, გავაფართოვოთ მისი პრაქტიკული გამოყენების ფარგლები. ამის გარეშე მალე დავამთავრებთ სიცოცხლეს, „გაზრწნილ გვამად გადავიქცევით". ქართველი თავადაზნაურობისა და ინტელიგენციის ნაწილს, როგორც ჩანს, ეჩქარება საუკუნო განსასვენებელში წასვლა, „მაგრამ ქართველი ერი სიკვდილს არ აპირებს; ქართველ ხალხს სიცოცხლის უნარი და მხნეობა ეტყობა".

ზოგს ჰგონია, ვაჭრობა-მრეწველობის განვითარება წარმოშობს ურთიერთმოწინააღმდეგე ფენებს, გააძლიერებს კლასობრივ ბრძოლას, ამიტომ უკან იხევდებიან, ძველს ებღაუჭებიან. „ჩვენი აზრით კი კაპიტალიზმის ზრდა-განვითარებამ საქართველოში ნაციონალური მიმართულება უნდა მიიღოს, საქართველოს ეკონომიური წარმატება, ქართველ ვაჭარ-მრეწველთა გამრავლება და მუშათა რიცხვის ზრდა... კლასთა ბრძოლის ნიადაგად კი არ უნდა ჩაითვალოს, არამედ აუცილებელ პირობად ჩვენი ხალხის ნაციონალური აღორძინებისა. ქართველი კაპიტალისტი... ქართველ მუშას კი არ უნდა დაუპირისპიროთ, არამედ იმ უცხო ელემენტს, რომელსაც ხელში უჭირავს ვაჭრობა-მრეწველობის მონოპოლია". ქართველი მუშა ეროვნული სულისკვეთებით უნდა იყოს გამსჭვალული. მართალია, ამ გზით იგი თვალსაჩინოდ ვერ გაიუმჯობესებს მატერიალურ მდგომარეობას, რადგან „ნაციონალური იარაღით შრომისა და კაპიტალის წინააღმდეგობა ვერ აღმოიფხვრება. მაგრამ ქართველი მშრომელი ხალხი იძულებულია თავისი კერძო კლასიური ინტერესი საერთო ეროვნულ ინტერესზე დაბლა დააყენოს და მით დაამტკიცოს თავისი ეროვნული თვითცნობიერების სიმწიფე. ჩვენთვის ფულიანი კაცები საჭირონი არიან: უფულონი ვერ ვაწარმოებთ ჩვენი ქვეყნის სიმდიდრეს, ვერ ვახეირებთ ვერავითარს ქართულს საზოგადო საქმეს" (წიგნი IV, გვ. 8-9).

არ. ჯორჯაძის ასეთი თვალსაზრისის წინააღმდეგ „მესამე დასელებმა", რა თქმა უნდა, განგაში ატეხეს. მისი ავტორი ბურჟუაზიის ინტერესების დამცველად მონათლეს, კვლავ კლასთა ბრძოლის აკვიატებული პრინციპი გამოაცხადეს თითქმის ყველა მოვლენის გაგების საფუძვლად. ალბათ ამიტომ იყო, რომ აღნიშნულ სტატიას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც თხზულებათა IV წიგნში შეიტანა, 1911 წელს არჩილმა, ასეთი შენიშვნა გაუკეთა: „საქართველოს ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებისა და ბურჟუაზიის ზრდის დიდ მნიშვნელობას ეროვნული ცხოვრების განვითარება-დაცვისათვის დღესაც ვაღიარებ. დამატებით იმას აღვნიშნავ, რომ კლასთა ბრძოლა არა თუ ხელს უშლის ეროვნულ მთლიანობას, არამედ იგი ქვეყნის წინსვლის ერთერთი ფაქტორია“ (გვ. 9). ამ შემთხვევაში არჩილი ეყრდნობოდა დასავლეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიების არსენალიდან ამოღებულ იარაღს და თვით ევროპის კაპიტალისტური ქვეყნების პრაქტიკას, სადაც კლასობრივი ბრძოლა არა თუ საშიშროებას უქმნიდა ერისა და სახელმწიფოს მთლიანობას, არამედ ქვეყნის წინსვლისა და სოციალური ურთიერთობის ერთერთი მთავარი მარეგულირებელი ფაქტორი იყო.

არ. ჯორჯაძე მოკამათე დასებს მოუწოდებდა ერთად განეხორციელებიათ ღონისძიებანი საქართველოს მიწის ფონდის ქართველთა ხელში შენარჩუნებისა და სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის. თავადაზნაურობის უდიდესმა ნაწილმა ფეხი ვერ აუწყო კაპიტალიზმის განვითარებას, ვერ ახერხებს მეურნეობის რაციონალურად წარმართვას და იძულებულია მიწის ბანკებში დაგირავებასა და გაყიდვას მიჰყოს ხელი. საკრედიტო დაწესებულებებმა დაგირავებული მამულების გაყიდვის პროცესი დააჩქარეს, წოდებრივი მიწათმფლობელობის აღსასრული მოაახლოვეს. „ჩვენი აზრით, ძალიან რომ გვდომოდა თავადაზნაურობის აღდგენა, იგი უკვე წარსულს ეკუთვნის და მისი წოდებრივი აღორძინება შეუძლებელია“. მიწა მხოლოდ იმას შერჩება, ვინც სოფლის მეურნეობის კაპიტალისტურ ყაიდაზე გარდაქმნას შესძლებს, ახალი ტექნიკისა და მოწინავე აგროწესების გამოყენებით რენტაბელურ მეურნეობას შექმნის. ასეთი უნარით აღჭურვილი მეურნენი ჩვენს თავადაზნაურთა წრეში ძალიან ცოტანი არიან და ამიტომ „საკითხმა თუ ვის ხელში დარჩება ამოდენა ქართული მამული, ღრმად უნდა ჩაგვაფიქროს... ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ იმისათვის, რომ გასაყიდი მამულები ან ქართველმა გლეხკაცობამ შეისყიდოს, ან კიდევ ქართველმა ვაჭარმა, მრეწველმა და საზოგადოდ იმათ, ვისაც მეტი ღონე აქვს გარეშე პირებთან ეკონომიური ბრძოლისათვის (წიგნი IV, გვ. 9-10).

სოციალ-დემოკრატებისაგან განსხვავებით, არ. ჯორჯაძე, როგორც ვხედავთ, მჭიდრო კავშირს ხედავდა აგრარულ და ეროვნულ საკითხებს შორის. ქართველთა ხელში საქართველოს მიწა-წყლის შენარჩუნება მიაჩნდა ერის გამძლეობის, ერის თვითგამორკვევის ისეთსავე გადამწყვეტ ფაქტორად, როგორც ქართული ენა, ზნე-ჩვეულება, კულტურა, ისტორიული ტრადიციები.

საქართველოს მიწის ფონდის დაცვა-პატრონობის პრობლემამაც თავდაპირველად თერგდალეულებმა დასვეს. ამ საკითხზე მწვავე კამათს აწარმოებდნენ ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე და სხვ. ქართველი მოღვაწეები. XIX ს-ის მთელ სიგრძეზე ერის მოჭირნახულე ადამიანები კარგად ამჩნევდნენ, რომ ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის პირობებში საქართველოს ტერიტორიაზე თანდათან მრავლდებოდა გარეშე ერთა წარმომადგენლების დასახლებანი, იქმნებოდა რუსული, სომხური, ოსური და აზერბაიჯანული სოფლები, ვრცელი მამულები გადადიოდა სომეხ ვაჭართა და უცხოელ მრეწველთა ხელში. ეს არასასურველი ტენდენცია კიდევ უფრო გაღრმავდა XX ს-ის დამდეგიდან და არ. ჯორჯაძემ დროულად ატეხა განგაში. არჩილს გვერდით ამოუდგა პროგრესული ინტელიგენცია, ქართველი თავადაზნაურობის გათვითცნობიერებული და პატრიოტული ნაწილი. თავადაზნაურთა წოდებრივ-წარმომადგენლობითმა კორპორაციამ ჩამოაყალიბა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება, შექმნა აგრარული კომისია, შეიმუშავა ეროვნული ბანკის პროექტი. ყველა მათგანის მთავარ ფუნქციას შეადგენდა სოფლის მეურნეობის რაციონალურ ყაიდაზე გარდაქმნა, მიწის წესიერი მობილიზაცია, სათანადო პირობების შექმნა იმისათვის, რომ ქართველი დავალიანებული თავადაზნაურობის მიერ გაყიდული მიწა ხელთ არ ჩავარდნოდა უცხოელ კაპიტალისტებს, კომპრადორულ ბურჟუაზიას და ქართველი გლეხობის, აგრეთვე ეროვნული ბურჟუაზიის ხელში გადასულიყო.

ზემოთ აღნიშნულ სამ პრობლემას, რომელთა გადაწყვეტის დროს ქართველთა მოკამათე დასებს საერთო ნიადაგზე დგომა მოეთხოვებოდათ, 1904 წელს არჩილმა დაუმატა ორი საკითხი: 1) „ჩვენმა ინტელიგენციამ სახალხო-კულტურული მოღვაწეობა უნდა იკისროს და 2) ჩვენივე ინტელიგენცია ენერგიულად უნდა ჩაერიოს ქალაქის თვითმმართველობის არჩევნებში“ (წიგნი IV, გვ. 12).

ამ დამატებით პირველ საკითხთან დაკავშირებით არ. ჯორჯაძე წერდა, „განურჩევლად ჩვენი აზრებისა და რწმენისა, ჩვენ შეგვიძლია ვიკისროთ ხალხის განათლება. დავაარსოთ ქართული სკოლები, სახალხო ბიბლიოთეკები, სახალხო თეატრები და სხვ. ...ქართულ დემოკრატიულ და ეროვნულ წარმატებაში სახალხო მოღვაწეობას უპირველესი ადგილი უნდა ეჭიროს“ (იქვე).

კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა რომ ქართველ ინტელიგენციის მთავარ ფუნქციას შეადგენდა, ამაზე არავინ კამათობდა და ამიტომ ამ საკითხზე არჩილის წინადადება თეზისურ, აქსიომატურ ხასიათს ატარებდა, გაცილებით ფართოდ ეხებოდა იგი ქალაქის სათათბიროს ხმოსანთა არჩევნებში და საერთოდ სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალაქო თვითმმართველობის ორგანოთა პრაქტიკულ საქმიანობაში ქართველთა აქტიური მონაწილეობის პრობლემას.

ცნობილია, რომ 1870 წლის საქალაქო დებულების თანახმად საქართველოს რამდენიმე ქალაქმა (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, ფოთი, ახალციხე, გორი და სხვ.) მიიღო თვითმმართველობის უფლება. მაგრამ საარჩევნო ქონებრივი ცენზი იმდენად მაღალი იყო, რომ თვითმმართველობა ფაქტობრივად მიენიჭა მოსახლეობის მცირერიცხოვან ზედაფენას. თვითმმართველობის ორგანოებში მსხვილი და საშუალო შეძლების ბურჟუაზია გაბატონდა, რომლის დიდი ნაწილი არაქართული წარმოშობისა იყო. არ. ჯორჯაძე გულისტკივილით წერდა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქების თვითმმართველობიდან ქართველები თითქმის განდევნილი არიან, საქალაქო სათათბიროებსა და გამგეობებში მეტად მცირე რაოდენობის წარმომადგენლები ყავთ. ბევრს ამის მიზეზად ქართველი მოსახლეობის ხელმოკლეობა, ცენზიან ქართველთა სიმცირე მიაჩნდა. არჩილი აღიარებს, რომ ეს განცხადება არც თუ უსაფუძვლოა. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ამ დამაბრკოლებელი მიზეზების მიუხედავად ამ ათი თორმეტი წლის წინ ქართველმა ცენზიანებმა თბილისის თვითმმართველობაში 24 ხმისანი გაიყვანესო. „ყველა ეს იყო შედეგი შეწყობილის და შეთანხმებულის მოქმედებისა" (წიგნი IV, გვ. 12-13). ამ ბოლო ათი წლის განმავლობაში ქართველ ვაჭარ-მრეწველთა რიცხვი და ხვედრითი წონა გაიზარდა, მაგრამ ამის შესაბამისად ქართველთა წარმომადგენლობა საქალაქო თვითმართველობებში არ იზრდებაო. ამის მიზეზი, არჩილის განცხადებით, ის იყო, რომ ქართველი ინტელიგენციის ერთმა ნაწილმა თავის მოქმედებას კლასობრივი ბრძოლის პრინციპი დაუდო საფუძვლად და არა „ეროვნულ-გამაერთიანებელი პრინციპი. რუსების, სომხების, ქართველების, ეროვნულ ინტერესებზე" კი აღარ ლაპარაკობენ, არამედ კაპიტალისტებზე და მუშებზე... დიდი შეცდომაა ქართველების და სხვა ტომთა ურთიერთობა მხოლოდ ეკონომიკურ ნიადაგზე ავაშენოთ... ჩვენ სომეხი ბურჟუაზიის ეკონომიურ ძალას იგივე ძალითაც უნდა დავუპირისპირდეთ, მაგრამ საქალაქო თვითმმართველობაში პოზიციების გაძლიერების მიზნით, სხვა საშუალებებიც უნდა გამოვიყენოთ" (იქვე, გვ. 14-15).

არ. ჯორჯაძეს უსაყვედურებდნენ ნაციონალურ გრძნობებს აღვივებ, ეროვნებათა წინააღმდეგობებს აძლიერებ, ლიბერალურ და დემოკრატიულ პრინციპებს ღალატობო. არჩილი არ დებულობდა ამ ყალბ ბრალდებას და წერდა: „ლიბერალებს ჩვენ იმას ვეტყვით, რომ თუ როდისმე შელახულა ლიბერალიზმი, ეს სწორედ ახლაა, როდესაც ჩვენი ხალხის ინტერესებს მწიგნობრულ ფორმულებს ვანაცვალებთ. დემოკრატებს კიდევ იმას მივუგებთ, რომ ქალაქის თვითმმართველობა ქართველების არ არის, ჩვენი ინტერესები იქ არ არიან წარმოდგენილნი. ის ჩვენთვის არც ბურჟუაზიულია და არც დემოკრატიული. ის ჩვენთვის არ არსებობს, ანუ იმის არსებობას ჩვენ ვგრძნობთ მხოლოდ იმით, რომ ერთ ნაწილს ჩვენი ხალხისას ხარჯს ახდევინებენ, ნაცვლად კი არაფერს აძლევენ და თუ როდისმე დემოკრატიული პრინციპის შელახვა ყოფილა სადმე, ეს სწორედ ჩვენში, სადაც ეროვნებაზე ლაპარაკი ცრუმორწმუნეობათ მიაჩნიათ, სადაც ჩვენ მორჩილათ თავს ვაქმევინებთ ჩვენს მძლავრ მეზობლებს და სადაც თავის თავის დაცვა დიდ ცოდვათ ითვლება. ლიბერალიზმი და დემოკრატიზმი მოითხოვს, რომ ჩვენც გვქონდეს ადგილი საზოგადოების მართვა-გამგეობაში, რომ ქართველ ხალხსაც ჰყავდეს თავის წარმომადგენლები იმ დაწესებულებაში, რომელსაც თვითმმართველობა ჰქვია... და რადგან ამ მიზნის მისაღწევად ჩვენი ეროვნული გაერთიანებაა საჭირო, სწორედ ამისათვის ჩვენ ვდებთ ეროვნულ პრინციპს საერთო მოქმედების საფუძვლად" (იქვე, გვ. 15).

აჯამებდა რა თავის ნააზრევს, არ. ჯორჯაძე ბოლოს დასკვნის სახით წერდა: „ენა და ლიტერატურა, მრეწველობა და მეურნეობა, თვითმმართველობა და სახალხო განათლება — აი ის ფართო ასპარეზი, რომელზეც ყველასათვის მოიპოვება ადგილი, ვისაც კი მართლა შესტკივა გული საქართველოს წარმატებისათვის" (იქვე, გვ. 16).

ასე ჩამოაყალიბა არ. ჯორჯაძემ თავისებური პროგრამა-მინიმუმი, მოხაზა ის პრობლემები, რომელთა გადაჭრისათვის მუშაობა ერთიან ეროვნულ ნიადაგზე დარაზმულ საქართველოს პოლიტიკურ პარტიებს თვითმპყრობელური რეჟიმის არსებობის, ცარიზმის რუსიფიკატორული და კოლონიური პოლიტიკის პირობებშიც შეეძლოთ. არ. ჯორჯაძის პროგრამა-მაქსიმუმის, საბოლოო მიზნის შესახებ სხვაგან გვექნება საუბარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარნაბ კაპანაძე

# მონარქიული სახელმწიფო თუ დემოკრატიული რესპუბლიკა?

ამჟამად სჯა-ბაასი მიმდინარეობს იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს მომავალი დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო. წამოყენებულია რამდენიმე ალტერნატიული თვალსაზრისი სხვადასხვა პოლიტიკური პარტიისა თუ დაჯგუფებისაგან. უმრავლესობა მხარს უჭერს დემოკრატიული რესპუბლიკის სტატუსს, მაგრამ არის მოსაზრებაც კონსტიტუციურ-დემოკრატიული მონარქიის შემოღების შესახებ, რომელსაც მხარს უჭერენ საქართველოს მონარქისტული პარტია და მისი მიმდევრები. ამასთან დაკავშირებით მინდა შევეხო ცნობილი ქართველი ისტორიკოსისა და მწერლის პროფესორ ლევან სანიკიძის მიერ გაზეთ „სახალხო განათლებაში" (7.VI.1990.) გამოქვეყნებულ სტატიას „აპოლოგია მონარქიისა". მიუხედავად იმისა, რომ სტატიაში ავტორი მისთვის დამახასიათებელი ოსტატობით წარმოგვიდგენს საქართველოს მონარქიული სახელმწიფოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს პასაჟებს, არ შეიძლება დავეთანხმოთ ზოგიერთ მის თვალსაზრისს. მართალია, ავტორი სტატიის დასასრულს აღნიშნავს, „იდეალური ვარიანტი მონარქიისა „კონსტიტუციური მონარქიაა"", მაგრამ იქ მის შესახებ სხვა თითქმის არაფერია ნათქვამი და, ფაქტობრივად, მოცემულია, საკმაოდ ვრცელი, თუმცა საინტერესო მიმოხილვა საერთოდ მონარქიული წყობილების ისტორიისა და, კერძოდ, ქართული მონარქიისა. ავტორი, როგორც ჩანს, მხარს უჭერს არა კონსტიტუციურ-დემოკრატიულ მონარქიას, არამედ აბსოლუტურ მონარქიას. სხვანაირი ლოგიკური დასკვნის გაკეთება შეუძლებელია. ვინაიდან, ჯერ ერთი, ბატონ ლევან სანიკიძის მიერ ხოტბაშესხმული ქართული მონარქია იყო აბსოლუტური და არა კონსტიტუციური. საქართველოს ისტორია არ იცნობს პარლამენტურ, ანუ კონსტიტუციურ-დემოკრატიულ მონარქიას. აქ მუდამ იყო მხოლოდ აბსოლუტური მონარქია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ თამარის დროს ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლის შედეგად დიდგვაროვან ოპოზიციონერთათვის გაკეთებულ ერთგვარ დათმობას, რაც იმაში გამოიხატა, რომ თამარმა პირობა დადო, დიდმნიშვნელოვანი საკითხები გადაეწყვიტა მხოლოდ „დარბაზის წევრთა თანდგომით, ერთნებობით და გამორჩევით". მაგრამ ეს იყო აბსოლუტური მონარქიის მხოლოდ მცირედი და თანაც დროებითი შეზღუდვა. მეორეც, კონსტიტუციურ-დემოკრატიული, ანუ პარლამენტური მონარქია, რომელიც ამჟამად დიდ და მცირე სახელმწიფოებში არსებობს, ფაქტობრივად, თითქმის არ განსხვავდება პარლამენტური, ანუ დემოკრატიულ-რესპუბლიკური წყობილებისაგან. მეფის უფლებები იქ შეზღუდულია პარლამენტით და ზოგან მხოლოდ სიმბოლურ ხასიათს ატარებს. მაგალითად, იაპონიაში იმპერატორს თითქმის არავითარი ძალაუფლება არა აქვს და იაპონელები მას მიიჩნევენ მხოლოდ „სახელმწიფოსა და ხალხის ერთიანობის სიმბოლოდ". შემთხვევითი არ იყო, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, რომლის დროსაც იაპონიამ არა ერთი აგრესიული აქტი განახორციელა, რისთვისაც მისი მესვეურები მკაცრად დაისაჯნენ, იაპონიის იმპერატორი ხიროხიტო, როგორც სრულიად უდანაშაულო, რადგან მას არავინ არაფერს ეკითხებოდა, 1988 წლამდე შერჩა ტახტს. პარლამენტურ რესპუბლიკებში სახელმწიფოს მეთაურად ითვლება პრეზიდენტი, რომელსაც სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვანაირი უფლებები გააჩნია.

პრეზიდენტებს დიდი უფლებები აქვთ მინიჭებული ამერიკის შეერთებულ შტატებში (აქ პრემიერ-მინისტრის თანამდებობა არ არსებობს და, ფაქტობრივად, მთავრობასაც პრეზიდენტი მეთაურობს), საფრანგეთში, ინდონეზიაში და ა. შ. ზოგან პრეზიდენტის უფლებები უფრო შეზღუდულია, მაგრამ, საერთოდ, პრეზიდენტებს ყველა ქვეყანაში მაინც უფრო მეტი უფლება გააჩნიათ, ვიდრე მეფეებს კონსტიტუციურ-დე-

მოკრატიულ ქვეყნებში, პრეზიდენტები, ჩვეულებრივ, შეიარაღებული ძალების მთავარსარდლებიც არიან. ამიტომ ბატონ ლევან ხანიკიძის თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ მონარქის დროს ხელისუფლება უფრო მყარი და სტაბილური იქნება, ვიდრე რესპუბლიკის დროს, რადგან „ამაოა ფიქრი“ იმ ადგილის“ (ე. ი. მეფის ადგილის — ბ. კ.) „დაპყრობა“, ეხება მხოლოდ აბსოლუტური მონარქიის ქვეყნებს, ვინაიდან კონსტიტუციურ-დემოკრატიულ ქვეყნებში ფაქტობრივი ძალაუფლება გააჩნია უმთავრესად პარლამენტს, როგორც საკანონმდებლო ორგანოს და მთავრობას, როგორც აღმასრულებელ და განმკარგულებელ ორგანოს. ამიტომ აქ ბრძოლა წარმოებს არა მეფის ადგილისათვის, რომელსაც, როგორც ვთქვით, რეალური ძალაუფლება თითქმის არ გააჩნია, არამედ ადგილისათვის რეალური ძალაუფლების მქონე პარლამენტსა და მთავრობაში. ამ ცოტა ხნის წინ პრესაში დაიბეჭდა ცნობა სამხრეთ აფრიკის პატარა სახელმწიფოს ლესოტოს შესახებ (ტერიტორია, 30,3 ათ. კვ. მ. მოსახლეობა 1,5 მლნ) ამ ქვეყნის კონსტიტუციური მონარქი მოშე II, რომელმაც უარი განაცხადა თავისი ხელისმოწერით დაედასტურებინა ქვეყნის ფაქტობრივი გამგებლის — სამხედრო საბჭოს მიერ წარმოდგენილ მინისტრთა კაბინეტის ახალი შემადგენლობა, გააძევეს ქვეყნიდან და ამჟამად ინგლისში ცხოვრობს.

აი, როგორია კონსტიტუციური მონარქის უფლება და ხვედრი ზოგიერთ მონარქიულ ქვეყანაში.

რაც შეეხება აბსოლუტურ მონარქიას, მსოფლიოში ამჟამად არსებული 186 დიდ და მცირე ქვეყანაში (გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრია 180 ქვეყანა) აბსოლუტური მონარქია არსებობს მხოლოდ 4 ქვეყანაში, ესენია ე. წ. „მესამე სამყაროს“ ქვეყნები: ომანი, კატარი, საუდის არაბეთი და ნეპალი.

ბატონი ლ. ხანიკიძე აღნიშნავს, რომ „ისტორიული პრაქტიკით და გამოცდილებით ტირანიასა და დიქტატურას მხოლოდ დემოკრატიული და რესპუბლიკური მოძრაობები და სტრუქტურები წარმოშობენ“ და შემდეგ: „რობესპიერი და ნაპოლეონი მხოლოდ რესპუბლიკას შეეძლო წარმოეშვა და არა მონარქიას. ასევე, ლენინის დიქტატურაც მხოლოდ ე. წ. დროებითი მთავრობის ცენტრიდან დემოკრატიას შეეძლო დაეშვა და არა თუნდაც ნიკოლოზ რომანოვის „ჰუმანურ მონარქიას“. ამ თვალსაზრისს ვერ დავეთანხმებით. რომის იმპერატორები, კალიგულა (37-41 წწ.), ეს სისხლის მოყვარე ტირანი, რომელმაც სისხლის მორევში დაახრჩო იმპერია, ნერონი (57-68), შეშლილი ტირანი, რომელმაც გადაწვა რომი და ტკბებოდა ამ სანახაობით, ან უფრო მოგვიანებით ინგლისის მეფე რიჩარდ III, ირანის შაჰები: შაჰ აბას I, ნადირ-შაჰი, აღა მაჰმადი და სხვები, რუსეთის მეფეები: პარანოიკი ივანე მრისხანე, გონებასუსტი თევდორე თუ შიზოფრენიკი პავლე I, განა მონარქისტული რეჟიმების პირმშონი არ იყვნენ? რით სჯობდნენ ისინი რობესპიერს, ნაპოლეონს ან თუნდაც ლენინს? განა მონარქიული წყობილება არ იყო იტალიაში 1922 წელს, როცა იქ მუსოლინის ფაშისტური დიქტატურა დამყარდა? ვერც რუმინეთში შესძლო მონარქიამ აღკვეთა ი. ანტონესკუს სამხედრო-ფაშისტური დიქტატურა, რომელიც იქ დამყარდა 1940 წლის სექტემბერში. მონარქიის კი არა სწორედ დემოკრატიული რესპუბლიკის პირობებში უფრო შეიძლება თავიდან იქნას აცილებული ასეთი პიროვნების მოქცევა სახელმწიფოს სათავეში.

სავსებით მართალია ბატონი ლევან ხანიკიძე, როცა გვაფრთხილებს, რომ დემოკრატიის პირობებშიც კი, ,თუ არ გამოვიჩინეთ მაქსიმალური სიფხიზლე, გამორიცხული არ არის, ხელისუფლების სადავეები ხელთ იგდონ უღირსმა ადამიანებმა, თვით მაფიოზებმაც კი, რომლებსაც უნარი შესწევთ, თავიანთი დემაგოგიური გამოსვლებით შეცდომაში შეიყვანონ ხალხი და გაიყოლიონ იგი. ამ შემთხვევაში არ შეიძლება არ გავიხსენოთ 20-30-იანი წლების გერმანიის მაგალითი, სადაც ჰიტლერმა თავისი დემაგოგიური დაპირებებით შეძლო შეცდომაში შეეყვანა და თავის მხარეზე გადაეყვანა ხალხის ფართო მასები, და ეს მოხდა ისეთი დიდი დემოკრატიული ტრადიციების ქვეყანაში, როგორიც იყო მაშინდელი გერმანია.

თუ რამდენად დიდი იყო დემოკრატიული ტრადიციების ინერციის ძალა მაშინდელ გერმანიაში, ეს ჩანს იქიდანაც, რომ, როცა 1933 წელს ლაიფციგის პროცესზე გ. დიმიტროვს და გერმანიის კომპარტიის ხელმძღვანელობის წარმომადგენლებს ასამართლებდნენ რაიხსტაგისათვის ცეცხლის წაკიდების ბრალდებით, იქ მოწმეებად გამოცხადდნენ ისეთი მაღალი რანგის თანამდებობის პირები, როგორიც იყვნენ გერინგი და გებელსი (არა მგონია, რომ ეს შესაძლებელი იყოს ჩვენს სასამართლოში, აქ ასეთი მაღალი რანგის მოხელეებმა წერილობითი ჩვენება თუ გამოუგზავნეს სასამართლოს, ესეც ბევრია). მიუხედავად იმისა, რომ იცოდა, ფაშისტი მესვეურები დაინტერესებულნი იყვნენ ბრალდებულთათვის მკაცრი სასჯელი დაედოთ, რაც გერინგმა პროცესზეც კი ვერ დამალა, სასამართლო მაინც იძულებული გახდა სამხილის არასაკმარისობის გამო გაემართლებინა ბრალდებულნი. ასევე დემოკრატიის ინერციის შედეგი იყო ისიც, რომ ოპოზიციურმა კომუნისტურმა პარტიამ, რომელიც ფაშისტებს შავი ჭირივით სძულდათ, 1933 წლის 5 მარტს რაიხსტაგის ხელახალ არჩევნებში მიიღო 4,8 მლნ ხმა და გაიყვანა 81 დეპუტატი. მათ შორის უკვე პატიმრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაში მყოფი გერმანიის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე ერნსტ ტელმანი.

დემაგოგია განსაკუთრებით საშიშია არჩევნების დროს. დემაგოგები, რომლებიც სრულებითაც არ არიან ისეთი უმწიკვლონი, როგორადაც თავს მოგვაჩვენებენ, მზარდი ეროვნული მოძრაობისათვის მიტმასნებით შეეცდებიან, უხვი დაპირებებით შეცდომაში შეიყვანონ ხალხის მასები. მე-19 საუკუნის ცნობილი გერმანელი სახელმწიფო მოღვაწე ოტო ბისმარკი, რომლის სახელთანაც დაკავშირებულია გერმანიის გაერთიანებული იმპერიის შექმნა პრუსიის ჰეგემონიით, წერდა, ადამიანები სამ შემთხვევაში ამბობენ ყველაზე დიდ ტყუილს: არჩევნების წინ, ომის დროს და ნადირობის შემდეგო.

როცა ბაგრატიონთა სამეფო დინასტიას ახასიათებს, ბატონი ლევან სანიკიძე აღნიშნავს, რომ ამ დინასტიაში „ყველა ნიჭი და ტალანტია, ყველა გმირი და რაინდი", და ჩამოთვლის დავით აღმაშენებელს, ბაგრატ III, გიორგი I, ბაგრატ IV, გიორგი III, გიორგი IV (ლაშა), დავით ულუს, დავით ნარინს, დემეტრე II თავდადებულს, ბაგრატ V, კონსტანტინე I, ალექსანდრე I — დიდს, ლუარსაბ I, სვიმონ I, ლუარსაბ II, თეიმურაზ I, გიორგი XI, ვახტანგ VI, თეიმურაზ II, ერეკლე II, სოლომონ I დიდს აქ რატომღაც (უეჭველად შემთხვევით) გამორჩენილია გიორგი V ბრწყინვალე (1314-1346), რომელსაც საქართველოს ისტორიაში დავით აღმაშენებელზე ბევრით ნაკლები დამსახურება როდი მიუძღვის). და შემდეგ: „არცერთი შემთხვევა არ ყოფილა სამეფო ხელისუფლების დამხობის ცდისა, არცერთი ბაგრატიონი არ გამხდარა მსხვერპლი შინაური კონიურაციისა".

სამწუხაროდ, ეს მთლად ასე რომ არაა, კარგად მოეხსენება ბატონ ლევან სანიკიძეს, „უქარქაშო ხმლების", „დედა ისტორიისა" და ბევრი სხვა სქელტანიანი წიგნისა და გამოკვლევის ავტორს, მაგრამ რატომღაც ავიწყდება ან უგულებელყოფს მას. მართალია, ქართველ ბაგრატიონთა შორის არ ყოფილან ისეთი გონებასუსტები, როგორიც რომის იმპერიაში ან რუსეთში და არც ისეთი ხოცვა-ჟლეტა მომხდარა სამეფო დინასტიის წარმომადგენელთა შორის, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ირანში ან ინგლისში XV-XVII საუკუნეებში, განსაკუთრებით ლანკასტერთა და იორკთა დინასტიებს შორის გაჩაღებული ე. წ. წითელი და თეთრი ვარდების 30 წლიანი ომის (1455-1485) დროს, როცა ლონდონის ტაუერის საპატიმროში სისხლის მორევი იდგა. იქ უმოწყალოდ ხოცავდნენ როგორც სამეფო დინასტიის წარმომადგენლებს, ისე სხვა დიდებულებს, მაგრამ არც საქართველოს ასცდენია ასეთი ტრაგედიები.

შეიძლება ვინმემ მკრეხელობად ჩამითვალოს, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა, რომ ბევრ გამოჩენილ მეფესთან ერთად საქართველოშიც, მართალია ცოტა, მაგრამ მაინც იყვნენ სუსტი მეფეები, მათ შორის ისინიც კი, ვისაც ბატონი ლევან სანიკიძე სანიმუშოთა შორის ასახელებს და ვერც ბაგრატიონთა დინასტიის წარმომადგენლები ასცდნენ სისხლისღვრას. ტყუილად როდი აქვს ნათქვამი აკაკი წერეთელს თავის „ბაშიაჩუკში", მეფე რომ „პიიპუ-პიიპუს" დაუკრავს, მისი სამეფო „ვაი-ვაის" იმღერებსო.

დიდად სამწუხაროდ, ბაგრატიონთა დინასტიის მეფეთა შორის იყვნენ უზნეონიც. მაგალითად, ბაგრატ VI (1466-1478) ქვეშევრდომთაგან ქრთამის აღებასაც კი კადრულობდა. მის შესახებ დიდი ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა: „რასაკვირველია, როცა ასეთ საქმეს თვით მეფე კადრულობდა, მისი მოხელეები და ჩვეულებრივი წვრილფეხა ხალხი უარესსაც ჩაიდენდნენ" („ქართველი ერის ისტორია", 1967, ტ. IV, გვ. 99).

მართალია, სუსტი და უზნეო მეფეები ქართველ მეფეთა შორის თითზე ჩამოსათვლელია და ამით ბაგრატიონთა დინასტია დიდად განსხვავდებოდა სხვა ქვეყნების სამეფო დინასტიებისაგან, მაგრამ ამ გამონაკლისების უგულებელყოფაც არ იქნებოდა სწორი.

არც ის არის მართალი, თითქოს არც ერთი ბაგრატიონი, როგორც ამას ბატონი ლევან სანიკიძე ბრძანებს, არ გამხდარა მსხვერპლი შინაური კონიურაციისა (ნუ მიწყენს ბატონი ლევანი და უნდა შევნიშნო, რომ მას უყვარს არაქართული გამოთქმების უხვად ხმარება, თუმცა მათი შეცვლა თავისუფლად შეიძლება ქართულით). ფეოდალურ საზოგადოებაში მეტ-ნაკლები ინტენსივობითა და მასშტაბებით ყველგან მოჩანს დიდ ფეოდალთა ბრძოლა მეფეთა უფლებების შესაზღუდავად. რაც უფრო ძლიერია მეფე, მით უფრო ძლიერია ოპოზიცია მის წინააღმდეგ, ვინაიდან ძლიერი მეფე ცდილობს შებოჭოს დიდ ფეოდალთა თვითნებობა, რომლებსაც თავი პატარა მეფეებად მიაჩნდათ თავის სამფლობელოებში. ასე იყო ევროპაში, ასევე იყო რუსეთშიც. არც საქართველო წარმოადგენდა ამ მხრივ გამონაკლისს. დიდ ივანე ჯავახიშვილს ეკუთვნის თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ ქართული ფეოდალიზმი ფრანგულის კლასიკურ მოდელს წააგავს, ხოლო ფრანგული კი საერთო-ევროპული ფეოდალიზმის ადეკვატური იყო. ბაგრატიონთა დინასტია სწორედ ამ ფეოდალიზმის პოლიტიკურ ატრიბუტს წარმოადგენდა და ამიტომ არც მისთვის იყო უცხო შეთქმულებები და ოპოზიციები. არც ერთი ეს შეთქმულება ან ოპოზიცია არც საქართველოში დამთავრებულა უსისხლოდ და მას ეწირებოდნენ როგორც ბაგრატიონთა დინასტიის წარმომადგენლები, ისე სხვა დიდებულები. გავიხსენოთ კლდეკარის ერისთავთა — ბაღვაშთა ხანგრძლივი ბრძოლა ბაგრატ IV, გიორგი IX და თვით დიდი დავით აღმაშენებლის წინააღმდეგ;

ოპოზიცია არსებობდა დავით აღმაშენებლის წინააღმდეგ საეკლესიო ფეოდალთა მხრივაც, რაც ამ უკანასკნელთა მარცხით დამთავრდა.

ორჯერ მოეწყო შეთქმულება დავით აღმაშენებლის შვილის მეფე დემეტრე I წინააღმდეგ. ჯერ მისი ძმის ცვატას (იგივე ვახტანგი) მიერ, რაც იმით დამთავრდა, რომ ცვატას თვალები დათხარეს, ზოგიერთი შეთქმული კი სიკვდილით დასაჯეს; მეორედ უფროსი შვილის — დავითის მიერ. დიდ მასშტაბის შეთქმულება მოეწყო გიორგი III წინააღმდეგ 1177 წელს ტახტის კანონიერი მემკვიდრის, მეფის ძმისშვილის დემნასა და მისი სიმამრის მთავარსარდალ ივანე ორბელის მეთაურობით. შედეგი: დემნა უფლისწულს თვალები დათხარეს და დაასაჭურისეს, რასაც ვერ გაუძლო და გარდაიცვალა, ხოლო ორბელების საგვარეულო თითქმის მთლიანად გაანადგურეს: ზოგი სიკვდილით დასაჯეს, ზოგი კი გააძევეს. ოპოზიციასთან ბრძოლა არ ასცდა თამარსაც. საქართველოს ერთიანობის აღდგენისათვის ბრძოლაში გიორგი V ბრწყინვალე იძულებული გახდა, უკიდურესი ზომები ეხმარა ამ დიდ საქმეში ოპოზიციის ლიკვიდაციისათვის.

კიდევ უფრო სისხლიანი ტრაგედიები დატრიალდა ბაგრატიონთა დინასტიის კახეთის სამეფო კარზე. კახთა მეფე გიორგიმ, შემდეგში ავგიორგიდ წოდებულმა, უთანხმოების ნიადაგზე 1511 წელს ღალატით მოკლა მამა — ალექსანდრე და თვალები დათხარა ძმას; დემეტრეს. ასევე შემაზრზენი ამბავი მოხდა იმავე კახეთში 1605 წელს. ირანის შაჰის კარზე აღზრდილმა კონსტანტინე უფლისწულმა დახოცა მამა — ალექსანდრე კახთა მეფე და ძმა გიორგი, რომელთა მოჭრილი თავები შაჰ აბასს გაუგზავნა. დახოცეს ბევრი სხვა დიდებულიც.

ასევე: თეიმურაზ I მოაკვლევინა თავისი სიძე ზურაბ ერისთავი, ხოლო მისი მოკვეთილი თავი შაჰს გაუგზავნა.

დინასტიურმა ბრძოლამ ბაგრატიონთა შორის თავი იჩინა, აგრეთვე: ერეკლე II მეფობის დროს. 1765 წელს ამ ბრძოლის მოთავედ გამოვიდა ვახტანგ VI უკანონო შვილი პაატა ბაგრატიონი, რომელსაც მხარი დაუჭირეს ამილახვრებმა, ციციშვილებმა, თაქთაქიშვილებმა და სხვებმა. ერეკლემ შეთქმულნი დაამარცხა და მკაცრადაც დასაჯა: პაატა ბატონიშვილს თავი მოკვეთეს, ხოლო სხვა შეთქმულებს ზოგს ენა, ზოგს ცხვირი მოაჭრეს. რუსთ ხელმწიფის უმაღლესმა მოხელეებმა, ტორმასოვმა და სიმონოვიჩმა, საქართველოში ვერავითარი საზღაურით სოლომონ მეფის მკვლელი ვერ მონახეს, ვერ მონახეს იმიტომ, რომ სოლომონი იბრძოდა რუსეთის აგრესიული კურსის წინააღმდეგ, რის გამოც იგი დიდად პოპულარული იყო ქვეყანაში, მეორეც: მკვლელს ეძებდნენ არა აშკარად, არამედ ფარულად და ადამიანთა ხაკმაოდ ვიწრო წრეში. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ სულაც არ გაუჭირდებოდათ ისეთი უზნეო და მოღალატე ადამიანების მოძებნა, რომლებიც ასეთ სისაძაგლეზე უარს არ იტყოდნენ. განა ამის დასტური არ არის ქართლის გმირი მეფის სიმონ I (1556-1569, 1578-1600) მიმართ აზნაურ კაბაბერ ყორღანაშვილის მოღალატური საქციელი, რომელმაც ფარცხისთან ომის დროს (1569) ყიზილბაშებს მიუთითა ქართველთა ძირითადი ლაშქრისაგან დაშორებულ და ხიფათში ჩავარდნილ მეფეზე, ხოლო მეორე მოღალატემ მეფეს შუბი ჰკრა და ცხენიდან ჩამოაგდო, რის შემდეგაც ყიზილბაშებმა შეძლეს მისი დატყვევება. ტყვეობა მთელი 9 წლისწადი გაგრძელდა. არადა, როგორ ჰირდებოდა ქართლს ასეთი ჭკუადი და ჭკვიანი მეფე.

ასე რომ, ბაგრატიონთა დინასტია, მიუხედავად იმისა, რომ იგი გამოირჩეოდა სხვა ქვეყნების სამეფო დინასტიებისაგან გამჭრიახობითა და შემწყნარებლობით, მაინც არ ყოფილა დაზღვეული სუსტი და უზნეო მეფეებისაგან და არც უსისხლო ყოფილა მათი მოღვაწეობა.

„ექსპლუატატორსა“ და „ექსპლუატირებულს“ ბატონი ლევან სანიკიძე „მარქსისტულად ნაცვეთ და ნაცოხნ ფორმულას“ უწოდებს, რასაც მართებულად ვერ მივიჩნევთ. არ შეიძლება ვთქვათ, რომ არც ერთ კლასობრივ საზოგადოებაში არ ყოფილან ექსპლუატატორები და ექსპლუატირებულნი. ნურც იმას დავაბრალებთ მარქსსა და ენგელსს, თითქოს ექსპლუატატორები და ექსპლუატირებულნი, საერთოდ კლასები და კლასთა ბრძოლა მათ გამოეგონოთ. მოძღვრება ამ კატეგორიათა შესახებ მარქსამდე დიდი ხნით ადრე არსებობდა, თვით კ. მარქსი გარკვევით ამბობს ამის შესახებ თავის წერილში ი. ვაიდემაიერისადმი 1852 წლის 5 მარტს: „რაც შემეხება მე, მე არ მეკუთვნის არც თანამედროვე საზოგადოებაში კლასების არსებობისა და არც მათ შორის ბრძოლის აღმოჩენის დამსახურება. ბურჟუაზიულმა ისტორიკოსებმა დიდი ხნით ჩემზე ადრე გადმოსცეს კლასთა ამ ბრძოლის ისტორიული განვითარება, ხოლო ბურჟუაზიულმა ეკონომისტებმა — კლასების ეკონომიკური ანატომია. ის რაც მე ახალი გავაკეთე, იმის დამტკიცებაში მდგომარეობს, რომ 1) კლასთა არსებობა მხოლოდ წარმოების განვითარების განსაზღვრული ისტორიულ ფაზებთანაა დაკავშირებული; 2) რომ კლასთა ბრძოლას აუცილებლად მივყავართ პროლეტარიატის დიქტატურამდე; 3) რომ თვით ეს დიქტატურა მხოლოდ ყველა კლასთა მოსპობასა და უკლასო საზოგადოებისაკენ გადასვლას წარმოადგენს“ (კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული წერილები. თბ., 1949, გვ. 62).

კლასებისა და კლასთა ბრძოლის არსებობას არ უარყოფენ არც დასავლეთ ევროპის სოციალისტური პარტიები, რომლებიც არ იზიარებენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარქსიზმის ბევრ ცნობილ დებულებას. ასე, მაგალითად, კლემენტ ეტლი, „დემოკრატიული სოციალიზმის" ერთ-ერთი ცნობილი იდეოლოგი, ინგლისის ლეიბორისტული (მუშათა) პარტიის ყოფილი ლიდერი და ერთ დროს პრემიერ-მინისტრი, აცხადებდა, რომ ისევე, როგორც კომუნისტებს, ლეიბორისტებსაც სურთ მოსპონ ყველა ექსპლუატატორული კლასი და შექმნან უკლასო საზოგადოება, მაგრამ კომუნისტებისაგან განსხვავებით მათ მიაჩნიათ, რომ ექსპლუატატორული კლასების მოსპობის შემდეგაც არსებობს საფრთხე, წარმოიშვას ისეთი მმართველი ბიუროკრატიული ზედაფენა, როგორიც საბჭოთა კავშირშია და რომელიც ყველა ექსპლუატატორულ კლასზე უარესია. ამიტომ ლეიბორისტებს სურთ შექმნან ისეთი საზოგადოება, რომელიც გამორიცხავს ასეთი მმართველი ბიუროკრატიული ზედაფენის წარმოქმნის ყოველგვარ შესაძლებლობასო.

ვერ დავეთანხმები ბატონ ლევან სანიკიძეს ვერც იმაში, თითქოს ფეოდალურ-მონარქიულ საქართველოში სუფევდა კლასთა სრული ჰარმონია. იგი აღნიშნავს, საქართველოში ფეოდალური ურთიერთობის გამორჩეული სისტემა — „პატრონ-ყმობა" სახელდებითვე სწორედ უფრო „მამაშვილობას" გვიჩვენებს, ვიდრე „ფლობა-მონობასო". სახელდებით ეს შეიძლება სწორედ ასე მივიჩნიოთ, მაგრამ განა ეს ნიშნავს იმას, რომ სინამდვილეში ფეოდალურ საქართველოში ბატონებსა და ყმებს შორის მართლა „მამაშვილური" დამოკიდებულება იყო? მართალია, მებატონეთა წინააღმდეგ საქართველოში არ ყოფილა ისეთი ფართო მასშტაბის ორგანიზებული გლეხთა აჯანყებები, როგორიც იყო საფრანგეთში, ინგლისში, გერმანიაში ან რუსეთში, მაგრამ ეს მაინც არ ნიშნავს, რომ ჩვენში სრული კლასობრივი ჰარმონია, ნამდვილი „მამაშვილობა" სუფევდა ბატონსა და ყმას შორის. ცალკეული, არცთუ მცირე მაგალითები ასეთი ურთიერთობისა ნამდვილად იყო არა მარტო საქართველოში, არამედ ევროპაშიც, ეგებ უფრო მეტად საქართველოში, მაგრამ ეს არ გვაძლევს საფუძველს, მივიჩნიოთ, რომ საქართველოშიც არ ჰქონდა ადგილი მებატონეთაგან ყმა-გლეხების ჩაგვრის ყოვლად უხეშ ფორმებს, თუმცა ისეთს არა, როგორსაც ვხვდებოდით რუსეთში სალტიჩიხის სახით. მებატონე სალტიკოვამ 6 წლის მანძილზე არაადამიანური ხერხებით აწამა 138 ყმა-გლეხი. ეს ფაქტები იმდენად შემაზრზენი იყო, რომ მებატონეთა უფლებების მტკიცე დამცველი ეკატერინე II კი იძულებული გახდა სასამართალში გადაეცა სალტიკოვა. მას ჯერ სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს, რაც შემდეგ მუდმივი პატიმრობით შეუცვალეს. ყმა-გლეხების ტანჯვა-წამებას საქართველოშიც ჰქონდა ადგილი. ამას მოწმობს ის, რომ სამეგრელოს მთავრებს — დადიანებს გლეხთა საწამებლად ჰქონდათ სხვადასხვა იარაღების მთელი არსენალი, მათ შორის ე. წ. ხაჯალურები, თვით XIX საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში კანტიკუნტად გამომავალ პრესაშიც კი ვხვდებით განცხადებებს იმის შესახებ, რომ იყიდება გლეხის ოჯახი თავისი კარმიდამოთი ან იცვლება ცხოველზე და ა. შ. განა ცხოვრების სინამდვილიდან არაა აღებული დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხეში", ილია ჭავჭავაძის „კაკო ყაჩაღში" და „გლახის ნაამბობში", ნიკო ლორთქიფანიძის „მრისხანე ბატონში" და ბევრ სხვა ლიტერატურულ ნაწარმოებში მოცემული ცნობილი პასაჟები მებატონეების მხრივ ყმა-გლეხებისადმი არაადამიანური მოპყრობის დასახასიათებლად? ანდა, განა გადაგვარებული ქართველი თავადაზნაურები არ ჰყიდდნენ აზიის ტყვეთა ბაზრებზე რჩეულ ქართველ ქალ-ვაჟებს? აზიისა და აფრიკის მუსულმანურ ქვეყნებში ჰარამხანები ძირითადად სწორედ საქართველოდან შესყიდული ქალებით კომპლექტდებოდა. ასევე, მამლუქთა დიდი უმრავლესობა ქართველთაგან შედგებოდა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბატონი ლევან სანიკიძე ხოტბას ასხამს მონარქიულ წყობილებას და ყველაფრიდან ჩანს, რომ ეს არის აბსოლუტური მონარქია. ამიტომაც იგი სრულებით არაფერს ამბობს იმაზე, თუ რა უპირატესობა გააჩნია კონსტიტუციურ მონარქიას დემოკრატიულ რესპუბლიკასთან შედარებით. მათ შორის ფაქტობრივად, თითქმის არავითარი არსებითი განსხვავება არ არსებობს. შეიძლება ითქვას, რომ ეს განსხვავება მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს და იგი ძირითადად იმაში მდგომარეობს, რომ დემოკრატიულ რესპუბლიკებში სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი, რომელსაც ირჩევს მოსახლეობა ან მის მიერ არჩეული პარლამენტი, ხოლო კონსტიტუციურ-დემოკრატიულ ქვეყნებში სახელმწიფოს მეთაურად ითვლება მეფე, რომელიც მემკვიდრეობით, არჩევნების გარეშე და უვადოდ იკავებს ამ პოსტს. ამასთანავე, პრეზიდენტის ფუნქციები და უფლებები ზოგან უფრო მეტიც არის, ვიდრე მეფისა. ამიტომ არ არის მართებული, მივიჩნიოთ, რომ ხელისუფლება უფრო სტაბილურია კონსტიტუციურ-დემოკრატიული მონარქიის ქვეყნებში, ვიდრე დემოკრატიულ რესპუბლიკებში. რით სჯობია, მაგალითად, ინგლისის, ბელგიის, ნიდერლანდების, დანიის, ნორვეგიის, შვეციის ან რომელიც გნებავთ სხვა კონსტიტუციური-დემოკრატიული მონარქიის ქვეყნის პოლიტიკური წყობილება ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, დასავლეთ გერმანიის, შვეიცარიის, ფინეთის, იტალიის ან მსოფლიოს იმ 140-მდე ქვეყნის პოლიტიკურ წყობილებას, რომლებშიც რესპუბლიკური რეჟიმი არსებობს?

განა ამ ქვეყნებში ხელისუფლება ნაკლებ სტაბილურია, ვიდრე პარლამენტური მონარქი-

ისა ან თუნდაც აბსოლუტური მონარქიის ქვეყნებში? გადატრიალებები ამ უკანასკნელში უფრო ხშირადაც კი ხდება. განა ის ფაქტი, რომ მსოფლიოს 140-ზე მეტ ქვეყანაში, ე. ი. ქვეყნების 3/4-ზე მეტში, რესპუბლიკური წყობილება არსებობს, არ მეტყველებს იმაზე, რომ მონარქიული წყობილება სულაც არაა სტაბილური? ეს ქვეყნები ხომ მანამდე თითქმის ყველანი მონარქიულნი იყვნენ და გარდაიქმნენ რესპუბლიკად? გადატრიალებები, რასაც შედეგად მოჰყვა მონარქიის სრული ლიკვიდაცია და რესპუბლიკური რეჟიმის დამყარება, მოხდა ბევრ ქვეყანაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგაც: იტალიაში, საბერძნეთში, ბულგარეთში, რუმინეთში, ეგვიპტეში, კამბოჯაში, ლაოსში, ავღანეთში, ეთიოპიაში და ა. შ. რა თქმა უნდა, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ გადატრიალებები მთლიანად გამორიცხულია რესპუბლიკურ ქვეყნებში. გადატრიალება აქაც ხდება, მაგრამ უფრო ისეთ ქვეყნებში, სადაც დაბალია ხალხის პოლიტიკური კულტურა. რამდენი ხანია რესპუბლიკური რეჟიმი არსებობს ევროპის ქვეყნებში: საფრანგეთში, იტალიაში, შვეიცარიაში, გერმანიაში და სხვაგან, მაგრამ არავითარი გადატრიალება და ტოტალიტარული რეჟიმის დამყარება ამ ქვეყნებში არ მომხდარა იმიტომ, რომ აქ ხალხი დიდი ხანია დაეუფლა ქვეყნის მართვას დემოკრატიზმის პრინციპების საფუძველზე.

სახელწოდება „მონარქი" (ბერძნულიდან — „მონის" — ერთი, „არქოს" — მმართველი, ხელმძღვანელი, გამგებელი, ე. ი. ერთმმართველი), ფაქტობრივად, კონსტიტუციურ-დემოკრატიული ქვეყნების მეფისათვის მიზანშეუწონელიც კია, რადგან იგი არ არის ერთმმართველი. ყველაფერს წყვეტს პარლამენტი და მთავრობა. პარლამენტური მონარქიის კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენს დიდი ბრიტანეთი, იგი არის ერთა თანამეგობრობის (კომონუელსი) ცენტრი, რომელიც 49 დამოუკიდებელ ქვეყანას აერთიანებს. აქედან 17-ში სახელმწიფოს მეთაურად ითვლება ინგლისის მეფე (ინგლისის გარდა, ერთა თანამეგობრობის 16 სხვა ქვეყანაში სახელმწიფოს მეთაურობა ხორციელდება ინგლისის მეფის წარმომადგენლის, გუბერნატორის ან გენერალ-გუბერნატორის საშუალებით).

ჩვენი აზრით, მომავალი დამოუკიდებელი საქართველოსათვის სახელმწიფოებრიობის ოპტიმალური ფორმა შეიძლება იყოს არა მონარქიული, არამედ დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელიც დამახასიათებელია თანამედროვე ცივილიზებული ქვეყნების დიდი უმრავლესობისათვის. რაც შეეხება, მონარქიულ წყობას, კონსტიტუციურ-დემოკრატიული მონარქია კიდევ დასაშვებია, ხოლო აბსოლუტური მონარქია დრომოჭმული ანაქრონიზმია და სრულიად მიუღებელი.

მაინც ვინ შეიძლება დაიკავოს საქართველოს მეფის ტახტი? გამოდგება ამ პოსტზე ესპანეთში მყოფი ბაგრატიონთა დინასტიის შთამომავალი? რომელიც საზღვარგარეთ დაიბადა, აღიზარდა. (თუმცა ძალიან ცოტა შეიძლება იყოს მომხრე ჩვენში აბსოლუტური მონარქიის დამყარებისა), რაც შეეხება კონსტიტუციურ-დემოკრატიული ქვეყნის მონარქს, ამ შემთხვევაში, ალბათ, გამოდგება, რადგან მას ბევრი არაფერი ეკითხება, მაგრამ არის კი იმის საჭიროება, რომ საქართველოში შეიქმნას კონსტიტუციურ-დემოკრატიული, ანუ პარლამენტური მონარქია და არა დემოკრატიული რესპუბლიკა, როგორც ყველაზე გავრცელებული და ყველაზე პროგრესული პოლიტიკური წყობა თანამედროვე ცივილიზებულ სამყაროში? ამ საკითხზე დიალოგი უნდა გაგრძელდეს, ამავე დროს, საკითხი უნდა გადაწყდეს რეფერენდუმის გზით.

დაბოლოს, მინდა აღვნიშნო, რომ მიუხედავად ჩემი ამ შენიშვნებისა, ბატონ ლევან სანიკიძის დასახელებულმა სტატიამ ჩემში დიდი ინტერესი გამოიწვია და მისი გაცნობით დიდად კმაყოფილიც დავრჩი, ამ მცირედ შენიშვნებს კი, მე მგონია, იგი საწყენად არ მიიღებს.

მიხეილ გავაშელი

# მინდიას ოპონენტთა არგუმენტები ანუ ბრბო და პიროვნება

„გველის-მჭამელში“ მინდიას ოპონენტად ფაქტიურად მთელი თემი გამოდის, თემის პოზიცია უპირისპირდება მინდიას პოზიციას: „ეს იყო გამონასკული აზრი ხევსურთა კრებისა“ — წერს ვაჟა. ამრიგად, თემი მინდიას კოლექტიური ოპონენტია და ეს გარემოება მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც რაოდენობრივი ფაქტორი (ოპონენტთა სიმრავლე) პიროვნების დასამარცხებლად ვერ მუშაობს, მიზანს ვერ აღწევს. ეს მოტივი ნიშანდობლივია ვაჟა-ფშაველას მთელი შემოქმედებისათვის და გაცხადებულია არა მარტო „გველის-მჭამელში“, არამედ „ალუდა ქეთელაურში“, „სტუმარ-მასპინძელში“ და ვაჟას სხვა თხზულებებში.

„გველის-მჭამელში“ მინდიასა და მისი ოპონენტების პაექრობა ძირითადად მეოთხე თავშია გადმოცემული, როგორც მთელ პოემაში, ისე კონკრეტულად ამ თავში ნათლადაა გამოკვეთილი პიროვნების ერთი არსებითი ნიშანი: თავისი მსოფლმხედველობის გასავრცელებლად მინდია არავითარ ძალდატანებას არ მიმართავს; იგი მოქმედებს, მოქმედებს საკუთარი მსოფლმხედველობისა და ზნეობის კვალობაზე. მოქმედებს არა სხვათა წამხედურად, არ ისე, როგორც ყველა, როგორც უმრავლესობა, არამედ მარტო საკუთარი გონით და საკუთარი გულის კარნახით. ამ დროს (მოქმედების პროცესში, საქმის კეთებისას) მისთვის მთავარია, გადამწყვეტია მხოლოდ ეს საქმე და არა სხვათ დამოკიდებულება. ამ საქმისა და მისი საქციელისადმი ერთადერთი ე. წ. „პროპაგანდისტული“ აქტი, რომელსაც ის სჩადის, არის მოკრძალებული რჩევა თანამოძმეთათვის — ცოდვიან საქმეს ნუ სჩადით, მცირედით, უცოდველთაც შეიძლება გავიდესო კაცი ცხოვრების ფონს:

სხვებსაც მას ურჩევს: კაცებო, მოდით, ნუ ჰშვრებით ცოდვასა, ნუ მოსჭრით ხესა, დაჰჭერდეთ ჯოურებს, ხმელს წიწკრებს ცოტასა.

აბა, დავაკვირდეთ ტონს ამ რჩევისას: მტანჯველი აზრის ინტიმურ გაზიარებას უფრო ჰგავს იგი, ვიდრე მენტორული ტონით წარმოთქმულ რჩევას ან, მით უმეტეს, ვინმესთვის ძალით თავსმოხვეულ მსოფლმხედველობრივ დოგმას. პიროვნებისათვის აბსოლუტურად მიუღებელია ძალდატანება, იგი მისი მსოფლმხედველობის სტრუქტურაში არ შედის. ამითაც არსებითად განსხვავდება პიროვნება უპიროვნო, მასის ადამიანთაგან, ბრბოსა და მისი წევრებისაგან. ჯოგური ცნობიერება პიროვნებისათვის საერთოდ უცხო ხილია, მასისა და მასის ადამიანთათვის (უპიროვნო არსებებისათვის) კი იგი ერთ-ერთი არსებითი მახასიათებელია (ზეკაცის ნიცშესეული ტიპის — ზარატუსტრასაგან მინდია, როგორც პიროვნება, იმითაც განსხვავდება, რომ თავისი მსოფლმხედველობის პროპაგანდას არ ეწევა. წინააღმდეგ შემთხვევაში ესეც ძალადობის ფორმა იქნებოდა და მინდიაც ანტიჰუმანურ პროტაგონისტად იქცეოდა). სწორედ ჯოგური ცნობიერება არ აძლევს მინდიას ოპონენტებს საშუალებას სერიოზულად გაიზიარონ მისი მოკრძალებული რჩევა და, მით უმეტეს, იმოქმედონ ამ რჩევის მიხედვით:

არავის უსმენს, არქმევენ
ამგვარს მის რჩევას ბოდვასა.

მაგრამ ყველაზე საინტერესო და ყველაზე ღრმადგასააზრებული მინდიას ოპონენტთა არგუმენტაციაა. ვაჟა-ფშაველას სიბრძნე და გენიოსობა იქედანაც სრულად ჩანს, რომ ხალხს ხელაღებით, უარგუმენტოდ კი არ უპირისპირებს მინდიას, არამედ თანასწორ მდგომარეობაში აყენებს სამსჯავროს წინაშე, ჩვენ, მკითხველთა წინაშე. იმათი მთავარი არგუმენტი კი, ვინც მინდიას რჩევას ბოდვას უწოდებს, ე. ი. მინდიას ოპონენტთა არსებითი არგუმენტი არის ღმერთზე მითითება, ღმერთის მიერ დაწესებული წესრიგის მოშველიება

ღმერთს ჩვენთვის გაუჩენია
სარგოდ, მოსახმარადა!

თითქოს მართლაც ურყევი, შეუვალი არგუმენტია: ცხოვრების ასეთ წესს ათასწლეულ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით მისდევს ადამიანი. მაგრამ ჩავუკვირდეთ ცხოვრების როგორ წესზეა აქ საუბარი: ჰუმანურზე თუ არაჰუმანურზე. თავისთავად ეს კითხვაც შეიძლება რიტორიკულად მოგვეჩვენოს, რადგან ცხოვრების წესს მრავალი ფაქტორი განსაზღვრავს, რომელთაგან არსებითი ე. წ. ობიექტური ფაქტორებია. თუნდაც ამიტომაც ჩამოყალიბებული ცხოვრების წესი თვით იმ, საზოგადოების ფარგლებში, რომელიც ცხოვრების ამგვარ წესს მისდევს, არ შეიძლება შეფასდეს როგორც ჰუმანური ან ანტიჰუმანური (მეტი სიცხადისათვის დავუმატებთ, რომ ამ შემთხვევაში ცხოვრების წესის ცნებაში არ ვგულისხმობ სოციალური წყობის, სისტემის ამა თუ იმ მოდელის ანტიხალხურობის, ანტიადამიანურობის „წყალობით" დარღვეულ და დეფორმირებულ ბუნებრივ საზოგადოებრივ ურთიერთობებს). ამგვარი შეფასების უფლება შეიძლება გვქონდეს მხოლოდ ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა სიმაღლიდან. ამ შემთხვევაში, პიროვნებისა და საზოგადოების დაპირისპირებისას, სწორედ ზოგადსაკაცობრიო, მარადიული ღირებულებების ნიადაგზე უნდა ვიდგეთ, სწორედ ამ სიმაღლიდან ვეცადოთ განვსაჯოთ მინდიასა და მისი ოპონენტების არგუმენტები.

ამრიგად, გავიხსენოთ რას ურჩევს მინდია თავის თანამოძმეთ: ხეებს ნუ მოსჭრით საშეშედ, ხეებიც ცოცხალი არსებები არიან და მათი ხელოვნური განადგურება ცოდვაა. ცეცხლის გასაჩაღებლად ბუნებრივად გამხმარი ხეები, ფიჩხი, წივა და სხვა რამ გამოვიყენოთ. თვითონ, როგორც გახსოვთ, მხოლოდ ასე იქცევა; რადგან ესმის ხეების ვედრება: „ნუ მომკლავ; ჩემო მინდიავ, ნუ დამიბნელებ მზესაო", მაგრამ იქნებ იმიტომაა სწორედ მისი რჩევა მოკრძალებული, რომ სხვებს არ ესმით ბუნების ენა და მინდიას ეს კარგად აქვს გაცნობიერებული? რა თქმა უნდა, ამიტომაც; მაგრამ მინდიას მოქმედების საფუძველია არა იმდენად იმის შეგნება, რომ სხვებს მისი ბადალი უნარი არა აქვთ, რომ სხვებს არ ესმით ბუნების ხმები, ბუნების ენა, რამდენადაც თვით მისი საკუთარი უნარიდან გამომდინარე პასუხისმგებლობა: პიროვნების არსებითი ღირებულება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იგი განიცდის პასუხისმგებლობას მთელი სინამდვილის მიმართ, მთელი სამყაროს მიმართ, როგორც მისი ნაწილი. ამგვარი პასუხისმგებლობის განცდა კი იწყება უშუალო სინამდვილის ანუ პიროვნების გარემომცველი სინამდვილის წინაშე პასუხისმგებლობის განცდით. სამყაროს, ყოფიერების წინაშე პასუხისმგებლობა „გველის-მჭამელში" აბსტრაქტული, უნიადაგო და განყენებული ცნება კი არ არის, არამედ სწორედ პიროვნების სამოქმედო არეალიდან გამომდინარე და მასზე დაფუძნებული. უფრო მეტიც — პრობლემის ამგვარი ხედვა, ხოლო თუ უფრო გაბედულად ვიტყვით — ამგვარი მსოფლმხედველობა ვაჟა-ფშაველას მსოფლმხედველობაა სწორედ. ამიტომ, სინამდვილისადმი დამოკიდებულების, მიმართების მოდელი გამონაკლისი არ არის ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში; არსებითად მინდიასეული თვალთახედვის „თანამოზიარენი" არიან ალუდა ქეთელაურიც, ჯოყოლაც, ზვიადაურიც და ვაჟას თხზულებათა ბევრი სხვა პროტაგონისტიც. მეტი სიზუსტისათვის კი დავძენთ, რომ მინდია ასრულებს პიროვნებადქცევის იმ კონცეფციას, რომელიც ვაჟა-ფშაველამ „გველის-მჭამელამდე" შექმნილ თხზულებებში წამოჭრა და განავრცო (საინტერესოა, რომ გერმანელი ექსისტენციალიზმის ფუძემდებლის მ. ჰაიდეგერის ფუნდამენტალური ონტოლოგიის არსებითი მახასიათებელიც პიროვნების — ექსისტენც-ადამიანისა და სამყაროს ურთიერთდამოკიდებულების ანალოგიურ მოდელს ემყარება: სინამდვილის, ყოფიერების არსის გასაღები ადამიანის არსის წვდომის მეშვეობით მოიპოვება. ამგვარ ოპერაციას სხვა, გარეშე პირი კი არ ახდენს, არამედ ადამიანმა ჯერ თვითონ თავის არსებას უნდა მიაგნოს თუ უნდა, რომ ყოფიერების არსს მიწვდეს. თუ ტრადიციულ ფილოსოფიურ მოძღვრებებში ყოფიერების არსის წვდომა წინაპირობა იყო მისი სტრუქტურული ელემენტების არსში წვდომისა, ჰაიდეგერთან მოდელი შებრუნებულია. მართალია მ. ჰაიდეგერის მოძღვრების ეს ნაწილი მხოლოდ ზოგადად ეხმაურება ვაჟა-ფშაველას შემოქმედების იმ მოტივს, რომელსაც პიროვნებადქცევის და პიროვნებადყოფნის ზნეობრივ-მსოფლმხედველობრივი საფუძვლები შეიძლება ვუწოდოთ, მაგრამ პრობლემის გააზრების ამგვარი ზოგადი მსგავსებაც საკმაო საფუძვლად მიმაჩნია საიმისოდ, რომ ამ მოძღვრებას დუმილით არ ავუქციო გვერდი).

მაგრამ დავუბრუნდეთ მინდიას ოპონენტთა არგუმენტებს: მინდიას რჩევას — ხეებს ნუ მოსჭრითო, — მისი თანამოძმენი არ ისმენენ იმ მოტივით, რომ ხეები „ღმერთს ჩვენთვის გაუჩენია სარგოდა, მოსახმარადა!"-ო. აი, მთავარი არგუმენტი მინდიას ოპონენტებისა. საქმის ამგვარი შემობრუნება ერთი შეხედვით ურყევ საბუთს გვაძლევს მინდიას გასამტყუნებლად და მის ოპონენტებს, აბსოლუტური ჭეშმარიტების მღაღადებლად გვისახავს, თითქოს ყველაფერი სწორია ამ არგუმენტში — მთელი გარემომცველი სინამდვილე ადამიანთა ბუნებრივი სახლია და ამიტომ უნდა იცხოვრონ კიდევაც ამ სახლში. ცხოვრება კი იმას ნიშნავს, რომ სიცივისაგან თავშესაფარიც გქონდეს და შიმშილის დაოკების საშუალებაც. ამიტომ ადამიანებს ცეცხლიც სჭირდებათ და პურიც არსებობისა. მაგრამ მინდია განა შიმშილით დაუძლურებას ან სიცივით გათოშვას ურჩევს თანამოძმეთ? მისი რჩევა ხომ იმით შემოიფარგლება, რომ ხეებს ნუ მოჭრით საშეშედ და ჯოყრებსა და ხმელ წიწკრებს დავჯერდეთ. ამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიგად. მინდიას ოპონენტებისათვის ადამიანისა და სამყაროს დამოკიდებულება პრიმიტიულ სქემამდეა დაყვანილი; რაც უფრო იოლი მოსაპოვებელია, სწორედ ის უნდა მოვიხმაროთ და გამოვიყენოთ, ათწლეულობით და შესაძლოა საუკუნეებით ნაზარდი ხის საშეშედ ცულით მოჭრა, რა თქმა უნდა, უფრო იოლია, ვიდრე მისი ტოლფასი ფიჩხის შეგროვება. სწორედ ამაშია მინდიას ოპონენტთა სოფიზმის საფუძველი, — მათთვის ხე მხოლოდ საშეშე მასალაა; დღევანდელი დღის იოლად გალევის საშუალებაა და ამიტომ ჰგონიათ, რომ ღმერთმა მათთვის, მათ სარგოდ, მათი საჭიროების დასაკმაყოფილებლად გააჩინა. დღეს უკვე ნათელია თუ რამდენად გაუსწრო ვაჟა-ფშაველამ თავის ეპოქას: იგი თითქოს მე-20 საუკუნის დასაწყისიდან კი არა, მისი დასასრულის სიმაღლიდან ხედავს პრობლემას. იგი დღევანდელ დღეზე არანაკლებ ნათლად ხედავს ხვალინდელ დღესაც; მინდიაც ხომ ხვალინდელ დღეზე ზრუნვითაა შეპყრობილი და ამიტომაც ველარ მოუჭრია ხე. მის ოპონენტებს კი ეს არა აქვთ გაცნობიერებული და ამიტომაც ჭრიან ხეებს სინდისის ქენჯნის გარეშე: ღმერთს ჩვენს სარგოდ გაუჩენიაო, კი, თქვენს სარგოდ გააჩინა ღმერთმა ხეები, მაგრამ სანამ ისინი შეშად გვარგებენ, მანამდე სხვა სარგებლობა მოაქვთ მათ თვენთვის — თითქოს ეუბნება მინდია თანამოძმეთ. მისი „გამეცნიერების" საიდუმლოც სწორედ აქაა („ქაჯნი ბრაზობენ, რა მხედვენ — გამეცნიერდა გლეხია"). მისთვის ადამიანისა და ბუნების დამოკიდებულება ისეთი მარტივი და პრიმიტიული აღარაა, როგორც მისი თანამოძმეებისთვის (სინამდვილისადმი მინდიას ოპონენტ-თანამოძმეთა დამოკიდებულება პირდაპირ ასახავს ე. წ. „პრესტაბილური ჰარმონიის" პრინციპს, რომლის მიხედვითაც, მაგალითად, თაგვები არსებობენ იმიტომ, რომ ისინი კატებმა შეჭამონ). ისინი ცხოვრებისეული ინერციით მოქმედებენ და ამიტომვე მსჯელობენ ამგვარად. მათ არა აქვთ გაცნობიერებული ბუნებისადმი საკუთარი დამოკიდებულების არსი, მისი ცალმხრიობა. მინდია კი ამ ცალმხრივობისაგან თავდახსნილია.

მინდიას „გამეცნიერება", პირველ ყოვლისა, სინამდვილისადმი ყოფითი დამოკიდებულების გადალახვას, მის დაძლევას ნიშნავს. სინამდვილისადმი ყოფითი დამოკიდებულების დაძლევა კი ადამიანისა და სინამდვილის ურთიერთობის ტრადიციული მოდელის ძირეული, არსებითი შეცვლის ტოლფასია. ეს ცვლილება პიროვნების ქცევაში, მის მოქმედებაში, მის საქმეში მჟღავნდება და სწორედ ეს იწვევს პროტესტს სხვა ადამიანებში, მუხტავს სოციალურ გარემოს, რადგან პიროვნების მოქმედება ტრადიციული სოციალური ყოფის კრიზისს იწვევს, ბრბოს სწორედ პიროვნების საქმე, მისი მოქმედება არ აწყობს, თორემ პიროვნების მსოფლმხედველობა რომ მარტო თეორიულ ფენომენად რჩებოდეს, იგი თავს შეიქცევდა, გაამასხრებ-გააოინბაზებდა ამგვარ ფილოსოფიას და თავის პრიმიტიულ-ერთფეროვან ყოფას რამდენადმე მაინც გაამრავალფეროვნებდა. მაგრამ მას, — ბრბოს სწორედ პიროვნების საქმე, მისი მოქმედება აშინებს, რადგან იგი ქვეცნობიერად გრძნობს საკუთარი ყოფის მიმართ პიროვნების ქცევის უპირატესობას. ბუნებრივია, ბრბო არავითარი იურიდიული ვალდებულების წინაშე არა დგას, მაგრამ მას სწორედ პიროვნების ზნეობრივი პოზიცია თრგუნავს, რაც არ უნდა პრიმიტიული იყოს საზოგადოება, ზნეობის ღირებულების შეფასების ცნობიერი (შეგნებული) თუ ქვეცნობიერი უნარი მას მაინც აქვს. სწორედ ეს უნარია წონასწორობას რომ უკარგავს მინდიას ოპონენტებს და ისინიც უკანასკნელ და უმაღლეს არგუმენტს — ღმერთს მიმართავენ.

პოემის მეოთხე თავში, როგორც მკითხველს კარგად მოეხსენება, ხატობის ერთი დეტალია აღწერილი: ხალხი ათასგვარ რამეზე ბჭობს და გველის-მჭამელის ც ო დ ნ ა ზ ე ც გაბეს მსჯელობა (ვაჟა-ფშაველა შემთხვევით არ წერს, რომ გველის-მჭამელის ც ო დ ნ ა ზ ე გაბესო მსჯელობა ხატობაზე შეკრებილმა ხევსურებმა — სწორედ ცოდნა, გამეცნიერება არის მინდიას ქმედების საფუძველი: ცოდნა საფუძვლად უდევს ზნეობას, ზნეობრივ ქცევას, სიკეთეს, უმეცრება კი ც ო დ ვ ა ს — უზნეო ქმედებას, ამიტომ უპირისპირებს ვაჟა-ფშაველა ც ო დ ნ ა ს და ც ო დ ვ ა ს ერთმანეთს:

თანაც გაბეს მსჯელობა
გველის-მჭამელის ც ო დ ნ ა ზ ე,
ხის მჭრელის, ბალახთ მთიბელის,
მათ ჩანადინარ ც ო დ ვ ა ზ ე.

ეს ორი სიტყვა, ორი ტერმინი — „ცოდნა" და „ცოდვა" მარტო რითმის გასამართად რომ არა აქვს გამოყენებული ვაჟა-ფშაველას, აშკარაა პოემის მთელი შინაარსიდან და კონკრეტულად ამ კონტექსტიდანაც, რომელზედაც ამჟამად ვმსჯელობთ. ამ სიტუაციაში წინა პლანზე ჩალხია — ერთ-ერთი ხევსური, გამოდის და მინდიას სიცრუეში, ხალხის გაბრიყვების მცდელობაში სდებს ბრალს:

ენა თუ ჰქონდეს ხე-ქვათა,
ჩვენც რად არ გაგვიგონია?
ჩვენს სატყუებლად მინდიას
სიცრუე მოუგონია.
ჩვენც მისებრ კაცნი არა ვართ,
ჩვენც ყურები გვსხავ, მგონია?!

ჩალხიას ეს არგუმენტი სინამდვილისადმი პრიმიტიულ-ყოფითი, ანუ ს. კიერკეგორის ტერმინოლოგიას რომ მივდიოთ, ესთეტიკური დამოკიდებულების არსს გამოხატავს. ამჟერად ჩვენთვის უფრო საინტერესოა ჩალხიას მსჯელობის მეორე ნაწილი, რომლის არსიც მოკლედ შეიძლება ამგვარად გადმოვცეთ: ხის მოჭრაზე და ჯიხვის დათოფვაზე უფრო მეტი ცოდვა კაცის კვლაა,

მაგრამ მინდიაზე უფრო მეტ მტერს არც ერთი ჩვენგანი არ კლავს, მტრის ულეტაში მინდია ყველას გვაჭარბებსო. კაცის კვლის ნებას რჯულიც არ გვაძლევს და მაშ რაღად სჩადისო ამას მინდია? ჩალხია მის მიერ დასმულ კითხვას თვითონვე პასუხობს: ვკლავთ იმას, ვინც ჩვენს ცხოვრებას ხელყოფს, მამულისა და ოჯახის კეთილდღეობას ემუქრება და ამგვარ ქმედებას არც რჯული გვითვლისო ცოდვად. ეს ადგილი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მთლიანად მოვიტან:

ვსთქვათ: სიბრალული კარგი,
ხე-ქვა-ბალახთა, ცხოველთა,
კაცის კვლა ყველასა სჭარბობს,
თუნდ მტერი იყოს, ყოველთა,
მაშ აღარც კაცს უნდა ვკლავდეთ,
გეტყვით, მისმინეთ, მე რასა:
მტრისას, ხმლით ნაჭერს, მინახავ
მინდია სდგამდეს გორასა.
რად სჩადის ამას, ხომ რჯულიც
კვლისას არ გვაძლევს ნებასა,
მაგრამ ვკლავთ იმას, ვინაც
ჩვენსა დაარღვევს შვებასა,
ან მამულს გვართმევს, ან ცოლსა,
ან გვიშლის რჯულის ცნებასა.
მაშინ არც ღმერთი გვიცოდებს
მტრისად შაქცევას ხელისას,
ეგრევე, ოღონდ ვიცხოვროთ,
მოჰქრას წყლის და თელისას.

პოეტურად ეს შესანიშნავი მონოლოგი იმდენად არსებითი შინაგანი წინააღმდეგობის შემცველია, რომ მისი ანალიზის გარეშე მინდიას და მისი ოპონენტების ზნეობრივი პოზიციების პოპულარობის დასაბუთება გაგვიჭირდება. წინააღმდეგობას შეიცავს ის შედარება, რომელსაც ჩალხია იშველიებს და რომლის მიზანიც ცხოვრების იმ წესის გამართლებაა, რომელსაც ის და მისი თანამოაზრენი მისდევენ მინდიასაგან განსხვავებით: მინდია ცოდვად გვითვლის ხის მოჭრას, ნადირის ხოცვას, მაგრამ თვით იგი ყველა ჩვენგანზე მეტ მტერს ხოცავს და ამდენად ყველაზე მძიმე და მეტ ცოდვასაც თვითონ სჩადისო. მაგრამ ჩალხია აქ გაუცნობიერებლად ემშაკურ ხერხს ხმარობს და მისი მეშვეობით ცდილობს გაამართლოს როგორც მინდია, ისე საკუთარი თავი და თავისი თანამოაზრეები: ჩვენ ყველანი, მათ შორის — მინდიაც (როგორც ვხედავთ, ბრბო ვერ ითმენს პიროვნების გამოყოფას მასისაგან, მის განსაკუთრებულობას და ყველანაირად ცდილობს ან ჩაკლას მასში პიროვნულობის საწყისები, ან ტკბილი სიტყვით და ლაქუცით წაართვას მტერი. ეს მოტივიც გამჭოლია ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებებისათვის, გავიხსენოთ თუნდაც ისევ „ალუდა ქეთელაური" და „სტუმარ-მასპინძელი") ვკლავთ იმას, ვინც ჩვენს შვებას არღვევს, ან მამულს გვართმევს ან ცოლს:

მაშინ არც ღმერთი გვიცოდებს
(ცოდვად არ გვითვლის — მ. გ.)
მტრისად შაქცევას ხელისას,

მარტო ამ ორი სტროფისა და მათგან გამომდინარე აზრის მიხედვით რომ ვიმსჯელოთ, სადავო-ნამდვილად არაფერი იქნება, რადგან ის, ვინც შენს წმინდათაწმინდას — მამულს, ოჯახს, ღირსებას და ა. შ. ხელყოფს, ბუნებრივია, სამაგიეროს მიზღვის ღირსია. მაგრამ ჩალხიას „ეშმაკობა", რომლის შესახებაც ზემოთ ვწერდი, სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იგი თავისი არსებით სრულიად განსხვავებულ მოვლენებს უდარებს ერთმანეთს: ერთი მხრივ ხის მოჭრას, ჯიხვის დათოფვას ანუ, განზოგადებულად რომ ვთქვათ — მშობლიური ბუნების უხეშ ხელყოფას, ხოლო, მეორე მხრივ, მტრის მოგერიებას თუ განადგურებას. მტერი შეგნებულია, მომხდურია, აგრესორია და ამიტომ მეთებულია ვაჟას აზრიც იმის თაობაზე, რომ „სიკვდილი თვითონ უფალსა გაუჩენია მტრისადა". მაგრამ ბუნება ხომ მტერი არაა ჩვენი, პირიქით, იგი ჩვენი ადგილის დედაა, ჩვენი სახლია, ჩვენი მარჩენალია. უფრო მეტიც — ჩვენი კაცობის გვირგვინია, ჩვენი პიროვნებადქცევის საყრდენ-საფუძველია. ამიტომ, აბსოლუტურად გაუმართლებელია ჩალხიას შედარება, რომლის არსი ბოლო ორ სტროფშია გამჟღავნებული:

მაშინ არც ღმერთი გვიცოდებს
მტრისად შაქცევას ხელისას,
ეგრევე, ოღონდ ვიცხოვროთ,
მოჰქრას წყლის და თელისას.

(პოემის ტექსტში ხაზგასმა ყველგან ჩემია მ. გ.). აი, ხაზგასმული სტრიქონებია სწორედ ჩალხიას მთელი მსჯელობის გამაუქმებელ-მართლებელი: ღმერთმა, ბუნებრივია, იმიტომ გაგვაჩინა, რომ ვიცხოვროთ, მაგრამ ვიცხოვროთ არა ბუნების და, მამდენად, თვით ღმერთის თანდათანობითი განადგურების გზით. ასეთი გზა დიახაც ცოდვის გზაა და ტყუილად ჰგონია ჩალხიას, რომ ღმერთი წიფლისა და თელის ჭრას არ „გვიცოდებს", ცოდვად არ ჩაგვითვლის. წიფელიც და თელაც ჩვენი არსებობისთვის შექმნა ღმერთმა, მაგრამ არა იმ აზრით, რომ მხოლოდ საშეშედ გამოვიყენოთ იგი. გარდა იმისა, რომ ეს აშკარად უზნეო არგუმენტია, იგი სოფისტურიცაა, შინაგან წინააღმდეგობაზე აგებულია, თუმცა გარეგნულად დამაჯერებლად გამოიყურება. ვაჟას გენიოსობა აქაც რელიეფურად მჟღავნდება: მინდიას ოპონენტები ისეთი არგუმენტებით შეიარაღდა, რომელთაც გარკვეული დამაჯერებლობის ელფერიც აქვთ და ყველა ვერ შესძლებს მათს ჭეშმარიტ არსში წვდომას, არც იმის თქმა შეიძლება თითქოს ამ არგუმენტს აბსოლუტური დამაჯერებლობის ძალა ჰქონდეს. ასე რომ იყოს, მაშინ ჩალხიას თანამოძმენი უფრო გაბედულნი, უფრო რადი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალოურნი იქნებოდნენ თავიანთ სოლიდარობაში. ვაჟა კი წერს:

— არ სტყუის, არა, ჩალხია,
მინდია ცრუობს სწორედა,
ათასნაირი ტყუილი
თვალწინ აგვიგო ყორედა, —
ამბობენ ხალხში ზოგები
გაუბედავად, ლონედა.

ეს გაუბედაობა და ლონეობა ჩალხიას მხარდამჭერისას სწორედ არგუმენტის შინაგანი წინააღმდეგობრიობის გრძნობითაა გამოწვეული და არა მინდიას მიმართ თავშეკავებით ან კეთილშობილური ტაქტით. ამის დასტურია ის, რომ ხალხის უკმაყოფილების გამოხატვა ამით არ დამთავრებულა, კვლავ და კვლავ გაისმის ჩალხიას არგუმენტის ვარიაციები:

— მაგ ფიქრს რომ მივყვეთ, შენს მტერსა,
როგორღა გვეცხოვრებისა?
ის რად ვიცოდვოდ, უფლისგან
რაიც არ გვეცოდვებისა?!

როგორც ვხედავთ თითქმის სიტყვა-სიტყვითაა გამეორებული ჩალხიას არგუმენტი; არავითარი გადახრა, არავითარი განვითარება, არავითარი მოწადინება, მცდელობა ამ არგუმენტის გამაგრებისა, ახალი საბუთებით გამდიდრებისა. ინტელექტუალური უძლურებით გამოწვეული აპათიაა ეს თუ იმდენად ძლიერია ზნეობრივი ცხოვრების ძალა, რომ ბრბოც კი ჰკარგავს მის წინაშე ჩვეულ აგრესიულობას? მე ამ მეორე ვარიანტის მომხრე ვარ და ვეცდები დავასაბუთო ამ მოსაზრების საფუძვლიანობა.

ხატობაში შეკრებილი ხევსურნი, მინდიას ოპონენტები, რომ ბრბოსათვის ჩვეული აგრესიულობით ვერ უჭერნ მხარს ჩალხიას, ამის შესახებ თვით ვაჟაც წერს არაორაზროვნად და მე ეს ადგილი უკვე დავიმოწმე („ამბობენ ხალხში ზოგები გაუბედავად, ლონედა"). მაგრამ დავაკვირდეთ მსჯელობის შემდგომ მსვლელობას და ტონს: იგი მოვალეობის მოხდის გამო იძულებით გამოთქმულ აზრს უფრო ჰგავს, ვიდრე თავის სიმართლეში დარწმუნებული ადამიანის თუ ხალხის ნაუბარს. სიტუაციის შერბილებისა და ნაწილობრივ ფარული მობოდიშების მიზნითაც რევერანსებსაც არ იშურებენ მინდიას მისამართით:

თუმთ რო გვარიგებს მაგაზე,
ძალიან ცუდად შვრებისა,
კარგთაგან იმედი გვაქვის
მუდამ შველის და რგებისა
და არა ჩვენის დაღუპვის,
ჩვენის ცხოვრების ვნებისა!
ეს იყო გამოხასკული
აზრი ხევსურთა კრებისა...

ამრიგად, პიროვნულ ღირსებებს კი არ ულანძღავენ მინდიას ოპონენტები, როგორც ეს გაკაპასებულსა და ეგზალტირებულ ბრბოს სჩვევია, არამედ მის საზოგადოებრივ ორიენტაციას კიცხავენ, რადგან მათთვის მინდია მუდამ სიკეთისმოქმედი და მშვიდი ცხოვრების გარანტი იყო, რადგან თავისი უნარის წყალობით იგი ფაქტიურად უძლეველი პიროვნებაა. და აი, სწორედ ასეთი პიროვნება ურჩევს მათ დაავდონ ცხოვრების საუკუნეებით განმტკიცებული წესი და სხვაგვარად ააწყონ ცხოვრება. საგულისხმოისაა, რომ როგორც უკვე აღვნიშნე, მინდია თავისი რჩევით არაფერს არ ავალდებულებს თანამოძმეთ, კატეგორიული ან ულტიმატური ფორმით კი არ სვამს მათ წინაშე ცხოვრების ნირის შეცვლის საკითხს, არამედ ყოვლად უპრეტენზიოდ ახმაურებს თავის ნაფიქრს. მაგრამ მისმა სწორედ ამგვარმა საქციელმა იქონია უფრო ძლიერი ზემოქმედება, ვიდრე ეს შეეძლო ჰქონოდა დიქტატორულ ულტიმატუმს. ამის მიზეზი კი ისაა, რომ მინდია ამ შემთხვევაშიც თავის ზნეობრივ სიმაღლეზე რჩება (ეს „მარადი სიმაღლეა", როგორც გალაკტიონი იტყვის დიდი ხნის შემდეგ). მინდიასთვის ეს არ ყოფილა უესტი, რადგან იგი, პიროვნება, მუდამ ამ სიმაღლეზე დარჩება მანამდე, სანამ ყოფის, უოკეილდლიურობის სისასტიკე არ დაუნგრევს პიედესტალს (ამის შესახებ ქვემოთ). მინდიას მოკრძალებული რჩევა მისი ქცევის, მისი ზნეობრივი, პიროვნული ცხოვრების ორგანული, ბუნებრივი ნაწილია და ზემოქმედების ძლიერი ძალაც სწორედ ამიტომ აქვს. თვითონ რომ არ ცხოვრობდეს იმ პრინციპების მიხედვით, რომლის ერთგულებასაც თანამოძმეთ ურჩევს, მაშინ მინდიას რჩევას, რა ფორმითაც არ უნდა ყოფილიყო იგი გაცხადებული, ზემოქმედების არავითარი უნარი არ ექნებოდა და არც საპასუხო რეაქციას გამოიწვევდა იგი ხალხში.

აქ უკვე დროა დავსვათ კითხვა იმის თაობაზე თუ რა გზას მიმართავს მინდია ოპონენტებთან საპაექროდ და მათი არგუმენტების გასაბათილებლად? ამ კითხვაზე პირდაპირი პასუხის გაცემა არაა ძნელი, რადგან თვით პოემის ტექსტი გვაძლევს არაორაზროვან პასუხს ამ კითხვაზე:

მინდია იქავე იჯდა,
თვალთაგან ცრემლი სდიოდა,
არვინ იცოდა, თუ იმას
გული რისაგან სტკიოდა.
თვალნი მიეპყრო ერთს მხარეს,
ხალხისა არა ესმოდა.

ამრიგად, მინდიას ხალხის ნაუბარი, ხალხის ბჭობა არ ესმის. ბუნებრივია მას არც მის საწინააღმდეგოდ გამოთქმული საყვედური არ მოუსმენია. ჩალხია კი ამბობს — „მე სამალავად არ ვამბობ, თითონაც მისდის ყურშია"-ო, — მაგრამ ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ხალხის ფიქრით მინდიას უნდა ესმოდეს მათი ნაუბარი, რადგან იგი იქვე, მათ შორის იმყოფება. იმ გარემოებას კი, რომ „სხვაგან მქრის მისი გონება", ხალხმა დროზე არ მიაქცია ყურადღება. გასაგებია, რომ ამ მომენტში მინდიას ხალხისგან გამოთიშულობა ლიტერატურული ხერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბია, რომელსაც ავტორი შეგნებულად მიმართავს. განსარკვევი სხვა რამაა: რა მიზნით აკეთებს ამას ვაჟა-ფშაველა?

ვაჟას რომ მინდია ტრადიციულ მოქამათედ ექცია, მაშინ — ჯერ ერთი, ისიც ჩვეულებრივი ადამიანი, სიბამდვილისადმი იმგვარივე დამოკიდებულების მიმდევარი უნდა ყოფილიყო, როგორისაც მისი ოპონენტები არიან. მეორეც, პირველიდან გამომდინარე, ასეთ შემთხვევაში არგუმენტთა ამწონ-დამწონი, ე. ი. მსაჯული თვით ავტორი უნდა ყოფილიყო და თავისი თვალსაზრისი თავზე უნდა მოეხვია მკითხველისათვის. ამგვარი გზა კი არც პოემის მხოლოდ ზედაპირული ქარგისა და არც მინდიას პიროვნების ავტორისეული გააზრების შესატყვისი არ იქნებოდა. დამაჯერებლობას ვერ მიუმატებდა ვერც ერთს და ვერც მეორეს. მინდიას ოპონენტთა პიტყვიერ არგუმენტებს ვაჟამ საქმე დაუპირისპირა: როდესაც მინდიამ ხალხს თავისი გამოთიშულებისა და მწუხარების მიზეზი გაანდო, როდესაც თვითონაც შეხედეს ჩიტებს და დაინახეს, როგორ ჩამოვარდა და განუტევა სული ერთმა მათგანმა, მაშინ:

ჩვესუერთ შაჰხედეს ერთმანეთს
გაოცებულის თვალითა:
ნუთუ ასეთი ცოდნით
იქნება კაცის ძალითა?
დარწმუნდნენ იმის ცოდნაში,
საქმე წინ უდევა ყველასა.

ამგვარად, მინდიამ თავის ოპონენტებს საქმე დაუდო წინ, როგორც თავისი სიმართლის დამადასტურებელი ერთადერთი არგუმენტი. ნუ დაგვავიწყდება, რომ საქმით პიროვნების სიმართლის დასაბუთება დამახასიათებელი მოტივია ვაჟა-ფშაველას შემოქმედებისათვის: გავიხსენოთ როგორ შეურაცხყვეს ხევსურმა აბალგაზრდებმა ალუდა ქეთელაური, არ დაუჯერეს მის სიტყვას და მისი ნაამბობი მოჭორილად მიიჩნიეს მანამდე, სანამ მინდიამ მუცალის მოკვეთილი მარჯვენა არ მოიტანა. ბრბოს ზნეობა ემპირიაზეა მიჯაჭვული, ემპირიითაა დამძიმებული და ამაოების ტვირთი არ აძლევს მას საშუალებას თავისი ქმედებით მოსწყდეს ამ სიბრტყეს. პიროვნებისათვის კი ამ სიბრტყეზე დარჩენა ზნეობრივი ტანჯვის წყაროა.

ბრბოს შედარებით აგრესიულობა მინდიას მიმართ თვითშენახვის ინსტინქტის გამოვლენაა, როგორც უკვე აღვნიშნე, ამ აგრესიულობას იგი (ბრბო) იოკებს იმის გამო, რომ მინდია მტერთან ბრძოლისას გამარჯვების გარანტი და ამდენად მშვიდი ცხოვრების გარანტია მისთვის, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ კონფლიქტი ამოწურულია მათ შორის. იგი, ეს კონფლიქტი სხვა სიბრტყეზე იჩენს თავს. მინდიას ცხოვრების წესი მის თანამემამულეებზე ზნეობრივად დამაკნინებელ ზეგავლენას კი ახდენს, მაგრამ პრაქტიკულ ცხოვრებაში ხელს არ უშლის მათ. სოციალურად ოჯახს, საკუთარ ცოლ-შვილს გაუძნელა ყოფა მინდიამ. მისი ცოლი და შვილები ჩვეულებრივი ადამიანები არიან და ცხოვრებასაც ჩვეულს, ტრადიციულს ითხოვენ: შეშით დანთებულ კერას და ხორციან ტაბლას. მაგრამ ეს ყველაფერი მინდიამ უნდა მოიპოვოს როგორც ოჯახის თავმა. ამრიგად, სოციალური გარემო (ოჯახიც მისი გაგრძელებაა) პიროვნებისაგან ზნეობრივ ღალატს, თვითმკვლელობას მოითხოვს. ამ მოთხოვნის დრამატულობა კი ისევ მინდიას აქვს მხოლოდ გაცნობიერებული, რადგან მისი უნარის საყრდენ-საფუძველი მხოლოდ მისთვისაა ცნობილი. სხვებს მიაჩნიათ, რომ რაც არ უნდა აკეთოს მინდიამ, თავის უნარს მაინც შეინარჩუნებს. ესეც ბრბოს ცნობიერების ზედაპირულობის გამოვლენაა, რადგან ფიზიკური მსგავსება მას მიაჩნია ზნეობრიობისა და მშვენიერების იდენტურობის პირობად. ამიტომ ბრბოსათვის ადამიანი არსებობს მანამდე, სამან მისი ფიზიკური კონსტიტუცია დაურღვეველია. მინდიასათვის კი საკუთარი არსებობა მხოლოდ ზნეობრივი ცხოვრების, საკუთარი ცოდნისმიერი ქმედების ტოლფასია მხოლოდ. მან იცის, რომ ფიზიკურად ათასჯერაც რომ იკეთილოს, თუ ღვთითბოძებული უნარი დაჰკარგა, იგი როგორც პიროვნება მოკვდება, იცის, მაგრამ ორ ცეცხლს შუაა მოქცეული: ღვთიურ, ზებუნებრივ და ადამიანურ, მიწიერ მოვალეობებს შორის. ერთიც და მეორეც უდიდეს ზნეობრივ გამძლეობას, ზნეობრივ რუდუნებას მოითხოვს. მინდიას უნდა ადამიანური, მიწიერი მოვალეობა გაუტოლოს ღვთაებრივს, მოსწყვიტოს იგი ტრადიციულ ნიადაგს და აამაღლოს ღვთაებრიობამდე. ამას ავალებს მას ღვთითგანვე ბოძებული უნარი. ასრულებს კიდევაც პირნათლად ამ მოვალეობას მინდია გარკვეული ხნის განმავლობაში, მაგრამ ადამიანური მოვალეობის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობამ გადაადგმევინა საბედისწერო ნაბიჯი: მისი (ადამიანური ტრადიციული მოვალეობის) უცოდველად შესრულება მოინდომა. ცოდვა ცოდვილიანი ქმედების შედეგია. მინდიამ კი ცოდვილიანი ქმედების ჩადენა მოინდომა ისე, რომ უცოდველი დარჩენილიყო. ამგვარი აბსურდის ტრაგიკულობა მან მხოლოდ მაშინღა იგრძნო, როდესაც პროცესი შეუქცევადი გახდა, როცა ჩადენილი ცოდვის სიმძიმემ ღვთითბოძებული უნარის სიკეთეს სძლია. მინდიას ეს არცოდნით არ მოსვლია: მისი უნარის არსება სწორედ იმაშია, რომ შეგნებულად ჩადენილ ცოდვას არავითარი ზნეობრივი გამართლება არ მოეძებნება. ამიტომაა, რომ თავისსავე ქმედებას იგი აფასებს როგორც თავის მოტყუების ცდას:

და მეც დღეს-ხვალეობითა,
ცოტ-ცოტად, ნელაობითა.
დავიწყე თავის რწმენასთან
მოქცევა მელაობითა:

ამგვარი თავისმოტყუების ცდა ორი ბატონის მსახურების მცდელობის ტოლფასია. მინდიას

ეროვნული ბიბლიოთეკა



ღვთიური მოვალეობის მიმართ პატივი არ დაუკარგავს, არც ყოფით-ადამიანური მოვალეობის უპირატესობა უღიარებია ღვთაებრივის მიმართ, მაგრამ მისი ზნეობრივი გახლეჩის საფუძველი მისივე ცვლილების მხოლოდ ნაწილობრივი ხასიათია: ღვთაებრივი ძალის შემწეობით არსებითად შეიცვალა მის სამშვინველი; ფიზიკურად კი იგი უცვლელი დარჩა, ე. ი. ხილული უცვლელი დარჩა მასში, უხილავი კი გარდაიქმნა. ამიტომ ვერ გაუგიათ სხვებს, მათ შორის ცოლსაც; მისი თვითგვემის მიზეზი: გავიხსენოთ მზიას სიტყვები:

ან შენ რა გიჭირს ისეთი,
თავს რად იტკივებ ძალადა,
შეშის ჭრას, ,ნადირთ ხოცვასაც
სხვან რად არ თვლიან ბრალადა?

სხვანი არ თვლიან იმიტომ, რომ მათში არაფერი შეცვლილა, მათი ხილული და უხილავი მხარეები ჰარმონიაში ჭრიან ერთმანეთთან. მინდიაში კი ამგვარი ჰარმონია დარღვეულია. დარღვეულია პირველქმნილი, კოსმიურ ჰარმონიასთან მისი მიახლოების მიზნით, მაგრამ ფიზიკური ბუნების უცვლელობამ ეს მიახლოება მხოლოდ დროებით აქტად აქცია. მინდიას მხრიდან ეს არ იყო მისივე ფიზიკური არსების სულიერზე გამარჯვება, მას საკუთარი სიამოვნებისათვის არ დაუწყია თავის მოტყუება. მისი ცოდვილიანობა ზნეობის გაორებამ გამოიწვია. ზოგადქაცობრიული (ღვთაებრივი) ზნეობისადმი ერთგულების თანდათანობით ღალატმა მინდია საბოლოოდ სულიერ დაცემამდე მიიყვანა, ზნეობრივი უნარისაგან დაცალა. ამიტომ ადარებს მინდია თავის თავს ისეთ მკვდარს, რომელმაც იცის, რომ მკვდარია, მაგრამ თავის შველა კი აღარ შეუძლია:

ამგვარი მკვდარი დღეს მე ვარ,
სხვა მკვდრებს რა უჭირთ მკვდრობითა!

საკუთარი დაცემის ყველაზე ტრაგიკულ შედეგად მინდიას მიაჩნია ის, რომ ქვეყანას ვეღარ გამოადგება, ვერავითარ სარგებელს ვეღარ მოუტანს:

რითიღა ვარგო ქვეყანას,
დავცარიელდი ცოდნითა"
ვეღარას ვარგებ ქვეყანას
მტრის მომგერებელს ჯარშია.

ღმერთის წინაშე სცოდა, ქვეყნის სამსახური აღარ ხელეწიფება — უფრო მეტი განადგურება პიროვნებისა შეუძლებელია. ამიტომ მის ყოფას ყოველგვარი საფუძველი გამოეცალა, საზრისი დაეკარგა:

ან აქ რა პირით ვიცოცხლოთ,
თავს რით ვიმართლებ ღმერთთანა?
ყველასთან შარცხვენილი ვარ —
ცოცხლებთანა და მკვდრებთანა.

მინდია ისევ საკუთარი არშინით ზომავს თავისი ზნეობრივი ჩავარდნის სიღრმეს. ეს საზომის მისთვის უცვლელი დარჩა ცოდვით სულის დამძიმების შემდეგაც. უფრო მეტიც: სწორედ დაცემის შემდეგ შეიგნო უფრო ღრმად ღვთაებრივი ზნეობრივი პრინციპებით არსებობის აუცილებლობა, ზებუნებრივ უნარდაკარგულმა ვეღარც მტრის დამარცხება და სამშობლოს დაცვა შეძლო, ეს კი უკანასკნელი წვეთი იყო თვითმკვლელობის სისრულეში მოსაყვანად.

მინდია თავს იკლავს და ამით ღვთის წინაშე განწმენდილი წარსდგება. ცოდვით დამძიმებულ საკუთარ არსებას თვითონვე მოუძებნა განწმენდის გზა. მინდიას თვითმკვლელობა მისი ამაღლებაა, მისი პირველქმნილი უცოდველობის დაბრუნებაა. ამიტომ ბუნებაც თანაგრძნობით ხვდება, ეგებება მინდიას ნაბიჯს და სათანადოდ გლოვობს მას:

მთვარემაც გადმოაშუქა
საჯიხვეების სერითა
და დააშტერდა თავის-მკვლელს
მოზარე ქალის ფერითა...

მაგრამ ბუნება (ღმერთი) კმაყოფილიცაა იმით, რომ მინდიას აღმოაჩნდა სათანადო ძალმოსილება საიმისოდ, რომ ზნეობრივი მარცხის გამაბათილებელი გზა მოენახა. ვაჟას გენიოსობა (უკვე მერამდენედ გვიხდება ამის კონსტატაცია) აქაც, ამ ნიუანსის გადმოცემისასაც სრულიად გამოჩნდა: ბუნების მაღორუღლი განწყობილება მისი ყველაზე „არასერიოზული“, „თავქარიანი“ ნაწილის — ნიავის სახით გამოხატა:

ნიავიც მიდ-მოდიოდა
უდარდოდ, ნელის მღერითა...
ფრთა გაჰკრის წვერსა ხმლისასა
ამოღერებულს ენითა,
შალებილს ჰიაფერადა
კაცის გულ-მკერდის წვენითა,
და გათამაშდის მწვანეზე
ლაღად, მოლხენით, სტვენითა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩვენი მისამართი: თბილისი, 880026, ხიდის ქ. № 1. ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99-85-81; მთავარი რედაქტორის მოადგილე — 98-64-40; პასუხისმგებელი მდივანი — 98-64-88; განყოფილებებს — 98-28-48; საკორექტორო — 98-64-68.

გადაეცა ასაწყობად 27.03.91 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 9.05.91 წ., ქაღალდის ზომა 70×108[1]/16, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. სააღრ. საგ. თაბახი 15,85. შეკვეთა 655. ტირაჟი 30.000.

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს" სტამბა,
380009, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.

Типография журнально-газетного издательства Грузии «Самшобло»,
г. Тбилиси, ул. М. Костава, 14.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მარია სტელლა

შემოღამდება. გაივსება დისკო მთვარისა,
დისკო მთვარისა მოვერცხლილი და მოქარვული
და გუმბათებზე აენთება ქრისტეს ჯვარისგან
ქრისტეს ჯვარისგან მოფენილი სხივი ფარული.

როგორც ბინდისას მათხოვარი ბრმადმოარული,
სხივი ბარბაცით კანალებში გადაიჭრება,
გატყდება ბროლი მინანქარით შემობზარული,
აედევნება ბნელ ხეივნებს ლანდების წყება.

შადრევანებზე ეზმორებათ გრანიტის ლომებს,
გულში ილვიძებს სათნოება, ქუჩაში ბნელა,
ჩრდილის მანტია მოეხვევა წმიდა ბართლომეს
და მღერის ვიღაც პორტალებთ: „მარია სტელლა".

მახვილამოწვდილ ანგელოსის გაჰქრება ლანდი,
როგორც დემონი გაფრენილი ბრინჯაოს რაშით,
ამურეტები აიყვანენ ბამბინოს ცაში,
ოქროს ფირმამენტს ჩაიხუტებს ტიბროსი ზანტი.
და მთვარე, სხივთა არტახებში ნაზი ინფანტი,
აღმოსავლიდან გვირგვინოსან მოგვებს მოელის.

კაშკაშებს ჯვარი კაპიტოლზე არაკოელის,
ვით ბრილიანტი...

დაარისხებენ სან-პიეტროს მწუხარე ზარებს,
ნარინჯის ფონზე მოიჭრება ავგუსტის არკა
და ტრიუმფები მოუნდებათ ისევ ცეზარებს,
ნაზ სერენადებს კვლავ იმღერებს ღამით პეტრარკა.

დავეძებ ღვთიურ ჰარმონიის, ჰანგად დარხეულს,
დავეძებ ტაძარს ღვთაებისა და ვითხოვ შველას!
წავალ — ვემთხვევი მაცხოვარის წამებულ სხეულს
და მუხლმოდრეკით მეც ვიმღერებ: „მარია სტელლას".

კონსტანტინე გამსახურდია

1919 წ. რომი.

ფასი 1 მან. 20 კაპ.

ინდექსი 76286